

780
1981

(54)

ಪ್ರವೃತ್ತಿ



ಜನಪ್ರಿಯತೆ
ಸಂಪಾದನೆ

1981

3






საქართველოს
სამხრეთ-აღმოსავლეთი

ზ. ნიჟარაძე

ნინო, ნიჟარაძის პორტრეტი

ზ. ნიჟარაძე

პირველი



სურსათი



ქართული
წიგლისათვის

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ
ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო
კოლეგია

შინაარსი

მიხაილ გულგაკოვი. თეთრი გვარდია. რომანი. დასახრული. რუსულიდან თარგმნა გივი კვიციანიშვილმა	4
ნიკოლოზ გრიბაჩოვი. პუსარის უკანასკნელი ბრძოლა. მოთხრობა. თარგმნა გრიგოლ ჩიქოვანმა	90
აფხაზური კომედია	118
ბაბრატ შინქუბა. ჩანთა ჩამოვიდა. მოთხრობა. თარგმნა თამარ ჩიქავაძემ	134
ვიქტორას მილიუნასი. სიუჟარული. მოთხრობა. თარგმნა ნიკო რეხვიაშვილმა	162
ოსური კომედია	169
ვიქტორ ტელაუგოვი. ფრთები. მოთხრობა. თარგმნა ზეზვა მედულაშვილმა	181
გლან მანანიანი. ხალიჩები. ლექსი. თარგმნა ოთარ შალამბერიძემ	183
ირნესტ ვიშინგუეი. სამღვინეი გარეშალი. მოთხრობა. ინგლისურიდან თარგმნა ლია ოქროჭელიძემ	184
ეჟენ ირენესკო. სკამები. ტრაგიკული ფარსი. ფრანგულიდან თარგმნა დავით კახაბერმა	188
მამს შულმანი. გუბერნატორობის კანდიდატი. მოთხრობა. ინგლისურიდან თარგმნა ლამარა თურმანიძემ	219



მთავარი რედაქტორი შოთა ნიშნიანიძე

სარედაქციო კოლეგია: მზია ბაქრაძე, ბანანა ბრეგვაძე, გურამ გოგიაშვილი,
ნანა ჯარნია (კ. მკ. შლივანი), მავალი თოდუა, ნოდარ კაკაბაძე, მიხეილ
კვინულაძე, ზურაბ კიკნაძე, ვახუშტი კოტეტიშვილი, რომან ვიშინგუეილი,
ოთარ ნოდია, ნიკო შიასაშვილი, თამაზ ჩხეიძე, დავით შარაშიანი

საქართველოს მწერალთა კავშირი
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური
ალმანახი

შინაარსი

ლუ სინი. მსოფლიური სოფელი. მოთხრობა. თარგმნა ლუიზა ლეონიძემ	232
კაბატი პარლბატი. ევა წყვილიაძე. მოთხრობა. ინგლისურიდან თარგმნა მარინე ბართაიამ	240
უზანბ რიშინაშვილი. ზადრაკი. ლექსი. თარგმნა გიორგი ნიშნაიანიძემ	245
ფრანგული ნოველები. დახასრული. ფრანგულიდან თარგმნა იროდიონ ქავთარაძემ	246
* საქართველო. გერმანულენოვან მწერალთა შემოქმედებაში. გერმანულიდან თარგმნა ვიქტორ კახნიაშვილმა	267
* რაინერ შარია რილაჟი. შერილები ახალგაზრდა კომეტს. გერმანულიდან თარგმნა ასმათ ფიცხელაურმა	281
კონსტანტინ ფედინი. ოსტატობის შესახებ. რუსულიდან თარგმნა კარლო არსენიშვილმა	309
ასამური კომპილიდან. ინგლისურიდან თარგმნა ნიკოლოზ კენჭოშვილმა	311
ფელიქს კრივინი. იბავ-არაგები. თარგმნა ვაჟა ყუბუხიძემ	315
✓ უცხოური იუმორი	318

გარეკანზე ელბუჯა ამასუკალი. მუხატაბუბი



«САУНДЖЕ»

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ АЛЬМАНАХ
НА ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ № 3 1981

ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

ХУДОЖЕСТВЕННОГО ПЕРЕВОДА И ЛИТЕРАТУРНЫХ ВЗАИМОСВЯЗЕЙ
ТВИЛИСИ, УЛИЦА ШАЛВЫ ДАДИАНИ, 2

მისილ ბულგაკოვი

თეთრი გვარდია



საქართველოს
ბიზნეს-ბიბლიოთეკა

რომანი

რუსულიდან თარგმნა გივი კიკილაშვილმა

ნაწილი მესამე

12.

ტურბინის პატარა საწოლი ოთახის შემინულ, აივანზე გამავალ ორ ფანჯარას მუქი ფარდები ჩამოაფარეს. ოთახში ბინდბუნდი ჩამოწვა და ამ ბინდბუნდში ელენას თმა ოქროსფრად გაბრწყინდა. ბალიშზე კი მოთეთრო ლაქად ჩანდა ტურბინის სახე და ყელი. შტეფსელიდან სკამისკენ მავთული გველივით გაიკლაკნა, თალფაქის ქვემოთ მოვარდისფრო ნათურა აინთო და დღე ღამედ გადააქცია. ტურბინმა ელენას ანიშნა, კარი მიხურეო.

— ანიუტა ახლავე გააფრთხილე, სიტყვა არსად დაძრას...

— ვიცი, ვიცი... ალიოშა, ბევრს ნუ ილაპარაკებ...

— თავადაც ვიცი... ხმადაბლა ვილაპარაკებ.. ვაითუ ხელი წამიხდეს!

— რას ამბობ, ალიოშა... იწექ, გაჩუმდი... იმ ქალის პალტო ჯერ ჩვენთან იყოს?

— ჰო. ჰო. ნიკოლკა წაღებას ნურც იფიქრებს. თორემ ქუჩაში რა ხდება... ხომ გესმის? საერთოდ, თუ ღმერთი გწამს, არსად გაუშვა.

— ღმერთმა უშველოს იმ ქალს, — გულწრფელად და ნაზად თქვა ელენამ, — ტყუილად ამბობენ, კეთილი ხალხი ქვეყნად აღარ არისო...

დაჭრილს სახეზე ოდნავმა სიწითლემ გადაჰკრა, თვალები დაბალ, თეთრ ჭერს მიაშტერა, მერე ელენას შეხედა და შუბლშეყრულმა უთხრა:

— ჰო, ერთი ეს მითხარ, ის თავკომბალა ვინ არის?

ელენა ვარდისფერ შუქში დაიხარა და მხრები შეატოკა.

— იცი რა, შენს მოსვლამდე სულ რაღაც ორი წუთის წინ გამოგვეცხადა. სერიოჯას დისწული, ეიტომირელი. გაგონილი ხომ გაქვს. სურგანსკი... ლარიონი... სახელგანთქმული ლარიოსიკი.

დასასრული. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 2.



— მერე?
 — მერე ის, რომ წერილით გვეახლა. რაღაც უბედურებას გადაპყრობა მო-
 ყოლა ის კი იყო დაიწყო და იმ ქალმა კიდევ შენ მოგიყვანა.
 — რა ჩიტი მოუყვანია, ღმერთმა უწყის...
 ელენა საწოლისკენ სიცილით დაიხარა, თვალებში კი შიში ჩასდგომოდა.
 — ჩიტს კიდევ რა უშავს!... უნდა, რომ ჩვენთან იცხოვროს. რა ვქნა, აღარ
 ვიცი.

— იცხოვროს?..
 — ჰო, ჰო... ოღონდ გაჩუმდი და ნუ იმოძრაე, ალიოშა, გეხვეწები... დე-
 დამისი წერილში გვემუდარება, ლარიონი ხომ მისი კერპია... მე კი ამ ლარიონ-
 ნისთანა დოჟლაპია ჩემს სიცოცხლეში არავინ მინახავს. ჯერ ჩვენთან ფეხი
 რიგიანად არ შემოუდგამს და მთელი ჭურჭელი დაგვიღებოდა. ლურჯი სერვი-
 ზი. ორი თეფშილა გადარჩა.

— ჰო... რა ვიცი აბა, როგორ მოვიქცეთ...
 ვარდისფერ ჩრდილში და-ძმა დიდხანს ჩურჩულებდა, შორს, კარებსა
 და ფარდებს იქით ყრუდ გაისმოდა ნიკოლკასა და მოულოდნელად მოვლენი-
 ლი სტუმრის ხმები. ელენა ალექსეის ხელგაწვდილი ეხვეწებოდა, ცოტა ილა-
 პარაკეო. სასადილო ოთახიდან ხრაშინაობაში მოისმოდა — აფორიაქებული
 ანიუტა ლურჯი სერვიზის ნამსხვრევებს გვიდა. ბოლოს ჩურჩულით გადაწყვი-
 ტეს: ვინაიდან ახლა ქალაქში, ეშმაკმა უწყის, რა ამბავი დატრიალდება და
 იოლი შესაძლებელია ოთახების სარეკვიზიციოდაც მოვიდნენ, ვინაიდან ფუ-
 ლი არა აქვთ, ლარიოსიკის სარჩენად კი ფულს გამოგზავნიან, — ლარიოსიკი
 უნდა შემოისახლონ, ოღონდ იმ პირობით, თუ ტურბინთა ცხოვრების წესებს
 დაემორჩილება. ჩიტის თაობაზე კი ჯერ შეიცადონ; თუ ჩიტის ატანა შეუძლე-
 ბელი იქნება მისი მოშორება მოითხოვონ, ხოლო პატრონი დატოვონ. რაც
 შეეხება სერვიზს, ვინაიდან ელენას, რა თქმა უნდა, ენაც არ მოუბრუნდება
 და საერთოდ ასეთი რამ უზრდელობა და მუშჩანობა იქნება — სერვიზი და-
 ეიწყებას უნდა მიეცეს. ლარიოსიკს ადგილს წიგნების ოთახში მიუჩენენ, ზამ-
 ბარებიან საწოლს და პატარა მაგიდას დაუდგამენ.

ელენა სასადილო ოთახში გავიდა. დამწუხრებული ლარიოსიკი თავჩა-
 ქინდრული იდგა და ბუფეტს შესცქეროდა, სადაც ახლახან თორმეტი თეფში
 სვეტად იყო აღმართული. მღვრიე ცისფერი თვალები უაღრეს მწუხარებას გა-
 მოხატავდა. ლარიოსიკის პირისპირ მდგარ ნიკოლკას პირი დაეღო და მის
 ლაპარაკს ისე უსმენდა. თვალები უსაზღვრო ცნობისმოყვარეობით ავსებოდა.

— ეიტომირში ტყავი არ არის, — ამბობდა დაბნეული ლარიოსიკი, —
 ხომ გესმით, ისეთი ტყავი, როგორსაც მიჩვეული ვარ, ნამცეციც არსად იშო-
 ვება. ჩამოვუარე მეწაღეებს, შევუძახე, ფულს რამდენსაც გინდათ, იმდენს
 მოგცემთ-მეთქი, მაგრამ არავის აღმოაჩნდა. ჰოდა, სხვა გზა აღარ მქონდა...

ლარიოსიკმა ელენა რომ დაინახა, გაფითრდა, ერთ ადგილას აწრიალდა,
 თვალები დახარა, რატომღაც ელენას ხალათის ზურმუხტისფერ ფოჩებს და-
 აცქერდა და თქვა:

— ელენა ვასილიევნა, ამ წუთას მალაჩიებს ჩამოვუვლი, ნოქრებს შევუ-
 ძახებ და სერვიზს დღესვე გავაჩენ. აღარ ვიცი, რა გითხრათ, ბოდნიში რანაი-

მ. შარტანის სან. ს.პ. სსრ
 სახელმწიფო ბიბლიოთეკა
 ბ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ.

რად მოგიხადოთ. ამ სერვიზის გამო ნამდვილად მოსაკლავი ვარ. იღბალი არაფერში მაქვს, — მიუბრუნდა იგი ნიკოლკას და მერე კვლავ ელენას მიმართა: — ახლავე ჩამოვუვლი მალაზიებს.

— ძალიან გთხოვთ, მალაზიებში სიარულს ნუ მოჰყვებით, მით უმეტეს, რომ მალაზიები, რა თქმა უნდა, დაკეტილი იქნება. ნუთქა, არა მარტო, ქალაქში რა ხდება?

— როგორ არ ვიცი! — შესძახა ლარიოსიკმა, — მე ხომ სანიტარული მატარებლით ჩამოვედი, როგორც დეპეშით შეიტყობდით.

— რა დეპეშით? — ჰკითხა ელენამ. — ჩვენ დეპეშა არ მიგვიღია.

— რა? — ლარიოსიკმა პირი დაალო. — არ მიგვიღიათ? ჰოო! მეც არ გამიკვირდა, — იგი ნიკოლკას მიუბრუნდა, — ისე გაოცებული რომ მიყურებდით... კი მაგრამ... დედაჩემმა ხომ სამოცდასამსიტიყვიანი დეპეშა გამოგიგზავნათ.

— ჰმ... ჰმ... სამოცდასამსიტიყვიანი! — განცვიფრდა ნიკოლკა. — რა დასაძინია. ახლა ხომ დეპეშები ძალზე ცუდად მოდის. უფრო სწორად, სულაც არ მოდის.

— მაშ ახლა რა ვქნა? — დამწუხრდა ლარიოსიკი. — ნებას მომცემთ, თქვენთან დავრჩე? — მან უმწეოდ მიმოიხედა და თვალეებზე უმაღ შეეჭყო, რომ ტურბინების ოჯახი ძალიან მოსწონდა და აქედან არსად წასვლას არ ისურვებდა.

— ყველაფერი მოგვარებულია, — უპასუხა ელენამ და თავი მოწყალედ დაუქნია. — ჩვენ თანახმა ვართ. დარჩით და მოეწყვეთ. ხომ ხედავთ, ჩვენს თავს რა უბედურებაა...

ლარიოსიკი უფრო მეტად დამწუხრდა. თვალეები ცრემლებმა დაუნისლა.

— ელენა ვასილიევნა! — გრძობამორევით თქვა მან. — რაც ვნებავთ, ის დამავეალეთ. რომ იცოდეთ, შემოდღია ზედიზედ სამი-ოთხი დამე ვიფხიზლო.

— გმადლობთ, დიდად გმადლობთ.

— ახლა კი, — ლარიოსიკი ნიკოლკას მიუბრუნდა, — თუ შეიძლება, მაკრატელი მომეცით.

განცვიფრებისა და ცნობისმოყვარეობისგან აფორიაქებული ნიკოლკა სადღაც გაქანდა და მაკრატელი მოარბენინა. ლარიოსიკმა ფრენჩის ღილს ხელი შეავლო, თვალეები აახამხამა და კვლავ ნიკოლკას მიუბრუნდა:

— თუმცა, უკაცრავად, ერთი წუთით თქვენს ოთახში შევიდეთ...

ნიკოლკას ოთახში ლარიოსიკმა ფრენჩი გაიხადა, ძალზე ჭუჭყიანი პერანგი გამოაჩინა, მაკრატელი მოიმარჯვა, ფრენჩის შავად გაპოხილი სარჩული გაარღვია და ფულის სქელი მომწვანო-მოყვითალო დასტა გამოაძვრინა. ეს დასტა მან სასადილო ოთახში საზეიმოდ შეიტანა, ელენას მაგიდაზე დაუდო და უთხრა:

— აი, ელენა ვასილიევნა, ნება მომეცით, ჩემი შესანახი ფული ახლავე მოგართვათ.

— რა გეჩქარებათ, — უთხრა წამოწითლებულმა ელენამ, — მერეც შეგეძლოთ მოგეცათ...

ლარიოსიკი გულმხურვალედ შეედავა:

— არა, არა, ელენა ვასილიევნა, გთხოვთ ახლავე გამომართვათ. რას

ბრძანებთ, ასეთი გასაჭირის ჟამს ფული ყოველთვის საჭიროა. ეს მე ძალიან კარგად ვიცი! — მან დასტა გაშალა და იქიდან უცებ ვიღაც ქალის სურათი გადმოვარდა. ლარიოსიკმა სურათს ხელი დასტაცა, ამოიოხრა და ჯიბეში ჩაიღო. — ჯობია, ფული თქვენ გქონდეთ. მე რა იმდენი მჭირდება? ჩემთვის პაპიროსს თუ ვიყიდი და ჩიტისთვის საკენკს...

ელენას ალექსეის ჭრილობა ერთი წუთით დაავიწყდა და თვალებში სიამოვნებით გაუბრწყინდა, ისეთი საზრიანი და გონივრული იყო — ლარიოსიკის საქციელი.

„არც ისეთი დოკლაპია ყოფილა, როგორც თავდაპირველად მეგონა, — გაიფიქრა ელენამ, — თავაზიანი და პატიოსანია, მაგრამ ცოტა უცნაური ჩანს. სერვიზი კი ძალიან მენაწება“.

„ეს რა ტიპია“, — ფიქრობდა ნიკოლკა. ლარიოსიკის სასწაულებრივმა გამოცხადებამ მწუხარე ფიქრები გაუფანტა.

— აქ რვა ათასია, — ამბობდა ლარიოსიკი და ხახვიანი ერბო-კვერცხის მსგავს დასტას მაგიდაზე ათამაშებდა, — თუ ცოტაა, ვიანგარიშოთ და ახლავე კიდევ გამოვიტხოვ.

— არა, არა, მერე იყოს, — უპასუხა ელენამ. — ახლა კი აი, რა: ანიუტას ამ წუთას ვთხოვ, აბაზანა გაგიხუროთ და ახლავე იბანავეთ. მაგრამ ერთი ეს მითხარით, როგორ ჩამოხვედით, აქამდე როგორ მოაღწიეთ? ვერ გამიგია! — ელენამ ფული მოჭმუჭნა და ხალათის ვეებერთელა ჯიბეში ჩაიტენა.

ლარიოსიკს თვალეში შიში ჩაუდგა იმის გახსენებაზე, რაც თავს გადახდა.

— ნამდვილი კომმარა იყო! — შესძახა მან და ხელები მკერდთან კათოლიკე მლოცველივით მიიტანა. — მე ხომ ცხრა დღეა... არა, უკაცრავად, ათი?... მოიცათ... კვირა, ჰო, ორშაბათი... თერთმეტი დღეა, რაც უიტომირიდან მოვდივარ!..

— თერთმეტი დღე! — შეჰყვირა ნიკოლკამ. — ხედავ! — რატომღაც საყვედურით შეხედა ელენას.

— დიახ, თერთმეტი... როცა გამოვედი, მატარებელი პეტმანისა იყო, გზაზე კი პეტლურასი გახდა. მივედით ერთ სადგურში, რა ჰქვია, ღმერთო ჩემო, ველარ ვიხსენებ... თუმცა სულ ერთია... ჰოდა, იქ, წარმოგიდგენიათ, ჩემი დახვრეტა უნდოდათ. მოვიდნენ ის ფოჩიანი პეტლურელები...

— ლურჯფოჩიანები?... — ცნობისწადილით ჰკითხა ნიკოლკამ.

— არა, წითელ... ჰო, წითელფოჩიანები... მიყვირიან, ჩამოდი, ახლავე უნდა დაგხვრიტოთო! ეგონათ, ოფიცერი ვიყავი და სანიტარულ მატარებელში ვიმალებოდი. მე კი, უბრალოდ, საპროტექციო წერილი მქონდა... დედაჩემისა, ექიმ კურიცკისთან.

— კურიცკისთან? — მრავალმნიშვნელოვნად შესძახა ნიკოლკამ. — ასე, კიტი-კატა... ვიცი.

„კიტი-კატა, კიტი-კატა“, — კარს იქით ყრუდ გაეხმიანა ჩიტი.

— დიახ, იმასთან... ჩვენთან, უიტომირში, მატარებელი იმან ჩამოიყვანა... ღმერთო ჩემო! ვიფიქრე, გათავდა ყველაფერი-მეთქი, და გულში ღმერთს ლოცვა-ვედრება დავუწყე. ჰოდა, იცით? ჩიტმა გადამარჩინა. ვუთხარი, ოფიცერი არა ვარ, მეცნიერი გახლავართ, ფრინველებს ვსწავლობ-მეთქი. ჩიტიც

ვაჩვენე... პოდა, გესმით, ერთმა ქეჩოში ჩამცხო და თავხედურად მითხრა — მოუსვი აქედან, შე ეშმაკების მეცნიეროო! უპ, ის თავხედი! მოვკლავდი, როგორც ჯენტლმენის წესია, მაგრამ ხომ იცით...

— ელე... — ყრუდ მოისმა ტურბინის საწოლი ოთახიდან. ელენას ლარიოსიკისთვის ყური აღარ უგდია, სწრაფად შეტრიალდა და ექვემდებარება.

სიზღვირეთეა

თხუთმეტ დეკემბერს, კალენდრის მიხედვით, მზე დღის ოთხის ნახევარზე ქრება. ამიტომ საღამოს ბინდი ბინაში უკვე სამ საათზე შემოიჭრა. მაგრამ დღის სამი საათი როცა შესრულდა, ელენას სახეზე ისრები სიცოცხლის ყველაზე დაბალ და მტანჯველ ეტაჟზე — ექვსის ნახევარს უჩვენებდა. ორივე ისარი ტუჩების კუთხეში მწუხარე ნაოჭებთან დაეშვა და ქვემოთ, ნიკაპთან შეერთდა. თვალეში სევდა და გასაჭირთან შებრძოლების წყურვილი ჩაესახა.

ნიკოლკას სახეზე კი ისრები თორმეტ საათსა და ორმოც წუთს აჩვენებდა — გულის გამსჭვალავ და უაზრო დროს, რადგანაც თავში ყველაფერი დომხალივით არეოდა. ამის მიზეზი კი გახლდათ დიდად მნიშვნელოვანი, იდუმალეებით მოცული სიტყვა „მალო-პროვალნაია...“ — გუშინ იმ გზაჯვარედინზე მომაკვდავმა რომ წარმოთქვა და უახლოეს დღეებში უსათუოდ ახსნა ესაჭიროებოდა. დომხალი იმ ამბავმაც გამოიწვია, რომ ტურბინთა ოჯახს თითქოს ციდან მოევლინა უცნაური და საინტერესო ლარიოსიკი და იმ გარემოებამაც, რომ მოხდა შემზარავი და საგულისხმო ამბავი: პეტლურამ ქალაქი აიღო. სწორედ იმ პეტლურამ და, ხომ გესმით! — სწორედ ეს ქალაქი, რა მოხდება ახლა ამ ქალაქში, ადამიანის გონება, ყველაზე განვითარებულიც კი, ვერ მიხვდება და ვერ გამოიცნობს. სრულიად აშკარაა, რომ გუშინ საშინელი უბედურება დატრიალდა — ჩვენებს მოულოდნელად თავს დაესხნენ და ერთიანად ამოხოცეს. მათი სისხლი, უეჭველია, ცას შეჰგოდებს — ეს ერთი. დამნაშავე გენერლები და შტაბელი არამხადები სიკვდილის ღირსნი არიან — ეს მეორე. მაგრამ შიშის გარდა თავს იჩენს მძაფრი ცნობისწადილიც — მაინც რა მოხდება? როგორ იცხოვრებს შვიდასი ათასი კაცი ქალაქში, სადაც ძალაუფლება ხელთა აქვს იდუმალეებით მოცულ პიროვნებას, ვისაც ასეთი შემზარავი და ულაზათო გვარი აქვს — პეტლურა? ვინ არის პეტლურა? რატომ?.. ოპ, აუშცა ეს ყოველივე სახსენებელიც არ არის იმ უმთავრესთან, იმ სისხლისღვრასთან შედარებით... ეპ... ეპ... საშინელებაა, მე თქვენ მოგახსენებთ. ზუსტად, მართალია, ცნობილი არაფერია, მაგრამ მიშლაევსკიც და კარჩხანაც აღბათ დაღუპულეზად უნდა მიიჩნიონ.

ნიკოლკა გალიბულ და გაზინთულ მაგიდაზე პირფართო დიდი დანით ყინულს ამსხვრევდა. ყინული ჭახანით იმსხვრეოდა, ანდა დანის ქვემოდან გასხლტებოდა და მთელ სამზარეულოში დახტოდა. ნიკოლკას თითები დაუბუყდა. ვერცხლისფერხუფიანი ბუშტი იქვე იდო.

— მალო... პროვალნაია... — ტუჩებს აცმაცუნებდა ნიკოლკა და გონებაში ხან ნაი-ტურსის, ხან წითური ნერონის და ხანაც მიშლაევსკის სახე უკრთოდა, როგორც კი ნიკოლკას ფიქრებში მიშლაევსკი გაიელვებდა, გავარვარებულ ქურასთან მოფუსფუსე, მწუხარე ზმანებებით აფორიაქებული ანიუტას სახეზე აშკარად ისახებოდა ხუთის ნახევარი — ეამი მწუხარებისა და ტანჯ-

ვისა. კიდევ ნახავს თუ არა სხვადასხვაფერ თვალებს? გაიფონებს თუ არა რხევით მომავალი მიშლაევსკის ფეხის ხმას და დეზების წკარუნს — ძინ... ძინ...

ელენამ სამზარეულოს კარი შემოაღო.

— ყინული წამოიღე, — უთხრა ნიკოლკას.

— ახლავე, ახლავე, — სწრაფად თქვა ნიკოლკამ, ბუშტის ბუშტის ჩთუჭერა და გაიქცა.

ელენა ახლა ანიუტას მიუბრუნდა:

— ანიუტა, გენაცვალე, არავისთან წამოგცდეს, რომ ალექსეი ვასილიევიჩი დაქრეს. ღმერთმა დაგვიფაროს! თუ შეიტყვეს, რომ იმათ წინააღმდეგ იბრძოდა, ცუდი დღე დაგვადგება.

— რას ამბობთ, ელენა ვასილიევნა, განა არ ვიცი! — ანიუტამ ელენას შემფოთებული, გაფართოებული თვალებით შეხედა. — ქალაქში რა ხდება, ღვთისმშობელო, შენ დაგვიფარე! ბორჩიევზე მივდივარ და რას ვხედავ, ორნი წვანან, ჩექმაგაძრობილნი... იქაურობა სისხლითაა მორწყული... ხალხი კი დგას და უყურებს... ვილაცამ თქვა, თუ ოფიცერი მოკლესო... ისევე ყრიან, თავშიშველნი... მუხლები მომეკვეთა და გამოვიქეცი, კალათა კინალამ იქ დამჩა...

ანიუტამ მხრები შემცივნულივით შეარხია, რალაც გაახსენდა, იმავე წამს ტაფები ხელიდან გაუსხლტა და იატაკზე დაუცვივდა.

— ფრთხილად, ფრთხილად, თუ ღმერთი გწამს, — შეევედრა ხელებგაწვდილი ელენა.

ლარიოსიკის უფერულ სახეზე ისრები დღის სამ საათზე უმაღლეს ალტკინებასა და ძალას — ზუსტად თორმეტ საათს გამოსახავდა. ორივე ისარი შუადღის მაჩვენებლად შეწყვილდა. ერთმანეთს შეეწება და მახვილებივით ზედიზედ იშრათა. ეს იმიტომ მოხდა, რომ ერთმანეთში გადატანილი უბედურების შემდგომ, რამაც ლარიოსიკის ნაზი სული შეძრა, სანიტარული მატარებლით თერთმეტდღიანი საშინელი მგზავრობისა და მძაფრ განცდათა შემდგომ ლარიოსიკის ტურბინების ოჯახი უსაზღვროდ მოსწონდა. რატომ მოსწონდა, ლარიოსიკი ამის ახსნას ჯერ ვერ შეძლებდა, რადგან თავადაც რიგიანად ვერ მიმხვდარიყო.

უაღრეს მოწონებასა და ყურადღებას იმსახურებდა ლამაზი ელენა. ნიკოლკაც ძალიან მოეწონა. უნდოდა ეს რამით გამოეხატა და, როცა ნიკოლკა ალექსეის ოთახში შერბენა-გამორბენას მორჩა და წიგნების ოთახში ზამბარებიანი ვიწრო საწოლის დადგმა დააპირა, ლარიოსიკმა დრო იხელთა და საწოლის გაშლაში მიეხმარა.

— თქვენ ძალზე წრფელი სახე გაქვთ, კაცს სამეგობროდ რომ განაწყობს, — უთხრა ლარიოსიკმა ნიკოლკას და წრფელ სახეზე ისე დააშტერდა, რომ ვერც კი შეამჩნია, ეღრიალა საწოლი როგორ გაკეცა და ორ საგდულს შორის ხელი მოაყოლებინა. ნიკოლკამ სიმწრისგან შეჰყვირა, თუმცა ყრუ ხმით, მაგრამ საკმაოდ ხმამაღლა, ისე რომ ელენამ გაიგონა და ხალათის შრი-აღით მოიბრინა. ნიკოლკა თავს ძალას ატანდა, რომ არ აღრიალებულიყო, მაგრამ თვალებიდან მსხვილი ცრემლები თავისით სცვიოდა. ელენა და ლარიოსიკი დაკეცილ ავტომატურ საწოლს ჩაეჭიდნენ, აქეთ-იქით ძლივძლივობით გაწიეს და ნიკოლკას ჩალურჯებული ხელი გაუთავისუფლეს. ლარიოსიკი კი-

ნალამ თვითონ ატირდა, როცა მისი დაჩეჩკვილი და ზოლ-ზოლად ჩაწითლებული ხელი დაინახა.

— ღმერთო ჩემო! — თქვა მან და ისედაც დამწუხრებულ სახე უფრო დაემანჭა. — ეს რა მემართება?! რანაირი უიღბლო ვარსა და რა გტკივთ? მომიტევეთ, თუ ღმერთი გწამთ.

ნიკოლკა სამზარეულოსკენ ხმაამოუღებლად გაექანა და ანიუტას ონკანიდან ხელზე ცივი წყლის ნაკადი მიაშვევინა.

მას მერე, რაც ეშმაკურად ნაკეთები საწოლი ღრჭიალით გაიშალა და ისიც აშკარა შეიქნა, რომ ნიკოლკას ხელი არც ისე დაზიანებოდა, ლარიოსიკს კვლავ დაეუფლა საამო და ჩუმი სიხარული, წიგნებმა რომ აღუძრა. მას ჩიტების სიყვარულის გარდა სხვა გატაცებაც გააჩნდა — წიგნები უყვარდა. აქ კი მრავალთაროიან ღია კარადებში მჭიდრო რიგებად ეწყო ამდენი საუნჯე. ლარიოსიკს ოთხივე კედლიდან ჩამოსცქეროდა მწვანე, წითელ ყვითელ თუ შავ ყდებში ჩასმული ოქროსფრად დატვიფრული წიგნები. საწოლი რა ხანია გაიმართა და ლოგინი გაიშალა, საწოლთან მიდგმული სკამის საზურგეზე პირსახოცი იყო გადაკიდებული, ზედ მამაკაცისთვის აუცილებელი ნივთები — სასაბნე, პაპიროსი, ასანთი, საათი ეწყო, მათ შორის კი ირიბად ჩადებული იდუმალი ქალის სურათი მოჩანდა. ლარიოსიკი კვლავ წიგნების ოთახში ტრიალებდა, ხან წიგნებით შემოსალტულ კედლებს უვლიდა გარშემო, ხან ქვედა თაროებთან ჩაცუცქდებოდა და ყდებს ხარბად ათვალთვლებდა, არ იცოდა, პირველად რა გამოეღო — „პიკვიკის კლუბის ჩანაწერები“ თუ 1871 წლის „მოამბე“. ისრები თორმეტზე იდგა.

მაგრამ საღამოს ბინდთან ერთად ბინას მკმუნვარებაც სულ უფრო და უფრო ეუფლებოდა. ამიტომ საათი თორმეტჯერ არ რეკავდა, ისრები მდუმარედ იდგა და სამგლოვიარო დროშაში გახვეულ მოელვარე მახვილს წააგავდა.

მიზეზი გლოვისა, მიზეზი სასიცოცხლო საათის ისართა სხვადასხვაობისა იმათ სახეზე, ვინც ბედმა მყარად მიაჭაჭვა ტურბინთა ძველისძველ, მტვრიან, მყუდრო კერას, ვერცხლისწყლის წვრილი სვეტი გახლდათ. სამ საათზე ტურბინის საწოლ ოთახში ეს სვეტი 39,6 აჩვენებდა. ელენა გაფითრდა, თერმომეტრის დაფერთხვა უნდოდა. ტურბინმა თავი შემოაბრუნა, თვალები ძლივს გაახილა, მაგრამ ჯიუტად მოსთხოვა, მაჩვენეო. ელენამ თერმომეტრი მდუმარედ, უხალისოდ მიაწოდა ტურბინმა დახედა და გულდამძიმებულმა ღრმად ამოიოხრა.

ხუთ საათზე მას თავზე ცივი, ნაცრისფერი ტომსიკა ედო. ტომსიკაში დაქუცმაცებული ყინული ღვებოდა. ტურბინს სახე აუვარდისფერდა, თვალები აუელვარდა და ძალზე დაუმშვენდა.

— ოცდაცხრამეტი და ექვსი... კარგია, — ამბობდა იგი და დროდადრო გამშრალ, გაშამრულ ტუჩებს ილოკავდა. — ასე... ყველაფერი შესაძლოა... მაგრამ პრაქტიკას მაინც დიდი ხნით უნდა... გამოვეთხოვო. ოღონდაც ხელი გადამირჩეს... თორემ უხელოდ რისი მაქნისი ვიქნები...

ალიოშა, გაჩუმდი, გეთაყვა, — ეხვეწებოდა ელენა, თან მხრებთან საბანს უსწორებდა...

ტურბინი გაჩუმდა და თვალები დახუჭა. ჭრილობის ზემოთ, მარცხენა იდლიიდან დაძრული ცეცხლის ღვარი მთელ სხეულს ედებოდა და უშანთავ-

და, ხან მთელ გულმკერდს გაუვსებდა და გონებას მიუნისლავდა, თუმცა ფეხები კი უსიამოდ ეყინებოდა. საღამოთი, როცა ყველგან ლამპები ანთო, ხოლო სამთა სადილმა — ელენას, ნიკოლკას და ლარიოსიკის სადილმა — მღუპარებასა და მღელვარებაში ჩაიარა, ვერცხლისწყლის სვეტი, ვერცხლისფერ, შესქელებულ ბურთულაში ჯადოსნურად რომ წარმოიქმნებოდა და აბრუნებოდა, მაღლა აცურდა და 40,2 აღმნიშვნელ დანაყოფს მიაღწია. მაშინ მკერდისფერ საწოლ ოთახში შეშფოთებამ და წუხილმა უცებ გაღლობა იწყო. წუხილი, ნაცრისფერი ბურთივით რომ შემოგორდა და საბანზე მოკალათდა, ახლა ყვითელ სიმებად გადაიქცა და, როგორც წყალში წყალმცენარეები, ისე გაიბლანდა. პრაქტიკა და მომავლის შიში დავიწყებას მიეცა, რადგან ყველაფერს ეს წყალმცენარეები გადაეფარა. მკერდის მარჯვენა მხარეს ტკივილი ჩაყუჩდა და მოიბლუნდა. ცეცხლის ღვარს სიცივე შეენაცვლა. მკერდის შიგნით მწველი სანთელი ხან ყინულოვან დანად გადაიქცეოდა და თითქოს ფილტვს უბურღავდა. მაშინ ტურბინი თავს შეატოვებდა, ბუშტს გადაავდებდა და საბნის ქვეშ ღრმად ჩაძვრებოდა. ჭრილობაში ჩაბუდებულ ტკივილს რბილი გარსი შემოეცლებოდა და დაჭრილს ისე ტანჯავდა, რომ იგი მისუსტებული ხმით უნებურად ჩივილს იწყებდა. ხოლო როცა დანა გაუჩინარდებოდა და კვლავ მშახთავ სანთელს უთმობდა ადგილს, მაშინ ცეცხლის ღვარი ეუფლებოდა სხეულს, ბეწრებს, საბნის ქვეშ აღმურს დააგზნებდა და დაჭრილი წყალს ითხოვდა. ბურუსში ხან ნიკოლკას, ხან ელენას, ხან ლარიოსიკის სახე გამოჩნდებოდა. ისინი დაიხრებოდნენ და უსმენდნენ. ყველას თვალები ერთნაირი გახდომოდა, ყველა პირქუშად და მკაცრად იმზირებოდა. ნიკოლკას ისრები ჩამოუდაბლდა და ელენას მსგავსად ზუსტად ექვსის ნახევარზე გაჩერდა. იგი მაღიმალ სასადილო ოთახში გადიოდა, სადაც შუქი იმ საღამოს რატომღაც მქრქალად და მშფოთვარედ ანათებდა, და საათს შესცქეროდა. ტაკრხ... ტაკრხ... ბრაზიანად და გამაფრთხილებლად გაისმოდა საათის ჩახლეჩილი ხმა და ისრები ჯერ ცხრას აჩვენებდა, მერე ცხრასა და თხუთმეტ წუთს, მერე ათის ნახევარს...

— ეჰ, ეჰ, — ოხრავდა ნიკოლკა და სასადილო ოთახიდან შემოსასვლელში გაბრუნებული ბუზივით გაბორიალდებოდა, ტურბინის საწოლ ოთახს ჩაუვლიდა, სასტუმროში შევიდოდა, იქიდან კაბინეტში შებანცალდებოდა, თეთრ ფარდას გადასწევდა და აივნის კარიდან ქუჩას გადახედავდა... „ვაითუ ექიმი შეშინდეს და არ მოვიდეს...“ — ფიქრობდა იგი. დაქანებული, მიხვეულ-მოხვეული ქუჩა ახლა უფრო უკაცრიელი ჩანდა, ვიდრე საერთოდ იმ დღეებში, მაგრამ არცთუ ისეთი შემზარავი იყო. მეეტლეთა მარხილები დროდადრო ჭრიალ-ჭრიალით ჩაივლიდა, მაგრამ იშვიათად... ნიკოლკამ ვაიფიქრა, ალბათ წასვლა მომიხდებაო... და თავს იტეხდა, ელენა როგორ დავიყოლიო.

— თერთმეტის ნახევრამდე თუ არ მოვიდა, მე თავად წავალ ლარიონ ლარიონოვიჩთან ერთად, შენ კი ალიოშასთან დარჩები... გაჩუმდი, თუ ღმერთი გწამს... გაიგე, ზედ გაწერია, იუნკერი რომ ხარ... ლარიოსიკს ალიოშას სამოქალაქო ტანსაცმელს ჩავაცმევთ... ქალთან ერთად რომ იქნება, ხელს არ ახლებენ...

ლარიოსიკი აფუსფუსდა, განაცხადა, მზად ვარ თავი მსხვერპლად გავიღო და მარტო წავიდეო, და სამოქალაქო ტანსაცმლის ჩასაცმელად გავიდა.

დანა სრულიად გაქრა, მაგრამ ცეცხლის ღვარმა უფრო იმძლიავრა — ტი-

ფი ღუმელს აგიზგიზებდა და ალმურის ბრიალში უკვე მერამდენედ მოვიდა არცთუ ისე ცხადი და ტურბინთათვის სრულიად უცხო ვილაცა, ნაცრისფერი ტანსაცმელი რომ ემოსა.

— იცი რა, ის ნაცრისფერი ალბათ ყირამალა გადატრიალდა! — უცებ გარკვევით და მკაცრად თქვა ტურბინმა და ელენას დაკვირვებულ დედაცქერდა. — სასიამოვნო არ არისა... საერთოდაც, ყველა ჩიტი თბილ... ქვეყნებში უნდა შერეკო და იქ ჩაამწყვდიო, სითბოში გონზე მოვლენ.

— რას ამბობ, ალიოშა? — ჰკითხა ტურბინს შეშინებულმა ელენამ, დაიხარა და იგრძნო, ძმის სახიდან ალმური ლოყებზე როგორ შემოენთო. — ჩიტი? რა ჩიტი?

შავი სამოქალაქო ტანსაცმლით შემოსილი ლარიოსიკი კუზიანს დამგვანებოდა, ბეჭები თითქოს გაგანიერებოდა, შარვლის ტოტები ჩექმის ყელეებზე ჩამოეფარებინა. შეშინებული ჩანდა, თვალებს შესაბრალისად აცეცებდა. საწოლი ოთახიდან ფეხის წვერებზე გავიდა, შემოსასვლელი და სასადილო ოთახი ბორძიკით გაირბინა, წიგნების ოთახიდან ნიკოლკას ოთახში შევიდა, საწერ მაგიდაზე დადგმული გალიისკენ ხელების ბრაზიანი ქნევით გაექანა და ზედ შავი ხილაბანდი გადააფარა... მაგრამ სულ ტყუილად გაისარჯა — ჩიტს რა ხანია კუთხეში ეძინა, მობღუნებულიყო, ბუმბულის გორგალს დამსგავსებოდა და ღუმდა. არც უწყობდა, ირგვლივ რა გაწამაწია იყო. ლარიოსიკმა მჭიდროდ გაიხურა ჯერ წიგნების ოთახის, მერე კი სასადილო ოთახის კარი.

— რა არასასიამოვნოა... ოჰ, რა არასასიამოვნოა, — მოუსვენრად ამბობდა ტურბინი და კუთხეს გასცქეროდა, — ტყუილბრალოდ შემომაკვდა... მისმინე... — მან საღი ხელი საბნიდან ამოიღო... — უმჯობესია, დავუძახო და ავუხსნა... ნეტა სულელივით რას წრიალებს?... დანაშაულს, რა თქმა უნდა, ჩემს თავზე ვიღებ... ყველაფერი დავკარგეთ, სულელურად დავკარგეთ...

— ჰო, ჰო, — თქვა გულდამძიმებულმა ნიკოლკამ, ხოლო ელენამ თავი ჩაპკიდა. ტურბინი შეშფოთდა, თავის წამოწევა მოინდომა, მაგრამ მწვავე ტკივილი მოეძალა, დაიკვნესა და მერე ბრაზიანად თქვა:

— მაშ თავიდან მომაშორეთ!..

— იქნებ გალია სამზარეულოში გავიტანო? თუმცა ხილაბანდი გადავაფარე და ჩიტი ხმას არ იღებს, — ჩასჩურჩულა ელენას შეშფოთებულმა ლარიოსიკმა.

ელენამ ხელი ჩაიქნია: ეგ რა შუაშიაო... ნიკოლკა სასადილო ოთახში მტკიცე ნაბიჯით გავიდა. თმა აბურძგნოდა. მან ციფერბლატს შეხედა: ათი საათი სრულდებოდა. შეშფოთებულმა ანიუტამ კარი შემოაღო და სასადილო ოთახში შემოვიდა.

— ალექსეი ვასილიევიჩი როგორ არის? — ჰკითხა მან ნიკოლკას.

— აბოდებს, — უპასუხა ნიკოლკამ და ღრმად ამოიოხრა.

— ოჰ, ღმერთო ჩემო, — ჩჩურჩულდა ანიუტა, — ექიმი რატომ არ მოდის?

ნიკოლკამ ანიუტას შეხედა და საწოლო ოთახში დაბრუნდა. მან ტუჩები ელენას ყურთან მიუტანა და ჩურჩულით უთხრა:

— თუნდა ამიკრძალო, ექიმის მოსაყვანად მაინც წავალ. თუ შინ არ დამიხვდება, სხვას მოვიყვან. ათი საათია. ქუჩაში სიმშვიდეა.

— თერთმეტის ნახევრამდე მოვუცადოთ, — თავი გააქნია და ჩურჩულით უბასუხა ელენამ, თან მკლავებზე შალი შემოიხვია, — სხვა რომ მოვიყვანოთ, უხერხულია ვიცი, ის უსათუოდ მოვა.

თერთმეტი საათის დამდეგს ვიწრო საწოლ ოთახში მიიძღ, მსხვილი და უაზრო მორტირი შემოგორდა. რა უბედურებაა! აქ ცხოვრება შეუძლებელი იქნება. მორტირმა მთელი ოთახი გაჭედა, მარცხენა ბორბალზე საწოლს ქვაბ-ჩინა. არა, აქ კაცი ვერ გაძლებს. ჯერ ერთი, ბორბლის მსხვილ მანებს შორის უნდა გაბობლდეს, მერე რკალივით მოიკავევოს და მერე, მარჯვენა ბორბალ-შიც გაძვრეს, თანაც ბარგით. მარცხენა ხელზე კი, ღმერთმა უწყის, რამოდენა, ბარგი ჰქილია, სიმძიმე ხელს მიწისკენ ექაჩება, თოკმა იღლია ლამის ჩაჭრას. არადა, მორტირს თავიდან ვერ მოიშორებ, მთელი ბინა ბრძანების მიხედვით სამორტირედ. იქცა ვერც მოუსაზრებელმა პოლკოვნიკმა მალიშევმა და ვერც ელენამ, ასევე მოუსაზრებელი რომ შეიქნა და ბორბლებიდან იცქირება, ვერა და ვერ მოახერხეს ქვემეხი აქაურობას მოაშორონ, ანდა სნეული სადმე სხვა-გან მაინც გადაიყვანონ, სადაც არსებობა შესაძლებელი იქნება და არც მორტირები იდგება. თვით ბინა ამ წყევული, მძიმე და ცივი ურჩხულის წყალობით ფუნდუკს დაემსგავსა. ზარი კარზე მაღიმალ რეკავს... ძინ-ძინ, და მოდიან და მოდიან სტუმრები. აგერ ლაპლანდიელიც უცნაური შესახედავი პოლკოვნი-კი მალიშევი გამოჩნდა, ყურებიანი ქუდი ახურავს, ოქროსფერი სამხრეები უკეთია და ქალაღის დასტები მოაქვს. ტურბინმა დაუტატანა და მალიშევი ქვემეხის ლულაში ჩააჭრა. მას აწრიალებული, მოუსაზრებელი და ბრიყვულად გაჯიუტებული ნიკოლკა შეენაცვლა. ნიკოლკა ასმევდა, მაგრამ შადრევნის ცივ ჭავლს კი არა, საძაგელ, თბილ წყალს, რომელსაც ქვაბის გემო დაჰკრავდა.

— ფუჰ... რა უგემურია... მომაშორე, — ბუტბუტებდა ტურბინი.

ნიკოლკას თან უშინოდა, წარბებს მაღლა სწევდა, და მაინც ჯიუტად, უგერგილოდ იქცეოდა. ელენა არაერთხელ იქცა შავ, უმაქნის ლარიოსიკად, სერიოზულ დისწულად, მერე კი ისევ ოქროსთმიანი ელენას სახე დაუბრუნ-და, სნეულს სადღაც შუბლთან თითებს უთათუნებდა, მაგრამ ამით ძალზე მცირე შევებას ანიჭებდა. აქამდე მუდამ თბილსა და მარჯვე ხელებს ელენა ახ-ლა ფოცხივით განივრად, სულელურად ფარჩხავს, რაც საჭირო არაა, იმას აფეთებს, ცეიხპაუზის წყეულ სადგომში მყოფ დაჭრილს აწუხებს და სიცოც-ხლეს უმწარებს. იქნებ ელენას ბრალია ისიც, რომ დაჭრილი ტურბინის სხეუ-ლი კეტზე წამოაგეს. თანაც ელენა იმ კეტის ბოლოს აწვება... რა დაემართა ელენას?... მის ხელში კეტი ნელა, გულის არევამდე ტრიალებს... აბა, სცადე ასე ყოფნა, როცა მრგვალი კეტი სხეულში გესობა! არა, არა, არა, აუტანელნი არიან! ტურბინი შეეცადა ხმამაღლა დაეყვირა, მაგრამ ძლივს გასაგონად კი შესძახა:

— იულია!

მაგრამ იულია არ გამოსულა ძველებური ავეჯით მოწყობილი ოთახიდან, სადაც კედელზე ორმოციანი წლების დროინდელი, ოქროსფერი ეპოლეტებით მხრებდამშვენებული კაცის სურათი ეკიდა, ყურად არ უღია სნეულის ძახი-ლი. რუხმა ლანდებმა კი საწოლ ოთახსა და მთელ ბინაში ტურბინებთან ერთად იწყეს ღოდიალი და საბრალო სნეულს მთლად გააწამებდნენ, ჩასუქებული, ოქროსათვალისანი, ბეჯითი და ძალზე მარჯვე კაცი რომ არ მოსულიყო. რო-გორც კი იგი საწოლ ოთახში გამოჩნდა, მის პატივსაცემად იქაურობას კიდევ

ერთი შუქი -- ძველებურ, მძიმე და შავ შანდალში ჩამაგრებული სტეარინის სანთლის მოცახცაზე შუქი მიემატა. სანთელი ხან მაგიდაზე ციმციმებდა, ხან ტურბინს უვლიდა გარშემო, ხოლო სანთელს ზემოთ, კედელზე, ფრთებდაჭრილი ღამურის მსგავსი, ულაზათო ლარიოსიკი დაფარულებდა. სანთელი გვერდზე იხრებოდა და თეთრი სტეარინი იღვენთებოდა. პატარა საქონლი ოთახი იოდის, სპირტისა და ეთერის მძიმე სუნით გაიჟლინა. მაგიდაზე უდუმხალივით აირია სანთლის შუქზე აელვარებული ნიკელის კოლოფები და საშობაო თოვლივით ხვავად დამდგარი თეატრალური ბამბა. ჩასუქებულმა, ოქროსსათვალისანმა და თბილხელებიანმა ტურბინს საღ ხელში სასწაულმოქმედი ნემსი უჩხვლიტა და რუხმა ლანდებმაც რამდენიმე წუთის შემდეგ სულელური ანცობა შეწყვიტეს. მორტირი აივანზე გაიტანეს, თანაც ფარდაჩამოფარებულ მინაში გააძვრინეს და მისი შავი ლულა ისე შემზარავად აღარ გამოიყურებოდა. სნეულმა თავისუფლად იწყო სუნთქვა, რაკილა უზარმაზარი ბორბალი იქაურობას მოსცილდა და მანებს შორის გაძრომა საჭირო აღარ იყო. სანთელი ჩაქრა და მოუხეშავი, ნახშირით შავი ლარიონი, ეიტომირელი ლარიოსიკ სურჯანსკი კედლიდან გაქრა, ხოლო ნიკოლკას სახე უფრო აზრიანი გაუხდა და ისეთი გამაღიზიანებელი სიჯიუტე აღარ ეწერა. იქნებ იმითომ, რომ ჩასუქებულ ოქროსსათვალისანის ხელოვნების იმედმა ისრები გაშალა და წამახულ ნიკაპზე ისე უჯიათად და უსასოოდ აღარ ეკიდა. დრო ექვსის ნახევრიდან უკან, ოცდახუთი წუთისკენ დაიძრა, სასადილო ოთახის საათი კი თუმცა ამას არ ეთანხმებოდა, თუმცა ისრებს შეუპოვრად სულ წინ და წინ მიერეკებოდა, მაგრამ ახლა ბებრული ხიხინისა და ბუზღუნის გარეშე მუშაობდა და ძველებურად სუფთა, დარბაისლური ბარიტონით რეკდა -- ტუკ-ტუკ! ხოლო კოშკზე, როგორც ლუი XIV-ის მშვენიერ გალთა სათამაშო ციხე-სიმაგრეში, მძლავრად გუგუნებდა -- ბუმ-ბუმ!.. შუალამეა... ისმინეთ... შუალამეა... ისმინეთ... გუგუნებდა გამაფრთხილებლად და ვიღაცათა ჩუგლუგები ვერცხლის ხმაზე სასიამოვნოდ წკარუნობდა. გუშაგები მიდი-მოდოდნენ და ქვეყნიერებას იცავდნენ, რადგან ციხე-კოშკები, განგაში და იარაღი ადამიანმა თავისდა უნებურად მხოლოდ ერთი მიზნისთვის -- ადამიანთა სიმშვიდისა და კერის დასაცავად შექმნა, ამის გულისთვის იბრძვის და, სიმართლე რომ ითქვას, სხვა რამისთვის არც უნდა იბრძოლოს კაცმა.

თავკერძა, ბიწიერი, მაგრამ მომხიბლავი იულია მხოლოდ მაშინ არის თანახმა სნეულს გამოეცხადოს, თუ კერა იმყუდრო და მშვიდი იქნება და გამოეცხადა კიდევაც. მისი შავწინდიანი ფეხი და ბეწვისყელიანი ბოტი აგურის მსუბუქ კიბეზე გაკრთა, აჩქარებულ ბაკუნსა და შრიალს კი ზანზალაკების წკარუნით გავოტი გაეპასუხა იმ ოთახიდან, სადაც საკუთარი დიდებითა და მომხიბლავი, ფერადსამოსიანი ქალების სიახლოვით მთვრალი ლუი XIV ტბის პირას, ლაევარდისფერ ბაღში ნებივრობდა.

* * *

შუალამისას ნიკოლკა ფრიად მნიშვნელოვან და, რა თქმა უნდა, ფრიად დროულ საქმეს შეუდგა. პირველ რიგში სამზარეულოდან ქუჭყიანი, სველი დონძი გამოიტანა და საარდამელი ღურგლის მკერდიდან გაქრა სიტყვები:

გაუმარჯოს რუსეთს...
გაუმარჯოს თყითმპყრობელობას!

დასცხე პეტლურას!



ქართული
პარლამენტი

მერე ლარიოსიკის ფიცხელი მოხაწილეობით უფრო მნიშვნელოვანი სა-
მუშაოც ჩატარდა. ტურბინის საწერი მაგიდიდან მარჯვედ და უხმაუროდ ამო-
ავრინეს ალიოშას ბრაუნინგი, ორი მჭიდუ და ვაზნების კოლოფი. ნიკოლკამ
ბრაუნინგი შეამოწმა და დარწმუნდა, რომ უფროს ძმას შვიდი ვაზნიდან ექ-
ვსი სადღაც დაეცალა.

— დახე... — ჩაიჩურჩულა ნიკოლკამ.

რა თქმა უნდა, იგი ფიქრადაც არ გაივლებდა, რომ შეიძლებოდა ლარი-
ოსიკი მოლაღატე გამომდგარიყო. პეტლურას მხარეზე რანაირად იქნება
ინტელიგენტი კაცი საერთოდ, მით უმეტეს, ჯენტლმენი, რომელიც სამოცდა-
თხუთმეტი ათასი მანეთის ვექსილს ხელს აწერს და სამოცდასამი სიტყვისაგან
შემდგარ დეპეშას აგზავნის. ნიკოლკამ და ლარიოსიკმა ნაი-ტურსის კოლტიც
და ალიოშას ბრაუნინგიც მანქანის ზეთითა და ნავთით საგულდაგულოდ გაპო-
ხეს. ლარიოსიკმა ნიკოლკას მსგავსად სახელოები დაიკაპიწა. გაპოხილი კოლ-
ტი და ბრაუნინგი ვაზნებთან ერთად თუნუქის გრძელსა და მალალ საკანფეტე
კოლოფში ჩააწყეს. ეს საქმე სწრაფად უნდა მოეთავებინათ, რადგან რევოლუ-
ციის მონაწილე ყოველმა წესიერმა კაცმა კარგად იცის, რომ ყოველი ქელი-
სუფლების დროს გასაჩხრეკად ზამთრობით ღამის სამის ნახევრიდან დილის
შვიდის თხუთმეტ წუთამდე, ხოლო ზაფხულობით ღამის თორმეტი საათიდან
დილის ოთხ საათამდე მოდიან. მაგრამ ლარიოსიკის წყალობით მუშაობა მა-
ინც შეფერხდა. იგი კოლტის სისტემის ათსასროლიანი რევოლვერის მოწყო-
ბილობას სინჯავდა და სახელურში მჭიდუ უკუღმა ჩადო. მის გამოღებას კი
კარგა ხნის წვალება და ბლომად ზეთი დასჭირდა. ამას გარდა, მეორე, მოულოდ-
ნელ დაბრკოლებასაც გადაეყარნენ. შიგნიდან პარაფინიანი ქაღალდით დაფა-
რული კოლოფი, რაშიც რევოლვერები, ნიკოლკას და ალექსეის სამხრეები,
შევრონი და ტახტის მემკვიდრე ალექსეის სურათი ჩადეს, გარედან კი ყველა
ნაწიბურზე ელექტრო საიზოლაციო წებოვანი ლენტის ზოლები შემოაკრეს,
საკრმელში არა და არ გაეტია.

საქმე კი შემდეგში გახლდათ: რასაც დამალავ, რიგიანად უნდა დამალო...
ყველა ვასილისასავით ქულეული ხომ არ იქნება, ხოლო როგორ უნდა დაემსა-
ლა, ნიკოლკამ დღისითვე მოისაზრა. № 13 სახლის კედელი მეზობელი 11 ნო-
მერი სახლის კედელს თითქმის ზედ ეკვროდა — მათ შორის ერთ არშინზე
მეტი არ რჩებოდა. № 13 სახლის კედლიდან ამ მხარეს სამი ფანჯარა გადიოდა
— ერთი ნიკოლკას კუთხის ოთახიდან, ორი მეზობელი წიგნების ოთახიდან,
სრულიად გამოუსადეგარნი (სინათლე იქიდან მაინც არ შემოდიოდა), ერთი
პატარა სარკმელი კი, გისოსაკრული და ჩაშავებული, ქვემოთ, ვასილისას სა-
კუქნაოდანაც გამოდიოდა, ხოლო მეზობელი № 11 სახლის კედელი მთლად
ყრუ იყო. წარმოიდგინეთ ერთი არშინის სიგანის საუცხოო, ბნელი ხვრული,
ქუჩიდან თვალს მორიდებული და ეზოდანაც მიუდგომელი, სადაც მხოლოდ
ბიჭუნები თუ გადაცოცდებოდნენ შემთხვევით. თავად ნიკოლკა ბავშუობაში
ყაჩაღობანას თამაშისას აგურების გროვაზე აბობლებულა, ამ ხვრელში ჩამ-
ძვრალა და კარგად ახსოვდა, რომ ცამეტი ნომრის კედლის პალოები თითქმის

სახურავამდე მიუყვებოდა. ადრე, როცა თერთმეტი ნომერი სახლი ჯერ არ არსებობდა, ამ პალოებზე ალბათ სახანძრო კიბე იყო დამატებული, რომელიც მერე მოხსნეს, პალოები კი დატოვეს. ამ საღამოს ნიკოლკამ სარკმლიდან ხელი გაყო და ორ წამსაც არ უფათურებია, პალო უმაღლესობებზე. ყოველივე მარჯვედ და უბრალოდ მოეწყობოდა, სარკმელში რომ გატეულიყო საკანფეტე კოლოფი, რომელსაც ჯვარედინად ჰქონდა გადაჭერილი ყულფგამოკვანძილი, საუცხოო, სამშავი, ეგრეთწოდებული შაქრის კანაფი.

— ცხადია, ფანჯარა უნდა გავაღოთ. — თქვა ნიკოლკამ და ფანჯრის რაფიდან ჩამოვიდა.

ნიკოლკას ჰკუთამ და მოსაზრებულობამ ლარიოსიკი დიდი პატივისცემით განმსჭვალა. ისინი ფანჯრის გაღებას შეუდგნენ. ამ კატორღულმა სამუშაომ ნახევარ საათს მაინც გასტანა, რადგან გაჯირჯვებული ჩარჩოები ვერა და ვერ დაიმორჩილეს. ბოლოს, როგორც იქნა, ჯერ ფანჯრის ერთი მხარე გაიღო, მერე მეორე, თანაც ლარიოსიკის მხარეს მინა გრძლად და კლაკნილად გაიბზარა.

— შუქი ჩააქრეთ! — ბრძანება გასცა ნიკოლკამ.

შუქი ჩაქრა და ოთახში საშინელი სუსხი შემოიჭრა. ნიკოლკა კუნაპეტყინულოვან სივრცეში წელამდე გადაძვრა და ზემოთა ყულფი პალოზე ჩამოაცვა. კოლოფი ორარშინიან კანაფზე მშვენიერად ჩამოეკიდა. ქუჩიდან დანახვა შეუძლებელია, რადგან ცამეტი ნომრის ბრანდმაუერი ქუჩას ვერტიკალურად კი არა, ირიბად ებჯინება, თანაც სამკერვალო სახელოსნოს ფირნიში მალაა ჩამოკიდებული. მხოლოდ მაშინ დაინახვენ, ხერელში თუ შემოძვრებიან, მაგრამ გაზაფხულამდე ხერელში არავინ შეძვრება, რადგან ეზოს მხრიდან თოვლის უზარმაზარი ზვინებია მინამჭრული, ქუჩის მხარეს კი საუცხოო მესერია. ყველაზე დიდებული კი ის არის, რომ ისე შეუძლიათ შეამოწმონ, ფანჯარა არც გამოაღონ; სარკმლიდან ხელს გაყოფენ და მორჩა: კანაფს სიმით მოსინჯავენ. დიდებულია.

შუქი კვლავ აინთო. ნიკოლკამ ფანჯრის რაფაზე საგოზავი აზილა, ანიუტას შემოდგომიდან რომ მორჩენოდა, და ფანჯარა ხელახლა ამოგოზა. თუნდაც რაღაც სასწაულით მაინც იბოვონ, პასუხი მუდამ მზად ექნებათ: „მოგვიტევეთ! ვისია ეს კოლოფი? აჰ, რევოლვერები?.. მემკვიდრე?.. რასა ბრძანებთ, არც არაფერი ვიცი და არც რაზე გავვიგია. ეშმაკმა იცის, ვინ დაკიდა! ალბათ სახურავზე აძვრნენ და იქიდან ჩამოკიდეს. ირგვლივ ცოტა ხალხი კი არ ირევა! დიახ, ასე. ჩვენ მშვიდობიანი ხალხი ვართ, მემკვიდრე რას ჰქვია...“

— ღმერთსა ვფიცავ, უნაკლოდაა გაკეთებული, — თქვა ლარიოსიკმა.

უნაკლოდაა, მაშ რა! კოლოფი ხელის გაწვდენაზეა და თან არც ბინაში გაქვს.

* * *

ღამის სამი საათი შესრულდა. ამაღამ ალბათ არავინ მოვა. დაქანცული ქუთუთოებდამძიმებული ელენა სასადილო ოთახში ფეხის წვერებზე გამოვიდა. სამიდან ექვს საათამდე მას ნიკოლკა უნდა შენაცვლებოდა, ხოლო ექვსიდან ცხრამდე — ლარიოსიკი.

ჩურჩულთ ლაპარაკობდნენ.

— მაშ ასე, უნდა ვთქვათ, ტიფი აქვსო, — ჩურჩულებდა ელენა, — იცო-

დღე, დღეს ვანდამ უკვე შემთირბინა და იკითხა, ალექსეი ვასილიევიჩს რა დაემართათ. ვუთხარი, შეიძლება ტიფი ჰქონდეს-მეთქი... თვალები ისეთნაირად დააცეცა, მგონი, არ დამიჯერა... ძალიან ჩამეძია — როგორა ხართ, თქვენები სად იყვნენო, ხომ არაეინ დაუჭრიათო. ქრილობაზე კრინტიც არ უნდა დაჯკრათ.

ეროვნული

— აპაპაპა! — ნიკოლკამ ხელებიც კი გაიქნია, — ვასილისევიჩს დასადვი კაცი ამქვეყნად არ მოიძებნება! რამე რამ მოხდეს, ვისაც გინდა, იმას ჩაუკაკლავს, ალექსეი რომ დაჭრეს, ოღონდაც თავი დაიძვრინოს.

— არამზადა, — თქვა ლარიოსიკმა, — ეს ხომ სულმდაბლობაა! ტურბინი ბურანში ჩაძირულიყო. ნემსის მერე სახე სრულიად დამშვიდებოდა, ნაკვთები გათხელებოდა და დახვეწოდა. დამამშვიდებელი შხამი სისხლში საგუშაგოდ მიედინებოდა. რუხი ლანდები თავის ნებაზე აღარ დაბრძანდებოდნენ. გაიფანტნენ და თავ-თავიანთ საქმეზე წავიდ-წამოვიდნენ, ქვემეხიც იქაურობას საბოლოოდ მოაშორეს. თუ ვინმე, თუნდაც სრულიად უცხო, მაინც შემოვიდოდა, თავი წესიერად ეჭირა. ცდილობდა იმ საგნებსა და ადამიანებს დაეავშირებოდა, ვისაც ტურბინთა ბინაში კანონიერი ადგილი მუდამ ეკუთვნოდა. ერთხელ პოლკოვნიკი მალეშევიც გამოცხადდა, ერთხანს სავარძელში იჯდა, მაგრამ ისე იღიმებოდა, თითქოს ამბობდა, ყველაფერი კარგადაა და კიდევ უკეთესად იქნებაო, მრისხანედ და ავის მომასწავებლად აღარ ბურტყუნებდა და ოთახი ქალღმერთით აღარ გამოუტენია. თუმცა საბუთებს წვაევა მაგრამ ტურბინის დიპლომისა და დედის სურათისთვის ხელი არ უხლია, თანაც სპირტის სასიამოვნო ლურჯ ალზე წვაედა; სპირტის ალი კი დამამშვიდებელია, რადგან ნემსის ჩხვლეტა მოჰყვება ხოლმე. მაღამ ანუეს ზარი მალე-მალ რეკავდა.

— ძინ... — ამბობდა ტურბინი, რათა სავარძელში მჯდომთათვის ემცნო, ზარი რა ხმაზე რეკავდა. სავარძელში კი მორიგეობით ისხდნენ ხან ნიკოლკა, ხან მონღოლისთვალემა უცნობი (ნემსის ჩხვლეტის მერე გაშმაგებას ველარ ბედავდა), ხანაც მწუხარე მაქსიმი, ჭალარა და აცახცახებული. ძინ... — ალერსიანად ამბობდა დაჭრილი და მოქნილი ჩრდილებისგან მტანჯველ, მოძრავ სურათს ქმნიდა, რომელიც უჩვეულოდ, სასიხარულოდ და მტკივნეულად მთავრდებოდა.

საათი გარბოდა, სასადილო ოთახში ისრები ტრიალებდა და, როცა თეთრ ციფერბლატზე მოკლე და ვანიერი ისარი ხუთს მიუახლოვდა, ტურბინი ძილბურანში ჩაიძირა. იგი ხანდახან შეტოკდებოდა, მილულულ თვალებს გამოახელდა და გაურკვეველად ბუტბუტებდა:

— კიბეზე, კიბეზე, კიბეზე ვერ ავირბენ, ძალა არ მეყოფა, წავიქცევი... იულია კი სწრაფად გარბის... ბოტები... თოვლზე... კვალს დატოვებს... მგლები... ძინ... ძინ...

„ძინ!“ ეს ხმა ტურბინმა უკანასკნელად მაშინ გაიგონა, როცა მალაზიის უკანა კარიდან გარბოდა, ოდესღაც ვნების აღმძვრელი ნელსურნელების მფრქვეველ, ახლა კი, ვინ იცის, სად გადახვეწილ მაღამ ანუეს რომ ეკუთვნოდა. ზარის ხმაა. ვილაცა ეს წუთია მალაზიაში შემოვიდა. იქნებ მისიანია, ტურბი-

ვ. შარშინი სპს ს. სხარტ
საბელევიჩი...
ბ ბ ბ ბ ბ ბ ბ ბ ბ ბ

ნივით გზააბნეული და ჩამორჩენილი, იქნებ უცხო მღვერები არიან. ასეა თუ ისე, მალაზიაში დაბრუნება არ შეიძლება. ზედმეტი გმირობა იქნება.

გალიბულმა საფეხურებმა ტურბინი ეზოში გაიყვანა. იქ მან სრულიად გარკვევით გაიგონა, რომ სროლა სულ ახლოს, სადღაც მეზობელ ქუჩაზე გაისმოდა, კრეშიატიკისკენ თავქვე, განივრად რომ მიემართებოდა! კინ ბტის, იქნებ მუზეუმთანაც კი ისროდნენ. უმაღლვე მიხვდა, რომ ჩაბნელებულ მალაზიაში მჭმუნვარე ფიქრებს ძალზე ბევრი დრო შეაღია. მალიშევი სრულიად მართალი იყო, როცა ურჩევდა, იჩქარეო. გული შემფოთებით აუძგერდა.

ტურბინმა მიმოიხედა და ნახა, რომ გრძელი და უსასრულოდ მაღალი ყვითელი სახლი, მაღამ ანუეს სამყოფელი, უზარმაზარ ეზოს ებჯინებოდა, რომელიც მეზობელი რკინიგზის სამმართველოს სამფლობელოს დაბალ გალავნამდე გადაჭიმულიყო. ტურბინმა თვალები მოჭუტა, ირგვლივ მიმოიხედა, უდაბური ეზო გადასერა და პირდაპირ გალავანს მიადგა. გალავანში კუტიკარი იყო ჩატანებული და, მისდა გასაკვირველად, დაკეტილი არ აღმოჩნდა. ამ კუტიკარით სამმართველოს ეზოში გავიდა. სამმართველოს ბრიყვეული ხერხელები უსიამოდ იმზირებოდა, აშკარად იგრძნობოდა, რომ მთელი შენობა ცარიელი იყო. თაღქვეშ მოასფალტებული გზა გადიოდა. ექიმი ამ გზას გაუყვა და ქუჩაზე გავიდა. მისი ფეხის ხმას თალი გუგუნით ბანს აძლევდა. მოპირდაპირე სახლის კოშკზე ძველებური საათი ზუსტად დღის ოთხ საათს უჩვენებდა. ბინდი ნელ-ნელა მოიპარებოდა. ქუჩა მთლად უკაცრიელი იყო. ტურბინმა ქუშად მიმოიხედა და ზემოთ კი არ წავიდა, იქით გაემართა, საითაც წინათგრძნობამ უკარნახა — ქვემოთ, მეჩხერ სკვერში თოვლდაფენილ ოქროს ჭიშკრისკენ. იქიდან მხოლოდ ერთი დაფეთებული, შავპალტოიანი კაცი გამორბოდა. ტურბინს გვერდით ჩაუქროლა და გაუჩინარდა.

ცარიელი ქუჩა საერთოდ უამურ შთაბეჭდილებას ახდენს. ახლა კი, როცა ტურბინს გულის კოვზთან წინათგრძნობა მწარედ წიწყნიდა, ქუჩა უფრო სადაგელი ეჩვენა. მან შუბლი ბრაზიანად შეიჭმუხნა, რათა გაუბეღაობა დაეძლია — სულ ერთია, მაინც ხომ უნდა წასულიყო, შინ ვერ გადაფრინდებოდა, — მაზარის საყულო წამოიწია და ჭიშკრისკენ გასწია.

ახლა მიხვდა, გულის კოვზთან კიდევ რატომაც წიწყნიდა — ქვემეხები უეცრად დაღუმებულებიყო. ბოლო ორი კვირა ქალაქის ირგვლივ მათი გრუხუნი არ წყდებოდა, ახლა კი ცას მყუდროება დაუფლებოდა. სამაგიეროდ, ქალაქში, თანაც სწორედ იქ, ქვემოთ, კრეშიატიკზე, დროდადრო აშკარად გაისმოდა შაშხანების ჭახატუხი. ტურბინს ახლა ოქროს ჭიშკართან მარცხნივ უნდა გაეხვია, იქ სოფლის ტაძარს მოჰფარებოდა, თავისი უბნისკენ შესახვევებს ფრთხილად გაჰყოლოდა და ალექსეევის დაღმართამდე მიეღწია. ტურბინი ასე რომ მოქცეულიყო, მისი ცხოვრება სულ სხვაგვარად წარიმართებოდა, მაგრამ ასე არ მოქცეულა. ხომ არის ძალა, მთაზე ასულ კაცს უფსკრულში რომ ჩაახედებს... გული სიგრილისკენ... უფსკრულისკენ გაუწევს... ტურბინსაც მუზეუმისკენ გულმა ასევე გაუწია. მოუნდა აუცილებლად შორიდან მაინც დაენახა, იქ რა ხდებოდა. ჰოდა, იმის ნაცვლად, რომ გვერდზე გაეხვია, ათიოდე ზედმეტი ნაბიჯი გადადგა და ელადიმირის ქუჩაზე გავიდა. ტურბინს გულმა უმაღლ რეჩხი უყო და ძალზე გარკვევით ჩაესმა მალიშევის ჩურჩული: „გაიქეც!“ ტურბინმა თავი მარჯვნივ შეატრიალა, შორს, მუზეუმისკენ გაიხედა, თვალი შეასწრო შუბლ-

მოქუფრულ გუმბათებს, თეთრ კედელს და ვილაცების შორს გაელვებულ შავ ლანდებს... მეტის დანახვა ველარ მოასწრო.

შორს, სუსხიანი ბურუსით დანისლული კრეშიატიკისკენ დაქანებულ პრორეზნაიას ქუჩაზე მისკენ ჯიქურ მოემართებოდნენ მთელი ქუჩის სიგანეზე გაფანტული რუხმაზარიანი ჯარისკაცები. ისინი სულ ახლოს — ოცდაათიოდნე ნაბიჯზე იყვნენ. ერთი შეხედვითვე შეატყობდით, რომ დიდი ხანეფქუფრულდნენ და სირბილით დაქანცულიყვნენ. ტურბინს თვალეებმა კი არა, გულს კი ანაღე-ულმა რეჩხმა ამცნო, რომ აღმართზე პეტლურელები ამორბოდნენ.

„მახეში გაები“, — გულის კოვზთან აშკარად გაისმა მალიშევის ხმა.

მერე რამდენიმე წამი თითქოს გაქრა და ამ დროს რა ხდებოდა, ტურბინს აღარ ახსოვდა. მხოლოდ ვლადიმირის ქუჩაზე იგრძნო, რომ მხრებში თავიარგულს ფეხები სწრაფად მიაქროლებდა პრორეზნაიას საბუდისწერო კუთხიდან, სადაც საკანფეტე „მარკიზა“ იყო.

„ჩქა-რა, ჩქა-რა, ჩქა-რა, ცოტა კიდევ... ცოტა კიდევ...“ — უკაკუნებდა სისხლი საფეთქლებში.

ნეტავ სიჩუმემ ზურგს უკან ცოტა ხანს კიდევ გასტანოს... ნეტავ დანის პირად აქცია, ანდა კედელს ააწება, ჩქა-რა... მაგრამ სიჩუმე დაირღვა, მოხდა ის, რაც გარდუვალი იყო.

სდექ! — გაისმა ტურბინის გათოშილ ზურგს უკან ჩახლეჩილი ხმა.

„ეპ“, — გულის კოვზთან თითქოს რაღაც ჩასწყდა.

— სდექ! — მკაცრად გაიმეორეს ზურგს უკან.

ტურბინმა უკან მიიხედა და წამით შეჩერდა კიდევ, რადგან ანცმა აზრმა გაუელვა. თავი მშვიდობიან მოქალაქედ ხომ არ მოვაჩვენო. რა გინდათ, ჩემთვის მივდივარ... თავი გამანებეთო... მღევარი თხუთმეტ ნაბიჯზე იყო და მხრიდან შაშხანას აჩქარებით იხსნიდა. ექიმმა უკან მიიხედა თუ არა, შეამჩნია, რომ მღევარს მონღოლური ვიწრო თვალეები გაოცებისგან გაუფართოვდა. მეორე მღევარი ქუჩის კუთხიდან გამოვარდა და შაშხანის საკეტი ააჩხაკუნა. პირველ მღევარს სახეზე განცვიფრება გაუგებარი, ავის მომასწავებელი სიხარულით შეეცვალა.

— ჰეი! შეხე, პეტრო, ოფიცერია, — შეჰყვირა მან ისე, თითქოს მონადირეა და კურდღელი უცაბედად იქვე, გზის პირას წამოუხტაო.

„რაო? საიდან გაიგო?“ — გაუზრიალა ტურბინს თავში, თითქოს ჩაქუჩი დაჰკრესო.

მეორე მღევრის შაშხანა პატარა, უზალთუნისოდენა შავ ხერელად იქცა. მერე ტურბინმა იგრძნო, რომ თავად ისრად გარდაიქმნა და ვლადიმირის ქუჩაზე გაფრინდა, მაგრამ თექის ჩექმები ფეხებს უბორკავდა. — ჩ-ჩახ... — იგრილა უკან და ზემოთ ჰაერი წივილით გაიპო.

— გაჩერდი! გაჩ... დაიჭირეთ! — კიდევ იქვეა შაშხანამ. — ოფიცერი დაიჭირეთ! — აგუგუნდა და აყიჟინდა მთელი ვლადიმირის ქუჩა. ჰექამ ჰაერი ორჯერ კიდევ გააპო.

საკმარისია, ადამიანი სროლაში მოჰყვეს, რომ იგი უჭკვიანეს მგლად გადაიჭყეს, ხალზე სუსტსა და მართლაც დიდ გასაჭირში სრულიად უვარგის ჰკუთას ნადირის ბრძნული ინსტინქტი შეენაცვლოს. ტურბინმა მალე-პროვალნაიას ქუჩის კუთხეს მიაღწია, თავი მგელივით მიაბრუნა და დაინახა, რომ მის უკან შავ ხერელს მრგვალი და მკრთალი ცეცხლი შემოევლო. მან სირბილს უმატა. მა-

ლო-პროვალნაიაზე შეუხვია და ამ ხუთ წუთში თავისი სიცოცხლის მდინარებას გეზი მეორედ მკვეთრად უცვალა.

აღლო უკარნახებდა, თავგამოდებით, ჯიუტად მოგდევინ, არ მარტყვებიან, დაგეწევიან, და როცა დაგეწევიან, აღარაფერი გეშველება, უშველად მოგკლავენო. მოკლავდნენ, რადგან გარბოდა, ჯიბეში ერთი საბუფიც არა ჰქონდა. რევოლვერი ედო და რუხი მაზარა ეცვა, მოკლავდნენ იფიტომი რეჟიმეგაქცეულს ერთხელ გაუმართლებს, მეორედ გაუმართლებს, მესამედ კი ტყვია აღარ ასცდება, მოარტყამენ. სწორედ მესამედ, ეს ძველთაგანვე ცნობილია. მაშ მორჩანახევარი წუთიც და თექის ჩექმები უღალატებს. ყოველივე გარდუვალა და რახან ასეა, შიშმა მთელ სხეულში დაურბინა და ფეხებიდან მიწაში ჩასხლტა. მაგრამ ფეხებიდან გაყინულ წყალს სიშმავე ამოჰყვა და პირიდან მდულარებასავით გადმოეფრქვია. ტურბინი გარბოდა და თვალებს უკვე მართლაც მგლურად აბრიალებდა. ვლადიმირის ქუჩის კუთხიდან ორი რუხმაზარიანი გამოხტა, შემდეგ მათ მესამეც მიემატა და სამივეს შაშხანამ ზუდიზედ იელვა. ტურბინმა სირბილი შეანელა, კბილები გააღრჭიალა და მათკენ სამჯერ დაუმიზნებლად ისროლა. მერე ფეხი ისევ ააჩქარა, წინ წყალსადინარ მილთან, თითქმის კედლის ძირას შავად გამკრთალ მსუბუქ ლანდს თვალი ბუნდოვნად მოჰკრა და იგრძნო, რომ მარცხენა იღლიაში ვილაცა თითქოს ხის ჭანგებით სწვდა, რის გამოც ფეხი აერია და უცნაურად, გვერდულად იწყო რბენა. ერთხელ კიდევ შეტრიალდა უკან, სამი ტყვია აუჩქარებლად გაისროლა და მეექვსე გასროლის შემდეგ თავი მკაცრად შეაჩერა:

„მეშვიდეს ჩემთვის შემოვიწახავ. ოქროსთმიანო ელენკა და ნიკოლკა! მორჩა. მაწამებენ. სამხრეებს ამომკვეთენ. მეშვიდეს ჩემთვის შემოვიწახავ“.

ტურბინი გვერდულად გარბოდა და უცნაურ რაღაცას გრძნობდა: რევოლვერი მარჯვენა ხელში ეჭირა, მარცხენა კი უმძიმდებოდა. ისე კი ჯობდა გაჩერებულიყო. ჰაერი მაინც აღარ ჰყოფნიდა და ველარაფერს გახდებოდა. ამქვეყნად ყველაზე ფანტასტიკური ქუჩის მოსახვევამდე ტურბინმა მაინც მიაღწია, მოსახვევს მიეფარა, მაგრამ შეუბა ცოტა ხნით იგრძნო. წინ გაიხედა და იმედი დაეწურა: ყრუდ გაჭიმულა ცხაური, აგერ, უზარმაზარი ჭიშკარი ჩაკეტილია... „ქებო, ძალ-ღონეს რას კარგავთ, ფსკერზე დაეშვით“, — გაახსენდა მხიარული და სულელური ანდაზა.

ამ დროს სასწაული მოხდა: მომიჯნავე ბალის ხეთა არშიის წინ აღმართულ, ხავსმოდებულ შავ კედელში სანახევროდ შემალულმა ქალმა ხელები ისე გამოიწოდა, თითქოს მელოდრამის მსახიობიაო, შიშისგან გაფართოებული თვალები დააკვესა და შეჰყვირა:

— ოფიცერო! აქეთ! აქეთ...

მხურვალე ჰაერით პირგავსებულმა, აქოშინებულმა ტურბინმა სრიალ-სრიალით ძლივს მიირბინა ამ მხსნელ ხელებამდე და ფიცრის შავ კედელში ჩატანებული კუტიკარის ვიწრო ჭრილში ჩაყვინთა. უმაღ ყოველივე შეიცვალა. შავტანსაცმლიანი ქალის ხელებმა კუტიკარი კედელს მიაწება და ჩარაზა. ქალის თვალები ტურბინის თვალებს დაუპირდაპირდა და ტურბინმა ამ შავ თვალებში ბუნდოვნად ამოიკითხა გაბედულება და მოქმედებისკენ სწრაფვა.

— აქეთ გავიქცეთ, მე გამომყევით, — ჩასჩურჩულა ქალმა, შეტრიალდა და აგურით მოკირწყლულ ვიწრო ბილიკზე გაიქცა. ტურბინი ნელი სირბილით მიჰყვა. ხელმარცხნივ ფარდულების კედლებმა გაიელვა და ქალმა გვერდზე

შეუხვია. ხელმარჯვენაც თეთრი, ზღაპრული, მრავალიარუსიანი ბალი გამოჩნდა, წინ დაბალი მესერი ამოიზიდა. ქალი მეორე კუტიკარში გასხლტა და სულშეხუთული ტურბინიც ფეხდაფეხ მიჰყვა. ქალმა კუტიკარი მიაჯახუნა და ტურბინის თვალწინ საოცრად ლამაზი, შავწინდიანი ფეხი გაკრთა. ქალმა კალთა აიკრიფა და აგურის კიბეზე მსუბუქად აირბინა. ტურბინმა გამახვეფებულად ხმენით შეიგრანო, რომ მდევრები იქ, სადღაც უკან, ქუჩაში დარჩნენ. მისი მისაბნევეში შემოუხვიეს და მას დაეძებენ. „გადამარჩენს... გადამარჩენს... — გაიფიქრა ტურბინმა, — მაგრამ, მგონი, ვეღარ მივირბენ... გული ვეღარ გაუძლებს“. იგი უკვე კიბის თავში იყო ასული, როცა მარცხენა მუხლსა და მარცხენა ხელზე ჩაიკეცა. ირგვლივ ყოველივე თითქოს შექანდა. ქალი დაიხარა და ტურბინს მარჯვენა ხელში ჩაეჭიდა...

— კიდევ... ცოტა კიდევ! — შესძახა ქალმა, აკანკალებული მარცხენა ხელით მესამე დაბალი კუტიკარი გამოაღო და ხეივნიდან გაექანა, თანაც ბორბიკით მიმავალ ტურბინს ხელს არ უშვებდა, წინ მიათრევდა. „დახე, რა ლაბირინთია... თითქოს საგანგებოდ მოუწყვიათ“, — ბუნდოვნად გაიფიქრა ტურბინმა და თეთრად შემოსილ ბაღში აღმოჩნდა. საბედისწერო პროვალნაიდან ახლა უკვე სადღაც შორს და მალლა იყვნენ. იგი გრძნობდა, რომ ქალი წინ ეწეოდა, იმასაც გრძნობდა, რომ მარცხენა გვერდი და ხელი უხურდა, მთელი სხეული კი ეყინებოდა და გათოშილი გული ძლივს უფეთქდა. „გადამარჩენდა, მაგრამ უკვე მორჩა... მორჩა... ფეხები მისუსტდება...“ ბუნდოვნად გაკრთა გაუსხლავი იასამნის თოვლით შებურული ბუჩქები, ძველებური, შემინული, დათოვლილი წინკარი, მერე გასაღებმა გაიჩხაკუნა. ქალი სულ მასთან იყო, მარჯვენა გვერდთან. ტურბინმა ძალა მოიკრიბა და ქალს წინკარში შეჰყვა. მერე ერთხელაც გაიჩხაკუნა გასაღებმა და სიბნელეში შევიდნენ, სადაც ძველი ავეჯის სუნი იდგა. ზემოთ, სიბნელეში, ნათურა მქრქალად აბუტდა და იატაკი მარცხნივ დაქანდა... უცაბედად თვალწინ ჩაისრიალა ცეცხლოვანი არშიით შემოსალტულმა მწვანე მაქმანმა და სრულ წყვდიადში გულმა უმაღლესი იგრძნო.

* * *

მქრქალსა და მოცახცახე შუქზე ოქროსფერი, გაცრეცილი ლურსმნის თავები მოჩანს. უბეში ცინცხალი სიცივე მიედინება, რის წყალობითაც ჰაერი მატულობს, მარცხენა სახელოში კი დამღუპველი, სველი და უსაცოცხლო სიბზოა. „აი, თურმე რა ამბავია. დაჭრილი ვყოფილვარ“. — გაიფიქრა ტურბინმა. მიხვდა, რომ იატაკზე იწვა და თავი რაღაც მაგარსა და მოუხეშავზე მიეძვინა. ოქროსფერი ლურსმნის თავები სკივრისა ყოფილა. სიცივისგან სულის მოთქმა ჭირდა. — თურმე ქალი წყალს ასხურებდა.

— ღვთის გულისთვის, ცოტა ჩაყლაპეთ, ცოტა მოსვით, — ჩაესმა ლულუნა, დაბალი ხმა. — სუნთქავთ? რა უნდა ვქნა?

ჭიქა კბილებს წკარუნით მიეჯახა და ტურბინმა ყინულივით ცივი წყალი ძლივს გადაყლაპა. ახლა ახლოს დაინახა ქერა თმის კულულები და შავზე შავი თვალეები. ჩაცუცქულმა ქალმა ჭიქა იატაკზე დადგა, ტურბინს კეფაზე ხელი რბილად ამოსდო და თავი წამოუწია.

„გული მიცემს? — გაიფიქრა მან. — მგონი, მოვსულიერდი... იქნებ არც ისე ბევრი სისხლი დამიკარგავს... უნდა გაემაგრდე“. გული უცემდა, მაგრამ ფანქვალით, ხშირ-ხშირად, უსასრულო საფზე კვანძებად იხლათებოდა და ტურბინმა სუსტი ხმით თქვა:

— არა. ყველაფერი გამაძრეთ და მკლავზე ახლავე რამე შემომიჭირეთ...

ქალი ცდილობდა მიხვედრილიყო, თვალები გაუფართოვდა, მჭრეკი მიხვდა, წამოხტა, კარადისკენ გაექანა და თეთრეული გადმოაქოთა.

ტურბინმა ტუჩზე იკბინა და გაიფიქრა: „ჰო, იატაკზე ლაქები არ არის, საბედნიეროდ, ეტყობა, ცოტა სისხლი მდენია“. იგი დაიკლაცნა, ქალის დახმარებით მაზარიდან გამოძვრა და წამოაჯდა, თავბრუ ეხვეოდა, მაგრამ ცდილობდა ამისთვის ყურადღება არ მიექცია. ქალმა ახლა ფრენჩის გახდა დაუწყო.

— მაკრატელი, თქვა ტურბინმა.

ლაპარაკი უჩნელდებოდა, პაერი არ ჰყოფნიდა. ქალი წამოხტა, მეორე ოთახისკენ გაექანა, გზადაგზა ქურჭი გაიძრო, ქუდიც მოიხადა და შავი აბრეშუმის კაბის ფრიალით კარს მიეფარა. უკან როცა დაბრუნდა, კვლავ ჩაცუცქდა და ფრენჩის სახელოს გაჭრას შეუდგა. სისხლით გაყვინთილსა და გაპოხილ სახელოს მაკრატელი პირს ვერ ჰკიდებდა. ბოლოს სახელო რის ვაივაგლახით გაჭრა და ტურბინს ფრენჩი გახადა. პერანგის გახდა ისე აღარ გასძნელებია. მარცხენა სახელო ერთიანად სისხლით იყო გაყვივებული. ფერდიც მუქ წითლად შეღებილიყო. ახლა კი სისხლმა იატაკზე იწყო წვეთა.

— ნუ გეშინიათ, ვაყხრიწეთ...

პერანგი ტურბინს ნაგლეჯ-ნაგლეჯ მოსცილდა. მას სახე გაფითრებოდა. წელამდე გაშიშვლებული, გასისხლიანებული ტანიც ყვითლად მოუჩანდა, ცდილობდა ეცოცხლა და მეორედ აღარ დაცემულიყო, კბილს კბილზე აჭერდა და მარჯვენა ხელით მარცხენა მხარს ისინჯავდა, მერე კი კბილებში გამოსცრა:

— მადლობა ღმერთს... ძვალი მთელია... ბინტი თუ არ გაქვთ, რამეს ჩაახიეთ.

— ბინტი მაქვს. — სუსტად შეჰყვირა გახარებულმა ქალმა. სადღაც წავიდა, მალევე დაბრუნდა, თან პაკეტს ხევდა და თან ამბობდა. — მშველელიც რომ არაფინ მყავს... მარტო ვარ...

იგი ისევ ჩაცუცქდა. ტურბინმა ჭრილობას დახედა. მკლავის ზედა ნაწილში, იქ, სადაც მკლავი ტანს უერთდება, პატარა ნახვრეტი მოჩანდა, საიდანაც სისხლი წვრილ ნაკადად მოედინებოდა.

— უკანაც არის? — ნაწყვეტ-ნაწყვეტ, მოკლედ ჰკითხა ქალს ტურბინმა, მიღეულ ძალას ინსტინქტურად იზოგავდა.

— არის, უპასუხა შეშინებულმა ქალმა.

— მადლა მომიჭირეთ... აქ... და გადამარჩინეთ.

ტურბინმა ისეთი ტკივილი იგრძნო, არასოდეს რომ არ უგრძენია. მწვანე რგოლები ერთმანეთს გადაეჭდო და წინკარში აცეკვდა. ტურბინმა ქვედა ტუჩზე იკბინა.

ქალმა ბინტი მკლავზე შემოახვია, ტურბინი კბილებითა და მარჯვენა ხელით ეხმარებოდა. ჭრილობის ზემოთ მწველი რგოლი ამგვარად ჩაჰიმეს და სისხლის დენაც უმაღ შეწყდა...



ტურბინი მუხლებზე წამოიწია, ქალს ხელი მხარზე დააყრდნო და ძალა-
გამოლეული, აკანკალებული ფეხები მისი დახმარებით გამართა. ქალმა იგი
ბთელი ტანით შეამაგრა და ძალზე დაბალჭერიან, ძველებურ ოთახში გაიყვანა.
ირგვლივ დამკვიდრებულ ბინდბუნდში ტურბინი ქუფრ ჩრდილებს ხედავდა.
ქალმა იგი რაღაც რბილსა და მტვრიანზე დასვა, მერე ხელი გვერდზე გაწია
და ალუბლისფერი ქსოვილით შემობურული ლამა აანთო. ტურბინმა კედელზე
თვალი მოჰკრა ჩარჩოში მოქცეულ ხავერდის სერთუკის ნაყშიან კიდეს და
ოქროსფერ ეპოლეტს. ქალი მღელვარებისა და დაძაბულობისგან მძიმედ სუნ-
თქავდა. მან ტურბინისკენ ხელები გაიწოდა და უთხრა:

— კონიაკი მაქვს... იქნებ დალიოთ?... მოგიტანოთ?

ტურბინმა უპასუხა:

— დაუყოვნებლივ...

და მარჯვენა იდაყვზე დაემხო.

კონიაკმა ტურბინს თითქოს უშველა, ყოველ შემთხვევაში, აფიქრებინა,
არ მოგვედები, ხოლო ამ ტკივილს, მხარს რომ მიჯიჯგნის და მიღერღავს, როგ-
ორმე გავუძლებო. დაჩოქილმა ქალმა დაჭრილი მკლავი ბინტით შეუხვია, მერე
მისი ფეხებისკენ ჩაჩოჩდა და თექის ჩექმები გააძრო. შემდეგ ბალიში და მოტ-
კბო სურნელებით გაელენთილი, უცნაური თაიგულებით მოჩითული გრძელი
იაბონური ხალათი მოუტანა.

— დაწეკით. — უთხრა მან ტურბინს.

ტურბინი მორჩილად დაწვა. ქალმა ხალათი წაახურა, ხალათის ზემოდან
სამანიც დაათარა, ვიწრო ტახტის გვერდით გაჩერდა და სახეზე დააცქერდა.

ტურბინმა უთხრა:

— თქვენ... თქვენ ჩინებული ქალი ყოფილხართ. — მცირე დუმილის
შემდეგ კი განაგრძო: — ცოტა ხანს ვიწვები, სანამ ძალას მოვიკრებ, მერე ავ-
დგები და შინ წავალ. ცოტა ხანს კიდევ შეგაწუხებთ.

ტურბინს გულში შიში და სასოწარკვეთილება შეეპარა: „ნეტა ელენა რო-
გორ არის? ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო... ნიკოლკა... რის გულისთვის დაი-
ღუბა ნიკოლკა? ალბათ დაიღუბა...“

ქალმა მდუმარედ მიუთითა დაბალი ფანჯრისკენ, რომელსაც პომპონებიანი
ფარდა ჰქონდა ჩამოფარებული. ტურბინს შორეული სროლის ხმა ახლა გარ-
კვევით მოესმა.

— დარწმუნებული იყავით, როგორც კი აქედან გახვალთ, მაშინვე მოგ-
კლავენ, — უთხრა ქალმა.

— მეშინია... თქვენ... რამე არ... დაგიშავდეთ... უცებ რომ მოვიდნენ...
რევოლვერია... სისხლი... იქ, მაზარაში, — ტურბინმა გამშრალი ტუჩები გაი-
ლოკა. სისხლის დაკარგვისა და კონიაკისგან ოდნავ თავბრუ ეხვეოდა. ქალს
სახეზე შიში გამოეხატა. დაფიქრდა.

— არა, — გულდაჯერებით თქვა მან, — რომ მოეგნოთ, აქამდე მოვიდოდ-
ნენ აქ ისეთი ლაბირინთია, კვალს ვერაფერ იპოვის. ჩვენ სამი ბალი გამოვირბი-
ნეთ. მაგრამ აქაურობა ახლავე უნდა მოვასუფთავო...

ტურბინს წყლის ტყაპუნნი, ტილოს ფლასუნნი და კარადების კართა ჯახუნნი
ესმოდა.

ქალი დაბრუნდა: ბრაუნინგის სახელურზე ორი თითი ჩაეფლო და ისე მოჰქონდა. თითქოს ხელს სწვავსო.

— გატენილია? — ჰკითხა ტურბინს.

ტურბინმა საბნიდან საღი ხელი გამოიღო, დამცველ მუსიკაში და ქალს უთხრა:

— თამამად წაიღეთ, ნუ გეშინიათ, ოღონდ ხელი სახელურზე მოჰკიდეთ.

ქალი უკან დაბრუნდა და ტურბინს დარცხვენით უთხრა:

— თუ ვინცობაა, მაინც მოვიდნენ... ჯობია რეიტუზი გახდილი გქონდეთ... ლოგინში იწვევით და მე ვიტყვი, ჩემი ქმარია, ავად არის-მეთქი...

ტურბინმა ღილების შეხსნა იწყო, თან შუბლი ეკმუხნებოდა და სახე ემანჭებოდა. ქალი თამამად მიუახლოვდა, ჩაიჩოქა, საბანქვეშ ხელი შეყო, პაჭანაკებზე ჩაეჭოდა, რეიტუზი გააძრო და წაიღო. იგი დიდხანს აღარ ჩანდა. ტურბინი ამ დროს თაღს უცქეროდა. სინამდვილეში ეს ორი ოთახი იყო. ოთახებს ისეთი დაბალი ჭერი ჰქონდა, ტანადი კაცი ფეხის წვერებზე თუ აიწევდა, ჭერამდე ხელს მიაწვდენდა. თაღს იქით, სიღრმეში, ბნელოდა, მაგრამ ძველი პიანინოს გალაქული გვერდი ბუნდად ლაპლაპებდა. კიდევ რაღაც ლაპლაპებდა. მგონი, ფიკუსის ყვავილები. აქ კი, ჩარჩოში, ტურბინი კვლავ ხედავდა ეპოლეტის კიდეს.

ღმერთო ჩემო, რა სიძველეა!.. ეპოლეტები ტურბინს თვაღს სტაცებდა. შანდალში ქონის სანთელი მშვიდობიანად ენთო. მშვიდობა იყო, მაგრამ მოისპო. წლები უკან აღარ დაბრუნდება. სიღრმეში დაბალი, პატარა ფანჯრებია, გვერდზეც ფანჯარაა. რა უცნაური სახლია? ეს ქალი მარტოა? ვინ არის? გადაარჩინა... მშვიდობა აღარ არის... იქ ისვრიან...

* * *

ქალი დაბრუნდა, ერთი იღლია შეშა შემოიტანა და ლუმლის გვერდით, კუთხეში, ბრაგუნით დაყარა.

— რას შერებით? რატომ? — გაჯავრებით ჰკითხა ტურბინმა.

— ისედაც უნდა ამენთო, — უპასუხა ქალმა და თვალებში ოდნავ შესამჩნევმა ღიმილმა გაუელვა, — ლუმელს მე თვითონ ვანთებ...

მოდით აქ, — წყნარად სთხოვა ტურბინმა. — იცით რა, მადლობა ვერ გადაგიხადეთ იმისთვის, რაც ჩემი გულისთვის... გააკეთეთ... ანდა რით გადაგიხდით? — მან ხელი გაიწოდა და თითებზე მოჰკიდა. ქალი მორჩილად მიუახლოვდა და ტურბინმა გამხდარ ხელზე ორჯერ აკოცა. ქალს სახე მოუღება, თითქოს შეშფოთების ჩრდილი ჩამოეცალაო, და თვალები ამ წუთას არაჩვეულებრივად დაუშმვენდა.

— თქვენ რომ არ შემსწრებოდით, — განაგრძო ტურბინმა, — ალბათ მომკლავდნენ...

— რა თქმა უნდა, — უპასუხა ქალმა, — რა თქმა უნდა... ისე კი ერთი თქვენ მოკალათ...

ტურბინმა თავი წამოწია.

მე მოვკალი? — ჰკითხა მან და კვლავ სისუსტე იგრძნო, თავბრუ დაეხვა.

— ჰო, — ქალმა ტურბინს თავი კეთილად დაუქნია და შიშითა და ცნო-

ბისმოყვარეობით დააცქერდა. — უპ, რა შიში გამოვცადე... კინალამ მეც არ მომკლეს. — ქალს შეაერუოლა.

— როგორ თუ მოვკალი?

— დიახ... ისინი კუთხიდან გამოცვივდნენ, თქვენ კი სროლა დაუწყეთ. პირველი მიწაზე დაეხეთქა... შესაძლოა დაიჭრა... გულადი ყოფილხართ... მეგონა, გული შემაწუხდებოდა. თქვენ გამორბოდით, მერე შეჩერდებოდით, ესროდით და კვლავ გამორბოდით... ალბათ კაპიტანი ხართ?

— რატომ გგონიათ, რომ ოფიცერი ვარ? ოფიცეროო, რატომ მეძახდით?

ქალმა თვალები დააკვესა.

— მეგონება, მაშ რა იქნება, როცა ფაფახზე კოკარდა გიკეთიათ. ხიფათთან ასე თამაში როგორ იქნება?

— კოკარდა? ოპ, ღმერთო ჩემო... მე ხომ... — ტურბინს გაახსენდა ზარის წკარუნნი, დამტვერილი სარკე... — ყველაფერი მოვიძრე... კოკარდა კი დამვიწყებია!.. მე ოფიცერი არა ვარ, — თქვა მან, — სამხედრო ექიმი გახლავართ... ალექსეი ვასილიევიჩ ტურბინი... თუ შეიძლება მითხარით, რა გქვიათ?

— იულია ალექსანდროვნა რეისი.

— მარტო რატომ ხართ?

ქალმა თვალები მოარიდა და როგორღაც დაძაბულად უპასუხა:

— ჩემი ქმარი აქ არ არის, წასულია. დედამთილიც წასულია. მარტო ვარ...

— ცოტა ხანს დუმდა და მერე დაუმატა: — ცივა... ბრ... ახლავე ღუმელს ავანთებ.

* * *

ღუმელში შეშა აბრიალდა და ცეცხლთან ერთად თავის საშინელმა ტკივილმაც იმსლავრა. ჭრილობა გაყუჩდა, თავის ტკივილი კი მარცხენა საფეთქლიდან დაიწყო და მერე თხემსა და კეფასაც მოედო. მარცხენა წარბს ზემოთ რომელიღაც ძარღვი შეიკუმშა და საშინელი ტკივილი ყოველ მხარეს წრებად დაიძრა. იულია ღუმელთან დაჩოქილიყო და მუგუზლებს საჩხრეკით ასწორებდა. ტკივილისგან განაწამები ტურბინი თვალებს ხან ხუჭავდა, ხან ახელდა. ხედავდა, ქალი თავს უკან როგორ სწევდა და სახეს მხურვალეებისგან თეთრი ხელით იფარავდა. ხედავდა სრულიად გაურკვეველი ფერის თმას — ცეცხლის შუქით დაფერილ ფერფლისფერს თუ ოქროსფერს, ყორნისფერ წარბებსა და შავ თვალებს. ვერ გაეგო, ლამაზი იყო თუ არა მისი არასწორი პროფილი და კეხიანი ცხვირი, ვერ ამოეკითხა, რა იხატებოდა მის თვალებში. თითქოს შიში, შემფოთება, ანდა იქნებ ბიწიერებაც... დიახ, ბიწიერება.

ახლა, როცა ქალი ასე იყო ჩამუხლული და აღმური ელამუნებოდა, ტურბინს თავისი მხსნელი მშვენიერად და მომხიბვლელად ეჩვენებოდა.

* * *

ღუმელში ცეცხლი დიდი ხანია ჩანელდა. მხურვალემა ახლა ტურბინის ხელსა და თავს შემოეგზნო. ვილაცა კეფაში თითქოს გავარვარებულ ლურსმანს უხრახნიდა და ტვინს უბურღავდა. ლამის სიბნელეში საათი საათს მისდევდა, მხურვალემა კი მატულობდა. „სიცხე მაქვს, — უხმოდ იმეორებდა პირგამ-

შრალი ტურბინი და ცდილობდა საკუთარი თავისთვის ჩაეგონებინა: — დილას უნდა ავდგე და შინ წავიდე...“ ლურსმანი ტვინს უბურღავდა და ბოლოს და ბოლოს ელენაზე, ნიკოლკაზე, საკუთარ ბინაზე და პეტლურაზე ფიქრებიც გაბურღა და გაფანტა. ყველაფერი სულ ერთი შეიქნა. პეტურრა... პეტურრა... ოღონდაც ეს ტკივილი მოსცილდებოდა.

გვიან ღამით იულია ბეწვშემოვლებული რბილი ფეხსაცმლებით ტურბინთან უბრალოდ მივიდა და გვერდით ჩამოუჯდა. მერე ტურბინმა ხელის კისერზე კვლავ მოხვია და პატარა ოთახები ძლივძლივობით გაიარა. მანამდე ქალმა გამბედაობა მოიკრიბა და უთხრა:

— ადექით, თუ შეგიძლიათ. ნურავითარ ყურადღებას ნუ მომაქცევთ. მე მოგეხმარებით. მერე ისევ დაწექით... მაგრამ თუ არ შეგიძლიათ...

ტურბინმა უპასუხა:

— არა, ავდგები... ოღონდ მომეხმარეთ...

ქალმა იგი იდუმალეზებით მოცული სახლის პატარა კართან მიიყვანა და უკან ისევ გამოაბრუნა. გათოშილი, კბილებაკაწკაწებული ტურბინი ლოგინში ჩაწვა. გრძნობდა, რომ თავის ტკივილი უყუჩდებოდა.

— გეფიცებით, ამას არასოდეს დავივიწყებ... წადით, დაიძინეთ... — უთხრა მან ქალს.

— გაჩუმდით, მე თავზე ხელს გადავისვამთ, — უპასუხა ქალმა.

მერე ყრუ და ანჩხლი ტკივილი თავიდან მთლად მოსცილდა: საფეთქლებიდან ქალის სათუთ ხელებს გაუყვია, მის სხეულში გაიარა, ფუმფულა, მტვრიანი ნოხით დაფარულ იატაკში ჩაცურდა და იქ ჩაკვდა. ტკივილის ნაცვლად მთელ სხეულს თანაბარი, გამთანგველი სიმბურვალე დაეუფლა. ტურბინს ხელი გაუბუჟდა და ისე დაუმძიმდა, თითქოს თუჯისა ყოფილიყო, ამიტომ ცდილობდა, აღარ განძრეულიყო, თვალები დახუჭა და სიცხეს მინებდა. რამდენ ხანს იწვა ასე, ვერ იტყოდა: იქნებ ხუთ წუთს, იქნებ მრავალ საათსაც. თანაც ეჩვენებოდა, რომ ცეცხლში ასე წოლა საუკუნოდ შეიძლებოდა. როცა თვალები ნელა გაახილა, რომ გვერდით მჯდომი ქალი არ შეეშინებინა, ადრინდელი სურათი დაინახა: წითელი აბაჟურით დაფარული ნათურა თანაბრად. სუსტად ენთი და იქაურობას მშვიდობიან შუქს ვფენდა. გვერდით უძინარი ქალის სახე მოჩანდა. მას ტუჩები ბავშვურად, ნაღვლიანად გამოებურცა და ფანჯარას გასცქეროდა. აღმურშემოგზნებული ტურბინი შეტოვდა და მისკენ მიიწია.

— ჩემკენ დაიხარეთ, — უთხრა ქალს გამშრალი, მისუსტებული, გაწვრილებული ხმით. ქალი მისკენ შეტრიალდა, შიშამდგარი, ჩრდილმიფენილი თვალები დაეძაბა და ჩაუღრმავდა. ტურბინმა მარჯვენა ხელი კისერზე მოხვია, მიიზიდა და ტუჩებში აკოცა. მოეჩვენა, რომ რაღაც ტკბილსა და ცივს შეეხო. ქალს ტურბინის საქციელი არ გაჰკვირვებია. იგი მხოლოდ დაკვირვებით დააცქერდა სახეზე და მერე თქვა:

— ოჰ, როგორი სიცხე გაქვთ. რა უნდა ვქნათ? ექიმის მოყვანაა საჭირო, მაგრამ რანაირად მოვიყვანო?

— არა, არა, — ჩურჩულით უპასუხა ტურბინმა, — ექიმი საჭირო არ არის. ხვალ ავდგები და შინ წავალ.

— ისე მეშინია, — ჩაიჩურჩულა ქალმა. — ვაითუ ცუდად გახდეთ. მე რას გიშველით. სისხლი აღარ გდით? — იგი ბინტით შეხვეულ ხელს ფრთხილად შეეხო.

— არა, ნუ გეშინიათ, არაფერი მომივა. წადით, დაიძინეთ.
 — არ წავალ, — უპასუხა ქალმა და თითები ხელზე მოუთათუნა. — სიტყვ
 გაქვთ. — გაიმეორა მან.

ტურბინმა ველარ მოითმინა, ხელი კვლავ მოხვია და შიშველსა არ
 გასძალიანებია. ტურბინი თავისკენ მანამდე იზიდავდა, სანამ ქალი მთლად არ
 დაიხარა და მის გვერდით არ დაწვა. თუმცა ტურბინს სხეული სიტხისგან უხურ-
 და, მისი ცხოველმყოფელი სიბოძო მაინც შეიგრძნო.

— იწეჭით და ნუ გაინძრევით, — ჩურჩულით უთხრა ქალმა. — მე კი
 თავზე ხელს გადავისვამთ.

ქალი გვერდით მიუწვა და ტურბინს მუხლები შეახო. იგი ხელს საფეთ-
 ქლიდან თმისკენ უსვამდა და ტურბინი თავს ისე კარგად გრძნობდა, მხოლოდ
 იმას ნატრობდა, არ დამეძინოსო.

მაგრამ მაინც დაეძინა. ეძინა დიდხანს, წყნარად და ტკბილად. როცა გა-
 მოღვიძა, ნახა, რომ ცხელ მდინარეში ნავით მიცურავდა, ყოველგვარი ტკი-
 ვილი გაჰყუჩებოდა, ფანჯრის მიღმა ღამე ნელა მკრთალდებოდა და იღვოდა.
 მარტო იმ სახლს კი არა, მთელ ქვეყნიერებასა და ქალაქს სრული მყუდროება
 დაუფლებოდა ფარდიდან სუსტი, მოლურჯო-გამჭვირვალე შუქი იღვრებოდა.
 გამთბარსა და სევდიან ქალს მის გვერდით ეძინა და ტურბინსაც ჩაეძინა.

* * *

დილით, ასე ცხრა საათზე, უკაცრიელ მალა-პროვალნაიაზე შემთხვევით
 ჩველილ შეეტლეს მარხილში ორი მგზავრი ჩაუჯდა. — ერთი ქალი და ერთი
 ძალზე ფერმიხდილი კაცი, სამოქალაქო, შავი ტანსაცმელი რომ ემოსა. კაცი
 ქალს სახელოზე ჩასჭიდებოდა, ქალი კი ცდილობდა, რომ იგი მხრით შეემაგ-
 რებინა. ასე მივიდნენ ალექსეევის დაღმართამდე. დაღმართზე ხალხი არ მიდი-
 მოდიოდა. მხოლოდ № 13 სახლის შესასვლელთან იდგა მარხილი. მარხილიდან
 იმ წუთას ჩამომხტარიყო უცნაური სტუმარი, რომელსაც ხელში ჩემოდანი,
 ბოხჩა და გალია ეჭირა.

14.

ისინი გამოჩნდნენ, საიქიოს არავინ გამგზავრებულა. მეორე საღამოსვე გა-
 მოჩნდნენ.

„ის არის“, — უთხრა ანიუტას ლარიოსიკის ჩიტივით აფრთხილებულმა
 გულმა. ტურბინების სამზარეულოს დათოვლილ ფანჯარაზე ეზოდან ფრთხილად
 დააკვირნეს. ანიუტა ფანჯარას აეკრა და მოსულს დააკვირდა. ის არის, მაგრამ
 უღვაში აღარა აქვს... ის არის... ანიუტამ შავი თმა ორივე ხელით შეისწორა,
 ჯერ წინკარის, მერე წინკარიდან თოვლით დაფარულ ეზოში გამავალი კარი
 გაღო და მიშლაევსკი მასთან უჩვეულოდ ახლოს აღმოჩნდა. კრაველისსაყელო-
 იანი სტუდენტური პალტო ეცვა და სტუდენტურივე ქუდი ეხურა... უღვაში
 ვაჭრობოდა... მაგრამ თვალების ცნობა ჩაბნელებულ წინკარშიც კი მშვენიუ-
 რად შეიძლებოდა. მარჯვენა თვალი ურალის ფერად ქვასავით მწვანე ნაპერწ-
 კლებს აფრქვევდა, მარცხენა თვალი კი შავი ჰქონდა... დადაბლებულიყო კი-
 დეც...

ანიუტამ კარი აკანკალებული ხელით ჩააჩა. ეზო გაუჩინარდა, სამზარეულოდან მომავალი შუქის ზოლები კი იმით გაქრა, რომ მიშლავესკის პალატოს კალთები ანიუტას შემოეფარა.

— გამარჯობა, ანიუტოჩკა... — გაისმა ძალზე ნაცნობი ჩურჩული. — გაცივდებით... სამზარეულოში არავინ არის, ანიუტა?

— არავინ არის, — რატომღაც ჩურჩულითვე უპასუხა ანიუტამ, თუმცა არც იცოდა, რას ამბობდა. „მკოცნის, ტუჩები გამიტკბილდა“. — გაიფიქრა ნეტარი გულისღევეთ და აჩურჩულდა: — ვიქტორ ვიქტოროვიჩ... გამიშვით... ელენა...

— ელენა რა შუაშია... — ჩასწვდა ანიუტას სმენას ოდეკოლონისა და თამბაქოს სუნით გაქლენთილი, საყვედურის გამომხატველი ხმა, — რას ამბობთ, ანიუტოჩკა...

— ვიქტორ ვიქტოროვიჩ, გამიშვით, დაეყვირებ, ღმერთს გეფიცებით, — გრძნობით ამბობდა ანიუტა და კისერზე ხელებს ჰხვევდა, — ჩვენ უბედურება ვეწვია — ალექსეი ვასილიევიჩი დაჭრეს...

მგუდავმა მარწუხები უმალ მოუშვა.

— როგორ თუ დაჭრეს? ნიკოლკა?

— ნიკოლკა უვნებლად გადარჩა, ალექსეი ვასილიევიჩი კი დაჭრეს.

სამზარეულოს კარიდან სინათლის ზოლი შემოიჭრა.

ელენამ სასადილო ოთახში შესული მიშლავესკი რომ დაინახა, ატირდა და უთხრა:

— ვიტკა, ცოცხალი ხარ... მადლობა ღმერთს... ჩვენ კი... — ტურბინის ოთახის კარისკენ სლუკუნით მიუთითა. — ორმოცი გრადუსი აქვს... საშიში ჭრილობაა...

— ღმერთო დიდებულო, — თქვა მიშლავესკიმ და ქუდი ლამის კეფაზე მოიგდო, — სად გადაეყარა?

იგი მაგიდასთან მდგარ კაცს მიუბრუნდა, რომელიც ბოთლისა და რაღაც ბრჭყვიალა კოლოფებისკენ დახრილიყო.

— ექიმი ბრძანდებით, გეთაყვა?

— სამწუხაროდ, არა, — გაისმა მწუხარე, მიმქრალი ხმა, — ექიმი არა ვარ. ნება მიბოძეთ გაგეცნოთ: ლარიონ სურჟანსკი.

* * *

სასტუმრო ოთახიდან შემოსასვლელში გამავალი კარი ჩაკეტილია და ფარდებჩამოფარებულიც, ხმაურმა და ლაპარაკის ხმამ ტურბინთან რომ არ შეაღწიოს. მისი საწოლი ოთახიდან ახლახან გამოვიდნენ და წავიდნენ წვერ-წვეტა და ოქროსპენსნიანი კაცი, მეორე — წვერგაპარსული და უფრო ახალგაზრდა და ბოლოს ჭაღარა, მოხუცი და ჰკვიანი პროფესორი, თვით ტურბინის მასწავლებელი, მძიმე ქურქი რომ ეცვა და ბოიარინის ქუდი ეხურა. ისინი ელენამ გააცილა. სახე თითქოს გაჰქვავებოდა. იძახეს, იძახეს, ტიფიო... და აი. ენამ უყივლათ.

— ჭრილობას ახლა პარტახტიანი ტიფიც დაერთო...

ვერცხლისწყლის სვეტი ორმოცს უჩვენებს... საწოლ ოთახში მოწითალო

მხურვალეაა. სიჩუმეა და სიჩუმეში ბუტბუტი ისმის... დაჭრილი კბეხს ახსენებს... ხანაც ზარის რეკვას ბაძავს... „ძინ“...



• უჩინო უჩინო
შინგაშინგაშინგა

— ხომ კარგად ბრძანდებით, მოწყალეო ხელმწიფევე, — გესლიანად ჩაიჩურჩულა მიშლაევსკიმ და ფეხები გაფარჩხა. სახეწამოჭარხლებული შერვინსკი თვალებს აცეცებდა. შავი კოსტიუმი უნაკლოდ ადგა ტანზე, საუცხოო პერანგზე ბანტი ეკეთა, ლაქის მალაყელიანი ფეხსაცმელი ეცვა. „კრამსკოის საოპერო სტუდიის მსახიობი“. მოწმობა ჯიბეში ედო. — სამხრეები რატომ არ გიკეთიათ? — განაგრძობდა მიშლაევსკი. — „ვლადიმირის ქუჩაზე რუსული დროშები ფრიალებს... სენეგალელთა ორი დივიზია ოდესის ნავსადგურშია. სერბი კვარტირიერებიც ჩამოვიდნენ... ბატონო ოფიცრებო, უკრაინაში ვაემგზავრეთ და ნაწილები ჩამოაყალიბეთ“... უჰ, თქვენი დედის ღმერთი...

— რას შემომიხინდი?... — უპასუხა შერვინსკიმ. — რა ჩემი ბრალაა?... მე რა შუაში ვარ?... თავად კინალამ მომკლეს. შტაბიდან ყველაზე ბოლოს გამოვედი, ზუსტად შუადღისას, როცა პეტროსკიდან მტრის ჯარისკაცთა მწყობრები გამოჩნდა.

— ჰენ გმირი ხარ, — უთხრა მიშლაევსკიმ, — მაგრამ იმედია, მისმა ბრწყინვალეობამ მთავარსარდალმა დროზე მოასწრო წასვლა... ისევე როგორც მისმა უგანათლებულებობამ ბატონმა პეტმანმა... იმისი დედა... იმედია, პეტმანი უხიფათო ადგილას იმყოფება. სამშობლოს მათი სიცოცხლე სჭირდება. მართლა, ხომ ვერ მეტყვი, მაინც სად არიან?

— რად გინდა?

— აი, რად მინდა. — მიშლაევსკიმ მარჯვენა მუშტი მარცხენა ხელისგულს დასცხო. — მისი ბრწყინვალეობა და მისი უგანათლებულებობა ხელში რომ ჩამივარდებოდნენ, ერთს მარცხენა ფეხში ვწვდებოდი, მეორეს მარჯვენაში, დავაყირავებდი და ქვაფენილზე თავს მანამდე ვარტყმევიინებდი, სანამ არ მომბეზრდებოდა. თქვენი შტაბელების მთელი ხროვა კი ფეხისადგილში უნდა ჩააბრჩო...

შერვინსკი წამოჭარხლდა,

— ცოტა ფრთხილად, თუ შეიძლება, — წამოიწყო მან, — ნუ ამლაშებ... რომ იცოდე, თავადმა შტაბელებიც მიატოვა. მას მხოლოდ ორი ადიუტანტი გაჰყვა, დანარჩენები კი ბედის ანაბარა დაყარეს.

— იცი თუ არა, რომ ახლა მუხეუმში ჩვენნიანები მშივრები სხედან... ათასი კაცი, ტყვიამფრქვევებით... იმათ ხომ პეტლურელები ბაღლინჯოებივით ამოქუჩავენ... იცი, პოლკოვნიკი ნაი როგორ მოკლეს?... ერთადერთი იყო...

— თავი გამანებე, თუ ხათრი გაქვს!.. — შეჰყვირა ახლა კი მართლა გულმოსულმა შერვინსკიმ. — რა კილოთი მელაპარაკები?... მეც შენნაირი ოფიცერი ვარ!

— კარგი ახლა, ბატონებო, გეყოფათ, — შუაში ჩაუდგა კარჩხანა მიშლაევსკისა და შერვინსკის. — ეს რა უაზრო დაგაა. მართლა და მართლა, რას გადაეკიდე ამ კაცს... კმარა, ამ ლაპარაკით არაფერი გამოვა...

— წყნარად, წყნარად, — აჩურჩულდა შეწუხებული ნიკოლკა, — იქ ისმის...

მიშლაევსკი შეკრთა, შეიშმუშნა.

— ჰო, კარგი, ბარიტონო, ნუ გაცხარდები... მე ისე გითხარ... თავადაც ხომ გესმის...

— საკმაოდ უცნაურია...

— ბატონებო, თუ შეიძლება, ცოტა ხმადაბლა... — ნიკოლაევსკის ცქვიტა და იატაკს ფეხი დაჰკრა. ყველამ ყური მიუგდო. ქვემოდან, ვასილისას ბინიდან რაღაც ხმები ამოდიოდა. ყრუდ მოესმათ, ვასილისამ მხიარულად და, ცოტა არ იყოს, ისტერიკულად რომ გაიცინა. ვანდამაც თითქოს სიხარულით ხმამაღლა შესძახა რაღაცა. მერე ჩაჩუმდნენ. ცოტა ხნის შემდეგ კი ვილაცების ბუბუნი გაიგონეს.

— საკვირველი ამბავია, — ჩაფიქრებით თქვა ნიკოლაევსკიმ, — ვასილისას სტუმრები ჰყავს... თანაც ასეთ დროს. ნამდვილად მეორედ მოსვლაა.

— კარგი ვინმეა ეგ თქვენი ვასილისა, — კვერი დაუკრა მიშლაევსკიმ.

* * *

ასე შუალამე იქნებოდა, როცა ტურბინს მორფის შეშხაპუნების მერე დაეძინა. ელენა მისი საწოლის გვერდით მდგარ სავარძელში მოკალათდა. სასტუმრო ოთახში კი სამხედრო საბჭო შედგა.

გადაწყვიტეს ღამის გასათევად ყველანი ტურბინებთან დარჩენილიყვნენ. ჯერ ერთი, ღამე სიარული, თუნდაც კარგი საბუთები გქონდეს, ხეირს არ დაგაყრის. მეორე, ელენასთვისაც უკეთესია — ვინ იცის, რა დასჭირდება... მთავარი კი ის არის, რომ ასეთ დროს სჯობია შინ არ იჯდე და საღამო სტუმრად იყო. ამას გარდა, რაც მთავარზე მთავარია, შინ რა უნდა აკეთონ, აქ კი შეიძლება ვინტს ჩაუსხდნენ.

— თქვენ თამაშობთ? — ჰკითხა მიშლაევსკიმ ლარიოსიკს.

ლარიოსიკი გაწითლდა, დაიმორცხვა და უმაღლ ყველაფერი ჩამოაჭიკჭიკა, ვინტს კი ვთამაშობ, მაგრამ ძალზე უხეიროდ... ოღონდ ისე არ მლანძლოთ, როგორც ჟიტომირში გამოსაღებთა ინსპექტორები მლანძლავდნენ... დიდი უბედურება გადავიტანე. მაგრამ აქ, ელენა ვასილიევენასთან, სულიერად ვჯანსაღდები, რადგან იგი მართლაცდა განსაკუთრებული ადამიანია, აქ თბილა და სიმყუდროვეა, განსაკუთრებით მომწონს ყველა ფანჯარაზე ჩამოფარებული კრემისფერი ფარდები, რის წყალობითაც თავს გარე სამყაროსგან მოწყვეტილად ვგრძნობ... ის კი, გარე სამყარო... თავადაც დამეთანხმებით, ბინძური, სისხლიანი და უაზროაო.

— გეთაყვა, თქვენ ლექსებს ხომ არ წერთ? — ჰკითხა ლარიოსიკს მიშლაევსკიმ და დაკვირვებით დააცქერდა.

— ვწერ, — მოკრძალებით თქვა გაწითლებულმა ლარიოსიკმა.

— ჰოო... უკაცრავად, რომ გაგაწყვეტინეთ... მაშ უაზროაო, ამბობთ?... განაგრძეთ, განაგრძეთ, გეთაყვა...

— დიახ, უაზროა, ჩვენი დაკოდლილი სულები კი სიმშვიდეს სწორედ ასეთი კრემისფერი ფარდების მიღმა ეძიებს...

— იცით რა, სიმშვიდეზე თუ მიდგა საქმე, თქვენთან, ჟიტომირში, საქმე როგორაა, არ ვიცი, აქ კი, ქალაქში, ნამდვილად ვერ იპოვით... ჯაგრისი წყალ-

ში დაასველე, თორემ ძალიან ამტვერებ. სანთლები გაქვთ? დიდებულია. რახან ასეა, გამსვლელად ჩავწერთ... ხუთნი სწორედაც მშვიდად ვითამაშებთ.

— ნიკოლკამ სულ არ იცის თამაში, — ჩაურთო კარჩხანამ.

— რას ამბობ, ფედია. ამას წინათ ღუმელთან ვინ წააგო? რენონსი შენ თვითონ გქონდა. ცილს რატომ მწამებ?

— პეტლურას ცისფერი წინწკლედი...

— დიახაც კაცმა კრემისფერ ფარდებს მიღმა უნდა იცხროს. პოეტებს რატომღაც ყველა დასცინის...

— ღმერთო, შენ დამიფარე... ჩემი ნათქვამი ცუდად რატომ გაიგეთ? მე პოეტებთან სადავო არაფერი მაქვს. თუმცა ლექსებს არ ვკითხულობ...

— არც სხვა წიგნების კითხვით იწუხებს თავს. მარტო საარტილერიო წესდება და რომის სამართლის პირველი თხუთმეტი გვერდი აქვს წაკითხული. ნუთქვსმეტე გვერდზე ომი დაიწყო და კითხვა მიატოვა...

— ცრუობს, ყურს ნუ უგდებთ... თქვენი სახელი და მამის სახელი ლარიონ ივანოვიჩია?

ლარიოსიკმა უთხრა, ჩემი სახელი და მამის სახელი ლარიონ ლარიონოვიჩია. მაგრამ მთელი თქვენი საზოგადოება ისე მომწონს, ამას ხომ საზოგადოებაც არ ეთქმას, მეგობრული ოჯახია, ძალიან მინდა, უბრალოდ „ლარიონი“ დამიძახოთ, მამის სახელის გარეშე... თუკი, რა თქმა უნდა, ამისი საწინააღმდეგო არავის არაფერი ექნებაო.

— ურიგო ყმაწვილი არ ჩანს... — ჩასჩურჩულა სიტყვაძუნწმა კარჩხანამ შერვინსკის.

— ასე იყო... უფრო დავახლოვდებით... რატომაც არა... ეს კი ცრუობს: უნდა მოგახსენოთ, რომ „ომი და მშვიდობა“ მაქვს წაკითხული... აი, წიგნი მართლა ამას ჰქვია. ბოლომდე წავიკითხე, თანაც სიამოვნებით. იცით, რატომ? იმიტომ, რომ ვიღაც მუდრეგის დაწერილი კი არ გახლავთ, არტილერიის ოფიცერმა დაწერა. ათიანი გაქვთ? მე და თქვენ ერთად ვიქნებით... კარჩხანა და შერვინსკი ერთად... ნიკოლკა, შენ გახვალ.

— ოღონდ, ღვთის გულისთვის, არ მლანძღოთ, — როგორღაც ნერვულად სთბოვა ლარიოსიკმა.

— კარგი ახლა, მართლა და მართლა, პაპუასები ხომ არ გგონივართ? ეტყობა, ჟიტომირში ძალზე თავაშვეებული გამოსაღებთა ინსპექტორები გყოლიათ და იმათ დაუშინებიათ... ჩვენ დარბაისელი ხალხი გახლავართ.

— გული მშვიდად იქონიეთ, გეთაყვა, — უთხრა ლარიოსიკს შერვინსკიმ და მაგიდას მიუჯდა.

— ორი ყვავი... პოო... აი, მწერალი, ბატონო ჩემო, გრაფი ლევ ნიკოლაევიჩ ტოლსტოი იყო, არტილერიის პორუჩიკი... აფსუს, სამსახური რომ მიატოვა... პას... უთუოდ გენერლობას მიაღწევდა... თუმცა რა, იმას მამული ჰქონდა... მოწყენილობისგან კაცმა შეიძლება რომანიც წერო... ზამთრობით უსაქმოდ როცა ხარ... მამულის პატრონისთვის ეს იოლი ამბავი გახლავთ. უკოზიროდ ვთამაშობთ...

— სამი აგური, — მოკრძალებით თქვა ლარიოსიკმა.

— პას, — გაეპასუხა კარჩხანა.

— რას ბრძანებთ, თურმე მშვენივრად თამაშობთ. კი არ უნდა გლანძღოთ, უნდა შეგაქოთ... თქვენ თუ სამი აგური გაქვთ, მაშინ მოგახსენებთ, რომ მე

ოთხი ყვავი მაქვს. თავად მეც ახლა ჩემს მამულში სიამოვნებით ვავემგზავრებოდი...

— ოთხი აგური, — უკარნახა ლარიოსიკს ნიკოლკამ, რომელიც მის კარტში იცქირებოდა.

— ოთხი? პას.

— მეც პას.

სტეარინის სანთლების მთრთოლარე შუქზე სახეგანათებულმა, ალღეუბულმა ლარიოსიკმა კარტი აიმატა. მიშლაევსკიმ მოთამაშეებს თითო-თითო კარტი ისე ჩამოურიგა, თითქოს შაშხანიდან პილზებს ყრისო.

— ყმაწვილს ყვავები აქვს, — შესძახა მან და ლარიოსიკი წააქეზა: — ყოჩაღ!

მიშლაევსკის ხელებიდან კარტი ნეკერჩხლის ფოთლებივით უხმოდ მიფრინავდა. შერვინსკი ფაქიზად არიგებდა, კარჩხანა იღბალს ემდუროდა და კარტს მაგიდაზე უხათქუნებდა. ლარიოსიკი ოხრავდა და ისე ნელა არიგებდა, თითქოს პირადობის მოწმობებიყო.

— „დედიკო-მამიკო“, ეგეთები გვინახავს, — თქვა კარჩხანამ.

მიშლაევსკი უცებ წამოჭარხლდა, კარტი მაგიდაზე დაახეთქა, ლარიოსიკს თვალები მხეცივით დაუბრიალა და შეჰყვირა:

— რა ეშმაკად გინდოდა, ჩემი ქალი რომ გადაჭერი, ლარიონ?

— კარგია, პა-პა-პა, — ნიშნის მოგებით თქვა გახარებულმა კარჩხანამ, — უქალოდ დარჩენი!

მწვანე მაგიდის ირგვლივ საშინელი აურზაური ატყდა, სანთლის ენები შექანდა, ნიკოლკა სისინითა და ხელების ქნევით გაექანა კარის მისახურად და ფარდის ჩამოსაფარებლად.

— მეგონა, რომ ფიოდორ ნიკოლაევიჩს პაპა ჰყავდა, — ძლივს ამოღერლა მიმკვდარებულმა ლარიოსიკმა.

— რანაირად მეგონა... — მიშლაევსკი ცდილობდა არ ეყვირა, სისინებდა და ამის გამო უფრო შემზარავი შესახედავი იყო, — როცა თვითონ აიმატე და მე გამომიგზავნე? პა? ეს რა ჯანდაბაა? — მიშლაევსკი ხან ერთისკენ მიტრიალდებოდა, ხან მეორისკენ, — ეს ხომ... ყმაწვილი სიმშვიდეს ეძებს. პა? უქალოდ რომ დავრჩით, ეს არის სიმშვიდე? ამ თამაშს ხომ გამოთვლა უნდა! ლექსის წერა კი არ არის, ცოტა ტვინი უნდა გაანძრიო!

— მოიცა, იქნებ კარჩხანამ...

— რა იქნებ?... ასეთი სისულელე გაგონილა? მომიტევეთ, ბატონო ჩემო. ეტიომირში იქნებ ასე თამაშობენ, მაგრამ, ეშმაკმა უწყის, ეს რა ჯანდაბაა!... ნუ მიწყენთ... მაგრამ ლექსებს თუმცა პუშკინიცა და ლომონოსოვიც წერდნენ, ასეთ ოინს არასოდეს ჩაიდენდნენ... ანდა ნაღსონი, მაგალითად.

— წყნარად, რა ამბავია, რა შეუტეე? ასეთი რამ ყველას მოუვა.

— ვიცოდი, რაც მომელოდა, — აღუღლულდა ლარიოსიკი, — იღბალი არა მაქვს...

— მოიცა... მოიცა...

ერთბაშად სრული სიჩუმე ჩამოვარდა. შორს, რამდენიმე კარს მიღმა სამზარეულოში ზარი აწყრიალდა. ყველანი გაიტრუნენ. მერე ქუსლების ბაკუნი გაისმა, კარი გაიღო და ანიუტა გამოჩნდა. შემოსასვლელში ელენას თავი გამოკრთა. მიშლაევსკიმ თითები მაუღზე ააკაკუნა და თქვა:

— მგონი, ჯერ ადრე უნდა იყოს? ჰა?

— ჰო, ადრეა, — უპასუხა ნიკოლკამ, რომელიც ჩხრეკის საქმეთა ყველაზე უკეთეს მცოდნედ ითვლებოდა.

— რა ვქნა, გავალო? — შეშფოთებით იკითხა ანიუტამ.

— არა, ანა ტიმოფეევნა, მოიცადეთ, — უპასუხა მიშლაევსკიმ და სავარაუდოდან ხვნეშით წამოდგა, — საერთოდ, ახლა მე გავალებ ნოლმე, თქვენ ნულარ შეწუხდებით...

— ერთად წავიდეთ, — უთხრა მას კარჩხანამ.

— მაშ ასე, — თქვა მიშლაევსკიმ და იქ მყოფთ ერთბაშად თვალი ისე შეავლო, თითქოს ოცეულის წინ დგასო, — ჰოო... იქ, მაშასადამე, ყველაფერი რიგზეა... ექიმს პარტახტიანი ტიფი სჭირს და ასე შემდეგ. ლენა, შენ და ხარ... შენ კი, კარჩხანავ, შეგიძლია თავი მედიკოსად გაასალო — სტუდენტად... საწოლ ოთახში გაქანდი... რამე შპრიცი აიღე... ბევრნი ვართ, მაგრამ არა უშავს... ხარი მოუთმენლად განმეორდა, ანიუტა აკანკალდა და ყველას სახე უფრო მეტად დაუდინჯდა.

— მოესწრება, — თქვა მიშლაევსკიმ და შარვლის უკანა ჯიბიდან სათამაშო დამბაჩის მსგავსი პატარა შავი რევოლვერი ამოიღო.

— ეგ კი ნამეტანია, — თქვა მოლუშულმა შერვინსკიმ, — შენი საქციელი მაოცებს. გიჯობდა ცოტა მეტი სიფრთხილე გამოგეჩინა. ქუჩაში ასე რანაირად მოდიოდი?

— ჯავრი ნუ გაქვს, — დინჯად და თავაზიანად უპასუხა მიშლაევსკიმ, — ყველაფერს მოვაგვარებთ. ნიკოლკა, გამომართვი და უკანა კართან ან სარკმელთან გაჩერდი. თუ პეტლურელი მთავარანგელოზები იქნებიან, ჩავახველებ და სადმე შემაღე, ოღონდ ისე, რომ მერე იპოვო. ძვირფასი რამეა, ვარშავამდე მიტარებია... შენ ყველაფერი რიგზე გაქვს?

— არხეინად იყავით, — მკაცრად და ამაყად უპასუხა ჩხრეკის საქმეთა მცოდნე ნიკოლკამ და რევოლვერი გამოართვა.

— მაშ ასე, — მიშლაევსკიმ შერვინსკის თითი მკერდში ატაკა და უთხრა: — მომღერალი ხარ, სტუმრად მოსული, — მერე კარჩხანას მიუბრუნდა, — შენ მედიკოსი, — ახლა ნიკოლკას, — შენ ძმა, — ბოლოს ლარიოსიკს, — შენ კი მდგმური-სტუდენტი. პირადობის მოწმობა გაქვს?

— მეფის დროის პასპორტი მაქვს, — უპასუხა გაფითრებულმა ლარიოსიკმა, — ხარკოვური სტუდენტური ბილეთიც.

— მეფისა დამაღე და სტუდენტისა აჩვენე.

ლარიოსიკი ჯერ ფარდას გამოედო, მერე კი ოთახიდან გავარდა.

— დანარჩენებს არაფერი უჭირთ, ქალები არიან... — განაგრძობდა მიშლაევსკი, — აბა, მოწმობები ყველასა გაქვთ? ჯიბეში ზედმეტი არაფერი გიდევთ?... ჰეი, ლარიონ!... ჰკითხე ერთი, იარალი ხომ არა აქვს?

— ჰეი, ლარიონ! — სასადილო ოთახიდან გასძახა ნიკოლკამ, — იარალი არა გაქვს?

— არა, არა, ღმერთმა დამიფაროს, — საიდანღაც მოისმა ლარიოსიკის ხმა.

ხარი განმეორდა, გამძაფრებით, გრძლად, მოუთმენლად.

— ღმერთო, შენ შეგვეწიე, — თქვა მიშლაევსკიმ და კარის გასაღებად გაემართა. კარჩხანა ტურბინის ოთახში შევიდა.

— პასიანსს ეშლიდით, — თქვა შერვინსკიმ და სანთლები ჩააქრო.

ტურბინების ბინაში შესვლამდე სამი კარი უნდა გაგველო. ერთი კარი შემოსასვლელიდან კიბეზე გადიოდა, მეორე — მინიანი კარი საკუთრივ ტურბინთა სამფლობელოს მიჯნავდა. მინის კარის ქვემოთ ბნელი და ცივი სადარბაზო შესასვლელი იყო, სადაც ლისოვიჩების კარიც გამოდიოდა, ხოლო სადარბაზოს ბოლოში უკვე უკანასკნელი, ქუჩაში გამავალი კარიც გამოდიოდა.

გაისმა კარების ჯახუნი და მიშლაევსკიმ ქვემოთ დაიწვირა:

— ვინა ხართ?

მან იგრძნო, ზემოთ, ზურგს უკან, კიბეზე ლანდები როგორ შეირხა. კარს იქით ყრუდ გაისმა:

— რამდენი ხანია ვრეკავ... ტალბერგი-ტურბინა აქ ცხოვრობს?... დეპეშაა... გააღეთ...

„ასე“, — თავში გაუელვა მიშლაევსკის და ხველებას მოჰყვა. უკან, კიბიდან, ერთი ლანდი გაქრა. მიშლაევსკიმ ჭანჭიკი ფრთხილად გახსნა, გასაღები გადაატრიალა და კარი გამოაღო, მაგრამ ჯაჭვი არ აუხსნია.

— დეპეშა მომეცით, — თქვა მან და გვერდულად ისე გაჩერდა, რომ კარი ჩამოჰფარებოდა. ვიდაცამ კარის ჭრილში რუხსახელოიანი ხელი შემოყო და პატარა კონვერტი მოაწოდა. განცვიფრებულმა მიშლაევსკიმ ნახა, რომ მართლა დეპეშა მოეტანათ.

ხელი მოაწერეთ, — გაისმა კარს მიღმა ბრაზიანი ხმა.

მიშლაევსკიმ გარეთ სწრაფად გაიხედა და დაინახა, რომ ქუჩაში მხოლოდ ერთი კაცი იდგა.

— ანიუტა, ანიუტა, — მხნედ გასძახა მან ზემოთ, ხველებისგან უმაღლესიკურნა, — ფანქარი მომეცი.

ანიუტას მაგივრად კარჩხანამ ჩამოირბინა და ფანქარი მიაწოდა. მიშლაევსკიმ კონვერტიდან ქალაღის ნაგლეჯი გამოაძრო, ზედ წააჯღაბნა: „ტურ“ და კარჩხანას წასჩურჩულა:

— ოცდახუთი მიეცი...

კარი გრილით დაიხურა...

გაოცებული მიშლაევსკი და კარჩხანა ზემოთ ავიდნენ. ყველამ თავი მოიყარა. ელენამ კონვერტი გახსნა და ანგარიშმიუცემლად ხმამაღლა წაიკითხა:

„ლარიოსიკს საშინელი უბედურება შეემთხვა წერტილი ოპერეტის მსახობმა ლიპსკიმ“...

— ღმერთო ჩემო, — შეჰყვირა წამოჭარბლებულმა ლარიოსიკმა, — ეს ის დეპეშაა!

— სამოცდასამსიტყვიანი, — შესძახა აღფრთოვანებულმა ნიკოლკამ, — ნახე, მთლად აჭრელებულია.

— ღმერთო ჩემო, — შესძახა ელენამ. — ეს რა დამემართა? ოჰ, მომიტევეთ, ლარიონ... ხმამაღლა კითხვა რომ დავიწყე, ეს დეპეშა სულ გადამავიწყდა...

— რა დეპეშაა? — ჰკითხა მიშლაევსკიმ.

— ცოლმა მიატოვა, — ყურში ჩასჩურჩულა ნიკოლკამ, — ისეთი სკანდალი ყოფილა...

მინის კარზე ატეხილი საშინელი ბრაგუნი ბინაში ისე შემოიჭრა, თითქოს მთიდან ზვავი ჩამოწვაო. ანიუტამ შეჰკივლა. ელენა გაფითრდა და კედლისკენ

გადაქანდა. ბრაგუნი ისეთი შემადრწუნებელი, ისეთი შემზარავი და უაზრო იყო, რომ მიშლაევსკისაც კი ფერი ეცვალა. თავადაც გაფითრებულმა შერვინსკიმ ელენას ხელი შეაშველა... ტურბინის საწოლი ოთახიდან კენესა მოისმა — კარი... — შესძახა ელენამ.

მიშლაევსკიმ კიბეზე ჩაირბინა, თავისი სტრატეგიული გეგმა... მრავიწყდა. მას სირბილითვე მიჰყვნენ კარჩხანა, შერვინსკი და შიშისგან გულგახეთქილი ლარიოსიკი.

— ეს უკვე უარესი უნდა იყოს, — ბუტბუტებდა მიშლაევსკი.

მინის კარს მიღმა მხოლოდ ერთი შავი ლანდი შეტოკდა, ბრაგუნი შეწკადა.

— ვინ ხარ? — როგორც ცეიხპაუზში, ისე დაიგრგვინა მიშლაევსკიმ.

— თუ ღმერთი გწამთ... თუ ღმერთი გწამთ... გააღეთ, ლისოვიჩი ვარ... ლისოვიჩი!! — შეჰყვირა ლანდმა, — ლისოვიჩი ვარ... ლისოვიჩი...

ვასილისა საშინელი შესახედავი იყო... თმა გვერდზე ჩამოსწეწოდა და ვარდისფერი, გამელოტებული კანი მოუჩანდა. პალსტუხი გვერდზე მოჰქცეოდა. ჰიჯაის კალთები დამტერული კარადის კარებავით აქეთ-იქით უფრიალებდა. თვალები მოწამლულივით შეშლოდა და ამღვრეოდა. კიბის ბოლო საფეხურზე ფეხი როგორც კი შედგა, უცებ შექანდა და მიშლაევსკის მკლავებში ჩაუვარდა. მიშლაევსკიმ იგი ძლივძლივობით შეამაგრა, თავად კიბეზე ჩამოჯდა და დაბნეულმა ამოიხავლა:

— კარჩხანა! წყალი...

ღამის თერთმეტი საათი სრულდებოდა. ტურბინების ქუჩა, ხალხმრავლობას ისედაც რომ ვერ დაიკვებნიდა, იმეამინდელ არეულობათა გამო ჩვეულებრივზე გაცილებით ადრე დაცარიელდა.

მეჩხერად თოვდა, ფანტელები ფანჯრის მიღმა წყნარად მოფართატებდა, ხოლო ტროტუართან მდგარი აკაციები, ზაფხულში ტურბინების ფანჯრებს რომ აბნელებდა, თოვლის გვირგვინებით დამძიმებულ ტოტებს სულ უფრო დაბლა და დაბლა ხრიდა.

გულისმომწყველელი უსიამოვნებანი სადილობისას დაიწყო და მთელმა ალაღამაც უხეიროდ და უსიამოდ ჩაიარა. ელექტროშუქი რატომღაც სანახევროდ აბეუტდა. ვანდამ ვასილისას სადილად ტვინი მოუმზადა. უნდა ითქვას, რომ ტვინი ისედაც უგემურია, ხოლო ვანდას მომზადებული — კიდევ უფრო ატანელი. ტვინამდე წვნიანიც ჰქონდათ, რაშიაც ვანდას ზეთი ჩაესხა. ისე რომ ვასილისა სუფრიდან მოღუშული წამოდგა, ბოლმამორეულს ასე ეგონა, სულაც არ მისადილიათ. საღამოთი უამრავი საზრუნავი ჰქონდა და ყველა საზრუნავი უსიამოვნებასა და სატანჯველს უმატებდა. სასადილო ოთახში სასადილო მაგიდა ფეხებაყირავებული იდგა, იატაკზე კი ლებიდ-იურჩიკების დასტა ეგდო.

— სულელი ხარ, — უთხრა ცოლს ვასილისამ.

ვანდას ფერი ეცვალა.

— ხეპრე რომ იყავი, ეს დიდი ხანია ვიცოდი, — უთხრა მან ქმარს, — ნაგრამ შენმა უსაქციელობამ ბოლო ხანს პერკულესის სვეტებს უწია.

ვასილისას საშინლად მოუწონდა, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ცოლისთვის

სახეში ისე ელენა, რომ ბუფეტის კუთხისთვის მიენარცხებინა, მერე კიდევ და კიდევ შემოეკრა, იქამდე ეცემა, სანამ ეს წყვეული, გაძვალტყვებული არსება ხმას არ ჩაიკმენდდა და თავს დამარცხებულად არ აღიარებდა. ვასილისა ხომ კატანჯულია, ბოლოს და ბოლოს უღელდადგმული ხარვეთ მუშაობს და ამიტომ მოითხოვს, დიახ, მოითხოვს, რომ ოჯახში დაემორჩილოს ვასილისამ კბილები ვაკრაჭუნა და თავი შეიკავა, რადგან ვანდაზე თავდასხმა არცთუ ისე უხიფათო იყო, როგორც უცხოს ეგონებოდა.

— ისე მოიქეცი, როგორც მე გეუბნები, — კბილებში გამოსცრა ვასილისამ, — გაიგე, რომ ბუფეტი შეიძლება გამოაცურონ. მაშინ რაღას იზამ? ეს კი თავში არავის მოუვა. ქალაქში ყველა ასე აკეთებს.

ვანდა დამორჩილდა და ორივენი საქმეს შეუდგნენ, მაგიდის შიგნითა მხარეს ჭიკარტებით ფულის აკვრა დაიწყეს.

მაღე მაგიდა შიგნიდან ისე აფერადდა, აბრეშუმის ჭრელაჭრულა ხალჩას დაემგვანა.

სახეზე სისხლმოწოლილი ვასილისა კრუსუნით წამოდგა და ფულის ველს თვალი გადაავლო.

— მარჯვედ ვერ არის, — თქვა ვანდამ, — ფული როცა დაგვჭირდება, მაგიდა უნდა გადავაბრუნოთ.

— გადააბრუნებ კიდევაც, წელი არ მოგწყდება, — უპასუხა ხმაჩახრინწულმა ვასილისამ, — სჯობია მაგიდა გადააბრუნო, ვიდრე ყველაფერი დაკარგო. ვერ გაიგე, ქალაქში რა ამბავია? ესენი ბოლშევიკებზე უარესნი არიან. ამბობენ, გახურებული ჩხრეკაა, ოფიცრებს დაეძებნო.

ლამის თერთმეტ საათზე ვანდამ სამზარეულოდან სამოვარი შემოიტანა და შუქი მთელ ბინაში ჩააქრო, მერე ბუფეტიდან პარკით გამხმარი შავი პური და ერთი თავი ობმოდებული, გამწვანებული ყველი გამოიღო. მაგიდის ზემოთ ჩამოკიდებულ სამბუდიან ქალში მხოლოდ ერთი ნათურა ენთო, იმასაც ძაფები რიგიანად არ ჰქონდა გავარვარებული და ოთახს მოწითალო მკრთალ შუქს ჰფენდა.

ვასილისა ყველსა და ფრანგული ბულკის ნაჭერს ლოღნიდა. მწვანე ყველი კბილის მბურღავი ტკვილივით ისე აღიზიანებდა, ლამის ცრემლები წამოსცივნიდა. ყოველ ჩაკბეჩაზე გულისამრევი ნაფხვენები პირის მაგივრად პიჯაკზე და ჰალსტუხს შიგნით ეყრებოდა. ვერ გაეგო, რა ტანჯავდა, და ვანდას წარბშეკვრით უცქეროდა, რომელიც ყბებს გამალებით ამუშავებდა.

— ამათი ამბავი მაკვირვებს, — თქვა ვანდამ და მზერა ჭერისკენ აღაპყრო, — ყველაფერი ასე როგორ შერჩებათ ხოლმე. დარწმუნებული ვიყავი, რომ ერთ-ერთს მაინც მოკლავდნენ. არა, ყველანი დაბრუნდნენ და ბინა ახლაც ისევ ისე ოფიცრებით აივსო.

სხვა დროს ვასილისა ვანდას ნათქვამს აინუნშიც არ ჩააგდებდა, მაგრამ ახლა, დარდით გულდამძიმებულს, ცოლის სიტყვები აუტანელ უსინდისობად ეჩვენა.

— მე კი შენი ამბავი მაკვირვებს, — უპასუხა მან ვანდას და თვალები მოარიდა, რომ ნერვები არ აშლოდა, — მშვენივრად იცი, რომ ისინი სინამდვილეში სწორად მოიქცნენ. ქალაქი ვინმეს ხომ უნდა დაეცვა ამ (ვასილისამ ხმა დაიდაბლა) არამზადებისგან... თანაც ტყუილად გგონია, რომ ყველაფერი ასე ადვილად შერჩათ... მე მგონი, ალექსეი...

ვანდამ თვალები დააშტერა და თავი დააქნია.

— მე თავადაც მაშინვე ეგ გავიფიქრე... რა თქმა უნდა, დაჭრილია...

— ჰოდა, მაშ სულ ტყუილად გიხარია — შერჩათო...

ვანდამ ტუჩები გაილოკა.

— მე არაფერიც არ მიხარია, მარტო იმას ვამბობ, შერჩათო... ეს კი მაინტერესებს, ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ ჩვენთან რომ მოვიდნენ და, როგორც საბინაო კომიტეტის თავმჯდომარეს, გკითხონ: თქვენ ზემოთ ვინ ცხოვრობსო? ჰეტმანთან თუ მსახურობდნენო? ნეტა ვიცოდე, რას იტყვი?

ვასილისა მოიღუშა და თვალები დაბრცია.

— ვეტყვი, ექიმია-მეთქი... ბოლოს და ბოლოს საიდან უნდა ვიცოდე? საიდან?

— საქმეც ეგ არის, საიდან...

ამის თქმა იყო და შემოსასვლელში ზარის ხმაც გაიშა. ვასილისა გაფიქრდა, ვანდამ კი ძარღვებამომსხდარი კისერი შეატრიალა.

ვასილისა ცხვირის სრუტუნით წამოდგა და თქვა:

— იცი რა? იქნებ ტურბინებთან შეგვერბინა და დაგვეძახა?

ვანდამ ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო, რადგან ზარი იმავე წუთს განშეორდა.

— ოჰ, ღმერთო ჩემო, — ამოიგმინა გულშექანებულმა ვასილისამ, — არა, უნდა გავიდე.

შეშინებულმა ვანდამ ქმარს შეხედა და უკან გაჰყვა. ბინიდან საერთოდ დერეფანში გამავალი კარი გააღეს და ვასილისა დერეფანში გავიდა. სიცვივით წამოუბერა. კართან მდგარმა ვანდამ თხელი პირისაზე წინ წამოწია. თვალები გაჭფართოებოდა. მის ზემოთ, მოელვარე ფიალაში, ელექტროზარმა შესამედაც დაიქვრივდა.

ვასილისას ერთი წამით გაუბრინა აზრმა, ტურბინთა ბინის კარზე მიეკაკუნებინა — დერეფანში უმაღ ვილაც გამოვიდოდა და ისე აღარ შეეშინდებოდა. მაგრამ ვერ გაბედა. ვაითუ უთხრან: რას აკაკუნებდი? ჰა? რისა გეშინოდაო? ამას გარდა, გულში სუსტი იმედი გაუკრთა, იქნებ ისინი არ იყვნენ და რაღაც სხვა ამბავიაო...

— ვინა... ხარ? — მიკნაკებულნი ხმით იკითხა კართან მიმდგარმა ვასილისამ.

უმაღვე გასაღების ჭუჭრუტანიდან ჩახრინწული ხმა შემოიჭრა და ვასილისას მუცელში დაეჯახა, ვანდას თავზემოთ კი ზარი კვლავ აქვრივდა.

— გააღე, — დაიხრიალა ჭუჭრუტანამ, — შტაბიდან ვართ. ფეხი არ მოიცვალო, თორემ კარს აქედან გესვრით.

— ოჰ, ღმერთო... — ამოიგმინა ვანდამ.

ვასილისამ მომჩვარული ხელებით ჭანჭიკი და კაკვი ამოაძრო და ჯაჭვი ისე მოხსნა, თავადაც არ გაუგია.

— მალე! — უხეშად თქვა ჭუჭრუტანამ.

ჭუჭიდან სიბნელემ ვასილისას ჩამობურული ცის ლეგა ნაგლეჯით, აკაციის ტოტებითა და თოვლის ფანტელებით შემოხედა. დერეფანში სამნი შემოვიდნენ, მაგრამ ვასილისას მოეჩვენა, რომ გაცილებით მეტნი იყვნენ.

— ნება მიბოძეთ გკითხოთ... რისთვის მოხვედით?

— გასაჩხრეკად, — მგლის ხმაზე უპასუხა წინ მომავალმა და უმაღვე

ვასილისასთან მიიჭრა. ვასილისას მოეჩვენა, რომ დერეფანი შეტრიალდა და განათებულ კარში მდგარ ვანდას სახე მეტისმეტად შეპუღრულს ჰქონდა.

— მაშინ მომიტევეთ, გეთაყვა, — ვასილისას ხმა მკრთალად, უღიმღამოდ ეღერდა. — იქნებ მანდატი გქონდეთ? მე პირადად მშვედობიანი მცხოვრები გახლავართ... არ ვიცი, ჩემთან რატომ მოხვედით? მე არაფერი მქვს, — ვასილისას ძალიან უნდოდა უკრაინულად ეთქვა და კიდევაც თქვა: — ნემა.

— მაგას ჩვენ თვითონ ვნახავთ, — უპასუხა პირველმა კაცმა.

სამიჯენი ვასილისასკენ დაიბრუნნენ. დაფეთებული ვასილისა უკან იხევდა, სიზმარეულივით მიაბიჯებდა და მომხდურებსაც თითქოს სიზმარში ხედავდა. რატომღაც ეჩვენა, რომ პირველ კაცს ყოველივე მგლური ჰქონდა: წაწვრილებული სახე, ღრმად ჩამჯდარი პატარა თვალები, რუხი კანი, ბლუჯა-ბლუჯა ჩამოჩეჩილი უღვაში, დაღარული, ჩაცვივნილი, გამხდარი და გაუპარსავი ლოყენი. იგი თვალებს უცნაურად ბრეცდა, ქვეშ-ქვეშ იცქირებოდა. იმ ვიწრო გასასვლელშიც კი შეეტყო, რომ სიარულიც არაადამიანური ჰქონდა. თოვლსა და ბალახზე ძუნძულს მიჩვეული ნადირივით მიაბიჯებდა. საშინელ, არასწორ ენაზე ლაპარაკობდა — რუხული და უკრაინული სიტყვების ნარევზე — ენაზე. რომელიც ქალაქის იმ მცხოვრებთათვისაა ნაცნობი, ვისაც პოდოლზე, დნეპრის სანაპიროზე უხდება ყოფნა, სადაც ზაფხულობით ნავმისადგომის ჯალამბრები ზუზუნით ტრიალებს და ტანსაცმელჩამოძენილი მტვირთავები ბარჯიდან სანანთროს ეზიდებიან... მგელს თავზე ფაფახი ეხურა და ყაითანშემოვლებული ლურჯი ნაჭერი გვერდზე ჩამოჰფენოდა.

მეორემ -- გოლიათური აღნაგობის კაცმა ვასილისას შემოსასვლელი თითქმის ჭერამდე გაჭედა. გოლიათს ქალურად ჩათქვირული ლოყები მზიარულად უღაფღაყებდა, ყმაწვილურ სახეზე ჯერ ღინღლიც არ ამოსვლოდა. თავზე ჩრჩილისგან გამოჭმული ყურებიანი ბოხობი ეხურა, ბეჭებს რუხი მაჩარა უფარავდა, არაბუნებრივად პატარა ფეხებზე ძველისძველი, დაფლეთილი წულები მცვა.

მესამეს გვერდიდან ჩირქიანი ფუფხებით ჩაჭმული, ჩაჭყლეტილი ცხვირი და ნაიარევით დამახინჯებული, ნაკერიანი ტუჩი ჰქონდა. თავზე ოფიცრის ძველი, წითელძირიანი ქუდი ეხურა, კოკარდის ნაკვალევი რომ ეტყობოდა, ტანზე ჯარისკაცის ძველებური, ორბორტიანი მუნდირი ეცვა, რომელსაც სპილენძის გამწვანებული ღილები ეკერა, შავი შარვალი სახაზინო, მაღალყელიან, რუხ, ფუშფულა წიწვებში ჩაეტანებინა, ხოლო ფეხებზე ქალამნები ემოსა. ლამპის შუქისგან სახეზე ორი ფერი გადაჰკრავდა — ცვილისფერი და იისფერი, ხოლო თვალებიდან ტანჯული, ავი მზერა გამოკრთოდა.

— ვნახავთ, ვნახავთ, — გაიმეორა მგელმა, — მანდატიცა გვაქვს.

ეს თქვა, შარვლის ჯიბეში ხელი ჩაიყო, დაჭმუჭნული ქალაღი ამოიღო და ვასილისას მიაჩეჩა. მისი ერთი თვალი ვასილისას ლამის გულში ჩაესო. მეორე ელამმა თვალმა კი შემოსასვლელში მდგარ ზანდუკებს სწრაფად ჩაურბინა:

დაჭმუჭნულ ქალაღზე — ფურცლის მეოთხედზე შტამპი ერთყა:

სეჩელთა I-ლი კურენის შტამბი

და ქიმიური ფანქრით მსხვილად, ირიბად, ბატიფეხურად ეწერა:

ვბრძანებთ, ჩხრეკა ჩაატაროთ ალექსეევის დაღმართზე № 13 სახლში მცხოვრებ ვასილი ლისოვიჩთან. წინააღმდეგობის გაწევა ისჯება დახვრეტით.

შტაბის უფროს პროცენკო
ადიუტანტი მუკლუნი

გენერალის რეზიდენცია

მარცხენა ქვედა კუთხეში გაურკვეველი ლურჯი ბეჭედი
იყო დასმული.

სანამ მგელი ქალაქს უკანვე გამოართმევდა, ვასილისას შპალერის მწვანე თაიგულები თვალებში უთამაშებდა.

— გთხოვთ მობრძანდეთ, მაგრამ მე არაფერი გამაჩნია, — უთხრა მან მგელს.

მგელმა ჩიბიდან მანქანის ზეთით გაპოხილი შავი ბრაუნინგი ამოიღო და ვასილისას მიაწვდინა.

— ვაი! — ხმადაბლა წამოიკივლა ვანდამ.

სახედასახიჩრებულ კაცის ხელში მანქანის ზეთით გაბზინებული, გრძელი კოლტი მკვირცხლად აპრიალდა. ვასილისამ მუხლები ჩახარა, ცოტათი ჩაჭდა და დადაბლდა. ელექტროშუქმა რატომღაც თეთრად და მხიარულად იაკეთქა.

— ბინაში ვინ არის? — ჩახრინწული ხმით ჰკითხა მგელმა ვასილისას.

— არავინ, — გათეთრებული ტუჩების ცმაცუნით უპასუხა ვასილისამ. — მე და ჩემი ცოლი ვართ.

მგელი თანამგზავრებს მიუბრუნდა და ხიხინით უთხრა:

— აბა, ბიჭებო, გაჩხრიკეთ... ცოტა სწრაფად, დრო არა გვაქვს.

გოლიათმა ზანდუკი პატარა კოლოფივით შეანჯღრია, სახედასახიჩრებულ კი ღუმლისკენ გასხლტა. რევოლვერები გაქრა. სახედასახიჩრებულმა ღუმლის კედელზე მუშტი ააბრაგუნა და სარქველი ჩხაკუნით გამოაღო. შავი კაჩიდან ძალმიღებული სითბო გამოიქრა.

— იარაღი გაქვთ? — იკითხა მგელმა.

— ბინდისს გეფიცებით... რას ბრძანებთ, რა იარაღი...

— არა გვაქვს, — ერთი ამოსუნთქვით დაუმოწმა ვანდას ჩრდილმა.

— გირჩევნია თქვა, თორემ ხომ ნახე, რომ დახვრეტაა? — ჩაგონებით უთხრა მგელმა ვასილისას.

— ღმერთმანი... საიდან მექნება?

კაბინეტში მწვანე ლამპა აინთო და სულის სიღრმემდე აღშფოთებულმა თუჯის ალექსანდრე II-მ სამეულს გადმოხედა. კაბინეტის მწვანე შუქზე ვასილისამ თავის სიცოცხლეში პირველად შეიგრძნო, კაცს როგორ ეწვევა გონების დაკარგვის წინათგრძნობა და საშინელ თავბრუს ახვევს. სამივე პირველ რიგში შპალერის სინჯვას შეუდგა. გოლიათმა წიგნები დასტა-დასტა, მსუბუქად, თამაშ-თამაშით ჩამოყარა და თაროები ერთიმეორეზე დააცარიელა. მერე ექვსივე ხელი კედლებს კაკუნით აუყვა... ტუპ, ტუპ... — ყრუდ გაისმოდა კაკუნი კედელზე. ტუკ, — უცებ ამოიძახა სამალავის ფირფიტამ. მგლისებრ თვალებში სიხარულმა იელვა.

— მე რა ვთქვი? — უხმოდ ჩაიჩურჩულა მგელმა.

გოლიათმა სავარძლის ტყავი მძიმე ფეხებით ჩაგლიჯა, თავი კი ლამის

ჭერს მიაბჯინა. მისი თითების ქვეშ რაღაც წრიპინით ვასკდა. წამიც და გოლიათმა კედლიდან ფირფიტა ამოაძრო. ჭვარედინად ზონარგადაჭერილი ქალაღდის პაკეტი მგელმა ხელში მოიგდო. ვასილისა დაბარბაცდა და კედელს მიაყრდნო. მგელი თავის ქნევას მოპყვა, დიდხანს აქნევდა ასე და თან სულშიმქრალ ვასილისას აცქერდებოდა.

ეს რა არის, შე დამძალო, — წამოიწყო მან ცხარედ, — მიყვარხარის? აკი არაფერი გქონდა, შე ქუენის ნათრევო. გვითხარი, არაფერი მაქვსო, ფული კი კედელში შეგიმალია. ღირსი არა ხარ მოგკლათ?

— რას ამბობთ! — შეპყვივლა ვანდამ.

ვასილისას უცნაური რაღაც დაემართა; უცებ საშინელი სიცილი აუტყდა. მისი სიცილი იმიტომ იყო საშინელი, რომ ცისფერ თვალებში შიში უხტოდა და მხოლოდ ტუჩები, ცხვირი და ლოყები უცინოდა.

— ბატონებო, მომიტევეთ და, დეკრეტი ხომ არანაირი არ გამოსულა. აქ რაღაც ქალაღდებია ბანკისა და ორიოდე ნივთი... ფული კი ცოტაა... ჩემი მონაგრებული... ახლა ხომ მეფის ფული მაინც გაუქმებულა...

ვასილისა ლაპარაკობდა და მგელს ისე უყურებდა, თითქოს მისი ხილვა უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა.

— ნამდვილად დასაპატიმრებელი ხარ, — დარიგების კილოზე უთხრა მგელმა ვასილისას, პაკეტი შეანჯღრია და დახეული მაზარის უძირო ჭიბეში ჩაიტენა. — აბა, ბიჭებო, უჯრებს მიხედეთ.

თავად ვასილისას მიერ გაღებული უჯრებიდან ამოიშალა ქალაღდის დასტები, დიდი და პატარა ბეჭდები, ბარათები, კალმები, პორტსიგარები. ფურცლები მოეფინა მწვანე ხალიჩას და მაგიდის წითელ მაუდს, შრიალით ცვიოდა იატაკზე. სახედასახიჩრებულმა კაცმა კალათა გადააბრუნა. სასადილო ოთახში კედლებზე ზერელედ, თითქოს უხალისოდ აკაკუნებდნენ. გოლიათმა ხალიჩა აიტაცა და იატაკზე ფეხები ააბაკუნა, რის გამოც პარკეტს ოკრობოკრო, თითქოს ამომწვარი ნაკვალევი დააჩნდა. შუალამისკენ ელექტრობა გაძლიერდა, მხიარულ შუქს აფრქვევდა და გრამოფონის ყვავილს ალაპლაპებდა. ვასილისა სამეულს ფეხების ფრატუნით დაპყვებოდა. უდრტვინველი სიმშვიდე დაეუფლა და მისი აზრები თითქოს დალაგებით მიედინებოდა. საწოლი ოთახი უმაღ აირდაირია. სარკეებიანი კარადიდან გადმოცვივდა და აკოკოლავდა საბნები, ზეწრები, ყირაზე დადგა ლეიბი. გოლიათი უცებ შეჩერდა, სახეზე მორცხვი ღიმილი გადაეფინა და საწოლქვეშ შეიხედა. იქიდან ვასილისას ახალი, მაღალყელიანი გალაქული შევროს ფეხსაცმელი იცქირებოდა. გოლიათმა ჩაიციხა და ვასილისას დარცხვენით შეხედა.

— რა კობტა წაღებია, — თქვა მან წრიპინა ხმით. — ხომ არ მომერგება?

ვასილისამ ვერც კი მოისაზრა, რა ებასუნა, რომ გოლიათი დაიხარა და ფეხსაცმელს ხელი ნაზად წაავლო. ვასილისა შეკრთა.

ეგ შევროსია, ბატონებო, — თქვა მან. თავადაც არ იცოდა, რას ამბობდა.

მგელი მისკენ შეტრიალდა, ელაში თვალებიდან ღვარძლნარევი მრისხანება გამოუკრთა.

— გაჩუმდი, შე ბაღლინჯო, — უთხრა მან პირქუშად. — გაჩუმდი-მეთქი!

— გაიმეორა უცებ გაღიზიანებულმა. — მადლობა გვითხარი, განძის გადამალვისთვის რომ არ მიგახვრიტეთ, როგორც ქურდი და ყაჩაღი. გაჩუმდი, — გა-

ნაგრძობდა იგი, ერთიანად გადაფითრებულ ვასილისასკენ მიიწევდა და თვალს მრისხანედ უბრიალებდა. — ქონება მოგიგროვებია, ცხვირ-პირი დაგიმრგვალებია, თვითონ ვარდისფერი ხარ ღორივით, ამ პატროსან ხალხს კი რა აცვია, ვერ ხედავ? ვერ ხედავ? ამას ფეხები მოყინული აქვს, დაფლეთილი, შენი გულისთვის სანგრებში სული სძვრებოდა, შენ კი შინ იყავი მოკალაღებულნი, გრამოფონს უკრავდი. უ-უპ, შენი მშობელი დედა! — თვალეში სურვილმა გაუელვა, ვასილისასთვის ყურის ძირას გაელაწუნებინა და ხელი აიქნია.

— რას სჩადით? — შეჰკვივლა ვანდამ.

მგელმა ვერ გაბედა წარმოსადეგი ვასილისასათვის გაერტყა და მხოლოდ მკერდში წაჰკრა მუშტი.

გაფითრებულმა ვასილისამ მწვავე ტკივილი იგრძნო, დაბარბაცდა და გული ჭმუნვით აეგსო. „ესეც თქვენი რევოლუცია. — გაურბინა ვარდისფერსა და გასალუქებულ თავში, — დიდებული რამეა. ყველანი უნდა ჩამოეხრჩოთ, მაგრამ ახლა რაღა დროსაა...“

— ვასილკო, ჩაიცვი, — აღერსიანად უთხრა მგელმა გოლიათს.

გოლიათი ზამბარებიან ლეიბზე ჩამოჯდა და დაფლეთილი წულები გაიძრო, მაგრამ ფეხსაცმელი ნაცრისფერი, მაღალყელიან სქელ წინდებზე არ ჩაეტირა.

— კაცს წინდები მიეცი, — მკაცრად უთხრა მგელმა ვანდას.

ვანდა ყვითელი კარადის ქვედა უჯრასთან უმაღლ ჩაცუცქდა და წინდები ამოიღო. გოლიათმა ნაცრისფერი, მაღალყელიანი წინდები გაიძრო, წითელთითებიანი, აქა-იქ შავად ამოჭმული ტერფები გამოაჩინა და ახალი წინდები ჩაიცვა. ფეხსაცმელები ძლივს ჩაეტია. მარცხენა ფეხსაცმლის ზონარი ტკაცანით გაწყდა. აღფრთოვანებულმა გოლიათმა ბავშვურად გაიღიმა, ზონრის ნაწყვეტები გადააბა და წამოდგა. უმაღლ თითქოს რაღაც შეიცვალა ამ უცნაური ხუთი ადამიანის დაძაბულ ურთიერთობაში და სისადავემ დაისადგურა. სახედასახიჩრებულმა გოლიათის ფეხებზე მაღალყელიანი ფეხსაცმელი დაინახა თუ არა, პირსაბნის გვერდით ლურსმანზე ჩამოკიდებული ვასილისას შარვალი ფიცხლად ჩამოხსნა. მგელმა ვასილისას ეჭვიანად ერთხელაც შეხედა, ხომ არაფერს ატყვისო, მაგრამ ვასილისა და ვანდა არაფერს ამბობდნენ, ორივეს სახე ერთნაირად გაფითრებოდა და თვალეები დასკყეტოდა. საწოლი ოთახი მზა ტანსაცმლის მაღაზიას დაემგვანა. სახედასახიჩრებული კაცი დაფხრეწილ-დაძონძილი ზოლიანი ნიფხვის ამარა იდგა და შარვალს სინათლეზე ათვალთვრებდა. ჩამოჯდა და შარვალი ამოიცვა.

ჩამოჯდა და შარვალი ამოიცვა.

მგელმა ჭუჭყიანი გიმნასტურა ვასილისას ნაცრისფერ პიჯაკზე გადაცვალა, თანაც ზოგიერთი ქალაღდი პატრონს დაუბრუნა და უთხრა:

— აქ რაღაც ქალაღდებია, ბატონო, გამომართვით, იქნებ გჭირდებათ.

მერე მაგიდიდან გლობუსისნაირი მინის საათი აიღო, რომელსაც მსხვილი და შავი რომაული ციფრები ამშვენებდა, და მაზარა კვლავ ჩაიცვა. საათის წიკწიკი ახლა მაზარის უბიდან მოისმოდა.

— საათი საჭირო რამეა. უსაათოდ კაცი თითქოს უსულოა, — ეუბნებოდა მგელი სახედასახიჩრებულს და ვასილისას სულ უფრო და უფრო უტკებობდა, — ღამე შეხედავ და გაიგებ, რა დროა, — ძალიან საჭირო რამეა.

მერე ყველანი დაიძრნენ, სასტუმრო ოთახი უკანვე გამოიარეს და კვლავ

კაბინეტში შევიდნენ. ვასილისა და ვანდა სამეულს გვერდიგვერდ მაჰყვებოდნენ. კაბინეტში მგელი თვალების ბრეცით რალაცაზე ჩაფიქრდა, მერე ვასილისას უთხრა:

— ბატონო, ხელწერილი უნდა მომცეთ... (მას რალაცა ფიქრი არ ასვენებდა და შუბლი გარმონივით ეჭმუჭნებოდა.)

— რაო? — ჩაიჩურჩულა ვასილისამ.

— ხელწერილი, რომ ნივთები ჩავვაბარეთ, — განუმარტა მგელმა, თან იატაკს ჩასცქეროდა.

ვასილისას ლოყები წამოუწითლდა.

— ეს როგორ... მევე... (უნდოდა ეყვირა: როგორ, მევე მოგცეთ ხელწერილიო?! — მაგრამ ამ სიტყვების ნაცვლად სხვა რამ წარმოთქვა) თქვენ... ხელწერილის მოცემა თქვენგან მეკუთვნის, ასე ვთქვათ...

— ოჰ, შენ მართლა ჩაძაღვების ღირსი ყოფილხარ. უუ, შე სისხლის-მსმელო... ვიცი, რასაც ფიქრობ. ვიცი. ძალაუფლება შენს ხელში რომ იყოს, მწერებივით ამოგვყლუტდი. უუ, ვატყობ, რომ შენთან წესიერი ლაპარაკი არ გადის. ბიჭებო, კედელთან მიაყენეთ. ერთი დაეახალო...

იგი გაბრაზდა, ვასილისას ყელში სწვდა და კედელზე მიაჭექჭყა. ვასილისას სახე უმაღლ ერთიანად აუწითლდა.

— ვაი, — შეჰყვირა შეშინებულმა ვანდამ და მგელს ხელში ეცა, — რას სჩადით? მოგვიტევეთ... ვასია, დაწერე, დაწერე...

მგელმა ინჟინერს ხელი უშვა. ვასილისას საყულო, თითქოს ზამბარა გაუწყდაო, გვერდზე ტკაცანით გახტა. ვასილისამ ვერ შეამჩნია, სავარძელში როგორ ჩაჯდა. ხელები უკანკალებდა. ბლოკნოტიდან ფურცელი ამოხია და კალამი პელანში ჩააწო. სიჩუმე ჩამოვარდა და იმ სიჩუმეში გაისმოდა, მგლის ჭიბეში გლობუხი როგორ წიკწიკებდა.

— რა დაწერო? ჰკითხა მგელს ვასილისამ მიღეული, ჩახრინწული ხმით.

მგელი ჩაფიქრდა, თვალები აახამხამა.

— დაწერე... სეჩელთა კურენის შტაბის ბრძანებით... ნივთები... ნივთები... შემდეგი რაოდენობით... უვნებლად ჩავაბარე..

— რაოდენ... ერთი კი ამოიწრიპინა ვასილისამ და უმაღ დადუმდა.

— ...ჩავაბარე ჩხრეკისას... და არავითარი პრეტენზია არა მაქვს. ხელი მოაწერე...

ვასილისამ უკანასკნელი გამბედაობა მოიკრიბა, მგელს თვალი აარიდა და ისე ჰკითხა:

— ვის ჩავაბარე?

მგელმა ვასილისას ეჭვით შეხედა, მაგრამ გულისწყრომა დაიოკა და მხოლოდ ამოიოხრა.

— დაწერე: ჩაიბარა... უვნებლად ჩაიბარეს ნემოლიაკამ (იგი ჩაფიქრდა, მერე დასახიჩრებულს შეხედა)... კირპატიმ და ატამანმა გრიგალმა.

ვასილისა ქალაღდს ბინდგადაკრული თვალებით დასცქეროდა და იმას წერდა, რასაც მგელი უკარნახებდა. წერა რომ დაამთავრა, ხელმოწერის ნაცვლად „ვასილის“ მიაწერა და ქალაღდი მგელს გაუწოდა. მან ფურცელი გამოართვა და ნაწერს ჩააცქერდა.

ამ დროს შორს, კიბის თავზე, მინის კარი გაჭახუნდა, ფეხის ხმა გაისმა და მიშლაევსკამ დაიგრგვინა.

მგელს სახეზე უცებ ნაცრისფერი დაედო, მისი თანამგზავრები აწრი-
აღდნენ.

— ჰა! — ხმადაბლა შეჰყვირა მგელმა, ჯიბიდან ბრაუნინგის მუხრუღი და ვასილისას მიაშვირა. ვასილისამ ტანჯულად გაიღიმა.

კართა მიღმა დერეფანში ფეხის ხმა და შეძახილები გაისმა. მერე ჭანჭიკი, კაკვი და ჯაჭვი აჩხარუნდა და კარი ჩაიკეტა, დერეფანში ისევ გაირბინა ვი-
ლაცამ და მამაკაცის სიცილი გაისმა. ბოლოს მინის კარი მიიხურა, ზემოთ ამი-
ვალთა ფეხის ხმა მიწყდა და სიჩუმე ჩამოვარდა. სახედასახიჩრებული შემო-
სასვლელში გავიდა, კართან დაიხარა და მიაყურადა. უკან როცა დაბრუნდა,
მგელს მრავალმნიშვნელოვნად გადახედა და ყველანი შემოსასვლელში გალაგ-
დნენ. იქ, შემოსასვლელში, გოლიათმა ვიწრო ფეხსაცმელში თითები შეატოკა
და თქვა:

— შემცივდება.

მან ვასილისას კალოშები ჩაიცვა.

მგელი ვასილისას მიუბრუნდა და თვალების ცეცებით ხმადაბლა, დაყვავე-
ბით უთხრა:

— აი, რას გეტყვით, ბატონო... არსად წამოგცდეთ, რომ თქვენთან ვიყუ-
ვით, თორემ, თუ ჩვენზე სიტყვას დაძრავთ, ჩვენი ბიჭები დაგხოცავენ. ბინიდან
დილაამდე ფეხი არ გადგათ, ამისთვის მკაცრად დაისჯებით...

— ბოდიშს მოგახსენებთ, — მყაყე ხმით თქვა ცხვირჩაჭყლეტილმა.

სახელაუღაგა გოლიათს არაფერი უთქვამს, მხოლოდ მორცხვად შეხედა ვა-
სილისას, პრილა კალოშებს კი სიხარულით დააცქერდა. ისინი დერეფანში
ვასილისას კარიდან ქუჩაში გასასვლელ კარამდე რატომღაც ფეხის წვერებზე
მიდიოდნენ, ჩქარობდნენ და ერთმანეთს ეჯახებოდნენ. აჩხარუნდა საკეტები, გა-
მოჩნდა მოქუფრული ცა; ვასილისამ ჭანჭიკები გაყინული ხელებით ჩაკეტა.
თავი უბრუნდა და მოეჩვენა, სიზმარს ვხედავო. უცებ გული გაუჩერდა, მერე
კი აჩქარებით დაუწყო ბაგაბუგი. შემოსასვლელში ვანდას ქვითინი გაისმა. იგი
ზანდუკზე დაემხო და თავი კედელს მიახალა. სახეზე მსხვილი ცრემლები
ჩამოსდიოდა.

— ღმერთო ჩემო! ეს რა ხდება?... ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო. ვასია...
ასე ივალდათვალ. ჩვენს თავს რა ამბავია?...

მას წინ მდგარი ვასილისა ფოთოლივით თრთოდა, სახე დამანჭოდა.

— ვასია, — შესძახა ვანდამ, — იცი რა... ისინი არც შტაბიდან იყვნენ და
არც პოლკიდან. ვასია! ბანდიტები იყვნენ!

— მე თავადაც, თავადაც მივხვდი, — ბუტბუტებდა ვასილისა, სასოწარ-
კვეთილებისგან აღარ იცოდა, რა ექნა, და მარტო ხელებს შლიდა.

— ღმერთო ჩემო! — შეჰყვირა ვანდამ. — სასწრაფოდ, ამწუთას უნდა
გავიქცეთ, ამწუთას განვაცხადოთ, დავაჭერინოთ. დავაჭერინოთ! ღმერთო დი-
დებულო! ყველაფერი წაიღეს. ყველაფერი! ვინმე მაინც რომ... ვინმე მაინც...
ჰა! — იგი აცახცახდა, ზანდუკიდან იატაკზე ჩაცურდა, სახეზე ხელები აიფა-
რა. თმა გაეწეწა და კოფთა ზურგზე გაეხსნა.

— სად განვაცხადოთ, სად?... ეკითხებოდა ვასილისა.

— ღმერთო ჩემო, შტაბში, ვარტაში! განცხადება მივიტანოთ. ჩქარა. ეს რა ამბავია?!

ვასილისა ერთ ადგილს ტკეპნიდა, მერე კარისკენ გაექანა, შინის ტიხარს ეცა და ბრაგაბრუვი აუტეხა.



შერვინსკისა და ელენას გარდა ყველას ვასილისას ბინაში მოეყარა თავი. გაფითრებული ლარიოსიკი კართან იდგა. ფეხებგაფარჩხულმა მიშლაევსკიმ უცხო სტუმრების დაყრილ, დაფხრეწილ წულეებსა და ძველმანებს დახედა და ვასილისას მიუბრუნდა:

— მორჩა, ჭირი მოგჭამა. ბანდიტები ყოფილან. ღმერთს მადლობა შესწირეთ, ცოცხლები რომ ხართ. სიმართლე გითხრათ, მიკვირს, ასე იოლად როგორ გადარჩით.

— ღმერთო ჩემო... ეს რა გვიყვეს. — თქვა ვანდამ.

— შემუქრებოდნენ, მოგკლავთო.

— მადლობა თქვით, რომ მუქარა არ შეასრულეს. ასეთ რამეს პირველად ვხედავ.

— სუფთა ნამუშევარია, — ხმადაბლა დაუმოწმა კარჩხანამ.

— ახლა რა უნდა ვქნათ?.. — ჰკითხა მიშლაევსკის სულგამკრთალმა ვასილისამ. — საჩივლელად გავიქცეთ?.. სად გავიქცეთ?.. თუ ღმერთი გწამთ, ვიქტორ ვიქტოროვიჩ, რამე მირჩიეთ.

მიშლაევსკი აჯიყჯიყდა, ჩაფიქრდა.

— არსად ჩივილს არ გირჩევთ, — უთხრა მან, — იმათ ვერ დაიჭერენ. ეს ერთი, — თქვა და გრძელი თითი მოკაკვა, — მეორეც...

— ვასია, არ გახსოვს, რა თქვეს, ჩვენზე სიტყვა არ დაძრათ, თორემ დაგხოცავთო?

— ეს სისულელეა, — მიშლაევსკიმ შუბლი შეჭმუხნა, — არავინ დაგხოცავთ. — მაგრამ, გეუბნებით, იმათ ვეღარ დაიჭერენ, არც ვინმე დაუწყებს დევნას. მეორეც, — მან მეორე თითი მოკაკვა, — ხომ უნდა განაცხადოთ, რომ თქვენგან, როგორც ამბობთ, მეფის ფული წაიღეს... ჰოდა, განაცხადებთ იქ, შტაბი აქვთ თუ რაღაცა, და ვაითუ მეორე ჩხრეკა ახლა იმათ მოგიწყონ.

— შესაძლოა, ნამდვილად შესაძლოა, — კვერი დაუკრა ჩხრეკის საქმეთა მცოდნე ნიკოლკამ.

განაწამებმა, გულის წასვლისას წყლით გახუნზლოლმა ვასილისამ თავი ჩაქინდრა, წირთხლზე მიყრდნობილი ვანდა ხმადაბლა აზლუქუნდა. ისინი ყველას შეეცოდა. კართან მდგარმა ლარიოსიკმა ღრმად ამოიოხრა და ამღვრეული თვალები დატყიტა.

— ასეა, ყველას თავისი გასაჭირი აქვს, — ჩაიჩურჩულა მან.

— რით იყვნენ შეიარაღებულნი? — იკითხა ნიკოლკამ.

— ღმერთო ჩემო. ორ მათგანს რევოლვერი ეჭირა. მესამეს კი... ვასია, მესაქეს არაფერი არ ჰქონდა?

— რევოლვერი ორს ეჭირა, — მისუსტებული ხმით დაუმოწმა ვასილისამ.

— რანაირი რევოლვერები იყო, არ შეგიძინევიათ? — საქმიანად ჩაეკითხა ნიკოლკა.

— აბა, რა ვიცი, — ამოიხვეწით უბასუხა ვასილსამ, — სისტემებისა მე რა გამეგება. ერთი დიდი და შავი იყო, მეორე პატარა და შავი, ძეწკვიანი.

— ძეწკვიანი, — ამოიოხრა ვანდამ.

ნიკოლკამ შუბლი შექმუხნა და ვასილისას ჩიტვიით ცალი თვალით გახედა, ერთხანს იწრიალა მოუსვენრად და მერე კარისკენ ფიცხლად გაქანდა. ლარიოსიკი უკან ჩანჩალით მიჰყვა. მას ჯერ სასადილო ოთახამდე მივიწვიანა, როცა ნიკოლკას ოთახიდან მინის ზრიალი და ნიკოლკას ყვირილი შემოესმა. ლარიოსიკი იქით გაეშურა. ნიკოლკას ოთახში შუქი კაშკაშებდა. სარკმელსკი უზარმაზარი ხერელი ხახასავით დაეღო და იქიდან სიცოვე იჭრებოდა. ნიკოლკას მინა მუხლით გაემტვრია, როცა სასოწარკვეთილი ჩამოვარდა ფანჯრის რაფიდან. იგი თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა.

— ნუთუ? — შესძახა ლარიოსიკმა და ხელები ალაპყრო. — ეს ნამდვილი ჯადოჭრობაა!

ნიკოლკა ოთახიდან გავარდა, წიგნების ოთახი გაირბინა და სამზარეულოში მყოფ ანიუტას ჩაუქროლა.

— ნიკოლ, ნიკოლ, უქუდოდ სად გარბინარ? ღმერთო ჩემო, კიდევ ხომ არაფერი მოხდა?... — შეჰყვირა რეტდასხმულმა ანიუტამ.

ნიკოლკა წინკარიდან ეზოში გაიქრა. ანიუტამ პირჯვარი გადაიწერა, წინკარში შესასვლელი ჩარაზა, სამზარეულოში შეირბინა და ფანჯარას აეკრა, მაგრამ ნიკოლკა თვალთაგან ანაზღად გაუჩინარდა.

მან უცებ მარცხნივ გაუხვია, ქვემოთ ჩაირბინა და ნამქერთან შეჩერდა, რომელსაც კედლებს შორის დარჩენილი ხერელის შესასვლელი ჩაეხერგა. ნამქერი სრულიად ხელმიუკარები დაუხვდა. „ვერაფერი გამიგია“, — ჩაიბუტბუტ. სასოწარკვეთილმა ნიკოლკამ და ნამქერს მამაცურად ეკვეთა. ეგონა, საცა სული შემეხუთებაო. თოვლს დიდხანს ფხოჭნიდა, იფურთხებოდა და ფრუტუნებდა, ბოლოს ზღუდე გაარღვია, იღუმალ ხერელში გაძვრა, მთლად თოვლში ამოვლებულმა მალა აიხედა და დაინახა: იქ, სადაც მისი ოთახის საბედისწერო ფანჯრიდან შუქი გამოდიოდა, პალოების შავი თაეები და მათი წერილი, მუქი ჩრდილები მოჩანდა, კოლოფი კი არსად იყო.

ნიკოლკას უკანასკნელი იმედილა დარჩა, იქნებ ყულფი გაწყდაო, წამდაუწყუმ იჩოქებდა და აგურის ნამტვრევებზე ხელებს აფათურებდა. კოლოფი არსად იყო.

უცებ ნიკოლკას გონება მკაფიო აზრმა გაუნათა: „ჰოო“, — შეჰყვირა მან და მესრისკენ გაბობლდა, რომელიც ხერელს ქუჩის მხრიდან ზღუდავდა. იგი მესრამდე მიხობდა და ფიცრებს ხელი წაჰკრა. ორი ფიცარი აქეთ-იქით გაიწია და ბნელი ქუჩისკენ გამავალი ფართო ღრიჭო გამოჩნდა. ყველაფერი გასაგებია... ბანდიტებმა ხერელში შემოსასვლელად ფიცრები აგლიჯეს, შიგნით შემოვიდნენ, ალბათ უნდოდათ ვასილისას ბინაში საკუჭნაოდან გადამძვრალიყვნენ, მაგრამ იქ ფანჯარაზე გისოსი დახვდათ აკრული.

ერთიანად თოვლში ამოვლებული ნიკოლკა სამზარეულოში მდუმარედ შევიდა.

— ღმერთო ჩემო, მოიცა, ჩამოგფერთხავ მაინც... — შეჰყვირა ანიუტამ.

— თავი გამანებე, თუ ღმერთი გწამს. — ჩაიბუზლუნა ნიკოლკამ და ოთახში შევიდა, თან გაფიჩხებულ ხელებს შარვალზე იწმენდდა. — ლარიონ, ერთი სიფათში გამილაწუნე, — უთხრა ლარიოსიკს.

ლარიოსიკმა თვალები აახამხამა, მერე დაჭყიტა და ნიკოლკას უთხრა:

— რა იყო, ნიკოლაშა? სასოწარკვეთილებას რატომ უნდა მიეცე? — იგი ნიკოლკას ზურგზე ხელებს გაუბედავად უსვამდა და სახელოთი ღრგლს უბერტყავდა.

— თუნდაც იმაზე არაფერი ვთქვათ, რომ ალიოშა თავს წამაგლეჯს, თუ ღმერთმა ინება და გამოჯანმრთელდა, — განაგრძობდა ნიკოლკა — მთავარი მაინც ის არის, რომ ნაი-ტურსის კოლტი წაიღეს... მერჩია, თავად შე მოვეკალით, ღმერთმანი!.. ღმერთმა დამსაჯა იმის გამო, რომ ვასილისას აბუჩად ვიგდებდი. ვასილისაც მებრალება, ბანდიტებმა ხომ სწორედ იმ რევოლვერით დააშინეს. თუმცა რა, იმას ურევოლვეროდაც ცაცხვის ყლორტივით გახვლება... ასეთი კაცია. ეჰ... ეს რა მოხდა. ქაღალდი აიღე, ლარიონ, ფანჯარაზე ავაწებოთ.

* * *

ლამით ხვრელში ლურსმნებით, ნაჯახით და ჩაქუჩით შეიარაღებული ნიკოლკა, მიშლაევსკი და ლარიოსიკი გადაძვრნენ. ხვრელი მოკლე ფიცრებით ამოქოლეს. თავად ნიკოლკა გრძელსა და მსხვილ ლურსმნებს გაშმაგებით აჭედებდა, რომ წვეტები გარეთ გაეყოფინებინა. მოგვიანებით შემინული აივანი სანთლებით გაჩხრიკეს, მერე კი ნიკოლკა, მიშლაევსკი და ლარიოსიკი გათოშილი საკუჭნაოდან სხვენზე ავიდნენ, მთელი სხვენი ბრაგაბრუვით დაიარეს, თბილ საკვამურებსა და თეთრეულს შორის წელში მოხრილებმა იძრომიალეს, ჩაქუჩები ახლა იქ აკაკუნეს და სამერცხული ამოქოლეს.

ვასილისამ როცა შეიტყო, რომ სხვენის დალაშქვრას აპირებდნენ, განუზომელი ინტერესი გამოიჩინა, ექსპედიციას შეუერთდა. ძელებს შორის თავდაცვით დაძვრებოდა და მიშლაევსკის ყოველგვარ მოქმედებას უწონებდა.

— რა დასანანია, რომ არ შეგვატყობინეთ. ვანდა მიხაილოვნა უკანა კარიდან უნდა ამოგეგზავნათ, — ეუბნებოდა ნიკოლკა ვასილისას, სანთელი დაყირავებოდა და სტეარინი ძირს ეღვენებოდა.

— არა, ძამიკო, არც მაგრეა, — უთხრა ნიკოლკას მიშლაევსკიმ, რაკილა ბინაში შემოვიდნენ, ამ საქმეს აღარაფერი ეშველებოდა. რა გგონია, თავს არ დაიცავდნენ? დაიცავდნენ და ეგრე! სანამ ბინაში ცხვირს შეყოფდი, მუცელში ტყვიას გაჯახებდნენ. ჰოდა, გამოგასალმებდნენ წუთისოფელს. დიახ, აი, შინ რომ არ შეეშვათ, მაშინ სხვა ამბავი იქნებოდა.

— ვიქტორ ვიქტორიჩ, მემუჭრებოდნენ, კარს გარედან გესვრითო, — გულთადად თქვა ვასილისამ.

— არაფრის დიდებით არ გესროდნენ, — უთხრა მას მიშლაევსკიმ, თან ჩაქუჩს აბრაგუნებდა, — არაფრის დიდებით. მთელ ქუჩას ხომ არ შეყრიდნენ.

გვიან ლამით კარჩხანა ლისოვიჩების ბინაში ლუი მეთოთხმეტესავით ნებივრობდა. ამას წინ უძღოდა ასეთი საუბარი:

— დღეს არავინ მოვა, რას ამბობთ! — ამბობდა მიშლაევსკი.

— არა, არა, არა, — ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს კიბეზე მღვარი ვანდა და ვასილისა, — გეხვეწებით, გთხოვთ, ან თქვენ ანდა ფიოდორ ნიკოლაევიჩი წამობრძანდეთ!... თქვენთვის რა ძნელი ეს არის? ვანდა მიხაილოვნა ჩაის დაგვალევიანებს, კარგ ლოგინს დაგიგებთ. ძალიან გთხოვთ, ხვალაც ჩვენთან დარჩეთ. მოგეხსენებათ, ბინაში უმამაკაციოდ ყოფნა რა ძნელია!

— ნამდვილად ვერ დავიძინებ, — დაუმოწმა ვანდამ და თივთიკის შალში გაეხვია.

— კონიაკიცა გვაქვს... გადავკრათ, — უცებ მარიფათიანად თქვა ვასილისამ.

— კარჩხანა, გაპყევი, — უთხრა მიშლავესკიმ კარჩხანას. ^{ქარჩხანას} პოდა, კარჩხანა ახლა ლისოვიჩებთან ნებივრობდა. ტვინი და ზეთით შეჩავეებული წვნიანი თურმე მხოლოდ იმ უკუღმართი სიძუნწის შედეგი გახლდათ, ვასილისამ თავის ცოლს რომ გადასდო. სინამდვილეში კი ბინის წიაღში უამრავი სიმდიდრე იმალებოდა, რის ასავალ-დასავალიც მხოლოდ ვანდამ იცოდა. სასადილო ოთახში სუფრაზე ხელდახელ გაჩნდა სოკოს მწნალი, ხბოს ხორცი, ალუბლის მურაბა და შუსტოვის ჩინებული კონიაკი. კარჩხანამ ვანდა მიხაილოვნას უთხრა, ჭიქა თქვენთვისაც მოიტანეთო, და დაუსხა.

— არ გამივსოთ, არ გამივსოთ, — ყვიროდა ვანდა. ვასილისა კარჩხანას დაემორჩილა, ხელი განწირულივით ჩაიქნია და ერთი ჭიქა დალია.

— ვასია, არ დაგავიწყდეს, რომ გვნებს, — ნაზად უთხრა მას ვანდამ. კარჩხანას ავტორიტეტული განმარტების შემდეგ, კონიაკი არავის ვნებს, სისხლნაკლებსაც კი რძესთან ერთად ასმევენო, ვასილისამ მეორე ჭიქაც გადაჰკრა, ლოყები აუვარდისფრდა და შუბლი ოფლით დაეცვარა. კარჩხანამ ხუთი ჭიქა დალია და მშვენიერ გუნებაზე დადგა. „ცოტა რომ მოასუქო, არც ისეოი ურიგო შესახედავია“, — ფიქრობდა იგი და ვანდას უყურებდა.

მერე კარჩხანამ ლისოვიჩების ბინის განლაგება შეაქო და ტურბინების ბინასთან დამაკავშირებელი სიგნალიზაციის გეგმაზე გააბა საუბარო: ერთი ზარი სამსარეულოდან უნდა გაიყვანონ, მეორე შემოსასვლელიდან. თუ რამე მოხდება, მაშინვე ტურბინებთან დარეკავენ. პოდა, კარის გასაღებად მიშლავესკი გავა. ეს კი სხვა ამბავი იქნება.

კარჩხანა ბინას ძალიან აქებდა: მყუდროა, ავეჯითაც კარგად არის მოწყობილი, მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს — ცივიაო.

დამით ვასილისამ შეშა თავად შემოიტანა და სასტუმრო ოთახში ღუმელი გაახურა. კარჩხანამ ტანთ გაიხადა და ტახტზე დაწვა. ორ ქათქათა ზეწარს შუა თავს განცხრომით გრძნობდა. პერანგზე აჭიმებგადაჭერილი ვასილისა მასთან შევიდა, ტახტის გვერდით სავარძელზე ჩამოჯდა და უთხრა:

— იცით, რა, არ მეძინება, ნებას მომცემთ, რომ ცოტა ხანი გესაუბროთ? ღუმელში ცეცხლი ქრებოდა, ჩამრგვალებული ვასილისა სავარძელში დამშვადებული იჯდა, ოხრავდა და თან ამბობდა:

— ხომ ხედავთ, ფიოდორ ნიკოლაევიჩ, ყველაფერი, რაც შეუპოვარი შრომით მქონდა შეძენილი, ერთ საღამოს ვილაც არამზადებმა ჩაიჭიბეს... ძალიანობის შედეგად... არ გეგონოთ, რევოლუციას უარეყოფდე, თ, არა, კარგად მესმის ისტორიული მიზეზები, რამაც ყოველივე ეს გამოიწვია.

ვასილისას სახესა და აჭიმების ბალთებზე მეწამული ათინათი დასთამაშებდა. კარჩხანა კონიაკმა საამოდ მოადუნა, თვლემე ერეოდა, მაგრამ თავაზიანობის გამო მაინც ცდილობდა თავი მოეჩვენებინა, თითქოს ყურადღებით უსმენდა...

— მაგრამ თავადაც დამეთანხმებით, ჩვენთან, რუსეთში, უდავოდ ყველაზე უფრო ჩამორჩენილ ქვეყანაში, რევოლუცია გადაგვარდა და პუგაჩოვში-

ნად იქცა... ხომ ხედავთ, რა ხდება... სულ ორი წლის განმავლობაში დავკარგეთ კანონიერების, ადამიანური და მოქალაქეობრივი უფლებების მინიმალური დაცვის ყოველგვარი საყრდენი. ინგლისელები ამბობენ...

— მ-მ... ინგლისელები... ისინი, რა თქმა უნდა, — ჩაიბუტბუტა კარჩხანამ, გრანჯბდა, რომ ვასილისას თანდათან რბილი კედლით შემოვიჭრებოდა.

— ...აქ კი როგორ იტყვი, ჩემი სახლი ჩემი ციხე-სიმაგრეა, როცა იმისგანაც არა ხარ დაზღვეული, საკუთარ ბინაში, თუნდაც ცხრაკლიტულს იქით არ შემოგეჭრება ისეთი ხროვა, დღეს ჩემთან რომ იყო, და ქონებას არ წაგართევს. ქონებას ვინ ჩივის, იქნებ სიცოცხლესაც გამოგასაღონს..

— სიგნალიზაციას და დარაბებს მივაწვეთ, — ძილმორეული ხმით უპასუხა კარჩხანამ, თუმცა პასუხი არცთუ მარჯვე გამოუვიდა.

— კი, მაგრამ, ფიოდორ ნიკოლაევიჩ! კი მაგრამ, ჩემო კარგო, საქმე მხოლოდ სიგნალიზაცია ხომ არ არის! იმ ნგრევასა და ხრწნას, ახლა ადამიანთა სულებში რომ დაიბუდა, ვერავითარი სიგნალიზაციით ვერ შეაჩერებთ. მომიტევეთ, მაგრამ სიგნალიზაცია კერძო შემთხვევაა. ვთქვათ და, სიგნალიზაცია გაფუჭდა?

— შევაკეთებთ, — უპასუხა ბედნიერმა კარჩხანამ.

— მთელ ცხოვრებას სიგნალიზაციაზე და რევოლვერებზე ხომ ვერ ავაგებთ. საქმე ეს არ არის. მე ზოგადად ვამბობ, ასე ვთქვათ, შემთხვევას თუ განვაზივადებთ. საქმე ის არის, რომ დავკარგეთ, რაც ყველაფერზე მთავარია საკუთრების პატივისცემა. ხოლო როცა ეს მოხდება, საქმე მორჩენილია. ჩვენ ახლა დაღუპულნი ვართ. მე ბუნებით ურყევი დემოკრატი ვარ, ხალხის წრიდან გამოსული. მამაჩემი რკინიგზაზე უბრალო ათისთავად მუშაობდა. ყველაფერი, რასაც აქ ხედავთ, და ყველაფერი, რაც დღეს იმ გაიძვერებმა წაგვართვეს, სულ ჩემი მონაგრებულია, მხოლოდ და მხოლოდ ჩემი მარჯვენით შექმნილი. დ.მ. ჩერეთ, ძველი რეჟიმის დამცველი არასოდეს ვყოფილვარ, პირიქით, საიდუმლოდ გაგიმქლავნებთ, რომ კადეტი გახლავართ, მაგრამ ახლა, როცა საკუთარი თვალით ვნახე ყოველივე ეს რასაც იწვევს, გეფიცებით, შემადრწუნებელი რწმენა დამეუფლა, რომ ჩვენი ხსნა მხოლოდ ერთ რამეს შეუძლია... — კარჩხანას ძილის რბილი საბურველი ირგვლივ სულ უფრო ეხვეოდა და ჩურჩული ამ საბურველს მიღმა ესმოდა... — თვითმპყრობელობას. დიახ... უსასტიკეს დიქტატურას, როგორიც კი შეიძლება კაცმა წარმოიდგინოს... თვითმპყრობელობას...

„მაგრად გაახურა, — ფიქრობდა ნეტარებამორეული კარჩხანა. — პო-ო, თვითმპყრობელობა მაგარი რამეა“. — ეპე მმ... — ჩაილაპარაკა მან ძილბურანში.

— ოპ, დუ-დუ-დუ-დუ — ჰაბეას კორპუსი, ოპ, დუ-დუ-დუ-დუ... ოპ, დუ-დუ... — დუდუნებდა ვიღაც ძილბურანის მიღმა, — ოპ, დუ-დუ-დუ... ტყუილად ჰგონიათ, რომ ასეთმა ვითარებამ დიდხანს შეიძლება იარსებოს, ოპ, დუ-დუ-დუ, ამოდ გაიძახიან, მრავალსა წელსაო. არა! მრავალ წელს ეს ვერ გასტანს, სასაცილოც კი არის იმაზე ფიქრი, რომ...

— ციხე-სიმაგრე ივანგოროდი, — მოულოდნელად გააწყვეტინა ვასილისას აწ განსვენებულმა ფაფახიანმა კომენდანტმა.

მრავალსა წელსა!

— არდაგანიც და ყარსიც, დაუმოწმა კარჩხანამ ბურანში.

— მრავალსა წელსა!

შორიდან ვასილისას ნაწყვეტ-ნაწყვეტი, მოკრძალებული სიცილი მოისმა.
— მრავალსა წელსა!! —
მხიარულად მღეროდნენ ხმები კარჩხანას თავში.



მრავალსა წელსა. მრავალსა წელსა.
მრა-ა-ა-ა-ა-ა-ა-ა-ა-ვალსა წე-ე-ე-ე-ე-ლსა... —

დააგუგუნა ტოლმაშევსკის სახელგანთქმული გუნდის ცხრა ბანმა.

მრა-ვა-ა-ა-ა-ლსა-ა წე-ე-ე-ლს-... —

თითქოს ბროლმა დაიწვრიალაო, ისე შემოსძახეს დისკანტებმა.

მრა-ვა-ა-ა-ა-ლსა-ა წე-ე-ე-ლსა... —

აიტაცეს სოპრანოებში და გუნდის მოძახილი გუმბათამდე აიტრა.

— შეხე! შეხე! თვითონ პეტლურა...

— შეხე, ივან...

— ოჰ, შე სულელიო... პეტლურა უკვე მოედანზეა...

ქორედებზე ასობით თავი ახუნძლულიყო. ზემოდან მაცქერალნი ერთმანეთს ეჭეჭებოდნენ, შავი ფრესკებით მოხატულ ძველისძველ სვეტებს შუა მოქცეული მოაჯირიდან გადმოკიდებულნიყვნენ. ხალხი ზიმზიმებდა, ჩოჩქოლებდა, ერთიმეორეს აწვებოდა, ჰყლებდა. ყველანი მოაჯირისკენ მიიწევდნენ, ცდილობდნენ ტაძრის წიაღში ჩაეხედათ, მაგრამ ერთმანეთზე მიჯრილ, ყვითელი ვაშლებივით სამ რიგად ჩამწყრივებულ ასობათ თავს შორის გაძრომას ვერ ახერხებდნენ. ქვემოთ სულშეხუთული, ათასთავიანი ტალღა ირხეოდა, ტალღის წემოთ კი ოფლის ბული, საკმევლისა და ასობით სანთლის კვამლი, ჯაჭვზე ჩამოკიდებულ მძიმე კანდელთა ჰვარტლი მიილტვოდა, ლეგა-ცისფერი მძიმე ფირდა რგოლებზე ეღრიალით მიცურავდა და ლითონის მოჩუქურთმებულ, ჩაშავებულს და ჩაყამებულ, საუკუნოვან აღსავლის კარს ფარავდა, ისეთსავე ჩაყამებულს, როგორც მთელი სოფლის ტაძარი იყო. ქორკანდელეებში სანთელთა ცეცხლოვანი კუდები ტკაცუნით ირხეოდა, ჰაერი არ ჰყოფნიდა და აკვამლებულ ძაფებად მალღა მიიწევდა. სამსხვერპლოს ეკვდერში უჩვეულო აღიაქოთი იდგა. საკურთხეველის გვერდითა კარებიდან გრანიტის გალუულ ფილებზე ცვიოდა ოქროსფერი სამოსელი, ფრიალებდა ოლარები. მუყაოს მრგვალი კოლოფებიდან იისფერ კუნკულებს იღებდნენ. კედლებიდან ჩამოხსნილი დროშები ძირს რხევით ეშვებოდა, სადღაც, ხალხის შუაგულში, მთავარდიაკონ სერებრიაკოვის შემზარავი ბანი გუგუნებდა. უთავო, უხელებო შესამოსელი ბრბოს თავზე კუზივით ფარფატებდა, მერე ხალხში ჩაინთქა, შემდეგ დაბამბული ანაფორის ჯერ ერთი სახელო აიტრა მალღა, ახლა მეორე. აფრიალდა და გამონინასკვა კუმბოკრული თავშლები.

— მამაო არკადი, ლოყები კარგად აიხვიეთ, საშინელი ყინვაა. ნება მიბოეთ მოგეხმაროთ.

დროშები კარებში დამარცხებულთა აღმებევით დაიხარა, დაიძრა ყავის-

4. „საუნჯე“ № 3.

ყერი გუნდი და დაირხა იდუმალი, უმშვენიერესი სიტყვები, კალთები იატაკზე მიცურავდა.

- გზა დაუთმეთ...
- ღმერთო ჩემო, სად მიდიხარ?
- მანკა! გაგჭყლეტენ...
- ვის უგალობენ? (ბანი, ჩურჩულით). უკრაინის სახალხო რესპუბლიკას?
- ეშმაკმა უწყის (ჩურჩულით).
- არ გინდოდა მამაო და ხომ დაგიდგა მამადო.
- ჩუმად...



მრავალსა წელსა!!!

აწკრიალდა გუნდი და მისი ხმა მთელ ტაძარს მოეფინა... ჩასუქებულმა, სახელაუღაჟა ტოლმაშევსკიმ ცვილის გამდნარი სანთელი ჩააქრო და კამერტონი ჯიბეში ჩაიღო. თავით ფეხამდე ოქროსყაითნიან ყავისფერ ტანსაცმელში გამიწყობილი გუნდი ჩაშავებულ-ჩაყამებული ქორედეებიდან დაეშვა. მოირწეოდა დისკანტების ბაცთმიანი, თითქოს მელოტი თავები, ცხენისთავა ბანებს სორხები ებურცებოდათ. ყოველი მხრიდან ერთმანეთის ჯგლეთით ზვაევიით დაექანა, მორევივით დატრიალდა აჩოჩქოლებული ხალხის შედედებული ტალღა

ეკვდრებიდან მოცურავდა სტიქარები, თითქოს კბილის ტკივილის გამო ყბაახვეული თავები, დაბნეულად მომზირალი თვალები, მუყაოს პაწაწინა, ისფერი ქუდები. მამა არკადის, საკათედრო ტაძრის წინამძღვარს, ტანმორჩილ, ღონემიხდილ კაცს ფერადი თვლებით მოჭედილი, აბრჭყვიალებული მიტრარუხი, კუბოკრული თავსაბურავის ზემოდან დაეკოსებინა და ხალხის ნაკადში ფეხების ფლასუნით მიცუხცუხებდა, თვალებში სასოწარკვეთილება ეხატებოდა, წვერი უცანცარებდა.

- ლიტანია იქნება. წამო, ვიტკა.
- წყნარად! სად მიძვრებით? მღვდლები არ გაჭყლიტოთ...
- გზაც იქითა ჰქონიათ.
- მართლმადიდებელნო!!! ბავშვი გაჭყლიტეს...

ვერაფერი გამიგია...
— თუ ვერ გაგიგიათ, მაშ გირჩევნიათ, შინ წახვიდეთ, აქ არაფერი გესაქმებათ...

- ქისა ამაჭრეს!!!
- მომიტევეთ, მაგრამ ესენი ხომ სოციალისტები არიან. ასე არ არის? მაშ მღვდლებს რაღა ესაქმებათ?
- ბოდიში.

— მღვდლებს ფული ჩაუჩხრიალე და გინდა ტარტაროზს გაუმართავენ წირვას.

- ურიგო არ იქნება, ახლა ბაზარში რომ შევირბინოთ და ურიების დუქნებს დავერიოთ. სწორედ კარგი დროა...
- მე თქვენს ენაზე არ ვლაპარაკობ.
- ქალი გაგუდეს, ქალი გაგუდეს...
- გა-ა-ა-ა... გა-ა-ა-ა...

სვეტების უკანოდან და გვერდოდან, ქორედეებიდან ხალხი კარებისკენ მი-

იწვედა. კიბის საფეხურიდან საფეხურზე ფეხის ჩადგმა უჭირდათ, ერთი მეორეზე მიჭექვცილებს გვერდზე შებრუნება, შეტოკება არ შეეძლოთ. ვინ იცის, რომელი საუკუნის ყავისფერი, მსხვილკანჭიანი ტაკიმასხრები კედელზე ძველ ფრესკებზე სტვირს უკრავდნენ და მოცეკვავდნენ. ყველა გასასვლელში შრიალით, გუგუნით მიეჭანებოდა სანახევროდ გაგუდული, ნახშირორქვანვით, კვამლითა და საკმევლის სუხით გაბრუებული ხალხი. ბრბოში ხან საღი ქანაზნი სად გაისმოდა გულშეღონებული ქალების შეკივლება. შავკაშნეიან რბილობებს თანამოდებით მუშაობდნენ, ადამიანთა ერთიმეორეზე მიწებებულ, დაჯგულეთალ, დაგუნდავებულ სხეულთა შორის გაწაფულ, ვირტუოზულ ხელებს დააცოცებდნენ. გაისმოდა ათასობით ფეხის ღრატუნნი, ჩურჩული, შარიშური.

- ღმერთო დიდებულო...
- იესო ქრისტე... ღვთისმშობელო დედაო...
- ნეტავი აქ ფეხი არ მომედგა. ეს რა ხდება?
- ჭირმა წაგიღოს, შე სალახანა.
- საათი, ხალხო, ვერცხლის საათი, ძმებო, გუშინ ვიყიდე...
- პაიპარად წირეს, ასე ვთქვათ...
- რა ენაზე წირავდნენ, ჩემო კარგო, ვერ გავიგე...
- ღვთის ენაზე, დედილო.
- ახლა სასტიკად აიკრძალება მოსკოვურ ენაზე ლაპარაკი.
- ეს რანაირად შეიძლება? მართლმადიდებლურ, მშობლიურ ენაზე ლაპარაკის უფლება აღარ გვაქვს?
- საყურე მთლიანად ამაგლიჯეს, ნახევარი ყური ჩამომახიეს...
- ბოლშევიკი დაიჭირეთ, ბიჭებო! ჯაშუში! ბოლშევიკების ჯაშუში!
- აქ რუსეთი ნუ გგონიათ, ბატონო ჩემო.
- ოჰ, ღმერთო ჩემო, ფოჩიანები... მარუსია, შეხედე, სირმიანები...
- გული მიწუხს...
- ქალს გული უწუხს.
- გული ყველას უწუხს, დედილო. მთელი ხალხი დიდ გასაჭირშია. თვალი არ ამომთხაროთ, თვალი. ნუ მაწევებით. რამ გაგაცოფათ, თქვე წყეულებო?!
- მოუსვით რუსეთში! მოუსვით უკრაინიდან!
- ივან ივანოვიჩ, ახლა აქ პოლიციის რაზმები რომ გამოჩნდეს! გახსოვთ, დღესასწაულებზე რომ იყო ხოლმე... ეჰ, ჰო, ჰო.
- სისხლიანი ნიკოლოზი მომინდომეთ? ვიცი, ყველაფერი ვიცი, თავში რა აზრებიც გიტრიალებთ.
- თუ ღმერთი გწამთ, თავი გამანებეთ, მე ხომ არაფერს გერჩით.
- ღმერთო ჩემო, მალე მაინც გავიდეთ გარეთ... სუფთა ჰაერი ჩავისუნთქოთ...
- ვერ მივალწევ, მოვკვდები.

მთავარ გასასვლელს ხალხის ტალღა აწვებოდა, გარეთ მიგორავდა, მიჭანაობდა, აქეთ-იქით აწყდებოდა, ქუდებს კარგავდა, ჩოჩქოლებდა, პირჯვარს იწვრდა. მეორე, გვერდითა გასასვლელიდან, სადაც ორი შინა ხელდახელ გაამტვრიეს, მელიტანიეთა ვერცხლისფერ-ოქროსფერი, გაგუდული, რეტდასხმული გროვა და მომღერალთა გუნდი გაიჭრა. შავ ტალღაში მილივლივებდა ოქროს-

ფერი სამოსელი, ამოზიდულიყო კუნკულები და მიტრები, დროშები მინებიდან დახრილი გამოაძვრინეს, შერე გამოართეს და თავადერილი გააცურეს.

ძალზე ყინავდა. ქალაქს კვამლი ასდიოდა. ტაძრის ეზოში ათასობით ადამიანის ფეხით დაკტეპნილ თოვლს ხრამხრუში გაჰქონდა. სუსხიან ჰაერში გათოშილი ორთქლი იბოლქვებოდა და სამრეკლოსკენ მიიწეოდა. სამრეკლოზე სოფლის ტაძრის მძიმე ზარი გუგუნებდა და ამ საშინულეს ხრამ-დგანდგარის დაფარვას ლამობდა. პატარა ზარები არეულ-დარეულად, გაბმით წყარუნობდა, ერთიმეორეს არ აცდიდა, გეგონებოდათ, ანაფორით თვით სატანა შემოსილა, სამრეკლოში მოკალათებულა და ეს აურზაური თავის შესაქცევად აუტეხავსო. თათართა შემოსევისას საგანგაშო რეკვის მომსწრე მრავალსართულიანი სამრეკლოს შავ ჭრილებში პატარა ზარები ჯაჭვით დაბმული ავი ძაღლებივით აქეთ-იქით აწყდებოდნენ და ლავდავებდნენ. ყინული ხრამუნობდა, ოხშივარი ასდიოდა. სულის მოსათქმელად გარეთ გამოფენილმა ხალხმა ტაძრის ეზო ერთიანად ჩააშავა.

თუმცა საშინლად ყინავდა, ძველი სოფლის ტაძრის სამრეკლოსკენ მიმავალი მოკირწყლული ბილიკის გასწვრივ თავშიშველი, თურქულად ფეხმორთხმული ღვთის გლახები უკვე გვერდიგვერდ ჩამწკრივებულიყვნენ და ნიღბით მღეროდნენ. ზოგს მელოტი თავი მწიფე გოგრასავით უპრიალებდა, ზოგს ნარინჯისფერი თმის ტევრი აბურძგნოდა.

ბრმა მექნარეები გულის გამაწვრილებლად გალობდნენ, ქვეყნიერებას საშინელი სამსჯავროს მოახლოებას აუწყებდნენ, დახეული ქუდები წინ პირალმა ეწყობთ და გაპოხილი მანეთიანები შიგ ფოთლებივით ცვიოდა. ქუდებში დაქექილი უხალთუნები მოჩანდა.

ოი, როცა ქვეყნიერების აღსასრული დადგება,
საშინელი სამსჯავრო მაშინ მოახლოვდება...

მრუდეყელიან ყვითელები ბანდურებს საშინელი, გულისმომწყვლელი ხმები სწყდებოდა, ახრამუნებულ მიწას სცილდებოდა და მალლა მიცურავდა.

— ძმებო და დებო, შემხედეთ, რა საპყარი ვარ. გამიკითხეთ, ქრისტეს გულისთვის, მოიღეთ მოწყალება.

— ფედოსეი პეტროვიჩ, მოედნისკენ გავიქცეთ, თორემ დავიგვიანებთ.

— პარაკლისი იქნება.

— ლიტანიობა.

— პარაკლისი უკრაინის სახალხო არმიის რევოლუციური იარაღისთვის გამარჯვებისა და ძლევამოსილების მისანიჭებლად.

— უკაცრავად, მაგრამ გამარჯვებისა და ძლევამოსილების მინიჭება რაღად უნდათ? უკვე გაიმარჯვეს!

— კიდევ გაიმარჯვებენ!

— გაილაშქრებენ.

— საით გაილაშქრებენ?

— მოსკოვისკენ.

— როგორ გაილაშქრებენ?

— როგორ და მშვენივრად!

— ხელი არ მიუწვდებათ.

— რა თქვით? გაიმეორეთ, რა თქვით! ბიჭებო, ყური უგდეთ, რას ამბობს!

— მე არაფერი მითქვამს!

— დაიჭირეთ, დაიჭირეთ, ქურდი დაიჭირეთ!!

— მარუსია, იმ ჭიშკრიდან გავიქცეთ, აქედან ვერ გავალთ. ^{ამბობენ, პეტლურა მოედანზეაო.} პეტლურა ენახოთ.

— სულელო, პეტლურა ტაძარშია.

— სულელი შენა ხარ. ამბობენ, თეთრ ცხენზე ზისო.

— დიდება პეტლურას! დიდება უკრაინის სახალხო რესპუბლიკას!!!

„ძინ... ძინ... ძინ... ძინ-ძინ-ძინ... ტირლი-ბომ-ბომ. ძინ-ბომ-ბომ“, — გაშმაგებით რეკდნენ ზარები.

— მართლმადიდებელი მოქალაქენო, კეთილო ხალხო, შეიწყალეთ ობოლი... ბრმა ხეიბარი...

ფეხებმოკვეთილი, უკანალზე ტყავგამოკვერებული შავი კაცი გატყეპნილ თოვლს გაქცეულ ხოჭოსავით ეჭიდებოდა ხელჯაგებით და ხალხის ფეხებშუა მიძვრებოდა. ხეიბრები და საბყრები გალურჯებულ, დაწყლულებულ წვივებს აჩენდნენ. თავებს დადამბლავებულელებით აცახცახებდნენ, გადატრიალებულ თვლებს თეთრად ალაპლაპებდნენ, რომ თავი ბრმებად მოეჩვენებინათ. წყეული ქნარები ბორბლებივით მომაბეზრებლად წრიბინებდნენ, გულისმოკვლელად კვნესოდნენ, ყმუოდნენ, მსმენელს ახსენებდნენ სილატაკეს, სიცრუეს, უიმედობას, მიყრუებული ველების უბადრუკობას.

— ობოლო, დაბრუნდი, თორემ დაიკარგები...

თმაგაწეწილი, აცახცახებული, ყავარჯნიანი დედაბრები გაძვალტყავებულ, პერგამენტისფერ ხელებს წინ იშვერდნენ და გაჰკიოდნენ:

— ლამაზო! ღმერთმა ჯანმრთელობა მოგცეს!

— ქალბატონო, შეიწყალე უბატრონო დედაბერი.

— საყვარლებო, სანატრელებო, ღმერთი შეგეწევათ...


ტანსაცმელშემოძენძილმა, ბრტყელტერფა დედაბრებმა, ხიფთანიანმა ბერიკაცებმა, ყურებიანი ჩაჩები რომ ჩამოეფხატათ, ცხვრის ტყავისქუდიანმა გლეხებმა, სახელაყლაყა ქალიშვილებმა, გამამდგარმა მოხელეებმა, შუბლზე კოკარდის მტკრიანი ნაკვალევი რომ აჩნდათ, ფაშვგამოგდებულმა ხნიერმა ქალებმა, მკვირცხლმა ბიჭებმა, მაზარიანმა კახაკებმა, ლურჯი, წითელი, მწვანე, ყოლოსფერი, ფერადციანი, ყაითნიანი, ოქროსფერი და ვერცხლისფერი საკუბოე ფოჩებით შემკული ქუდები რომ ეხურათ, ტაძრის ეზო შავად დატბორეს, ტაძრის კარებიდან კი ტალღა ტალღაზე მოგორავდა და მოგორავდა.

ლიტანიამ ჰაერზე სული მოითქვა, ძალა მოიკრიბა, გასწორდა და გაიმართა; წესსა და რიგზე დალაგდნენ და მწყობრად გაცურდნენ შიშველი თავები, კუბოკრული თავსაფრები, მიტრები და კუნკულები, დიაკონთა გაშლილი ფაფრები, ბერების სკუფიები, მოოქრულ ტარებზე დამაგრებული თავწვეტა ჯვრები, დროშები, რომლებზეც ქრისტე-მაცხოვარი და ყრმიანი ღეთისმშობელი იყო გამოსახული, აცურდა ჩაქიანი, ნაჭედი, ოქროსფერი, ყოლოსფერი, სლავური ქარგულობით შემკული ფოჩიანი ბაირაღების კალთები.

ეს არც ქუფრი ღრუბელია, ქალაქში გველუშაპივით შემოგრაგნილი, არც ყავისფერი, მღვრიე მდინარეები მოედინება ძველთაძველ ქუჩებში... არა, ეს

პეტლურას აურაცხელი მხედრობაა, ძველი სოფლის მოედანზე ალუმის გასამართავად რომ მიემართება!..

პირველად ლურჯი დივიზია დაიძრა, სუსხიანი ჰაერი საყვირთა ჭექამ გააპო, აზრიანდა მოელვარე თეფშები, ხალხის შავი მდინარე მჭიდრო მწკრივებმა გაარღვია.



მიდიოდნენ ლურჯ ეუბანებში გამოწყობილი გალიციელები, ლურჯციანი კრაველის ქუდები მარჯვედ რომ ჩაეკეცათ. მესაყვირეთა მრავალმწკრივიანი ორკესტრის კვალდაკვალ მიცურავდა გამიშვლებული ხმლების შუა დახრილი ორი ორფეროვანი ალამი, ხოლო აღმების უკან ქათქათა თოვლზე თანაბარი ხრაშუნით ყოჩაღად მიაბიჯებდნენ ძვირფასი, თუმცა გერმანული მაუდით შემოსილი მეომრების რიგებო. პირველ ათასეულს გრძელ შავ ხალათებზე ქამარშემოჭვრილი მუზარადიანები მიჰყვებოდნენ. ალუმისკენ აჯაგრული მიემართებოდა ხიშტების ყავისფერი ტვერი.

უსასრულო რიგებად მიაბიჯებდნენ სეჩელ მსროლელთა სამოსგაცრეცილი რუხი პოლკები. ქვეითა ჰაიდაშაკთა კურენი კურენს მიჰყვებოდა, ხოლო რაზმსა და რაზმს შორის ცხენებს მიაცეკვებდნენ და უნაგირებზე შემართულნი მიიჩხებოდნენ პოლკების, კურენების, ასეულების ჩაუქი მეთაურები. ამ მრავალფერ მდინარეს მიაცილებდა დაუცხრომელი, ძლევაშოსილი, მოგუგუნე მარში.

ქვეითთა კვალდაკვალ მსუბუქი ჩორთით, უნაგირებზე ნელი რხვეით ჩაიარეს მხედართა პოლკებმა. აღფრთოვანებულ ხალხს თვალი მოსჭრა დაჰმუჭუნულმა, ჩატენილმა, ლურჯი, მწვანე და წითელი წვეტებითა და ოქროსფერი ფუნჯებით შემკულმა ბოხობებმა.

მარჯვენა ხელებზე ყულფით ჩაბმული შუბები ნემსებივით ხტოდა. მხედართა მწკრივებს შორის ელავდა მხიარულად მოწყრიალე წინწილები, მეთაურთა და მესაყვირეთა ცხენები საყვირთა წივილისგან შმაგდებოდნენ და წინ გასხლტომას ლამობდნენ... ბურთივით მრგვალი, სქელი, მხიარული ბოლბოტუნნი კურენს მიუძლოდა, ქონისგან გაპრიალელებული დაბალი შუბლი და სიხარულის გამოძხატველი დაბურცული ლოყები სუსხისთვის მიეშვირა. თაფლაფაშატი ჩასისხლიანებულ თვალებს ბრეცდა, ლაგამს ღრღნიდა, ლაშები აქაფებოდა, ყალყზე დგებოდა და ექვსფუთიან ბოლბოტუნს აჯანჯლარებდა. მულუნული ხმლის ქარქაშს რაკარუკი გაჰქონდა და პოლკოვნიკი ცხენს აცახცახებულ ფერდებზე დეზებს ოდნავ ურტყამდა.

ზემდეგები და მეთაურები
ჩვენთან არიან, ვით ჩვენი ძმები! —

სიმღერას აგუგუნებდნენ და ცხენებს ჩორთით მიაგელვებდნენ ქოჩორაწეწილი, ჩაუქი ჰაიდაშაკები.

ტყვიებით დაცხრილული, ცისფერ-ყვითელი დროშის ფრიალით და გარმონის გრიალით ჩაიარა მხედართა პოლკმა, რომელსაც ვეება ცხენზე ამხედრებული, შავგვრემანი, უღვაშაპრეხილი პოლკოვნიკი კოზირ-ლიშკო მიუძლოდა. პოლკოვნიკი შალუშულიყო, თვალებს ბრეცდა და ულაყს გავაზე მათრახს უტყლაშუნებდა. პოლკოვნიკს ჰქონდა კიდევაც გაშმაგების მიზეზი — ნაი-ტურსის ბათქებმა ნისლიან დილას ბრესტ-ლიტოვსკის ისარზე კოზირის საუკეთე-

სო ოცეულები დაცხრილა და ახლა მოედნისკენ ჩორთით მიემართებოდა პოლკის შეთხელებული რიგები.

კოზირის შემდეგ ფიცხად ჩაიქროლა პეტმან მაზეპას სახელობის მავზლ-ველი მხედრების უვნებლად გადარჩენილმა კურენმა. ცისფერ-აბრჭმულმა ოქროსფრად ელავდა სახელი სახელოვანი პეტმანისა, ვინც პოლკის მძებრატორი პეტრე კინალამ დალუპა.

სახლების რუხ და ყვითელ კედლებს ზღვა ხალხი შემოსალტოდა, ტუმბებს აწვებოდა და ზედ მიძვრებოდა, ბიჭები ფარნებზე აცოცებულებიყვნენ, კაღონებზე ჩამომსხდარიყვნენ, სახურავებზე შეფენილიყვნენ, უსტვენდნენ და ყვიროდნენ:

— ვაშა! ვაშა!..

— დიდება! დიდება! — იძახდნენ ტროტუარებიდან.

აივნებისა და ფანჯრების შინებს ლავაშებივით აკვროდა უამრავი სახე.

შეეტლევები მარხილის კოფოებზე შემდგარიყვნენ და მათრახებს იქნედნენ.

— ამაზე ამბობდნენ, ბანდებიანო?... ესეც შენი ბანდები. ვაშა!

— დიდება! დიდება პეტლურას! დიდება ჩვენს მამას!

— ვა-შა...

— მანია, შეხედე, შეხედე... აგერ პეტლურა! შეხედე! სისვ ცხენზე ზის... რა ლამაზია...

— რას ამბობთ, ქალბატონო, ეგ პოლკოვნიკია.

— ოპ, ნუთუ? მაშ პეტლურა სადღაა?

— პეტლურა სასახლეშია, ოდესიდან მოსულ ფრანგ ელჩებს ხვდება.

— ბატონო ჩემო, ხომ არ შეიშალეთ? რომელ ელჩებს?

— პეტლურა, პიოტრ ვასილიევიჩ, ამბობენ (ჩურჩულით), პარიზშიაო. გესმით?

— ესეც თქვენი ბანდები... მილიონიანი ჯარია.

— მაშ პეტლურა სად არის? გენაცვალეთ, სად არის პეტლურა? თვალი ერთხელ მაინც მოგვკრა.

— პეტლურა, ქალბატონო, ახლა მოედანზე პარადს იღებს.

— რას ბრძანებთ, პეტლურა ბერლინში პრეზიდენტს წარსდგომია კავშირის დასამყარებლად.

— რომელ პრეზიდენტს? ბატონო ჩემო, რა პროვაცაციას ავრცელებთ?

— ბერლინელ პრეზიდენტს... რესპუბლიკის შექმნასთან დაკავშირებით.

— ნახეთ? ნახეთ? რა მედიდურია... აგერ, კარეტით რილსკის შესახვევში ჩაიარა. ექვსი ცხენი უბია...

— უკაცრავად, განა ამათ არქივლები სწამთ?

— ვერ გეტყვით, სწამთ თუ არა სწამთ... მარტო იმას ვამბობ, ჩაიარა-მეთქი. მე ფაქტი გითხარით და თქვენ, როგორც გინდათ, ისე გაიგეთ...

— ფაქტი ის გახლავთ, რომ ახლა მღვდლები სწირავენ...

— მღვდლებს მაგრად უნდა...

— პეტლურა. პეტლურა. პეტლურა. პეტლურა, პეტლურა...

მიგრილებდა მძიმე ბორბლები, რახრახებდა ყუთები, მხედართა ათ კურენს არტილერია უსასრულო ნაკადად მიჰყვებოდა. მიათრევდნენ ბლაგვცხვირა, ზორზოხა მორტირებს, მიაგორებდნენ ტანწვრილ ჰაუბიცებს, ყუთებზე

მხიარული, ნაპატივეები, გამარჯვებული არტილერისტები ისხდნენ. მედიდურად წყნარად მოდიოდნენ ამხედრებული მესაზიდრეები. დაძაბულნი, კისერწაგრძელებულნი მიაბიჯებდნენ ზორბა, მაძლარი, ჯანიანი, ვავასქელის ულაყები და გლებებისგან ჩამორთმეული, ჯაფას ნაჩვევი, ტანმორჩილი, შაკე რწყილების მსგავსი ცხენები. მსუბუქად მიხრივინებდა სამთო-საცხენოსნო მსუბუქი არტილერია, მიხტოდნენ ჩაუქი მხედრებით გარემოცული პატარა მხედრები.

— ეჰ... ეჰ... ესეც შენი თხუთმეტი ათასი... როგორ გვატყუებდნენ. თხუთმეტი... ბანდიტები.. გაიხრწნენო.. ღმერთო ჩემო, უთვალავნი არიან. კიდევ ბატარეა.. კიდევ. კიდევ.

ბრბომ ნიკოლკა ლამის გასრისა, ხან საით მიაგდებდა, ხან საით. მან წვეტიანი ცხვირი სტუდენტური მაზარის საყელოში ჩაიძვრინა, კედლის ნიშში აძვრა და ფეხი იქ მოიმაგრა. ვილაც თექისჩექმიანი, მხიარული ქალი უკვე ნიშში იყო და ნიკოლკას ხალისიანად უთხრა:

— ყმაწვილო, ხელი მომკიდეთ, მე კი აგურს ჩავეჭიდები, თორემ ჩავცვივლებით.

— გმადლობთ, — უგუნებოდ ჩაიდუღლუნა ნიკოლკამ შეჭირხლულ საყელოში, — ამ კაცს ჩავეჭიდები.

— თვითონ პეტლურა სად არის? — ენას არ აჩერებდა ყბედი ქალი. — ოჰ, როგორ მინდა პეტლურა დავინახო. ამბობენ, ისეთი ლამაზია, ენით არ აიწერებაო.

— ჰო, — გაურკვევლად ჩაიბუხუნა ნიკოლკამ კრაველის საყელოში, ენით არ აიწერება. „კიდევ ბატარეა... ეშმაკმა დალაზვროს... ახლა კი მესმის...“

— ამბობენ, ავტომობილით ჩაიარაო.. ხომ არ დავინახავთ?

— პეტლურა ვინიცაშია, — ყრუდ, უხალისოდ უპასუხა ნიკოლკამ და ჩექმებში გათოშილი თითები შეატოკა. „რა ეშმაკად არ ჩავიცვი თექის ჩექმები. რანაირი ყინვაა“.

— შეხედე, შეხედე, პეტლურა.

— ეგ პეტლურა კი არა, ვარტის უფროსია.

— პეტლურას რეზიდენცია ბელაია ცერკოვში აქვს. ახლა ბელაია ცერკოვი იქნება დედაქალაქი.

— ქალაქში განა არ მოვლენ, გეთაყვა?

— თავის დროზე მოვლენ.

— ჰო, ჰო, ჰო...

ბუმ. ბუმ. ბუმ... სოფლის მოედანზე თურქული დოღების ყრუ ბაგუნი გაისმოდა, ქუჩაში კი უკვე მობობლავდა და მძიმე კოშკებს მოარწევდა ოთხი შემზარავი ჯავშნოსანი. სათოფურებიდან ტყვიამფრქვევის ლულები ოთხივეს მუქარით გამოეყო. მაგრამ სახელაულაჟა ენთუზიასტი სტრაშკევიჩი შიგ ალარ იჭდა. იგი პეჩორსკზე, მარიას პარკში, ჭიშკართან ახლოს უმოძრაოდ გაშოტილიყო, სახელაულაჟა კი არა, სანთელივით გაყვითლებული. შუბლი გახვრეტილი ჰქონდა. მეორე, პატარა, სისხლშემხმარი ნახვრეტი ყურის ძირას მოუჩანდა. შიშველი ფეხები თოვლში ჩაფლობოდა. მინასავით გამჭვირვალე თვალები კი ნეკერჩხლის ტოტების ზემოთ, ცისკენ აღეპყრო. ირგვლივ სიჩუმე სუფევდა, პარკში კაციშვილი არ ჩანდა, ქუჩაშიც იშვიათად თუ ჩაივლიდა ეინმე, ძველი სოფლის მხრიდან მუსიკის ხმა იქამდე ვერ აღწევდა და ამიტომ ენთუზიასტს სახე სრულიად დამშვიდებული ჰქონდა.

ჯავშნოსნებმა ბრბო გუგუნით გაარღვიეს და ხალხის მდინარეებს იქით გაუყვნენ, სადაც ბოგდან ხმელნიცკი ცის თალზე შავად აღმართულები და კვერთხი ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ მიემართა. დათოვლილ გორებსა და სახლების სახურავებზე ზარის ხმა მდორე ტალღად მილივლივებდა, ხალხის მდინარეში დოლი გუგუნებდა და სიხარულისგან აღზნებული ბიჭები შავი-ბოგდანის ცხენის ფლოქვებისკენ მიძვრებოდნენ. ქუჩებში კი უკვე რახრახითა და ჯაჭვების ჩხარუნით მოდიოდა სატვირთო მანქანები. ძარებზე მდგომებს ტყაპუჭების ქვემოდან ხამის ზოლიანი პერანგები მოუჩანდათ. ქალიშვილებს თავზე ჩაღის გვირგვინები ედგათ. ვაჟებს ტყაპუჭების ქვეშ ლურჯი შარვლები ეცვათ. ყველანი მწყობრად, ხმადაბლა მღეროდნენ.

ამ დროს რილსკის შესახვევში ბათქი გაისმა. ხალხი აჩოჩქოლდა, ქალებმა წივილ-კივილი ატეხეს. ვილაცა გარბოდა და გაჰკიოდა:

— ვაი დედა!

ვილაცა ნაწყვეტ-ნაწყვეტ, აჩქარებით ყვიროდა ჩახლეწილი ხმით:

— ვიცანი! დაიჭირეთ! ოფიცრები არიან, ოფიცრები, ოფიცრები... გუშინ სამხრეები ეკეთათ!

რადის სახელობის მეათე კურენის ოცეულში, რომელიც მოედანზე გასვლის რიგს ელოდა, რამდენიმე მხედარი სასწრაფოდ ჩამოქვეითდა. ისინი ხალხში შეიჭრნენ და ვილაცას ხელი სტაცეს. ქალები აკივლდნენ. ხელებგააკავებული კაპიტანი პლეშკო აკანკალებული ხმით სუსტად ყვიროდა:

— მე ოფიცერი არა ვარ. არა ვარ-მეთქი, არა ვარ. რას მერჩით. მე ბანკის მოხელე ვარ.

მის გვერდით კიდევ ვილაცას ეცნენ. ის ხმას არ იღებდა, გაფითრებულიყო და მომხდურთა ხელებში იკლაკნებოდა.

მერე, თითქოს გახეული ტომრიდან ფეტვი გადმოიბნაო შესახვევში ერთ-მანეთის ჯგლეით გავარდა შიშისგან გონებადაკარგული ხალხი. სრულიად თეთრ, დაცარიელებულ ადგილზე მხოლოდ ერთი შავი ლაქა მოჩანდა — ვილაცის გადაფდებული ქუდი. შესახვევში ბათქმა იჭექა და სამგზის საკუთარი თავის უარყოფელი კაპიტანი პლეშკო ალღუმების სიყვარულის წერა გახდა. იგი სოფლის საეკლესიო სახლის ბაღთან გულაღმა, ხელებგაფარჩხული გაიშოტა. ხოლო მერე, მღუმარე კაცი მის ფეხებთან ტროტუარისკენ პირმიქცეული დაემხო. მოედნის კუთხეში უმაღ გაისმა თეფშების ქლარუნი, ხალხი კვლავ მოზღვავდა, ორკესტრი ახშიანდა, აზავთდა. გაისმა ძღვეამოსილი ხმა: „ნაბიჯით იარ!“ ფოჩიანი სირმების ელვარებით დაიძრა რადის მხედართა კურენი. რიგი რიგს გაუყვა.

* * *

გუმბათებს შუა ლეგა ცა მოულოდნელად გაიპო და მღვრიე ბურუსში უცაბედად მზე გამოჩნდა. ამხელა მზე, თანაც ასე სისხლივით წითელი, უკრაინაში ჯერ არავის ენახა. ღრუბლების ფარდის მიღმა მცხრალად მანათობელმა ბურთმა სისხლისა და ეუულის გრძელი ზოლები ჩამოუშვა. მზემ სისხლის-ფარად შეღება სოფლის მთავარი გუმბათი, მოედანზე კი ტაძრის უცნაური ჩრდილი გაწვა, ამ ჩრდილში ბოგდანი იისფრად დაიფერა, ხოლო მოზიმშიმე ხალხი უფრო ჩაშავდა, უფრო შედედდა, აჩოჩქოლდა. წელზე ქამარშემოჭერილი

რუხტანსაცმლიანები ლოდზე მიყუდებულ კიბეზე მიბობლავდნენ და ცდილობდნენ შავი გრანიტიდან მომზირალი წარწერა ხიშტებით ჩამოეგლიჯათ. მაგრამ ამაოდ ირჩებოდნენ: ხიშტი გრანიტზე სხლტებოდა და წარწერას ვერას აკლებდა. ამხედრებული ბოგდანი კი გაათრებებით ლამობდა პედაუთი კლდიდან მოეწყვიტა, გაეფრინა და მომხდურებს განრიდებოდა, ცხენსა და ცხენებს რომ ჩამოაჰკიდებოდნენ და ამძიმებდნენ. ბოგდანს განრისხებულნი სანსე წითელი ბურთისკენ ალუპურო, ხოლო კვერთხი კვლავ შორეთისკენ ჰქონდა მიმართული.

ამ დროს მოგუგუნე, შეგუბებული ხალხის ზემოთ, ბოგდანის პირისპირ, ხელებმა ვილაც კაცი ასწიეს და გაყინულ, ჩამოსიპულ შადრევანზე შეაყენეს. კაცს ბეწვისსაყელოიანი შავი პალტო ეცვა და, თუმცა ყინავდა, ქუდი მოეხადა და ხელში ეჭირა, მოედანი კვლავინდებურად გუგუნებდა და ჭიანჭველების ბუდესავეთ ფუთფუთებდა, მაგრამ სოფლის სამრეკლო უკვე დუმდა, მუსიკა იო ახლა სხვადასხვა მხარეს გათოშულ ქუჩებს მიუყვებოდა. შადრევნის ძირას იაფი მოიყარა უზარმაზარმა ბრბომ.

— პეტკა, პეტკა, შადრევანზე ვინ შეაყენეს?

— მგონი, პეტლურაა.

— პეტლურა სიტყვას ამბობს...

— რაებს ბოდავთ. ეგ უბრალოთ ორატორია...

— მარუსია, ორატორი. შეხედე... შეხედე...

— დეკლარაციას აცხადებენ...

— არა, უნივერსალიებს წაიკითხავენ.

— გაუმარჯოს თავისუფალ უკრაინას!

შადრევანზე შემდგარმა კაცმა ათასკაციანი ბრბოს ზემოდან შთაგონებით გაიხედა იქით, სადაც მზის დისკო ნისლის ფარდას თანდათან სცილდებოდა და ჯვრებს წითლად, მსუყვე წითლად აოქროებდა. მერე ხელი აღმართა და ხმა-მალლა შესძახა:

— დიდება ხალხს!

— პეტლურა... პეტლურა.

— პეტლურა კი არა! აბა რას ამბობთ?

— პეტლურა განა შადრევანზე შეხტება?

— პეტლურა ხარკოვშია.

— პეტლურა ახლახან სასახლეში შევიდა ბანკეტზე დასასწრებად...

— ნუ ლაყბობთ, არავეთარი ბანკეტი არ გაიმართება.

— დიდება ხალხს! — გაიმეორა შადრევანზე მდგარმა კაცმა და ქერა თმის კულული უმაღლ შუბლზე ჩამოეშალა.

— ჩუმად!

ქერა კაცს ხმა მოუმძლავრდა და გარკვევით გაისმა ფეხების ბაკუნსა და ბრაგუნში, გუგუნსა და ზათქში, დოლების შორეულ ბუბუნში.

— პეტლურა ნახეთ?

— როგორ არა, ღმერთო ჩემო, ახლახან ვნახე.

— ოჰ, ნეტავი თქვენ. როგორი შესახედავია? რანაირია?

— ულეაში ვილჰელმივით მალლა აქვს აპრეხილი, მუზარადი ახურავს. აგერ ისიც აგერ გამოჩნდა. შეხედეთ, შეხედეთ, მარია ფიოდორთვნა, უყურეთ, უყურეთ — მოდის...

— რას მიედ-მოედები! ეგ ქალაქის სახანძრო რაზმის უფროსია.



- ქალბატონო, პეტლურა ბელგიაშია.
- ბელგიაში რისთვის წავიდა?
- მოკავშირეებთან კავშირის დასამყარებლად.
- ოჰ, არა. პეტლურა ახლა ესკორტით გაემართა სათათბიროსკენ.
- რისთვის?
- ფიცისთვის...
- უნდა შეპფიცოს?
- იმან რატომ უნდა შეპფიცოს? იმას შეპფიცავენ.
- უმაღლესი სიკვდილს ვარჩევ (ჩურჩულით) და არ შევფიცავ...
- თქვენ არც დაგჭირდებათ... ქალებს ხელს არ ახლებენ.
- ურიებს კი დაერევიან, ეს უეჭველია...
- ოფიცრებსაც. ყველას ნაწლავებს დააყრევინებენ.
- შემამულეებსაც. ძირს შემამულეები!
- ჩუმაღ!

ქერა კაცის თვალებიდან საშინელი სევდა და ამასთან ერთად შეუპოვრობაც გამოსჭვიოდა. ხელს მზისკენ იშვერდა.

— მოქალაქენო, ძმებო და ამხანაგებო, — წამოიწყო მან, — ხომ გაიგონეთ, კახაკები რას მღეროდნენ: მეთაურები ჩვენთან არიან, როგორც ძმებიო! ისინი ჩვენთან არიან, ჩვენთან! — კაცმა ქუდი მკერდში ჩაირტყა. ქუდზე წითლად ელაყდა უზარმაზარი ბაფთა. — ჩვენთან. რადგან მეთაურები ხალხს ეკუთვნიან, ხალხთან ერთად დაიბადნენ, ხალხთან ერთად დაიხოცებიან. ჩვენთან ერთად თოვლში ითოშებოდნენ ქალაქის ალყისას, ახლა კი, როცა ქალაქი ძლევამოსილად ავიღეთ და წითელი დროშა უკვე აღმართულია იმ შენობებზე...

- ვაშა!
- წითელიო? რა თქვა? ყვითელ-ცისფერი.
- წითელი დროშა ბოლშევიკებისაა.
- ჩუმაღ! დიდება!
- რა ცუდად ლაპარაკობს უკრაინულად...
- ამხანაგებო! ახლა ჩვენ წინაშე ახალი მიზანია — შევქმნათ და განვამტკიცოთ ახალი, დამოუკიდებელი რესპუბლიკა, ყოველი მშრომელი ელემენტის — მუშებისა და მხვნელ-მთესველების საბედნიეროდ, რადგან მხოლოდ მათ აქვთ უფლება ფლობდნენ ჩვენს მშობლიურ მიწას, რომელიც მათი სისხლათა და ოფლით არის მორწყული.

- მართალია! დიდება!
- გაიგონე? ამხანაგებო. სასწაულია...
- ჩუ-მაღ.
- ამიტომ, ძვირფასო ამხანაგებო, სახალხო გამარჯვების ამ სასიხარულო ჟამს ფიცი დავდოთ, — ორატორს თვალები უბრწყინავდა, ჩამობურთული ცისკენ ხელებს სულ უფრო აღგზნებით იწვდიდა და უკრაინულ სიტყვებს სულ უფრო ნაკლებად წარმოთქვამდა, — ფიცი დავდოთ, რომ იარაღს ხელს არ გავუშვებთ, ვიდრე წითელი დროშა — თავისუფლების სიმბოლო — მთელ მსოფლიოში არ იფრიალებს მშრომელთა საბედნიეროდ.

- ვაშა! ვაშა! ვაშა!... ინტერ...
- ვასკა, ხმა ჩაიკმინდე, ხომ არ შეიშალე?

— შჩურო, რას სჩადით, გაჩუმდით!

— ღმერთმანი, მიხაილ სემიონოვიჩ, თავი ვერ შემიკავებდა — აღსდექ...
კრულ...

ონეგინისებური შავი ბაკები თახვის ფუმფულა საყელოში ჩაიმაღლა, მისმა მფლობელმა ბრბოში მომწყვდეული, აღფრთოვანებული მოტოციკლისტი-კენ გაიხედა და თვალები შეშფოთებით გააღელვა. ეს თვალები საოცრად წააგავდა განსვენებული პრაპორშჩიკის, თოთხმეტი დეკემბრის წინა ღამეს დაღუპული შპოლიანსკის თვალებს. ყვითელხელთათმნიანი ხელი შჩურის ხელს მისწვდა და ჩაეჭიდა...

— კარგი, კარგი, გავჩუმდები, — ბუტბუტებდა შჩური და ქერათმიან კაცს აშტერდებოდა.

ქერა კაცმა კი მღელვარება უკვე დაიოკა, უახლოეს რიგებში მდგარი ხალხის ყურადღება დაიპყრო და ხმამაღლა იძახდა:

— გაუმარჯოს მუშათა, გლეხთა და კაზაკთა დეპუტატების საბჭოებს, გაუმარჯოს...

მზე უეცრად დაიბინდა, სოფლის ტაძარსა და გუმბათებს ჩრდილი დაეფინა; ბოგდანის სახე მკვეთრად გამოიკვეთა, მკვეთრად გამოიკვეთა შადრევანზე მდგარი კაცის სახეც. მოჩანდა, ქერა თმის კულული შუბლთან როგორ უხტოდა.

— გა-ა... გა-ა-ა... აგუგუნდა ხალხი.

— ...მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოებს. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით...

— რა? რა? რაო? დიდება!!!

უკანა რიგებში სიმღერა წამოიწყეს. გაისმა რამდენიმე მამაკაცისა და ერთიც წვრილი, წკრიალა ხმა: „როცა მოვკვდე, მე დამმარხეთ...“

— ეა-შა! — ძღვევამოსილად შესძახეს მეორეგან. უცებ მესამეგან ხალხი მორევით დატრიალდა.

— დაიჭირეთ! დაიჭირეთ! — აყვირდა ვიღაც მამაკაცი, — დაიჭირეთ! პროვოკაციაა! — გაისმოდა მისი ბრაზიანი, თითქოს ტირილნარევი, გაბზარული ხმა. — ეგ ბოლშევიკია! მოსკოველი! დაიჭირეთ! გაიგონეთ, რა თქვა...

ვიღაცამ ხელები ხალხს ზემოთ აღმართა. ორატორი გვერდზე გადაიხარა, გერ მისი ფეხები გაქრა, შემდეგ მუცელი და ბოლოს ქუდჩამოფხატული თავიც გაუჩინარდა.

— დაიჭირეთ! — პირველი კაცის ყვირილს აჰყვა მეორე, წვრილი ხმა. — ეგ ყალბი ორატორია. არ გაუშვათ, ბიჭებო, არ გაუშვათ, მოქალაქენო.

— გა, გა, გა... სდექ? ვინ? ვინ დაიჭირეს? ვინ? აქ რომ არავინ არის?!

წვრილი ხმის პატრონი შადრევანისკენ გაიქრა, თან ხელებს ისე იქნევდა, თითქოს დიდი, ლიპქიცვა თევზის დაჭერას ცდილობსო. მაგრამ წინ ტყაბუქიანი, ყურებზე ქუდჩამოფხატული, თავქარიანი შჩური გადაეღობა.

— დაიჭირეთ! — ყვიროდა ისიც, მერე კი უცებ აღრიალდა: — გაჩერდი! ბიჭებო, საათი ამაცალეს!

ვიღაც ქალს ფეხზე დააბიჯეს და იგი საშინელი ხმით აკივლდა.

-- საათი ვის ააცალეს? სად? ცრუობ — ვერსად გაიქცევი!

წვრილი ხმის პატრონს ერთი კაცი უკანიდან ქამარში ჩაეჭიდა და შეაჩერა.

იმავე წუთს მეორემ ბრტყელი, ცივი, გირვანქანახევრიანი ვაშლილი ხელი მოუქნია და ცხვირ-პირში სთხლიშა.

— უჰ! — წამოიყვირა წვრილხმიანმა, მკვდრისფერი დაედო და იგრძნო, რომ თავი გაუშიშვლდა, ქუდი აღარ ეხურა. იმავე წამს სილა მკოფიერად ჯოჯობეთური ძალით მოხვდა და ვილაცა ისე აკივლდა, ლამის ცუცხამოქცეხა.

— ეგ არის, ქურდბაცაცა, ჭიბგირი, მამაძაღლი. დასცხეთ მაგას!!!

— რას სჩადით?! — აწრიპინდა წვრილხმიანი. — რატომ მცემთ? მე არ ვყოფილვარ! მე არა! მე კი არა, ბოლშევიკია დასაჭერი! თ-ო! — აბლავლდა იგი...

— ოჰ, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, მარუსია, ჩქარა გავიქცეთ, ეს რა ამბავია?

შადრევანმა ძირას ბრბო მორევივით დატრიალდა, თითქოს გაცოფდაო. ვილაცას სცემდნენ, ვილაც ბლაოდა, ხალხი აქეთ-იქით აწყდებოდა, რაც მთავარია, ორატორი გაქრა. ისე სასწაულებრივად, ჯადოსნურად გაუჩინარდა, თითქოს მიწამ პირი უყო. ვილაცა მორევიდან გამოსხლტა, თუმცა არა, ყალბ ორატორს შავი ქუდი ეხურა, ეს კი ფაფახიანი გახლდათ. სამი წუთის შემდეგ კი მორევი თავისით დაწყნარდა, თითქოს არც ყოფილაო, იმიტომ, რომ შადრევანის კიდებზე უკვე ახალი ორატორი შეახტუნეს და მის მოსასმენად ხალხი ყოველი მხრიდან დაიძრა. შადრევანის ირგვლივ ზღვარ ბრბოს ახალ-ახალი ფენა ემატებოდა და სულ მცირე, ორი ათასამდე კაცი მოგროვდა.

* * *

მრედნიდან მიმავალ ჯარს ცნობისმოყვარე ხალხის ტალღა კვალდაკვალ მიჰყვა. თოვლით გადათეთრებული შესახვევი დაცარიელდა. მხიარულმა შჩურმა ვეღარ მოითმინა და ბაღის გვერდით, პირდაპირ ტროტუარზე ჩაჯდა.

— ოჰ, აღარ შემოძლია, — აროხროხდა იგი და მუცელზე ხელი იტაცა. ნიაღვარივით მომსკდარ სიცილს ვეღარ იკავებდა, კბილები თეთრად უფლავდა. — სიცილისგან სული ამომხდება. იმ უბედურს როგორ სცემდნენ, ღმერთო ჩემო!

— შჩურო, აქ ჯდომისთვის არ გვცალია, — უთხრა მას თანამგზავრმა, თახვისსაყელოიანმა უცნობმა, გაჭრილი ვაშლივით რომ ჰგავდა განსვენებულ შპოლიანსკის — სახელგანთქმულ პრაპორშჩიკსა და „მაგნიტური ტრიოლეტი“ თავმჯდომარეს.

— ახლავე, ახლავე, — თქვა სიცილისგან დაოსებულმა შჩურმა და წამოდგა.

— მიხაილ სემიონოვიჩ, პაპიროსი მომაწვევინეთ, — უთხრა თახვისსაყელოიანს შჩურის მეორე თანამგზავრმა, მაღალმა, შავპალტოიანმა კაცმა, ფაფახი კეფაზე გადაიწია და ქერა თმის კულული წარბზე ჩამოეშალა. ისე მძიმედ სუნთქავდა და ქშინავდა, თითქოს იმ სიცივეში სიცხისგან სული ვეღარ მოუთქვამსო.

— რაო? შიში გაჭამეს? — აღერსიანად ჰკითხა მას უცნობმა, პალტოს კალთა გადაიწია, ოქროს პატარა პორტსიგარი ამოიღო და უმუნდშტუკო გერმანული პაპიროსი შესთავაზა.

ქერთმიანმა ასანთის ალს ხელები მოაფარა, პაპიროსს მოუჭიდა, ერთხელ გააბოლა და მერელა თქვა:

— უჰ! უჰ!

მერე სამივენი სწრაფად დაიძრნენ, კუთხეში შეუხვედნენ და გაუჩინარდნენ. მოედნიდან შესახვევში სწრაფი ნაბიჯით შემოვიდა სიტუდენტი. ერთი ტანმორჩილი იყო, ჩაფსკვნილი, ფაქიზი, რეზინის პრილა კალოშები ეცვა, მერე — მალალი, მხარბეჭიანი — ფარგალივით მორკალულ ფეხებს თითქმის საყენზე აბიჯებდა.

ორივე სტუდენტს პალტოს საყულო ყურებზე ჩამოეფარებინა, ხოლო მალალს გაპარსული საულვაშეც კი კაშნეში ჩაემალა, არც იყო გასაკვირი — ყინავდა. თითქოს უბრძანესო, ორივემ თავი ერთდროულად შეაბრუნა იქით, სადაც კაპიტან პლეშკოს გეამი ეგდო, ხოლო მეორეს, პირქვე დამხობილს, მუხლები აქეთ-იქით გაეჩაჩხა. სიტყვაც არ დაუძრავთ, გვამებს გვერდზე ისე ჩაუარეს.

მერე, როცა რილსკის შესახვევიდან ეიტომირის ქუჩაზე შეუხვედნენ, მალალი სტუდენტი დაბალს მიუბრუნდა და ჩახლეწილი ტენორით უთხრა:

— ნახე? ნახე-მეთქი, გეკითხები!

ტანმორჩილს პასუხად სიტყვა არ უთქვამს, მაგრამ ისე შეტოკდა და ჩაიღმუვლა, თითქოს უცებ კბილი ასტკივდაო.

— რამდენ ხანსაც არ უნდა ვიცოცხლო, არ დამავიწყდება, — განაგრძობდა მალალი და განიერად მიაბიჯებდა, — მუდამ შემახსოვრება.

ტანმორჩილი მდუმარედ მისდევდა.

მადლობელი ვარ, ჭკუა გვასწავლეს. თუ როდისმე სადმე შემხვედება ის არამზადა... პეტმანი... — კაშნეს ქვემოდან სისინი მოისმა, — მე იმას... — მალალმა საშინელი, სამსართულიანი ლანძვა აღარ დაამთავრა. ბოლშაია ეიტომირსკაიას ქუჩაზე როცა გავიდნენ, მათ გზა გადაუღობა ძველი ქალაქის უბნის კოშკისკენ მიმავალმა პროცესიამ. პროცესია მოედნიდან პირდაპირ რომ წასულიყო, რა თქმა უნდა, აჯობებდა, მაგრამ ვლადიმირსკაიაზე ჯერაც კავალერია მიედინებოდა, რომელსაც პარადიდან წასვლა ვერ მოესწრო. ამიტომ პროცესიამ სხვათა მსგავსად შორიდან მოუარა.

პროცესიას წინ ბიჭების გუნდი მოუძლოდა. ისინი ზურგშექცევით გამობოდნენ, მოხტოდნენ და ყურთასმენის წამლებად უსტვენდნენ. მათ შემდეგ გადათქერილ ქვაფენილზე პალტოშემოხეული, გულგაღელილი, თავშიშველა კაცი მოდიოდა, შიშჩამდგარ თვალებს დაფეთებული აცეცებდა. სახე დასისხლიანებული ჰქონდა, ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა. იგი პირს ფართოდ აღებდა, წვრილი, მაგრამ მთლად ჩახლეწილი ხმით ყვიროდა, რუსულ და უკრაინულ სიტყვებს ერთმანეთში ურევდა:

— ამის ნება არა გაქვთ! მე ცნობილი უკრაინელი პოეტი ვარ. ჩემი გვარი გორბოლაზი გახლავთ. მე უკრაინული პოეზიის ანთოლოგია დავწერე. იცოდეთ, რადის თავმჯდომარესთან და მინისტრთან გიჩივლებთ. ეს წარმოუდგენელია!

— დასცხეთ მაგ უსინდისოს, მაგ ჯიბგირს, — ყვიროდნენ ტროტუარებიდან.

სახედასისხლიანებული თავს აქეთ-იქით ატრიალებდა და გამწარებით ვაჰკიოდა:

- მე ბოლშევიკი პროვოკატორის დაპატიმრება მინდოდა...
- რაო, რაო, რაო?... — მოისმოდა ტროტუარებიდან.
- ვინ მიჰყავთ?
- პეტლურას მოკვლა სდომებია.
- მართლა?
- ჩვენს მამას ესროლა თურმე ამ მამაძაღლმა!
- ეგ ხომ უკრაინელია.
- უკრაინელი კი არა, არამზადაა, — გუგუნებდა ვილაცის ბანი, — ჯიბეებში დაძვრებოდა.
- ს-იუ, — ზიზლის გამომხატველად უსტვენდნენ ბიჭები.
- რა ამბავია? რა უფლება აქვთ?
- ბოლშევიკი პროვოკატორი დაიჭირეს. ადგილზევე უნდა ჩააძაღლონ ეგ მურდალი.



სახედასისხლიანებულს უკან აღელვებული ხალხი მოსდევდა. მომავალთა შორის ერთს ფათახზე ოქროსფერსირმიანი ფოჩი მოუჩანდა. ორსაც ხელში შაშხანის ლულა უპრიალებდა. ვილაც კაცი, წელზე ფერადი სარტყელი მჭიდროდ რომ ჰქონდა შემოჭერილი, სახედასისხლიანებულს გვერდზე განიერი ნაბიჯით მოჰყვებოდა და, როცა იგი ძალზე ხმამაღლა აყვირებოდა, ქეჩოში მუშტს ანგარიშმიუცემლად ჩასცხებდა ხალხში. მაშინ ბედშავი ტუსადი, თავის შველას ამოდ რომ ცდილობდა, ჩუმდებოდა და გულმდუღარედ, მაგრამ უხმოდ ქვითინს იწყებდა.

ორმა სტუდენტმა პროცესია გაატარა. როცა ხალხმა ჩაიარა, მაღალმა ტანმორჩილ თანამგზავრს მკლავში ხელი გაუყარა და ღვარძლიანი ხმით აჩურჩულდა:

— ახია მაგაზე. ახია. გულს მომეშვა. ერთ რამეს კი გეტყვი, კარჩხანა, ბარაქალა ბოლშევიკებს! გულწრფელად ვამბობ — ბარაქალა! მარიფათიც ასეთი უნდა! ნახე, ორატორი რა მარჯვედ გააპარეს? მამაცები არიან. ამის გამო მომწონან — სიმამაცისთვის, მაგათი რჯულაც არ იყოს.

ტანმორჩილმა ხმადაბლა თქვა:

- ახლა თუ არ დავლიე, შეიძლება თავი ჩამოვიხრჩო!
- ეგ კარგი აზრია, — ხალისიანად აუბა მხარი მაღალმა, — რამდენი გაქვს?
- ორასი.
- მე ას ორმოცდაათი მაქვს. თამარკას შევეუაროთ, ლატრანახევარი მოგვივა.
- დაკეტილია.
- გააღებს.

თანამგზავრებმა ვლადიმირისკაიაზე გაუხვიეს და ორსართულიან სახლს მიადგნენ, რომელზეც ფირნიში ეკიდა: „საბაულო“, გვერდით კი „სარდაფი—თამარას ციხე“.

თანამგზავრები საფეხურებს ჩაუყვნენ და მინის ორმაგ კარზე ფრთხილად დააკაკუნეს.

ნიკოლკამ მიაღწია სანუკვარ მიზანს, რაზედაც მთელი სამი დღე ფიქრობდა, თუმცაღა ოჯახში საზრუნავ-საწუხარი ისედაც მოზღვავებული იყო, მიზანს, რომელიც თოვლზე განრთხმულის უკანასკნელ, იდუმალუბრით მოცულ სიტუაციებს უკავშირდებოდა. მიზნის მისაღწევად მან დილითვე, პარადის დაწყებამდე, მთელი ქალაქი შემოირბინა და არანაკლებ ცხრა ბინას მაინც მიაკითხა. ამ სირბილისას გული ბევრჯერ გაუტყდა, იმედი ბევრჯერ დაკარგა, მაგრამ თავს იმხნევებდა და საწადელს მაინც მიაღწია.

ლიტვის ქუჩაზე, ქალაქის განაპირას მდგარ პატარა სახლში მან ლაშქრის მეორე განყოფილების ერთი იუნკერი მოძებნა და მისგან შეიტყო ნაის სახელი, მამის სახელი და მისამართი.

ნიკოლკა ხალხის ბობოქარ ზვირთებს ორი საათი ებრძოდა, სოფლის მოედნის გადაჭრას ცდილობდა. მაგრამ მოედნის მეორე მხარეს გადასვლა შეუძლებელი, მართლაც რომ წარმოუდგენელი იყო. მაშინ გათოშილი ნიკოლკა ისევ უკან, მიხეილის მონასტრისკენ გამობრუნდა და ნახევარი საათი მაინც დაკარგა, რომ ბრბოს ჭანგებისთვის თავი დაეღწია და იქამდე მისულიყო. იქიდან კოსტელნაიას გაუყვა, რათა შორიდან მოეველო და ქვემოთ, კრეშჩატიკზე გამსხლტარიყო, მერე ქვემო-ქვემო გზებით შემოეველო და მალე-პროვალნაიამდე მიეღწია. მაგრამ ესეც შეუძლებელი აღმოჩნდა! კოსტელნაიაზე, ზემოდან ქვემოთ, ისევე, როგორც ყველგან, გველივით მიიკლაკნებოდა პარადზე მიმავალი ჯარების ნაკადი. მაშინ ნიკოლკამ კიდევ უფრო დიდი წრე დაარტყა და უკაცრიელ ვლადიმირის გორაზე ავიდა. იქ სრულიად მარტო გაუყვა ტერასებსა და ხეივნებს, თოვლის თეთრ კედლებს შორის გარბოდა, წინ მიიწეედა და ხანდახან პატარა მოედნებზე გადიოდა, სადაც არც ისე ბევრი თოვლი იდო. ტერასებიდან გაღმა მთაზე მოჩანდა თოვლის ზღვაში ჩაფლული სამეფო ბაღი, ზოლო შორს, მარცხნივ, თეთრი და მედიდური დნეპრის სანაპიროთა მიღმა, ზამთრის სრულ მყუდროებას მიცემული ჩერნიგოვის უსასრულო სივრცეები.

ირგვლივ მშვიდობა და სრული სიმშვიდე სუფევდა, მაგრამ ნიკოლკას ახლა დასამშვიდებლად არ ეცალა. იგი თოვლს ებრძოდა, ტერასას ტერასაზე ძლევდა, და მხოლოდ ხანდახან თუ შეჩერდებოდა, როცა ალაგ-ალაგ გატაკებულ თოვლს და ფეხის ნაკვალევს შეამჩნევდა. უკვირდა, მაშ გორაზე ვილაც ზამთარშიაც დახეტიალობსო.

ნიკოლკა ბოლო ხეივანს დაუყვა და როცა ჩაივარდა, დაინახა, რომ კრეშჩატიკზე ჯარი აღარ მოჩანდა, შვებით ამოისუნთქა და სანუკვარი ადგილისკენ გაეშურა, რომელსაც ამდენ ხანს დაეძებდა. „მალე-პროვალნაია, 21“. ეს გახლდათ მის მიერ მიკვლეული მისამართი, რომელიც არ ჩაუწერია, მაგრამ გონებაში მტკიცედ ჩაეჭედა.

* * *

ნიკოლკა დელავდა და გული უკრთოდა... ვინ ანდა რანაირად უნდა ეკითხა? ვერაფერი მოესაზრებინა... ბაღის პირველ იარუსზე მიყუებული ფლიგელის კარზე დარეკა. დიდხანს უცდიდა. ბოლოს ფეხის ფრატუნი გაისმა და ჯაჭვზე

დამაგრებული კარი ოდნავ გაიღო. პენსნიანი ქალის სახე გამოჩნდა და ბნელი დერეფნიდან მკაცრი ხმა მოისმა:

— რა ვნებათ?

— თუ შეიძლება მითხარით... ნაი-ტურსები აქ ცხოვრობენ?

ქალმა უფრო კუშტად, უფრო უკმურად გამოიხედა. პენსნუს მინებმა გაელვა.

— აქ ასეთი არავინ ცხოვრობს, — თქვა მან ხმადაბლა.

ნიკოლკა გაწითლდა, შეცბუნდა და დალონდა...

— ეს ხომ მეხუთე ბინაა?

— მეხუთეა, — უხალისოდ და ეჭვიანოდ უპასუხა ქალმა, — მითხარით, რა გინდათ?

— მითხრეს, ტურსები აქ ცხოვრობენო...

ქალმა გარეთ გამოიჭყიტა და ბაღს თვალი დაკვირვებით მოავლო, უნდოდა შეეტყო, ნიკოლკას უკან კიდევ ოდგა ვინმე თუ არა... ნიკოლკამ მისი ჩამრგვალეპული ლაბაბი დაინახა.

— რა საქმე გაქვთ?... მე მითხარით.

ნიკოლკამ ამოიოხრა, მიმოიხედა და უთხრა:

— ფელიქს ფელიქსოვიჩის თაობაზე მოვედი... ამბავი მოვიტანე.

ქალს სახე უცებ შეეცვალა და ნიკოლკას თვალების ხამხამით ჰკითხა:

— თქვენ ვინა ხართ?

— სტუდენტი.

— აქ მოიცადეთ.

ქალმა კარი დახურა და მისი ფეხის ხმა მიწყდა.

ნახევარი წუთის შემდეგ კარს მიღმა ქუსლების ბაკუნი გაისმა, კარი მთლიანად გაიღო და ნიკოლკა დერეფანში შევიდა. სასტუმრო ოთახიდან შუქი გამოდიოდა. ნიკოლკამ გაარჩია რბილი სავარძლის კიდე, მერე პენსნიანი ქალიც. ნიკოლკამ ქუდი მოიხადა და უმაღლეს წინ გაჩნდა მეორე, გამხდარი, არცთუ მაღალი ქალი, სახეზე წარსული სილამაზის კვალი რომ ეტყობოდა. რაღაც უმნიშვნელო, გაურკვეველი ნიშნებით, საფეთქლებითა თუ თმის ფერით, ნიკოლკა მიხედა, რომ ეს ქალი ნაის დედა იყო და შეძრწუნდა — რა ექნა, როგორ გაემხილა... ქალმა ჯიქურ შეანათა მოელვარე თვალები და ნიკოლკა უფრო დაიბნა. გვერდით კიდევ ერთი, მგონი, ახალგაზრდა ქალი გამოჩნდა, ისიც ძალზე ჰგავდა ნაის.

— მითხარით, მალე მითხარით... — ჩაცვივით თქვა დედამ.

ნიკოლკამ ქუდი მოჭმუჭნა, ქალს შეხედა და აბლუყუნდა:

— მე... მე...

გამხდარმა ქალმა — ნაის დედამ სტუმარს თვალი შეავლო და ნიკოლკას მოეჩვენა, რომ ამ თვალებში მძულვარება გამოსჰვიოდა. უცებ ქალმა ისე შეჰკივლა, რომ ნიკოლკას უკან მინიანი კარი აზრიალდა:

— ფელიქსი მოკლეს!

ქალმა მუშტები მოკუმშა, ნიკოლკას საზის წინ შემართა და შეჰყვირა:

— მოკლეს... ირინა, გესმის? ფელიქსი მოკლეს!

ნიკოლკას შიშისგან თვალები დაუბნელდა და შეძრწუნებულმა გაიფიქრა: „მე ხომ არაფერი მითქვამს... ღმერთო ჩემო!“ პენსნიანმა სქელმა ქალმა „ნი-

კოლკას უკან კარი უმაღლესი მიკეტა, მერე გამხდარ ქალთან სწრაფად, ძალზე სწრაფად მიიბრინა, მხრებზე ხელი მოხვია და აჩქარებით აჩურჩულდა:

— დამშვიდდი, მარია ფრანცევნა, დამშვიდდით, ჩემო კარგო... — მერე ნიკოლკასკენ დაიხარა და ჰკითხა: — იქნებ ასე არ არის?.. ღმერთო ჩემო... ხმა ამოიღეთ... ნუთუ მართალია?..

ნიკოლკამ სიტყვის დაძვრაც ვერ შეძლო... მან მხოლოდ წინაწარმოებით გაიხედა წინ და კვლავ სავარძლის კიდე დაინახა.

— დაწყნარდით, მარია ფრანცევნა, დაწყნარდით, ჩემო კარგო... თუ ღმერთი გწამთ... არავინ გაიგონოს... ყველაფერი ღვთის ნებაა... — ბუტბუტებდა სქელი ქალი.

ნაი-ტურსის დედა ჩაიკეცა, თან მოსთქვამდა:

— ოთხი წელი! ოთხი წელი! ველი, სულ ველი.. ველი!

ნიკოლკას გვერდზე მდგარი ახალგაზრდა ქალი გაექანა და დედას ხელი შეაშველა. ნიკოლკას უნდოდა მიხმარებოდა, მაგრამ უცაბედად გულამოსკენით აქვითინდა და ვერა და ვეღარ გაჩერდა.

* * *

ფანჯრებზე ფარდებია ჩამოფარებული, სასტუმრო ოთახში ბინდბუნდი და სიჩუმეა, წამლის საძაგელი სუნი დგას...

ბოლოს სიჩუმე ახალგაზრდა ქალმა დაარღვია — ნაი-ტურსის დამ. იგი ფანჯრიდან შემოტრიალდა და ნიკოლკასთან მივიდა. ნიკოლკა სავარძლიდან წამოდგა. ქუდი კვლავ ხელში ეჭირა, იმ საშინელ ვითარებაში ვეღარსად დადო. ნაი-ტურსის დამ შავი თმის კულუღი მექანიკურად გაისწორა და ნიკოლკას ხმის კანკალით ჰკითხა:

— როგორ დაიღუპა?

— იგი გმირულად დაიღუპა, — უბასუხა ნიკოლკამ წმინდა, გაუბზარაუი ხმით, — დიახ, გმირულად... ყველა იუნკერი დროულად გაყარა, თვითონ კი, — ნიკოლკა თან ყვებოდა და თან ტიროდა, — თვითონ კი დარჩა და ისროდა. გაქცეულებს იფარავდა. მეც კინალამ მასთან ერთად მომკლეს. ტყვიამფრქვევის ცეცხლში მოვყევით. — ნიკოლკა თან ლაპარაკობდა და თან ცრემლები ჩამოსდიოდა, — ჩვენ... მხოლოდ ორნი დავრჩით. იგი თან მლანძღავდა, მეძახდა, წადიო, და თანაც ტყვიამფრქვევს ისროდა... ყოველი მხრიდან კავალერია შემოგვერტყა, მახეში მოგვაქციეს, დიახ, ყოველი მხრიდან.

— იქნებ მხოლოდ დაჭრეს?

— არა, — დამაჯერებლად თქვა ნიკოლკამ და თვალები, ცხვირი და პირი ჭუჭყიანი ცხვირსახოციით მოიწმინდა, — არა, მოკლეს. მე თვითონ შევამოწმე. ერთი ტყვია თავში მოხვდა, ერთიც მკერდში.

* * *

უცნაო მეტად ჩამობნელდა. მეზობელი ოთახიდან ჩამიიჭმე აღარ მოისმოდა. რადგან მარია ფრანცევნა ჩაჩუმდა. სასტუმრო ოთახში კი ერთმანეთთან ახლოს სამნი დახდნენ და ჩურჩულებდნენ: ნაი-ტურსის და — ირინა, პენსიე-

იანი სქელი ქალი - ბინის პატრონი ლიდია პავლოვნა, როგორც შეიტყო ნიკოლკამ, და თვითონ ნიკოლკა.

— შე ფული თან არ მაქვს, — ჩურჩულებდა ნიკოლკა, — თუ საჭიროა, ახლავ ვაფიქცივი ფულის მოსატანად და მერე წავიდე.

— ფულს ახლავე მოგცემთ, — ბუბუნებდა ლიდია პავლოვნა, — თუ ღმერთი გწამთ, ფული რა სალაპარაკოა, ოღონდაც იქ რამე გაახერხეთ. ირინა, დედაშენთან სიტყვაც არ დაძრა, სად და რისთვისაა წასვლა საჭირო... აღარ ვიცი, რა ვქნა, როგორ მოვიქცე...

— მეც წავალ, — ჩურჩულებდა ირინა, — და საქმეს მოვაგვარებთ. თქვენ დედაჩემს უთხარით, ფელიქსი ყაზარმაში წევს და მის სანახავად ნებართვაა საჭირო-თქო.

— ჰო, ჰო... კარგი... კარგი...

სქელი ქალი მაშინვე გაცუხცუხდა მეზობელ ოთახში და იქიდან მისი ჩურჩული მოისმა:

— მარია ფრანცევნა, იწექით, თუ ღმერთი გწამთ, იწექით... ისინი ახლავე წავლენ და ყველაფერს შეიტყობენ. იუნკერმა თქვა, ყაზარმაში წევსო.

— ფიცრებზე?... — გაისმა მქლერი და, როგორც ნიკოლკას მოეჩვენა, მძულვარე ხმა.

— რას ამბობთ, მარია ფრანცევნა, სამლოცველოშია, სამლოცველოში...

— იქნებ გზავარედინზე წევს და ძაღლები ჭიჭენიან.

— ოჰ, მარია ფრანცევნა, რას ამბობთ... დამშვიდდით, გემუდარებით...

— დედაჩემი ეს სამი დღეა ჰკუაზე აღარ არის... — აჩურჩულდა ნაი-ტურსის და, ჭიუტი თმის კულულო ისევ უკან გადაიგდო და ნიკოლკას ზურგს უკან, სადღაც შორს გაიხედა, — თუმცა ახლა ყველაფერი სისულელეა...

— მეც გავყვები იმათ, — გაისმა დედის ხმა მეზობელი ოთახიდან. ნაი-ტურსის და უმაღლესად წამოხტა და იქით გაიქცა.

— დედა, დედა, შენ ვერ წამოხვალ. ვერ წამოხვალ. იუნკერი აღარ გამოგყვება, თუ შენ წამოხვალ. ის შეიძლება დააპატიმრონ. იწექი, იწექი, გემუდარები...

— ოჰ, ირინა, ირინა, ირინა, ირინა, — მოისმა მეზობელ ოთახიდან,

— მოკლეს, მოკლეს, შენ კი რას მეუბნები? რას მეუბნები? ირინა... რა ვქნა ახლა, როცა ფელიქსი მოკლეს? მოკლეს... ალბათ თოვლში წევს... აბა, დაფიქრდი... — ქვითინი ისევ მოისმა და საწოლი აჭრაქუნდა.

— კმარა, მარია ფრანცევნა, კმარა, შე საბრალო, კმარა, უნდა გაუძლო. მოითმინო... — გაისმა სახდის პატრონის ხმა.

— ოჰ, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, — თქვა ნაი-ტურსის დამ და სასტუმრო ოთახი სწრაფად გაირბინა.

„თუ ვერ ვიპოვეთ, მაშინ რა ვქნათ?“ — გაიფიქრა შეძრწუნებულმა და სასოწარკვეთილმა ნიკოლკამ.

* * *

თუმცა ყინავდა, იმ საშინელ კართან უკვე იგრძნობოდა შემადრწუნებელი, მკისე სუნი. ნიკოლკა შეჩერდა და ირინას უთხრა:

— იქნებ თქვენ აქ მოგეცადათ?... ჰა?... თორემ იქ ისეთი სუნის დგას, ვაითუ ცუდად გახდეთ.

ირინამ ჭერ მწვანე კარს შეხედა, მერე ნიკოლკას და მიუწოდა:
— არა, მეც შემოგყვებით.

ნიკოლკამ მძიმე კარის სახელურს ხელი ჩასჭიდდა და შეგნით შევიდნენ. პირველად ვერაფერი გაარჩიეს, მერე კი სიბნელეში ცარიელი საკიდების უსასრულო მწკრივები გამოკრთა. ძალდა ლამპა ბუტავდა.

შეშფოთებული ნიკოლკა თანამგზავრისკენ შეტრიალდა, მაგრამ ის ყოჩაღად მიპყვებოდა გვერდით, მხოლოდ სახე გაფითრებოდა და წარბები შეეკრა. ნიკოლკას ასევე წარბშეკრული ნაი-ტურსი გაახსენდა. თუმცა ისინი ერთმანეთს მხოლოდ იერით ჰგავდნენ — ნაის უდრეკი, სადა, ვაჟკაცური სახე ჰქონდა, მისი და კი ლამაზი იყო, თანაც რუსული სილამაზე კი არ ჰქონდა, უცხოელს ჰგავდა. საოცარი, საუცხოო ქალიშვილი გახლდათ.

სუნი, რისაც ნიკოლკას ასე ეშინოდა, ყველგან იგრძნობოდა. სუნი სდიოდა იატაკს, კედლებს, ხის საკიდებს. ეს სუნი ისეთი ამაზრზენი იყო, რომ მისი დანახვაც კი შეიძლებოდა. გეჩვენებოდათ, რომ კედლები და საკიდები გაპოხილია, წებოვანია და ბზინავს, რომ იატაკიც გაზინთულია, ჰაერი კი შესქელებული და მსუყეა, ყველაფერი მძორივით უარს. თვით სუნს თუმცაღა ძალზე სწრაფად ეჩვევი, მაგრამ უმჯობესია თვალი არაფერს შეავლო და არ იფიქრო, რაც მთავარია, არ იფიქრო, თორემ მაშინვე გაიგებ, გულისრევა რასაც ჰქვია. პალტოიანი სტუდენტი წამით გამოჩნდა და გაქრა. საკიდების მარცხნივ კარი ჭრილით გაიღო და იქიდან ჩექმებიანი კაცი გამოვიდა. ნიკოლკამ შეხედა და თვალი სწრაფად აარიდა, რომ მისი პიჯაკი არ დაენახა. პიჯაკი საკიდებივით ბზინავდა. კაცს ხელებიც უბზინავდა.

— რა გინდათ? — მკაცრად ჰკითხა მან მოსულებს.

— ჯენ საქმეზე მოვედით, — წამოიწყო ნიკოლკამ, — გამგე გვჭირდება... მოკლული გვინდა ვიპოვოთ. ალბათ აქ არის.

— კინ არის მოკლული? — ჰკითხა ნიკოლკას კაცმა და კუშტად შეხედა.

— ჯამი დღეა, რაც აქვე ახლოს, ქუჩაზე მოკლეს...

— კოო, მაშ ან იუნკერი ყოფილა, ან ოფიცერი... ჰაი დამაკებიც ერია.

თქვენ ვის კითხულობთ?

ნიკოლკას შეეშინდა იმის გამხელა, რომ ნაი-ტურსი ოფიცერი იყო, და ასე უბასუხა:

— ჰო, ისიც მოკლეს...

— ჰეტმანის მიერ მობილიზებული ოფიცერი იყო, ნაი-ტურსი, — უთხრა კაცს ირინამ და მიუახლოვდა.

იმ კაცისთვის, როგორც ჩანდა, სულ ერთი იყო, ნაი-ტურსი ვინ იქნებოდა, ჩაახველა, იატაკზე დააფურთხა, ირინას გახედა და თქვა:

— არ ვიცი, როგორ მოვიქცე. მეცადინეობა უკვე დამთავრდა და დარბაზებში აღარავინ არის. სხვა დარაჯები წავიდნენ. მოძებნა ძნელია. ძალიან ძნელია...

ირინა ნაიმ ჩანთა გახსნა, ფული ამოიღო და დარაჯს გაუწოდა. ნიკოლკამ პირი მიაბრუნა, ეშინოდა, პატროსანი დარაჯი ფულის აღებას ითაკილებსო. მაგრამ დარაჯმა არ ითაკილა...

გმადლობთ, ქალიშვილო, — თქვა მან და გამოცოცხლდა, — პოვნა

შეიძლება, მაგრამ ნებართვაა საჭირო. პროფესორი თუ ნებას დაგრთავთ, გვამის წაღება შეგეძლება.

— პროფესორი სად არის?.. — ჰკითხა ნიკოლკამ.

— იქ ბრძანდება, მაგრამ არ სცალია, რა ვიცი... მოვახსენო?

— თუ შეიძლება, გეთაყვა, ახლავე მოახსენეთ, — სთხოვა ნიკოლკამ, — მე მოკლულს უმაღლეს ვიცნობ...



— კარგი, მოვახსენებ, — თქვა ყარაულმა და ნიკოლკასა და ირინას გაუძღვა. მათ საფეხურები აიარეს და დერეფანში შევიდნენ, სადაც კიდევ უფრო ამაზრუნენი სუნი იდგა. დერეფანი გაიარეს და მარცხნივ შეუხვიეს. იქ სუნმა იკლო და შუქმა იმატა, რადგან დერეფანს შემინული სახურავი ჰქონდა. აქ, მარჯვნივაც და მარცხნივაც თეთრი კარები მოჩანდა. დარაჯი ერთ კართან შეჩერდა, დააკაკუნა, მერე ქუდი მოიხადა და შევიდა. მდუმარე დერეფანს სახურავიდან შუქი ეფინებოდა, შორეულ კუთხეს კი უკვე ბინდი ეპარებოდა. დარაჯი გამოვიდა და დერეფანში მდგომებს უთხრა:

— შებრძანდით.

ნიკოლკა შიგნით შევიდა, ირინა ნარ უკან მიჰყვა... ნიკოლკამ ქუდი მოიხადა და უზარმაზარ ოთახში პირველად გაზინთულ ფარდებზე შავი ლაქები. მაგიდისკენ მიმართული თვალისმომჭრელი შუქის კონა და ამ კონაში შავი წვერი, მოთენთილი, დანაოჭებული სახე და კებიანი ცხვირი დაინახა, მერე კი, დათრგუნვილმა, კედლები შეათვალიერა. ბინდბუნდში ელვარებდა უსასრულოდ ჩარიგებული კარადები, საიდანაც თითქოს ჩინურ ურჩხულთა მსგავსი შავი და ყვითელი შემზარავი ჯოჯოები იცქირებოდნენ. მოშორებით კი ქურუმივით გამოწყობილი, ტყავისწინსაფრიანი, შავხელთათმანიანი კაცი ჩანდა. იგი გრძელ მაგიდაზე დახრილიყო, სადაც ქვემეხებივით იდგა ტიტის ფორმის მწვანე თალფაქჩამოფარებული, ნათურის შუქით ოქროსფრად აელვარებული და სარკეებ-აბზინებული მიკროსკოპები.

— რა გნებავეთ? — იკითხა პროფესორმა.

ნიკოლკამ გაიფიქრა, პროფესორი ალბათ ეს წვეროსანი, სახემოთენთილი კაცია, ქურუმივით გამოწყობილი კი მისი თანაშემწე იქნებაო.

ნიკოლკამ ჩაახველა. იგი დააკვირდა უცნაურად ჩაზნექილი, მოელვარე ლამპიდან მომდინარე შუქის კონას, თამბაქოსგან გაყვითლებულ თითებს და შემზარავ, საძაგელ საგანს, პროფესორის წინ რომ მოჩანდა — ძარღვებად და დაფებად ქცეულ ადამიანის კისერსა და ნიკაპს, ზედ ათეულობით მოელვარე კაუჭი და მაკრატელი რომ ჰქონდა ჩასობილ-ჩამოკიდებული.

— ნათესავეები ხართ? — ჰკითხა პროფესორმა ოთახში შესულებს ყრუ ხმით, მის მოთენთილ სახესა და წვერს რომ შეესაბამებოდა. მან თავი ასწია და ირინა ნაის, მას ბეწვის ქურქსა და ბოტებს თვალმოწყურული დააცქერდა.

— მე მისი და ვარ, — თქვა ნაიმ, თან ცდილობდა არ დაეხედა იმისთვის, რაც პროფესორის წინ იდო.

— ხომ ხედავთ, სერგეი ნიკოლაევიჩი, საქმე როგორ ჰქირს. პირველი შემთხვევა კი არ არის... შესაძლოა ჩვენთან არც იყოს. გვამებს შავ მუშათა ყაზარმაშიც ხომ ვზიდებოდნენ?

— შესაძლოა. — უპასუხა მალაღმა კაცმა და რაღაც იარაღი გვერდზე მიუღო...

— ფიოდორ! — გასძახა დარაჯს პროფესორმა.



— არა, თქვენ აქ დარჩით... იქით თქვენი წამოსვლა არ შეიძლება... მე შევალ... — გაუბედავად უთხრა ნიკოლკამ ირინას.

— გული წაგივათ, ქალიშვილო, — დაუმოწმა დარაჯმა ნიკოლკას დაუმატა, — შეგიძლიათ აქ მოიცადოთ.

ნიკოლკამ დარაჯი განზე გაიხშო, ორი ქალაღდის ფული კიდევ მისცა და სთხოვა, ქალიშვილი სუფთა ტაბურეტზე დასვიო. დარაჯი რომელიღაც ოთახში შევიდა, სადაც მწვანე ლამპა და ჩონჩხი იდგა, და იქიდან ტაბურეტი გამოიტანა, თან გაღვივებულ წეკოს აფუილებდა.

— თქვენ მედიკოსი ხომ არი ხართ, ყმაწვილო? მედიკოსები მალე ერვევიან, — უთხრა მან ნიკოლკას, დიდი კარი გააღო და ამომრთველს მისწვდა. ჩხაკუნის გაისმა და შეშინულ ჭერს ქვემოთ მოთეთრო ბურთი აინთო. ოთახიდან მქისე სუნი გამოდიოდა. მოთუთიებული მაგიდების რიგები თეთრად ელაყდა. მაგიდებზე არაფერი ეწყო. სადღაც, ნიჟარაში, წყალი წკაპუნით წვეთავდა. ქვის იატაკი ფეხქვეშ ყრუდ გუგუნებდა. საუკუნოდ ჩაგუბებული სუნით გატანჯული ნიკოლკა ცდილობდა არაფერზე ეფიქრა და ისე მიაბიჯებდა. ის და დარაჯი მოპირდაპირე კარიდან სრულიად ჩაბნელებულ დერეფანში გავიდნენ, სადაც დარაჯმა პატარა ლამპა აანთო. მერე ცოტა ხანს კიდევ იარეს. დარაჯმა მძიმე ურდული გადასწია და თუჯის კარი გამოაღო. კვლავ გაისმა ამომრთველის ჩხაკუნი. ნიკოლკას სიცივემ წამოუბერა. კედლებჩაშავეებული ოთახის კუთხეებში უზარმაზარი ცილინდრები იდგა, რომლებიც ადამიანის სხეულის ნაკუწებით, კანას ნაგლეჯებით, თითებით, დაღეწილი ძვლის ნამსხვრევებით პირთამდე იყო გავსებული. ნიკოლკამ პირი მიაბრუნა და ნერწყვი ჩაყლაპა.

— უსუნეთ, ყმაწვილო, — უთხრა მას დარაჯმა.

ნიკოლკამ თვალები დახუჭა, ცხვირი შეშასთან მიიტანა და ნიშადურის აუტანელი სუნი ხარბად შეიწოვა.

თვალებმოქუტული ნიკოლკა ფიოდორის გაღვივებულ ჩიბუხს თითქოს ძილ-ბურანში ხედავდა და აკვამლებული წეკოს გამაბრუებელ სუნსაც გრძნობდა. ფიოდორი ლიფტის ბადესთან ბოქლომს დიდხანს ეჯაჯგურებოდა, ბოლოს გააღო, ნიკოლკასთან ერთად ბაქანზე შედგა და სახელური გადასწია. ბაქანი კრიალით დაიძრა ქვემოთ, საიდანაც გამყინავი სიცივე ამოდიოდა. დარაჯი და ნიკოლკა უზარმაზარ საწყობში შევიდნენ. ნიკოლკა ბუნდოვნად ხედავდა იმას, რაც არასოდეს ენახა. ადამიანთა შიშველი სხეულები ერთიმეორეზე შეშასავით ეწყო და ისეთი აუტანელი, სულის შემხუთველი სუნი ასდიოდა, ნიკოლკა კინალამ გაიგუდა, თუმცა ნიშადურს სუნავდა. მოჩანდა გაშეშებული ფეხები, გაფარჩხული თითები, ქალების გაწეწილი თმა. მათი დაჩქლეტილი, მომჩვარული, ჩალურჯებული მკერდები.

— ხლა მე გვამებს გადავაბრუნებ, თქვენ კი დააკვირდით, — თქვა დარაჯმა და დაიხარა. იგი ერთი ქალის გვამს ფეხზე ჩაეჭიდა. გალიბული გვამი ჩამოსრიალდა და იატაკზე ბრაგუნით დაეცა. ნიკოლკას ქალი ძალზე ლამაზი, ალქაჯივით ლამაზი ეჩვენა. მიცვალებულს გახელილი თვალები პირდაპირ ფიოდორისთვის მიეშტერებინა, იარა წითელი ლენტვიით შემორტყმოდა. ნიკოლკამ იარას თვალი ძლივს მოაცილა და იქაურობა მოათვალიერა. თავბრუ ეხვეოდა და გონებას უფორიაქებდა ფიქრი, ვაითუ საჭირო შეიქნას მთელი ამ

მრავალფენოვანი, ერთმანეთზე აჩხორილი და შეწყებებული სხეულების გადატ-
რიალებათ.

— აღარ არის საჭირო, გაჩერდით, — მისუსტებული ხმით უთხრა მან ფი-
ოდორს და შუშა ჯიბეში ჩაიღო, — აგერ ის არის, ვიპოვე. ზემოთ, აგერ იქ.
ზემოთ.

ფიოდორი მაშინვე იქით გაემართა, თან ცდილობდა წონასწორობა მსკლე-
და-
ეკარგა და იატაკზე ფეხი არ ასხლტომოდა, ნაი-ტურსს თავზე ხელები ჩასჭიდა
და მძლავრად დაიქნია. ნაის მუცელზე გულდაღმა ეწვა ბრტყელზურგა, თეძო-
განიერი ქალი, რომელსაც კეფაზე მინის ნატეხივით შქრქალად უელავდა იაფფა-
სიანი სავარცხელი. ფიოდორმა ქალს თმიდან სავარცხელი მარჯვედ ამოაძრო და
წინსაფრის ჯიბეში ჩაიგდო, მერე ნაის ილღიებში ხელები ამოსდო. შტაბელი-
დან ჩამოსრიალებულ ნაის თავი შეუტოკდა და უკან გადაუქანდა, წამახული,
გაუპარსავი ნიკაპი ზეაღმართა, ერთი ხელი დაბლა ჩაუცურდა.

ფიოდორმა ნაი იატაკზე იმ ქალივით კი არ დააგდო, ილღიებში ხელები
ფრთხილად ამოსდო, გვერდზე შეატრიალა და სახე ნიკოლკასკენ მიაქცევინა.

— შეხედეთ, ის არის? — ჰკითხა მან ნიკოლკას. — სხვა არ გამოდგეს...

ნიკოლკამ ნაის თვალებში ჩახედა. მისი გახელილი, შუშისებური თვალები
უაზროდ იცქირებოდა, მარცხენა ლოყაზე ოდნავ შესამჩნევი სიმწვანე შეჰპა-
როდა, ხოლო მკერდსა და მუცელზე სისხლის ფართო მუქი ლაქები გასდლაბ-
ნოდა და შეხმობოდა.

— ის არის, — თქვა ნიკოლკამ.

ფიოდორს ნაისთვის ხელი აღარ გაუშვია. ლიფტის ბაქანზე შეაჩოჩა და
ნიკოლკას ფეხებთან დააწვინა. გვამმა ხელები გაშალა და ნიკაპი კვლავ ზეაღ-
მართა. ფიოდორი თვითონაც შევიდა შიგნით, სახელური გადმოსწია და ბაქანი
ზემოთ წავიდა.

* * *

იმავ ღამეს სამლოცველოში ყველაფერი ისე მოგვარდა, როგორც ნიკოლ-
კას უნდოდა. სინდისი აღარ ქენჯნიდა, მაგრამ კვლავ დაღვრემილ-დანადვლია-
ნებული ჩანდა. ანატომიური თეატრის შიშველკედლებიან, ჩაყამებულ სამლოც-
ველოში შუქი აანთეს. კუთხეში ვიღაც უცნობის კუბოს სახურავი დაახურეს
და უსიამო და შემზარავი უცხო მეზობლის ცხედარი ნაის სიმშვიდეს აღარ
ურღვევდა. თვით ნაის კუბოში ახლა თითქოს გახარებული, გამზიარებული ე-
რი ჰქონდა.

კმაყოფილმა და ენად გაკრეფილმა დარაჯებმა ნაი განბანეს. განბანილს
უსაძრებებო ფრენჩი ეცვა, შუბლთან გვირგვინად სამი ანთებული სანთელი
ედგა და, რაც მთავარია, პერანგის ქვეშ გიორგის ჯვრის ერთარშინიანი, ქრელი
ლენტი ედო, ნიკოლკამ საკუთარი ხელით რომ დააფინა გაყინულ მკერდზე. მო-
ხუცმა დედამ სამი სანთლის ალით განათებული, აცახცახებული თავი ნიკოლ-
კასკენ მიაბრუნა და უთხრა:

— გმადლობ, შეილო.

ნიკოლკა ხელახლა ატირდა. იგი სამლოცველოდან ანატომიური თეატრის
დათოვლილ ეზოში გავიდა. ირგვლივ ღამეს დაუსადგურებინა, ღამესა და

თოვლს, 'ხოლო ცაზე ჭვრებივით მიმოზნეულიყო ვარსკვლავები და თეთრად ჩანდა ირმის ნახტომი.



ოცდამეორე დღეს დღისით ტურბინი კვდებოდა. თეთრი და ერთიანად გამსჭვალული მოახლოებული შობის ანარეკლით, ორი დღის მერე რომ უნდა დამდგარიყო. ეს ანარეკლი განსაკუთრებით დასტყობოდა სასტუმრო ოთახის იატაკს, რომლის პარკეტი ანიუტას, ნიკოლკასა და ლარიოსის ერთობლივი მეცადინეობის შედეგად პრიალებდა. ისინი წინა დღეს პარკეტზე ფეხებს უხმაუროდ ასრიალებდნენ. შობის ანარეკლი დასთამაშებდა ანიუტას ხელით გაკრიალებულ ლამპრებსაც. წიწვის სუნი იდგა და მწვანედ ელვარებდა ოთახის კუთხე, სადაც კლავიშებს ზემოთ მოჩანდა თითქოს საუკუნოდ მივიწყებული მრავალფერი ვალენტინი.

გემუდარები, დაი ჩემი...

ასე შუადღისას ტურბინის ოთახიდან ელენა გამოვიდა და არცთუ ისე მტკიცე ნაბიჯით მდუმარედ ჩაიარა სასადილო ოთახში, სადაც კარჩხანა, მიშლაევსკი და ლარიოსიკი ხმაგაკმენდილნი ისხდნენ. სანამ იგი ჩაივლიდა, არც ერთი მათგანი არ განძრეულა, რადგან მისი სახის დანახვისა ეშინოდათ. ელენა თავის ოთახში შევიდა და კარი მიიხურა. მძიმე ფარდა უმაღლ ჩამოეშვა და შეურხველად გაჩერდა.

მიშლაევსკი შეტოკდა.

— ეჰ, — ხმადაბლა ჩაიხიხინა მან, — მეთაურმა უველაფერი კარგად მოაგვარა, ალიოშკას ამბავში კი ვერ იმარჯვა...

კარჩხანას და ლარიოსიკს ხმა არ ამოუღიათ; ლარიოსიკმა თვალები აახამხამა და ლოყებზე ლილისფერი ჩრდილები დაეფინა.

— ეჰ... დალაზეროს ეშმაკმა, — დაუმატა მიშლაევსკიმ, წამოდგა, ელენას ოთახის კართან რხევა-რხევით მივიდა და შეჩერდა. ვერ გადაეწყვიტა, რა ექნა, მერე შემოტრიალდა, კარჩხანასა და ლარიოსიკს კარზე თვალით ანიშნა და უთხრა: — ბიჭებო, თვალი გეჭიროთ... თორემ, ხომ იცით...

იგი ერთ ადგილას ტრიალებდა, მერე წიგნების ოთახში გავიდა და იქ მისი ფეხის ხმა მიწყდა. ცოტა ხნის შემდეგ ნიკოლკას ოთახიდან მისი ხმა და კიდევ რაღაც უცნაური წრიპინი მოისმა.

— ნიკოლკა ტირის, — სასოწარკვეთილი ხმით ჩაიჩურჩულა ლარიოსიკმა, ამორ იხრა, ელენას კართან ფეხის წვერებზე მივიდა, დაიხარა, გასაღების ჭუჭრუტ ანიდან შეიხედა, მაგრამ ვერაფერი დაინახა. მერე კარჩხანასკენ უმწეოდ გამოიხედა, თან რაღაცას ანიშნებდა, უხმოდ ეკითხებოდა.

კარჩხანა კართან მივიდა, შეყოყმანდა, მერე ფრჩხილით კარზე რამდენჯერმე მიაკაკუნა და ხმადაბლა შესძახა:

— ელენა ვასილიევნა, ელენა ვასილიევნა...

— ეჰ, ნუ გეშინიათ, — ყრუდ მოისმა ელენას ხმა კარს იქიდან, — არ შემოხვიდეთ.

კარჩხანა უკან გამობრუნდა და ლარიოსიკიც გამოჰყვა. ისინი კვლავ თა-

ვიანთ ადგილზე, საარდამულ ღუმელთან მდგარ სკამებზე დასხდნენ და გაი-
ლურსნენ.

ტურბინებს და იმათ, ვინც ტურბინებთან სიახლოვეს იყვნენ და-
კავშირებულნი, ალექსეის ოთახში არაფერი ესაქმებოდათ. იმ სიფიქრთვეში
მყოფ სამ კაცს მოტრიალება ისედაც უჭირდა. ერთი მათგანი მისი პროფესი-
თვალა დათვი გახლდათ, მეორე, ახალგაზრდა, წვერგაპარსული და ტანადი,
გვარდიელს უფრო რომ ჰგავდა, ვიდრე ექიმს და, ბოლოს, მესამე, ჭალარა
პროფესორი. მის გაწაფულ თვალს არაფერი გამოჰპარვია. თექვსმეტ დეკემბერს,
მოსვლისთანავე, ყველაფერს მიხვდა და ტურბინების ოჯახსაც სავალალო ამ-
ბავი ამცნო, ალექსეის ტიფი ჭირსო. პოდა, ტიფმა ჭრილობა უმაღ ყველას
მიავიწყა. ერთი საათის წინ პროფესორი ელენასთან ერთად სასტუმრო
ოთახში გამოვიდა. ელენას დაუინებულ შეკითხვაზე, რასაც მისი ამომშრალი
თვალები, დაშაშრული ტუჩები და გაწეწილი კულულებიც გამოხატავდა, პრო-
ფესორმა უპასუხა, მცირე იმედილაა დარჩენილიო. მერე ელენას თვალებში
ჩააცქერდა და მისმა უაღრესად გამოცდილმა და ამიტომ ყველას შემბრალე
კაცის მზერამაც დაუმატა, ძალზე მცირეო. ყველამ კარგად იცის, ეს რასაც
ნიშნავს, და ელენამაც იგრძნო: იმედის ნატამალიც არ იყო დარჩენილი, ტურ-
ბინს აღარაფერი ეშველებოდა. ამის მერე ელენა ძმის საწოლ ოთახში შევიდა,
დიდხანს იდგა, სწეულს სახეზე აცქერდებოდა და თავადაც კარგად მიხვდა,
რომ იმედი აღარ უნდა ჰქონოდა. ჭალარა და გულკეთილი მოხუცის გაწაფუ-
ლი თვალი არ იყო საჭირო იმის შესამჩნევად, რომ ექიმი ალექსეი ტურბინი
კვდებოდა.

იგი ჯერ კიდევ სიცხით გათანგული იწვა, მაგრამ ეს უკვე მერყევი, ცვა-
ლებადი სიცხე იყო, რომელიც საცაა ჩაცხრებოდა. სწეულს სახის ფერი უკვე
რადაც უცნაურად შესცვლოდა, სანთლისფერი გადაჰკრავდა, ცხვირი გასთხე-
ლებოდა და განსაკუთრებული სიცხადით წარმოჩენილ კეხზე განწირულების
ნიშანი დასჩენოდა. ელენას ფეხები გაეყინა, ჩირქისა და ქაფურის სუნით გაჟ-
ღენთილ, ჩახუთულ საწოლ ოთახში ბუნდოვანმა წუხილმა აიტანა, მაგრამ მა-
ლევე გაუარა.

ტურბინს მკერდში თითქოს ქვა ჩასჭედოდა, სტვენით სუნთქავდა, წებო-
ვან ჰაერის ნაკადს დაკრეჭილ კბილებს შორის ისრუტავდა, მაგრამ ჰაერი მკერ-
დში არ ჩადიოდა. დიდი ხანია გონზე აღარ იყო, ირგვლივ რა ხდებოდა, ვერც
ხედავდა და ვერც შეიგრძნობდა. ელენა იდგა და დაჰყურებდა. პროფესორმა
ელენას ხელი შეახო და ჩასჩურჩულა:

— ელენა ვასილიევნა, თქვენ გადით, ყველაფერს ჩვენ თვითონ გავა-
კეთებთ.

ელენა დაემორჩილა და ოთახიდან მაშინვე გავიდა. მაგრამ პროფესორს
აღარაფერი გაუკეთებია.

მან ხალათი გაიხადა, ბამბის სველი გუნდებით ხელები გაიწმინდა და
ტურბინს სახეზე კვლავ დააცქერდა. სწეულს ტუჩებისა და ცხვირის ნაოჭებ-
თან მოლურჯო ჩრდილები კიდევ უფრო ჩამუქებოდა.

პროფესორი წვერგაპარსულს მიუბრუნდა და ყურში ძალზე ხმადაბლა
ჩასჩურჩულა:

— აღარაფერი ეშველება, ექიმო ბროდოვიჩი, ავადმყოფთან თქვენ დარჩით.

— ქაფური? — ჩურჩულით ჰკითხა ბროდოვიჩმა.

— დიახ, დიახ, დიახ.

— თითო გრამი?

— არა, — პროფესორმა ფანჯრისკენ გაიხედა და დაფიქრდა, — ერთბაშად სამ-სამი გრამი. ხშირ-ხშირად. — შერე ცოტა ხანს და დაფიქრდა და დაუმატა: — თუ უბედურება მოხდეს, ტელეფონით შემატყუანენ, ეს სიტყვები ძალზე ფრთხილად წაიხურჩულა, რომ ტურბინის სმენას თუნდაც ბოღვასა და ბურანში არ ჩასწვდომოდა, — კლინიკაში. თუ არა და მაშინვე მოვალ, როგორც კი ლექციას დავამთავრებ.

* * *

წლიდან წლამდე, რაც კი ტურბინებს თავი ახსოვდათ, ლამპრები მათ ბინაში ოცდაოთხ დეკემბერს დაბინდებისას ინთებოდა, ხოლო საღამოთი, სასტუმრო ოთახში, ნაძვის მწვანე ტოტებს მოციმციმე, თბილი შუქი გააჩირადდნებდა. მაგრამ ახლა მზაკვარმა ნატყვიარმა კრილობამ და მოხიხინე ტიფმა ყველაფერი აურ-დაურია, ცხოვრების მდინარეა და ლამპრების ანთება დააჩქარა. ელენამ სასტუმრო ოთახის კარი მიხურა, საწოლთან მდგარ ტუმბასთან მივიდა, ასანთი აიღო, სკამზე შედგა და მძიმე ჩარჩოში ჩასმული ძველი ხატის წინ ჯაჭვზე ჩამოკიდებული მძიმე ლამპარი აანთო. როცა ალი მომძლავრდა და აკიაფდა, ღვთისმშობელს თვალები და შავგვრემანი პირისახე აღერსიანი გაუხდა, ხოლო გვირგვინი ოქროსფრად შეეფერა. ღვთისმშობლის გვერდზე გადახრილი თავი ელენას ჩამოსცქეროდა. ფანჯრების ორ კვადრატში ჯერაც დეკემბრის თეთრი, იღუმალი დღე იდგა, მოცახცახე ალის ენამ კი ოთახის კუთხეში უკვე შობა ღამე დაამკვიდრა. ელენა სკამიდან ჩამოვიდა, მხრებიდან შალი მოიძრო, ხალისის კუთხე გადასწია, პრილა პარკეტზე დაიჩოქა და თავი იატაკამდე მღუმარედ დახარა.

სასადილო ოთახში მიშლაევსკიმ გაიარა; ქუთუთოებგათეთრებული ნიკოლკა უკან მიჰყვებოდა. ისინი ტურბინის ოთახში შევიდნენ. სასადილო ოთახში დაბრუნებულმა ნიკოლკამ მოსაუბრეებს უთხრა:

— კვდება... — და ღრმად ჩაისუნთქა.

— იცით რა, — წამოიწყო მიშლაევსკიმ, — მღვდელი ხომ არ მოგვეყვანა? ჰა, ნიკოლ?... მოუნანიებლად ხომ არ უნდა...

— ელენას უნდა ვუთხრათ, — უპასუხა შეშინებულმა ნიკოლკამ, — იმის დაუკითხავად ხომ ვერ მოვიყვანთ! ვაითუ ელენას რამე დაემართოს...

— ექიმი რას ამბობს? — იკითხა კარჩხანამ.

— რა უნდა თქვას. აქ სათქმელი აღარაფერია, — ჩაიხიხინა მიშლაევსკიმ.

ისინი დიდხანს ჩურჩულებდნენ შეშფოთებულნი. გაფითრებული, გონებადანილული ლარიოსიკი ოხრავდა. ექიმ ბროდოვიჩთან კიდევ შევიდნენ. მან შემოსასვლელში გამოიხედა, პაპიროსი გააბოლა და აჩურჩულდა:

— ეს აგონიაა. მღვდელი, რა თქმა უნდა, შეგიძლიათ მოიყვანოთ. ჩემთვის სულ ერთია, რადგან ავადმყოფი უგონოდაა და ეგ აღარაფერს ავნებს.

— ყრუ აღსარება...

იჩურჩულეს, იჩურჩულეს, მაგრამ მღვდლის მოყვანა ჯერ ვერ გადაწყვიტეს. ელენას მიუკაცუნეს: მან კარს შიგნიდან ყრუ ხმით უპასუხა:

— თავი გამანებეთ, მე თვითონ გამოვალ...

ისინიც კარს მოსცილდნენ.

დაჩოქილი ელენა ღვთისმშობლის ჩაშავებული სახისა და ნათელი თვალების ზემოთ დაკბილულ გვირგვინს ასცქეროდა და ხელებგაწვდილი ჩურჩულებდა:

— მფარველო დედაო, ერთბაშად ბევრი უბედურება მოგვევლინა... ერთ წელიწადში ოჯახს ბოლოს უღებ. რატომ? დედაჩვენი წაიყვანეს... მამაკაცი მყავს და აღარც მეყოლება, ეს ვიცი. ძალიან კარგად ვიცი. ახლა კი უფროს ძმასაც გვართმევ. რატომ? მე და ნიკოლკას უიმისოდ რა გვეშველება? ნახე, ზენს თავს რა ამბავია... მფარველო დედაო, ნუთუ არ შეგვიწყალებ?... იქნებ ცუდი ხალხი ვართ, მაგრამ ასე რატომ გვსჯი?

იგი ისევ დაიხარა, იატაკს შუბლი მხურვალედ შეახო, პირჯვარი გადაიწვრა, ხელები კვლავ წინ გაიწოდა და ღვთისმშობლის ხატს შეევედრა:

— ყოვლად წმინდაო დედაო, შენი იმედილა მაქვს, შენი. შენს ძეს შეგვავედრე, უფალს შეგვავედრე, რომ სასწაული მოგვივლინოს...

ელენამ აღგზნებით იწყა ჩურჩული, სიტყვებს ურევდა, მაგრამ მისი ტუჩებიდან ვედრება უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა. იატაკს შუბლით სულ უფრო ხშირად ეხებოდა, ხანდახან თავს გაიქნევდა და სავარცხლიდან თვალებზე ჩამოშლილ კულულს უკანვე გადაიგდებდა. ფანჯრების კვადრატებში დღე მიილია, გაუჩინარდა თეთრი შევარდენიც. დღის სამ საათზე გავოტმა ისე ჩაიკრაკა, ელენას არც გაუგია. და სრულად უხმაუროდ მოვიდა ის, ვისაც შეღალადებდა და ვისი გულის მოღობობასაც შეგვრემან ღვთისმშობელს ემუდარებოდა. იგი დარღვეული აკლდამის გვერდით გამოჩნდა მკვდრეთით აღმდგარი, სახიერი და ფეხშიშველი. ელენას მკერდი გაუფართოვდა, ლოყები აუფორეჭდა, თვალებში შუქი ჩაელვარა და უცრემლო ტირილით აეცხო. შუბლი და ლოყა იატაკს დააბჯინა, მერე აღისკვნ ისე აიმართა, თითქოს სული მალლა მიელტყისო, მუხლებქვეშ იატაკს ველარ გრძნობდა. ალი აბრიალდა, გვირგვინ-შემოჭდობილი მუქი სახე აშკარად გაცოცხლდა, ხოლო თვალები ელენას სულ ახალ-ახალ სიტყვებს ათქმევინებდა. კართა და სარკმელთა მიღმა სრული მყუდროება სუფევდა, დღე საოცარი სისწრაფით ქუფრდებოდა და ელენას კიდევ მოევლინა ჩვენება — ცის თაღის კამკამა შუქი, არნახული, მოწითალო-მოყვითალო ქვიშის ლოდები, ზეთისხილის ხეები. გულში ტაძრის საუკუნოვანი შავი მღუძარება და სიცივე შეეჭრა.

— მფარველო დედაო, — ჩურჩულებდა ცეცხლშემოგზნებული ელენა, — შეგვავედრე, აგერ შენი ძე. ეს ხომ არ გაგიძნელდება. შეგვიბრალე. მოიღე მოწყალება... ახლა შენი დღეებია. შენი დღესასწაული. იქნებ შენმა ძემ რამე სიკეთე ქნას. შენც გვედრები, ცოდვები მიგვიტევო. დაე, სერგეი ნუ დაბრუნდება... რაკილა მართმევ, წამართვი, მაგრამ ძმას ასე ნუ დამისჯი, სიკვდილს ნუ მოუვლენ... ყველას სისხლი გვაწევს კისერზე, მაგრამ ნუ გაგვწირავ, ნუ გაგვწირავ. აგერ შენი ძე, აგერ...

ალი დაიმსხვრა და განიბნა, ერთი სხივი ჯაჭვივით წაგრძელდა და ელენას თვალებს მისწვდა. მან შეშლილი თვალები აღაპყრო და დაინახა, ოქროს საბურველშემოჭდობილმა სახემ ბაგე როგორ გააპო, ხოლო თვალები ისეთი უჩვეულო გაუხდა, რომ შიშმა და დამათრობელმა სიხარულმა ელენას ლამის გული გაუბო. იგი იატაკზე ვანერთხა და აღარ წამომდგარა.

* * *

შეშფოთებამ მთელ ბინას ხორშაკი ქარივით ჩაუქროლა. ვილაცამ სასტუმრო ოთახში ფეხის წვერებზე გაირბინა. ვილაცამ ~~ქარი~~ ~~მოფხოქნა~~, გაისმა ჩურჩული: „ელენა... ელენა... ელენა...“ ელენამ გაყინული მუხლი ხელის ზურგით მოიწმინდა, კულული უკან გადაიგდნა და თვალები ბრმასავით გაშეშებოდა, შეშლილივით იცქირებოდა, ლამპრით განათებულ კუთხეს აღარ უყურებდა და კარისკენ მიემართებოდა. გული თითქოს ფოლადად ჰქცეოდა. კარმა მის ნებართვას აღარ დაუცადა, თავისით გაიღო და ფარდაშემოხვეული ნიკოლკა გამოჩნდა. მან ზარდაცემული, დაჭყეტილი თვალები ელენას მიაშტერა. ჰაერი არ ჰყოფნიდა.

— იცი რა, ელენა... ნუ გეშინია... ნუ გეშინია... იქ შედი... მგონი...

* * *

ექიმ ალექსეი ტურბინს ოფლიანი ხელით დამტვრეულ-დაჭყლეტილი სანთლის ფერი ედო, საბნოდან გაძვალტყავებული, ფრჩხილებწამოზრდილი ხელები ამოეყარა და წაწვეტებული ნიკაპი ზეადემართა, სხეული მწებარე ოფლში ცურავდა, ხოლო დამქნარი, გალიბული მკერდი გაღვლილი პერანგის ქვეშ აუღ-ჩაუდიოდა. მან თავი დაღუნა, ნიკაპი გულისპირზე დაიბჯინა, ჩაყვითლებული კბილები ერთმანეთს ძლივს მოჭვლიჯა და თვალებში გამოახილა. ბურუსისა და ბოდვის დაფხრეწილი ფარდა მის თვალებში ჭერ კიდევ ირხეოდა. მაგრამ შავ ნაფლეთებში უკვე შუქი გამოკრთოდა.

— კრიზისია, ბროდოვიჩ. რაო?... გადავრჩები?... ჰა-ა... — თქვა მან მისუსტებული, ჩახლეწილი და გაწვრილებული ხმით.

კარჩხანას აკანკალებულ ხელში ლამპა ეჭირა. მისი შუქი ჩაზნექილ ქვეშაგებს და დასრესილ, ნაოჭებჩამუჭებულ ზეწარს ანათებდა.

წვერგაპარსულმა ექიმმა ტურბინის მკლავზე გაღვლილი ხორცი თითებში გაუბედავად მოიქცია და პატარა შპრიცის ნემსი შეარქო. ექიმს მუხლი წვრილწვრილმა წვეთებმა დაუცვარა. იგი აღელვებული და გაოგნებული იყო.

პეტურრა. ცხოვრებამ მისმა ქალაქში ორმოცდაშვიდ დღეს გასტანა. ტურბინთა თავზე თოვლ-ყინულით შეჯავშნულმა, ფიფქებით შებურვილმა 1919 წლის იანვარმა გადაიქროლა, თებერვალი მოგრიალდა და ქარბუქი დაატრიალა.

ორ თებერვალს ტურბინთა ბინაში შავმა ლანდმა გაიარა; გადაპარსულ თავზე შავი აბრეშუმის ქუდი ეხურა. ეს ლანდი მკვდრეთით აღმდგარი ტურბინი გახლდათ. იგი ძალიან შეიცვალა. სახეზე, ტუჩების კუთხეებში ორი ნაოჭი ალბათ სამუდამოდ დააჩნდა, კანი ცვილისფერი გაუხდა, თვალები ჩაუცვივდა, აღარ უღიმოდა და სამუდამოდ მოეღუწა.

სასტუმრო ოთახში ტურბინი ფანჯარას ისევე აეყრა, როგორც ორმოცდაშვიდი დღის წინ, და ყური მიუგდო. ახლაც, როგორც მაშინ, ფანჯრიდან მოციმციმე შუქი, თოვლი — თბერა „შობა ღამე“ მოჩანდა და რბილად მოისმო-

და ქვემეხთა შორეული გრუხუნნი. ტურბინმა შუბლი მკაცრად შეიჭმუნა, ჯოხს მათელი სიმძიმით დააწვა და ქუჩას დააკვირდა. იგი ხედავდა, რომ დღემ ჯადოსნურად იმატა, სინათლე მომძლავრდა, თუმცა მინის მიღმა ქარბუქი მძვინვარებდა და მილიონობით ფანტელს ატრიალებდა.

აბრეშუმის ქუდქვეშ მკაცრი, ცხადი, უსიხარულო ფიქრები მისდევდა, ტურბინს თავი თითქოს დაუმსუბუქდა. დაუცარიელდა, მხრებზე უცხო კოლოფივით ედგა, ფიქრები თითქოს გარედან მოდიოდა, თანაც იმ თანამიმდევრობით, როგორც თვითონ მოესურვებოდათ. ტურბინს მარტოობა სიამეს ჰგვრიდა და ფანჯრიდან იცქირებოდა.

„პეტურრა... ამალამ, დილამდე, მოსახდენი მოხდება, პეტურრა აღარ იქნება... იყო კი იგი?... თუ ყველაფერი შესიზმრა? არავინ იცის, შემოწმება შეუძლებელია. ლარიოსიკი ძალზე სასიამოვნო ყმაწვილია. ოჯახში მისი ყოფნა არაფერს აშავებს, პირიქით, საჭიროც კია. მადლობა უნდა ვუთხრა, რომ მივლიდა... შერვინსკი? ეშმაკმა უწყის... შარია ქალების ამბავი, ელენა უსათუოდ გაჰყვება, აუცილებლად.. მერე რა არის აქ სასიკეთო? კარგი ხმა რომ აქვს? ხმა კი საუცხოო აქვს, მაგრამ კარგ ხმას ბოლოს და ბოლოს ხომ შეიძლება დაუქორწინებლადაც უსმინო. ხომ ასეა? თუმცა რა მნიშვნელობა აქვს! მაშ რასა აქვს მნიშვნელობა? ჰო, შერვინსკი ამბობდა, იმათ უაფახებზე წითელი ვარსკვლავები უკეთიათო... ალბათ საშინელება იქნება ქალაქში. ჰოო... მაშ ამალამ... მგონი, ქუჩებში ადალი უკვე მოდის... მაგრამ მე მაინც წავალ იქ, დაღამებამდე წავალ... და წავუღებ... ძინ, დაიჭირეთ! მე მკვლეელი ვარ. არა, ბრძოლაში მოვკალი. ანდა დავჭერი... ვისთან ცხოვრობს იულია? სად არის მისი ქმარი? ძინ. მალიშევი. სად არის ახლა? მიწამ პირი უყო. მაქსიმი?... ალექსანდრე პირველი?“

ფიქრთა მდინარება ზარის ხმამ შეწყვიტა. ბინაში ანიუტას გარდა არავინ იყო, ყველანი ქალაქში გასულიყვნენ, რათა საქმეები დაღამებამდე საჩქაროდ მოეთავებინათ.

— ანიუტა, თუ ავადმყოფია, შემოუშვი.

— კარგი, ალექსეი ვასილიევიჩ.

ანიუტას კიბეზე ვილაც ამოჰყვა, შემოსასვლელში თხის ტყავის პალტო გაიხადა და სასტუმრო ოთახში შევიდა.

— მობრძანდით, — უთხრა მას ტურბინმა.

სავარძლიდან გამხდარი, სახეგაყვითლებული, ნაცრისფერფრენჩიანი ახალგაზრდა კაცი წამოდგა. თვალები ამღვრეული და დაძაბული ჰქონდა. თეთრხალათიანმა ტურბინმა გზა დაუთმო და კაბინეტში შეუშვა.

— დაბრძანდით. რით შემიძლია გემსახუროთ?

— მე სიფილისი მჭირს, — ჩახლეჩილი ხმით უთხრა ტურბინს მოსულმა და ჭიქურ, პირქუშად შეხედა.

— მკურნალობდით?

— ვმკურნალობდი, მაგრამ უხეიროდ და უთავბოლოდ.. მკურნალობა ბევრს ვერაფერს მშველოდა.

— ჩემთან ვინ გამოგგზავნათ?

— ნიკოლოზ კეთილის ეკლესიის წინამძღვარმა, მამა ალექსანდრემ.

— ვინ?

— მამა ალექსანდრემ.

— რა? განა თქვენ მას იცნობთ?

მე მას აღსარება ვუთხარი და წმინდა მოხუცის საუბარმა სულიერი შვება მომანიჭა, — თქვა სნეულმა და თვალები ცისკენ აღაპყრო. — მანამდე ვფიქრობდი, რომ არ უნდა მემკურნალა და მოთმინებით ამეტანა განსაცდელი, რაც ღმერთმა ჩემ მიერ ჩადენილი საშინელი ცოდვის გამო მომივლინა. მაგრამ წინამძღვარმა ჩამაგონა, რომ სწორედ არ ვმსჯელობდი და მის ნებას დავჟევი.

— მაშასადამე, — თქვა ტურბინმა და ჩაქუჩი დააგდო, — როგორც გეტყობათ, ღვთისმოსავი ყოფილხართ.

— დიახ, მე დღისითაც და ღამითაც ღმერთზე ვფიქრობ და მას ვევედრები, რადგან იგია ერთადერთი სავანე და ნუგეში.

— ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, — უთხრა სნეულს ტურბინმა, თან თვალებში ჩააცქერდა, — თქვენს რწმენას პატივს ვცემ, მაგრამ აი, რას გირჩევთ: მკურნალობის დროს ღმერთზე დაუინებით ფიქრს თავი უნდა ანებოთ. საქმეს ის არის, რომ ეს შეიძლება იდეფიქსად გექცეთ, რაც თქვენს მდგომარეობაში მაგნებელია. თქვენ ჰაერი, მოძრაობა და ძილი გჭირდებათ.

— ღამლამობით ვლოცულობ.

— არა, ამას თავი უნდა ანებოთ, ლოცვის დრო შეამციროთ. ლოცვა დაგქანცავთ, თქვენ კი აუცილებლად მოსვენება გჭირდებათ.

სნეულმა თვალები მორჩილად დახარა.

იგი ტურბინის წინ შიშველი იდგა და მოთმინებით ელოდა, ექიმი გასინჯვას როდის დაამთავრებდა.

— კოკაინს ეტანებით?

— იმ სისაძაგლეთა და მანკიერებათა შორის, რასაც ვეტანებოდი, ესეც ერთია. ახლა თავი მივანებე.

„ეშმაკმა იცის ამის თავი... იქნებ თაღლითია და თავს იკატუნებს, თვალი უნდა გვეჭიროს, რომ შემოსასვლელიდან ქურქები არ დაგვეკარგოს“.

ტურბინმა ჩაქუჩის ტარით სნეულის მკერდზე კითხვის ნიშანი შემოხაზა. თეთრი ნიშანი გაწითლდა.

— რელიგიური საკითხებით გატაცებას თავი უნდა ანებოთ. საერთოდაც, ნაკლებად უნდა დაიტვირთოთ ყოველგვარი მძიმე ფიქრებით. ჩაიცვით. ხვალისიდან ვერცხლისწყლის შეშხაპუნებას დაგიწყებთ, ხოლო ერთი კვირის შემდეგ პირველ შესხმას ჩაგიტარებთ.

— კარგი, ექიმო.

— კოკაინს უნდა მოეშვათ. სმასაც. ქალებსაც...

მე ჩამოვშორდი ქალებსაც და შხამებსაც. ჩამოვშორდი ბოროტ ადამიანებსაც, — ამბობდა სნეული და პერანგის ღილებს იკრავდა. — ჩემი ცხოვრების ბოროტი გენია, ანტიქრისტეს წინამორბედი, სატანის ქალაქში გაემგზავრა.

— ბატონო ჩემო, ასე არ შეიძლება, — ამოიკვნესა ტურბინმა, — მაგრე ხომ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოხვდებით რომელ ანტიქრისტეზე ლაპარაკობთ?

მე ვლაპარაკობ ანტიქრისტეს წინამორბედზე, მიხაილ სემიონოვიჩ შპოლიანსკიზე, გველისთვალებიან და შავბაკებიან კაცზე. იგი ანტიქრისტეს სამფლობელოში, მოსკოვში გაემგზავრა, რათა ნიშანი მისცეს და აესულთა

ურდოები ამ ქალაქისკენ დაძრას მის ბინადართა ცოდვების განსაკითხავად, როგორც ოდესღაც განკითხულ იქნა სოდომი და გომორი...

— ავსულებად ბოლშევიკები მოიხსენიეთ? გეთანხმებით. მაგრამ ასე მაინც არ შეიძლება... ბრომი უნდა სვათ. დღეში სამჯერ თითო სუფრის კოვზი...

— იგი ახალგაზრდაა, მაგრამ მის გულში იმდენი სისამაგლე ბუდობს, ათასი წლის სატანა ვერ შეედრება. დიაცებს გარყვნილებისკენ უბიძგებს, ვაჟებს მანკიერებისკენ. და დასცეს, უკვე დასცეს ცოდვილთა ურდოების საომარი საყვირნი, და ველთა ზედა მოჩანს სახე სატანისა, მათ კვალად რომ მოჰყვება.

— ტროცკის გულისხმობთ?

— დიახ, ეგ არის სახელი იმისა, ვისი სახეც სატანამ მიიღო. ხოლო მისი ნამდვილი სახელი ებრაულად არის აბადონი, ბერძნულად კი აპოლიონი, რაიცა წარწყმედელს ნიშნავს.

— სერიოზულად გეუბნებით, თუ ამას არ მოეშვებით, იცოდეთ, რომ... მანია შეგიბყრობთ...

— არა, ექიმო, მე ნორმალური ვარ. ექიმო, თქვენი წმინდა საქმის საფასურად რამდენს იღებთ?

— მომიტევეთ, მაგრამ სიტყვა „წმინდას“ რა ყოველ ნაბიჯზე გაიძახით. ჩემს საქმეში წმინდასა და განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ. კურსში იმდენს ვიღებ, რამდენსაც სხვები იღებენ. თუ ჩემთან იმკურნალებთ, ბე დატოვეთ.

— ძალიან კარგი.

სნეულმა ფრენჩის ღილები გაიხსნა.

— იქნებ ფული ცოტა გაქვთ, — უთხრა მას ტურბინმა და მუხლებთან გაწყალებულ შარვალზე დახედა. „არა, თაღლითი არ არის... არა... მაგრამ უთუოდ შეიშლება“.

— არა, ექიმო, ფულს გამოვნახავ. თქვენ კაცობრიობას შევბას თქვენებურად ანიჭებთ.

— ზოგჯერ ძალზე წარმატებითაც. იცოდეთ, ბრომი წესიერად უნდა სვათ.

— სრულ შევბას, პატივცემულო ექიმო, მხოლოდ იქ ვეზიარებით, — სნეულმა თეთრ ჭერზე შთაგონებით ანიშნა. — ამჟამად კი ყველას ისეთი განსაცდელი მოგველის, რაც არასოდეს გვიხილავს... და განსაცდელის ჟამი ძალზე მალე დადგება.

— უღრმეს მადლობას მოგახსენებთ. მე ისიც მეყოფა, რაც განვიცადე.

— წინასწარ არაფრის თქმა არ შეიძლება, ექიმო. ეჰ, არ შეიძლება, — ბუტბუტებდა სნეული შემოსასვლელში და თხის ტყავის პალტოს წვალებით იცვამდა, — რამეთუ ნათქვამია: მესამემან ანგელოზმან ლანკნაი თვისი დასთხია მდინარეთა ზედა და წყაროთა ზედა წყალთასა და გარდაიქცეს სისხლად.

„ეს სადღაც უკვე გამიგონია... ჰო, რა თქმა უნდა, მღვდელთან ლაპარაკით გული უჭერებია. ერთმანეთს მორგებიან. დიდებულია“.

— დაბეჭითებით გირჩევთ, აბოკალიფსი ნაკლებად იკითხოთ... გიმეორებთ, რომ გავნებთ. კარგად იყავით. ზვალ ექვს საათზე მობრძანდით. ანიუტა, ვააცილე, გეთაყვა...



— ეს მინდა გაჩუქოთ და უარს ნუ მეტყვით... ჩემი გადაარჩენისთვის სახსოვრად მინდა რამე გქონდეთ... განსვენებული დედაჩემის ნაჭრის სამაჯურიც...

— ნუ შეწუხდებით... რა საჭიროა... არ გამოგართმევთ. — უპასუხა იულიამ ტურბინს, თან ხელით იცილებდა, უძალიანდებოდა.

მაგრამ ტურბინმა მაინც თავისი გაიტანა და ფერმკრთალ მაჯაზე მძიმე, ნაჭედი, მუქი ფერის სამაჯური შეაბა. სამაჯურმა ხელი მეტად დაამშვენა და იულია უფრო ლამაზი გამოჩნდა... საღამოს ბინდშიც კი მოჩანდა, სახე როგორ აუვარდისფრდა.

ტურბინმა ველად მოითმინა, მარჯვენა ხელი იულიას კისერზე მოჰხვია, მიიზიდა და ლოყაზე რამდენჯერმე აკოცა... დასუსტებული ხელიდან ჯობი გაუვარდა და მაგიდის ფეხთან ბრაგუნით დაეცა.

— წადით... — ჩურჩულით უთხრა იულიამ, — დროზე წადით... ქუჩაში აღალი მოდის. გაფრთხილდით, არავის გადაეყაროთ.

— მე თქვენ მომწონხართ, — ჩასჩურჩულა ტურბინმა. — ნება მომეცით კიდევ მოვიდუ.

— მოდით...

— მითხარით, მარტო რატომ ხართ და მაგიდაზე ვისი სურათი გიდევთ? შევეგვრემანი, ბაკეზიანი კაცის.

— ჩემი ბიძაშვილია, — უპასუხა იულიამ და თვალები დახარა.

— რა გვარია?

— რად გინდათ?

— თქვენ მე გადამარჩინეთ... მინდა ვიცოდუ.

— მე გადაგარჩინეთ და უფლება გაქვთ იცოდეთ? მისი გვარი უპოლიანსკია.

— აქ არის?

— არა, წავიდა... მოსკოვს გაემგზავრა. რა ცნობისმოყვარე ხართ.

ტურბინი რალაცამ შეაშფოთა. იგი შავ ბაკეზსა და შავ თვალებს დიდხანს დასცქეროდა... უსიამო ფიქრი, გულს რომ უწიწქნიდა, მანამდე არ მოსცილდა, ვიდრე „მაგნიტური ტრიოლეტის“ თავმჯდომარის შუბლი და ტუჩები არ შეისწავლა. მაგრამ ეს ფიქრი ბუნდოვანი იყო... წინამორბედი.. ის უბედური, თხისტყავიანი კაცი. რა აწუხებს? გულს რა უწიწქნის? რა მისი საქმეა?.. ავსულები... ეჰ, სულ ერთია... ოღონდაც აქ კიდევ მოვიდეს, ამ უცნაურ და მყუდრო ბინაში, სადაც ოქროსეპოლეტებიანის სურათია.

— წადით. დროა.

* * *

— ნიკოლ? შენა ხარ?

საიდუმლოებით მოცული ბაღის ქვედა იარუსზე, მეორე სახლთან, ძმები ერთმანეთს პირისპირ შეეფეთნენ. ნიკოლკა რატომღაც შეკრთა, თითქოს დანაშაულზე წაასწრესო.

— ალიოშა, ნაი-ტურსებთან ვიყავი, — უთხრა მან ძმას ისეთი სახით, თითქოს ვაშლის ქურდობისას ღობესთან მიიმწყვდიესო.

— კარგად მოქცეულხარ. ნაი-ტურსს დედა დარჩა?

— დაცა ჰყავს, ალიოშა... საერთოდ.

ტურბინმა ნიკოლკას ცერად გადახედა და აღარ ჩაეძია. ძმებმა ნახევარი გზა მდუმარედ გაიარეს. მერე სიჩუმე დაიწყო.

— ძამიკო, როგორც ჩანს, პეტურრამ მე და შენ მალო-პროვალნაიას ქუჩაზე გვიკრა თავი. ჰა? რა გაეწყობა, ვიაროთ. აქედან რა გამოვა, ეს კი არავინ უწყის. ჰა?

ნიკოლკამ ეს იღუმალი ფრაზა უდიდესი ინტერესით მოისმინა და ახლა თვითონ ჰკითხა:

— შენც მოინახულე ვინმე, ალიოშა? მალო-პროვალნაიაზე?

— ჰო, — უპასუხა ტურბინმა, პალტოს საყულო წამოიწია, თავი შიგ ჩარგო და შინ მისვლამდე კრინტი აღარ დაუძრავს.

* * *

იმ ღირსსახსოვარ და ისტორიულ დღეს ტურბინებთან ყველანი ერთად სადილობდნენ. იქ იყვნენ მიშლაევსკი, კარჩხანა და შერვინსკი. ეს იყო პირველი საერთო სუფრა მას შემდეგ, რაც დაჭრილი ტურბინი ჩაწვა. ყველაფერი ძველებურად იყო ერთი რამის გარდა — სუფრაზე, ვაზაში აღარ ეწყო უკარება, ელვარე ვარდები, რადგან დიდი ხანია აღარ არსებობდა მარკიზას განადგურებული საკანფეტე. თავად მარკიზა სადღაც შორეთში გადაიხვეწა, ალბათ იქ, სადაც სავანე ჰპოვა მაღამ ანუემ. სუფრასთან მსხდომთაგან სამხრეები აღარავინ ეკეთა. სამხრეებიც სადღაც გაუჩინარდა, ფანჯრებს მიღმა ქარბუქში განქარდა.

შერვინსკის ყველანი პირდაღებულნი უსმენდნენ, ანიუტაც კი გამოსულიყო სამზარეულოდან და კარს მიჰყუდებოდა.

— როგორი ვარსკვლავები უკეთიათ? — ეკითხებოდა შერვინსკის მოღუშული მიშლაევსკი.

— კოკარდასავით პატარები, სუთქიმიანები, — ჰყვებოდა შერვინსკი, — ფაფახებზე. ამბობენ, ღრუბელივით მოიგრაგნებიანო... ერთი სიტყვით, შუალამისას აქ იქნებიან...

— საიდან იცი ასე ზუსტად: შუალამისას...

მაგრამ შერვინსკიმ პასუხის გაცემა ვერ მოასწრო, რადგან ზარის ხმა გაისმა და ბინაში ვასილისა შემოვიდა.

ვასილისა მარჯვნივ და მარცხნივ ყველას თავს უკრავდა, ხელს გულთბილად ართმევდა, განსაკუთრებით კარჩხანას მიესალმა ალერსიანად, მერე რანტის კრაჭუნით პიანინოსკენ გაემართა. ელენამ გულლიად გაუღიმა და ხელი გაუწოდა. ვასილისა როგორღაც შეკუნტრუშდა და ისე ეამბორა. „ეშმაკმა დალაზროს, ვასილისა თითქოს სიმპათიური გახდა იმის მერე, რაც ფული წაართვეს, — გაიფიქრა ნიკოლკამ და ფილოსოფიური მსჯელობა განაგრძო, — იქნებ ფულის ბრალია, თუ კაცი სიმპათიური არ არის. აი, აქ, მაგალითად, ფული არავისა აქვს და ყველა სიმპათიურია“.

ვასილისა ჩაის არ დალევს. არა, მასპინძლებს უღრმეს მადლობას მოახსენებს. ძალიან, ძალიან კარგი. ხე, ხე. მაინც რა მყუდროდ არიან, თუმცა ასეთი საშინელი დროა. ე... ხე... არა, უღრმეს მადლობას მოახსენებს. ვანდა მიხაილოვნას და ჩამოვიდა სოფლიდან და ვასილისა ახლავე შინ უნდა დაბრუნდეს. აქ იმისთვის შემოვიდა, რომ ელენა ვასილიევნას წერილი მიეცა. ახლა კართან ყუთი გააღო და იქ დაუხვდა. თავი მოვალედ მიიჩნია, რომ ამოეტანა, კარგად ბრძანდებოდნენ. ვასილისა გამოთხოვებისასაც შეკუნტრუშდა.

ელენა წერილიანად საწოლ ოთახში გავიდა...

„წერილი უცხოეთიდან? ნუთუ? ხომ არის ისეთი წერილები, კონკერტს მოჰკიდებ თუ არა ხელს, მაშინვე მიხვდები, შიგ რა არის. რანაირად მოაღწია ამ წერილმა? წერილები არსაიდან არ მოდის. ეიტომირიდანაც კი ქალაქში შემთხვევით თუ ჩამოაღწევს. რა უგუნურად, რა ველურადაა ჩვენში ყველაფერი. თვით შემთხვევაც ხომ მატარებელს მოჰყვება. მაშ რატომაა, წერილები რომ ვერ მოდის და იკარგება? ამ წერილმა კი მოაღწია. ჯავრი ნუ გაქვს, ასეთი წერილი მოაღწევს, ადრესატს მიაგნებს. ვარ... ვარშავა. ვარშავა. მაგრამ ტალბერგის ხელნაწერი არ არის. გული რა უსიამოდ მიძგერს“.

თუმცა ლამპას აბაჟური ჰქონდა ჩამოფარებული, ელენამ საწოლ ოთახში თავი ისე უსიამოდ იგრძნო, თითქოს ვიღაცამ ნათურას ფერადი აბრეშუმი მოაძრო და თვალისმომჭრელმა, მკვახე შუქმა გამგზავრების არეულობა წარმოქმნაო. ელენას სახე შეეცვალა. მოჩუქურთმებულ ჩარჩოდან მომზირალ დედას დაემგვანა. ათრთოლებული ტუჩების კუთხეებში ზიზღის გამომხატველი ნოჰები დააჩნდა. გახეული კონვერტიდან ამოღებული ზოლიანი მორუხო ქაღალდის ფურცელი სინათლის ქავლმა გაანათა.

„ახლადა შევიტყვე, რომ ქმარს გაჰყრიხარ. ოსტროლმოეებს სურვეი საელჩოში უნახავთ - თურმე პარიზში მიემგზავრება ჰერცევის ოჯახთან ერთად; ამბობენ, ლიდოჩკა ჰერცს ცოლად ირთავსო; რა უცნაური ამბები ხდება ამ არეულობაში. ვწუხვარ, რომ არ წამოსვლდი. მეზრალეებით ყველანი, ვინც გლეხუჭების ხელში ჩაგვივდით. აქ გახეთებში წერენ, პეტლურა ქალაქს უტევსო. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ გერმანელები ქალაქში არ შემოუშვებენ...“

ელენას თავში მექანიკურად გაჰქონდა კაკუნი ნიკოლკას მარშს, კედლებისა და კარის მიღმა რომ გაისმოდა. კარს თავიდან ბოლომდე ლუი XIV ფარავდა. ლუი იცინოდა, ხელი ლენტებზემომხვეულ ჯოხზე დაებჯინა. კარზე ჯოხის სახელურის ბაგუნი გაისმა და ტურბინი ჯოხის კაკუნ-კაკუნით შემოვიდა. მან დას თვალი ცერად შეავლო, ტუჩი მასაყით შეატოკა და ჰკითხა:

— ტალბერგისგანაა?

გულდამძიმებული ელენა ხმას არ იღებდა, რცხვენოდა, მაგრამ თავს მალე მოერიო და ტურბინს ფურცელი მიუცურა:

— ოლიასგანაა... ვარშავიდან...

ტურბინი სტრიქონებს ჩააცივებით ჩააცქერდა, თავიდან ბოლომდე თვალი სწრაფად ჩაავლო და კვლავ დასაწყისს მიუბრუნდა:

„ძვირფასო ლენოჩკა, არ ვიცი, შენამდე მოაღწევს თუ არა...“

ტურბინს სხვადასხვა ფერმა გადაჰკრა — ზაფრანისფერ სახეზე ლაწვები ვარდისფრად აელანდა, ცისფერი თვალები კი ჩაუშავდა.

— რა სიამოვნებით ეთხლეშდი სიფათში... — კბილებში გამოსცრა მან.
 — ვის? — ჰკითხა ელენამ და ცხვირი აასრუტუნა, რომ თვალეებზე მომდგარი ცრემლები შეეკავებინა.

— საკუთარ თავს, — უბასუხა სირცხვილისგან ნირწამხდარმა ტურბინმა, — იმის გამო, მაშინ რომ ვაკოცე.

ელენა უმაღ ატირდა.

— თუ ჩემი ხათრი გაქვს, — განაგრძო ტურბინმა, — ეს აქედან მოაცილე, ჯანდაბამდე გზა ჰქონია, — მან ჯოხის სახელური მაგიდაზე დადგმულ სურათს წაჰკრა. ელენამ სურათი ტურბინს სლუკუნით მიაწოდა. ტურბინმა სერგეი ივანოვიჩის სურათი ჩარჩოდან უმაღ ამოგლიჯა და ნაკუწ-ნაკუწ აქცია. ელენა დედაკაცურად აქვითინდა, მხრები აუცახცახდა, ტურბინს გახამებულ გულისპირზე მიეკრა. ყავისფერ ხატს, რომლის წინ ოქროსფერცხაურიანი ლამპარი ისევ ენთო, ცერად, ძრწოლით გახედა.

„შეგვედრე... პირობა დაგითქვი... რაღას ვიზამ... ნუ გამირისხდები... ნუ გამირისხდები, ღვთისმშობელო“, — გაიფიქრა ცრუმორწმუნე ელენამ.

ტურბინი შეშინდა:

— ჩუმაღ, ჰო, ჩუმაღ... გაიგონებენ, რა საჭირთა?

მაგრამ სასტუმრო ოთახში არაფერი გაუგონიათ. ნიკოლკას თითებქვეშ პიანინო მარშის — „ორთაეიანი არწივის“ ბობოქარ ხმებს გაშმაგებით აფრჩიაოთ. სუფრასთან სიცილი გაისმოდა.

ღიადი და შემზარავი იყო წელი 1918 ქრისტეს შობიდან, ხოლო 1919 უფრო შემზარავი გახლდათ.

ორ თებერვალს ღამით დნებრზე გაღებული ჯაჭვის ხიდის ყურთან ორი ყმაწვილი ჰაიდამაკი შავპალტოიან კაცს თოვლზე მიათრევედა. კაცს პალტო დახეოდა, ჩალურჯებულ სახეზე სისხლი ზოლ-ზოლად სდიოდა, კურენის მეთაური გვერდზე სირბილით მიჰყვებოდა და თავში ზუმბას ურტყამდა. ყოველ დარტყმაზე თავი აქეთ-იქით ქანაობდა, მაგრამ სახედასისხლიანებული კაცი აღარ ყვიროდა, მხოლოდ ხვნეშოდა. ზუმბა მძიმედ, მოწყვეტით ეშვებოდა პალტოა ნაფლეთებში და ყოველი დარტყმის პასუხად ჩახლეწილი ხმა გაისმოდა:

— უჰ... ა...

— ოჰ, შე ურია! — ყვიროდა გაშმაგებული კურენის მეთაური, — შტაბელთან მიათრიეთ! დავხვრიტოთ! შე შენ გიჩვენებ, ბნელ კუთხეებში ძრომა როგორ უნდა. შე შენ გიჩვენებ! შტაბელის უკან რას აკეთებდი? ჯაშუშო!..

მაგრამ სახედასისხლიანებული კაცი გაათრებულ კურენის მეთაურს პასუხს არ აძლევდა. მაშინ კურენის მეთაურმა წინიდან მოურბინა. ჰაიდამაკები აქეთ-იქით გახტნენ, რომ მოქნეული წვეპლისთვის თავი აერიდებინათ. კურენის მეთაურმა ვერ მოზომა და ზუმბამ მსხვერპლს თავზე ელვის სისწრაფით გადაუშხივლა. შავპალტოიანს აღარ ამოუხვნეშია, მხოლოდ რაღაც უცნაური ხმა აღმოხდა... ცალი ხელი შეაბრუნა, თავი გადაიქნია, მუხლებზე გადატრიალდა, გვერდზე დაენარცხა, მეორე ხელი განივრად გაფარჩხა, თითქოს სურდა გატყეპნილი და ნაპატივები მიწა რაც შეიძლება მეტი მოეხვეჭა, ტალახიანი

თავლი მოკრუნჩხული თითებით მოფხოჭნა, მერე ჩაშავებულ ვუბეში რამდენჯერმე შეტოკდა და გავუჩდა.

მიწაზე დამხობილს ხიდის ყურთან მდგარი ელექტროფარის ზიზინით ჩაპოსტკეროდა, ირგვლივ შეშფოთებულ პაიდამაკთა ჩრდილები გარვატებდა, მათი ბოხოხებას ყოჩები ყრიალებდა, ხოლო მალლა, ქაშაყვებულ ცაზე, ვარსკვლავები ციმციმებდა.

იმ წუთას, როცა მიწაზე დამხობილს სული ამოხდა, გარეუბნის თავზე, თოშიან ცაში, ვარსკვლავი მარსი უცებ გასკდა, ნაპერწკლები გაყარა და გამაყრუებლად დაიგრგვინა.

ვარსკვლავის კვალდაკვალ დნებრის მიღმა წვედიადში ჩაძირულმა შორეთმა, მოსკოვისკენ გაჭიმულმა შორეთმა, მძლავრად და გაბმით დაიგუგუნა და უმაღლესი ვარსკვლავიც გასკდა, მაგრამ უფრო დაბლა, დათოვლილი საბურავების ხელოს.

პაიდამაკების ლურჯი დივიზია ხიდიდან მაშინვე დაიძრა და ქალაქისკენ გაეშურა, მერე ქალაქიც გაიარა და სამუდამოდ გადაიკარგა.

ლურჯ დივიზიას მგლური ძუნძულით მიჰყვა კოზირ-ლეშკოს კურენი, მიჩაქჩაქებდნენ გათოშილი ცხენები. ჩაიგრიალა რომელიღაცა სამზარეულომ, მერე ყოველივე გაქრა, თითქოს არასდროს არც ყოფილიყო. ხიდის ყურთან დარჩა მხოლოდ შაეპალტოიანი ებრაელის გაყინული გვამი, გათვლილი თივის ბუღული და ცხენის ჩონჩხორივი.

მხოლოდ გვამი გახლდათ იმის დასტური, რომ პეტურრა მითი კი არ იყო, ნამდვილად არსებობდა... ტამ-ტამ-ტამ... გიტარა, თურქი... ბრონნაიაზე ნაჭყდი ფარანი... თოვლზე გაშლილი თმა ქალისა, ნატყვიარები, ღამით ველური ყმული, თოში... დიახ, ნამდვილად არსებობდა.

Oh, Грница, до работы...

В Грница порваны чоботы...

რატომ არსებობდა? ვერავინ იტყვის. გადაიხდის კი ეინმე სისხლის საზღაურს? არა, არავინ.

თოვლი გადნება, უკრაინული ხასხასა ბალახი ამოვა და მიწას მოათარაგებს... ლორთქო ჩეჩილი აბიბინდება... ველ-მინდვრებზე სიცხის ბული ალივლივდება და სისხლის კვადიც აღარსად დარჩება, ჭიაფურ ველებზე სისხლი იაფია და არავინ გამოისყიდის.

არავინ.

* * *

საარდამული შორენკეცები საღამოთი ისე გაავარვარეს, რომ ლუმელს სითბო შეაღამემდე არ გამოხელებია. საარდამელ ღურგალს წარწერები აღარ ამშვენებდა. მხოლოდ ერთი წარწერაღა იყო დარჩენილი:

... ლენ... აიდაზე ბილეთი ავიღე...

სახლი ალექსეევის დაღმართზე, თეთრი გენერლის ქუდიანი სახლი, რა ხანია მიღს მისცემოდა, ჩაშობარს ტკბილად ეძინა, რული დაბორილებდა ფარდების მიღმა, ჩრდილებს შორის დაფარვატებდა.

ფანჯრებს გარეთ სულ უფრო ძლევამოსილად იფურჩქნებოდა თოშიანი ღამე და დედამიწაზე მდუმარედ მიცურავდა. ვარსკვლავები ციმციმებდა, იკუმშებოდა, ფართოვდებოდა და ცაზე უჩვეულოდ მაღლა იდგა წითელი, ხუთჭიმიანი ვარსკვლავი მარსი.

თბილ ოთახებში სიზმრები ჩასახლდა.

ტურბინს თავის საწოლ ოთახში ეძინა და სიზმარი მის თვალებს ეცურებოდა. სურათივით დაპფარფატებდა. ვესტიბული ირხეოდა და მიცურავდა. იმპერატორი ალექსანდრე I ღუმელში დივიზიონის სიას წვავდა... იულიამ ჩაიარა, ხელი დაუქნია და გაიციხა, ლანდებმა ყვირილით ჩაირბინეს: „დაიჭირეთ! დაიჭირეთ!“

ლანდები უხმოდ ისროდნენ. ტურბინი გაქცევას ცდილობდა, მაგრამ ფეხები მალე-პროვალნაიას ტროტუარზე მოხწებებოდა. ტურბინი ძილში იღუპებოდა. კვნესით გაედვიძა და სასტუმრო ოთახიდან მიშლავესკის ხერინვა შემოესმა. წიგნების ოთახში კარჩხანა და ლარიოსიკი წყნარად ფშვინავდნენ. ტურბინმა შუბლიდან ოფლი მოიწმინდა, გონება მოიკრიბა, სუსტად გაიღიმა და საათს გადასწვდა.

საში საათი სრულდებოდა.

— ალბათ წავიდნენ... პეტურრა... ქალაქში აღარასოდეს იქნება. და კვლავ დაიძინა.

* * *

ღამე იცრიცებოდა. რიყრაყი ახლოვდებოდა. თოვლის საბურველში ჩაფლულ სახლს ეძინა. გატანჯული ვასილისა გათოშილ ლოგინში მოკუნტულიყო და ცივ ზეწრებს დამჭლევებული სხეულით ათბობდა. ვასილისა უაზრო სიზმარს ხედავდა. ვითომ არავეითარი რევოლუცია არ მომხდარიყო. ყოველივე სისულელე, სიცრუე გამოდგა. სიზმარში ვასილისას უძღური, უნიათო ბედნიერების განცდა ეუფლებოდა. ვითომ ზაფხული იყო. ვასილისამ ბაღჩა იყიდა და შიგ ბოსტნეული უმაღ წამოიზარდა. კვლები მზიარულმა ხვეულებმა დაფარა და ფოთლებიდან შუშა კიტრები იცქირებოდა. ტილოსმარვლიანი ვასილისა ბაღჩაში იდგა, თვალწარმტაც, ჩამავალ მზეს გასცქეროდა და მუცელს იფხანდა...

ვასილისას ახლა ბანდიტების წართმეული მრგვალი, გლობუსისებური საათი ესიზმრა. უნდოდა საათი დანანებოდა, მაგრამ მზე ისე საამოდ ბღღვრილებდა, რომ ვასილისა სინანულს ვერ ახერხებდა.

ჰოდა, იმ საუცხოო ქამს ბაღჩაში ვარდისფერი, ჩამრგვალებული გოჭები შემოცვივდნენ და შაურიანის მსგავსი დინგებით კვლები უმაღ გადაჩიჩქნეს. მიწა შადრევნებით ავარდა. ვასილისამ მიწაზე დაგდებულ ჯოხს ხელი წამოავლო და გოჭების გარეკვა დააპირა, მაგრამ მყისვე შეჩერდა. გოჭები საშიშნი გამოდგნენ, ბასრ ეშვებს აელვებდნენ. ისინი ვასილისასკენ გამოექანენ, თანაც მიწიდან ერთ არშინზე ხტებოდნენ, რადგან მუცელში ზამბარები ჰქონდათ. ვასილისამ ძილში შეჰკივლა. გოჭებს შავი ფარდა გადაეფარა და ისინი მიწაში ჩაინთქნენ. ვასილისას თვალწინ მისი შავი, ნესტიანი საწოლი ოთახი ამოტივტივდა...

ღამე იცრიცებოდა. რულმა ქალაქს გადაუარა, ლეგა ფრინველივით გადაუფრინა, ვლადიმირის ჯვარს გვერდი აუარა, დნეპრს ვალმა შედედებულ ღამეში ჩაექანა და რკინიგზის რკალის გასწვრივ გაცურდა, დარწმუნდა, სადგურამდე მისრიალდა და იქ შეყოვნდა. მესამე ლიანდაგზე ჯავშნოსანნი ვაგონები თვლებამდე რუხ ჯავშანში იყო ჩამჯდარი. ორთქლმავალი მრავალწახნაგოვანი შავი ლოდით გაწოლილიყო, მისი მუცლიდან მომდინარე ცეცხლოვანი მანდილი რელსებზე განრთხმულიყო; შორიდან გეგონებოდათ, ორთქლმავალს გულ-მუცელი გავარვარებული ნაკვერჩხლებითა აქვს გამოტენილიო. იგი ხმადაბლა, ბრაზიანად შიშინებდა, გვერდებიდან რალაც წვეთავდა, ბლაგვი დრუნჩი დნეპრისპირა ტყეებისკენ მდუმარედ მიექცია და თვალებს ჭუტავდა. ბოლო ბაქნიდან კი მოშავო-მოლურჯო ცისკენ აზიდულიყო შალითაჩამოცმული, პირგანიერი, თორმეტი ვერსის იქით, პირდაპირ ღამისმტეხელი ჯვრისკენ მიმიზნებელი ლულა.

შედრწუნებული სადგური გარინდულიყო, შუბლზე წყვილიანი ჩამოეფარებინა და, წუხანდელი გრგვინვა-გრილისგან გაოგნებული, ცეცხლოვან, ყვითელ თვალებს აბრიალებდა. თუმცა გათენებას აღარა უკლდა რა, ბაქნებზე აღიპოთი მაინც არ წყდებოდა. ტელეგრაფის დაბალ, ყვითელ ბარაკში სამი ფანჯარა შუქს გაეჩახჩახებინა და შინებს მიღმა სამი აპარატის განუწყვეტელი კაკუნი გაისმოდა. ყინვა ძვალ-რბილში ატანდა, მაგრამ ბაქნებზე მაინც გარბი-გამორბოდნენ ჯუბაჩიანი, მაზარიანი და შავბუშლატიანი ადამიანები, ჯავშნოსნის მოშორებით და მის უკანაც გაჭიმულიყო თბილანა ვაგონების ძილგამფრთხალი ეშელონი, მალიძალ გაისმოდა კართა გრიალი და გაძახილ-გამოძახილი.

ჯავშნოსანთან კი, ორთქლმავლისა და პირველი ვაგონის რკინით ნაჭედი კორპუსის გვერდით ქანქარასავით მიდი-მოდიოდა გრძელმაზარიანი კაცი, ფეხზე დახეული თექის ჩექმები ეცვა, თავზე წვეტიანი კუნკულ-ჩაბალახი ეხურა, ხოლო შაშხანა ხელებზე ისე ნაზად გადაეწვინა, როგორც დაქანცული დედა ბავშვს გადაიწვენს ხოლმე. იგი მბეუტავი ფარნის ქვეშ მიდი-მოდიოდა, გვერდით კი მიჰყვებოდა რელსებს შორის თოვლზე გაწოლილი თხელი, წაწვეტებული შავი ჩრდილი და უხმაურო, ჩრდილისავე ხიშტი. კაცი ძალიან დაღლილი და საშინლად არაადამიანურად გათოშილიყო. მისი ვალურჯებული, გაყინული ხელების გაშეშებული თითები სახელოების ნარღვევებში ამაოდ ფათურობდა და შესაფარს დაეძებდა. ორთქლმეყინული ფოჩებით მოარშივებული, კიდევებაბრეცილი ჩაბალახის შიგნით მოჩანდა გაბურძგნული წვერ-ულვაში და გაყინული ტუჩები, დათრთვილულ წაშწამთა ბლუჯებიდან კი ცისფერი, განაწამები, რულმორეული, მიბნედილი თვალები იცქირებოდა.

კაცი დინჯად მიდი-მოდიოდა, ხიშტი ძირს დაეშვა და მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობდა, ყინვაში წამების უამი ბოლოს და ბოლოს როდის გასრულდებოდა, ვამძვინვარებულ მიწას როდის მოშორდებოდა და ვაგონში შეეოდოდა, სადაც მიღები ღვთიურ მხურვალებას აფრქვევდა და ეშელონებს ათბობდა. იქ ვიწრო ფიცარნაგზე მიეგდებოდა, ზედ მიეკვრებოდა, თავის ნებაზე გაიშხლართებოდა. იგი და ჩრდილი მიდი-მოდიოდნენ ჯავშნოსნის მუცელთან გაწოლილი ცეცხლოვანი მანდილიდან პირველი საბრძოლო ყუთის ჩამუქებულ კედლამდე იქამდე, სადაც შავად მოჩანდა წარწერა:

ჯავშნოსანი „პროლეტარი“.

ჩრდილი ხან გრძელდებოდა, ხან მოიბლუნებოდა და მახინჯდებოდა, მაგრამ წინ მაინც წაწვეტებული თავი მიუძღვოდა. თოვლს კი შავი ხიშტი ჩიჩქნიდა. კაცის ზურგს უკან ფარანს მოცისფრო სხივები ჩამოეშვა. ბაქანზე ორი ცისფერი ცივი მთვარე გამაღიზიანებლად ენთო. კაცი თვალებს აკეცებდა, იქნებ ერთ ბეწო ცეცხლს მაინც მივაგნოო, მაგრამ ვერსად პოულობდა. კბილს კბალზე აჭერდა, ფეხის თითებს ატოკებდა, რათა როგორმე გაეთბო, მაგრამ ამის იმედსაც კარგავდა და მისი მზერა ვარსკვლავებისკენ დაუოკებლად მიისწრაფოდა. ყველაზე კარგად მარსი მოჩანდა, პირდაპირ გარეუბნის თავზე რომ ბრწყინავდა, და ისიც მარსს უცქეროდა. მის თვალთაგან მზერა მილიონობით კილომეტრს იქით მიილტვოდა და წუთითაც არ სცილდებოდა მოწითალო, ცოცხალ ვარსკვლავს. ვარსკვლავი იკუმშებოდა და ფართოვდებოდა, აშკარად ცოცხლობდა და ხუთ ქიშს აჩენდა. ქანცმილეული კაცი შაშხანის კონდახს ხანდახან თოვლზე დაუშვებდა, შეჩერდებოდა და მყისვე ჩასთვლემდა, თუმცა ჯავშნოსნის შავი კედელი მის მზერას ძილშიც არ სცილდებოდა, არც სმენას შორდებოდა სადგურიდან მომავალი ხმები. მაგრამ თვალთა წინაშე ახალი ჩვენებანი ჩნდებოდა. ძილში არნახული ცის შიალი ამოიზიდებოდა, მთლად წითელი, მოელვარე და ერთიანად ცოცხალი, მოციმციმე მარსებით მოქარგული. კაცის აუღს უმაღლ ბედნიერება ავსებდა. მერე ვილაც აბჯროსანი უცნობი მხედარი გამოჩნდებოდა და მისკენ ღიმილით გამოემართებოდა. შავი ჯავშნოსანი ძილში თითქოს მთლად გაუჩინარებას აპირებდა და მის ნაცვლად თოვლში ჩაფლული სოფელი — მალიე ჩუგრი ამოტივტივდებოდა. თავად ვითომ ჩუგრის მისასვლელთან იდგა, ხოლო მისკენ თანასოფლელი, კარის მეზობელი მოდიოდა.

— ეილინი?... — უხმოდ, ტურების გაუპობლად ამბობდა კაცის გონება და მკაცრი, მოდარაჯე ხმა მკერდიდან უმაღლ სამ სიტყვას ამოსძახებდა:

— პოსტი... გუშაგო... გაიყინები...

კაცი მაშინ კი თავს ძალას დაატანდა, შაშხანას თოვლიდან აგლეჯდა, მკლავზე გადაიდებდა, შებარბაცდებოდა, ფეხებს აითრევდა და კვლავ სიარულს იწყებდა.

წინ და უკან... წინ და უკან... რულმორეული ზეცის თალი ქრებოდა. მთელი გათოშილი ქვეყნიერება კვლავ ცის ლურჯი აბრეშუშით იმოსებოდა, რომელსაც ქვემეხის შავი, დამლუპველი ხორთუმი ხვრეტდა. ბდღვრიალებდა მოწითალო ვენერა, ხოლო ფარნის ცისფერი მთვარე კაცის მკერდზე დროდადრო პატარა ვარსკვლავს აციმციმებდა და ეს ვარსკვლავიც ზუთქიმიანი იყო.

* * *

ბორგავდა, ბორგავდა შეშფოთებული რული, დნეპრის პირას მიფრინავდა... უსიცოცხლო ნავმისადგომებს გადაუფრინა და პოდოლზე დაეშვა. იქ შუქი რა ხანია ჩამქრალიყო. ყველას ეძინა. მხოლოდ ვოლინსკაიას ქუჩის კუთხეში. ქვიტკირის სამსართულიან შენობაში. ბიბლიოთეკარის ბინაში, იაფფასიანი სასტუმროს იაფფასიანი ნომრის მსგავს პატარა ოთახში ენთო მინის თალფაქის ქვეშ მოქცეული ლამპა. ლამპასთან ცისფერთვალა რუსაკოვი იჯდა, წინ ყვითელი ტყავის ყდაში ჩასმული მძიმე წიგნი ედო. თვალები სტრიქონებს ნელა, სასიემოდ მიუხვეებოდა.

„და ვიხილენ მკუდარნი, მდგომარენი წინაშე საყდრისა მის, და წიგნნი განებუნეს და სხუაი წიგნი განელო, რომელ არს ცხორებისაი. და განისაჯნეს მკუდარნი წერილთა მათგან წიგნთა მათ შინა საქმეთაებრ მათთა.“

და მოსცნა ზღუამან მკუდარნი, რომელნი იყვნეს მკუდარნი და სიკვდილმან და ჯოჯობეთმან მოსცნეს მკუდარნი, რომელნი იყვნეს მკუდარნი. და განისაჯა თითოეული საქმეთაებრ თვისთა.

და რომელიცა არა იპოვა წიგნსა მას ცხორებისასა დაწერილ, შთაეარდა ტბასა მას ცეცხლისასა.

და ვიხილე ცაი ახალი და ქუეყანაი ახალი, რამეთუ პირველი იგი ცაი და პირველი ქუეყანაი წარხდეს, და ზღუაი არღარა არს.“

რუსაკოვი შემადრწუნებელ წიგნს კითხულობდა და მისი გონება წყვილიადში შეჭრილ მოელვარე მახვილს ემგვანებოდა.

სნეულება და სატანჯველი აღარაფრად, არარაობად ეჩვენებოდა. სენი ისე შორდებოდა, როგორც ტყეში დარჩენილ ხმელ ტოტს ქერქი სცილდება ხოლმე. იგი საუკუნეთა ლურჯ, უსასრულო წყვილიადს, ათასწლეულთა დერეფანს ხედავდა. შიშს კი არა, ბრძნულ მორჩილებასა და მოწიწებას გრძნობდა. სულს მშვიდობა დაეუფლა და მშვიდობას ნაზიარები მივიდა შემდეგ სიტყვებამდე:

„...ცრემლი თვალთაგან მათთა, და სიკუდილი არღარა იყოს, არცა გლოვი, არცა ლაღადებაი, არცა ტკივილი, რამეთუ პირველნი იგი წარხდეს.“

* * *

მშფოთვარე წყვილიადი გაიპო და ელენასთან პორუჩიკი შერვინსკი შეუშვა. შერვინსკის წამოზიდული თვალები თავხედურად უღიმოდა.

— მე დემონი ვარ, — თქვა მან და ქუსლი ქუსლს მიართყა, — ის კი, ტალბერგი, აღარ დაბრუნდება. პოდა. გიმღერებთ...

მან ჯიბიდან უზარმაზარი მოვარაყებული ვარსკვლავი ამოიღო და მკერდზე მარცხენა მხარეს დაიბნია. შერვინსკის ირგვლივ სიზმრის ბურუსი დაცურავდა და ბურუსიდან მისი თოჯინასავით აფერადებული სახე გამოჩნდებოდა ხოლმე. იგი გამკვივანად მღეროდა, ისე კი არა, როგორც ცხადში:

— უნდა ვიცოცხლოთ, ვიცოცხლოთ!!

— სიკვდილი მოვა და დავიხოცებით... — წამოიმღერა ნიკოლკამ და ოთახში შემოვიდა.

ნიკოლკას ხელში გიტარა ეჭირა; მარამ ყელი სისხლით ჰქონდა მოსვრილი, თავზე კი ხატებიანი ყვითელი გვირგვინი ედგა. ელენამ უმაღლ გაიფიქრა, ნიკოლკა მოკვდებო, გულამოსკვნით აქვითინდა და შუალამისას ყვირილით გაიღვიძა:

— ნიკოლკა. ოჰ, ნიკოლკა?

დიდხანს სლუკუნებდა და ღამის დუდუნს უსმენდა.

ღამე კი მდორედ მიცურავდა.

* * *

და ბოლოს ფლიგელში პეტკა შჩეგლოვმაც ნახა სიზმარი.

პეტკა პატარა იყო და ამიტომ არც ბოლშევიკები აინტერესებდა, არც პეტლურა და არც დემონი. მან უბრალო და მზის დისკოსავით მხიარული სიზმარე ნახა.

თითქოს პეტკა დიდ, ხასხასა მდელოზე მიდიოდა, ხოლო იმ მდელოზე პეტკაზე დიდი, მოელვარე ალმასის ბურთი იდო. როცა დიდებს ძილში გაქცევა სურთ, მიწას ეწებებიან, გმინავენ, ბორგავენ, საფლობიდან ფეხების ამოგლეჯას ლამობენ. ბავშვებს კი მარდი, შეუბორკავი ფეხები აქვთ. პეტკამ ალმასის ბურთთან მიიბრინა და გახარებულმა, სიცილისგან სულშეხუთულმა, ხელები დასტაცა. ბურთმა პეტკას მოელვარე შხეფები შეაფრქვია. ეს იყო პეტკას მთელი სიზმარი. მან ძილში სიამოვნებისგან გადაიკისკისა. მის კისკისს ლუმლის კუთხიდან ქრიჭინა მხიარულად გაეპასუხა. პეტკა სხვა, მსუბუქ და სასიხარულო სიზმრებს ხედავდა. სადღაც ვედროს უკან, ლუმლის თეთრ კუთხესთან ღრიჭოში შემძვრალი ქრიჭინა კი თავისთვის მღეროდა, მღეროდა და ოჯახში დაბუდებულ მთვლემარე, მობუტბუტე ღამეს აფხიზლებდა.

უკანასკნელი ღამე მომძლავრდა. ნაშუალამევს მძიმე ღვთიური ფარდა, ქვეყნიერებას რომ შემოჰფენოდა, ვარსკვლავებით დაიფარა. თითქოს ამ ღურჯი ფარდის მიღმა, განუზომელ სიმაღლეზე, აღსავლის კართან მწუხრის წირვას იხდიანო. საკურთხეველში ღამპრები აანთეს და მათი შუქი ფარდაზე ჯვრების, ბუჩქების, კვადრატების წყებად გამოკრთა. დნებრს კი გადასცქეროდა ცოდვილი, სისხლით მოსვრილი, დათოვლილი მიწიდან წყვდიადით მოცული სივრცისკენ აღმართული, გაჩირალდნებული ვლადიმირის ჯვარი. შორიდან ისე ჩანდა, თითქოს განივი ძელი გამქრალიყო და ვერტიკალურს შეერთებოდა. ამის გამო ჯვარი მრისხანედ მოღერებულ ბასრ მახვილს ემსგავსებოდა.

მაგრამ იგი საშიში არ არის. ყველაფერი გაივლის. ტანჯვა, წამება, სისხლი, შიმშილი, მუსვრა-ელეტა განქარდება. მახვილი გაქრება, ვარსკვლავები კი დარჩება, როცა ამქვეყნად ჩრდილებიც აღარ იქნება სხეულთა ჩვენთა და საქმეთა ჩვენთა. ქვეყნიერებაზე ერთი კაციც არ მოიძებნება, ეს რომ არ იცოდეს. მაშ რატომ არ გვინდა, რომ მზერა ჩვენი მათვენ მივაპყროთ? რატომ?

1923—1924 წწ.

ს. მოსკოვი

□

ნიკოლოზ ბრიბაროვი

ჭუსარის უკანასკნელი ბრძოლა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთხრობა

თარგმნა ბრიბოლ ჩიქოვანაძე

მის დანახვაზე ზოგი წამოიძახებდა: „ოპ, ეს ჭუსარი!“ ზოგი კი — „ოპო, ეს ხომ ჭუსარია!“

არავინ იცის, როდის ან ვინ მოიგონა ეს წოდება, არცა აქვს ამას მნიშვნელობა, ამ კაცს კი ზედგამოჭრილივით მოერგო და მეტსახელად მიეწება. ჭუსარი საშუალო სიმაღლისაა, მძიმედ დააბიჯებს, ქერათმიანია, მკვეთრი ნაკვეთები, ნამზეური სახე და ოდნავ წამოკუსული რუხი თვალები აქვს. გაბედულია, უცერემონიო, ბატალიონის ერთ-ერთ საუკეთესო მეთაურად, თუმცა შეზღუდულ ადამიანად ითვლება. მაგრამ გააჩნია, რა კუთხით შეხედავ. ბრძოლაში შეუპოვარია, თავდაუზოგავი, სამსახურში — მეტიმეტად მომთხოვნი. თავისუფალ დროს კი, ყოველ ხელსაყრელ ვითარებაში მზადაა ქალს აეკიდოს. უყვარს და შეუძლია სმა, მაგრამ არ თვრება, კარგ გუნებაზე დგება, სახე წამოუწითლდება ხოლმე. ცხოვრებისეულ საკითხებზე რომ ჩამოუგდებენ სიტყვას, მოქნარებას მოპყვება, ამოიღებს ჩაყვას, ფრჩხილებს იქნის და იგინება:

— ერთი მაგათი, დრო უქმად დავკარგე! ჩემი საქმე ბრძოლაა, ფილოსოფიით იმან შეიქციოს თავი, ვისაც ევალება!

თუ ვინმე შეეკამათებოდა, ადამიანმა ყველაფერი უნდა იცოდესო, ასე მოიგერიებდა:

— ყველას თავისი საქმე აქვს. მე ერთი ვიცი — უნდა გავიმარჯვოთ და კიდევაც გავიმარჯვებთ. ჭერჭერობით ეს მიზანიც მიეყოფა.

— ომი ხომ სამუდამოდ არ გაგრძელდება. ბოლოს და ბოლოს დამარცხდება. მაშინ რაღას აპირებ, რას უმიზნებ?

— ჭერჭერობით ერთი მიზანი მაქვს — დღევანდელი დღე გავიტანო... თუნდაც გენერალი გავხდე, რა მოხდა!... მილიციაში ვიმსახურობ, ხულიგნებს კისერს მოვუგრებ... ცოლს შევირთავ და ასამდე ჭუსარს გამოვაკვარაბჭინებ. დამყოლი ბუნების კაცი ვარ, ყველაფერში გამოვდგები...

ზაფხულის მძიმე ბრძოლებს პლაცდარმებზე, ქარბუქსა და ყინვას, მოულოდნელ შეტაკებებს ტრიალ მინდორზე, სტანიცების შტურმებს და ტყვიამფრქვევებს ისე გამოაღწია, ერთი განაკაწრი არ გამოპყოლია, ორი ორდენით

მკერდდამშვენებული გამოვიდა და მერე ტრაბახობდა: „სიკვდილი ვერ შამაქცევდა, ცოტა ფაფა ჰქონდა ნაჭამი!“ შეეჩვია მოწინავე ხანის ჯოჯობეთს, დაკრილ-დახოცილი ხალხის მზერას თუ ნამდვილად ირწმუნა, რომ სიკვდილს დააკლვებდა, განსაკუთრებულ შიშს არა გრძნობდა, ისე თავგანწირვით, თავდაუზოგავად იბრძოდა, რომ ზეზეურად შეეძლო დაძინება, გულდაჯერებული და მშვიდი იყო. მშვიდი იყო ერთ ადამიანთან შეხვედრამდე, გული და გონება რომ აუფთორობდა, შეიქრა მისი აზრებას და გრძნობების ჩვეულებრივ დინებაში.

უღიმღამო, დათოვლილ ხუტორ პოპოვოში დღესამყოფელზე რომ იდგნენ, ბატალიონის შტაბი მედ-ბატალიონის გვერდით მოთავსდა. აი, იქ გაიცნო საოპერაციო მედდა ანა ვოლკოვა, ოდნავ ცხვირაპრეხილი. მუქთმიანი ქალი, კაცის მურაბასავით მზინავი შავი თვალები რომ ჰქონდა და თავისი გულდია ღიმილით სიცოცხლესა და ხალისს აფრქვევდა. ანა ქვრივი იყო, ერთი წელიწადი არ უცხოვრია ქმართან, ომის დაწყებისთანავე დაელუბა. ქმარი შაინცდამაინც არ უყვარდა, მაგრამ მას რომ ეავადმყოფა, დატანჯულიყო, შინ მომკვდარიყო, ენახა კუბოში ჩასვენებული, გაეგონა ნათესავების მოთქმა, უთუოდ თვითონაც გულწრფელად დაიტირებდა. ახლა კი დალუპვის მაუწყებელი ცივი ბარათილა შერჩა და, თუ ქმარი გაახსენდებოდა, წარმოუდგებოდა იგი არა ისეთი, როგორც იყო ქორწინების პირველ დღეებში — ძლიერი და ალერსიანი, არამედ თვალწინ დაუდგებოდა გაღეშილი და გონდაკარგული, ნაწნავებს რომ აგლეჯდა ხუთი თვის შერთულ ცოლს. სუსტი ნებისყოფის კაცი იყო, დროდარდო აფეთქება იცოდა. ერთხელ აპყვა სულელურ ქორს, და მას აქეთ სრულიად უდანაშაულო ანაზე ეჭვიანობდა. ცოლქმრულმა ცხოვრებამ ვერ დაასვა შესამჩნევი დალი ოცი წლის ანას, იგი კიდევ უფრო სანდომიანი გახდა, დამშვენდა, ჯან-ღონით აივსო, სიამოვნებით ეპაექრებოდა ოფიცრებს, გარს რომ ეხვეოდნენ. ერთი კვალი შაინც დაუტოვა წარსულმა — ეშინოდა სერიოზული გატაცების. კაცთან ახლო ურთიერთობის. ფაფით პირდამწვარი, დოს სულს უბერავდაო, ნათქვამია.

ჰუსარმა ანას წარსული არ იცოდა, მაგრამ სწამდა რა, რომ შეტევა ყოველგვარ გარემოებაში თავდაცვის ყველაზე უკეთესი ხერხია, იქვე, კართანაში, დღისით-მზისით ანას გულში ჩაკვრა მოუნდომია: „სიმტკიცის გამოსაცდელად“, ხეშეში ქსოვილის მაზარაზე აუსრილა ხელი, მაგრამ იმწამს მწარედ მოხვდა ცხვირში. კაპიტანმა ხელები დაუშვა, პაპიროსს მოუკიდა, ჩაიცინა:

— პირველი შეტევა მოწინააღმდეგემ მოიგვრია. ჩვენი ჯარის დანაკარგს აზუსტებენ.

— მაშასადამე, მეორე შეტევაც იქნება?

— მე ასეთ შეკითხვებს არ მაძლევენ. დროის ამოდ დაკარგვია. ჯერ დავხვერავ, თავს მოვუყრი რეზერვს, დავიხმარებ არტილერიას, ჩემი მეტსახელი იცი?

— ჰუსარი?

— დიახ. თუ წერილის გამოგზავნას მოისურვებ, სამკუთხედს პირდაპირ დააწერე — ჰუსარს, მიპოვნეიან! არადა, შეგიძლია ასეც დააწერო: ბატალიონის მე-

თაურს, იური მიხეილის ძე ზავარზინს. ერთი და იგივეა. გათხოვების შემთხვევაში გვარის გამოცვლას დაზღვეული ბარათით გაცნობებ.

ანა იცინოდა, სულს უნათებდა ჰუსარს კაკლის მურაბასავეთ მზინავი შავი თვალებით. დაპირდა, მოგწერო. ჰუსარს ქალებთან მიწერ-მოწერა არ უყვარდა, „დავიდარაბააო“, ზიზღით იტყოდა ხოლმე, ^{მეტიერსვე უკვირდა ეს} მაგრამ ანას მაინც მისწერა მოკლე, ბუნდოვანი ბარათი. წერდა გერმანელთა საგადამხდელ სვასტიკიან ბლანკზე. სვასტიკას ფანქრით გადაშლიდა ხოლმე, აცეცხლებდა მისი დანახვა, ქალაღი კი კარგი იყო. ანა პასუხს უგზავნიდა, წვრილი ასოებით აწიკწიკებდა სტრიქონებს. ისიც ბუნდოვან, არეულ-დარეულ წერილებს წერდა, უჩიოდა დროის სიმცირეს, დაწყებულ წინადადებებს არ ამთავრებდა და ეს იდუმალებით მოცული დაუმთავრებელი წინადადებები დაპირებადაც შეიძლებოდა მიეღო ჰუსარს და ჩვეულებრივ ეეკლუცობადაც.

მოკლე ხანში კიდევ ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს, როცა კაპიტანი პოლკის მეთაურის ნებართვით მედ-ბატალიონში წავიდა დაქრილი ამხანაგების მოსანახულებლად. ნახა ყველა, ელაპარაკა, მერე პირდაპირ, გაუფრთხილებლად შევიდა ანასთან. ანა მეგობარ ქალიშვილთან ერთად ცხოვრობდა ოთახში. ერთი საათი ისხდნენ სამნი, სვამდნენ ჩაის, ექილიკებოდნენ ერთმანეთს. კაპიტანი ანას ეუბნებოდა, ჩვენი ჯარის ზურგში შემოჭრილი მტრის მეხუთე კოლონა ხარ, მეთაურებს გულს უკოდავო. ანა კი ქვეითად მოარულ ჰუსარს უძახდა. კაპიტანი ბრაზობდა, მარტო რომ ვერ დარჩა ანასთან, ნება რომ ჰქონოდა, სიამოვნებით გააპანდურებდა მის მეზობელ ქალიშვილს, მაგრამ ეს არ შეიძლებოდა და ითმენდა. როცა ანა წინკარში გაჰყვა გასაცილებლად, კაპიტანი უცებ შემობრუნდა და დაწვზე, ზედ ყურისძირში აკოცა, შეიგრძნო ანას ნაზი, თბილი კანი, მისმა აბრეშუმით რბილმა თმამ მოუხიციანა, სული შეუგუბდა მღელვარებისაგან და გაიფიქრა: „დალახვროს ეშმაკმა, ჰუსარი ვიყავი და უცებ ხბოდ ვიქეცი!“ ქუჩაში რომ გავიდნენ, სხივიან, მომლიძარ თვალეში ჩახედა ანას და მტკიცედ უთხრა:

— მელოდე, მოვალ.

ქას შემდეგ ჯიუტად ელოდა მედ-ბატალიონში წასასვლელ საბაბს, რომ ანა ენახა, მაგრამ არაფერი გამოუდიოდა. განუწყვეტელი ბრძოლები, ადგილიდან ადგილზე გადასვლა, მიუსაფრობა, მოუწყობლობა, თოვლში ღამისთევა. ხშირად ეჩვენებოდა, რომ აზრიც კი გაეყინა. თავდაცვა — ეს არის სანგრები, მიწურები, მკვიდრი ბინადრობა, ერთგვარი ფესვგადგმული ყოფა, თუნდაც ჭურვებისა და ყუმბარების გრიალში. შეტევა კი სულ სხვაა: დევნა, ალიაჭოთი, როცა არ იცი, სადამოს სად ამოჰყოფ თავს. უწინ მოსწონდა ეს, დღისით თუ ღამით, როცა უნდა დადგომოდა გზას, ხალისს არ კარგავდა, წინ მიიწევდა, ხედავდა, მოლურჯო ზოლი ნელ-ნელა როგორ იქცეოდა ტყვედ, ქარბუქში გადალღაბნილი მუქი ლაქები კი სოფლად. მიიწევდა და ესმოდა, რომ უკან მოტოვებული მიწის ყოველი მტკაველი გაწმენდილი იყო გერმანელებისაგან, უბრუნდებოდა თავის ხალხს და ამაში მისი ღვაწლიც იყო. დაე, დასცინონ, იქილიკაონ, ვისაც მოეპრიანება, მიუფრთხეებია, თავის საქმეს კარგად აკეთებს. წინასწარ ტკბებოდა იმის წარმოდგენით, რომ მოკლე ხანში შესასვენებლად სადმე დააბანაკებდნენ. ეს დროც დაუდგა. მარტის პირველ რიცხვებში პოლკის მეთაურმა უბრძანა, ბატალიონი დივიზიის მარჯვენა ფლანგზე გადაეყვანა. ზემოთკენ, ჩრდილოეთ დონეცისკენ. წითურ უღვაშში ჩაიბუბუნა მეთაურმა:

— სამიოდ დღეს გაძლევთ სულის მოსათქმელად. მეტს ვერ დაგპირდებით. პიტლური რეზერვს თავს უყრის, ტანკებითა და ფეხოსანი ჯარით გვესხმის. ამუნციცა წესრიგში მოიყვანეთ, მთლად გაქეციანებულხართ.

მეთაურმა ყინვადაკრული ნიკაპი მოიფხანა, კიდეც რალაცის თქმა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა, ხელი ჩაიქნია:

— აბა, გამარჯვებით გველოთ!

ეროვნული
შინაგარეული

კარგა დიდი გზა ედოთ წინ, დიდხანს ზილეს თოვლი ფეხებით, ვიდრე საღამო ხანს სადგომს მიაღწევდნენ. ორი სოფელი დაიკავეს, მარცხენა სანაპიროდ წოდებული, ტყის მახლობლად. ყინვისაგან გარუხებული ხეების გაშეშებულ ტოტებს ქარის შემოქროლვაზე ჩხაკუნი გაჰქონდა. სოფლები თითქმის უცარიელი იყო, ცოტა ხნის წინათ აქ ცხარე ბრძოლები მიმდინარეობდა. იქაურებიდან ზოგმა უბედურებას თავი გაარიდა, გადაიხვეწა, ვინც დარჩა, დიდი თუ პატარა, გერმანელებმა მიწურებისა და სანგრების სათხრელად გარეკეს. გავერანებული ეზოები, სახლების დათოვლილი სახურავები, ირგვლივ ძეხორციელი არ ჭაჭანებდა, არაერთარი სულდგმული, არც ვოჭი, არც მამალი, მოფრიალებული ჭიშკრები ქანაობდა, ჭრიალებდა, ცარიელი ფარდულები ნამქერს ამოევსო. ვრცელ სახლში, მეთაურებისთვის რომ შეარჩია ზავარზინის ორდინარეცმა, ისე ყინავდა, როგორც გარეთ. ფანჯრები სქლად დაფარულიყო ყინულით, ღუმელქვემოდაც აშშორებული ნესტის სუნნი გამოდიოდა.

— აბა, ისე გაახურე ეს ღუმელი, — უთხრა კაპიტანმა ორდინარეცს, — რომ თავზე ბული აგვივიდეს. სუბტროპიკები გაგიგონია? პოდა, მოგვიწყვე აქ სუბტროპიკები. მე წავალ, ვნახავ, როგორ დაბინავდა ასეულები.

— ყური მიგდე, პალმებისთვის თავს ნუ შეიწუხებ, — გაიცინა ბატალიონის მეთაურის თანაშემწემ, ირაკლი ბრეგვაძემ. — მოაწყე სუბტროპიკები, იღონდ უპალმებოდ, უფროს ჩქარა მოათავებ საქმეს. პალმები რაში გვეჭირდება? ცივი მუკუზანი არ ჯობია?

— მუკუზანი საიდანღა მოგიტანოთ? — ხუმრობაში აპყვა ბრეგვაძეს ორდინარეცი. — ჭიდან ხომ არ ამოვიღო?

— ჭიდან შენი ცხენისთვის ამოიღე.

— კარგი, აბა ჩაის დავდგამ.

ღუმელს შეშა რომ შეუწითეს, ნესტმა იმატა, წყალი წურწურით წამოვიდა შეჭირბლული ფანჯრებიდან, ატირებულ კედლებზე მღვრიე წვეთები მოსრიანებდა, თითქოს ფიჭვის შორებს ახალგაზრდობა გაახსენდათ და ფისი გამოუშვესო. მერე დაცხა, ბული დადგა, ღუმელი გაეარვარდა.

— არ გცოდნია, რა არის სუბტროპიკები, — დაასკვნა ირაკლი ბრეგვაძემ.

— სოხუმის მაგივრად ეთიოპია მოგვიწყე.

— ყოფილხარ ეთიოპიაში?

— მე არა, მაგრამ მამაჩემს გაუგონია, რომ მისი ბიძაშვილისშვილი იყო იქ. ზესტი ცნობები ჰქონდა, როგორც საბრძოლო პატაკში.

ვახშმად რომ დასხდნენ, გიმნასტურის საყვლო გადაიღედეს, მოიხსნეს „აკაზნულობა“ — ქაძრები, პისტოლეტები. ნეტარებდნენ, ოფლად იღვრებოდნენ. ადრინად დაწვნიენ. ხუმრობისა და მასხარაობის შემდეგ, ღუმელზე უფროს ლეიტენანტ ბოროდულისას მიუჩინეს ადგილი. ღუმელი მოკლე იყო, ბოროდულია კი ტანმომცრო. ბატალიონის მეთაურმა სკამლოგინი აირჩია. მრავალი დღის შემდეგ პირველად გაიხადა ტანთ, როგორც მშვიდობიანობის დროს, გაიძრო

გიმნასტურა და შარვალი. ტკბილად ეძინა, ირგვლივ სიწყნარე იდგა, ბნელოდ ქარის შრიალი უნანაგებდა, ზღურბლთან გუშაგის თექვსმეტეტი კრიჭინი ისმოდა. ღუმელზე მძინარი, ოფლად გაღვრილი ადიუტანტი ბუტბუტებდა: „ოჰ, ეს არამზადები... ოჰ, ეს არამზადები!“

ზავარზინი ჩვეულებისამებრ უთენია ადგა. მინებზე ყინული მთლად ჩამოდნარიყო, სარკმელში გაიხედა. ბორცვებიდან, როგორც ბუმბულის ლოგინიდან, ფოშფოში, წითელი, თითქოს ძილით მოთენთილი მზე გამოგორდა და თოვლს ალაგ-ალაგ მჭრალი ჩრდილი დაჰფინა. მერე ჩრდილმა სწრაფად მიიღო მტკიცე, ლურჯი ფერი. ორი „მესერი“ გამოსხლტა ტყის იქიდან, მცოცავი ფრენით გადაუარეს სოფელს, ქუჩას ტყვიამფრქვევების ჯერი გააყოლეს.

— რაღა გვიჭირს, — ჩაიბუხუნა ბატალიონის მეთაურმა. — აქაც გუგუნებენ, ირაკლი. ქვეყნად თუ არის ისეთი ადგილი, სადაც ადამიანი მშვიდად დაჯდება?

— ტყვარჩელის მახლობლად ერთი გამოქვაბული მეგულება, იქ სიწყნარეა, წადი.

— ვერ დაგვიდგა კარგი დარი, ასეთ ამინდს ქარბუქი სჯობია.

— ეგ ჩვენს მფრინავებს უნდა ვკითხოთ... არა, მშიერ კუჭზე რას ვატარებთ ენას? აზრებსაც სჭირდება საკვები. თუ გამოგეფიტა, ხეირი არ დაგვერება.

დინჯად შეექცეოდნენ საუზმეს, ხუმრობა-ხუმრობით.

— ყური მიგდე, რა იყო, ძილში რომ გაჰყვიროდი, ოჰ, ეს არამზადებიო? — ჩააცვიდნენ ადიუტანტს. — შეექვსე შეტაკებას იგერიებდი?

— არ მახსოვს.

— შენ, მეთაურო, როგორ სიზმრებს ხედავ, საბრძოლოს თუ სამოქალაქოს?

— ბრძოლა დღისითაც გვეყდება, გოგოები მესიზმრება. აბა, წარმოიდგინეთ ვრცელი, თბილი ოთახი, სუფთა მერხები, სუფრაზე ღვინო და საუზმე, საითაც გაიხედავ, გოგო ზის და ამდენ გოგოებში მარტო მე ვარ.

— რატომ არ დამიძახე? — უსაყვედურა ბრეგვაძემ. — რად გინდოდა მარტოს ამდენი გოგო? მეორედ თუ დარჩები მათთან მარტო, უსათუოდ დამიძახე. სიმღერა და ლექური ჩემზე იყოს.

— არც სიმღერა იქნება და არც ლექური, — ამოიოხრა კაპიტანმა. — ვტყუი. ბედი არა მაქვს, გაჩენის დღიდან სიზმარი არ მინახავს. თვალს დაეხუჭავ თუ არა, წყვდიადში ვინთქები, თითქოს ვიღაცამ ტყაპუჭი გადამათარაო.

დაახლოებით თორმეტი საათისათვის ამინდი შეიცვალა. ღრუბლები ძირს ჩამოწვა, თითქოს ცას ჯარისკაცის საბანი აათარესო, წამოვიდა წვრილი თოვლი, დადგა ბუქი, წყლისპირა ტყე დაიბურა, დაჰკარგა მოხაზულობა, ჩამობნელდა, ოთახის კუთხეები ბინდში ჩაიძირა. სადღაც შორს, მარჯვნივ, დროგამოშვებით 'ხანტად ბუხუნებდა არტილერია, მაგრამ არც ცეცხლის გაელვება მოსდევდა. მ ბუხუნს, არც ყალყზე აჭრილი მიწის ქუდი, მხოლოდ ყრუ ხმა იწმოდა და ხელა ირხეთდა იატაკი. ეზოში ორდინარეცი ნაალაფევი მოტოციკლეტის დაქოქვას ცდილობდა. მოტოციკლეტი ერთს დაიღრენდა, ათახთახლებოდა და ჩუმდებოდა. ორდინარეცი ორადგილიანი მოტოციკლეტის ხელში ჩაგდებაზე ოცნებობდა მორიგი შეტევის დროს, რომ მას და კაპიტანს ცხენებით აღარ ეჩაქჩა-

ქათ. ამიტომ ვარჯიშობდა ახლა დანჯღრეულ ორთვალაზე. უფროსი ადიუტანტი ავიაციის ტექნიკი იყო, წინა კბილები ფოლადისა ჰქონდა, თავისით დასკვივდა, მათი თვითმფრინავი სხვა ბაზაზე გადასვლის დროს რომ ჩამოხვდეს. ახლა ადიუტანტი მაგიდაზე იყო დახრილი, ორვერსიან რუკაზე ადგილებს ნიშნავდა, თან ბელორუსიულ კილოკავზე ლილინებდა:

იყავით ჯანმრთელი,
იცხოვრეთ მდიდრულად,
ჩვენ კი ვბრუნდებით
ჩვენ-ჩვენ სახლებში.
თითქოს თქვენს ლხინში ვატარებდით დროს.

უკრუნუნა
ბიზუნუნუნა

— გაჩუმდი, გესმის! — სთხოვა ბატალიონის მეთაურმა. — რა ლხინის გახსენების დროა ახლა. არ დაგიღვევია და დასაყოლებელს კი შეექცევი.

— რად უშლი ადამიანს სიმღერას? — გამოეხმინა ირაკლი ბრეგვაძე. — წინა ხაზზე არ შეიძლება სიმღერა, ნალმით გაგაფრთხობინებენ სულს, აქ არ შეიძლება. სადღა იმღეროს კაცმა?

— ერთ ოპერაციაზე ვფიქრობ, გესმის, სტრატეგიულზე.

— მოგეხმარო?

— მომეხმარე.

— კარგი.

— გამოვიძინე, საქმე აღარაფერი მაქვს და ველარ ვისვენებ. რა იქნება, ჰედ-ბატალიონში რომ წავიდე საღამოს, ერთი-ორი საათით?

— ანასთან ალბათ, არა?

— ჰო.

— წასვლის ნებართვა აიღე? რატომ უნდა გასწიო რისკი! თვითონ ამბობდი, რომ თქვენ შორის ლაილას მეტი არაფერი იყო.

ადიუტანტმა ჩაიფრუტუნა, არ ესმოდა, მის მიერ გაღმერთებული მეთაური ზაფარზინი, ჰუსარი, თავზეხელაღებული კაცი, მუდამ ჭიქურ რომ მიიწევდა მიზნისაკენ, რად გლოლიაგებოდა იმ ვილაც ანას, რას ნაყავდა წყალს. ვერ ხვდებოდა, რომ ამის ახსნა თვით მეთაურსაც არ შეეძლო — ვინ იცის, როგორ და რატომ ინთება ჩვენს გულში და ღვივდება ამისა თუ იმის იმედი? ნათქვამია, სხვის გულში ვერ ჩაიხედავო. საკუთარ გულშიც შეიძლება თურმე ზოგჯერ ორიენტაციის დაკარგვა, ისე დაბნევა, როგორც ტყეში. ასეთ დროს ვერავითარი კომპასი ვერ გიშველის. ბატალიონის მეთაურს, ვისთვისაც დისციპლინა მუდამ ღირსების საქმე იყო, ესმოდა, რომ თვითნებურად ნაწილიდან წასვლას შეიძლებოდა სერიოზული უსიამოვნება მოჰყოლოდა, მაგრამ აკვიტებულ სურვილს ველარ ერეოდა, გამოსავალს ეძებდა.

— წერილი რომ გავუგზავნო და ვახშმად მოვიწვიო? თუ დღეს მორიგე არ არის. უსათუოდ მოვა. რაღაც საბაბი უნდა გამოვნახოთ, მაგალითად, ვინმეს დაბადების დღე, ნუთუ თქვენგან არავინ დაბადებულა ამ ქალურ თვეში?

— ჩათვალე, რომ მე დაგიბადე, — უთხრა ბრეგვაძემ. — ნამდვილად დეკემბერში ვარ დაბადებული, მაგრამ არ გადამიხდია, საგანგებოდ გადავდე ისეთი შემთხვევისათვის.

— ტყუილით იწყებთ და მოტყუებული დარჩებით, — ხმა მიაწვდინა ადიუტანტმა. — მე ივლისში ვარ დაბადებული.

ადიუტანტი ბოროდულია ორი უდიდესი ღირსებით იყო დაჯილდოებული — დავალებას რომ აძლევდნენ, წამში ხვდებოდა, რა უნდა ექნა, და ზუს-

ტად ასრულებდა ამოცანას. მაგრამ ამხანაგების აზრით ერთი დიდი ნაკლიც კქონდა — იუმორის გრძნობა არ გააჩნდა და ზედმეტი ლაპარაკი არ უყვარდა. ამხანაგები ხუმრობდნენ, ბუნებამ იძუნწა, სიტყვაძვირად გააჩინა ბორბდულია და, როგორც ყაირათიან კაცს შეეფერება, სიყრმიდან დაიწყო სიტყვების და-ზოგვაო.

— ნუ დავწვრილმანდებით, — გაიცინა ირაკლი ბრეგვაძე დაე, ჩერ-ჩილმა იწვრილმანოს მეორე ფრონტის გახსნაში, ითვალოს, ყოველ ჯარისკაცს აქვს თუ არა ქვედასაცვალზე ღილები მიკერებული. გამოაცხადე, რომ ჩემი და-ბადების დღეა, ზემდეგს ნაალაფევი შნაპსი გამოსთხოვე, მგონი, მაროზოვკოდან თან დაათრევს შნაპსის კასრს. მიწერე ანას წერილი, ბოლოში ლექსი დაურთე: „ტყეში დაიბადა ნაძვის ხე, ტყეში იზრდებოდა“. რა საჭიროა ეს ბავშვური ლექსი? ქალს უნდა იცნობდე. ანა გაიგებს, რომ ეს ნართაულია მის მოხდენი-ლობასა და სინორჩეზე.

— შენ, ირაკლი, გყვარებია როდისმე?

— ჩვიდმეტჯერ... არა, ოცდაერთჯერ ვიყავი შეყვარებული, მაგრამ ძე-ხორციელისთვის არ გამინდვია.

ბატალიონის მეთაურმა დაწერა წერილი. რა თქმა უნდა, ლექსით არ და-უმთავრებია და ორდინარეც სთხოვა წაეღო. მედ-ბატალიონამდე ორი კილო-მეტრი იქნებოდა. არავინ ელოდა, ისეთი პასუხი მიიღო ზავარზინმა. ანა ატყო-ბინებდა, რომ თავისუფალია, მორიგეობა არ უწევს და მეგობარ ქალიშვილ-თან ერთად მოეა ექვსი საათისათვის, თუ კაპიტანი ცხენს გაუგზავნის, ზავარ-ზინს ისე გაუხარდა, თითქოს თვითონ იხდიდა დღეობას. ირაკლი ბრეგვაძე კი შეშფოთდა:

— ვაი! ქალები გვეწვევიან, ჩვენ კი გაუპარსავი ვართ, ქვედა საყელო არ გამოგვიცვლია, იატაკზე ხორბალი დაითესება, ფანჯრის რაფებზე კი ახალ გე-ოგრაფიას ისწავლი — მდინარე მტკვარი არალის ზღვაში ჩადის. გამოაცხადე, მეთაურო, საერთო ავრალი, მე კი შენი ცხენი მიბოძე, რომ მწვადები ავაშიშხი-ნო. როგორ გადავიხადო დღეობა უმწვადოდ?

ოთხი საათისთვის ქოხს ვერ იცნობდი. იატაკი მოფხიკეს და მორეცხეს, თვალს ახარებდა ფიჭვის მოკრიალებული სახეებიანი ფიცრები. ფანჯრები და რაფები გაწმინდეს, ქვედა საყელოები თეთრად უქათქათებდათ. საკუჭნაოში გვერდებგამომწვარი ძველი უთო იბოვეს, გიმნასტურები გაიუთოეს. მათ განაზ-რახს, თავდაპირველად რომ ეჭვით უყურებდნენ, ზეიმისთვის სათანადო სამზა-დისი მოპყვა, ალგზნებულები მხიარულად ფუსფუსებდნენ, ოხუნჯობდნენ, ლე-ლაყდნენ სტუმრების მოლოდინში. გაუთავებელი ბრძოლების, დაუსრულებე-ლი ლაშქრობების, უკიდურესი ნერვული დაძაბულობის, გაყინულ კონსერ-ვებსა და გაყინულ პურზე გატარებული დღეების, ქარბუქიანი ლამეების, აბრი-ალებული ხანძრების შემდეგ ეს ზეიმი ასჯერ უფრო ძვირფასი იყო მათთვის, თითქოს მცირე ხნით დაუბრუნდათ მშვიდობიანი დრო, ენით გამოუთქმელი თავისი სიხარულით, რასაც უწინ ღირსეულად ვერ აფასებდნენ და ჩვეულებ-რივ ამბად მიაჩნდათ, ასედაც უნდა იყოსო.

ამ ფაციფუცში რომ იყვნენ, უფროსი პოლიტხელი სობოლევი მოვიდა, მაღალი, ბურჩხაწარბებიანი კაცი, ეშმაკური თვალებით რომ აკვირდებოდა ყველას. მეზობელ სოფელში იყო დაბანაკებული მესამე ასეულთან ერთად, მიმ-დინარე საკითხებზე საუბრის ჩასატარებლად ემზადებოდა. ასეთი ბელსაყრელი

შემთხვევა ვინ იცის, კიდევ როდის მიეცემოდა! უწინ, როცა ჩვენი ჩარი მარცხდებოდა, აგიტაცია უბრალო იყო — „წინ სამშობლოსათვის! წინ, ატალინი-სათვის!“ მას შემდეგ კი, რაც სტალინგრადადთან მოპოვებულმა გამარჯვებამ მთელ პლანეტაზე მეხვიით დაიქუხა, ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა იგრძნეს თავისი ძალა, სიმტკიცე მოიპოვეს და ლოზუნგებით აღარ ემაყოფილებოდნენ, უფრო ღრმად; საფუძვლიანად უნდოდათ ჩასწვდომოდნენ ყველაფერს, სრულად მოულოდნელ შეკითხვებს იძლეოდნენ საუბრისას. აგიტაციის დრო წავიდა, დაიწყო რთული, აღმზრდელიობითი მუშაობა, ზოგადი ფრაზებით ფონს კელარავინ გავიღოდა და პოლიტბელს ზღვა მასალა უნდა შეესწავლა.

ამ აურზაურის მიზეზი რომ გაიგო, პოლიტბელმა ზავარზინს უთხრა:

— ისევ შენებურად დაიქოქე ბოლომდე? ღირს კი?

— განა ეს ბოლომდეა? მხოლოდ მესამედზე, წესიერ-რიგიანად, ყველას თანხმობით.

— ტყუილად კი არა თქვა კომისარმა, ხარი რძეს ვერ მოგვცემს, ფიჭვი არცის ხის წვენსო.

— ჩემს საბრძოლო საქმეს გულისხმობდა?

— არა, სერიოზულობასა და შეგნებას.

— მაშ მართალი უთქვამს. პაპაჩემიც ასე ფიქრობდა, ოღონდ ის სიტყვებს არ სჯერდებოდა. ზოგჯერ საღამომდე ვიტორლიალებდი ქუჩა-ქუჩა, ან მდინარის ნაპირზე შევყვებოდი თამაშს, ცოცხალ-მკვდარო მიუჩანჩალებოდი შინ. მტაცებდა პაპაჩემი თმაში ხელს, კეფიდან ხევით ამქაჩავდა. ამწევდა. ქვუის სასწავლებელი იყო, მეორე დღემდე მყოფნიდა. იქეიფებ ჩვენთან ერთად ირაკლის დღეობაზე?

— მოგვიანებით მოვალ, თუ გავნთავისუფლდები და თუ მანამდე ამ სახლს ძირადმა არ გადააბრუნებთ...

მაგრამ ქეიფი ჩაიფუშა, ექვსის ათ წუთზე შიკრიკი მოვიდა შტაბიდან, — სატელეფონო ხაზი არ გაუყვანიათ, არ იყო საჭირო, — მოიტანა ბრძანება — სასწრაფოდ აშალეთ ბანაკი, ჩრდილოეთ დონეცის უკან გაიყვანეთ ბატალიონი. ბატალიონის მეთაური გამოცხადდეს დამატებითი მითითებების მისაღებად. კაპიტანმა ზავარზინმა ბრძანება წაიკითხა, გაიქნია ქალაღი, კიდევ გადაიკითხა, გაიცინა — იმდენად მოულოდნელი და უაზრო იყო ეს. ბრეგვამდე შემოფოთდა:

— რა მოხდა?

— უფროსობამ გააუქმა შენი დღეობა, როგორც ბოროდულია მდგროდა — „იყავით ჩანმრთელი, იცხოვრეთ მდიდრულად“, გამოიძახეთ ასმეთაურები, გზას უნდა გავუდგეთ. აჰა, შენი თვალით ნახე.

— კროსვორდია, — გაუკვირდა ბრეგვანეს. — მარჯვენა ნაპირი ჩვენია, ჩარი სიღრმეში იბრძვის. რისთვის უნდა დავიკავოთ ეს მოტიტვლებული ადგილი?

— ალბათ შტაბში ამიხსნიან.

ომში არსებობს ერთი განუხრელი, დაუწერელი წესი: თუ შენ ვერ შეასრულე ბრძანება, ვერ დაიპყარი სიმაღლე, იმიტომ რომ ძალა არ გეყო, ყველა გავიგებს, შეგიბრალებს, თანაგიგრძნობს, მაგრამ თუ შენ ჩარის მარშზე გაყვანა, ამ ჩარის გადაადგილება შეგეძლო და არ გააკეთე, ბედს მადლობა შესწორე, რე მაგარი შეხურება გაკმარეს. იმიტომ წამში გაქრა საზეიმო განწყობილება.

წამოვიდა და წამოვიდა ბრძანებები, ნაბიჯიდან სირბილზე გადავიდნენ, სოფლები აფუთფუთებული ქიანჭველების ბუდედ იქცა, ერთ საათში იარაღი შემოწმებული ჰქონდათ და ჩამწკრივებული ჯარი დაიძრა. ბრძანება რომ მიიღო კაპიტანმა, გაიფიქრა, გავგზავნი ვინმეს მედ-ბატალიონში, შეეცადებინებ, რომ დაბადების დღის აღსანიშნავი ვახშამი გადატანილია, ბრძანება მთავარი ანასო, მაგრამ საამისო დრო არ იყო, ყველას თავისი საქმე ჰქონდათ და კაპიტანმა ბოდიშის მოხდა სამერმისოდ გადადო.

ჯერ დღე არ მიწურულიყო, მაგრამ მდინარის მარცხენა ნაპირზე ფოთლოვანი ტყე უკვე ბინდით იბურებოდა. ირიბად მოდიოდა სილასავით მშრალი თოვლი, სახეს უსხებდა ჯარისკაცებს, საყულოში უძვრებოდა. ურმის სიფართოვ ვიწრო გზა გველივით მიიკლავებოდა რუხ, კოჭრიან ხეებს შორის და ფეხებში ჩრიდა ჯარისკაცებს სლიბ ფესვებს. სულდგმულის კვალი არ ჩანდა გზაზე. ჯარისკაცებს იმედი ჰქონდათ, რომ კიდევ ერთ ღამეს მაინც გაათევდნენ ქერქვეშ, სითბოში და ახლა მოქუშულები, მდუმარედ მიაბიჯებდნენ. გონებით ესმოდათ, რომ ვერას გააწყობდნენ, ომი იყო, გული კი არ ემორჩილებოდა გონებას, კვნესოდა.

ხუთიოდ კილომეტრი რომ გაიარეს, მდინარეც გამოჩნდა. ბინდებოდა მზვერავები გაგზავნეს. ჩქერებთან ყინული თხელი იყო, თოვლის ქურქქვეშ შემლღვალიყო, ალაგ-ალაგ შავად იხედებოდა ყინულღრუები. დიდი სიფრთხილით გადადიოდნენ ერთიმეორას უკან ჩამწკრივებულები. წინ მიმავალი ხიშტს სცემდა ყინულს, თუ ერთი დაკერით ჩატებდა მარჯვნივ ან მარცხნივ აიღებდნენ გეზს. თითქოს მაქმანებს ქსოვენო. შეკაფულ წვრილ-წვრილ თხმელაზე დაწყობილ ტყვიამფრქვევებსა და ნაღმსატყორცებს, საბრილო მასალით სავსე ყუთებს თოკს ან მავთულს აბამდნენ და ისე მიაჩოჩებდნენ. საჯახირო საქმე იყო, მაგრამ რას იზამდნენ, გადასასვლელამდე ჩვიდმეტი კილომეტრი უნდა ეარათ ჭყაპში იქით-აქეთ. მდინარის გაღმა ნაპირზე გზა არ იყო, პირდაპირ ციცაბოზე მიბობლავდნენ დიდი ხნის უვალი ვიწრო ბილიკებით, ბუნდად რომ ანათებდა მეჩხერ ხმელ ბალახსა და თიხის ბელტებში. ქშიტინ-ქშიტინით, გინებით მიწევდნენ წინ, ფაშისტებს აგინებდნენ. სკოლის მერხიდან მოსული, მთლად ყმაწვილი ჯარისკაცი სავკინი, მოკრძალებული, უგერგილო ბიჭი, ძირს დაეპერტყა. ბამბის შარვლით ჩასრიალდა ქვევით, ფეხებში გაებლანდა ჯარისკაცებს.

— საით მიხობხავ, დოყლაპიავ! — დაუტიეს ჯარისკაცებმა.

— ბლინები არ დაგვიცხვია, ყველიერი კი მოგვიწყვე?

— სიარული აკვნიდან რომ ამოხვალ, მაშინვე უნდა ისწავლო და არა ომში.

ყმაწვილი ჯარისკაცი ლამის ატირდა, თავს იმართლებდა:

— ისე მოლიბულია აქაურობა..

— ჩვენთვის არ არის მოლიბული?

— ჯიბეები სილით გაიტუნე და მოაბნიე ხოლმე.

— სიბერეს რომ მიაღწევს, თავისი სილა გაუჩნდება.

ბორცვის მწვერვალს გადაღმა აჭიჭყნილი ველი გადაიშალა, დამრეცად რომ აღიოდა ორი ბორცვისკენ. უთუოდ მიტოვებული მიწა იყო, დიდი ხნის მოუხნავ-დაუთესავი, ბორცვების კალთები ალაგ-ალაგ დაეხეთქა ნიაღვარს, ღრანტეები გაჩენილიყო, შამბნარი, დაგვალული ბუჩქები ირბეოდა, შხიოდა ნაღ-

ვარულებში. სალამოს ღიმლამში, ცა რომ მიწაზე ჩამოაწვინა და მიდამო რუხი საღებავით დაფერა, ისეთი პირქუში ეჩვენათ იქაურობა ჯარისკაცებს, რომ გაიფიქრეს, ამაზე სევდისმომგვრელი ადგილი საშინელ ზმანებებში თუ მოკლანდება ადამიანსო. უფროსმა ლეიტენანტმა ბრეგვაძემ ხელთათმანი მაგრად გატენილ საველე ჩანთაზე ბრაზით დაიკრა:

— მითხარი, ღმერთს სინდისი აქვს? რად მოიგონა ასეთი პოზიცია? მხარი ხომ არ გვეცვალა, იქნებ სხვაგან მივედით?

— არა, იქ ვართ, სადაც უნდა მივსულიყავით, — დარწმუნებით თქვა ადიუტანტმა. — ახლა არაფერი ჩანს. დღისით სულ სხვაა, შესანიშნავი ხედი იშლება, ჩვენი ზურგიც გამოჩნდება.

— ვის აინტერესებს ჩვენი ზურგი? სპარსეთის მეფე მესოპოტამიელ თავადის ასულს გაღმა ნაპირიდან გამოღმა თვალით ეხვეოდა... მე ის მაინტერესებს, ჩვენ როდის გაგვისტუმრებენ დასასვენებლად ზურგში?

— გერმანელებს აინტერესებს. განალაგე აქ კარგი საარტილერიო დივიზია — იქით ჭიანჭველაც ვერ გაძვრება. მათი თავდაცვის სისტემისთვის ამ პოზიციაზე უაეთესი არაფერია.

— გერმანელების მაგივრად რატომ ფიქრობ? საკუთარ თავზე იფიქრე, ჩემზე იფიქრე.

— მიახლოებით თუ ვიტყვი, რამე რომ მოხდეს, გაგვიჭირდება.

— კარგი კაცი ხარ, დამანუგეშე — თუ მგელი ბატკანს არ დაგლეჯს. ბატკანი ალბათ გაიზრდება და ცხვრად იქცევა...

კოტა ხანში კაპიტანი ზავარზინიც მოვიდა. მდინარემდე მარხილით მოიყვანეს. მხიარულ გუნებაზე იყო, უთუოდ ვილაცასთან „გასათბობად“ ერთი ჭიქა გადახუხა — თავისი ულუფით ხელს ვერ გაშლიდნენ, ფრანგულ ნაალაფვე კონიასს და შნაპსს მოუღებდნენ ხოლმე.

— აბა, გვითხარი, ერთგული სამსახურისთვის რა გვიწყალობეს? — ჰკითხა ბრეგვაძემ კაპიტანს. — ამ საუცხოო ადგილზე რა უნდა ვაკეთოთ?

— სიმაღლეები უნდა დავიკავოთ და გავმაგრდეთ. მოწინააღმდეგე ახლომხლო არ არის და შესაძლოა არც გამოჩნდეს, თუ გამოჩნდა, ცეცხლს შევუწოდებთ. თუმცა აქ საიდან გაჩნდებიან?

— ჯერ საკუთარ თავს შევუწოდებთ, — ნაღვლიანად თქვა ადიუტანტმა. — ზეზეურად მოგვიწევს ძილი. ამ გაყინულ მიწაზე მთელი ღამე რომ იჯახირო, ერთ ჭეციან სანგარსაც ვერ გათხრი.

ბატალიონის ჯარისკაცები და ოფიცრები, განსაკუთრებით ვეტერანები, ცხრა თვის მანძილზე განუწყვეტელ ბრძოლებში ყველაფერს შეეგუენ — წყალჩამდგარ სანგრებში ცხოვრობდნენ, ორი კაცი დღე-ღამის განმავლობაში ერთ ქილა კონსერვზე გადადიოდა, თავსხმაში, ყინვასა და ქარში მიუყვებოდნენ გზას, კილომეტრს კილომეტრზე გადიოდნენ, სისხლისფრად აბრიალებულ ცეცხლსა და მოთახთახე ჩრდილებში გადადიოდნენ შეტევაზე, მტერს მოულოდნელად ესხმოდნენ თავს სოფლების დასაპყრობად, თოვლში მხეცებივით ჩამალულებს ეძინათ. სიკვდილსაც შეეჩვივნენ, თითქმის ყოველ დღე ხოცავდნენ მტრებს და მარხავდნენ თავის მიცვალებულებს, იმათ, ვისაც მათ გვერდით ეძინათ, ერთი ჭვადიდან იღებდნენ დილით ფაფას, მაგრამ გაყინულ მიწაში სანგრის თხრაზე მძიმე და აუტანელი არაფერი იყო მათთვის. წერაქვი არა ჰქონდათ, ბარით კი, ვიდრე მიწის გაუყინავ ფენას მიაღწევდნენ, ხელებზე სისხ-

ლიანი კოჭრები უჩნდებოდათ. ასეთი სიმწრით ნაკეთები სანგრები მეორე დღესვე არაერთხელ მიუტოვებიათ უბრძოლველად. მესამე ასეულს ბედმა გაუღიმა, ორეშელონიანი განლაგების დროს, პატარა ხრამებისა და ორანტეების ზონაში მოხვდა, უცნაურად რომ იყვნენ გატოტილები ღრმა ხეობიდან. აქ მართო აფართოვებდნენ ნაპრალებს, ასწორებდნენ ნიადაგს, პატარა-პატარა მიწაყრილებს ბუჩქების ტოტებით და თოვლით ნიღბავდნენ. მათვე უნებურად, ხრამს ზევით ბატალიონის სამეთაურო პუნქტი მოაწყვეს. გააფართოვეს ვიწრო თხრილი და ტოტებით დაფარეს, ეს იყო და ეს. შემდეგ არტილერიის ტემპა სატელეფონო ხაზი მიიყვანეს სამეთაურო პუნქტთან, ჩასხეს ცეცხლის მაკორექტორებლები. ბატალიონის მეთაურმა შტაბში დაყინებით მოითხოვა, ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხების ერთი ბატარეა მაინც მოგვეცითო, მაგრამ არტილერიის მეთაური ვერ მოტეხა.

— გინახავს სადმე ფრთიანი ქვემეხები? ისეთი, ჰაერში ფრენა რომ შეეძლოთ? მე არ მინახავს. კარგი, დაუშვათ მდინარეზე როგორმე გადავიტანეთ ქვემეხები, გორაკებზე როგორღა ავათრიოთ? თუ რამე მოხდა, ნაპირიდან წამოგეშველებით. გირჩევნია ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარები ბლომად წაიღო.

— გასაგებია. წყალწალღებულმა თავის თავს თვითონ უნდა უშველოს.

— არა უშავს რა, პუსარო. პირველად ხომ არ ხარ ასეთ დღეში. იქნებ არც არაფერი მოხდეს, ცოტა გაიყინები, ეგ იქნება და ეგ. აბა წადი, გაუტიე, რაც ძალი და ღონე გაქვს!

ნელა, ზღაზვნით იწურებოდა ღამე, ჰორიზონტზე ცა ფენა-ფენა წყდებოდა მიწას, შუქდაკრული ფოტოფირავით ჩნდებოდა შავი ლაქები ველზე. ბუჩქები იყო, ადამიანები თუ თიხოვანი შვერილი, შორიდან ვერ გაარჩევდი. მდინარის გაღმაც არაფერი ჩანდა გამოკვეთილად, თითქოს ღამით ტყვიისფერი, მკვდარი, უძრავი ზღვით დაიფარათ იქაურობა. ქარის მიმართულება შეიცვალა. ახლა დასავლეთიდან უბერავდა, დროდადრო მიწას აცხრებოდა, ბლუჯა-ბლუჯა იტაცებდა თოვლს, ხრამების ნაპირებზე შლიდა მოთეთრო საფენს. იმათ გარდა. ვინც ძალიან ამტანი და ჯიუტი იყო, ჯერ კიდევ რომ უჩაკუნებდნენ ბარს წყეულ, გაყინულ მიწას, ყველას პატარ-პატარა სანგრებში ეძინა, საველე ან სავაზნე ჩანთა ედოთ თავქვეშ. ზოგი დაწყვილებული იყო, ერთმანეთს მიკვროდნენ გასათბობად, ზოგი კენტად იწვა მოკუნტული, მუხლები ნიკაბთან ჰქონდა მიტანილი, იშმუშნებოდა, ტოკავდა. როცა რომელიმე მათგანი იგრძნობდა, რომ იყინებოდა, წამოხტებოდა, ფეხებს აბაკუნებდა, ხელებს იქნევდა, ერთმანეთს ურტყამდა. ეს იყო ყინვისაგან უკიდურესობამდე მისული ადამიანის უცნაური, გიჟური ცეკვა.

ექვს საათზე სადღაც წინ გრუხუნი ატყდა. უთუოდ ცხარე ბრძოლა გაჩაღდა. ზავარზინი და ბრეგვაძე პირველი და მეორე ასეულის პოზიციებს ამოწმებდნენ ამ დროს, შედგნენ, დაუურადდნენ.

— როგორ ფიქრობ, ირაკლი, ჩვენ ხომ არ გვიარაკებენ?

— ჩვენთან, საქართველოში ძველად ამბობდნენ — თუ ცხენის ფლოკების თქარუნს გაიგონებ, ან ხანჯალი მოამზადე ან პურ-მარილიო.

— ეს სანგრები გროშკაპიკად არა ღირს, — ბრახობდა ზავარზინი. — თავს თუ ჩარგავ შიგ, უკანალს ჩავათლიან ტყვიამფრქვევით. ხალხი უნდა გავადვიძოთ. ჩააღრმავონ სანგრები, ჩვენთანაც — ორიოლში თავისი ჩვეულებები

აქვთ — გინდაც არ გწყუროდეს, წყალზე მაინც წადიო. უკან დასახვევი გზა არა გვაქვს, ნახევარ ხალხს ამოგვიქვლიტენ, ზევიდან, ფერდობიდან.

— მეორე ნახევარი წყალში ჩაყვინთავს, ყინულქვეშ კუდით დაიჭერს ლოქოებს.

გათოშილ ჯარისკაცებს ადგომა უჭირდათ, გაშეშებულ ხელ-ფეხს იხელებდნენ, ზოგი თოვლით მანამდე იხეხდა ცხვირ-პირს, ვიდრე ჩაეაშებული სახე არ აუჭარხლდებოდა. აჩქარებით ისაუზმეს, — შავი პური და ერთი ქილა კონსერვი. ქილაში კოშტ-კოშტად იდო ქონი. სამზარეულო ვერ მიიტანეს იქამდე. მზარეულები და მათი თანაშემწეები თავს იმტვრევდნენ, ხეფენილი როგორ გააკეთოთო. ოცმეთაურები ოხუნჯობდნენ, ჯარისკაცების გამხნეებას ცდილობდნენ, მაგრამ ეს არც ისე საჭირო იყო, რადგან ჯარისკაცებს კარგად ესმოდათ ყველაფერი, მით უფრო, რომ წინ, ქარბუქის მიტკლისფერი ფარდის მიღმა გრუხუნი მატულობდა. მარჯვნიდანაც აბუბუნდა ცეცხლსასროლი იარაღი. გულს იმათლა იშშვიდებდნენ, რომ საფრენოსნო ამინდი არ იყო, თავი დაფარული ჰქონდათ. გერმანელები აღარ იყვნენ ჰაერის მეუფეები. წავიდა ის დრო, როცა პლაცდარმებზე რასაც უნდოდათ. იმას აკეთებდნენ. მაგრამ მათ ჯერ კიდევ ბევრი თვითმფრინავი ჰქონდათ. ფეხოსანი ჯარი კი, როგორი ნაცადი და ცეცხლში გამოჯეკილიც უნდა იყოს, მაინც წერვიულდებოდა, როცა შეტევას ჰაერიდან იწყებენ. ამ წერვიულობას პირადი უმწეობის, დაუცველობის გრძნობა იწვევს. ტანკს კიდევ შეიძლება შეებრძოლო, თუ ხელყუმბარა გაქვს, ან გაუსხლტე როგორმე, მაგრამ როცა ზევიდან წივილით მოდის ყუმბარა, ან სანგრებს მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევებით უშენენ თვითმფრინავიდან, ერთი გზა რჩება — მკითხაობა — მომცელავს თუ ამცდება? ამიტომ საავიაციო ნაწილებში აკდარს აგინებენ, ფეხოსნებს კი უხარიათ — მფარველს უწოდებენ.

თორმეტი საათისთვის გუგუნნი ნელ-ნელა მიწყდა. მხოლოდ კანტიკუნტი ბათქი ისმოდა, მაგრამ ბათქი ახლოვდებოდა. ზავარზინმა სმენა გაამახვილა, კუდი გადაიწია, ხელი მოიფარა ყურზე, უნდოდა სრთლის ხმით გამოეცნო, წინ რა ხდებოდა. მართალია, ბუნდოვნად ხვდებოდა საქმის ვითარებას, მაგრამ შინაგანი მღელვარება თანდათან უფრო ძლიერ იბყრობდა და მისთვის ჩვეულ ახარტში გადადიოდა, შეტევის წინ რომ მოიცავდა ხოლმე. მცირე ხნით ყველაფერი მიყუჩდა და კაპიტანმა გაიფიქრა, რომ შეცდა, რომ არაფერი მოხდებოდა. იქნებ ჩვენი არტილერია დახურული პოზიციებიდან ისვრისო, გაუელვა, მაგრამ პირველის ნახევარზე ქარის შემოქროლამ მოტორების ღმუილი მოიტანა, ქარბუქია ფარდიდან, როგორც მოხდილი რძიდან, გამოსხლტა ქვეითი ჯარით შეხუნძლული გერმანელთა ტანკები. ნელა მოცოცავდნენ, ფრთხილობდნენ, თითქოს ქვემეხების ოდნავ დახრილი ლულებით ახლადმოფიფქულ თოვლს ყნოსავდნო. ზავარზინმა დაითვალა, თოთხმეტი ტანკი იყო, მათ უკან შავად მოჩანდა ფეხოსანი ჯარით სავსე სატვირთო მანქანების კოლონა.

— გულდაჯერებით მოდიან, არამზადები! — წამოიძახა ზავარზინმა. ვერც კი მიხვდა, რომ ზუსტად ისე შეიგინა, როგორც წინა ღამით მძინარე ადიუტანტი იგინებოდა. — ზურგს აგვიწვავენ. სამეთაუროში წადი, არაკლი, არტილერისტებმა გადამდობი ცეცხლი დაუშინონ, თორემ ისინი ბაიბურში არ არიან, ალბათ გამრავლების ცხრილს სწავლობენ ახლა.

— სამეთაუროში შენ წადი, მე მეორე ასეულთან დავრჩები. თუ შევეტორტმანდით, ბიჭვები მოგვაშველე.

ზავარზინი კიდევ რამდენიმე წუთი გაპყურებდა ველს, მერე დაასვენა:

— მალე შეტორტმანდებით. სანგრები რომ წესრიგში იყოს, ტანკებს ჩვენს თავზე გადავატარებდით, გაყინული ბრუსტვერები გაუძლებდა ამ კუბოში კი რა გიხსნის? კრიტიკულ წუთს ნუ გაუშვებ, თხრილში ჩახტი, — თქვა და უცებ გულიანად გაიცინა:

— ყური მიგდე, სწორედ თხრილებია ჩვენი მთავარი სტრატეგია. რად გინდა პირდაპირ ფრონტი? ტანკებს ვერ დავძლევთ, ჰოდა, გავატაროთ, ილრჭია-ლონ თავისთვის, ფეხოსანი ჯარი კი ტომარაში შემოძვრება, ფლანგებიდან შევუტევთ. დარეკე პირველ ასეულში და აუხსენი, რაც გითხარი. უკან დახვეისას წითელი რაკეტით მაცნობე.

— თვითონ წავალ პირველ ასეულში, — თქვა უფროსმა პოლიტბელმა სობოლევმა. — აქ, თქვენთან უმუშევარი დავრჩები.

— საქმე ყველას ეყოფა. ის კი სწორია, იქ რომ მიდისარ. სკოროხვატოვი უწინ ტყეში იბრძოდა, ასეულს მეთაურობდა. ველი არ მოსწონს, აგინებს—ტაფაო, ამბობს, მოწინააღმდეგე ყველაფერს ხედავსო. განა ჩვენები არ ხედავენ?

— გამოვარკვევთ.

ათიოდე წუთში მარჯვენა ნაპირიდან დასცხო არტილერიამ, ჭურვები ღრუნით გადაქროდა ჯარისკაცთა თავზე, დაბლა დაშვებისას ჩლიფინით ფხრეწდნენ თოვლის მარმაშს, ტანკები წინ ცეცხლისა და მიწის კონუსებს ისროდნენ, მაგრამ ცეცხლი სუსტი იყო და არაზუსტი, მხოლოდ ორი ბატარეა ისროდა. ტანკები წამით შედგა ახალ გარემოცვაში გასარკვევად, მერე უფრო სწრაფად წამოვიდა, მობრუნდა, საბრძოლო წესით განლაგდა.

მთელი ეს აღმუშვლებული რკინა, ლურჯ კვამლს რომ აფრქვევდა და ერთ გონიერ არსებასავით მანევრირებდა შეტევის წინ, გულს უთრთოლებდა ადამიანს. თავად სიკვდილი მოდის, სასტიკი, უღმობელი, მოგორავს, აზანზარებს ველს, ძალა, რომელიც მარტოოდენ ძალას სცნობს. ტანკების უკან მომავალი მანქანების კოლონა შედგა, ძარადან ჯარისკაცები გამოცვივდნენ. ბრეგვაძე ჭოგრიტით ხედავდა, თოვლში როგორ აყენებდნენ გერმანელები მიძიმე, ბლაგვდინგიან ნაღმსატყორცებს, ღრუბლიანი მღვრიე ცისკენ აღერებული მსხვილი ლულებით. მაგრამ ჯერ არავინ ისროდა. იქნებ გერმანელები ფიქრობდნენ, რომ მარჯვენა ნაპირზე არავინ არისო, და მხოლოდ ყოველი შემთხვევისათვის ემზადებოდნენ? გერმანელთა ეს ნაწილი ახალი იყო, მეორე ეშელონის შესავსებად გამოგზავნილი. რვა კილომეტრი ისე გამოიარეს, არავინ შეხვედრიათ ნაწილებს ჩამორჩენილი ჯარისკაცების პატარ-პატარა ჯგუფების მეტა, ხევსა და ბუჩქებში რომ მიძვრებოდნენ თავის გადასარჩენად. იმათ პირდაპირ ძარადან უშენდნენ ტყვიას, როგორც კურდღლებს. როცა სიმალიდან ტყვიამფრქვევები და ავტომატები აკაკანდა, ხევიდან კი ნაღმსატყორცები, გერმანელები მიხვდნენ, რომ თავის საბოლოო მიზანთან, ჩრდილოეთ დონეცთან აბლოს იყვნენ, მაგრამ დანიშნულ ადგილამდე უბრძოლველად ვერ მიაღწევდნენ. ტანკებმა და ნაღმსატყორცებმა ერთად ატეხეს სროლა, სიმაღლეებზე ეამკაშებდა, ფეთქავდა ცეცხლის ნაფლეთები, ველი სწრაფად დაიფარა წაბლისფერი ლაქებით, ჭუჭყიანი აპკი გადაეკრა, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ ეს მხოლოდ თავდაცვის ხაზის მოსინჯვა, წინასწარი შემოწმება იყო და მთავარი წინ ელოდათ.

კაპიტანი ზავარზინი არტილერიისტების მეშვეობით დაუკავშირდა პოლკის შტაბს, — ცალკე ხაზი არ გაუყვანიათ, შტაბი შორს იყო, — და მოახსენა მდგომარეობა.

— თოთხმეტი ტანკი ერთად მოდის შენზე? — ჰკითხა პოლკის მეთაურმა. — თვალი ხომ არ გატყუებს? მესმის, მესმის, ბევრია. ფეხოსნები?

— დაახლოებით ორი ბატალიონი იქნება.

— დამკვრელი მუშტისთვის უძუნწიათ, მაგრამ, რასაკვირველია, არც ისე ცოტაა. რას აპირებ?

— თხრილებსა და ნალვარევეებს გამოვიყენებ, მრავლადაა ამ ადგილებში. ტანკებს იქით გზა არა აქვთ. ვთხოვთ, არტილერია მომაშველოთ.

ათიოდე წუთი ყურმილი ხრიწინებდა, შხუოდა, მერე პოლკის მეთაურის ჩახლეჩილი ხმა გაისმა:

— ვერავის მოგაშველებ. სადამომდე გაუმაგრდი, გესმის, გიმეორებ — სადამომდე! და უსმინე მუსიკას მარჯვენა მხრიდან. წარმატებას გისურვებ!

ამ ორჯერ გამეორებულმა „სადამომდე“ ზავარზინს რაღაც ყურადსაღებია მიანიშნა, რაღაც დაპირების მაგვარი დაიჭირა, რისი თქმაც ტელეფონით არ შეიძლებოდა და ამან ცოტა გაამხნევა. მაგრამ სადამომდე ჯერ კიდევ ხუთი-ექვსი საათი იყო, სამას სამოცი წუთი, ყოველი წუთი დღესავით გრძელდებოდა და კიდევ ათასი წამიც. ამ ათასიდან ყოველ წამს ისმოდა აფეთქების ხმა, იფშვინებოდა გაყინული მიწა, იგლიჯებოდა ადამიანის თბილი სხეული. ვილაცას ჭრილობიდან სისხლი მოჩქეფდა, ვილაც სიცოცხლეს ეთხოვებოდა, ჩნდებოდა ახალი ობლები, ახალი ქვრივები. გულის შემძვრელი, შემზარავი იყო ამაზე ფიქრი, თუ ფიქრის საშუალებას მისცემდათ ბრძოლის სტიქია, ნერვების უკიდურესი დაძაბულობა. მაგრამ ვის შეეძლო ამ დროს ფიქრი, მით უფრო, რომ „მუსიკა მარჯვნიდან“ არ ისმოდა, არავითარი მუსიკა, მხოლოდ კანტიკუნტი ბათქი და მიწისპირა ქარის სისინი სწვდებოდა სმენას. ზავარზინი დაძაბული ყურადღებით ადევნებდა თვალს ვითარებას.

ამასობაში საქმე ისე არ წასულა, როგორც თავიდან ივარაუდეს. გერმანელებმა, წინააღმდეგ ჩვეულებისა, დრო არ დაკარგეს საბრძოლო დაზვერვაზე, პირდაპირ გადმოვადნენ იერიშზე. ტანკებს, რომელთაც ჩვენები ვერაფრით შეაჩერებდნენ, უკან ფეხოსანთა რუხ-მომწვანო კუდი მოსდევდათ. ოცი წუთიც არ იყო გასული, რომ წითელი რაკეტა ცაში აიჭრა, ნიშნად იმისა, რომ მეორე ასეულმა ბრეგვაძის მეთაურობით დასტოვა სიმაღლე. უთუოდ ასეთივე მდგომარეობა იყო პირველ ასეულშიც. კიდევ რამდენიმე წუთი და მარჯვენა მწვერვალზე, მოღრუბლბ მღვრიე ცის ფონზე ქანდაკებასავით გამოიკვეთა გერმანელთა რუხ-მოლურჯო ტანკის სილუეტი. ცოტა ხანი გაირინდა იქ, უთუოდ ტანკისტები ათვალეერებდნენ ბუჩქნარის ვიწრო ჩარჩოში ჩამჯდარ პილამოსს, თვალწინ რომ გადაეშალათ სანაპიროს ფლატემდე. — მერე დინჯად, დაჯერებით დაიძრა, ქვევით წამოვიდა. ბრეგვაძემ სამეთაურო პუნქტში მიიბრინა, გულამომჯდარი და აღგზნებული იყო, გაგლეჯილი ჯუბაჩიდან მხარზე მუქი მატყლი ამოჩეჩოდა.

— მორჩა, ჩამოგვყარეს. იმათ ქვეითებს ცოტა გავკარ-გამოვკარით, მაგრამ ძვირად გვიჯდებოდა ეს და გადავწყვიტე — ასეთ პოზიციაზე ხალხის დაკარგვას აზრი არა აქვს-მეთქი.

— სწორად მოქცეულხარ, — მშვიდად დაეთანხმა ზავარზინი. — დაჭრილი ხარ?

— მე არა, ჯუბაჩაა დაჭრილი.

— მაშ აქ დარჩი, შენი დაჭრილი ჯუბაჩით. მე მესამე მსუქრს მივაკითხავ, მთავარი ცირკი აქ გაიმართება.

— სჯობია მე წავიდე იქ!

— არა. კავშირი იქონიე არტილერისტებთან. გადაეცი პირველი და მეორე ასეულის მეთაურებს: თუ შეტევა გადაწყვიტეთ, მომზადების ნიშნად თეთრი რაკეტა აიჭრება, მწვანე რაკეტა კი შეტევის ნიშანი იქნება.

მესამე ასეული ერთი ვერსით უკან იდგა, ხრამების ტოტებში ჰქონდა პოზიცია განლაგებული, თითქმის ოთხკუთხედის ცენტრში, დაახლოებით ერთი კილომეტრი განივით. ახლა ზავარზინი მთელ იმედს იმაზე ამყარებდა, რომ ტანკები ვერ შეძლებდნენ იქ შემოვლით მოძრაობას, ვერც ზურგში გაქრას, მარჯვნივ და მარცხნივ ნაპირებჩახეთქილი ხრამები მიიკლავებოდა. პირველი და მეორე ასეულისთვის ეს იყო შესანიშნავი საფარი, ტომარასაც ჰქმნიდა, ყელა ბორცვებშია ჰქონდა, ბოლო კი ხრამში. მართალია, შუაში, ღერძულ ხაზთან ტყვიამფრქვევების ცეცხლი ნაკლებმოქმედი. იყო, ავტომატებიდან ხომ სულ ვერ უწვდნენ ტყვიას, ამიტომ იქ მოიყარა თავი გერმანელთა ჯარის უმეტესმა ნაწილმა და სწრაფად წავიდა წინ, მანამდე, ვიდრე მესამე ასეული დუმდა. როცა შეტევაზე წამოსულები ასიოდ მეტრზე მოუშვეს და მეორე-მესამე ასეულებმა ყველა იარაღიდან დასცხო მტერს, გერმანელები მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნენ, მათი ქვეითი ჯარი ხელისგულივით მოჩანდა, თხელ, მშრალ თოვლში ვერ ჩაიმალებოდნენ, ვერც გაიფანტებოდნენ. ტყვიამფრქვევებისა და ავტომატების დაფენილი ჯერი თავდაყირა ატრიალებდა, პირქვე ამხობდა, წელში წყვეტდა მათ ჯარისკაცებს, თითქოს მდაბლად აკვრევილებდა თავს, მიწას აკრავდა. დაერღვათ შეტევის წყობა, გაჩნდა გარღვევები, წინანი უკან იწეგდნენ, თოვლზე სისხლიან კვალს ტოვებდნენ.

— არა უშავს რა, არა უშავს რა, — კმაყოფილებით ბუტბუტებდა ზავარზინი, — წიწაკითა და მდოგვით ივარგებს. ეს დასაწყისისთვის, მერე?

მერე თავისი ჯარისკაცების დასახმარებლად გერმანელებმა ტანკები გამოუშვეს, მაგრამ ერთი მათგანი — ტანკისტები ცუდად ხედავდნენ პაერში აჭრილი თოვლისა და მიწის ფარდაში, — ღრმა, ვიწრო ნალვარულში გადაეშვა, პაერში აალრჭიალა მუხლუხობები და გუმბათით ფსკერს დაეხეთქა. მეორეს ბორტის ჯავშანში მოხვდა ჭურვი, — როგორც იქნა, არტილერისტებმა მეორე ნაპირიდან იმარჯვეს, — და შედგა, ერთ ადგილზე გაირინდა. სხვა ტანკისტებმა საფრთხე იგრძნეს, უკან დაიხიეს, ხრამების ნაპირებს დაუშინეს ცეცხლი, მაგრამ ჭურვები ან რიკოშეტით სხლტებოდა გაყინულ მიწაზე, ან გაღმა ფერდობზე სკდებოდა და დიდ ზიანს ვერ აყენებდა ჯარისკაცებს.

— ესენი კი არ უნდა ავაფეთქოთ, ცოცხლად უნდა შევიპყრათ და გუთანში შევაბათ, — თქვა სტავროპოლელმა უღვაშა ჯარისკაცმა. — რა ძალა იკარგება!

— მიდი, შეიპყარი, — დაეთანხმა მეგობარი და უცვლელი თანამოსაუბრე, ხმელ-ხმელი, ძარღვიანი კალუგელი. — გიჩვენებს ბრანწს!

ორივე კოლმეურნეობიდან მოვიდა ჯარში და მათი ამოუწურავი სალაპარაკო თემა, შესვენების დროს, მიწა იყო, როდის რა უნდა დათესო, როგორ დაანუშაო, რა აჭამო ქათამს, რომ უფრო მეტი კვერცხი დადოს, რომელი ბალახის ფოთოლი უნდა დაიდო დაჩირქებულ ადგილზე, გაციებისას რომელი მცენარის ნაყენი უნდა სვა.

სტავროპოლელი იკვებნიდა, რომ მათთან მთელი წლის განმავლობაში თეთრ პურს ჭამენ. კალუგელი თავისას იმეორებდა:

— შავი უფრო მაწიერია. ჩვენ კარტოფილიც მოგვყავს. უკარტოფილოდ კაცი არ ვარგა, ვერც კერძს გააკეთებს, ვერც კისელს იგემებს.

— უწინ უკარტოფილოდაც ცხოვრობდნენ.

— მერე იმას ცხოვრება ერქვა?

როგორც ნაკადული იღებს წყაროდან სათავეს, ასევე ადამიანის აზროვნება გამომდინარეობს მისი გამოცდილებიდან და ეს ორი კაცი იქაც კი, სადაც თითქოს ფიქრი შეუძლებელი იყო, თავისი ბუნების ერთგული რჩებოდა. როცა ტანებმა უკან დაიხიეს, ავტომატების კაკანიც მინელდა. კალუგელმა თამბაქოს ქისა ამოიღო და მეგობარს შესთავაზა:

— ხომ არ გავაბოლოთ... თითქოს ყურღუბა.

მართლაც, გერმანელები აირივნენ, დაიბნენ, ბრიოლა წესდებებით გაუთვალისწინებელ, უჩვეულო გარემოცვაში უხდებოდათ. გერმანელი მეთაურები ამ მაცდუნებელ სიმაღლეებს რომ უმიზნებდნენ, ადგილმდებარეობის ყოველგვარი ხლართები ვერ გაითვალისწინეს, როგორც ზავარზინის ჯარისკაცებმა უკრაფერი შენიშნეს, მიუხედავად იმისა, რომ გულისყურით გასინჯეს ორვერთიანი რუკა.

რუკები, როგორი კარგიც უნდა იყოს, — გერმანელებს ჩვენზე უარესი რუკები კი არ ჰქონდათ, — დიდი ხანი იბეჭდება, ბუნება კი უფრო სწრაფად შრომობს. განსაკუთრებით მაშინ, როცა შრომაში ხალხიც ეხმარება. ზავარზინს გაახსენდა, როგორ უჩვენეს კაპიტან კოსოვრატოვის ჯარისკაცებს რუკაზე ხეივანი, რომელიც უნდა დაეპყროთ. ხეივანი კი არსად იყო, სწორედ ომის წინ გაეჩეხათ. სამი საათი ტრიალებდა ბატალიონი შიშველ ველზე, ვარსკვლავებქვეშ, გაქრა ხეივანი, მიწამ უყო პირი.

მოვიდა ირაკლი ბრეგვაძე და ზავარზინს უთხრა:

— დარეკა პოლკის მეთაურმა, იკითხა, როგორაა საქმეო.

— საქმე ვერ არის კარგად. შენ რა უთხარი?

— ვუთხარი, რომ გერმანელებმა თავში ჩაგვიბარტყუნეს, მაგრამ ჩვენც ჩავუბარტყუნეთ. სწორი ვარ?

— სწორი ხარ. მეორეში დიდი დანაკარგია?

— ოცდაათზე მეტი მოკლულია, ორმოცამდე დაჭრილი. ზოგი დაჭრილი შწყობრში დარჩა.

— შეადაა საქმე.

— გერმანელებსაც დიდი დანაკარგი აქვთ.

— ვშიშობ, რომ კონტრიერიშზე გადასვლა მაინც მოგიწევთ, როცა შეგვევიწროვებენ. ტყუილუბრალოდ ნუ გაირჩებით, ძალა შენოინახეთ. ჩვენ აქ როგორც ხედავ, მანევრირებას ვახდენთ..

მცირე ხნის შესვენების შემდეგ გერმანელებმა მარჯვენა სიმაღლის დაპყრობა სცადეს, მეორე ასეულის პოზიციაში შეაღწიეს, ჩაცვიფრდნენ ხრამში, მაგრამ ეს იყო ჩხვლეტა არა კანში, არამედ სამოსში. ნიაღვრით ჩათხრილი ხრამის ვიწრო ფსკერზე მხოლოდ ბაწარალებით შევიდნენ, წინ წაწევა და ამ დროს, რასაკვირველია, იმას უმართლებდა, ვინც ადრე დაეხურა ხრამი და მაღალ ადგილზე იჯდა. ხრამში ჩასული ორი ოცეულიდან თხუთმეტით კაცი რომ დაკარგეს, გერმანელებმა დაინახეს, რომ ხაფანგში მიძვრებოდნენ და უკან დაიხიეს.

ბოლოს გერმანელთა ნაწილის მეთაურმა ახალი გადაწყვეტილება მიიღო: ხრამების თავთან, ფლანგებზე მეავტომატეთა საფარი ჩააყენა და მესამე ასეულისკენ დაძრა თორმეტივე ტანკი, აგრეთვე ქვეითი მთავარი ნაწილი. პირველი შეტევის გამოცდილება გაითვალისწინეს, ტანკები ნაპირთან ახლოს აღარ მიდიოდნენ, ეშინოდათ ხრამში არ გადაჩეხილიყვნენ, ან ყუმბარას არ წაწყდომოდნენ, მოკლე დისტანციებიდან უშენდა მათი ქვემეხები. ჭურვების ზათქი და სკდომა აყრუებდა იქაურობას. ქვეითი ჯარი ავტომატების ცეცხლს აყრიდა ჩვენებს, ისროდნენ გზადაგზა, მოკლე შესვენების დროსაც, ახალი შეტევის წინ ზანჯლისპირებივით გაელვებულნი ცეცხლი, ყუმბარების ნამსხვრევების და გაყინული თიხის კომტების შრაშუნნი, დაჭრილების ყვირილი და კვნესა, თოვლის კორიანტელი, ყველაფერი გიჟურად დატრიალდა, თვალი და ყური გამოკვეთილად ვეღარას არჩევდა და ადამიანს ეჩვენებოდა, რომ მოცახცახე, მოქანავე ველი უალყზე შედგა, გასივდა და ფერფლით დაიფარა.

მესამე ასეულისთვის დადგა ტრაგიკული მომენტი. მებრძოლები აირივნენ, თავგზა აებნათ, დაცვა დაირღვა, ცალ-ცალკე დაჯგუფებულ ჯარისკაცებს შიში და სიაფთრე ტალღასავით ასკდებოდა. სერჟანტ ხოხრიაკოვის განყოფილებაში, მედ-ბატალიონში ორჯერ ნამყოფმა, ხანშიშესულმა ჯარისკაცმა მუმტის დაკვრით მოხადა ყმაწვილ ჯარისკაც საჯკინს ყურებიანი ქუდი და შიგ ყურში მთელი ხმით ჩასძახა:

— ნუ იფხატებ თვალეზე ქუდს, შენი დედა... ცისკენ ნუ იშვერ ემაგ თოფს და ჰაერში ნუ აბათქუნებ. იქიდან სიკვდილი მოდის, შენი სიკვდილი, შენს წასაყვანად და თუ შენ არ მოკლავ მას, ის მოგკლავს.

ჯარისკაც პანიგინს აქამდე მხოლოდ ორ მსუბუქ შეტაკებაში ჰქონდა მონაწილეობა მიღებული, ომს უმთავრესად მოთხრობებითა და ფილმებით იცნობდა და ახლა ძარღვებმა უმტყუნა, დაპყარგა წარმოდგენა იმაზე, თუ სად არის, რა ხდება მის ირგვლივ, წებოვანი ოფლით გაღვრილი, შიშით გადარეული, ნაღვარულიდან ამოხტა და გაშლილ ველზე გაიჭრა. უთუოდ მეხსიერებაში ბუნდოვნად ამოუტივტივდა ფლატე, საიდანაც მდინარისკენ ჩაგორება შეიძლებოდა, იქვე მახლობლად კი ტყე იყო და მირბოდა, ქუდის ყურები უფრიალებდა, გადაღვლილი ჯუბაჩის კალთები ფეხებზე ეტყლაშუნებოდა, დაღებულები პირიდან ორთქლთან ერთად ზმუილი თუ ყვირილი ამოსდიოდა, რაღაც „დედას“ მაგვარტი. ისე მოულოდნელი იყო ეს, ისე დაუჯერებელი, რომ პირველ წუთებში ვერავინ გაიგო, რა დაემართა. მაგრამ ამ დროს ტანკიდან პირდაპირ ფეხებში დასცხეს ტყვიამფრქვევის ჯერი, კანკები დაუმსხვრიეს. პანიგინი პირველ დაემხო; ქუდი წინ წამოუვარდა, ტანკი კი შურისმგებლურად, სასტიკი გააფთრებით შედგა ზედ, გამხეცებით მოსრისა, ზედ მიაგლისა თოვლს.

ტანმოძრო, ძარღვიანმა ჯარისკაცმა უსმანოვმა, შავი დიდი თვალები რომ ჰქონდა და მზედაკრული, გამხდარი სახე, თავის ენაზე რაღაც წამოიძახა, მერე ათმეთაურს მივარდა:

— ამხანაგო სერჟანტო, ნება მომეცით იმ ტანკს სალამ ალექსუმი გავუცეთო!

— მოგკლავენ!

— მე მოვკლავ მას!

ნაპრალში ჩატენილი საველე ჩანთიდან ბამბაზიის ახალი წვივსახვევი ამოიღო, ჩალმასავით შემოიხვია თავზე, გადააბრუნა ჯუბაჩა, თეთრი ბეწვი ზევით მოუქცია, ორივე ხელში ტანკსაწინააღმდეგო ჭურვი დაიჭირა და ნალვარევის ტოტს ხოხვით გაჰყვა. ათი მეტრის იქით მისმა ტანმა უკვე დაჰკარგა თავისი მოხაზულობა, შეერწყა თოვლს, მიწის ბელტებს. გერმანელთა ტანკმა, პანიგინი რომ გასრისა, ნახევარწრე გააკეთა, ძველ ადგილზე აპირებდა დაბრუნებას. უსმანოვმა შეიცადა, ვიდრე ტანკი მიუახლოვდებოდა. როცა იგრძნო სითბო და გადამუშავებული გაზის სიმყრალე, წამოიჩოქა და სტუორცნა ჭურვი.

აფეთქებასთან ერთად ტანკმა დაიღრჭიალა, წარმმართველის გორგოლაჭიდან ჩაცურდა მუხლუხები. ტანკმა სიჩქარე შეანელა, შემობრუნება დაიწყო და როცა ეიჩო უსმანოვისკენ მიაბრუნა, უსმანოვმა მეორე ჭურვი სტუორცნა იფეთქა ცეცხლმა, რხევით, ბოლქვებად აიჭრა ზევით მელანივით შავი კვამლი, აიხადა საიროში, ამოხტა ტანკისტი, მანქანას ამოეფარა და გახოხდა, მეორე ტანკისტი ვიდაცის ავტომატის ჯერმა მოცელა. როგორც ეი საძრომიდან ამოყო თავი, და იგი ნელა ჩაეშვა ცეცხლმოდებულ მანქანაში.

უსმანოვი განყოფილებაში დაბრუნდა. სერჟანტმა მოწონებით გაჰკრა კვერდში.

— მთის არწივმა მელა დაიჭირა! სწორედ ვამბობ?

უსმანოვმა თეთრი კბილები გააღღვა:

— როგორც ნამდვილი უზბეკი, ამხანაგო სერჟანტო.

სერჟანტების მანოხინისა და კუბრიანოვის მარცხენა ნაპირზე განლაგებული განყოფილებები მტერმა მოსრისა, მიწაში ჩატენა. გერმანელმა ჯარისკაცებმა ნალვარევი შეაღწიეს. კაპიტანმა ზავარზინმა ასეულის მეთაურს უბრაანა, რაღაც უნდა დაჯდომოდა, ცეცხლით ჩამოეკვეთა მტრის დანარჩენი ჯარისკაცები და თვითონ შეუტია შეღწეულებს. ცხარე ბრძოლაში გერმანელები ღრმად ჩავიდნენ ნალვარევიში, ჩვენებმა ზევიდან დააყარეს ტანკსაწინააღმდეგო ჭურვები და „ლიმონკები“.

ნალვარევის ფსკერზე კვამლი ჩქვიფდებოდა, ისმოდა კვნესა, მტერის ბული იღვა თიხის ჩამოქცეული ბელტებისაგან და მაინც გერმანელთა მცირე ნაწილმა მთავარი ხევის მოპირდაპირე კალთაზე გახოხება მოახერხა და ახლა იქიდან გამხეცებით უშენდნენ ზავარზინის ბატალიონს. ზავარზინის ჯარისკაცებს აღარ შეეძლოთ ლოგიკური, წინდახედული მოქმედება. როცა ზურგში მტრის იარაღის ლულა გაქვს დამიზნული, ეფთაში სიცივე გივლია და ხელები ცუდად გემორჩილება.

ზავარზინმა იგრძნო, რომ ბრძოლამ კრიტიკულ წერტილს მიაღწია, რომ ყოველი ხელსაყრელი წამის დაკარგვა განადგურებას უქადდა ბატალიონს და

აჭარხლებულმა, ჯუბაჩაგადაღელილმა, გაეუჩრად თვალეზანთებულმა მეთაურმა ორდინარეცს დაუღრიალა:

— რაკეტის სასროლი!

სტაცა ხელი, შეამოწმა ვაზნები და ამართა ზევიტ.

ორმა მოწყვეტილმა ვარსკვლავმა, თეთრმა და მწვანემ, კონტრიერი წამის ინტერვალით გაავლო კვამლიანი კვალი დაბლა დაშვებული ღრუბლების ქვეშ და ჰაერში გადნა. მტრის ფლანგის და ზურგისკენ დამიზნებულმა, მეორე ასეულის გააფთრებულმა კონტრიერიშმა, განუწყვეტელი — „ვა-ა-შა-ას“ გრილში, მთელ ველს რომ ეფინებოდა კიდით კიდემდე, ხელად შეიტანა გარდატეხა ბრძოლაში. ტანკებს მოწყვეტილმა, ხრამების თავში ჩაყენებულმა სუსტმა საფარმა რაზმებმა ვერ გაუძლო შემოტევას, დატოვეს თავისი მკვდრები და დაჭრილები, უკან დაიხიეს ბორცვისკენ. ახალი სამიზნის დაყენებისას დროებით დადუმდა გერმანელთა ნაღმსატყორცნები. ტანკები კი მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი პირდაპირ ბრძოლის ფარგლებში ხდებოდა, ვერ ეხმარებოდნენ თავისიანებს, რადგან შორიდან შეუძლებელი იყო მოწინააღმდეგისა და თავისიანის გარჩევა. გერმანელებმა დაინახეს, რომ განადგურება ელოდათ, შეტრიალდნენ და უნაგირისკენ დაიხიეს. ნელ-ნელა, უმიზნო სროლით გაიქსაქსა, წარედინა მესამე ასეულის პოზიციიდან გერმანელთა ქვეითი ჯარის ნაწილიც.

ხრამში შეჭრილებმა დაინახეს, რომ ცეცხლის ხაზი უკან იხევდა, მეორე მხრიდან ამოხტნენ და თავისიანებს გამოუდგნენ.

მესამე ასეულს სულის მოსათქმელი დრო მიეცა, არ იცოდნენ, რამდენ ხანს გასტანდა ჩამომდგარი სიწყნარე და საბრძოლო აღჭურვილობა შეავსეს, გაისტუმრეს დაჭრილები, შეაკეთეს ბრუსტვერები. მიუხედავად იმისა, რომ სადილობის დრო კარგა ხნის გადასული იყო, ჭამაზე არავინ ფიქრობდა.

ტანკები რომ გამოჩნდა, კონტრიერიშზე გადასული პირველი და მეორე ასეული ძველ პოზიციებს დაუბრუნდა ხრამებში. ირაკლი ბრეგვაძეს ტყვიამ ყურის ბიბილო ჩაუხია. თავი შეუხვიეს და ქუდი ახლა კინკრიბოზე ედო. სიცოცხლათ სავსე, ხალისიანმა, გულლია ბუნებამ თავისი გაიტანა, ირაკლი მხიარულად იცინოდა — დედა ყურს მიწევდა, გერმანელებიც ყურს მიწევდნენ — ნუ ცელქობ, ირაკლი, ჭკუით იყავიო. აქებდა ასეულის მეთაურს, ლეიტენანტ ტოპჩენკოს:

— ყოჩაღ, ბიჭო! რა კარგად ჩაუყარე გერმანელებს წიწაკა შექამანდში! ომი რომ დამთავრდება, თბილისში ჩამოდი, რესტორანში შეფად მოგაწყობ.

— ჯერ საღამომდე მივატანო!

— მივატანო. ამას მე გეუბნები, ირაკლი ბრეგვაძე. ფაშისტებს ნუ მიტანებიათ საღამომდე.

მესამე საათი დაიწყო, სროლა ორივე მხრიდან შენედა. უთუოდ გერმანელები ახალი შეტევისათვის ემზადებოდნენ, ტვირთავდნენ საჭურველით ტანკებს. ბჭობდნენ, როგორ წარემართათ ბრძოლა. ამ დროს სადღაც შორს, მარჯვნივ, მძიმედ, ყრუდ აგუგუნდა რაღაც. გუგუნნი მეწყერივით წამოვიდა, ველი შეაზანზარა, ფეხებში უბიძგა ჯარისკაცებს. ერთხელ რომ დაიწყო, აღარ ჩერდებოდა, ააღას იკრებდა, ვრცლად ეფინებოდა მიდამოს და მისგან თითქოს

რხევას იწყებდა არა მარტო მიწა, არამედ ჰაერიც, ხეებიც, ღრუბლებიც. ზა-
ვარზინმა მიაყურა და არავისთვის არ მიუმართავს, ისე იკითხა:

— მუსიკაა?

— რაო, რა თქვი? — ჩაეკითხა კაპიტანს გვერდით მდგარი მესამე ასე-
ულის მეთაური ბორისოვი, მსუბუქი კანტუზია რომ მიიღო და წაიჭრა. — ანუ
ცოტა.

— კონცერტია-მეთქი?

— ა-აა! — გაურკვეველად გაწელა ბორისოვმა, ვერ გაიგო, რას ამბობდა
ბატალიონის მეთაური.

და კვლავ, ეს უკვე მეორედ, უკანასკნელი საათნახევრის განმავლობაში
ჩაფიქრდა კაპიტანი ზავარზინი იმაზე, რაც აწუხებდა, რაც უცნაურად ეჩვენე-
ბოდა — რა ხდება ფრონტზე, რისთვის იბრძვიან ასე ცხარედ ამ პატარა პლაც-
დარმზე, მარჯვნივ და მარცხნივ კი, ახლომახლო სიწყნარეა, მოცარიელებული
და ჩამკვდარია ყველაფერი! ძებორციელი არ ჭაჭანებს, არც სროლის ხმა ის-
მის, არაქანივით თეთრი ველი უშფოთველად ჩარბის მდინარისკენ, ქოჩორა
ტყისკენ და ბუჩქნარისკენ: ლოგიკის თანახმად ადრე თუ გვიან იქ უსათუოდ
უნდა გამოჩენილიყო ჯარი, ან ჩვენი ან მტრისა, მაგრამ ჯერ არ ჩანდა. რატომ?

ფრონტზე ყველას თავისი ადგილი აქვს, თავისი ამოცანა, თავისი აუთ-
ხე, თვალთახედვის საზღვარი. ჯარისკაცი ზედავს საბრძოლო ველს სათოფავ
სექტორში, ზედმიწევნით შეიცნობს იმას, რაც მის თვალწინ ან მახლობლად
ხდება, კონკრეტულად აღიქვამს მოვლენებს, პირდაპირ ებმის მტრის ჯარისკაცს,
მტრის ერთ რეალურ ტანკს, ტყვიამფრქვევებიდან რომ უშენს ცეცხლს, ღრჭია-
ლებს, გრუხუნებს, მოდგანდგარებს მისი სანგრისკენ, ზედ უვლის. ზოგჯერ ჯა-
რისკაცი კვდება განადგურების და დამარცხების მწარე გრძნობით გულმოკ-
ლული და ეს სწორედ იმ დროს, როცა სინამდვილეში გამარჯვება მოპოვებუ-
ლია. მას უჭირს, არ იცის ოპერატიული მიზანი, აზრი და მსვლელობა ბრძო-
ლისა — ეს შემდეგ გამოირკვევა. სამაგიეროდ ამოცანა ნათელი აქვს, უბრა-
ლო, ზედმიწევნით გარკვეული. ბატალიონის მეთაურს კი, ვინც ბრძოლის ორ-
განიზებას ახდენს, ხელმძღვანელობს ასობით ადამიანს, პასუხს აგებს იმაზე,
რომ ეს ადამიანები ჩაცმულ-დახურულები, მაძღრები, საბრძოლო აბჯარ-აბგ-
რით აღჭურვილები ჰყავდეს, რომ ყოველი მათგანი წესიერად ასრულებდეს თავ-
ის მოვალეობას, ბევრ რამეზე, რაც დივიზიაში ხდება, სრული წარმოდგენა
არა აქვს. აღარას ვიტყვი კორპუსსა და არმიაზე. ზოგი რამ შეიძლება გა-
მოცდილებამ უკარნახოს, ზოგი რამ შეიძლება ყურმოკვრით შეიტყოს, მთელი
სისრულითა და სიღრმით კი სურათი მისთვის მაშინდა ხდება ნათელი, როცა
იგი უკვე წარსულის ჩარჩოში ჯდება.

კაპიტან ზავარზინს რომ შეძლებოდა უმაღლესი შტაბის საბუთებსა და
რუკებში ჩახედვა, გაიგებდა, რომ მათ ფრონტს მოადგა კავკასიიდან დახეული
ვერმანელთა ქვეითი ჯარის ახალი კორპუსები, რომ ბერლინიდან პიტლერის
მიერ გამოგზავნილი მითითებით მიზნად დაისახეს ხელახლა დაიპყრონ ჩრდი-
ლოეთ დონეცის ცაცაბო ნაპირები, ვოროშილოვგრადზე დაყრდნობით მოაწ-
ყონ მტკიცე თავდაცვის ორგანიზება, შეაჩერონ „სტალინგრადის ზვირთი“,
შეინარჩუნონ დონბასი, რომ ამ მიზნით, — ეს ჩვენმა დახვეწებამ გამოააშკარა-
ვა. — შექმნილია მსხვილი დაჯგუფებები ჩვენი თავდაცვის გასარღვევად.

ამ დაჯგუფებების წინააღმდეგ ჩვენს მეთაურებს ზომები მიღებული ჰქონდათ. ზავარზინის ბატალიონს რაღა უნდა ექნა?

ეს სიმაღლეები, სადაც ზავარზინის ბატალიონი გაიყვანეს, თავისი მდებარეობით ყველაზე მაცდუნებელი იყო ახლომახლო სიმაღლეებიდან და ზავარზინს იმიტომ უხმეს მათ დასაცავად, რომ ახლოს იმყოფებოდნენ და თავისუფალი იყო. ყოველი შემთხვევისათვის, თავის დასაზღვევად ჩააყენეს იქ, როგორც საფარი, სათადარიგო ნაწილი. გარემოება თუ მოითხოვდა, გამოიყენებდნენ.

მაგრამ მოხდა ის, რასაც თითქმის არავინ მოელოდა — დაიწყო ბრძოლა. ორივე მხარის წინასწარ განზრახული თუ იძულებითი რთული მოქმედების შედეგად შეიქმნა ბატალიონისათვის მძაფრი მდგომარეობა. გერმანელები ორგან სოლივით შეიჭრნენ ჩვენს დაცვაში და იქვე გაეჩხირნენ სათავეში. რომ ვერ მოახერხეს გაშლა, ხანჯლის პირივით ვიწრო ზოლად მიატანეს პლაცდარმს გაბატონებულ სიმაღლემდე. მსგავსი შემთხვევითობა ხშირია ბრძოლის დროს. ამასობაში, მარჯვნივ, თორმეტი-თხუთმეტოდე კილომეტრის იქით, ვოროშილოვგრადის მახლობლად, შუადღისას ჩვენმა ჯარმა მძლავრად შეუტია გერმანელთა დაჯგუფებებს და ბატალიონის მეთაურს ეს „მუსიკა“ ესმოდა ახლა.

კაპიტანი ზავარზინი შეფოთავდა, ცდილობდა შეეტყო, რა მდგომარეობა იყო ფრონტზე და დაეკავშირებინა იმასთან, რაც აქ ხდებოდა, გერმანელთა დაჯგუფების მეთაურს კი უარესი ემართებოდა, ფიქრობდა, ფეხს ზომ არ ვყოფ დათვის ხაფანგშიო. გარდევვის გაფართოვების ნიშნები არ ჩანს, ფლანგები მოშიშვლებულია. მაგრამ ბრძანება უნდა შეეასრულო, ახალი ბრძანება ჯერ არ მიმიღია. შემდეგ რაღა იქნებაო?

სტალინგრადის ლანდი ხშირად ჩნდებოდა ჰორიზონტზე, თუნდაც მცირე მასშტაბით ყოფილიყო, ზოგჯერ მაინც სინამდვილედ იქცეოდა ხოლმე.

— აწრიალდნენ, — თქვა ლეიტენანტმა ბორისოვმა, ჭოგრიტში რომ გაიხედა. — ახლა ისევ შემოგვიტევენ. ნეტა მალე დაბინდდებოდეს.

— რაო, საღამოს დასაძმობილებლად მოვლენ, თუ?

— ცოტა მაინც დაშოშმინდებიან.

— ნუ ელი. ისინი ღამითაც არ მოგვასვენებენ. მით უფრო მაშინ, თუ მაშველი ჯარი მოუვიდათ.

მაგრამ ჯერჯერობით გერმანელები არ გადმოდიოდნენ შეტევაზე. კანტიკუნტად, ადგილიდან ისროდნენ ტანკები, ხვნიშოდნენ მძიმე ნალმსატყორცნები, ზანტად უშვებდნენ ფლანგებიდან ტყვიას იქით-აქეთ ჩვენები და გერმანელები. ზავარზინს მოახსენეს, რომ კავშირი დაირღვა და ტელეფონი დუმდა — უთუოდ მავთული გაწყდა. თუ პოლკის შტაბთან დაულაპარაკებლად იოლად გავიდოდნენ, — იმათგან მაინც არ ელოდნენ დახმარებას, — არტილერიის ტებთან საქმე ცუდად იყო — არტილერია „უთვალოდ“ დარჩა, კორექტირების გარეშე. ბატალიონის მეთაურმა შეიგინა და სამეთაურო პუნქტში წავიდა. ორდინარეცმა დაინახა თუ არა კაპიტანი, ხელში პურის და ქონის ნაჭერი ჩასჩარა. კაპიტანმა კი, თითქოს არ იცოდა, არ უნდა ექნა, პური შეუცნობლად ჯუბაჩის ჯიბეში ჩაიდო.

— რას შერებით, ამხანაგო მეთაურო, ჭამეთ.



მეთაურს თვალები აუციმციმდა:

— შნაპსს თუ იშოვი, შევქამ.

სამეთაურო პუნქტში უფროსმა ადიუტანტმა უთხრა კაპიტანს მკვლელობები ხაზის შესამოწმებლად წავიდნენ, ეძებენ, სადაა ჩაწყვეტილი მკვლელების მეთაურს უნდა დაუკავშირდეთო. სკოროხვატოვი ნერვიულობს — ზურგიდან არ მომიარონო. ხევი ფართოა, წვრილი ბუჩქნარით დაფარული. შემოაღწევენ და ზურგიდან დამცხებენო. ვაზნები ცოტა აქვთ, მიმტანები ვერ ერევიან თავის საქმეს, ნაპირიდან შორ გზაზე უწევთ თრევა.

— პოლიტხელს რაღა დაემართა?

— სობოლევს კონტუზირებულია.

— გადაეცი სკოროხვატოვს — ფანტაზიებს მოეშვას! როცა შეაღწევენ, მაშინ ინერვიულოს, თორემ მივალ იქ და ვუჩვენებ სეირს.

— დარწმუნებული ხარ, რომ არ შეაღწევენ იქ?

— გიჟები ხომ არ არიან, რომ დაიქსაქსონ? მუშტით რასაც ვერ გაანგრევი, იმას გაფარჩხული თითებით რას დააკლებ. ვაზნების მიმტანებმა ჯერჯერობით დაისვენონ. სჯობია სკოროხვატოვმა ჩვენ მოგვაშველოს თავისი ხალხი.

პაპიროსს მოუვიდა, მოქაჩა, თითქოს ხმამაღლა ფიქრობსო, ისე თქვა:

— ვერ გამიგია, რას ზოზინობენ გერმანელები? რაღას ელიან?

— საცაა შემოგვიტევენ.

— მეც ასე მგონია, მაგრამ საქმე მაინც რაღაც სხვანაირადაა!

დასავლეთით ღრუბლის კიდე ნელა აიწია, როგორც ფარდა უკანასკნელი აქტის წინ, გამობრწყინდა მზე, ლოყები გაუთბო ჯარისკაცებს, მზიარულად აციმციმა თოვლი, ათასფრად დაფერა მიდამო. ყოველმა საგანმა მთელი ამ დღის განმავლობაში პირველად მიიღო თავისთვის დამახასიათებელი მკაფიო მოხაზულობა — მეწამულად აბრიალდა ტანკის კვალი, ყველაფერი, რაც პანიკიდან დარჩა, ჭურვებისგან ამოთხრილ ორმოებს და თიხნარ ფერდობებს ეღალი ფერი დაედო, მომწვანო-ვერცხლისფრად აციმციმდა აბზინდის ბუჩქები, უკვე გაზაფხულისწინა სილურჯეში გადაიშალა მდინარისპირა ტყე მთელი თავისი მიმზიდველი სიმყუდროვით. იმ მხარეს ჯერ კიდევ ირუოდა ღრუბლები და მზის სხივებით ირიბად განათებული მიწა ცაზე უფრო ნათელი და მზიარული ჩანდა. ჯარისკაცებს აღარ სცემდა ცხვირ-პირში თოვლის ფიფქები, თვალი შორს ხედავდა, მიზანი სამიზნეზე მკვიდრად ჯდებოდა.

— მალე გაზაფხული მოვა, — ამოიოხრა ადიუტანტმა ბოროდულიამ. — წეროები მოფრინდებიან.

— წეროები მოფრინდნენ, — უპასუხა ზავარზინმა, — ოღონდ „მესერები“ ნუ ხედავ, როგორ მოიწმინდა და მოკრიალდა? სხვათა შორის, წარმოდგენილი მაქვს, როგორ მთათხავენ მედ-ბატალიონში, იბაქიბუქა და მოუსვაო.

— ხომ არ გასლოკინებს? იწუცა

— ჯერ არა. შორია, ჩემამდე ვერ აღწევს. აქ რომ მოვათავებთ საქმეს, წერილს გავუგზავნი, ბოლოში ლექსს დავურთავ ნაძვის ხეზე, როგორც ირაკლიმ მირჩია...

— თუ მანამდე სულს მივატანთ.

— წისქვილაც ფქვავს და ენაც. ნუ ჩხავი, მე ვერ მომერევა ტყვია.

— მაშინ ნუ მიძვრები, სადაც საჭირო არ არის. უშენოდ მესამე ასეული ვერ იბრძოლებს?

— არ ვიცი... ისინი თუ სძლიეს, ყველაფერი უირამაღლა დადგება, ასე რომ იქნებ კიდევ მომიხდეს იქ წასვლა.

მართლა მოუხდა.

უთუოდ გერმანელებმა გადაწყვიტეს, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, შეესრულებინათ ამოცანა და ხუთ საათზე ისევ ეკვეთნენ მესამე ასეულს, ასე მსიმედ რომ დაადგათ გულზე. ოთხი ტანკი და მეავტომატეთა ნაწილი დატოვეს ფლანგების დასაცავად, დანარჩენები მუქარით მტკიცედ წამოვიდნენ წინ. ტანკები არ ჩქარობდნენ, შერჩევით ისროდნენ მიზანში, ჯარისკაცები ხშირად წვებოდნენ, ადგილიდან ისროდნენ, დაქანცულები იყვნენ და დიდი გზის გადარბენის ძალა აღარ ჰქონდათ.

ზავარზინს მოეჩვენა, რომ მეწყერი დაიძრა, მძიმე, უღმობელი, ტყეს რომ ქვეშ მოიქცევს ხოლმე და სახლების საძირკველს დაძრავს. ასეთი რამ ნანახი ჰქონდა ადღერთან, სადაც ტურისტული საგზურით იყო ჩასული. ზავარზინმა ქუდი წარბებამდე ჩამოიფხატა და ბოროდულისა დაუყვირა:

— მესამეში მივდივარ. უთხარი ირაკლი ბრეგვაძეს, ხრამით გამოუშვას დამხმარე ნაწილი. მაკორექტორებლების გარდა ყველა მწყობრში ჩადგეს.

ხაზი აღადგინეს, არტილერიებმა მიაგნეს შეტევის წინა მიჯნას, განუწყვეტილად ურტყამდნენ, ჩქარობდნენ, ელალ შადრევნებად იჭრებოდა ჰაერში მიწა. ზოგჯერ ტყვია, თივით გატენილი, სავარჯიშო ფიტულივით ასტყორცნიდა ზევით ჯარისკაცს, უმეტესნი კი ადგილზე რჩებოდნენ, შავ ლაქებად ეფინებოდნენ მიწას. გერმანელები წინ მოიწევდნენ, ას მეტრზე რომ მოახლოვდნენ, ყველა ერთად გამოიჭრა, უჭოგრიტოდაც ჩანდა მათი ნაქარევი, ოფლში გაღვრილი სახე, ჩაცვნილი თვალები, სულის მოსათქმელად დაღებულ პირი. ასეულის მარცხენა ფლანგი მიწაში ჩასრისეს. ლეიტენანტი ბორისოვი იქით გაიჭრა, რომ გერმანელებისთვის ხრამში გაშლის საშუალება არ მიეცა. არეულ-დარეული ბრძოლა მიმდინარეობდა, ყველა თავისი თავის მთავარსარდალი იყო, ჯიქურ ცხრილავდნენ, ტყვიით ჰკვეთდნენ და ნაღვარევის ვიწრო ტოტში ყუმბარით აფეთქებდნენ ერთმანეთს, ნაღვარევი ვიწრო ტოტში ყუმბარით აფეთქებდნენ მტერს და თვითონაც მასთან ერთად იღუპებოდნენ.

ასეულის ცენტრშიც საცა იყო სძლევდა მტერი, ხელაუმბარებზე მიდგა საქმე, შეუპოვრად იბრძოდნენ, ალაგ-ალაგ გერმანელებმა ბორცვის მწვერვალსაც მოაღწიეს, სამკვდრო-სასიცოცხლოდ ხელჩაბმულები მიგორავდნენ ხრამში. მაშველმა ჯარმა მეორე ასეულიდან, ირაკლი ბრეგვაძის მეთაურობით, სულზე მოუხსწროთ. ისინი ისე დაქანცულები არ იყვნენ, როგორც მესამე ასეულის ჯარისკაცები, მჭიდროდ დაწყობილებმა მოულოდნელად, გააფთრებით დასცხეს გერმანელებს. ბორცვის თავი მკვდრებით მოიფინა, დაბლა დაშვებული მზის სხივებქვეშ თოვლზე წითელი ლაქები და ზოლები აღაღანდა. გერმანელებს დაერღვათ შეტევის ტემპი, სიმტკიცემ უღალატათ, ზოგი უკან გახობდა და გაიქცა. კაპიტანი ზავარზინი გრძნობდა, რომ წამები წყვეტდა მათ ბედ-იღბალს, წამოიჩოქა ხრამის ნაპირზე, ავტომატიანი ხელი ზეასტყორცნა და დაძაბული, აჭარხლებული ყვიროდა:

— ცეცხლი, ცეცხლი... — წამით გაჩუმდა, ღრმად შეისუნთქა კვამლით ახრჩოლებული ცივი ჰაერი და ნაწყვეტ-ნაწყვეტ დაამთავრა: — დასცხე... არ შეიბრალო... ცეცხლი... ცეცხლი...

ხმა ჩაუწყდა, შექანდა, დაიკლავა, თითქოს ვიღაცამ მუხის ნაპობი დასცხო ზევიდანაო, უცებ ვერც კი იგრძნო ტკივილი. გაუკვირდა, მერე გაიფიქრა, რომ მსუბუქად გაპკრა ტყვიამ, მაგრამ როცა თვალი დახარა, დაინახა უწყვეტ-ლოდ ჩამოკიდებული თავისი მარჯვენა და, უმალ იგრძნო აუტანელი ტკივილი. ხელის მტევნის ნახევარი ოთხ თითთან ერთად ტყავის ნაკუწზე ეკიდა, დაკბილული ძვალი თეთრად ანათებდა, ჩექმაზე სისხლი მოსჩქეფდა. მიხვდა, რაც მოუვიდა, შეიგინა და ორდინარეცს დაუყვირა:

— შემიხვით!

ორდინარეცმა პაკეტი ამოიღო, ხელის მტევანზე დაახვია, რომ სისხლი შეეჩერებინა, ხელები უკანკალებდა, ბუტბუტებდა:

— ახლავე, ახლავე... სამეთაურო პუნქტში უნდა წახვიდე, ფერშალთან. მორჩა, ომი მოხდილი გაქვს.

— მე შენ გიჩვენებ მოხდილს! ვინც ფეხზე დგას, არ დაიძრას, გესმის? უპ, არ გცოდნია შეხვევა. გასწი, ფერშალს დაუძახე...

— ახლავე, ახლავე გავიქცევი...

თანდათან უფრო მწარედ სტეხდა ხელი, სტეხდა მხარიც, თვალწინ მახუთის შავი ლაქები და ნაირფერი ათინათი უთამაშებდა. ერთ მოკლე, სწრაფად გაელვებულ წამში ზავარზინს მოეჩვენა, რომ მზე ჩავიდა, დაბინდდა, მიწას დამამშვიდებელი სიწყნარე მოეფინა — დამდნარი თოვლისა და ბზის კვირტების სურნელით გაჟღენთილი სიწყნარე, შვებით ამოისუნთქა, მაგრამ მალე კვლავ მისწვდა მის ყურს ავტომატების კაეანი და ნაღმსატყორცების იხვისებური ყიყინი. გამოჩნდა ტანკი, მოლურჯო წაგრძელებულ ჩრდილს მოათრევდა.

ფერშალი გულამომჯდარი მორბოდა, მძიმე ჩანთა ორივე ხელით მუცელთან ეჭირა. გავარჯიშებული მოძრაობით აუკეცა ზავარზინს ფარაჯის სახელო, შემოუჭირა ჩალიჩი, შეუხვია და მკერდზე ჩამოუკიდა ხელი. ვადრე ფერშალი ჭრილობას უხვევდა, ზავარზინი უცებ გაურკვეა იმაში, რაც დიდი ხანი იყო ბუნდოვნად უტრიალებდა თავში — მარჯვნივ მძლავრად მელერი „მუსიკა“ მიხელდა, მიწყნარდა. რა ხდება იქ — გაიმარჯვეს თუ დამარცხდნენ. ვინ გაიმარჯვა და უხარია, ვინ დამარცხდა და საზღაურს იხდის — ადამიანების სიცოცხლით, დამწვარ-დანგრეული, ბრძოლის ველზე მიტოვებული ტანკებით და ტყვიამფრქვევებით, თუ როგორც ჭადრაკში ხდება — ყაიმია? მერე კი — არ იცოდა, წუთი გავიდა თუ ოცი წუთი, დრო მისთვის ფისივით გაბლანტდა, თავის ნაპირებში ჩაიხშო, — დაინახა, რომ გერმანელთა ტანკები და ფეხოსანი ჯარი უკან იხევდა, ბორცვებშუა ისე შედიოდა, თითქოს უნაგირა იწოვსო მათ — დნებოდა ცეცხლის ენებივით აჭრილ მოციმციმე თოვლის მტვერში. გაიფიქრა, ტკივილისაგან კვლავ შეჩვენებაო მზის ჩასვლა და ველად დაშვებული სიწყნარე, მაგრამ ამ დროს ორდინარეცის ხმა მოესმა:

— მიდიან!

მიდიან? რატომ? რა მოხდა? მკითხაობის მეტი არაფერი შეეძლოთ, მაგრამ სამკითხაოდ ვის ეცალა, არც იყო საჭირო. მოვიდა ირაკლი ბრეგვაძე, დაქანცული, თვალეზამქრალი, მწუხარედ გადააქნია თავი.

საკაცე გაგიკეთოთ თუ შენით წახვალ?

— სად?

— თვითონ იცი!

— ცოტა ხანი ვიწვეები აქ, პოლკს დაუკავშირდი.

ლამის მთელი მუჭი პირამიდონი ჩაიყარა პირში. მიწაზე მჯდარი ელაპარაკებოდა პოლკის მეტაურს, ტკივილისგან ირწეოდა, ტელეფონის მიწვევას მარცხენა ხელში ეჭირა, უურებიანი ქუდი გვერდზე ჰქონდა გადაწეული.

— უკან იხევენ გერმანელებიო, ამბობთ? — ჩაეკითხა პოლკის მეტაური. ვერსად წავლენ, ბოთლში არიან ჩამძვრალი და ჩვენ იმ ბოთლს საცობი მაგრად დავუცეთ. მარჯვნივ ჩვენმა ნაწილებმა ფრონტი გაარღვიეს, უტევენ, რა მოხდა, ხმა რატომ გაქვს მისუსტებული?

— ცოტაზე გამკრა!

— არა უშავს რა. თუ ფეხზე ხარ, დაღვევასაც შეძლებ და ცეკვასაც. შეამჩივროვით ბატალიონი და მარჯვენა ნაპირს გაჰყევით პარამონოვისკენ: ორი ღლე დაისვენებთ. შენც იქით გაქვს გზა, მედ-ბატალიონი უკვე აიშალა, იქ თქვენ გვერდით იქნება.

მაგრამ ვიდრე აიყრებოდნენ და ადგილიდან დაიძვრებოდნენ, მძიმე საქმე ჰქონდა გასაკეთებელი. დაჭრილები უნდა შეეკრიბათ და მიცვალებულები დაემარხათ. როცა ბრძოლა ღია ადგილზე მიმდინარეობს, შემტევებს მუდამ დიდი დანაკარგი აქვთ; მით უფრო მაშინ, თუ მიზანს ვერ აღწევენ. პოლკი, ახლა გერმანელებმა დაჭრილ-დახოცილებით, დამსხვრეული იარაღით და საქურველით მოფენილი ველი დატოვეს, მაგრამ არც ჩვენს ბატალიონს ჰქონდა მცირე დანაკარგი, შესამედელია დარჩა. რომელიღაცამ წინადადება შემოიტანა: ვინაიდან ჯარისკაცები ძალიან დაქანცულები არიან, ნაღვარულის ერთ-ერთი ტოტი გამოვიყენოთ სამმო საფლავისთვისო. მაგრამ ამხანაგებმა დაუტიეს და ხმა ჩააწყვეტინეს.

მალე ბორცვის თავზე, ყოველი მხრიდან რომ მოჩანდა, მდინარის გაღმა ნაპირიდანაც კი, ბარების ხათქახუთქი გაისმა, დროდადრო გრუნუნიც ძრავდა იქაურობას, ყუმბარებით აფეთქებდნენ მტკიცე გრუნტს. როცა გამოსათხოვარი ზალპი მიაცეს, ზავარზინმა მარცხენა ხელით მთელი მჭიდვე დაცალა, გაუპარსავ დაწვზე ნიკაპისკენ ცრემლი ჩამოუგორდა. თვითონვე გაუკვირდა, უწინ საღად უყურებდა ყველაფერს, ახლა კი ძარღვებმა უღალატა. წითლად აბრიალებული ჩამავალი მზე ნაღვლიან შუქს ჰფენდა ჯარისკაცებს ჩათუთქვილ სახეზე, ეფინებოდა სამმო საფლავის ახლად აკოკოლავებულ ბორცვს. შუქი სწრაფად ჰკარგავდა ძალას.

უხერხული მოძრაობით ჩამოიფხატა ზავარზინმა უურებიანი ქუდი, პაპიროსის გახვევა სთხოვა ბრეგვაძეს და უთხრა:

ჩაიბარე ბატალიონი. მოადგილედ ბოროდულია აიყვანე. მე უკვე დავამთავრე ბრძოლა.

— იქნებ როგორმე შეძლო.

— ცალი თითით მარჯვენა ხელზე? ინტენდანტად თუ გამოვდგები. იქაც ცაცის კვალიფიკაცია უნდა მივიღო.

გაჩუმდა. ამოიოხრა, გაიღიმა, ისევ ძველ ზავარზინად იქცა. როგორადაც იცნობდნენ — ჰუსარად.

სამაგიეროდ ახლა ანა ველარსად წამივა. ალბათ ერთი თვე მაინც და-

მიხანდება ჰოსპიტალში, ან იერიშით დავძლევ, ან შემოვლით. უფრო კი ცო-
ლად შევირთავ.

— შენ — შეირთავ.

— რატომაც არა, თავისუფლებაში დრო კარგად ვატარე. თუ ცუდად ით-
მებთ, დასახმარებლად პატარა ჰუსარებს გამოგიგზავნით.

მოლურჯო ბინდში, პირველი ვარსკვლავების შუქზე დაიძინა შავბინის
ბატალიონი. მიყუჩებული ველი, ძმათა სასაფლაოს ახალი ბაზრები, მძინებდა,
იძირებოდა ჩამომდგარი ღამის ყინვიან ბურუსში. პორიზონტზე კვლავ ფეთ-
ქავდა ქვემეხების ზალპით აბრიალებული შუქი, ხანძრის ენები ჰკვეთდა ბინდს,
ცაში გუგუნებდნენ დასაზვერად ან ყუმბარების ჩამოსაყრელად მიმავალი
თვითმფრინავები. მოცარიელებული მიწა კი სულს იბრუნებდა გრუხუნის,
ლრჭილის, ღმუილის, წყევლა-კრულვის, კენესა-ტირილისაგან. უკან ეწეოდა,
წარსულს აბარებდა ახლად მიწურულ დღეს, სიაფთროითა და სისხლით სავსეს.
ბევრი რამ ხდებოდა აქ, ამ მიწაზე. იგი ხან ტყით იფარებოდა, ხან ხრიოკდე-
ბოდა. ამ მიწას გუთანიც უნახავს, თოფებიც, საზიდრებიც და ტანკებიც. მიწა
იძლეოდა ხორბალს, ხან კი უშენი ხდებოდა. რამდენმა რამემ გადაიარა მის
ზურგზე და, ვინ იცის, კიდევ რამდენი რამის მომსწრე იქნება იგი? ასე არ
არის? ვინ იტყვის, ვინ განჭვრეტს წინასწარ?

□



შალვა ნებიზა

ღუზა

ტალღა ტალღაზე
გადაზვავდა შეუჩერები,
დანებდა გემი
ბობოქარი ზვირთების ღელვას,
ახლოს გამოკრთა
ალესილი კლდეთა წვერები
და გაიელვა
ზღვის ნაპრალში სიკვდილის ცელმა.

საბედისწერო
წამოვიდა ტალღა ვეება.
შეიპყრო ხალხი
უნუგეშო შიშმა და ძრწოლამ,
ბნელ მორევებში
დატრიალდა წყალი წრეებად —
მალე ზღვის ფსკერზე
გემსაც, ხალხსაც მოუწევს ნოლა.

გამოლევიათ
დაქანცულებს ძალი და ღონე,
უიმედონი
მინდობიან ტალღათა ნებას...

ვით ბოლო იმედს —
სასოებით უშვებენ ღუზას
და მძიმე ღუზა —
მადლი უფალს, ფსკერამდე წვდება!

დგება ხომალდი,
ამაოა ხეთქება ტალღის —
ხალხის დაღუპვა
გამეჭებით რომ დაიყინა,
ამოისუნთქა
და ერთმანეთს მიაწყდა ხალხი
და გულებიდან ამოფრინდა
შვების ყიყინა.

გადარჩა გემი.
აერიდა კლდის მახვილ ეშვებს.
შმაგი სტიქია
ახლა უკვე ვერაფერს უზამს...
სალამი ღუზას!
უკანასკნელ იმედს და მეშველს —
ცხოვრებაშიაც
თავის დროზე ჩაშვებულ ღუზას!

თარგმნა თადო გაჩიშვილმა

ბაბრატ შინქუზა

სიზმარი

სიზმრად ვნახე: ცხენს მოვახტი,
შევუძახე „აჩუ“-მეთქი,
ცხადში ამ ერთ გაფრენაში
მთელ სიცოცხლეს ვაჩუქებდი.

მივფრიალებ რია-რიად
მონწყვეტილი ფოთოლივით,
ქუდს მიხდიან, მიყვირან
მწვერვალები მოთოვლილი.

დედაბრები ჩიფჩიფებენ:
— ჭაბუკები სად არიან,
ეს მოხუცი რამ შეშალა,
რა ეშმაკმა გადარია?!

ამ აწყვეტას, ამ სიხარულს
ჟინი როდი უთავდება,

შევექსოვე სილამაზეს:
ცას, ხეებს და უკვდავეზას.
რა კაცი ხარ, რა აფხაზი ხარ
თუ არ იცი, სულო ჩემო.
ერთი გაქროლების ფასი,
„აჩუს“ დაძახების გემო.

თარგმნა შოთა ნიჟინიანიძე

ალექსი ჯონუა

აფხაზური სიმღერა თბილისზე

რისი სტუმარი, ნუ მეტყვიტ სტუმარს,
მოვდივარ, როგორც დედასთან შვილი.
მიმოვიხედავ ირგვლივ და... უმაღ
სხეულში თბილი ცახცახი მივლის.

მკოცნის, მეხვევა და არ მეშვევა
ეს თბილი ქარი, თბილისის ქარი,
ვგრძნობ, რომ სიამით შეაღერსება
ზვირთდალოცვილი ჭალარა მტკვარიც.

მე აფხაზი და სოხუმის მკვიდრი
დღითა და ღამით აქ ვარ ოცნებით.
მე საქართველოს ტრფიალით ვიწვი,
ვხარობ თბილისის ასხივოსნებით.

მაგრამ არ ვწუხვარ და არა ვნანობ.
არცა პოეტის სიმღერა ნაღვლობს,
რომ მეც არ ვცხოვრობ. ძვირფასო ძმანო,
ან რუსთაველზე, ან იქვე ახლოს.

რადგან თბილისის ძმა არის მრწემი
სოხუმში, მუდამ მზით დანამული,
სადაც დაირწა აკვანი ჩემი
და გავიგონე იავნანური.

როცა თბილისელს სოხუმში ვხედავ
და ხეივნები ხვდებიან ტაშით,
სტუმარიას, როგორ ვთქვა, ნეტავ,
ვამბობ, ძმა შედის საკუთარ ბაღში!

თარგმნა ხუტა ბერულავა

ივანე თარბა

შაშვი



შაშვი გალობს, შაშვი გალობს თუ ჭახჭახებსა მაჭახელა?
 შაშვი ჩემი რჩეულია და ბევრჯერაც მასახელს.
 თავს არავის არ აწონებს, სუროშია დამალული,
 ცას და მინას ეტოლება ღვთაებრივი სალამური.
 ჰოი, შაშვო, ჩემო შაშვო, ჩემო მგალობელო ჩიტო,
 შენ ხარ ჯილდო, ჩემი ჯილდო, დიდი სიხარულის ჯილდო.

არ იზიდავს ხის კენწერო, არც ცის გახსნა უჩქარია,
 მისი საესტრადო სცენა სუროა და ბუჩქნარია.
 გულს აროდეს ჩაჰფრენია, როგორც შური, როგორც ჭანგი,
 ბულბულის და იადონის დიდება და ოქროს ჩანგი.

ჰოი, შაშვო, ჩემო შაშვო, ჩემო მშვენიერო ჩიტო,
 შენ ხარ ჯილდო, ოქროს ჯილდო, ჩემი სიჭაბუკის ჯილდო.

იქნებ ბევრსაც ურჩევნია ბულბულის და იადონი,
 დაისის და ბინდის ჩურჩულს — ხმები საგანთიადონი,
 მე კი შაშვი უფრო მომწონს, ჩემს სულს უფრო ეხატება,
 როგორც შაშვის სტვენა შვენის დაისსა და შელამებას.

ჰოი, შაშვო, ჩემო შავო, ჩემო მაჭახელა ჩიტო,
 შენ ხარ ჯილდო, ჩემი ჯილდო, ჩემი აღმაფრენის ჯილდო.

ეს ქვეყანაც ასეთია — უფრო ჰგუობს თავისიანს,
 რაც ერთისთვის აისია, მეორესთვის დაისია.
 რაც ერთისთვის საქებია, მეორესთვის აუგია,
 საყვარელი ჩიტისათვის ზოგ-ზოგს მახეც დაუგია.

ჰოი, შაშვო, ჩემო შაშვო, ჩემო საყვარელო ჩიტო,
 შენ ხარ ჯილდო, ჩემი ჯილდო, ჯილდო, ღვთაებრივი ჯილდო.

თარგმნა შოთა ნიშნიანიძე

გიორგი გუბლია

საიდუმლო

— ამქვეყნიური
 არაფერი არ მიგიკლია,
 ცხოვრებამ ბევრჯერ
 შენც მოგიწყო

გამოცდა მკაცრი,
 სიბერეზე კი...
 ჯერჯერობით არც გიფიქრია, —
 მაინც მაგრად ხარ.
 კაჟივით ხარ
 ასი წლის კაცი!
 რა გაძლევს ხალისს. —
 სიცოცხლე რომ ძველებურ გიყვარს?!
 რა გაძლევს ძალას. —
 საიდუმლოს ამოხსნას ვცდილობ...
 — მიყვარდა ხალხი!
 მუდამ ქვეყნის ერთგული ვიყავ! —
 ეს კი —
 მარადი სიჭაბუკის წყაროა. შვილო!..



თარგმნა გივი ძნელაძე

კონსტანტინე ლომია

თეთრი ცრემლი

იყო და არა იყო რა,
 იყო სოფელში ერთი —
 „ელექტროდენის უფროსი“,
 ანუ „სინათლის ღმერთი“...
 ხუთი თითივით იცოდა
 თვისი ლამაზი საქმე...
 „გამნათებელზე“ ყოველთვის
 სიტყვას იტყოდნენ საქებს...
 დენით სიბნელეს აპობდა. —
 მოხერხებული. გამრჯე...
 ხის კენწეროზე აჰყავდა,
 გინდ აივანზე გაჰყავდა,
 გინდა ჯურღმულში ჩაჰყავდა. —
 იმორჩილებდა მარჯვედ.
 ასე, ყოველდღე, ბინდისპირს —
 შუქი იბრძოდა ბნელთან:
 ათასი თეთრი ნათურა,
 აფეთქდებოდა ერთად!..
 ღამ-ღამე რომ გახედავდა
 გაჩახჩახებულ სახლებს —

ბედნიერ კმაყოფილებით
უბრწყინდებოდა სახე!..

მაგრამ ვაი, რომ მწუხარე
სიტყვა უნდა ვთქვა ახლა:
„სინათლის მეფე“ ელდენის
უცები მსხვერპლი გახდა...



შებინდებისას მის საფლავს
რომ არ ეუფლოს ბნელი —
თეთრი ნათურა ანათებს, —
სინათლის
თეთრი
ცრემლი!..

თარგმნა ბივი ძნელაძე

ვლადიმერ ანჰვაზი

ცურვის გაკვეთილები

ქვიშას გადავირბენდით,
ტალღებს შევერეოდით,
ქურციკივით კრთებოდი, —
და ამ კრთომით ვზუბოდი.

თვალი ქალწულ სხეულის
გამოჩენას ელოდა, —
მერე ტანი ტალღებში
ლაღად ვარდისფერობდა.

როცა მკლავზე გინვენდი,
ვგავდი ალბათ გოლიათს,
გულის ძგერით ველოდი
მე ამ ცერემონიალს.

შენს ნაზ ტუჩებს ვხედავდი
და ვულს ედგა ზღვაური,
გვანყდებოდნენ ტალღები,
გვანყდებოდნენ ხმაურით:

ჩემი გულის გუგუნში
ინთქმებოდნენ ბგერები
და ვლელავდით მე და ზღვა,
შენით განახელები!

რა დრო იყო, რა ჟამი. —
ნაიშალა ყოველი...
ჩემს მკლავებზე ძვირფას ტვირთს
ამაოდლა მოველი.

მე არ მომბეზრებია
ცურვის გაკვეთილები;
შენ გაჰყვევი დინებას —
დავრჩი განანბილები.

ასე იყო. იმ დღეებს
არც იხსენებ, მგონია,
კარგად ცურავ უჩემოდ, —
ბევრჯერ გამიგონია.

შენს დიდოსტატობაში
დაგვარწმუნე სავსებით,
ზღვის ტალღებში სხმარტალა
კალმახს დაემსგავსები.

არ გჭირდება ცურვისას
ჩემს მკლავებზე დანდობა:
მაგრამ, ზღვაო, იმ დიდი
ლელვისათვის მადლობა.

თარგმნა ბალა შალვაშვილი

მუშნი მიძია

ღამის ცაცხლი



ესე ამბავი ძველია,
ოღონდ არსად არ სწერია, —
ზეპირად უთქვამს ვილაცხას,
მთქმელი — ნამდვილად ზრძენია...

ერთხელ,
ერთგან
ხუთი კაცი
მდინარის პირ შეაჯგუფეს:
— აგერ, რაში, და რა რაში
(გადარივნეს, ისე უქეს), —
აგე, რაში, აჰა — თუკი
თქვენთაგანი ვინმე შესძლებს
მთელი ღამე ამ გაყინულ
მდინარეში იდგეს ფეხზე,
თანაც — რამე დახმარება
არ ექნება არავისი, —
კაცი მართლა მას ერქმევა
და ეს რაშიც ალაღ მისი...

ადგა ერთი,
იმ ხუთთაგანს გამოეყო,
წარსთქვა: „უჰ!“-ო,
შევიდა და შიგან წყალში,
გაყინულში ჩადგა უხმოდ,
გაურხევლად,
გაურყევლად
იდგა იგი შუა წყალში,
თეთრი ყინვა ჭახჭახებდა,
ისე ვითა შავი შაშვი.
იმ ერთს მალულ იგი ოთხნი
დარაჯობდნენ, — რასა იქმსო,
ხვალ დილაიდე თუ გაუძლებს
ყინვას ძნელად გასაძლისსო.
თან აქ,
ხმელზე, ძაგძაგებდნენ,
მოზუზულნი, ვითა ბლარტნი,
იგი კაცი წყალში იდგა
თავანევით, წელგამართვით.

აგერ ამასობაში და...

ამონვერა ბადრმა მთვარეში
იდგა კაცი განაბრწყინს,
მღვიძრად,
არა მთქნარებ-მთქნარებ.
უჭერს ყინვა, ვითა სალტე,
ვარსკვლავები ცვივა, ციდან,
ჰა, ცის კარი ამონითლდა,
კაცი წყლიდან ამოვიდა.
ჩაიფერთხა ტანსაცმელი,
თავზე ქუდი დაიხურა,
მიეახლა მეგობრებს და
ცოტა კიდევ ნაიხუმრა.
ხედვენ:

დგას და ილიმება,
არ ნაკენესებ-ნაკუთვარი,
არ სჯეროდათ.
სწორი გითხრათ,
თვალეზისაც საკუთარის,
შეევედრნენ:
— მართალია, გიჯობნია, იხარიო,
თუ კაცი ხარ,
როგორ გასძელ, —
საიდუმლო გვითხარიო!..
უთხრა:

— თვალნი, ცხრა მთას იქით,
ენტო სხივთა მკვესარიო,
შევეყურებდი, ის მათბობდა,
საიდუმლოც ეს არიო.
გაიოცეს,
დაიჯერეს,
რა გზა იყო, რა უთქმოდათ.
— აბა, ლხინი გაჩაღდესო! —
ღვინოც ჰქონდათ,
ხორციც ჰქონდათ.

ერთმა იმ ოთხს
წყნარად ჰკითხა:
— მომე, ხორცი სადა გაქვთო,
მე მოუხარშავ.
თქვენ სხვა რამე
გაამზადეთ რიგ-რიგადო...

ჩამოიღო ფეშხოები,
ჩაკაფა და ჩააქვაბა,
იძახოდნენ:

— იფ! იფ! იფ! იფ!.. —
მიმორბოდნენ:
— პა! პა! პა! პა!..

“ ქვაბს შეუნთო ცოტა ცეცხლი, —
ერთი ღერი ხმელი წკირი,
— ასე როდის ადუღდება! —
იმ ოთხთაგან ერთი ყვირის.
— მოითმინეთ, მეგობრებო,
სულწასული ნუ ხართ ყველა,
ყველაფერი მოესწრება
თანდათან და ნელა-ნელა,
მე თუ გავძელ იმ ყინვაში
თვალთა ცეცხლის მოიმედებ, —
აქ თქვენც გმართებთ მოთმინება,
ცოტას უნდა მოითმინდეთ.

ვის რა პშვენის — ის ჩაიცვას,
რაც გიხდება — ის მოირგე,
ძველნი თქმანი გაგიგიათ? —
ვინც მოითმენს — ის მოიგებს!..

თქვა და... რაშისკენ ნაბრუნდა,
სად იყო ფიქრის დრო ახლა:
ტოტზე რომ ჩიტი შეფრინდეს —
ცხენს ისე კობტად მოახტა.

გაჰკრა, გაქუსლა, გალალდა,
კაცი და ცხენი შენივთდა,
თავი ცხენს მხედრით მოჰქონდა,
მხედარს კი — თავის ცხენითა!..

ამბავი ესე — ძველია
ოლონდ — წიგნში არ სწერია,
ვილაცას ზეპირ უთქვამს და
ვინც თქვა —
ნამდვილად ბრძენია!..

თარგმნა გივი ძნელაძე

კონსტანტინე გერხელია

როცა ჰყვავის მარცხალი

ამბობენ: მალალ კლდეებზე ხარობს
მცენარე ღვთისა — ლურჯი და წმინდა —
ძმერხლი. ყაშიყამ შეარხევს ქარი
და თვითონ ღმერთი დაჰყურებს ციდან.

არავინ უწყის, როგორ და როდის
ჰყვავიან კლდეზე ტოტები მისი
და როცა შავი ღრუბლების ბლონდი
გადმოეშვება მიწაზე რისხვით.

თვით ღმერთი იცავს. ათოვს თუ აწვიმს,
და მოგუგუნე გრიგალიც ვერ ხრის.
როგორც ბალახში წითელი მარწყვი,
ერთის ფოთლებს შუა ნაყოფი ძმერხლის.

ამბობენ: როცა ნამოვა თოვლი
და დამშეული პატარა შველი

მოციცქნის ძმურხლის გაფიჩხულ შტოებს,
თითქოს ღვთაებამ შეახო ხელი. —

აყვავილდება ანაზდად ძმურხლი
და მყისვე სადღაც დაიბადება
ვაჟი, რომელიც გახდება დალის
საფიცარი და წმინდა ხატება.



ვინც შეესწრება ამ საოცრებას,
აუსრულდება ყველა ოცნება.
ო, სულს ჩემო, მიდი... ელოდე...
ამ კლდეებს შიშველ ტერფით დავივლი.
ამბობენ... და მეც მინდა მჯეროდეს,
მინდა მჯეროდეს ძმურხლის ყვავილის.

თარგმნა თამაზ ბაძალაძე

ნელი თარბა

ოცნებებო ჩემო, ჩემო ზრახვებო

ოცნებებო ჩემო,
ჩემო ზრახვებო,
ნაზებო და სათუთებო,
მზეს უნახვებო.
თქვენ, ჯერ აუსრულებლებო,
მთვარის დობილნო,
ჩემო თეთრო ხომალდებო,
ქარს გაყოლილნო,
გვედრით, ნუ ჩაიძირებით
ოქროს მადნებით,
ნურც ფოთლებად ჩამოსცვივით,
წყლად ნუ გადნებით...
მფრინავ თეფშებად იქეცით,
ქარზე იქარეთ,
თუკი ვინმემ თვალი მოგკრათ,
თავი იფარეთ,

თუკი ვინმე დაგინახავთ,
გაქცევთ ლეგენდად,
ხან პოეტის გულს მოხვდებით,
ხან ყბას რეგვენთა...
მაგრამ მაინც თქვენი ბინა
ზეცას იქნება.
თქვენ იქცევით რეალობად,
აზრად, ფიქრებად...
დაცვივდება მიწას თესლი
აზრის ახალის,
აღერდება, ამღერდება
ფიქრი მაღალი...
და მე
სუსტნი რომ მეგონეთ —
ჩემო ზრახვებო.
ამაყად და გაბედულად
მზეს უნახვებით.

თარგმნა ბუსიკ ხარანაულაძე

კლათონ ბეკია

სპილო



ის შებოჭილი ბაგირის თოკით
 მოჰყავდათ, ხალხი ეხვია ირგვლივ.
 უზარმაზარი რკინის გალიის
 ღია კარებში შეაგდეს იგი.
 რაც დაემართა, მაშინვე მიხვდა, —
 რკინის კარები როცა ჩაკეტეს,
 გამწარებული იქნევდა ხორთუმს
 და აწყდებოდა გალიის კედლებს.
 და დაემსგავსა ეს დონდლო სპილო
 უცებ აშვებულ ძლიერ ქარიშხალს...
 ბოლოს კი დაცხრა... სად შეუძლია
 რკინის ციხიდან თავი გაიშვას!
 ჯერ საჭმელს პირი არ გააკარა,
 მაგრამ შიმშილი არის ვერაგი...
 ყოველდღიურად გალიის კართან
 მიდიოდნენ და სპილოს ზვერაგდნენ.
 სპილო კი იდგა თავჩაქინდრული
 და თვალწინ ედგა ტყე მშობლიური.
 ვერვის ამჩნევდა, მხოლოდ ხეების
 ხმაურს და შრიალს ისმენდა ყური.
 თავის ჯოგიდან გადარჩენილებს
 ნაცნობ სპილოებს ხედავდა მხოლოდ.
 ეს იმათ დარჩათ ღიდი ტყეები,
 თავისუფლებაც მათ დარჩათ ბოლოს.
 დღე ღამეს ცვლიდა, ღამეებს — დღენი.
 და შერჩა მხოლოდ იმის უფლება, —
 რომ თვალდახუჭულს მაინც ეხილა
 ტყე და ნანატრი თავისუფლება.
 ასე გავიდა წლები და წლები,
 დაბერდა სპილო მნახველთა თვალწინ...
 ერთხელ დარაჯმა გაუღო კარი.
 უთხრა: — საითაც გინდაო, გასწი!
 არ დაუჯერა საკუთარ ყურებს,
 საბრალოს გული ძალუმად უცემს:
 ხედავს, გახსნილა კარები რკინის,
 და აუცრემლდა თვალები უცებ.
 გამოაბოტა... იარა ბევრი
 ტყეებისა თუ მდინარის პირთან.
 ...მეორე დღეს კი საბრალო სპილო
 ისევ გალიის კარებთან იდგა.

პორის გურგალია

ედემი ხარ პატარა!..



ქართული
საქართველოს
საქართველოს

ედემი ხარ პატარა,
აფხაზეთო, ნეტარო!

და საბუდარს არწივთა
ცრემლის წვიმა აწვიმდა!..

მშვენიერი ამზარა!
მარტო შენ გაქვს.
სხუას — არა!

და აფხაზი ოხვრითა
ბარავდა და თოხნიდა!..

ჩემო კუბოს ფიცარო —
ნაძვნარო და ფიჭვნარო!

თუკი არის, რით არის
მხარე — შენებრ მდიდარი!

შენი ზღვის და შენი ცის
ფრინველია ფენიქსიც!..

ვისაც უნდა ნახვა მზის,
ნახოს მინა აფხაზის! —

და აღსდექი მიტომაც
ფენიქსისებრ ფერფლიდან!..

ფრთა ფრთამრავალ არწივის —
საქართველოს ნანილი!

და იმ ფერფლის სითბომაც
გაგანათა ღმერთითა!..

მტაცებელი გტაცებდა
ჩვილებს აკვნებიანად!..

არსად არის მზისქვეშეთს,
შენ რომ ზღვა გაქვს,
ისეთი!

მძიმე სევდამ დაგსევდა,
გულს დაგაჩნდა იარა!...

ოდით მოსდგამს დიდება
შენს ხალხს, —
მცირერიცხოვანს, —

შენი მიწის ძირი ვარ!
შენი ღვიძლი შვილი ვარ!

ლეგენდებად, მითებად,
ზღაპრებად რომ იცხოვრა!

მტკივა შენი წარსული,
შენი აწმყო მახარებს!

არსად არის მიწაზე
ტბა — ლამაზი რინაზე!

მეცხრე ცაში ასული
ედემი ხარ ახალი!

მტერმა ბევრჯერ მოგმეხა,
დაგიბნელა მზე შინა!..

მე შენი ხის კვირტი ვარ!
ამ ედემის მკვიდრი ვარ!

შენს გმირსა და მშრომელ ხალხს
აბჯარასხმულს ეძინა!...

თქვენ მოგმართავთ, ხალხო, თქვენ!
დამიჯერეთ, დამენდეთ! —

სიხარულით აღვაფსოთ,
მოვუაროთ ამ ედემს!

თარგმნა ზაურ პოლქავაძე

1 ამზარა — ბიჭვინთის აფხაზური სახელწოდება.

სარიონ თარკილი

მონადეაქე



ქვას თლიდა ვაჟი, უჩუმარი ვაჟი ქვას თლიდა
 დრო გადიოდა, უამი უამს ცვლიდა.

ვაჟი ქვას თლიდა ძლიერად, დინჯად
 და ღამღამობით მთვარე იმის სარკმელში იჯდა.

ნამუშევარი იქმნებოდა სხვადასხვა სახის,
 რჩებოდა განძად ქანდაკება, სასახლე, სახლი.

უზიდებოდა ჭიანჭველა თავის ტვირთს იქაც,
 ეტანებოდა ხბო ფურის ჯიქანს.

ოსტატს საუზმეს უზიდავდა თავისი ცოლი,
 ქალი — თითქოსდა აფროდიტა, ქალღმერთის ტოლი.
 შუქი ეფინა მის სახეს და წარბ-წამწამ-თვალთა.
 შალმოხვეული იჯდა იგი ქალღმერთი ქმართან
 და ცისიერი აქეთ-იქით ავლებდა მზერას,
 არ უჩიოდა, ეტყობოდა, ბედსა და წერას.
 იჯდა დარცხვენით, შემცბარი და შალმოხვეული,
 იმ შალით ჰქონდა დაფარული თეთრი სხეული.

რბოდნენ დღეები,
 როგორც ფიცხი ბედაურები.
 და ნახა ხალხმა ქანდაკება თეთრი სრულებით,
 თქვა: ზღაპრისაა მართლა მსგავსი, საოცარია,
 ციდან რომ არის ჩამოსული, ეს ის ქალია!
 გამოკვეთილი ქვაში თეთრად
 ღამაზი ქალი
 თავად ოსტატის ცოლი იყო,
 ქმრის გვერდით მჯდარი.

კვდებოდნენ კაცნი, იშლებოდა შენობა ბევრი,
 თანდათანობით წაეყარა ბევრ რამეს მტვერი.

გადარჩნენ მხოლოდ ქმნილებანი მშვენიერ აზრის
 და მათ სიცოცხლეს უკვდავების ბეჭედი აზის.

თარგმნა მინდია არაბულმა

მუშნი ლასურია

ბალახის სიარული



გადაიარა მინდორი დიდი,
რა შეუმჩნევლად გადაიარა,
კლდეზე აცოცდა, სულ მალლა მიდის,
ნაზამთრალ მიწას უხვევს იარას.

მიდის ბალახი, მწვანედ ბიბინებს.
მიწის სისხლია ბალახი თითქოს,
ვრცელი მინდვრები გადაირბინა,
გამოქვაბულშიც იპოვა სითბო,
ნაქცეულ ხეზეც ამოიღერა,
ჭაშიც ჩაცოცდა და შველას ითხოვს.

ბალახთან ერთად სიცოცხლაც დადის...
ხან მზით დამწვარი მოჩანს ბალახი,
ხან მოიცილებს თოვლიან მანდილს.
რომ დაინახოს ტყე და სანახი.

ბალახის ფესვებს, ვითარცა ძარღვებს,
დაუქსელიათ წიაღი მიწის.
მათი ჩურჩული სიჩუმეს არღვევს
და სასიცოცხლო ალღუმზე მიწვევს,
დილით ამოდის მზე და ბალახიც
მზესთან ამოდის და მზისკენ იწევს.

ქვეყნიერებას თვალს მოვატარებ,
ვჭვრეტ გზებს დაკარგულს —
ნაშლილ აკვარელს.
ამ გზებს, თქერავდა ბევრი თათარი,
მე ვხედავ იმათ ცხენთა ნაკვალევს.

გახსოვს, ტანკები სრესდნენ ბალახებს,
ითელებოდა ფხევეშ ბალახი,
მაგრამ მათ მტერი არ გააღალეს, —
ფესვს შეურიეს, როგორც ტალახი.

დამწვარ მინდვრებს და დამწვარ მოედნებს,
დღეს ბალახები ისევ მოედნენ.

ყელს გავიგრილებ ცივი წყაროთი
და მრავალძარღვით ვკურნავ იარას.

ბალახებს შორის ღელე ჩამოდის
და იკლაკნება, როგორც ხვიარა.

დედა სამყაროს ლოცვას შევუთვლი,
ისიც მზესავით მესალმუნება,
ბუნების შვილი მასვე ვეკუთვნის,
ჩემი თილისმა არის ბუნება.

ამობიბინდი და გამახარე,
იარე, ცხრა მთა გადაიარე,
გმირის საფლავთან თავი დახარე
და მიეფერე მიწის იარებს,

მიწის შვილი ხარ და მიწის აფრა,
ვერ უღალატებ მიწას ნამდვილად,
მე რომ მოვკვდები, ჩემს ტიალ საფლავს
გადაუფარე დედის მანდილად.

თარგმნა გივი ალხაზიშვილი

ნიკოლოზ კვიციანი

წყალობა მზათა...

კაცმა არ იცის —
ვის რა მოელის,
ვის რას უმზადებს
დედუ ხვალინდელი...
დროის ხელია
არსის ყოველის
თავის ნებაზე
გადამწინდელი.

თავის ნებაზე
ატარებს კაცი
სიცოცხლეს თვისას —
ნაბოძარს ღვთისა;
თავ-თავის დროზე
დრო თვითონ ჩასთვლის
უღირსს — უღირსად,
ღირსეულს — ღირსად..

ზოგ-ზოგს ჰგონია:
ბლენძვით და ლიქნით
უკვდავებაში
იპოვნა ბინა...

ხვალ კი გაქრება
ხსენება მისი,
ვითარცა ფიფქი
ან ღრუბლის ფთილა.

კვდომის და ქრობის
გარდუვალობამ
სული არ უნდა
გამოგიგვალოს...
კაცმა სიცოცხლე, —
მზეთა წყალობა, —
მხნედ და უზადოდ
უნდა გალიოს..

ნუმცა იქმს სული, —
საფიანდაზე, —
საქმეს სამტროს და
სამუხანათოს...
ვარსკვლავი, —
რაკი ანთია ცაზე, —
უნდა ენთოს და
უნდა ანათოს..

თარგმნა გივი ძნელაძე

ვლადიმერ ანდარია

ცვარი



ზაფხულის დილის სიმწვანევ,
მზის ცხელი სხივით ივსები.
ცვარნამის კაბას იცვამენ
შრიალა კიპარისები.

თითქო ჩურჩულებს ბაღაბი,
მღერის მდინარის ჩქერადი,
სისხლი მათბობს და მალალებს,
წმინდა ვარ, მზის მაცქერალი...

მეც ფრინველივით ფრთხილად
აივნებს, მინდვრებს დავივლი,
ეზოში ცვარი კრიალებს,
ანთია ცეცხლის ალივით.

ცვარო, ცით ჩამოფრქვეულო,
ბრწყინავდე ან და მარადის,
შენი წვეთები მეპკუროს,
შენი ნათელი მფარავდეს.

* *

გაილო ჩემი ფანჯარა,
მოსქდა ხმაური ქარისა,
უეცრად შემაჯანჯლარა,
უეცრად გამახალისა.

და ყვავილების კრებული,
წმინდა სურნელს რომ აფრქვევდა,
ქარისგან დაფეთებული
აცეკვდა ღია სარკმელთან.

თითქო დაფრინავს თოლია,
მაქეზებს თვალეზგახელილს,
წუხანდელ ძილს გაჰყოლია
სევდა, დარდი და ნალველი.

ვადაუფარავს მძივივით
ცვარს ვაშლის მწვანე რტოები,
მამხნევებს მისი ღიმილი,
მამხნევებს, მესათნოება.

შორი ხევიდან, მღვიმედან
ქარი მოჰქრის და მიღულავს,
გულს ესახება იმედად
შეუნწყვეტილი სიმღერა.

და მზეც თანდათან ამოდის,
ჩემს სენაკს მიმოაშუქებს,
იბრწყინებს და სალამომდის
სითბოს და ნათელს მარუქებს.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღმერთო, მეტს არ გთხოვ: მაკმარე
ეს ზღვა, ლურჯი და უძირო,
რომ ჩემი ვიწრო სარკმლიდან
უსაზღვრო სივრცეს ვუმზირო.

თარგმნა თამაზ ბაქალაძე

ტაიფ აჯბა

* *

გაემიჯნება ტყუილი მართალს,
ბედნიერება დაბერტყავს კალთას,
რაც მინატრია, დღეს თუ არ ახდა,
როდესმე მაინც ახდება ნალდად.

მანამდე კიდევ გავჭალარავდე,
სახეს ნოჭი დაე ღარავდეს,
მუხლმა მიმტყუნოს, წამერთვას ძალა,
ფუჭი ოცნება არ მიმაქვს ვალად.

ის კაცი არ ვარ, მხოლოდ მე ვიფნო,
სიკვდილს ბოლომდე მოვეკვლევი;
რაც მინატრია, დღეს თუ არ ახდა,
ჩემ შემდეგ მაინც ახდება ნალდად.

სიკვდილს რომ ეშმაც ჰყავდეს
სჯულმდებლად,
სიკვდილით მაინც არ დასრულდება
სიცოცხლე ქვეყნად...
სიკვდილის შემდეგ რაც გადარჩება,
მას მარადისი ელის ნათება.

თარგმნა თამარ ერისთავა

ჩემი დაბადების დღე

პირველად როცა
ჩამელვარა
თვალში მზის სხივი,
ის დღე არ იყო ჩემი შობის დღე...
ეაქიანობის მოსალოცად
განარებულნი,
გზას,
ჩვენს ეზოში შემომავალს, როცა დაადგნენ,
არც ის დღე იყო დღე ჩემი შობის...
მე დავიბადე ზუსტად იმ დღეს,
როცა პირველად
მზე გავაცილე —
რიყრაყზე რომ კვლავ შევხვედროდი...
და კიდევ იმ დღეს დავიბადე,
როცა ეზოდან
გარეთ გავედი,
ისევ უკან დასაბრუნებლად,
და საკუთარი ბილიკი ვკვალე.

თარგმნა ვაჟა შუბუსიძემ



პიტაღორის ამარხანი

გ უ ლ გ უ ლ ი

ტყე მხეცების ბუნაგია:
ტყეში მხეცი დათარეშობს
ათასგვარი ჯიშისა და
ათასგვარი ხარისხის;
მელა გინდა,
კვერნა გინდა,
ტურა გინდა,
თუ რა გინდა!..
მგლები ხვრეპენ
იალალზე გაგდებული ხარის სისხლს...
დათვ-ვეფხვები შლიგინობენ ტყეში,
ტყეში ნადირს რა გამოლევს,
ავთა ხმათა ბუნაგია ტყე!..
მე ის მიკვირს: ამდენ მხეცში
ბულბული რომ გატრუნულა რტოზე
და სიცოცხლის სამადლობელს
სტვენს —
დილიდან საღამომდე სტვენს!..

თარგმნა გივი ძნელაძემ

რაულ ლასურია

მაჭარი



ქართული
წიგნების
კავშირი

მინდა ადგილზე სირბილით გავცდე
ბედნიერების უხილავ საზღვარს:
ვჭყლიტავ და ვჭნისავ ოქროსფერ
მარცვლებს
და საწნახელი მიაგავს შავ ზღვას.

რას ეუბნება მტევანს მტევანი,
მტევნებს მიჯრილი და მიჭუჭკული,
ან ეს ფუტკარი — ნექტრის მდევარი,
ანდა ეს ქინქლა და პუჭუჭკური..

ისე აზვავდა, ისე აქაფდა,
ისე დამშვენდა ფერით, ხორციტა,
არა ქელეხთა, არა ალაპთა —
ეშხი იქნება მხოლოდ ქორწილთა!

და გვემუქრება ბიჭებს მაჭარი,
რომ ძარღვებს ცეცხლად წაუკიდება,
და საიდუმლო, გულში რაც არი,
მთვრალეებს ენებზე დაგვეკიდება!..

ჰო, მაგრამ ეს ზღვა, ეს საწნახელი,
სულ ერთი ყლუპით როგორ დამრება!
მეც, ერთი გავთქვა გულის ნალველი —
ასი უთქმელი გულში დამრჩება!..

ან რად მასწავლი, მაჭარო, დუმილს,
შენ — ჭორიკანა შვილი მტევნების,
როდესაც თავად საიდუმლო ხარ,
გულში და ქვევრში დაუტევნელი!..

მე არც გიმტყუნებ! რა ვქნა, არ მიყვარს
ღვინო და კაცი გულჩახვეული.
ზღვასთან მიმაგდებს, მთაზე ამიყვანს
მძლე და მოქნილი შენი სხეული.

მინდა ადგილზე სირბილით გავცდე
ბედნიერების უხილავ საზღვარს:
ვჭყლიტავ და ვჭნისავ ოქროსფერ
მარცვლებს,
და საწნახელი მიაგავს შავ ზღვას!

თარგმნა ტარიელ ჭანტურია

რუბაი სირი

* * *



სიზმრად ეშმათა შავი გუნდი შემომესია:
 — გადამყდა უკვე შენი ბედი, ველარვინ გშველის,
 დაგვნებდი უმალ შენის ნებით, უკეთესია.
 ჩქარა, ანდერძი ჩაგვაბარე, ანდერძი შენი.

ყელს ვერაგულად მომაბჯინეს ცივი ხანჯლები;
 — ამქვეყნად ყველა სათნოების ჩვენა ვართ მტრები,
 ხელს ნურც გაანძრევ, ამაოდ ნუ გაისარჯები,
 გიჯობს ახლავე განუტევო ეგ სული შვებით.

დიდხანს ვებრძოდი უკეთურებს ასე ეული,
 მოჩქეფდა ჩემი წმიდა სისხლი აისის ფერად,
 მერმე შევჩერდი მე უეცრად ქანცმილეული,
 არავინ ჩანდა და არც არვის შეეძლო შველა.

და მივხვდი მაშინ, რას მიქადდა ბილწი მტერი მე,
 ამაყი მზერით ჩემს მწვალეებლებს ვუთხარი ბოლოს:
 — უკანასკნელად აფხაზის ხმა მომასმენინეთ,
 მერე მზის სხივზე ჩამომახრჩვეთ, ესა მსურს მხოლოდ.

თარგმნა ლია ჭავჭავაძემ

□

ბაბრატ უინქუბა

ჩანთა ჩამოვიდა



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

მთხრობა

თარგმნა თამარ ჩოჯავაძე

I

მოხუცი ბრეზენტის სეფიდან გამოვიდა და მესერზე ჩამოკიდებული პირსაბანისკენ გააბიჯა. ჯოხი კუთხეში მიაყუდა, ხელები დაიბანა, ეზოში შექუჩულ ხალხს ჩაუარა და ჭიშკრის მახლობლად თუთის ქვეშ მდგარი ძელსკამისაკენ გაემართა.

„ნუთუ სამიოდუ ჭიქა ღვინომ დამათრო?“ — გაიფიქრა და მისი სიძაბუნე რომ არ შეენიშნათ, უფრო ღონივრად დაებჯინა ჯოხს, სკამთან მივიდა, შემობრუნდა და დაჯდა. ბოხოხი ოდნავ გვერდზე მოიგდო და თავის ხეშეშ, უკვე მთლად გაქალაქარავებულ, მაგრამ მაინც საკმაოდ ხშირ თმაზე გადაისვა ხელი. მერე ფეხი-ფეხს გადაადო და ილლით დაეყრდნო ჯოხის მოღუნულ თავს.

ეს ჩანთა ჩრივბა იყო, სამოცდაათი წლის ხმელ-ხმელი ბურიკაცი. დიდი ნაცრისფერი თვალეები ჰქონდა, ეხიანი ღამაში ცხვირი და მოკლედ შეკრეჭილი წვერი, უღვაშები აეწკიბა და ალბათ იმიტომ უჩანდა ლაწვეები ეგზომ ჩაცვინალი.

პატარა ეზო ვერ იტევდა მოტირლებს და ხალხი ქუჩაში ზიმზიმებდა. სეფიდან სუფრას მიმსხდარი ხალხის დაგუბული ხმა გამოდიოდა. მოტირლები კი მოდიოდნენ და მოდიოდნენ. აი, ეზოში მოხარე ქალები შემოლაგდნენ და წივილ-კივილით წალასლასდნენ კუბოსკენ. ქალების მხლებელმა კაცებმა ბოხოხეები და ქუდეები პატარა მაგიდაზე დადეს, ქალებს ადროვეს და მერე დინჯად, ხმაღალალი მოთქმით დაიბრნენ მიცვალებულისკენ. ორი კაცი იცავდა წესრიგს. ხელში არგანი ეჭირათ და ეზოში მიდი-მოდიოდნენ.

ერთი ხნიერი იყო, მოკლეპალტოიანი, ხალხს ეგებებოდა და მიცვალებულისაკენ მიუძღვებოდა; მეორეს პიჯაკი და კავკასიური მსუბუქი ჩექმები ეცვა, ტირილით გულმოჭერებულ ხალხს სუფრაზე იწვევდა. სეფიდან გამოსულები ზოგი სად დგებოდა და ზოგი სად. თვითონაც ვერ ამჩნევდნენ, ისე აგზნებულად ლაპარაკობდნენ, რაც არცთუ ღამაში სანახავი იყო. ეტყობოდა, ზომაზე მეტი ჰქონდათ გადაკრული.

ჩანთა იჯდა და ზურგით თუთის ხეს ეყრდნობოდა. ნაშუადღევი იყო, ადრეული გაზაფხული იდგა, მაგრამ ჩვეულებრივზე უფრო ციოდა. ცას ხშირად აჭრებოდა ღრუბლები, ხან ცრიდა, ხან სველი თოვლი მოდიოდა, ხან მზე გამოაჭყაბებდა და ყველაფერი აელვარდებოდა. იმ დღეს კი ღრუბლები გაფანტულიყო და თითქმის მოწმენდილ ცაზე წითლად გამოსახულიყო თოვლის

ქუდეებით დაძინებულნი მთები. ჩანთა ვერაფერს ამჩნევდა. მხეზე გამთბარი მილურსმულივით იჯდა და არც კი მიბრუნებულა, მის გვერდით ჩამომსხდარი კაცები რომ ალაპარაკდნენ.

ეროვნული
ზიზღი

— შესანიშნავი ღვინო იყო, — თქვა ერთმა.

— ესაა ღვინო? ღვინო კი არა წყალია, შეინახოს ლადიმ, თავისი ქელები-სათვის გამოადგება, — უპასუხა შავშლაპიანმა ახალგაზრდამ, რომელიც სადღაც იქით იხედებოდა.

— ამას ტყუილად ამბობ, ძმაო, დაგინახე, როგორ ხელად გადაულურწე ხუთი ჭიქა და ახლა გახდა წყალი? ლადი ნამდვილად მადლობის ღირსია, ასეთი პატივით რომ კრძალავს სიდედრს.

— რასაკვირველია, ყველაფერი კარგად იქნებოდა. ეს სმა რომ არ იყო, რომელ პატივზე შეიძლება ლაპარაკი იქ, სადაც სმაა ფაჩალებული, — დაასკვნა შავშლაპიანმა ახალგაზრდამ.

— ვინც რა უნდა თქვას და ლადის ყველაფერი გამოუდის. აბა, ერთი მის სახლს შეხედე! მთელ ქუჩაზე ვერ მოძებნი მაგნაირს. ვაკრობაში მუშაობს. ტყუილად კი არ ამბობენ, ვინც სკა დახილა, თითიც იმან ამოუსვა პირველად თაულშიო, — გაიცინა შავშლაპიანმა ახლგაზრდამ კაცმა, მათრახს რომ იტკაცუნებდა დროდადრო ჩექმებზე.

სხვა დროს ჩანთა არ წაუყრებდა. დიდი ხანია აღარ სიამოვნებდა ქელებში ღვინის სმა, დღესაც ძალიძალით დასვეს სუფრაშთან და სხვებზე ადრეც ადგა. პოდა, ახლა თავადაც ვერ გაეგო, რატომ გაურბოდა ქელებზე ლაპარაკს. ლადის განსვენებული სიდედრი სელხაც ერთ დროს სოფელ ლაშკითში ცხოვრობდა. მარტო შემორჩა გაცივებულ კერას და მაშინ ერთადერთმა ქალიშვილმა, ლადის ცოლმა, წამოიყვანა ქალაქში. ბოლო წლებში ავადმყოფობდა, ლოგინად იყო ჩავარდნილი, მაგრამ იმასაც ამბობენ, ცოდვა იქნებოდა, საყვედური რომ ეთქვა ლადიზეო, — სიძეს ძაღლონე არ დაუშურებია — საკადრისად უვლიდა სიდედრსო.

ჩანთა მაცნეებზე ფიქრობდა, რომლებსაც სელხას სიკვდილი უნდა შეეტყობინებინათ სოფელლებისთვის. ალბათ ყველას ასე ეუბნებოდნენ — ლადის სიდედრი გარდაიცვალა, დაკრძალვა ამა და ამ დღეს იქნებაო. ალბათ ლაშკითში გაგზავნილი კაციც ასე ამბობდა. მერედა ვინაა ლაშკითელებისთვის ლადი? ბევრი არც კი იცნობს მას. არა, ასე არ უნდა შეეთვალათ, ასე არა. ცუდად შეატყობინეს, თორემ რაღა მარტო ერთადერთი კაცი ჩამოვიდა თავისი ჩაგლაგით, სხვები ჯერ არ ჩანან და ალბათ აღარც ჩამოვლენ. რა გააჩერებდა ლაშკითელებს, სელხას სიკვდილი რომ გავგოთ?

გული ეთუთქება მოხუცს, გული. ვანა სელხას ღირსება მარტო ისაა, ლადის სიდედრი რომ იყო? არა, ეს ადამიანის უპატივცემულობაა და მერე როგორი ადამიანისა! — ყაითანთა შთამომავლის სელხასი, ახალგაზრდობაში ვარსკვლავს რომ ეთამაშებოდა. ბევრი ჭაბუკი ოხრავდა და მზად იყო სიციცხლე გაეწირა სელხასთვის. გათხოვებამაც ვერ დაჩრდილა მისი სილაშაზე, პირიქით, უფრო მეტად აბდღვრივდა. ბევრი შვილი გამოზარდა, საუბედუროდ ერთიღა შემორჩა ცოცხალი. გულითადი, პატიოსანი ქალი იყო, ვის არ ახსოვს მისი პურ-მარილი, რამდენი სიკეთე უქნია ლაშკითელებისათვის. ცხარე ცრემლით უნდა დაიტირონ და ისე გააცილონ უკანასკნელ გზაზე. ეპ, რა უსამართლობაა!

ასე ფიქრობდა მოხუცი, დილიდან აქ იჯდა და თანასოფლელების ჩამოსვ-

ლას ელოდებოდა. ცხენიდან ჩამოხდა თუ არა გიჯი, ჩანთა მასთან გაჩნდა.

— რა დაგემართათ, ლაშქითელებო, უბედურება ხომ არაა თქვენს თავს? თუ გვიან გაცნობეს სელხას სიკვდილი? გელოდებით და თქვენ კი არა და არ ჩანხართ.

გიჯი დაიბნა, მერე უპასუხა:

— არა, ისეთი არაფერი მომხდარა, ჩამოვლენ ალბათ, მაგრამ სიკვდილი და ადრე წამოვვდი.

ჩანთას შეეძლო ამდგარიყო და წასულიყო, შეეძლო სულაც არ დასწრებოდა დაკრძალვას. ვინ იტყოდა საყვედურს მოხუცსა და ავადმყოფ კაცზე?

მართალია, ჩანთას ბევრი ნაზი მოგონება აკავშირებდა სელხასთან და მისმა სიკვდილმა ძალზე ააღელვა, მაგრამ სხვა მიზეზმაც აიძულა დაკრძალვაზე მოსლა; დარწმუნებული იყო სელხას დასატირებლად მისი თანასოფლელები ჩამოვიდოდნენ და რას იტყოდნენ ლაშქითელები, ჩანთა ჩრიგბას ოჯახიდან კაცი შეიღს რომ ვერ ნახავდნენ?! ოჯახი გაელანძლებოდა. პო, ასე მოხდებოდა, ჩანთა რომ არ მოსულიყო დაკრძალვაზე.

ჩანთას რძალი ლენა და ლადი ერთმანეთში ვერ იყვნენ კარგად. რამდენიმე წლის წინათ, როცა ლენა ლადისთან მუშაობდა სამრეწველო საქონლის მაღაზიაში, რევიზიამ გააფლანგვა აღმოაჩინა, ლადი მაღაზიის გამგე იყო და შეეცადა ყველაფერი ლენასთვის გადაებრალეზინა. მაგრამ არც ლენა იყო მამა აბრამის ბატკანი, როგორღაც მოახერხა მშრალზე გამოსვლა. მართალია, ლადიმაც დაიძვრინა თავი, მაგრამ ამბობენ, ეს ამბავი ძვირად დაუჯდაო. ამიტომ არ წავიდა ლენა დაკრძალვაზე და არც ქმარი გაუშვა. ჩანთა მართლ მოვიდა. ყველაფერი ყველაფერი და თანასოფლელების ნახვაც უნდოდა მოხუცს. დიდი ხანია არ ენახა ისინი, ბევრი რამ ჰქონდა სათქმელი, უნდოდა გული გადაეშალა მათთვის.

როცა საბოლოოდ დარწმუნდა, ლაშქითელები აღარ ჩამოვლენო, ჩანთა ჩრიგბა მძიმედ წამოდგა და მიცვალებულის ნათესავებისკენ გაემართა, ტყავის პალტოში გამოწყებილ ლადისთან მივიდა და უთხრა:

— რას ვიზამთ, მე წავალ, ტყუილა რატომ უნდა დავიკავო ადგილი, როცა ვერაფერში გეხმარები? მწუხარება აღარ გენახოს და შენს ეზოში სულ სამხიარულოდ შეკრებილიყოს ხალხი.

ჯოხს მაგრად დაეყრდნო და კოჭლობით ჭიშკრამდე მივიდა, იქ კი შეყოვნდა, თითქოს რაღაც დაავიწყდაო, მოტრიალდა და კიდევ ერთხელ შეხედა შაოსანი ქალებით გარშემორტყმულ კუბოს. ეზოდან გამოვიდა და ქუჩას გაუყვა. „თურმე ყოველთვის როდი იმარჯვებს სიმართლე, — ფიქრობდა ის მწარედ, — სიკეთის მთესველმა სელხამ თავისი მამაპაპური კერის ნაცვლად სადღაც სხვის სახლში განუტევა სული. ისე მაინც მთელი სიცოცხლე ნათესავებისა და მეზობლების ჭირისა და ლხინის თანაზიარი იყო და ახლა ისე მიდის ამ ქვეყნიდან, მათი ცრემლიც კი არ მიჰყვება. ეს კიდევ არაფერი, ყველაზე ცუდი ის არის, რომ წინაპართა წესს არღვევენ და იქ არ კრძალავენ სელხას, სადაც დაიბადა. არც აქ გაუმართლა საცოდავს“. ვინმე მაინც ჩამოსულიყო ლაშქითიდან, რომ დალაპარაკებოდა.

ჩანთა შეჩურდა, ჯოხს დაეყრდნო და თავი ჩაქინდრა, თითქოს მხრებზე დიდი ტვირთი დააწვაო. გულში გატვალა და ისე იტაცა ხელი მკერდზე, თითქოს ზედ დასობილი ლახვარი. უნდა ამოიგლიჯოსო.

მზე ჩავიდა. გაზაფხულის ნისლი ჩამოწვა და ჩამობნელდა. ფართო გზის აქეთ-იქით დაკიდებული ფარნების შუქი ნისლში მღვრიე ლაქებად დნებოდა. რკინიგზის სადგურიდან ორთქლმავლების კივილი აღწევდა. აქ კი შარავნაზე თა-

ვჩაქინდრული მილოღიალობდა ჩანთა და ჩამოწოლილ სიჩუმეში მისი ჯოხის კაკუნილა ისმოდა.

„რამდენი გადაყრუებული ბებერი დადის მიწაზე, და კიდევ სიტყვებზე ფიქრი ასულდგმულებთ. სიკვდილზე არც კი ფიქრობენ, — ფიქრს მიუბრუნდა ჩანთა, მერე საკუთარ თავსვე შეედავა, — რაღა სხვებზე ლაპარაკობ, თვითონაც ამ დღეში არა ხარ?!“

რაც მშობლიური ლაშკითი მიატოვა, ჩანთა ყოველ ცინძარულ დღეზე ფიქრობა, სად დამმარხავენო. მაგრამ განა ოდესმე სერიოზულად ულაპარაკია ამაზე? არასოდეს. იმედი ჰქონდა, კიდევ მოვასწრებო.

ჯერ კიდევ გუშინ იმედი ჰქონდა, დღეს კი ტვინს უბურღავს ფიქრი, რომ უკვე მოხუცია, ავადმყოფი, ყოველ წუთს შეიძლება განუტევეს სული და მაშინ საცოდავ სელხასავით უცხო მიწას მიაბარებენ, უცხო საფლავებს შორის გაუთხრიან მიწას. ცხადია, იქ, საერთო სასაფლაოზეც კი კრძალავენ ღირსეულ ადამიანებს. მაგრამ თვითონ მაინც მშობლიური სოფლის სასაფლაო ურჩევნია, მთის ძირას, სადაც მისმა ცხოვრებამ გაიარა, საცა შრომობდა, ოფლად იღვრებოდა, სადაც შეიყვარა ის, ვისი სიყვარულიც დღემდე შემორჩა.

ძეგლის დადგმა არად ჰირდება, არც არავის მოაფიქრდება, უბრალო ქვის საფლავზეც არ ოცნებობს. კარგი იქნება, ყვავილი რომ ამოვიდოდეს საფლავზე, გამვლელი შენიშნავს და შეჩერდება. ჩანთასთვის ესეც კმარა.

ჰო, ლაშკითის მიწაში უნდა განისვენოს სამუდამოდ. ესაა ჩანთას ანდერძი. აუსრულებენ კი? ამასღა დარდობს მოხუცი. თუ აქამდე გულში ინახავდა ამ სურვილს, ახლა ვერ მოისვენებს, უნდა გაამჟღავნოს, დღესვე უნდა თქვას. შინ შივა და შვილსა და რძალს თხოვს, დასხდნენ და მოუსმინონ მის ანდერძს.

რძალი — დღესავით ნათლად აქვს წარმოდგენილი — ჯერ კი გაიოცება, მერე თავს გადააქნევს, ქმარს მალულად ჩაუკრავს თვალსა და იტყვის: მწიფეს ესროდნენ და მკვახე ცვიოდაო. სხვას არაა დაუმატებს, თავის ოთახში შევარდება, ისიც იცის, ვაჟიშვილი სათბეი ცოლს დაუჭერს მხარს: მოდი, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ. ეს ცუდი ფიქრი კი ამოიგდე თავიდან. ნუ გეშინია, როცა იქნება ყველა დავიხოცებით და ასე თუ ისე, ყველას დაგვმარხავენ, ზევით არავის დაგვტოვებენო.

არა, არა, რაც არ უნდა თქვან, ჩანთა დღეს უსათუოდ გაანდობს მათ თავის სურვილს.

* *

უკვე კარგა ჩამობნელებული იყო, როცა ჩანთა ჩრივბამ გადაწყვიტა აღარ გადაედო სათქმელი. მიიხედ-მოიხედა, თავისი სახლის ზღურბლთან იდგა. ელექტრონით გაჩაჩჩაბებულ მაღალ აივანზე სათბეი დაინახა, შავ კოსტუმში გამოწყობილი. გულმოდგინედ იწმენდდა ჯაგროსით ფეხსაცმელებს. იქვე ვილაყა უცნობი, თხელლაბადიანი ახალგაზრდა დაყრდნობოდა მოაჯირს.

„ამათთვის ყველაფერი იოლია, ახალგაზრდები არიან“. — გაიფიქრა ჩანთამ და კიბეს შეუყვია. სტუმარს მიესალმა და შინ შევიდა. ვიწრო დერეფანში ქალების ხმა გაიგონა, სუნამოს სუნნი ეცა. „ლენა წასასვლელად ემზადება. სად მიდის, ღმერთმა იცია“, — ჩაიბურტყუნა თავისთვის. შემობრუნდა და ღრიჭოდ დარჩენილ კარში რძალს მოჰკრა თვალი. ლენა სარკის წინ იდგა და ახალ ქუდს ისინჯავდა. ვილაყ გამოპრანჭული ქალი კი მრგვალ მაგიდასთან მიძვდარიყო, ფეხი ფეხზე გადაედო და ყურადღებით ათვალთვრებდა შორიდან.

თავის ოთახში შესულ მოხუცს ქალების კისკისი შემოესმა, „რა უბედურება ჭირს ამ ქალებს, სარკეს ვერ მოაცილებ“, — გაიფიქრა და კინალამ ხმამაღლა წამოსცდა ნაფიქრი.

ჩანთამ პალტო და ბოხობი საკიდარზე ჩამოკიდა, მერე კვინსა-კვინსით დიდხანს იხდიდა ჩექმებს. როგორც იქნა, ფლოსტებში წაუყარა ნივთები, წაუკიბა ხავი გაზეთები აიღო და მოხერხებულად მოიკალათა ტახტზე! ჩანთა ყურადღებით კითხულობდა გაზეთებს, განსაკუთრებით უცხოეთის ამბები აინტერესებდა. გაშლიდა იგი არა გაზეთს, პირველად ვიეტნამის ცნობებს მოძებნიდა. სამინლად წუხდა, იქ უღანაშაულო ადამიანების სისხლი რომ იღვრებოდა და თვითონ კი არხეინად ცხოვრობდა, ჭამდა და სვამდა. ახლა კი არც ერთი გაზეთი არ გაუშლია, აიღო და გვერდზე გადააწყო. თავბრუ ეხვეოდა, თითქოს ძილი ერეოდა.

უცბად კარები გაიღო და ლენა გამოჩნდა, დიდი საფულის საკეტი გაატყა-ცუნა, პატარა სარკეში თავი შეათვალიერა და თქვა:

— ჩანთა აბასოვიჩ, თუ არ გეწყინებათ, სანდროსთან წასვლა გვინდა, მისი ცოლის დაბადების დღეა. იქნებ გეჭამათ რამე? ყველაფერი სამზარეულოს კარადაშია. აბა, უჩვენოდ არ მოიწყინოთ, რადიოს მოუსმინეთ, ტელევიზორი ჩართეთ. ვეცდებით, არ დავიგვიანოთ.

მიიხურა თუ არა კარი, ქალმა თავის მეგობარს გაუბა მხიარული მასლაათი. საჭმელი თუ გინდაო? ახლა საჭმლისთვის არ სცხელოდა ჩანთას. არც იმას აუღელვებია, მამის სახელით რომ მიმართა ლენამ, შეეჩვია, მისი რძალი ანგარიშს რომ არ უწევდა მამა-პაპურ ზნე-ჩვეულებებს. მისმა განსაკუთრებულმა მოწიწებამ („თუ არ გეწყინებათ“) და მზრუნველობამ („არ მოიწყინოთ“) კი გააბრაზა. შესანიშნავად იცოდა, ეს ყველაფერი სხვის გასაგონად თქვა, რომ დაენახათ, აი, თურმე როგორი პატივისცემით ეპყრობიან ამ ოჯახში მამამთილს, ნაბიჯსაც არ ადგამენ მისი ნებართვის გარეშეო.

სახლში სიჩუმე ჩამოწვა, ქუჩიდან მოღწეული მანქანის ხმა თუ გაკვეთავდა ჰაერს ხანდახან. ჩანთას უყვარდა მარტულობის ეამს რადიოსა და ტელევიზორის მოსმენა, მაგრამ ახლა ვერ იქნა და ვერ გაექცა თავის ფიქრებს, რომლებიც ტალღებივით მოგორავდნენ, შეუსვენებლად ეხეთქებოდნენ ჩანთას და სადღაც შორეთში მიაქანებდნენ.

ლაშკითელებზე ფიქრმა უნებლიეთ ბავშვობა გაახსენა. დედ-მამა. მერე ჭაბუკობაც დაუდგა თვალწინ. როცა თავგზა დაუკარგა ყაითახელთა გვარის ქალის. სელხას სიყვარულმა, სამი წელი გასაქანს არ აძლევდა ქალწულს, ის დღე დღედ არ მიაჩნდა, როცა თვალს ვერ მოკრავდა გულის რჩეულს. ერთხელ მამის უკითხავად მეწველი კამეჩი გაჰყიდა, ცოტაოდენი გადანახული ფულიც დაუმატა და არნახული სილამაზის ლურჯა იყიდა. უნდოდა დოღზე თავი მოეწონებინა სელხასთვის. ყოველთვის იქ გაჩნდებოდა, სადაც სელხა იყო. დოღში თუ ისინდში გამარჯვებული მაშინვე სელხას ეახლებოდა და ეტყოდა: „შენ რომ არ იყო, გული დამეგლიჯებოდა, შუა დოღში წამექცეოდა ცხენი“. არც სელხა იშურებდა ჰალხად ალერხიან სიტყვას, მაგრამ წელი წელს მისდევდა და ცოლობაზე არ თანხმდებოდა. ბოლოს ბედმა დააშორა ისინი ერთმანეთს. სელხა სხვას გაჰყვა ცოლად, ცოტა ხნის შემდეგ ჩანთაც დაქორწინდა, მაგრამ კიდევ დიდხანს იტანჯებოდა, როცა შემთხვევით მოპკრავდა თვალს სელხას.

მოგონებებმა გუნება მოუწამლა ჩანთას. ოთახში ბოლთის ცემით მოიღალა. ტახტზე ჩამოჯდა, ცივი წყალი დაისხა და წრუპავდა, ხანდახან ღერეფანში ფეხის ხმას მიუგდებდა ყურს, მაგრამ ამაოდ — კუნაპეტ სიბნელეში არაეინ ჩანდა.

უკვე გვიანი იყო, მაგრამ ვაჟიშვილი და რძალი რომ დაბრუნებულიყვნენ, ჩანთა მაინც დასხამდა მათ და უსათუოდ გაანდობდა თავისი წრიალისა და უძილობის მიზეზს. თითქოს ჯიბრზე, არავინ ჩანდა.



ქართული
საბჭოთაო
წიგნობა

სანამ ცოლი ჰყავდა ცოცხალი, ჩანთა ჩრიგბა ჯანმრთელობას არ უჩიოდა, თუმცა წლები კი ახსენებდა ხანდახან თავს. მისი ერთადერთი ცოლიანი ვაჟი დიდი ხანია, რაც ქალაქში ცხოვრობდა. ჩანთა ფიქრადაც არ გაივლებდა, თუ ოდესმე თვითონაც მიატოვებდა მშობლიურ კერას. ლაშქითური ყველაფერი მოსწონდა ჩანთას. დიდიან-პატარიანად პატივსა სცემდნენ. მაგრამ ცოლის მოულოდნელმა სიკვდილმა უცებ მოტეხა, სიცოცხლით სავსე, მხიარული, მოსწრებული სიტყვა-პასუხის კაცი პირქუში გახადა.

თავდაპირველად ხშირ-ხშირად აკითხავდნენ მეზობლები. ცდილობდნენ როგორმე გაერთოთ, სიმარტოვე არ ეგრძნობინებინათ, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ. ჩანთას უფრო და უფრო ერეოდა სიძაბუნე. ერთხელ, ზამთარში გაცივდა და ჩაწვა. ისე ცუდად შეიქნა, მეზობლებს შვილი გამოაძაბებინა ქალაქიდან. სათბეი მანქანით ჩამოვიდა, თან ცოლი და ექიმიც ჩამოიყვანა. იმ დღეს გადაწყდა ჩანთას ბედი. შვილმა და რძალმა ქალაქში წაიყვანეს მოხუცი. ძროხა და მთელი მეურნეობა მეზობლებს ჩააბარეს. ჩავიდნენ თუ არა ქალაქში, მაშინვე საავადმყოფოში დააწვინეს ჩანთა — ბევრზე ეკიდა მისი სიცოცხლე, ექიმებს გადარჩენის იმედი არ ჰქონდათ. სამი თვე გაატარა საავადმყოფოში. ცოტა რომ მოიკეთა, შვილმა შინ წაიყვანა. მთელი ნახევარი წელი საწოლზე იყო მიჯაჭვული ბერიკაცი.

სწორედ მაშინ, ჩანთას სიცოცხლე რომ ბევრზე ეკიდა, რევიზიამ რძალს მალაზიაში საკმაოდ დიდი დანაკლისი აღმოუჩინა. ეს რომ არა, შვილი და რძალი თუნდაც მხოლოდ თავაზიანობის გამო არ გადაწყვეტდნენ ხელი ეხლოთ მამის ქონებისათვის, მაგრამ დანაკლისის დასაფარავად ფული დასჭირდათ. თანაც კილაც-ვილაცების მოქრთამვაც იყო საჭირო, საქმე რომ არ გახმაურებულიყო. „მაკალეთ სიკვდილი, ჩემს წაბლის ოდაში დამიტირეთ და მერე რაც გინდათ, ის უქენით, თუ გინდათ, დაწვითო“, — იხვეწებოდა ლოგინში ჩავარდნილი ჩანთა.

არ გაჭრა თხოვნამ, შვილმა და რძალმა ჯერ საქონელი გაჰყიდეს, მერე სახლიც მიაყოლეს ზედ. მოკლედ — გააცამტვერეს მოხუცი, არაფერი დაუტოვეს ლაშქითში; ახლაც ვერ მოდიოდა ბერიკაცი აზრზე, მისი წაბლის ოდა, დიახაც წაბლის, უბრალო ხის კი არა, მისი ნიკორა ძროხა და თვინიერი ხარები რაღაც გამოუცნობი ვალებისათვის როგორ გაიმეტეს. „ეარგად თუ ავად, თავისი კარ-მიდამო ჰქონდა, ახლა კი ყველაფერი უფსკრულში ჩაინთქა“. ამას ვერ შერიგებოდა მოხუცი. ლენა პირველ ხანებში ისე იჭერდა თავს, ვითომდა აქ არაფერიყო, მაგრამ ნერვიულობდა, ძალიან გახდა. ცოტა ხნის მერე კი, ამ ამბებმა რომ ჩაიარა, ისევ მოიკეთა. მალაზიიდან თავისი სურვილით წავიდა და მოდების ერთადერთი ატელიეს დირექტორად დანიშნეს.

მომჯობინებული ჩანთა, უნდოდა თუ არა, ქალაქში უნდა დარჩენილიყო. სოფელში აღარაფერი გააჩნდა — ერთი სული ჰქონდა ლაშქითში ჩასულიყო და მშობლიური ადგილებისათვის შეეცლოთ თვალი. ბოლოს და ბოლოს ძველ მეზობლებთან გაათევადა ლამეს, მაგრამ ვერ ბედავდა ნაავადმყოფარი ბერიკაცი. თავს აიძულებდა შეგუებოდა ქალაქის ცხოვრებას, იცოდა, სოფელზე ფიქრი უკვე ამით ოცნება იყო.

ჩანთა სათბებისთან ცხოვრობდა, ერთადერთ ვაჟიშვილთან, ოთახიც ცალკე ჰქონდა, მაგრამ ეს ოთხი თვალი სახლი რძლის საკუთრება იყო, შემკვიდრობით ჰქონდა მიღებული. ჰოდა, თვითონ კი არა და შვილიც სხვის ჯერჯვეთ ცხოვრობდა. ღმერთმა დაიფაროს და, რომ განაწყენდეს ლენა, ორივეს აგვიკრავს გუდა-ნაბადსო, — არაერთხელ უფიქრია ჩანთას.

ისე სიმართლე რომ ვთქვათ, არცთუ ცუდად ცხოვრობდა მარტო ქალაქში. მართალია, რძალს ჰქონდა ზოგიერთი ნაკლი, მაგრამ მამამთილს ნამდვილად უვლიდა. აი, უკვე რვა წელია, რაც ჩანთა ქალაქში ცხოვრობდა, და ვერც ერთხელ ვერც დაიჩივლებდა, ქვეშაგები მაქვს ჭუჭყიანი ან უჭმელი დამტოვესო. ერთადერთი, რაც აწუხებდა, ავადმყოფობა იყო. კიდევ უფრო მეტად მარტობა ტანჯავდა, თუმცა მარტო ყოფნა არ ეთქმოდა. სტუმრიანი იყო მათი ოჯახი; შაბათობით ვაჟის მეგობრები, ლენას ამხანაგები იყრიდნენ თავს. „მობრძანდით მობრძანდით“, — ღიმილით ეგებებოდა ჩანთა სტუმრებს და რძლის საამებლად მათთან ერთად მიუჯდებოდა სუფრას. ორ-სამ ჭიქა ღვინოს შესვამდა, მერე ბოდვის მოიხდიდა, ცუდადა ვარო, და წავიდოდა.

იცოდა, რძალს სიამოვნებდა, ღიდხანს რომ არ რჩებოდა სუფრასთან, ლენას ოღონდ წესები დაეცვა და... ისე, კაცმა რომ თქვას, მარტო რძლის ბრალიც არ იყო. თვითონ მოხუციც ვერ პოულობდა საერთოს ახალგაზრდებთან. ხანდახან ხელჯოხს აიღებდა ხოლმე, და სასეძინოდ მიდიოდა. პირველ რიგში თამბაქოს მალაზიაში შეივლიდა, თუთუნს იყიდდა ჩიბუხის გასატენად და შემდეგ პარკისკენ წავიდოდა. იქ ღიმი ცაცხვის ქვეშ მისი ნაცნობები იყრიდნენ თავს. პენსიონერები. ისაუბრებდნენ, იკამათებდნენ რამეზე. წინათ ასე იყო, ახლა ასეაო და მერე მთელი ჭგუფი სანაპიროს გაუყვებოდა, კაფეში შევიდოდნენ და შავ ყავას შეექცოდნენ.

წიგნის მალაზიაში შესვლაც უყვარდა ჩანთას. აინტერესებდა, რამე ახალი წიგნი ხომ არ გამოსულა აფხაზეთის ისტორიაზეო. იშვიათად თუ წააწყდებოდა ასეთ წიგნს, მაშინვე იყიდდა და თავის ოთახში ეტაყერზე მიუჩენდა ადგილს. შემთხვევით როდღე დაუბეგობრდა საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელს, კვირაში ერთხელ მაინც ხვდებოდა ჩანთა თავის მეგობარს და ამ დროს ვინმეს მისი ოთახის კარზე რომ მიეყურადებინა, უსათუოდ გაიგონებდა ხალისიან საუბარს. ამას ისეთი კამათი მოჰყვებოდა ხოლმე, კაცი იფიქრებდა, მორჩა, უკვე სამუდამოდ დაკარგავენ ერთმანეთსო. ოთახში შეხვიდოდით და ვერაფერს გაარჩევდით, ისე იყო ყველაფერი პარიპოსის კვამლით გაბურული; ალაჰმა უწყის, რომელი საუცუნის ისტორიაზე მსჯელობდნენ, ფანჯრის გამოღება კი ავიწყდებოდათ.

ჩანთამ კარგად იცოდა თქმულება აფხაზეთის ძველ სამეფოზე და დიდ ბედნიერებად ჩათვლიდა, ისეთი საბუთი თუ ჩაუვარდებოდა ხელში, ამ თქმულებას სარწმუნოს რომ გახდიდა, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ასეთ რაიმეს ვერ წააწყდებოდა. კიდევ ერთი ისტორიული საკითხი აინტერესებდა მოხუცს, სულ ასიოდე წლის წინ მომხდარი ამბები, რამაც აფხაზი მოსახლეობის ნაწილი ლტოლვილებად აქცია.

ჩანთას ვერ გაეგო, როგორ გაცვალებს პაპებმა და პაპის პაპებმა მშობლიური აფხაზური მიწა თურქეთის უნაყოფო უდაბნოებზე, მისმა საბრალო პაპამ ჩანთამა, მისმა ძმებმა და ორმა პაპილამ თურქეთის მიწაზე განუტევეს სული, კიდევ კარგი, რომ ჩანთას მამა გადასახლების დროს ბიძამ შეიხიზნა. მერე წამოიზარ-

და და ბედმა გაულიმა, მშობლიურ კერას დაუბრუნდა იაევ არა, დასაღუპად არ გასწირავდნენ თავს აფხაზები, უფრო მეტად რომ ჰყვარებოდათ მშობლიური მიწა, სამშობლო. უბედურებს ალბათ ეგონათ, მიწა ყველგან ისეთი მადლიანია, როგორც აფხაზეთშიო. განებივრებული იყო ალბათ აფხაზი სამოთხის დარი აფხაზური მიწით. ნებიერი შეილი ადვილად სცილდებოდა ხოლმე ჩვენს ალბათ ასე დაემართათ თურქეთში გადახვეწილ აფხაზებსაც — დაასვენებდა აფხაზი ხალხის შორეული ტრავადიით აფორიაქებული ჩანთა.

ყოველივე ეს ქალაქში ცხოვრების პირველ წლებში იყო, მერე და მერე ეს ინტერესიც გაუნელდა ჩანთას. ბოლო ხანებში ყოველგვარ ფიქრს გაუბოდა მოხუცი. როცა მარტო რჩებოდა, ან წიგნს კითხულობდა ან თამბაქოს ეწეოდა ხარბად, თავის ცხოვრებას ტკბილ სიზმარს ადარებდა ჩანთა. ყველაფერს ისე აკეთებდა, როგორც მამამ დაუბარა. აცხონოს ღმერთმა! მართალია, რამდენიმე წელი ქალაქური ცხოვრებაც იგემა, მაგრამ მშობლიური კერის სიყვარული არასოდეს განელგებია. ზოგ-ზოგები წერა-კითხვას ისწავლიან თუ არა, მიწას გაუბრუნდნენ, ადვილი ჰგონიათ უმიწოდ ცხოვრება. ჩანთა ამნაირებს როდი ჰგაუდა. ახლა კი, როცა თანასოფლელები თავიანთი შრომის ნაყოფით ტკბებიან, შემოირჩინა ჩანთამ, რაც პაპამისმა ჩანიმმა დაუტოვა? გარშემო ყველაფერი გადასხვაფერდა, მაგრამ მისი საყვარელი ეზო ლამკითის თვალწარმტაცი მთების კალთაზე ისევ ისე გამოიყურება, ისევ ისე შემოჯარვიან უზარმაზარი ხეები, როგორც მის ბავშვობაში იყო. ესაა, რომ ეზო გაუკაცრიელდა, აღარ ჩანს წაბლის სახლი, ბებერი ქალივით საცოდავად მოკუნტულა ფაცხა—დეკას წნელისგან მოწნული ქოხი. ქარს სისინი აბუზრებს ახლა საცოდავს თავს, დიდი ხანია სვიამ დაფარა წინაპრების ჩანავლული კერა. ეს კი—ჩანიმის შვილიშვილი, მზამზარეულზე ცხოვრობს ქალაქში. რძლის სახლში, მართალია, დაბერდა, მაგრამ ფეხზე დგომა ხომ შეუძლია, მამ რა ემართება?

„ეჰ, ჩანიმ ჩრიგბას შთამომავალს, ცოცხალი ხარ თუ ზეზეულად მკვდარი?“ შემოესმოდა ოთახში ვილაციის ხმა და, თითქოს ამ დაძახილზე, თუკი იწვა, სწრაფად წამოხტებოდა ხოლმე ჩანთა ლოგინიდან. იმ დღესაც ასე დაემართა. ტახტზე წამოწოლილი ბერიკაცი შეილისა და რძლის დაბრუნებას რომ ელოდებოდა. წამოდგა, ჭიქას მისწვდა და ხარბად მოსვა წყალი. საათს შეხედა, ღამის ორი საათი დაწყებულიყო.

„საცაა გათენდება, ისინი კი არ ჩანან“, — გაიფიქრა ჩანთამ და ფანჯარა გამოაღო. თავი გაპყო გარეთ და ქუჩის კუთხეში, სადაც ბავშვებს უყვარდათ ხოლმე ბურთაობა, ერთადერთი ფარანი შენიშნა.

„რას იზამ, უნდა დავწვე, მაგრამ დამეძინება კი?“ — გაიფიქრა ჩანთამ. ააწოლთან მივიდა, საბანი გადასწია და ტანთ გაიხადა, მაგრამ სანამ ლოგინში გაშოტვის სიამეს იგემებდა, ჩიბუხი გატენა გასაბოლებლად. ასანთს გაჭკრა და მის შუქზე გაარჩია, როგორ მიიბოლქვებოდა რუხი კვამლი ნახევრად გამოღებულ ფანჯრისკენ.

მერე ისევ ფიქრები მოეჭარა. ახლა ის გაიფიქრა, რომ ჩვენს დროში სიტყვა „კერამ“ სხვაგვარი მნიშვნელობა მიიღო. გუშინდელ გლეხკაცზე. დღეს ქალაქში რომ მუშაობს, მრავალსართულიან სახლში ცხოვრობს და ცენტრალური გათბობით და გაზქურით რომ არის უზრუნველყოფილი, ვერ ვიტყვით, კერა არ აქვსო, თუ, რა თქმა უნდა, ცოლიანია, სადაც ოჯახია, იქ კერაცაა. მაგრამ თუ იმ

გლეს გაუნელდება კერის სიყვარული, რომელიც დაბადებიდან სოფელში ცხოვრობს, ნამდვილ კერასთან, მაშინ ცუდადაა საქმე.

— ოპ, ოპ, რა დამემართა? საცაა გათენდება, — უნებლიეთ წარმოთქვა ბერიკაცმა.

ჩიბუხიდან ფერფლი გადმობერტყა და საწოლის თავთან დადგმულ ტახტზე შემოდო თამბაქოიანი კოლოფის გვერდით. ტიქვში წაშალე ჩაწვეთა, დალია, შუქი ჩააქრო და ლოგინში შეწვა.

მძიმე დღე ჰქონდა ჩანთას და არც ღამემ მოუტანა სიკეთე.

მთელი კვირა გავიდა. ჩანთამ გვერდზე მოისვია შვილი და რძალი, როგორც იქნა გაუმხილა სატკივარი, დღე და ღამე რომ არ ასვენებდა. ერთობ გაუკვირდა, რომ გაუგეს. ამჯერად ბერიკაცს დაპირდნენ, ღმერთმა დაიფაროს და, თუ უბედურება გეწვევა, მშობლიურ ლაშკითში დაგვრძალავთო. თითქოს ბოლო მოელო უსიამოვნო ფიქრს, მაგრამ აი, ერთი კვირაც მიიწურა და ჩანთას კვლავ ეტყმა დაუწყო ღრღნა. ვაითუ არ შეუსრულდეს დანაპირები? „შეიძლება ვენდო იმათ სიტყვას, როცა ჩემს უკითხავად გამიყიდეს კარ-მიდამო, სულის ამოსვლა არ მაცალეს და ისე გამიყიდეს?“ — გაიფიქრა ჩანთამ.

და ერთ მშვენიერ დღეს გამოაცხადა, ხვალ ლაშკითში მივდივარო.

— ხომ იცით, რამდენი ხანია არა ვყოფილვარ სოფელში, რაც დრო გადის, უფრო მიმიწევს გული იქითკენ. ცოტა ხანს მეზობლებთან დავრჩები. არაფერზე იგავროთ...

შვილმა და რძალმა ერთმანეთს გადახედეს, არ იცოდნენ, რა ეპასუხათ. დარწმუნებული იყვნენ, მოხუცმა დიდი ხანია ამოიღო გულიდან ლაშკითს გამგზავრებაო. „რამ აგტეხა“, — კინაღამ წამოსცდა სათბუის, მაგრამ, რაც უნდა იყოს, ჩანთას შვილი იყო და ვერაფერი შეჰკადრა მოხუცს.

— ვინმეს უნდა გაჰყვე მანქანით. გაგიჭირდება, მამაჩემო.

— მანქანა რათ მინდა. ლაშკითში ახლა ავტობუსი დადის. ამინდიც მშვენიერია, მოკლედ, ნურაფრის გედარდებათ.

— ავადმყოფობამ არ შეგიბრუნლტო, საღამოობით გრილა ხოლმე, — უთხრა ლენამ. იგი ვერ იტანდა სოფელზე ლაპარაკს. — ნუ დაგავიწყდებათ, გულით ავადმყოფი ხართ, მთამ არ გაწყინოთ.

— რას ვიზამთ, მაშინ იქვე დამიტირებენ და დამმარხავენ.

— ყოველთვის ასეა, როცა ლაშკითზე დაიწყებთ ლაპარაკს, უსათუოდ უსიამოვნო ფიქრები მოგივათ თავში, — უთხრა ლენამ, გაბრაზებული წამოხტა ტახტიდან და თავის ოთახს მიამშურა.

III

გაზაფხულშია, სულ ცოტა ხნის წინ მორცხვად რომ მოაბიჯებდა. ძალა მოიკრიბა, ზამთარი გააბიჯა და სრულუფლებიან დიასახლისად მოევიწყა დედამიწას. უხვად უნაწილებდა ხალხს სიბბოს. მზიარულად ჭიკჭიკებდნენ და ცისკიდურს ეკვროდნენ პირველი მერცხლები, ფრთებიან რომ მოუტანეს ხალხს წელიწადის ეს ნანატრი დრო. მოკრიალებული ცა მერცხლების გუნდს შეეჭარფლა.

მზე მალლა იდგა. მაგრამ მისი სხივები ეი არ წვადა, სიამით ავსებდა სხეულს და ამიტომ ჩრდილი არაფრის იზიდავდა ჯერ.

მაშინაც ზუსტად ასე იყო, ქალაქიდან მოსული ავტობუსი რომ მიადგა სოფლის საბჭოს ეზოს. ავტობუსიდან სულ ბოლოს მოხუცი ჩანთა ჩრიგბა ჩამოვიდა.

ორი კაცი მაშინვე მიეგება მოხუცს. ახალგაზრდა შაოსანი ქალი კი მორიდებულად ეახლა და მკერდზე ეამბორა, მერე შეტრიალდა და ისე უეცრად გაშორდა, რომ ჩანთამ ვერც კი გაიხსენა, ეინ იყო.

ჩანთა კაკლის ხის ქვეშ შეჩერდა, სადაც ორივე მხარეს ხის გრძელი სკამები იდგა. კარგად ახსოვდა ეს ხე ცისკენ აწვდილი ორი კვებებით და მტრით. ერთ-ერთის ვარჯი შესამჩნევად შემხმარიყო და გული დაწყდა მოხუცს. ჩუჩკრბან გამოვიდა ჩანთა და მთის ძირს გაუყვა, რაღაც ახალი შენობა შენიშნა შორიდან, მიუახლოვდა და შეჩერდა, დაბალ ზღუდეს დაეყრდნო.

„ყოჩაღ, ლაშქითელებო, უყურე, რა ლამაზი სკოლა წამოუჭიმავთ?! ჩემსობას მხოლოდ ლაპარაკი იყო ამაზე“. ნასიამოვნებმა გაიფიქრა ლამაზ ორსართულიან სკოლაზე მიჩერებულმა ჩანთამ.

საკლასო ოთახებიდან ბავშვების ყრიაძული ისმოდა. ყური მიუგდო ჩანთამ და გაიღიმა. უცბად პატარა, ოროთახიანი, ბოიებზე დადგმული ფიჭოული სახლი ამოუტივტივდა მცხსიურებაში. ეს იყო სოფლის პირველი სკოლა, სადაც თავად სწავლობდა საუკუნის დასაწყისში. სწორედ ამ ადგილას იდგა ძველი სკოლა და ჩანთას თითქოს დაენახა იგი. უნდოდა ახლაც მდგარიყო აქ, ახალი სკოლის გვერდით.

ცოტა მოშორებით, სადაც კვიპაროსების ფრთხილი მწკრივი წყდებოდა, რაღაც ახალ შენობას ამთავრებდნენ. იქვე ამწე აღმართულიყო და აგურებს აწვდიდა მშენებლებს. კალატოზებს კედელი აპყავდათ. ჩანთა ჭიშკარს მიუახლოვდა. ეზოში ზედიზედ შედიოდა და ივადიოდა საბარგო მანქანები. სანამ შიგ შესვლა გადაწყვეტდა მოხუცი, ეზოდან მაღალი, ხმელ-ხმელი, ახალგაზრდა კაცი გამოვიდა ლილინ-ლილინით.

— მითხარით, გეთაყვა, რას აშენებენ აქ? — ჰკითხა ჩანთამ მისალმების შემდეგ.

ახალგაზრდა კაცი ენაწყლიანი და ხუმარა გამოდგა. ჯარისკაცივით გამოეჭიმა მოხუცს და მოახსენა:

— აქ, პაპავ-ბატონო, შენდება დღემდე არსად ნახული ლაშქითის კულტურის სასახლე, — მართო ეს როდი იქმარა ახალგაზრდამ, თითქოს სწორედ იმისთვის გამოვიდა ეზოდან, რომ ჩანთა ჩრივბას შეხვედროდა და ეამბნა, როგორი იქნებოდა ლაშქითის კულტურის სახლი. — სამსართულიანი იქნება, დიდი, ექვსსაადგილიანი დარბაზი ექნება, ცალკე კიდეც ორსაადგილიანი კინოდარბაზი. ერთი კედელი მთლიანად მინის ექნება. პერიც საკმარიანი იქნება და შექიც, ლოცვები, ფოიე. სოხუმის სახელმწიფო თეატრი ვერ მოვა ამასთან, არც იფიქროთ მათი შედარება, ძვირფასო პაპავ, მოძავალი წლის გაზაფხულისათვის უნდა დავამთავროთ. იმ დღეს, რა თქმა უნდა, ზეიმით აღვნიშნავთ, ახალი ფურცელი გადაიშლება ლაშქითის ისტორიაში. ლაშქითი, ლაშქითი! დაე, ყველამ იცოდეს, რომ ეს დედამიწის ცენტრია! არ იფიქროთ, ვხუმრობდე, მართლა ასე იქნება: სიმღერა, ცეკვა, დოლი... გაინტერესებთ, ვისთან გაქვთ საქმე? წარმოგიდგებით: გვანად ლაშქიანა ვარ. მამაჩემს გადრა ჰქვია, ბაბუას ყაზახუ. მოგეხსენებათ, მეც გამაჩნია საკუთარი სახელი, მაგრამ, ღმერთმა აცხონოს ბაბუაჩემი და, მის პატივსაცემად ყაზახუს შვილიშვილს მეძახის ყველა.

ჩანთა გაოცებული უყურებდა კუბოკრულპერანგიან ჭაბუკს და არ იცოდა, რა ეფიქრა. ის კი დონჩშემორტყმული იდგა და არ ჩერდებოდა:

— კვებნად ნუ ჩამითვლით და ამ მშენებლობას მე ვხელმძღვანელობ, უფ-

რო სწორად, მშენებლობის მწარმოებელი ვარ. როგორც კი დავამთავრებთ ამ
ობიექტს, მეორეს დავიწყებთ. გახედეთ, აი, იქ, სადაც ბებერი მურყნის ხეა,
საბავშვო ბაღი აშენდება, ცოტა იქით, მოსახვევს რომ გასცდებით, სავაჭრო ცენ-
ტრი და საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი იქნება. მდინარის დაბ-
ლობზე კი იპოდრომი და სტადიონი გაიჭიმება... ეი, ეი, მუქი ცხენო!

თითები პირში ჩაიდო ახალგაზრდამ, დაუსტუინა და მანქანას გაე-
კიდა. ბორტს ჩაებლაუჭა, ძარაზე აძერა, შემობრუნდა და გზაში მარტო დარჩე-
ნილ მოხუცს გასძახა:

— მაპატიე, ბავშვა, მაპატიე, მეჩქარება!

იღვა ჯოხს დაყრდნობილი ჩანთა, ფეხი არ მოუცვლია, კარგა ხანს იღვა ასე,
ფიქრობდა, ნეტა რა ეაცია ეს ყაზახუს შვილიშვილიო? სულმოუთქმელად ტრი-
ჭინებდა ტრიჭინასავით. მერე უეცრად მოწყდა ადგილს და ქორივით აიჭრა მან-
ქანაზე. არა, ზუსტად კია. მაგრამ, ეტყობა, საქმიანი ბიჭია, დაასკვნა ბოლოს და
მალაზიისკენ წავიდა ასანთის საყიდლად, შინიდან საქმარისი არ წამოეღო.

ჩანთა კარგად იცნობდა ლაშუნბა ყაზახუს. უსუსური მოხუცი იყო და თანაც
საშინელი ზარმაცია. ააშენებდა რამეს ვი არადა, ტიშკარს ვერ შეაბამდა უხოს.
დღეს კი, შეხედე, რა შვილიშვილი ჰყავს. როგორც ჩანს, ყველაფერი დედ-მა-
მისაგან არ გამოყვება ხოლმე შვილს. აღზრდაზედაც ბევრი რამაა დამოკიდებუ-
ლი, გაიფიქრა ჩანთამ და მძიმედ ამოიოხრა, ნუთუ ისე ჩავა მიწაში, რომ შვი-
ლიშვილს ვერ ეღირსება? როგორიც გინდა იყოს, თლონდ შვილიშვილი ერქვას.

მალაზია მოეწონა ჩანთას. კონტად იყო დალაგებული, დახლთან ვილაც ქა-
ლი და კაცი იდგნენ და რაღაცას ათვალთვრებდნენ. იქით გამყიდველი ქალიშ-
ვილი რადიოლაზე ფირფიტას უკრავდა და ორ ახალგაზრდას აფხაზურ სიმღე-
რებს ასმენინებდა. ჩანთამ ასანთი იყიდა, დახლს იდაყვებით ჩამოეყრდნო და
ნაცნობ სიმღერას დაუგდო ყური.

ეს ძველებური გმირული სიმღერა ბავშვობიდან იცოდა ჩანთამ. თვითონაც
ხშირად უმღერია თავისი წერილა ხმით და ჰგონებია — ცას წვდებაო ჩემი ხმა.
დღეს კი ნაღვლიანი და მწუხარე ეჩვენა ნაცნობი პანგო.

სოფლის საბჭოს მოედანი და მალაზია უკან მოიტოვა ჩანთამ. ამ გზით მი-
დიოდა, მურყნის ქალას რომ ტრიოდა. გზის შესაყართან მოხუცს საბარგო მანქანა
წამოეწია. კაბინის ფეხსადგამზე გაჩერებული ახალგაზრდა გადმოხტა, ყაზახუს
შვილიშვილი იყო. ცოტა ხნის წინ რომ გაიცნო ჩანთამ.

ახალგაზრდამ ერთხელ კიდევ მოიხადა ბოდისი, სწორედ მაშინ გამახსენდა.
სასწრაფო საქმე რომ მქონდაო. შემდეგ უთხრა:

— გიცანით, თქვენ ჩანთა ჩრიგბა ხართ, ბავშვობაში დედას ხშირად დავყა-
ვდი თქვენთან. მახსოვს, ერთხელ მეწველი ძროხა მოგვიკვდა, აქტის შედგენა
იყო საჭირო დაზღვევის მისაღებად. თქვენ დაგვეხმარეთ მაშინ, განცხადება და-
გვიწერეთ. ისიც მახსოვს, მგონი, მაჩაგვას მეზობლად ცხოვრობდით, ძველი ცი-
ხის ნანგრევების ახლოს. ყველას ახსოვხართ, გული წყდებათ, სოფლიდან რომ
წახვედით. ალბათ ზევით ახვალთ, არა?

— ჰო, შვილო, ავალ ერთი-ორი დღით. მაჩაგვას ნახვაც მინდა, — უპასუ-
ხა ჩანთამ.

დიდხანს მიდიოდნენ ერთად, საუბარიც ააწყვეს. მოხუცი დაინტერესდა,
რა განათლება ჰქონდა ყაზახუს შვილიშვილს და თავისი სურვილით თუ დაუბ-
რუნდა ლაშკითს. ახალგაზრდას ხარკოვის საამშენებლო ინსტიტუტი დაუმთავ-

რებია. ორი წელი აფხაზეთის მშენებელთა უმუშევრობა და ბოლოს თავის სოფელში დაბრუნებულა.

— იცით, აქ საჭირო ვარ, საქმე ყელამდეა, — თქვა და ხელახლა დაიწყო ჩამოთვლა, რა უნდა აეშენებინათ ლაშქარში.

— ყველაფერი ძალიან კარგია, მაგრამ გაართმევს კი თავს მშენებლობას?

— რატომაც არა? — წამოიძახა ყაზახუს შვილიშვილმა. — თქვენ თითონ განსაჯეთ, წელიწადში ათას ორასი ტონა ჩაის ფოთოლი, ასი ტონა მალახარისხოვანი თამბაქო, განა ეს ცოტაა? დაიფიწყეთ, რაც იყო, ახლა ჩვენი კოლმეურნეობა მდიდარია; შეხედეთ, როგორ ცხოვრობენ კოლმეურნეები! ყველგან ახალი სახლები ქათქათებს. აგე, ჭიშკარს ხედავთ? იქ შალვა მსარდნა ესახლება. დიდი ხნის წინათ წასულა და ახლა დაბრუნდა, ხელახლა შევიდა კოლექტივში. იქითა მხარეს კი, ხედავთ, საძირკველი რომ არის ჩაყრილი, ალბათ იცით, ბაჭვა შატ-იფა ესახლება, აქეთ-იქით კი მისი ვაჟიშვილები...

საუბარმა გაიტაცა ყაზახუს შვილიშვილი. ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდა, ვერც კი ამჩნევდა, ისე ჩამოიტოვებდა ხოლმე ჩანთას, მერე უკან ბრუნდებოდა და ბოდიშს იხდიდა.

— ერთია ცუდი, არქიტექტორი არ გვყავს, — განაგრძობდა ახალგაზრდა. — ხალხს სადაც უნდა და როგორც უნდა ისე ესახლება. აი, იმ სახლს შეხედეთ, მარჯვნივ რომაა, იქ ზაკასის ოჯახი ცხოვრობს, აველი ციხე-სიმაგრეა, შიგ კიდევ უარესია — ვიწრო ფანჯრები. კიბეს ნახევარი ეზო უკავია, ტერასზე კი არავის უფიქრია, სარეცხი სად გააშრონ, არ იციან. ზამთარში ცივა, ზაფხულში კი სული ეხუთება კაცს. — შუაზე გაწყვიტა სიტყვა, და თითქოს წაიბორბიკაო, ერთ ჭიშკართან შეჩერდა, თავქუდმოგლეჯილი შევარდა, ვილაცას კუთხეში გაჩერებულ მოტოციკლეტზე მიუთითა და რუსულად დაუძახა:

— მიდი, მიდი, დაქოქე, ახლავე მოვალ! — უკანმობრუნებულმა აუხსნა ჩანთას, რომ გარაჟის თანამშრომელ ადგურთან საზიაროდ ეყიდა მოტოციკლეტი და დღეს სოხუმში აპირებდნენ წასვლას იუგოსლავური ჯაზის მოსამზენად.

— ორმა ერთი ცხენი შეეკაზმეთ, — გაიცინა მან.

— კარგია წყვილად სიარული. ლაპარაკით გულს მოიჭერებთ. — უთხრა ჩანთამ და გულიანად გაიცინა. გაახსენდა, როგორ დასცინოდნენ წინათ ერთ ცხენზე შემსხდარ ორ მხედარს.

გამომშვიდობებისას ყაზახუს შვილიშვილმა უთხრა:

— მაჩაგვასთან თუ იქნებით, კიდევ შევხვდებით ერთმანეთს, ხვალ ხეობაში მივდივართ, ხე-ტყის მასალა გვაქვს დამზადებული მშენებლობისათვის და შემოვირბენ.

მადლობა გადაუხადეს ერთმანეთს სასიამოვნო შეხვედრისათვის და დაშორდნენ. ჩანთა დიდი ხნის ნაცნობ გზას გაუყვა. ვინ მოთვლის, რამდენჯერ გაუზომია იგი ნაბიჯებით. ათი წლის იყო, სკოლა რომ გახსნეს ლაშქარში და ამ გზით დადიოდა.

სამი წლის შემდეგ დაამთავრა სკოლა და მამამ ქალაქში გააგზავნა სასწავლებლად. გაგრძელდა გზა. რამდენჯერმე წავიდა ქალაქში ამ გზით, მაგრამ მამის სიკვდილმა, დედის ავადმყოფობამ და გაჭირვებამ დაუხშო ეს გზა ყმაწვილს. ამავე გზით დაბრუნდა ლაშქარში, მამის დატოვებულ მეურნეობას რომ გას-

ძლოლოდა. რევოლუციის შემდეგ ბევრი საქმე დააწვა კისერზე. ჯერ მწერლად იყო სოფელში, მერე ზედიზედ აირჩიეს სოფლის საბჭოში, შემდეგ კოლმეურნეობის გამგეობაში. რა დავალებაც არ უნდა მიეცათ, უარს არ იტყობდა. ბევრი ოფლი დაღვარა ამ გზაზე საერთო საქმისთვის. ახლა მძიმე-მძიმეო შიაბიჯებს ჩანთა. ჰო, კარგად იცნობს ამ გზას, ახლა უფრო მეტი უნდა ადგას გზას, ვიდრე წინათ. მაშინ ურემი თუ გაივლიდა, ცხენოსანი ან ქვეითი თუ გამოჩნდებოდა ხანდახან, ახლა კი ერთმანეთს მისდევს საბარგო მანქანები და ავტობუსები, დაქპრის მსუბუქი ავტომანქანები. უჭირს გზას.

გზა! გზა! მერედა, ვინ გაიყვანა ეს გზა? ვინ დაიწყო და ვინ დაამთავრა? ან კი აქვს ბოლო? არა, მიიკლავნება მთებზე, ვადადის მქუხარე მდინარეზე, უსიერ ტყეზე, ქვიშიან უდაბნოზე და ვერაფერი, ზღვაც კი ვერ აჩერებს, მიდის და მიდის, ბოლო არ უჩანს, მიდის და თითქოს მოკრიალებულ ცისკიდურს ერწყმის.

ყველა ცოცხალ არსებას თავისი გზა აქვს და ამ გზაზე მოიძრაობს მიზნის მისაღწევად. აი, ჭიანჭველა მიცოცავს და ორჯერ მძიმე ტვირთს მიათრევს, — კინალამ ფეხი დააბიჯა ჩანთამ, აი, კუდმაკრატელა მერცხალი, აუტაცნია თიხის გუნდა და ბუდისკენ მიაქვს. ასეთ ჯაფაშია ყოველ წელიწადს. შორიახლო წყაროს რაკრაკი ისმის, — მასაც თავისი გზა აქვს, ისიც მიიჩქარის. აგერ ფლატეს გადმოვევლება და ნაჭენები ცხენივით გაქაფული მიგელავს ქვებზე, მერე წყნარ ტბად გაიშლება და ცას დაიხატავს გულზე, სულს მოითქვამს, მოიბოდიშებს და ისევ გაუტევს, ხან მზეს შესცინებს, ხან ტყის ჩრდილში შერგავს თავს, მიდის და მიდის, მიიჩქარის, ზღვისკენ ისწრაფვის. ადამიანი თვალს ვერ გააწვდენს თავის ცხოვრებისეულ გზას. მაგრამ თვითონ გზა აქეთ ამჩნევს კვალს ადამიანს. აი ფრონტზე მიღებული ნაჭრილობევი, ნადრევი ქალარა, ნათქვებით დაღარული შუბლი, უყურებ და ხვდები, ამ კაცს მძიმე გზა გაუვლია.

ყველას თავისი გზა აქვს, ზოგი ბედნიერად გალევს, ზოგს კი ბედი უმუხთლებს და ცრემლიანი ივლის დასასრულამდე. მიცვალებულს მიასვენებენ და ამბობენ, უკანასკნელ გზაზე მივაცილებთო. სამშობიარო სახლიდან შეფუთული ახალშობილი მიჰყავთ სახლში და ამბობენ, ადამიანი ცხოვრების გზას იწყებსო. დასაწყისი და ბოლო — მაგრამ ასეა კი? განა მაშინ მთავრდება ცხოვრების გზა, როცა მიწა დაეყრება კუბოს? განა ის ახალშობილი ვერ განაგრძობს გარდაცვლილის გზას? არა, ცხოვრების გზა უსასრულოა. გავლილი, უკან მიტოვებული გზა წარსულია, წარსული არ მეორდება, მომავალი კი უსაზღვროა, მისი დასასრულის წარმოდგენაც არ შეიძლება.

ასე ფიქრობდა ჩანთა და ლაშქითისკენ მიმავალ ძველ ნაცნობ გზაზე მიაბიჯებდა. გზის აქეთ-იქით კოლმეურნეთა სახლები იყო ჩარიგებული. ერთი ჭიშკრიდან ჩანთამ მასპინძელი შეამჩნია და მიესალმა.

— გაგიმარჯოს, უბასუხა მან და ეზოში გამოვიდა. როცა იცნო, მეგობრულად გაუბა ბაასი ჩანთას.

— გაგაბსენდით? ღმერთმა ხელი მოგიმართოს, — შინ მიიპატიყა.

— გმადლობთ, ღვთის წყალობა ნუ მოკლებოდეს შენს ოჯახს, მაგრამ მეჩქარება, საქმეები მაქვს

— მაშინ ჭიშკართან მაინც დავლიოთ თითო ჭიქა, — შესთავაზა მასპინძელმა და ცოლს გასძახა. სახლიდან ქალი გამოვიდა ღვინიანი დოქით, დაჭრილი ყველითა და აჯაკით. ჩანთამ მასპინძელი ადღეგრძელა, მეორე ჭიქაც

შესვა. კიდევ დალიეო, თხოვა მასპინძელმა, მაგრამ ჩანთამ ჭიქა დადგა, მადლობა გადაუხადა და გზა განაგრძო.

გზაში მხარზე წალდგადებული კაცი შემოხვდა — არც ის დატოვებ ჩანთამ უსაღმოდ, ხან ძველზე ილაპარაკეს, ხან ახალზე, კიდევ ბევრი ქმონდათ სათქმელი, მაგრამ ჩანთას ეჩქარებოდა. ახლა ორი ვაჟკაცი დაინახა მოხუცმა, გულმოდგინედ ბარავდნენ ბოსტანს, მესერთან მივიდა და გადასძახა:

— მარჯვენა დაგელოცოთ, შვილებო.

— გმადლობთ, იცოცხლეთ, — უპასუხეს ახალგაზრდებმა, წელში გასწორდნენ და ბარებს ჩამოეყრდნენ, ვერ იცნეს მოხუცი.

— განაგრძეთ თქვენი საქმე, შვილებო, მესიამოვნა, ასე შეთანხმებული რომ შრომობთ. ღმერთმა გაბედნიეროთ, — გამოემშვიდობა ჩანთა.

გზაზე კოცონი შენიშნა ჩანთამ. სიმინდის ნალერალებს წვაევდნენ. შეჩერდა, მობრიალე აღს მიაჩერდა. არასოდეს არ მოსჩვენებია კვამლი ესოდენ ტკბილი. ცოტა კიდევ გაიარა და მურყანზე შესეული ხალხი დაინახა, ვაზის ტოტებით დახუნძლულ ხეს სხლავდნენ. უხმაუროდ ცვიოდა მოსხებილი წამალი.

ახლა ჩაის პლანტაციასთან მიიყვანა ჩანთა გზამ. სიხარული მოჰფინა მოხუცს მწვანე ნობივით გადაშლილმა პლანტაციამ: პლანტაციის კიდებზე კულტივატორი ბრწყინავს. ჭრელთავსაფრიანი ქალიშვილი ჩაის ბუჩქების გამსხვლელ მანქანას მართავს გზის მოშორებით. აქა-იქ ამოსული ეკალ-ლაჭისაგან ასუფთავებენ პლანტაციებს კოლმეურნეები. კიდევ უფრო შორს საბარგო მანქანები მტვრის კორიანტელს აყენებენ. ნელ-ნელა იწმინდება ასვეტილი მტვრისაგან პერი. ოდესღაც ეს მწვანე დაბლობი, ახლა ასე რომ ზიბლავს ჩანთას, ეკალბარდებით იყო დაფარული. ოცდახუთმეტი წლის წინათ ლაშკითელმა კოლმეურნეებმა აქ ჩაის პლანტაციის გაშენება გადაწყვიტეს. კარგად ახსოვს ის დღე ჩანთას, ილღიაში ამოჩრილი წალდით პირველი მოვიდა გარიყრაზე ბუჩქნარის გასაკაფავად. სიჩუმე იყო. ცრიდა, მსუბუქი ბოლივით იწეწებოდა დილის ნისლი. წალდი ნორჩ მურყანს ჩაარჭო ჩანთამ და ჯიბიდან პორტსიგარი ამოიღო. ერთი პაპიროსის მოწევაც ვერ მოასწრო, ყოველი მხრიდან კოლმეურნეები შემოეჯარნენ. თითქოს მოლაპარაკებული არიანო, ჩანთას ყველა ულოცავდა ამ დიადი საქმის დასაწყისს.

— რაკი პირველი შენ მოხვედი, ექვი აღარ გვეპარება წარმატებაში. კეთილი კაცი ხარ და ფეხიც ბედნიერი გექნება, — ეუბნებოდნენ ისინი.

ამოპირკვეს ბუჩქნარი, ხმელი ფიზი დაწვეს, პლანტაცია წაბლის სარებით შემოაკავეს და გარშემო თხრილიც შემოავლეს. მერე ლაშკითელებისათვის საოცარი რამ — ტრაქტორი მოგროუხუნდა და ერთ კვირაში გადახნა პლანტაცია. კვლები გაავლეს და ჩაი დარგეს. ეს პირველი ჩაის პლანტაცია იყო ლაშკითში, რომელიც შემდეგში სოფლის მარჩენალი გახდა.

ნეტა არის ვინმე ცოცხალი იმათგან, ვინც ჩანთასთან ერთად ჩაყარა ეს პლანტაცია? ძალიან ცოტანი. ზოგი თავისი სიკვდილით მოკვდა, ზოგი კიდევ ომში დაიღუპა. ჩანთა ცოცხალია. მაგრამ მერე რა, თუ უცხოა ლაშკითისათვის? რამდენი იშრომა, რამხელა ღონე შეაღია ამ დაბლობს. ერთი მტკაველი მიწაც არ არის, ფეხი რომ არ დაედგას, ოფლი არ დაეღვაროს. დღეს კი სტუმარივით მოვიდა აქ ბერიკაცი. „ნეტა რად მოხდა ასე?“ — ეკითხებოდა ჩანთა საკუთარ თავს. რა თქმა უნდა, ახლა უღონო მოხუცია, მაგრამ განა სი-

ბერეა ამაში დამნაშავე? მოხუციე შეიძლება გამოადგეს მეურნეობას, ვთქვათ, ჭიშკარი დარჩათ ღია, დაკეტავს, საქონელს გარეკავს ყანიდან, სახლს უდარაჯებს, სკამ თუ იყარა, დააბინავენ. მაშ, რატომ უნდა იყოს უცხო სოფლისთვის? ეს კითხვა ბასრი ხანჯალივით ჩხვლელა ყოველ ნაბიჯზე და არ იცოდა, სად გაქცეოდა მას.

გზამ შეუმჩნეველად შეიყვანა ჩანთა ტყეში. მძიმე ფიქრები რომ მოეშორებინა, აქეთ-იქით დაიწყო ცქერა. ტყეში, როგორც წინათ, ახლაც ხშირად ხვდებოდა მუხა და რცხილა. ახსოვს, როგორ უფრთხილდებოდნენ ლაშკითვლები ტყეს, თუ არა დიდი გასაჭირი, არავის აძლევდნენ ხის მოჭრის ნებას. ახლა კი ძალიან გამეჩხერებული ეჩვენა ტყე. ყველგან ნაფოტები ეყარა. ერთმანეთზე ეწყო მოჭრილი რცხილები, სიღრმეში კი ისევ ხელუხლებლად იდგა ტყე.

ჩანთამ გზიდან გადაუხვია და ნორჩი რცხილის ქვეშ ჯირკზე ჩამოჯდა. მრგვალი ბოხობი მოიხადა, გვერდზე მოიდო და გააბოლა. უყურებდა, როგორ იბოლქვებოდა ნორჩი ხის გარშემო ნაცრისფერი კვამლი და რალაცას ცხვირში ბუზღუნებდა თავისთვის.

ტყე გარინდულიყო. ახლად გაშლილი მწვანე ფოთლები თითქოს ქარის გაღვიძებას ელოდებოდნენ. ტყის გარინდებას ჩიტების ჭიკჭიკი თუ აკრთობდა ხანდახან.

„რას მოვიკალათე აქ, საცაა შებინდდება, ვინმემ რომ დამინახოს, იფიქრებს, გაფიქებულაო ბერიკაცი“, — გაიფიქრა ჩანთამ. მაგრამ არ ამდგარა, აღარ ჩქარობდა, აქ ყველაფერი ატკობდა მზერას.

მარტოდმარტო იჯდა ბერიკაცი ჯირკზე და ტყის სიჩუმეს უერთდებოდა. თუ არა აღამიანმა, მაშ ვინლამ უნდა დაიცვას ტყე. რა დაემართება ამ მწვანე ზეგანს, თუ გააშიშვლებენ? მაშინ ველარაფერი გააჩერებს გაცოფებულ ღვართქაფებს და მთლად გადალევკავენ მიწას. შავ ღრუბლებად აისვეტება მიწა ცისკენ და, ღმერთმა იცის, საით წაიღებს ქარი. პირუტყვი უბალახოდ დარჩება და ბლავილით აიკლებს შიშველსა და გამოფიტულ მიწას. მტვრისგან დახეთქილ ცურზე ხელს არ მიგაკარებინებენ ძროხები. წყნარად მოლივლივე ნაკადულები და მთიდან გრილით დაშვებული ცრემლივით გამჭვირვალე ჩანჩქერები თუ მდინარეები სამუდამოდ გაქრებიან, თითქოს არც არასოდეს ყოფილანო. ნეტა რად არ ესმით ზოგიერთებს, რომ არ შეიძლება ბუნებისაგან ასე უხვად მომადლებული საუნჯის გაჩანაგება.

IV

როცა აგიზგიზებულმა მზის დისკომ პორიზონტზე ზოლ-ზოლად გაწოლილ ღრუბლებს ცეცხლი შეუკეთა და ზღვაში ჩაეშვა, მძიმედ მიმავალმა ჩანთამ მთაზე ააბიჯა და შეჩერდა, ჯოხს დაეყრდნო. აისის შუქმა ჭალარა წვერი გაუნათა. იდგა, მძიმე-მძიმედ სუნთქავდა და აჩქარებულ გულს ხელით აჩერებდა. მერე ისევ განაგრძო გზა, გვერდით თავისივე ვიგანტური ჩრდილი გაიყოლია და ისიც: ძველისძველი, ბუჩქებით გადაბურღული ხევი. ხევს ყვავილებით გადაპენტილი აკაციის ხეები გადასცქერიან და თათლივით სქელსა და ტკბილ სურნელს აფრქვევენ გარშემო.

შორიახლოს პატარა მინდორია, სადაც ერთადერთი ნაივი დგას. იქაა მიაი

წინაპართა საფლავეები. იქ განისვენებს მისი ცოლი შარითა. იქაა მიწის პატარა ნაჭერი, რომელზე ფიქრიც მოსვენებას არ აძლევდა ბოლო ხანებში ჩანთას. სანამ ლაშქითში ცხოვრობდა, ყოველ გაზაფხულზე წმუხდა იმ მინდორს, ხმელ ტოტებს აჭრიდა ნაძვს და მგზავრების დასასვენებლად ხის ქვეშ დადგმულ სკამს ღებავდა ხოლმე.

ჩანთა შეჩერდა; ვერ გადაეწვიტა, გადაეხვია თუ არა ამ წმინდათაწმინდა საფლავებისკენ. ალბათ შამბითაა დაფარული ყველაფერი და გული ეტკინება. არა, დღეს მაჩაგვასთან დარჩება, ხვალ წალღს გამოართმევს, მოვა და გაასუფთაებებს სასათლაოს. მერე თანატოლებს მოუყრის თავს და თავისთვის შერჩეულ საფლავს ქვას დაადებს.

ჯოხს დაყრდნობილმა ჩანთამ ფეხს აუჩქარა. გზიდან გადაუხვია და ახლა ჰორე მინდორზე გავიდა. მინდორი კი არა, ნამოსახლარი იყო. პო, ახლა ნამოსახლარი ერქვა, წინათ კი მისი ეზო იყო. მისი სახლ-კარი. ლურსმანივით მოქანქარე ერთადერთი ბოძილა შერჩენოდა ეზოს. ამ ბოძზე ოდესღაც ჭიშკარი ეკიდა. ბოძს ტალახი მიგოზვია, ეტყობა. ღორები იფხანდხენ ზედ გვერდებს. მოხუცმა ხელი შეახო ბოძს, უნდოდა დარწმუნებულიყო. მართლაც ჭიშკრიდან გადარჩენილი ბოძი თუაო, ან შეიძლება მოსინჯვა უნდოდა. ისევ ნყარად იდგა თუ არა. მერე გადატეხილ სანახევროდ გამხმარ კომშის ხესთან მივიდა. შეხედა და გაიფიქრა, — ხანდაზმული კაცივით მოტეხილა და მოკუზულაო. კომშის ხეზე გასული კაცის ფეხის სიმსხო ვაზი შენიშნა, ისევ ცოცხალი იყო. ეს ჭიში თეთრ ყურაყენს ისხამდა ხოლმე.

ოდესღაც იმ კომშის ძირას საოცრად რბილი ბალახი ბიბიხებდა და საშუალოდან დაბრუნებული ჩანთა ისე იძინებდა ზედ, თითქოს ფუმფულა ნოხზე ედგის: ახლა შამბნარი მოძალებელიყო.

ჩანთა ყოფილი ეზოს შუაგულში გაჩერდა და აქაურობას თვალი მოავლო: „დმერთო ჩემო, როგორ შეცვლილა ყველაფერი, ვეღარც კი იცნობ აქაურობას კაცი, როგორ გავერანებულა ყველაფერი! მიწა დახეთქილა და ბებრის ზებლივით დაღარულა. ეს ჭაობის მცენარეები მაინც საიდან გაჩნდა? რა სამწუხაროა, რა დასანანი, ასეა, როცა კაცი სახლ-კარს ტოვებს, მთელი ლაზათი ეკარგება კარ-მიდამოს“.

მერე ფაცხისკენ წავიდა ჩანთა. ეს ერთადერთი იყო, რაც ხაშენთავან შეპორჩენოდა ეზოს. უცბად ვერ გაბედა მიახლოება. განა შეიძლება ფაცხა წოდოს ამ დახლეწილ, მოწნულ ქოხს? უკანა კედელი თითქოს არც როდის მქონოდეს. მის ადგილას ღიობს დაუღია ხახა, დახარჩენი კედლები დაცხრილულა, ყავრის სახურავს გაუღია დროისთვის. მაგრამ შორიდან ვეღარ გარჩევს კაცი, ყავრისაა თუ ჩაღის — რალაცნაირად გაშაფებულა და გამურულა, წინ დაფერდებულა სახურავი, მაგრამ მაინც მაგრად ებჯინება მუხის ბოძებს.

„ეპ, ჩემო საცოდავო ქოხო, ვითომც და არაფერი, ისე ვცხოვრობ სხვაგან. მაძიჩემისეული ძველი ფაცხა კი, სადაც დავიბადე, სადაც წინაპართა კერა ეზვიზებდა, უპატრონობით ღებდა“.

დიღხანს ფიქრობდა ჩანთა ჩაქონქილი ფაცხის წინ, შინ შესვლა კი რატომღაც ვერ გაბედა, სანამ რალაცამ კარებისკენ არ უბიძგა. ზღურბლს გადაბიჯა და ბუხართან მივიდა. კლდიდან მოჭრილი, კიდევბში საშამფუროდ ამორუნტული კერიის ქვა, გლუვი ფილებისგან გაკეთებული ბუხარიც აველებულად გამოიყურებოდა. კერაზე ჩამქრალი მუგუზლები ეწყო, ეტყობოდა.

ახლახან ამ ძველსა და მიტოვებულ ფაცხაში ვილაცას ცეცხლი დაენტო. არ იცოდა, ვის რაში დასჭირდა ეს, მაგრამ მოხუცს სული გაუთბა. კერიაზე ბოლომდე დაუმწვარი ჯირკები რომ ნახა. ძველ, მონგრეულ ტახტზე ჩამოჯდა და, ჯობზე დაყრდნობილი, თვალს აღარ აშორებდა კერას. ძველსძველი ზმანება დაუდგა თვალწინ: ბუხარში ცეცხლი გუზგუზებს, დიდსა და შავ კარდალაში წყალი ჩუხჩუხებს. დედა მდულარე წყალში სიმინდრს ფქვილს უყრის, ცალ ხელით კარდალა უკავია და ჩოგნით ლომს ზელს. ჩანთას ცხადად ესმის ქვაბში ჩოგნის სასიამოვნო კაკუნო, ოჯახი ჯერ არ შემოსხდომია სუფრას, ლომს ელოდებიან, მაგრამ პატარა ჩანთას რული ერევა და დედა ჩქარობს. „ჭამე, გენაცვალე, ჭამე“, — ჩაესმის მოხუცს და თავზე დედის ხელის სითბოს გრძნობს.

ჩანთამ მიიხედ-მოიხედა და კუთხეში ორი ქვა დაინახა. ერთი დიდი და ბრტყელი, მეორე პატარა და მრგვალი. ამ ქვებით აჯიკას ნაყავდა დედა. არც ისე ადვილი საქმეა აჯიკის ნაყვა. ბევრი რამე უნდა მოემარაგებინათ: წიწყა, ნიორი, ქინძი და სხვა სანელებლები. მერე კი თეთრი თავსაფრით წაიკრა და თავს დედა, იდაყვამდე დაიკაპიწებდა ხელებს და ნაყვას დაიწყებდა.

ყველაფერი თვალწინ დაუდგა მოხუცს. ზმანებიდან გამორკვეულმა ჩანთამ ფაცხის კარებთან ორი ბავშვი დაინახა.

უფროსი შვიდი წლისა იქნებოდა, უმცროსს თითო ჩაეყო პირში და უფროსს ეკვროდა. ორივე თვალმოუცილებლივ უყურებდა მოხუცს.

— ვისი ხართ. შვილებო? — ჰკითხა ჩანთამ, მაგრამ არ უპასუხეს.

— ის მაინც მითხარით, რა გქვიათ?

ძალიან უნდოდა ამ მიტოვებულსა და გაცივებულ ფაცხაში ბავშვების წკრიალა ხმა გაეგონა.

— მე ალიოშა მქვია, ამასკიდევ ეძიკა, — თქვა უფროსმა და წყნელი მოარტყა კედელს.

— ღმერთმა გაბედნიეროთ, — დალოცა ბიჭები ჩანთამ, ველარავის ხედავდა, ისევ წარსული ედგა თვალწინ. ომში დაღუპული უფროსი ბიჭი ლევარსი გამოეცხადა. ელალხოხიანს, მათრახი უჭირავს და ცხენზე ჯდება. მგონი, ისიც ამ ფაცხაში დაიბადა. რომელიღაც მეზობელმა ორჯერ დასცალა მაშინ თოფი და ჩანთას ვაჟიანობა ენიშნა.

„ლევარსი რომ ცოცხალი ყოფილიყო, არ გაცივდებოდა კერა“, — ფიქრობდა ჩანთა და ფაცხის წინ მოთამაშე ბავშვების ჯგრო ედგა თვალწინ, შიგ მისი შვილიშვილებიც ერია.

კარებთან ატუზული ბიჭები მიხვდნენ, მოხუცს მათთვის არ სცხელოდა და მოცოცხეს.

ბევრი კარგი რამ მოაგონა ჩანთას მიტოვებულმა ფაცხამ. ჭერს ახედა და გაახსენდა: იქ, შებოლილი ყველით სავსე კალათის გვერდით, დერგი ეკოდა, შიგ არაყიანს აგროვებდა ხოლმე ცოლი. თვალეები დახარა და შენიშნა, კერის წინ მიწის იატაკი გაფხვიერებულიყო. იქ ბურახიანი კასრი ედგა, ბურახს წყავისგან ან აბაცისგან აკეთებდა ცოლი. მოგონებაში ზამთრის საღამოები გაცოცხლდა: მის ფაცხაში მოგიზგიზე ცეცხლის გარშემო მეზობლები იკრიბებოდნენ ქალიან-კაციანა, და ჩანთა გახეთს ან რომელიმე საინტერესო წიგნს უკითხავდა მათ. მერე საუბარს დაიწყებდნენ, ხანდახან დაობდნენ კიდევ ასე ატარებდნენ საღამოებს.

უკვე შეღამებული იყო, როცა რაღაც ხმამ მოაღწია ჩანთამდე და გამოერკვა. მიხვდა, რომ ვიღაც უახლოვდებოდა ფაცხას და, ჯობზე დაყრდნობილი,

წამოდგა. ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოასწრო ბერიკაცმა, რომ ფაცხაში აბოლებული ჭრაქით შემოვიდა საშუალო ტანის სქელი ხნიერი ქალი. ზურგს უკან ბიჭი ედგა და იჭყიტებოდა.

სიბნელეში მდგომი მოხუცი რომ დაინახა, ქალმა მორიდებულად დაიბნა უკან, მერე კი ჭრაქი ასწია, მოხუცს მიანათა და დაიძახა: *ბიჭო! ბიჭო!*

— ეს თქვენა ხართ? თანას? როგორ დაგვემართა, რომ ვერ შეგნიშნეთ, ბავშვებმა მოირბინეს და მითხრეს, ძველ დანგრეულ ფაცხაში ვიღაც უცხო მოვიდა, მგონი, ავად არისო. მეც გამოვიჭეცი. საიდან უნდა გიცნობდნენ ბავშვები?..

ჭრაქი მიწაზე დადო ქალმა, ხელები გაშალა, მიესალმა მოხუცს და მერე გადაეხვია.

— ჩემო გულიზა, — ყრუ, ჩავარდნილი ხმით თქვა ჩანთამ, — როგორა ხარ, სახლში როგორა ხართ, ხომ ყველანი ცოცხლები და ჯანმრთელები ხართ? ეს ბიჭები ალბათ შენი შვილიშვილებია, არა? რა თქმა უნდა, საიდან მიცნობენ, როცა თვალითაც არ ვუნახივარ არც ერთს, ის კი არადა, მგონი, ვინც მიცნობდა, იმანაც ვეღარ მიცნოს. შენს შვილიშვილებს მართალი უთქვამთ, ჩემო გულიზა, ავად ვარ და ძალიან მაგრადაც, რაც მთავარია, ჩენი განმკურნავი წამალი არ არსებობს ალბათ.

— ისეთი ვინაა, რაიმე რომ არ ტკიოდეს, — უბასუხა გულიზამ, — ღმერთი ინებებს თქვენს გამოჯანსაღებას. არაფერი სერიოზული არ გექნებათ. აბა რაღას ვუცდით? ჩვენსა წავიდეთ, რამ გაგახსენათ ჩვენი თავი? ვერ მოვახერხეთ თქვენი ნახვა და აი, თვითონ ჩამოხვედით.

— დღეს მაჩაგვასთან მიხლოდა ღამის გათევა, ჩემო გულიზა!

— იმასთან ყოფნასაც მოასწოებთ. ჩენი სახლი აქვეა და გვერდის ავლა ცოდვა იქნება. გული კი მწყდება, მახტა რომ არ არის შინ. თბილისში წავიდა უფროს ქალიშვილთან. საექიმოზე სწავლობს ქალაქში. ველოდები, დღეს თუ არა, ხვალ მაინც დაბრუნდება.

— კარგი, ჩემო გულიზა, დღეს თქვენთან დავრჩები, იქნებ მახტამაც მომიხსწროს. შენი ბიჭის ნახვა კი მიხლოდა. ყველანი ძალიან მომენატრეთ. ერთს არ სცალია, მეორე ვერ ახერხებს და ასე ივიწყებენ ადამიანები ერთმანეთს. თბილი ქვეყნიდან დაბრუნებული ფრინველები იშვიათად უბრუნდებიან ხოლმე ძველ ბუდეებს, მაგრამ ადამიანი ფრინველი როდია, მშობლიური კერა იზიდავს, სხვაგან ცხოვრება ძნელია, ჩემო გულიზა, მით უმეტეს ხანდაზმულობაში.

ასე ლაპარაკით შევიდა ჩანთა გულიზას ეზოში, უფროსი შვილიშვილი ვზას უნათებდა.

გულიზა მარტო მეზობელი კი არ იყო ჩანთასი, ენათესავებოდა კიდევ მისი განსვენებული ქმარი ჩრივბების გვარისა იყო.

— როგორც ჩანს, ახლახან დასახლებულხართ, — თქვა ჩანთამ, სახლში რომ შევიდა.

— ოჰ, ნულარ გამახსენებთ! გაიტანჯა მახტა, სანამ ეს აშენდებოდა, მხოლოდ გასულ შემოდგომაზე გადმოვედით. აქეთ მოიწით ბუხრისკენ. მოდი, მიესალმე, ეს ხომ ჩვენი ძვირფასი მეზობელი ჩანთაა... — უთხრა გულიზამ რძალს.

ახალგაზრდა, მალალი, წარმოსადეგი ქალი, რომელსაც ხშირი თმა თავსაფრით გაეკრა, ჩანთასთან მოვიდა, მდაბლად დაიხარა და მკერდზე ეამბორა. მერე ისევ ბუხართან მივიდა და ჩოგანი მოუღრია ქვაბს. ქალი ღოპს აკეთებდა და

ცდილობდა ზურგით არ დამდგარიყო მოხუცთან. თუმცა ეს არც ისე ადვილი იყო.

პირველ სართულზე ოთახის იატაკი სანახევროდ მიწის იყო, სანახევროდ ფიცრის. კუთხეში ტელევიზორი იყო ჩართული და წინ დასკუბებული ოთახი ბავშვი ჩუმად იცინოდა. სითბოთი მოღვენთილმა და გულმზრუნველმა მოხუცმა გაჩახჩახებულ ნათურას შეხედა, მერე ტელევიზორს დასწავლიდა. გულიზამისი თანატოლია, მაგრამ, მადლობა ღმერთს და, იმას საამაყო აქვს, შვილები ჰყავს და შვილიშვილებიც, ახალი სახლი აქვს; ეტყობა, შეძლებულადაც ცხოვრობს და ბედნიერია.

გულიზამ თითქოს მოხუცის ფიქრი ამოიკითხაო, მაგიდაზე თეთრები დააწყო, ჩანთას პირდაპირ ჩამოჭდა, კეფაზე თავსაფარი გაინასკვა და საუბარი დაიწყო:

— რასაკვირველია, ახლა ძველი დრო აღარაა. ცხოვრება გაგვიადვილდა, ხომ ვახსოვთ, როგორ მიჭირდა, ქმარი რომ მომიკვდა და წვრილშვილი დამჩჩა. თქვენი მადლობელი ვარ, მეხმარებოდით, განა ამის დავიწყება შემიძლია? დავიწყებით არ დამვიწყნია, მაგრამ აი, ნახვა კი ვერ მოვახერხე.

სანამ გულიზამ სტუმართან საუბრობდა, რძალი დიასახლისობდა. შემდეგ მოხუცს ხელი დააბანიინეს და სუფრასთან მიიწვიეს.

— მარტო არ გეახლებით, მოდი, ერთად ვივახშმოთ, გულიზამ. — როგორ არ ეხვეწა ჩანთა, მაგრამ გულიზამ არაფრით არ დაარღვია ძველი ადათი. ქმრის უფროს ნათესავთან ერთად სუფრასთან ჯდომას რომ უკრძალავდა ქალს.

ბოდიშს ვინდით, ვაჟი რომ შინ იყოს, ცხვარს დაკლავდა. ახლა კი, რაც არის, კეთილი გულითაა მორთმეული. მიირთვით, ღმერთმა შეგარგოთ. — ამბობდა შორიახლოს ჩამომჭდარი გულიზამ.

გული რომ არავისთვის დაეწყვიტა, ჩანთამ ჭიქა აიღო და საერთო სადღეგრძელო წარმოთქვა:

— ამ ჭერს გაუმარჯოს! აქაურ ღვინოს არაფერი შეედრება. მხოლოდ ჩვენთან, მთაში მოდის ასეთი. რამდენი წელია, მსგავსი არაფერი დამიღვია.

— ყველაზე მაგარი ღვინო თქვენ გქონდათ ხოლმე, — უთხრა გულიზამ.

— ჰო, ჩემო გულიზამ, დრო იყო, ჩემი კერაც ღვინოდა, ღვინოც კარგი მქონდა და პურ-მარილიც, ახლა კი მიკედლებულიეითა ვარ.

— რას ამბობთ, გენაცვალებ, როგორ თუ მიკედლებული, ვაჟიშვილი და რძალი ხელისგულზე ატარებენო, გამიგია.

— არა, საყვედურს არ ვამბობ. რვა წელიწადია იმათთან ვცხოვრობ და არაფერი შემომკლებია, ყველაფერი საკმარისი მაქვს.

დროდადრო ხელსახოცით იწმენდა ხელს ჩანთა, უღვაშს გადიგრებდა, წვერს ჩამოისწორებდა და ისევ ჭიქას ასწევდა. სანამ ოჯახის უფროსის სადღეგრძელოს შესვამდა, დიდხანს ილაპარაკა. როგორ პატივს სცემდა გულიზამ ყველა, ნათესავიც და ნაცნობიც. მერე კი, რაკი მისი ქმარი ჩრივების გვარიდან იყო, ასე მიმართა:

— ეჭვი არ მეპარება, როცა მოვეკვდები, შენ რძლის მოვალეობას შეასრულებ, მაგრამ მინდა გთხოვო, დის მაგივრობაც გამიწიო ტირილზე, კარგა მოგესვენება, ამებიც მყავდა და დებიც, მაგრამ ახლა არც ერთი აღარაა ცოცხალი, დადექი ჩემს კუბოსთან და ისე დამიტირე, დიდხანს დაახსომდეს ხალხს.

ყოფილი მეზობლის პატივსაცემად ჩანთამ სადღეგრძელო ფეხზე ამდგარ-

მა შესვა. გულიზა შეშფოთებული მივიდა მოხუცთან, ხელი ძოაკიდა და დასვა:

— რა დაგემართათ, ეს რამ გაფიქრებინათ?

გამოცლიდა თუ არა ჭიქას ჩანთა, გულიზას რძალი მაშინვე უგზავდა, მოხუცი არ უარობდა. ეტყობოდა, ამ ოჯახის პატივისცემა და გულთბილი საუბარი იოლად ასმევდა ღვინოს. ისე მადიანად ილუკმებოდა, მის შემხედვებზე მაღარსაც მოუნდებოდა ჭამა. აუჩქარებლად შეეჭკვოდა, სანამ ღვინოს დასაყლაპავდა, ხმას არ ამოიღებდა. ღომს თეფშის ერთი მხრიდან იღებდა ხელით, ჭიქას ორ თითს ავლებდა, სუფრასთან გამართული იჯდა, შემთხვევითაც კი არ ჩამოუწყვია იდაყვები მაგიდაზე, არ დაუხველებია, პაპიროსიც არ მოუწყვია.

ყველა სადღეგრძელო შეისვა, ადრე ნავახშმევი, ტელევიზოთან მიცუცქული ბავშვების სადღეგრძელოც კი, მაგრამ ჩანთა სუფრას არ ტოვებდა. ხანდახან ბუხრისკენ მიბრუნდებოდა და ისე უფიცებდა ხელებს ცეცხლს, თითქოს ეს-ესაა გათომილი შემოვიდა გარედანო. აგუზგუზებულმა ბუხარმა და მაგარმა ღვინომ სახე აუბილბილა. ღვინომ კი არ აღაგზნო მოხუცი, პირიქით, დააბეჩავა: ხმა ჩაუწყდა და ხალველი მოეძალა.

დიასახლისის რძალს, მთელი საღამო ჩანთას რომ ემსახურებოდა, არ გამოპარვია ეს, ბავშვებთან მივიდა, რაღაც ჩაუწურჩულა და დასაძინებლად წაასხა. როცა სიჩუმე ჩამოწვა, ღვინისგან გრძნობამორყული ჩანთა ისევ ალაპარაკდა, „გაიგე?“ — წარამარა მიმართავდა გულიზას.

აქ რომ ვცხოვრობდი, ჩემი კერა მქონდა, გაიგე, გენაცვალე, გულიც ცხელი მქონდა და სისხლიც, ახლა კი გავცივდი, გავიყინე, არაფერი აღარ მიტბობს სულს, გაიგე? სიკვდილი მგელივით მომდევს უკან, მაგრამ ჯერ მინდობს. სულაც არ მეშინია მისი, ხანდახან იმასაც კი ეფიქრობ: ნეტა მალე მოვკვდე-მეთქი. ვის რაში ვჭირდები, ცოცხალი ვარ და მკვდარს ვგავარ. პურსა ვჭამ, შერედა ღირსი ვარ? ერთი ვაყი მყავს და ისიც უშვილო, ვის უნდა დარჩეს მისი ქონება. ახლა დილამდე შემძლია ამ ბუხართან ჯდომა, როგორ მომენატრა. ცეცხლის ალი კაცის გულსა ჰგავს, ყოველთვის ხმაურობს, ყოველთვის რაღაცით უკმაყოფილოა.

ჩანთა გაჩუმდა, თვალი მაინც ცეცხლზე ჰქონდა მიშტერებული, დიასახლისმა დაბნეულობისაგან სიტყვა ვერ მოძებნა და ისევ ღვინო დაუსხა მოხუცს. ჩანთას სადღეგრძელო აღარ უთქვამს, ისე უხმოდ დალია, როგორც ბოლო ჭიქას სვამენ ხოლმე.

— რა მომელის? სამარე, გაიგე? მაგრამ საქმე ისაა, სად მექნება საბარე, — მოხუცმა ეს ხმამაღლა თქვა და ხმაში რატომღაც ბრაზი გაერია.

გულიზას არ გაკვირვებია, კარგად ახსოვდა, მაგრად ნასვამმა ჩანთამ აფეთქება იცოდა ხოლმე. დრო შეურჩია და დამშვიდება და გამხნეება დაუწყო.

— გულს ნუ გაიტეხთ, ჯერ რა დროს სიკვდილია. ჭაბუკივით ხართ.

ჩანთამ ლაპარაკი გააწყვეტინა და თავისი განაგრძო: რა თქმა უნდა, მეზობლების ხახვა ძალიან უნდოდა, მაგრამ მარტო ამისთვის არ ჩამოსულა, თავისი ანდერძი უნდა გაანდოს ყველა ლაშკითელს. გულიზა გულით რომ დაიტირებდა, ეჭვი არ ეპარება, მაგრამ შვილსა და რძალს არ ენდობა, რომლებმაც სახლ-კარი გაუყიდეს და შიშობს, ვაითუ ქალაქში დამარხონ საერთო სასაფლაოზე.

— გესმის, გულიზა? ამისი ძალიან მეშინია. გემუდარები, ჩვენს ერთად

გატარებულ სიცოცხლეს გაფიცებ, როგორმე მოახერხე, აქ დაამარხო. გაიგე? თუ საჭირო გახდეს, თავს ნუ დაზოგავ და ყველა ნათესავს თხოვე დახმარება. მე მგონი, მხარს დაგიჭერენ, გაიგე? ხვალ ჩამოვივლი სოფელს, მოვუყრი თავს მოხუცებს და ვეტყვი... — ხმა აუკანკალდა ჩანთას, თითქოს უნდა აქვითინდესო, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და თვალებთან მიიტანა, შეისვენა და ისევ მოიწმინდა თვალები. გულიზასაც მოერიო ცრემლი. ჩანთამ განაგრძო:

— მარტოობა ყველაზე საშინელი რამაა, არცა გკლავს და არც გაცოცხლებს. ახლა, როცა ჩიტის რიეც არ გვაკლია, ჩანთა ტირის, გესმის, გულიზა? ღმერთმა გაწოროს მარტოობა, გულიზა! მაშინ ვერც ტელევიზორი გიშველის, ვერც რადიო და ველარც წიგნები. მე მიწის მუშა ვიყავი, ჩემო გულიზა, მიწა მაჭმევდა პურს. ახლა კი მიწა სადაა და მე სად. ვერ გამიგია, რა მოხდა, ყოველთვის ხალხისთვის ვცხოვრობდი და ახლა ხალხმა დამივიწყა.

ბუხარი ჩაინავლა, ნალვერდალიც იფერფლებოდა, ცეცხლთან გამთბარი რუხი კატა პირს იბანდა. გულიზას თეთრი თავსაფარი მოეხსნა, ხელისგულით ასწორებდა და მუხლებზე კეცავდა. ჩანთას თავი ჩაელუნა და თვალდახუჭული იჯდა. უცბად გამოფხიზლდა, ღრმად ამოიოხრა და ჯოხს წაეტანა. ხელი უკანკალეზდა.

— ეჰ, დაგდალეთ, ჩემო კეთილებო, აღარ დაგაძინეთ, — თქვა ჩანთამ და მთქნარება შეიკავა. — დაწოლის დროა, მთელი დღე ვიარე და სხეული მტეხს.

— ლოგინი მზადაა, წამობრძანდით, — უთხრა დიასახლისმა.

ჩანთა ჯოხზე დაყრდნობილი გაჰყვა.

მეთარე სართულზე ავიდნენ.

ოთახში ბნელთდა. ჩანთა ჩრიგბა საცვლების ამარა იჯდა საწოლზე და, როგორც სჩვეოდა, ძილის წინ ხარბად აბოლებდა. მოწვევა რომ დაამთავრა, შვეებით ამოისუნთქა და ნეტარებით გაიჭიმა საწოლზე. „რაც არ უნდა იყოს, მშობლიურ მიწაზე ალბათ ტკბილად დამეძინება“, — გაიფიქრა ჩანთამ და იგრძნო, სიმსუბუქე და სითბო ეღვრებოდა სხეულში. მალე რომ დასძინებოდა, მოხუცი კედლისკენ გადატრიალდა.

გაზაფხულის კუნაპეტი ღამე იდგა, მთვარე არ ამოწვერილიყო ჯერ. ჩანთას ეგონა, მალე დაიძინებდა, მაგრამ კიდევ დიდხანს იწვა რულმორეული, ძილ-ღვიძილის საზღვარზე. მერე თითქოს ქარიშხალი ამოვარდაო, ძილი დააფრთხო და ლოგინს შეატოვა განადგურებული ბერიკაცის ვინ იცის, რამდენ ხანს იწვა ჩანთა უმწეოდ. მერე წამოჯდა; ჩიბუხს აბოლებდა და ფანჯარაში იხედებოდა. ღრუბლები გაიფანტა, მთვარემ გამოანათა. ნიავმა წამოუქროლა და გადმობრუნებული ფოთლები აბრწყინდა. ორი ჩაბუხი გააბოლა მოხუცმა, მერე ფანჯარა გამოაღო, ტაბურეტზე ჩამოჯდა, რაფას დაეყრდნო და ეზოში გაიხედა. ხეებიდან ღობეზე გადაჰქონდა მზერა, ღობიდან ბალახზე, წყალი წყუროდა, ყელი გაშრობოდა და ცოტა თავბრუს ეხვეოდა.

„ნეტა ჩემი ძველი ფაცხა ხომ არ მოჩანს აქედან?“ — გაიფიქრა და შეაფრეოლა, თითქოს შეაცივაო. თუთისა და მურყნის ხეებში ფაცხის დაღანდვას ცდილობდა. „რამდენ მწარე ამბავს მომიყვებოდა ჩემი ფაცხა, ლაპარაკი რომ შეეიღოს. ბედის ანაბარა მივაგდე საწყალი, ახალა ჩამოვაკითხე, მისი არსებობის დასაღიერზე და ქალაქური ცხოვრებით განებივრებული ვწევარ. მაინც სადაა ჩემი ფაცხა. ნუთუ მემალება?“ ჩანთამ ფანჯრიდან თავი გადაჰყო და სიბნელეს ჩააშტერდა. უცბად ჰოი, საოცრებავ, აკანკალეზებული ხელით პერანგის კალთა აიწია და თვალები ამოიწმინდა, საკუთარ თვალებს არ უჯერებდა. „წარმოუდ-

გენელია“, — ფიქრობდა ჩანთა და სახე უღიმოდა. ფეხზე წამოდგა და ისე გაიხედა გარეთ. თავისი წაბლის სახლის სახურავი დაინახა. ჰო, ჰო, მისი სახლის სახურავია, ბოლო დროს თვითონ გადახურა ნაივის ყავრით. მოხუცი კიდევ უფრო გადაიწია ფანჯრიდან, სახლის აივანიც უნდოდა დაენახა, მაგრამ დატოტვილი ხე უშლიდა ხელს. ვის რაში დაჭირდა იმის მოგონება, ვითომ ჩაღვს-ფასად გადააგდეს ჩანთას წაბლის ოდაო. მადლობა დმერთს, ტყუილი უთქვამთ, ახლა კი არაფერი აქვს სადარდებელი, როცა მოკვდება, მშობლიურ ოჯახში დაიტრებენ, როგორც წესი და რიგია, ბელურა რომ ბელურაა, იმასაც კი საკუთარი ბუდე გააჩნია.

მოხუცი ფანჯარაში იყურებოდა და სახურავზე ამოწვდილ ბუხრის თეთრ ყელსაც ხედავდა თითქოს. აი, ფაცხაც გამოჩნდა, ორჯერ უფროსია ჩანთაზე, მაგრამ მაინც თავის ადგილას დგას. აყვავებული ალუჩა რომ არ ეფარებოდეს, ფარდულსა და ბელელსაც დაინახავდა. მთვარიანი ღამეა, შინ ყველას სძინავს, პოდა, რატომ არ უნდა ჩავიდეს მეორე სართულიდან და ცვრიან ბალახზე არ გაიაროს? რატომ უნდა დარჩეს აქ, როცა საკუთარი სახლი აქვს?

ჩანთა საწოლთან მივიდა და ტანთ ჩაიცვა. ჯერ შარვალის ჩაიცვა, მერე პერანგი, მაგრამ ვერ იქნა ვა ვერა, დიღები ვერ შეიქრა. „აჰა, თურმე უკუღმა ჩამიცვანს პერანგი, — მიხვდა მოხუცი, მაგრამ აღარ გაუხდია. — ასეც არა უშავს, ჩემს სახლში მივდივარ, კხვავან ხომ არა“, — გაიფიქრა და პალტო მოიხურა. ყალიონი და თამბაქო ჯიბეში ჩაიღო, ჯოხი აიღო, მეორე ხელში ჩექმები დაიკავა, ოთახიდან გამოვიდა და ჩუმად დაეშვა კიბეზე. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ცვრიან ბალახზე, ისევ მობრუნდა, კიბის საფეხურზე ჩამოჯდა და ფეხზე ჩაიცვა. ახლა ჭიშკარს ვააღებს და თავის ეზოში ამოაკოფს თავს ღამეულ ნისლს დაენტქა ხეები, იმათ შორის დიდი ბუჩქივით მოჩანდა ფაცხა. წაბლის ოდა სადღაა? სადღა ბელელი და ფარდული?

კინალამ შეიშალა მოხუცი. არ იცოდა, რა ემართებოდა. რატომღაც უკან მოიხედა. რომ გეკითხათ, თვითონაც ვერ გეტყვოდათ, რატომ ვერც იქ დაღანდა რაღე. რა ამბავია, ნუთუ წელან მოეჩვენა? ნამდვილად მოეჩვენა. ნეტა რა მოარბენინებდა! ფანჯრიდან მაინც დამტკბარიყო თავისი ქურდულად გაყიდული სახლკარის ცქერით. „არა, ნამდვილად შევიშალე — ფიქრობდა მოხუცი. — გუშინ ხომ დღისით-მზისით ვნახე, ჩემი წაბლის ოდას კვალიც არ ჩანდა“.

ჩანთა ფაცხისკენ წავიდა. ზურგს უკან სქელი ნისლი ჩამოწოლილიყო, მიღობდა ბერიკაცი და მის წინ ნისლიც იფანტებოდა თითქოს. ფაცხის კარები შეაღო და ასანთს გაჰკრა, მონგრეული ტახტი დაინახა და მძიმედ დაეშვა ზედ. შუალამე გადასულიყო. ძილის იმედი აღარ ჰქონდა და გადაწყვიტა, საკუთარ სახლში შეხედროდა დილას. მასპინძელი ვერც წარმოიდგენს, ჩემს ძველ ფაცხაში თუ ვაგატარე ღამე, ეგონება, დილაადრიან ადგა და სეირნობსო, — ფიქრობდა მოხუცი. მალე შესცივდა, შიშმა გაჰკრა, ავად ხომ არ გავხდით. ისევ ასანთო ასანთი, კერასთან ფიჩხი ეწყო. ბავშვების შეგროვილი თუ იყო, ცუდ ამინდში ფაცხაში თამაშობდნენ ალბათ. ჩანთა წამოდგა, ფიჩხი დაამტვრია, კერიაზე დააწყო, ქვეშ სამი კოლოფი ასანთი ამოუღო და ცეცხლი გააჩალა. ფაცხა განათდა. კუნჭულებში შეყუყუული სიბნელე აცახცახდა. კიდევ ერთი მომსხო ტოტი დაუმატა მოხუცმა ცეცხლს, მორიც მოათრია ახლოს, ჩამოჯდა, ყალიონი გატენა, მეტარებით შეისუნთქა და ნელა გამოუშვა წვრილ ნაკადად ბოლი.

— რაც არ უნდა იყოს, შენს კერასთან ჯდომას არაფერი ჯობიაა, — ხმამაღლა გაისმა ჩანთას ნაფიქრალი სიჩუმეში.

ფიჩხი ტყაცუნებდა, ბუზლუნებდა ცეცხლის ენები და ხმაურით ერეკებოდა ბოლს ჭერისკენ. მოხუცი დროდადრო ფიჩხს უმატებდა კერას, აცახცახებული ალს უყურებდა, მის ბუზლუნს უსმენდა და ფიქრობდა: „სულ ახლახან გაჩაღდა ცეცხლი და უკვე რალაცამ გააბრაზა, ის თუ ეწყინა, საკუთარ კერასთან ჯდომას რა ჯობია-მეთქი, რომ ვთქვი. სადაური შენია, დიდნი ხანნიან გზატკეცილი, ეს ფიჩხიც კი არ არის შენი, მეზობლის ბავშვების შეგროვნილია შენი მხოლოდ ასანთია და ისიც მალაზიაში გაქვს ნაყიდი. აქ თუნდაც ყველაფერი დაინგრეს, ფეხებზე გყილია, შენ ქალაქში იჯდები გულზელდაკრეფილი. არა, ეს შენი კერა აღარაა, საერთოდ არაფერი გაქვთ ერთმანეთთან“.

ცეცხლი მკიცხავსო, ეგონა ჩანთას. გაჭვარტლულ ჭერს ცეცხლის ათინათი დასთამაშებდა. მოხუცმა დიდხანს უყურა მას, მერე სახელოებზე დაიხედა, გაახსენდა, უკულმა რომ ეცვა პერანგი, გაიხადა, გადააბრუნა და ისევ ჩაიცვა. მუხლები აუწვა ცეცხლმა. მაშინ კი ღრმად ამოისუნთქა ჩანთამ, ადგა და ტახტზე გადაჯდა. ზურგი კედელს მიაყრდნო და ესიამოვნა. კერაზე ცეცხლი ღულუნებდა, ჩანთა შესცქეროდა და ფიქრობდა...

ცხონებულ დედას ბევრჯერ მიუთითებია კერიის მარცხენა მხარეს და უთქვამს: „შენ იქ დაიბადე, მარცხენა კიდეს, მამაშენი მარჯვენა კიდეს. მარჯვენა ხელი მარცხენაზე ღონიერია, მაგრამ არც შენ უნდა დადგე ულონო“. ეს კარგად ახსოვდა ჩანთას. მამამისს ძალიან უჭირდა, მაგრამ კერია არ მიუტოვებია და მიიღწია კიდევაც რალაცას ცხოვრებაში. თვითონაც ხალისით მოეკიდა მეურნეობას, მერე რა, ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ქალაქში გადასახლდა მზამზარეულზე. თანაც როდის! როცა ლაშქითელები ისე ცხოვრობენ, მამამისი ოცნებაშიც რომ ვერ წარმოიდგენდა.

მამა იტყოდა ხოლმე, პირუტყვს თუ კარგად კვებავ, აქეთ გარჩენს, — ყოველწლიურად, ზამთრის დასაწყისში საძოვრებზე გასუქებულ ორ თუ სამ თხას კლავდა, ფეხშოებს დაამარილებდა და აქ, აი, კერიის თავზე ჩამოჰკიდებდა ხოლმე შესაბოლავად. მთელი ზამთარი წვავდა დედა შამფურზე მსუქან, დაშაშხულ ხორცს. ახლაც ახსოვს ჩანთას მისი გემო, თითქოს გუშინ ეჭამოს. მამის მთელი სიმდიდრე, მთელი სიხარული საქონელი იყო.

ახლა ბევრად უკეთ ცხოვრობენ ლაშქითელები. მოჰყავთ ჩაი, თამბაქო, ბალები აქვთ გაშენებული... ყველგან ელექტროგანათებაა. სულ ახალი და ახალი სახლები შენდება, მაგრამ აი, საქონელი კი გაცილებით ცოტა ჰყავთ, „რისი ბრალია? — ფიქრობდა ჩანთა, — ამბობენ, საძოვრები აღარ არისო. ყველგან ჩაის და თამბაქოს პლანტაციები და ბალებია გადაჭიმული. ეს მაშინ იქნებოდა სწორი, მსხვილფეხა პირუტყვი რომ ჰყავდეთ, მაგრამ წერილფეხა საქონელისთვის რა გამოლევს საძოვრებს. განა ცოტაა საძოვრები ლარტაფებსა და მთის კალთებზე, სადაც ჩვენი წინაპრები აბალახებდნენ თხებს?“

არა, საძოვრების ბრალი არ არის, ალბათ სხვა, უფრო დიდი რამაა ლაშქითეში წერილფეხა საქონლის გადაშენების მიზეზი. წინათ მარტო ძმებს მდარებს ჰყავდათ ათასამდე სული თხა და ცხვარი. თვითონვე მწყემსავდნენ, სხვებს არ ქირობდნენ. სამი ძმა იყო. ახლაც ისეთები რომ მუშაობდნენ კოლმეურნეობის ფერმებში, ვინ მოსთვლის, რამდენი თხა და ცხვარი იქნებოდა შეფენილი ლაშქითის მთის კალთებზე. ცხადია, მდარები ჩვენს მეჩაიეებს ვერ შეედრებიან, უსწავლელები იყვნენ, ანბანიც არ იცოდნენ. სამაგიეროდ გამოცდილება ჰქონდათ დიდი.

ფიქრებში წასულმა ჩანთამ შენიშნა, კერიაზე ცეცხლი იფერფლებოდა. წაბოდგა, კონა ფიჩხი და რამდენიმე მსხვილი ტოტი დაამატა და ისევ ტახტზე ჩა-

მოჭდა. კედელს მიაწვა, მტკივანი ფეხი გაჭიმა და ქვეშ თავისი ჯოხი შეუბიჯა. მღარებიდან უფროსი ძმა გაიხსენა — შაგუ. მაღალი იყო, გაბანჯგლული წარბები შავ თვალებზე ეფხატებოდა. ხშირი ულვაშები ჩამოშვებულნი ჰქონდა. სოფლის საბჭოში სხდომა იყო. თვითონ ჩანთა წერდა ოქმს.



— ხმას გართმევთ, — გამოუცხადეს შაგუს.

შაგუმ არ იცოდა, რას ნიშნავდა ხმის ჩამორთმევა.

— ამას როგორ იზამთ! ჩემს ვირსაც კი თავისი ხმა აქვს, — თქვა შაგუმ.

არავინ უსმენდა შაგუს. პირუტყვის ჩაბარება უბრაძანეს.

— ზუსტად ერთ კვირაში აქ, ეზოში მორეკავ თხეებს.

შაგუ გაბრაზდა და აყვირდა:

— გიჩივლებთ!

— უფლება არა გაქვს, შენ ხმა გაქვს ჩამორთმეული, — ატყდა ყაყანი. ყველაზე ხმამაღლა ჭინჭყლი ხიზანი ყვიროდა, მეტაურის სამხაროდლიავე რომ ჰქონდა მოგდებული.

— სინათლისაკენ გეწევით, შენ კი ჯიუტობ, სულელი. გატყუებულნი ხარ. ტყვეს რომ მოშორდები, თხის სუნი მაინც აღარ აგევა.

დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ. მაგრამ ჩანთას ყველაფერი გაახსენდა ახლა. მაშინ ასე უპასუხა შაგუმ ჩიზანს:

— გეტყობა, მასას შვილი რომ ხარ, ყბადალებული ზარმაცის შვილი. დიდი რამე გგონია თავი, ხალხს ახლებურად ცხოვრებას ასწავლი, თვითონ კი მარტონის ტარტალი შეგიძლია, — მერე ხალხს მიუბრუნდა და თქვა: — პატივცემულო თანასოფლელებო, სხვისი ხელებით არ გამიზრდია ჩემი საქონელი, ეს ყველაქარგად იცით, მაგრამ თუ ამას საჭიროება მოითხოვს, არ დამენანება თქვენთვის. ერთი კვირის შემდეგ შაგუმ სოფლის საბჭოს ეზოში მორეკა თავისი არვე.

— აბა, ღმერთმა მოგახმაროთ! ოღონდ ერთსა გთხოვთ, ხიზანისაირ აღამიანებს არ მიანდოთ, თორემ გაცამტვერდება, — თქვა ეს და სწრაფად გაშორდა იქაურობას, ერთად შექუჩებული თხების საცოდავი კიკინი რომ არ გაეგონა. მწყემსს მისი ბომბორა ძალდი დაედევნა, ძალღს ბებერი წვერებცანცარა ვაცა გამოუდგა და მერე მთელი არვე მიაწყდა ჭიშკარს. მთელი დღე დასდევდა ხალხი თხებს დაააჭერად.

მგონი, იმავე წელს დაუბრუნეს შაგუს უფლებები, მაგრამ მან ნარჩენი თხეებიც გაყიდა და მთისკენ აღარ გაუხედავს. ჯერ იყო, და მთაზე დარდი სტანჯავდა, მერე ცივბამ გააწამა და ოთხი წლის შემდეგ სულიც განუტევა.

„ყველანი ცუდად მოვიქეციით მაშინ, — ფიქრობდა ჩანთა, ამ ამბავს რომ იხსენებდა, — რას ვერჩოდით ვაცს, ხმა ჩამოვართვით, უცხოდ ჩავთვალეთ, დაცინოდით კიდევ, მერედა სად ნახავს ვაცი ახლა ასეთ მწყემსს?“

კერაზე დაყრილი ფიჩხი ჩანავლდა. მსხვილი ტოტები კი ისევ ბრიალებდა. ჩანთა კიდევ იმაზე ფიქრობდა, რატომ მიატოვა ბევრმა გლეხმა მიწაო, მიზეზს ეძებდა. „ახლა შეიცვალა მდგომარეობა, — ფიქრობდა ჩანთა, — ლაშქითიდან ქალაქს წასულები უკან დაბრუნებულან, ახალ სახლებს იშენებენ, — უხაროდა მოხუცს. — კარგი ნიშანია“, — დაასკვნა მან და ფიქრიც გაუწყდა, ძილმა სძლია. „იქნებ ჩამთვლიმოს“, — გაიფიქრა, გრძლად დაამთქნარა და თვალები დახუჭა. ცოტაც და, მოხუცმა სუსტი ხვრინვა ამოუშვა, დროდადრო შეხტებოდა, ევნესოდა. მძიმე სიზმრები თუ აწუხებდა, მკერდზე დადებული ხელი უვარდებოდა, იღებდა და ისევ მკერდზე იღებდა.

თენდებოდა. მამლებმა ყივილს უხშირეს. სადღაც ძროხამ დაიზმუვლა. აყვ-

ფდნენ ძაღლები. ერთი ძაღლი ყრუდ ღავლავენდა, თითქოს კასრში ზისო, დრო-დადრო ყმუოდა კიდევ.

უცბად კერიის ქვაზე დადებული დანაკვერცხებული შეშა ჩაიშალა და ზე-და გაღვივებული ტოტი ფიჩხის გროვას დაეცა. ფიჩხში ხმელი გვიძრა იყო გარეული და იმწამსვე აბრიალდა. ცეცხლი აბირბილდა, ფაცხის კედლებიდან გამოჩრილ ხმელ წნელებს წაეტანა და სახურავის დამბალ ყავრქებნიდან გაიწია. ქერიდან ჩამოკიდებული აბლაბუდის ქსელი ქანაობდა, ცეცხლს იზიდავდა, თითქოს ეძახოდა: ჩქარა, რაღას უცდიო. მალე ცეცხლმა სახურავს გაატანა და განთიადს შეუერთდა. ფაცხაში კვამლი იბოლქვებოდა, ქერიდან ცხელი ჰვარტლი ცვიოდა. ჩანთას ეძინა, არც არაფერი ესმოდა და არც არაფერს ხედავდა. კვამლმა სული რომ შეუხუთა, წამოდგა. ვერ მიმხვდარიყო, რა ემართებოდა, ეგონა, წყალში ვიხრჩობიო. კარებს ეცა, მაგრამ ჯირკს წამოდგო და დაეცა, კენესა-კენესით წამოდგა ფეხზე, ჯოხს წაავლო ხელი და გარეთ გავარდა.

— ჰეი, რა ამბავია, რა მოხდა? — გაისმა შორიანლოს ვიღაცის რიხიანი ხმა, ატყდა ძაღლების გნიასი და ჩანთამ საშველად გამოქცეული ხალხის ფეხის ხმაყ გაიგონა.

მეზობლის ბიჭმა შარახმა მოასწრო ყველას, გზაში ფიცრისთვის წამოეგლო ხელი და ფაცხას მიაყუდა, სახურავზე რომ ასულიყო.

— რომელმა სულელმა წაუქიდა ცეცხლი? — იყვირა მან.

— დაანებე, გენაცვალე, თავი, მოეშვი, უკვე ვერაფერს უშველი, — უთხრა ჩანთამ.

— ჩანთა ხართ? საიდან გაჩნდით, — გაოცებული უყურებდა ახალგაზრდა ფაცხის პატრონს, უკვე რვა წელი რომ არ ენახა. — თქვენ ჩამოხვედით, სახლი კი დაიწვა? — მეტი აღარაფერი უთქვამს შარახს.

კიდევ ორმა ახალგაზრდამ მოირბინა კასრებით.

— დაეხსენით, შვილებო, დაეხსენით, მაინც არაფრად ვარგოდა, დამბალი იყო, — ეუბნებოდა ჩანთა და კვამლისაგან აცრემლებულ თვალებს ხუჭავდა.

მაჩაგვა წალდით მოვარდა, ისე ეჭირა ხელში, თითქოს გზადაგზა რაღაცა უნდა მიეჩეხ-მოეჩეხა.

— რა ამბავია, გავიღვიძე და რას ვხედავ, ხანძარია! — ჩანთა დაინახა და დაიყვირა, — ოჰო, ამას ვის ვხედავ! ღმერთმა გადღეგრძელოს! — წალდი გაავდგო და მაგრად მოეხვია მოხუცს.

უკვე ბევრი ხალხი შეგროვილიყო.

— რას გაჩერებულხართ, ჩააქრეთ! — დაიძახა მაჩაგვამ.

ბოლოს გულიზა მოვიდა.

— ვის რას უშავებდა ეს ფაცხა, — თქვა მან. მერე ჩანთა დაინახა და მიუბრუნდა: — ჩამძინებია, ვერ გავიგე, როგორ გამოხვედით სახლიდან. რაღა მაინცადამაინც თქვენი ჩამოსვლის დღეს უნდა მომხდარიყო ეს.

მალე მთელი სოფელი იქ იყო — კაცი და ქალი, ბებერი და ახალგაზრდა. ზოგი ცალკე შორბოდა, ზოგი ჩგუფად მოდიოდა ცეცხლმოკიდებულ ფაცხასთან. ბევრი დაბნეული იყო, არ იცოდა, რა ექნა, ჩამოსვლა მიელოცა ჩანთასთვის თუ თანაგრძნობა გამოეთქვა თავზე დატეხილ უბედურების გამო.

ხალხი მხრებს იჩეჩდა, ხელებს შლიდა. ვერ მიმხვდარიყვნენ, რას უნდა გამოეწვია ხანძარი. ცეცხლი კი ხარბად ნთქავდა ყველაფერს, რისი ჩანთქმაც შეიძლებოდა. წუთში დაფერფლა სანახევროდ დამბალი ყავრის სახურავი, მოწხული კედლებიც მალე დაინაცრა, ფაცხის დანახშირებული ჩონჩხიც ჩაიქცა

და ქვარტლისა და კვამლის ღრუბელი ავარდა მალლა. ყველაფერი დაიწვა, მართო ვაცრიატებული ფერფლით დაფარული კერიის ქვა მოჩანდა თოვლიანი მწვერვალისათვის ალაგ-ალაგ ავარდნილ ბოლში.

გზაზე წითელი მოტოციკლეტი გაჩერდა. ყაზახუს შვილიშვილი მიიტრია ნახანძრალთან. წითელი და ცინცხალი დილა იყო ქარს ჭერ არ გაეთანტა ნატიუსალი. ჩანთა, როგორც ყოველთვის, თავის ჯოხს დაყრდნობდა და სწრაფად მიმავალ კერიის ქვას მიმტერებოდა. წინადლის დამქანცველ გზაზე, უძილო ღამეს, ხანძარს მიიმე დალი დაესვა მოხუცისათვის.

ჩანთამ თავი ასწია და თქვა:

— ჩემო კარგებო, ხანძრის მიზეზს ნუ ეძებთ. ჩემი გაუფრთხილებლობის ბრალია.

ხალხი გაოცებული მიჩერებოდა ერთმანეთს, ფაცხის პატრონი ამბობდა და როგორ არ დაეჭვებინათ.

წარმოსადეგი კაცი, რომელსაც მხარზე შავი უბაღასი ჰქონდა მოგდებული, ჩანთას მიუბრუნდა და უთხრა:

— რვა წელიწადი არ გამოჩენილხარ და ახლა, ჩამოხვედი თუ არა, ხანძარი გააჩინე? იქნებ არ გინდოდა ძველ ფაცხას ჩვენი თავი გაეხსენებინა? უცნაური ამბავია!

ჩანთას გული ატყინა ნათქვამმა, მაგრამ ხალხს მაინც უთხრა გულისნადები.

— გუშინ საღამოს ჩამოვედი ქალაქიდან. ძალიან მომენატრეთ და მინდოდა ორი-სამი დღე თქვენთან გამეტარებინა. გულიზა შემხვდა და მიმიპატიოვა. ვახშმად საკმაოდ გეახელით მისი შესანიშნავი ღვინო, დიდხანს ვისაუბრეთ, ღამე არ დამეძინა, ჩავიცვი, სუფთა ჰაერზე გამოვედი და ჩემს ფაცხასთან გავჩნდი, რაღაც ძალამ მომიყვანა ჩემი წინაპრების კერიასთან. შემცივდა და ცეცხლი დაევანთე, სითბომ ძილი მომგვარა. ტახტზე დავჯექი, მალე ჩამეძინა, ბოლმა გამაღვიძა და რას ვხედავ! სახურავი ცეცხლშია გახვეული. აი, როგორ დაიწვა ჩემი ფაცხა, ბაბუაჩემის, ჯანიშის აშენებული ფაცხა.

ჩანთა გაჩუმდა, ხალხს გადახედა, ორჯერ-სამჯერ ჩაარტო მიწაში ჯოხი და თქვა:

— სიმართლე რომ ვთქვა, ახლა ის არავის აღარ ჭირდება. ამის თქმა ცოდვაა, მაგრამ, ვინ იცის, იქნებ უკეთესიცაა, რომ აღარ არის. საითაც არ გაიხედავ, ყველგან ახალი სახლებია, ჩემი ფაცხა ლიბრით ჰქონდა თვალზე ჩვენს სოფელს.

— იქნებ თვითონ დაწვა? დაზღვეული თუ აქვს, მოწმეებად დაგვასახელებს და ფულს ჩაიჭიბებს, — უთხრა ვილაყამ ბრიგადირს.

ბრიგადირმა თავი დააქნია, — ყველაფერი დასაშვებიაო. ბევრს კი არ მოეწონა ეს და უკმაყოფილოდ აყაყანდნენ.

— გაჩუმდით! — ხმა აიმაღლა აქამდე გაჩუმებულმა მაჩავვამ. — ჩემო ჩანთა, შენ თქვი, რაღაც ძალამ მომიყვანა წინაპართა კერიასთანო. ახლა ეს მითხარი, ფაცხასთან ერთად ხომ არ გამქრალა ეს ძალა?

ჩანთამ, თითქოს შეახურაო, აღგზნებულად დაიწყო ჯოხით მიწის ჩიჩქნა. ასე გადახედავდა ხან ერთს, ხან მეორეს, თითქოს ახლა დაინახაო ეზოში შეგროვილი ხალხი. „მექნება კი ოდესმე ასეთი ხელსაყრელი შემთხვევა, რომ ჩემი უკანასკნელი თხოვნა ვაუწყო ხალხს?“ — გაიფიქრა მოხუცმა და ხმამაღლა თქვა:

— ძვირფასო ძმებო და მეზობლებო! რასაც არ უნდა მოეყვანეთ აქ, მე

ბედნიერი ვარ, ყველას ერთად რომ გიყურებთ, ბებერს და ახალგაზრდას, რაც აქედანა წავედი, ერთი ღამე რაა, ერთი ღამეც არ მიძინია მშვიდად. სული ჩემი ყოველთვის აქაა. გონება და გულიც აქეთვე მუწევა, მაგრამ უკვე იალაგამოლული ბერიკაცი ვარ, ბოლო ხანებში თავს ცუდად ვგრძნობ და მეშინია, ისე არ მოვკვდე, რომ ჩემი სურვილი არ გაგანდოთ, არ გითხრათ, არაფერი მტანჯავს.

ჩანთა თავს ველარ ერეოდა. აქამდე მხნედ იყო, მაგრამ უხელო ხნის უნახავ მეზობელ-ნათესავებთან შეხვედრამ, ნაღვლიანმა საუბარმა ააღელვა და სულ მოადუნა მოხუცი. ხმა თანდათან ჩაუქრა, მერე სულ მთლად ჩაუწყდა და ბერიკაცის თვალთაგან ცრემლებმა იწვიმა. ჩანთამ ხელი ჯიბისკენ წაიღო ცხვირსახოცის ამოსაღებად და ჯოხი დაუფარდა. მაჩაგვამ ჯოხი მიაწოდა, მერე მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

— რა მოგივიდა, ჩანთა, ველარ გცნობ. შენ არ გვეუბნებოდი, ვაეკაცს ცრემლი არ შეშვენიასო? გატეხილხარ კაცი. გასაგებია, მაგრამ ახლა უნდა გამაგრდე, ჩანთა. — მაჩაგვამ ხალხს მოავლო თვალი და ხმამაღლა თქვა: — ხალხნო და ჯამაათნო, გთხოვთ ყველამ მომისმინოთ. გახსოვთ, როგორ წაიყვანეს ქალაქში ღამით ჩვენი მეზობელი და ერთგული მეგობარი ჩანთა? გახსოვთ, იმ ღამეს მღუმარედ ვიდექით აქ, თითქოს საყვარელ ადამიანს ემარხავდით. ცოტა ხნის მერე, ერთ დილას დავინახეთ, როგორ შლიდნენ ჩანთას წაბლის სახლს. მაშინაც დიდხანს ვიდექით აქ და გვიკვირდა, როგორ მიგვატოვა ჩანთამ. ყოველ შეხვედრაზე ამას ვლაპარაკობდით. გულიზა, აქა ხარ? — იკითხა მაჩაგვამ.

— აქა ვარ, გენაცვალე, მითხარი, რითი შემშილია დაგეხმაროთ, — გამოეხმაურა გულიზა და თავზე შემომბჯენილი ხელი ჩამოუშვა.

— ღმერთმა სიკეთე მოგცეს. შენ ყველაზე ახლო მეზობელი იყავი ჩანთასი. უფრო ახლობელი ნათესავეები გყავდა, ისინიც მეზობლები იყვნენ; მაგრამ ქმარი რომ მოგიკვდა, ვინ დაგეხმარა ჩანთასავით. ასე არ არის, ჩემო გულიზა?

— ღმერთმა დიდი ხნის სიცოცხლე მისცეს. რამდენ ხანსაც არ უნდა ფიცოცხლოთ, მე და ჩემი შვილები მაგის ამაგს ვერ გადავიხდით.

— მართალს ამბობ.

— ოზგან კაუსტა, — დაიძახა მაჩაგვამ.

— მეც აქა ვარ! — დაიძახა წარმოსადეგმა კაცმა, ხელები ზურგს უკან რომ შემოეწყყო.

— აბა გაიხსენე, ხიდან რომ ჩამოვარდი და სამი წელი ლოგინზე იყავი მიჯაჭვული, შენს ოჯახს ჩანთა არ ეხმარებოდა? რაც მართალია, მართალია, ჩანთა თავს არ ზოგავდა სხვების დასახმარებლად. ახლა კი, ჩემო კეთილებო, რომ იტყვიან, მდინარე ძველ კალაპოტს უბრუნდებაო — ჩანთა ჩამოვიდა. ამ ფაცხასთან ერთად ის გზაც დაიწვა, რომელსაც ქალაქში უნდა დაებრუნებინა იგი. ჩანთას გზა აღარა აქვს ქალაქისკენ. ჩვენთან უნდა დარჩეს; აბა, რას იტყვით, ძვირფასო მეზობლებო?

— სწორია, მართალია! — გაისმა აქეთ-იქიდან, ყველას გაგვიხარდება ჩანთას დარჩენა.

— შენ რას გაჩუმებულხარ, ბრიგადირო? აქეთ მოიწი, 'შენი ხმაც გაგვაგონე!' — დაუძახა მაჩაგვამ.

ბრიგადირი ოზგან კაუსტას შვილი იყო, დაბალ-დაბალი, სქელი, ძაფივით წვრილულვაშებიან ბრიგადირს თითები ქამარში გაერჭო და იმ მეზობელს ესა-

უბრებოდა. რომელმაც ჩანთაზე თქვა, იქნებ თვითონ დაწვავ. მან მხრები აიჩეჩა და მაჩაგვასთვის არც შეუხედავს, ისე უბასუხა:

— მე რა უნდა ვთქვა? მაგან არავის გაუწია ანგარიში, კოლმეურნეობა მიატოვა და ქალაქში გადასახლდა. თვითონ გაიუბედურა თავი და ვისი რა ბრალია. ახლა საღათას ძილისაგან გამოფხიზლებულსავეით გამოგვეცხადება. არაფრის თქმა არ შემიძლია. ეს მე არ მეხება. განცხადება შემოიტანოს კოლმეურნეობაში, გამგეობა განიხილავს და საერთო კრებაზე გაიტანს საკითხს. თუ შესაძლებელი იქნება, მისცემენ აქ ცხოვრების უფლებას.

— ღმერთო ჩემო, რაებს ლაპარაკობს! — წამოიძახა შეძრწუნებულმა მაჩაგვამ, — ჩანთა ამ მიწაზე დაიბადა. აქ გაატარა მთელი სიცოცხლე და რომელ უფლებებზე მელაპარაკები. იქნებ ყაზახუს შვილიშვილმა გვითხრას რამე. მართალია, ახალგაზრდაა, მაგრამ გაგებული კაცია. ჩანთა მიზრწნილი მოხუცი როდია, ფეხით ამოვიდა ჩვენთან, ყველამ გაიგონეთ მაგისი ჭკვიანური ლაპარაკი. განა ასეთი კაცი საჭირო არ არის; აი, მაგალითად, ფუტკარი გველუბება. რატომ ჩანთას არ უნდა ჩავაბაროთ მისი მოვლა? ჩვენთან თუ დარჩა, კიდევ დიდხანს იცოცხლებს ჩანთა.

ყაზახუს შვილი მაჩაგვასთან მივიდა და უთხრა:

— დიახ, უნდა დავეხმაროთ ჩანთას, მე მგონია, კოლმეურნეობის გაძგეობა უარს არ იტყვის. ადგილი მაჩვენოს, სად უნდა დასახლება და მერე ჩვენი საქმე იყოს, ოღონდ თქვენ უნდა დამეხმაროდ.

— ყოჩაღ! ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოს, ტყუილა როდი შეგარქვით აინარ-მჭედელი! — უბასუხა მაჩაგვამ.

ჩემო კეთილებო! — ხმა აუკანკალდა ცრემლმორეულ ჩანთას. — მე ბევრს არ გთხოვთ, სამი არშინი მიწა მომეცით ნაივის ქვეშ, მამაჩემის საფლავის გვერდით. მე მგონი, ამის უფლება მაინც მაქვს.

— ამისთვისაც ნებართვაა საჭირო, — ჩაიბურტყუნა ბრიგადირმა. ისევ თავის მეზობელს გაუბა საუბარი და ორივენი გაეცალნენ ეზოს.

ხალხში უსიამო ჩოჩქოლი შეიქნა. ხმაურში მაჩაგვას ხმა გაისმა:

— რა უბედურებაა, ჩვენს ბრიგადირს გული გაქვაგებია და არ შეგვიწინავს!

X. X

არ ვიცი, იქნებ ეს დამესიზმრა ან მომელანდა: თვალწინ ჩანთა ჩრიგბა მიდგას დილის მზის შუქით განათებული, წალდით ხელში ხან ერთ სკასთან მიდის, ხან მეორესთან; თეთრად აფეთქებულ ვაშლის ხესთან ჩერდება, ახალი წალდის სახელურივით თეთრია ვაშლის ხე. აი, წალდი ასწია, ხეზე შემოქდობილი ეკლის მოსაჭრელად და აღმართში მომავალი მანქანის გუგუნი შემოესმა. მოხუცმა მოიხედა და ფიცრებით დატვირთული მანქანაც მის ახლად შემოლობილ ეზოში შეგრიალდა. ალბათ ყაზახუს შვილიშვილი და მეზობლის ბიჭები არიან, ერთმანეთის მიყოლებით რომ ხტებიან მანქანიდან. ჩანთამ წალდის ერთი მოქნევით მოჭრა ეკალი. შერბეული ტოტიდან თოვლივით წამოვიდა ყვავილის ქათქათა ფურცლები და ჭალარა თმა დაუფიფქა მოხუცს. მიწაც თოვლივით გაქათქათადა ბერიკაცის ფეხქვეშ.



ვიქტორას მილიუნასი

სიყვარული



ქართული
ბიბლიოთეკა

მოთხრობა

თარგმნა ნიკო რახვიაშვილმა

ყველას ერთდროულად როდი ეწვევა სიყვარული. სიყმაწვილის ქამს, ცხოვრების გარიჟრაჟზე მოგვევლინება იგი — მოულოდნელი, მაგრამ უკვე დიდი ხნის ნაოცნებარი. ვითომ რატომღაც დიდი ხნის ნაოცნებარი? ასე მხოლოდ გეჩვენება, შენ ხომ არცა გქონია დრო დიდხანს გეცადა მისთვის...

სიყვარული შეიძლება ცხოვრების ნახევარგზაზეც გეწვიოს ან კიდევ უფრო გვიან, ცხოვრების ბოლოს. ჩვენი მოთხრობის გმირს ცხოვრების ნახევარგზაზე ეწვია — ისე რომ უკვე აღარც კი ელოდა. ელზე, ასე ეძახდნენ მას, უბრალო, შეუმჩნეველი ადამიანი გახლდათ. ბავშვობიდანვე არ გამოირჩეოდა სხვებისგან. საშუალო ტანისა იყო, მრგვალი პირისახის, ჯანსაღი, მკვრივი აღნაგობის, არც უშნო ეთქმოდა და არც მთლად მზეთუნახავი. თვალები ჰქონდა რაღაც ნაირი. კეთილი და სუფთა. ვინც ამ თვალებს დაკვირვებით ჩახედავდა, უეჭველად მიხვდებოდა: ეს ქალი აქამდე გაუთხოვარი არ უნდა დარჩენილიყო.

სექტემბრის ერთ კვირა დილას გამოიღვიძა ელზემ. ჩავლილი ზაფხულის მცხუნვარება ჯერ კიდევ ათბობდა მოლივლივე, წყნარ და ნათელ ყურეს. საწოლიდან წამოდგა. ძველ, მინაულულ სარკესთან მოიკალათა და დიდხანს, დიდხანს უყურებდა თავის ორეულს. ნიკაპი მუკში მოექცია. იჯდა ასე იდაყვზე დაყრდნობილი, უცქერდა თავს და ფიქრობდა: „აი, უკვე ოცდაათისა ვარ“... ეს ფიქრი არც ანადვლიანებდა და არც ახარებდა. მისი სახის ნაკვთები სარკეში მკრთალად ირეკლებოდა და ასაკთან შედარებით ქალი ახალგაზრდა ჩანდა. და არა მხოლოდ სარკეში... მას ხომ ჯერ არც სიტკბო ეგემნა სიყვარულისა და არც სიმწარე, ამიტომ საკმარისი ძალა გააჩნდა საამისოდ. ჯანმრთელობაც ისეთი შემორჩენოდა, რომ სხვასაც კი გაუნაწილებდა, მსურველი არ ჩანდა თორემ.

ელზე თევზის გადამმუშავებელ ქარხანაში მუშაობდა. გადატვირთული არ ყოფილა, სამუშაოს თავს იოლად ართმევდა... დიდი ხელფასიც არა ჰქონდა, თუმცა რასაც იღებდა, მას და რევატიზმით დაავადებულ მის მოხუც დედას თავისუფლად ყოფნიდათ... და იჯდა ელზე ასე, სარკეში იყურებოდა თვალებგამტვრეული. ბუნდოვანი გამოსახულება თითქოს გალღვა, გაითქვიფა ჩამობნელებულ მინაში. ქალი უკვე ვერაფერს ვეღარ ხედავდა. იჯდა იდაყვებზე დაყრ-

დნობილი და მისი შემხედვარე ვერავინ იფიქრებდა, რომ ის ოცდამეათე წელზე მეტისა იყო...

— ელზე, ეჭე-პეი, ელზიუტ, სახლში ხარ?

ელზე წელა წამოდგა, გაოცებულმა მიაყურადა: მართლა მას ეძახდნენ, თუ მოეჩვენა?

— ეგ რომელია, მთელი ხმით რომ გაჰყვიროს? — აბუზღუნდა მწოლიარე დედა.

მართლაც ელზეს ეძახდნენ! ნაჩქარევად შეიბნია ხალათი, ხშირი თმა თითებით შეისწორა და როგორც იყო — ფეხშიშველი — ასევე გავიდა დაძახილზე.

შუა ეზოში ჯიბეებში ხელუბრაწყობილი და პირში სიგარეტგაჩრილი პუზინასი იდგა, ევალდას პუზინასი — დაბის საუკეთესო მეთევზე და ხმაგავარდნილი ლოთი. ახოვანი, მძლავრი, ფართოშუბლიანი, ქარდაკრული სახე მზეს გაერუჯა... მართალი გითხრათ, ლამაზი არ ეთქმოდა... თუმცა როდის იყო მამაკაცებისაგან ვინმე სილამაზეს მოითხოვდა? კაცს კაცობა შეენის. პუზინასსაც არ აკლდა ეს ღირსება.

უცქერდა ქალწულს ევალდასი. ღამენათევი და ნაქეიფარი ისევე ბუნდოვნად ჩედავდა ელზეს, როგორც თვით ელზე თავისსავე თავს ძველ სარკეში. მერე ისე დაიბუხუნა, გეგონებოდა, აღელვებულ ზღვაში ხმის გაწვდენას ცდილობსო.

— ელზიუტ ივირფასო! დღეს შენი სტუმარი ვარ! მიმიღე! გამიმასპინძლი! გამოგეცხადე — ესე-იგი არ დამვიწყებია შენი დაბადების დღე!...

დედა გაბრაზდა. ქალიშვილი კი გაიქცა და ბოთლით არაყი მოარბენინა.

— დალიე, ევალდას! დღეს ხომ შენი დაბადების დღეა? ამიტომ გაგახსენდი?... არა უშავს, სასიამოვნოა, როცა ვინმეს ახსოვხარ... დედა, გაჩუმდი ძალიან გთხოვ! მასე ნუ მიყურებ, დალიე, ევალდას! მე არა ვსვამ. თუმცა ერთ ჭიქას დავლევ შენი ხათრით.

კარგა ხანი იყო, რაც ენგლინასების სახლს ასეთი მზიარულეობა არ ენახა, არ გაეგონა ასეთი ძლიერი, მამაკაცური, რიხიანი ხმა... და შეიძლება არასდროს არავის უმზიარულია აქ და არც უსაუბრია ასე ხმამაღლა. განსვენებული ენგლინასი ძალზე თავმდაბალი და წყნარი კაცი იყო. უცხო თვალი ამ სახლში იშვიათად შემოიხედავდა. ახლა კი შემოდგომის ცოცხალ-მკვდარი ბუზები, ძლივს რომ დალოლავენ ფანჯრის მინებზე, გამოცოცხლებულიყვნენ და ასაფრენად ემზადებოდნენ.

— შენ რა, ელზე, გათხოვებას არ აპირებ?

ქალიშვილმა მორცხვად, დამნაშავესავით გაიღიმა.

— გამოძევები? ის ხომ არ გაშინებს, ბევრს რომ ვსვამ? თუ არ გეშინია, მაშინ... — მან ჭიქა გამოცალა, სიტყვა კი აღარ დააბოლავა, რალაცის თქმა უნდოდა და დაავიწყდა.

ელზეს არ შეშინებია და ასე ეწვია სიყვარული — გვიანი და მოულოდნელი.

გავიდა ერთი კვირა.

ზღვაზე ქარიშხალი მღელვარებდა, ბარკასები გამორიყული თევზებივით

ეყარა სანაპიროზე, მეთევზეები უსაქმოდ დაეხეტებოდნენ. ევალდასმა ისევ მოაკითხა ელზეს — ამჯერად სრულიად ფხიზელმა.

— სალამო მშვიდობისა! — წარმოთქვა მან და მიუპატიუებლად ჩამოჯდა სკამზე.

ელზემ ნაჩქარევად გააწყო სუფრა.

— გავიქცე, სასმელი მოვიტანო?

— არა, არ გინდა.

— თუ სასმელს არ მიუტან, არც მაგით დაიქცევა ქვეყანა! — გაიცინა მწოლიარე დედამ.

ევალდასი ღუმდა. მერე უსიტყვოდ გადასანსლა, რაც კი ეწყო სუფრაზე და ისე წავიდა, რომ მადლობაც კი არ უთქვამს.

შუა ზამთარში ევალდასმა ვილიუს შიმკუსს ისეთი სილა გააწნა, რომ ჭაბუკი ძლივს მოასულიერეს. ევალდასი შორიახლოს იდგა და როცა ვილიუსმა თვალეები გაახილა, წაიდუღუნა:

— თუ არ მოიშლი ჩემზე ყბედობას, აჯობებს წინასწარ იჭირავო საწოლი საავადმყოფოში!

ეს ამბავი კი ასე დაიწყო: საბილიარდოში, სადაც ღრუბელივით ირწყოდა თამბაქოს კვამლი, ოცდაათიოდე მეთევზე შეკრებილიყო; ვილიუს შიმკუსი ღვარძლიანად იცინოდა:

— ბიჭებო, ჩვენს მაწანწალა ევალდასს რა ენაღვლება! ჭამს და სვამს მუქთად ელზესთან. გველიც არ გადაყლაპავდა იმ ლუკმას, ეგ რომ მიირთმევს! — ამის თქმა მოასწრო ვილიუსმა და ბილიარდის მაგიდის ქვეშ აღმოჩნდა გამზლართული.

გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს მოხუცმა პუზინასმა უთხრა შვილს:

— აი, რას გეტყვი, ან ელზეს შერთვა გადაწყვიტე, ან სხვა რამე მოიფიქრე...

ევალდასის უმცროსმა ძმამ — ედმუნდასმა ცოლი მოიყვანა. შევიწროვდნენ. ევალდასი უხერხულად გრძნობდა თავს ახალგაზრდა წყვილის გვერდით...

მოხუცი ენგლინენე კი, პირიქით, ბუზლუნით უწვრილებდა გულს ქალიშვილს:

— თავგზა აგებნა? კარგი მეთევზეა? მერე რა... სამაგიეროდ გვარიანი ლოთიცაა! რასაც იშოვის, ყველაფერს სასმელში ხარჯავს. არ გირჩევ, შვილო! დაიტანჯები მასთან...

ელზე არ გამოპასუხებია დედას, გულში კი თავისას ფიქრობდა: „სვამდეს ბევრს... რა მოხდა... მე ხომ მიყვარს... ჩემს ხელში ის სულ სხვა კაცად იქცევა!“

დაბაში ხმა დაირხა: ევალდასმა და ელზემ შეუღლება გადაწყვიტეს, ალბათ მალე ქორწილიც ექნებათო. ეს მითქმა-მოთქმა პუზინასების სახლიდან გამოვიდა.

ქალები ელზეს გასაქანს არ აძლევდნენ:

— ხომ არ შეიშალე? ასეთ ლოთს მიყვები ცოლად?

ევალდასს კი ცალკე ჩასჩინებდნენ მეთევზეები:

— როდემდე უნდა იყო მარტოხელა? არ გინდა ცოლის გამომცხვარ პურს გემო გაუსინჯო? ცოლის გამომცხვარს მაინც სხვა ფასი აქვს!..

გადაწყვეტით თითქოს გადაწყვიტეს, მაგრამ ქორწილი არც გაზაფხულზე, არც ზაფხულში არ შემდგარა.

ქალიშვილი

შემოდგომაზე კი ევალდასი ცალთვალა სიმონაიტისის ქალიშვილზე, რომელიც ნებზე დაქორწინდა. რატომ იონებე და არა ელზეზე? ელზეს ოჯახთან შედარებით სიმონაიტისი შეძლებულად ცხოვრობდა. ამასთანავე იონე უფრო ახალგაზრდა იყო და არცთუ იმდენად მიმზიდველი, მაგრამ სიმონაიტისს თავზე საყრელად ჰქონდა ყველაფერი. რაღას არ ეუბნებოდნენ ევალდასს მის სიმდიდრეზე და ერთადერთ ქალიშვილზე ნათესავეები და ახლობლები, ყველაზე უფრო მტკიცე ნებისყოფის ადამიანსაც კი გაუჭირდებოდა ამგვარი საცთური-საგან თავის დაღწევა. სიმონაიტისიც არ დარჩენილა წაგებული — არაფერი ენანებოდა, გულუხვად მასპინძლობდა პუზინასს, ნელ-ნელა იჩვევდა მომავალ სასიძოს...

ელზეს არ უტირია, როცა ევალდასისა და იონეს ქორწილზე დაუფარავად ალაპარაკდნენ. დედამისი ათასნაირ წყველა-კრულვას უგზავნიდა ევალდასს და მთელ მის ოჯახს, ქალიშვილს კი ესლა დასცდა:

— არ გინდა, დედა...

მოხუცი უცბად ვერ მიხვდა, „რა არ უნდოდა“ და განაგრძობდა ევალდასის ლანძღვა-გინებას. დედამ ჭერჭერობით ის არ იცოდა, რაც, სამწუხაროდ, უკვე ცნობილი იყო მისი ქალიშვილისათვის. რომ სცოდნოდა, ალბათ თავის უძღურებას აღარ დაგიდევდათ, წამოდგებოდა, ავადმყოფობას დაივიწყებდა და სიმართლის საძებნელად გასწევდა. იქნებ ქორწილიც ჩაეშალა... მაგრამ ვითომ ეს უშველიდა ელზეს უბედურებას? განა ამით გადაარჩენდა მის სიყვარულს? ამიტომ დუმდა ელზე, ამიტომ დაუმალა მშობელს ის ამბავი, რომელიც სულ მალე მთელ დაბაში გახმაურდა. თებერვლის მიწურულს ელზეს გოგონა შეეძინა. ცხადია, არავინ დაეჭვებულა, რომ ბავშვის მამა პუზინასი იყო. მეგობარი ქალები რჩევას არ იშურებდნენ:

— არ გასულელდე, სასამართლოში უჩივლე, ალიმენტი მაინც გადაგიხადოს!

ბევრი ითმინა ელზემ, ბოლოს კი აევსო მოთმინების ფიალა. ცხარე ცრემლით ატირდა და პირში მიახალა ერთგულ მრჩევლებს:

— რა გინდათ ჩემგან? რას ეჩრებით სხვის საქმეში? ევალდასი არ არის ჩემი რამუნეს მამა! ევალდასი არ არის, გესმით, არ არის!.. — ყვიროდა იგი ხმამაღლა... თუმცა დაჯერებით ვერავენ დააჯერა, რომ ევალდასს საერთო არაფერი ჰქონდა მის გოგონასთან, მაგრამ ენად გაკრეფილებს ლაპარაკის ხალისი კი დაუკარგა.

სექტემბერი იდგა კვლავაც. მხოლოდ ახლანდელი დილა შარშანდელს არაფრით არა ჰგავდა, დაბადების დღის მოსალოცად ისევ ევალდასმა მოაკითხა ელზეს. ყურეში მორუხო, ნისლით დამძიმებული ღრუბლები ჩამოწვა. დროდადრო წვრილი წვიმა ცრიდა. ზღვიდან მოვარდნილი ქარი მიწაზე აწვევდა ტანწერწეტა ნაძვებს; ყურეში თეთრი, ყალყზე შემდგარი ტალღები შემოიჭრა. ნაპირსაც ველად გაარჩევდი სქელ ბურუსში, გეგონებოდა, ზღვაზე რუხი შალოს ნაჭერი დააფინესო.

რამუნე ავად იყო. სიცხიანი ოფლში ცურავდა. ელზე სასთუმალთან ეჭდა ბავშვს, თვალს არ აცილებდა თავის გოგონას. არ გაუგია, როგორ შემოვიდა და შედგა კარის ზღურბლთან ევალდასი. ახოვანი, თავით ფეხამდე გაწეული. ელზემ გუმანით იგრძნო: ოთახში ვილაც იყო. შემობრუნდა და სიტყვაც არ დაუძრავს! მხოლოდ საწყლად და როგორღაც ნაღვლიანედ შეჩვიდა; ევალდასმა გაიღიმა და ქალი მიხვდა, რომ ის მთვრალი იყო.

— ჰა, როგორა ხარ? ცხოვრობ ძველებურად? მე განა დამავიწყდა, რომ დღეს შენი დაბადების დღეა...

ელზე უსიტყვოდ მიბრუნდა ბავშვისკენ. ევალდასი მიხვდა — ქალი შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს და მოინანია:

— შაპატიე, ღორულად მოვიქეცი... ღორი ვარ... ეს ნაღვლია... მაგრამ რას იზამ? ასეთია ცხოვრება... გესმის... შენთან იქნებ სულ სხვა კაცი ვყოფილიყავი...

სამზარეულოდან ელზეს დედა გამოლასლასდა. გაწიწმატებულს სიტყვების შერჩევა არ დაუწყია, აღარაფრის მოერიდა, ყველაფერი გადმოაღაგა, რაც ამ ხნის მანძილზე გულში უდუღდა. ევალდასი დუმდა, სიტყვა არ დასცდენია. ბარბაცით მივიდა ელზესთან და თავის გოგონასთან, რომელიც პირველად დღეს იხილა, შედგა, ღრმად სუნთქავდა... ცოტა ხანს უცქირა ბავშვს და უხმოდ გაბრუნდა შინისაკენ.

იონესთან იგი არ შეცვლილა. როგორც იყო, ისეთივე დარჩა — კარგი მეთევზე და უმნიშვნელო ადამიანი. არც ცოლის ცრემლებმა, არც შვილების გაჩენამ (უკვე ოთხი შვილი ჰყავდა), ვერც თევზის მეურნეობის დირექტორის კეთილმა რჩევამ და ვერც მუქარამ ვერ გამოასწორა იგი. მეთევზეების ხვეწნა-მუდარამაც არ გასჭრა: ძალა მოიკრიბე და მცირე ხანს მაინც ნუ დაღვეო.

ელზე კი, როცა რამუნემ ფეხი აიდგა და მომაგრდა, თითქოს ზღმეორედ დაიბადა. ადრე თუ მოწყენილი და თავგადასხეული დადიოდა, ახლა სულ გამოიცივალა, გაღამაზდა კიდევ. იგრძნო საკუთარი ღირსების ფასი და თავისი ცხოვრების ერთბაშად გარდაქმნა მოსურვა. დაბაში უკვირდით: „ეს რა დამართა ჩვენს ელზეს? ვინ იფიქრებდა, რომ ასე შეიცვლებოდა?“..

ელზე საპატიო დაფაზეა გამოკრული, ელზემ ითავა თევზის შემბოლავი საამქროს მუშაობას გასძლოლოდა. ელზე ყველა საშუალებას ეძებს — იშრომოს, დამკვრელურად; გაზეთში მისი სურათი მოათავსეს და არა მარტო სურათი, ვრცელი წერილიც დაიბეჭდა მასზე... სურათზე იგი ახალგაზრდად გამოიყურებოდა. თუმცა უკვე ოცდათვრამეტი წლის შესრულებულიყო. ელზეს ხელსა სთხოვდა თევზის ქარხნის ოსტატი, ვინმე გავუტისი: ქვრივი, ზღვაზე გამობრძმედილი მამაკაცი. ასეთ ადამიანს ვერავითარი ავადმყოფობა ვერ მოეჩვენებოდა. ნაცნობ-მეგობრები რჩევას არ აკლებდნენ:

— რატას ელოდები? კეთილი კაცია, მომჭირნე... რაც მთავარია, ლოთი არ არის. სადღა მოძებნი უკეთესს?..

— წყალსაც წაუღია თქვენი გავუტისი! — უარობდა და ბრაზობდა ელზე. იგი ისედაც კარგად გრძნობდა თავს რამუნესთან ერთად. მხოლოდ ეგ იყო: დედამისი ავადმყოფობდა. ცხრა წლის უკან იწინასწარმეტყველა ექიმმა: მოხუცი ნახევარ წელიწადზე მეტს ვერ იცოცხლებსო, მას კი, ღვთის წყალობით, ჯერ ისევ ედგა პირში სული.

ღიან, ცხრა წელი გავიდა იმ დღიდან, რაც ევალდასმა ელზეს დაბადებას
დღე მიულოცა... ზუსტად ცხრა წელი...

წლების მანძილზე არიგებდა ჭკუას სიმონაიტისი თავის სიძეს, მაინც ვერ
რაფერი გააწყობა. რა უნდა ექნა, ადგა და სამუდამოდ გადასახლდა შორს, ქვი-
შიან ბორცვზე. რაც კი რამ ებოძა, დატოვა და წავიდა...

ყველა მიატოვა: ქალიშვილი, ოთხი შვილიშვილი და გამორუსწორებული
ლოთი სიძეც...

ქალები — ეს არაჩვეულებრივად ცნობისმოყვარე არსებანი, რომლებიც
იმასაც კი არ იფიქრებენ, რაც კარგა ხანია დაეწყებას მიეცა — გამუდმებით
უკიყინებდნენ ელზეს:

— გაგიშართლა, ევალდასს რომ არ მისთხოვდი... იონეს ცხოვრებას განა
ცხოვრება ჰქვია... კუზიანს სამარე გაასწორებსო, ზედგამოჭრილია ევალდასზე...

რალა არ უთხრეს, მაგრამ თავად ელზეს სიტყვა არ დასცდენია პუზინასზე.
ამასაც თავისებურად განმარტავდნენ ჭორიკანა დედაკაცები:

— ახლა, რა თქმა უნდა, ვერაფერს იტყვის, აი, მასთან რომ ეცხოვრა, მა-
შინ სხვანაირად ამღერდებოდა!

ბოლო წლებში შესამჩნევად მოტყდა ევალდასი. მკაცრმა საზღვაო შრო-
მამ და გაუთავებელმა სმამ საგრძნობლად დაუღარა სახე, თეთრად შეევერცხ-
ლა თმაც... ყველაფრისადმი გულგრილი გახდა, სულიერადაც დაეცა. რა გე-
შართება, რა გჭირსო, ხშირად ეკითხებოდნენ ნაცნობ-მეგობრები, ევალდასი კი
უხმენდა მათ და დუმდა.

და უეცრად კიდევ ერთი ადამიანი მიითვალა სიკვდილმა... ამჯერად — იო-
ნე, ქალმა ნაადრევად დაკარგა მხნეობა, ნაადრევად უმტყუნა ჯანმრთელობამ,
დარჩა ევალდასი ოთხ პატარა ბავშვთან ერთად.

ოქტომბრის ერთ ნათელ საღამოს ევალდასს პუზინასი სასაფლაოდან და-
ბრუნდა. მუხლმოკეცილი ჩამოჯდა სკამზე. პატარები გარს შემოეხვივნენ. დიდ-
ხანს მდუმარედ შესცქეროდა პუზინასი შვილებს. ბოლოს შვიდი წლის მა-
რიკემ, რომელიც განსვენებულ დედას ჩამოჰგავდა, ველარ მოითმინა:

— მაშკო, ჩვენ გვეძინება... — მაშამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.
ბავშვები წავიდნენ, ევალდასი კი დიდხანს იჯდა გამტერებული, ძილის დრო
იყო, მაგრამ გული არ მიუწევდა დასაძინებლად.

იმ ღამით ელზესაც არ ეძინა. იონეს დაკრძალვას ისიც დაესწრო. უცქერ-
და, როგორ ფარავდა მიწა კუბოს სახურავს, ხედავდა ოთხ უმწეო ბავშვს... ევა-
ლდასისათვის არც შეუხედავს, არც დაინტერესებულა, როგორ გამოიყურებო-
ბა იგი! შინ მობრუნებულმა ჩამუხენ დააწვინა დასაძინებლად. გოგონა არაფ-
რით არ იძინებდა. ელზე რალაცას უამბობდა ბავშვს, თუმცა რას — თვითო-
ნაც ვერ გეტყობდათ. ლაპარაკობდა და თან სხვა რამეზე ფიქრობდა: „აი, რო-
გორ მოხდა ეს ყველაფერი... ევალდასი მარტო დარჩა... და კიდევ ოთხი ბავ-
შვი უღვდოდ... რა მოუვათ, როგორ იცხოვრებენ?“ უცებ შეკრთა, რალაც მოე-
ჩვენა, შეშინებულმა შობარუნა თავი კარებლისაკენ. ირგვლივ სიწყნარე სუფე-
ვდა. „ნეტა რას აკეთებს ახლა? ბავშვები... აჭამეს მათ, დააძინეს?“ ადგა, ფე-
ხაკრეფით გამოვიდა სახლიდან. მალალი, მოსარკული ცა ბრწყინავდა. მთვარის
ვერცხლისფერი ბილიკი მთელ ყურეს გასდევდა.

საოცრად მოუხდა ელზეს ევალდასთან მისულიყო და ეთქვა: „მოვედი

მე. ევალდასი“. არა! არა! ჯერ კიდევ ეწყო ევალდასის სახლთან/ნადვის ტოტები! სჯობდა სახვალაოდ გადაედო სტუმრობა.

დილით ძლივს წამოდგა. ყინავდა, ნათელი კვირა დღე თუნდებოდა. სარქაროდ ჩაიცვა და დედას გასძახა: ცოტა შემაგვიანდება!

— ამ უთენია სად მიდიხარ?

არ უპასუხნია. მტკიცედ, შეუპოვრად მიაბიჯებდა მკვირვ, ნამიან, თუმცა უკვე ნახევრად გამომშრალ ქვიშიან სანაპიროზე. მთავარ ქუჩაზე კაცის ჭაჭანება არ იყო. მალაზიები ჯერ კიდევ არ გაეღოთ. ასევე მტკიცე ნაბიჯით ჩაუარა ელზემ ავტოსადგურს, უკან მოიტოვა თევზის ქარხანა... აგერ მისი სახლიც — პირდაპირ ყურესთან. სახლის შესასვლელთან ისევ ისე ეწყო ნადვის ტოტები, მაგრამ ელზე აღარ შეჩერებულა... კარებს მიაწვა, შევიდა... მაგიდასთან იჯდა ევალდასი, მოღუშული, ლოყებჩაცვენილი.

— არ გელოდი? — შეეკითხა ელზე წყნარად და ცრემლი მოებჯინა ყელში. ევალდასმა თვალებით უპასუხა: „არა“.

— მეც არ გელოდი მაშინ, მაგრამ მოხვედრი...

მეზობელ ოთახში შეიხედა. საბანი გადახდოდა ძილში პატარა ევალდუკასს. აიღო, გაუსწორა, მოხერხებულად მიაღაგა ვიწრო ოთახში ბავშვების მიყრად-მოყრილი ტანსაცმელი. სარკმელი გამოაღო. სამზარეულოში გამობრუნდა, ღემელს მიეყრდნო უხერხულად. ევალდასი ისევ ისე იჯდა.

— მითხარი, სად რა გაქვს, საუზმეს მოვამზადებ!

მას არც ახლა ამოუღია ხმა — მხოლოდ დიდი, ანთებული თვალები მადლიერების გრძნობით უმზერდნენ ელზეს.

უკან გამობრუნებისას უკვე მთელმა დაბამ იცოდა, საიდან მოდიოდა ქალი. მალაზიის გვერდით პილეიკენემ შეაჩერა და მთელი ქუჩის გასაგონად, ხმამაღლა აქაქანდა:

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! ეს რა გიფიქრია? ბავშვები ხროვად ჰყავს, თვითონ ბოთლს ჩახვეული წვება და დგება, მოკვდები! იონესავეით შენც ნაადრევად მოგიწევს აღსასრული!

მალაზიის კარებიდან გამობანცალდა პირში სიგარეტგაჩრილი პილეიკისი, ხელი ჩაჰკიდა თავის კეთილმოსურნე ცოლს და ისე მაგრად მოუჭირა, რომ ქალმა მაშინვე ჩაიწყვიტა ხმა.

— ყური არ ათხოვო, ელზე, ამის ენის ქარტალს. — ბუტბუტებდა მთვრალი პილეიკისი.

ელზე არც უსმენდა, რადგან იცოდა — სხვანაირად არ შეეძლო მოქცეულიყო.

მინაილ ცირიხოვი

თათრყვაპილა

ყინულის ქერქი უბოდიშოდ ამოარღვია,
ქათქათა თოვლზე წამოენტო კოცონივითა,
გრიგალმა ფრთები ვერ შეარხია,
მის სიახლოვეს როცა მივიდა.

და გაირინდა ყოველივე დაძრული მალლით
ზვავთა ფეთება, ლანქერთ ბორგვა, ქარის ზუზუნი.
წინაშე ახალ სიხარულის, სიცოცხლის ახლის
თვითონ სიკვდილიც უკან იხევს, არის უძღური.

გიორგი ყაითუხოვი

მთაგის სიმძიმე

შენ ამბობ: მიჭირს დანახვაც კი მთათა მწვერვალთა,
ხან წისლი აწევთ, ხან თვალსა მჭრის ყინვართ ციმციმი,
აქ თავი ერთად მოუყრია თითქმის ყველა მთას
და როგორ უძლებს დედამინა იმათ სიმძიმეს.

— მე, მეგობარო, ამ მწვერვალებს, ვით შუქს და იმედებს,
გულით ვატარებ დღიდან მათი პირველი ხილვის,
ცხოვრება ჩემი უამრთებოდ იქნება მძიმე
და ამ მიწაზე როგორღა ვივლი...

ვასო გალიაჰვი

* *

მოსავალზე სიმღერა მასწავლე, მხვწელ-მთესველო,
ნახნავში მარცვლის ჩაყრა მასწავლე, მხვწელ-მთესველო.

ნუ მიუქერ წარბშეკრული, ფრთის გაშლა მაცალე,
 ვით ყინვა შემოდგომას, წუხილი მანვალებს.
 ფერადმა სიზმრებმა ქალაქს წამიყვანეს.
 სოფლის სანახებით ველარ გავიხარე,
 ველარ მოვისმინე სიმღერა მომკელთა,
 გზაზე არც წისქვილის ზღაპარი მომდეგდა.
 მწვავდა დიდების მწვერვალების წვდომის წყურვილი.
 რისთვის ველტვოდი ასე დიდხანს გულდანურვილი?
 მე შუაგზიდან დავუბრუნდი ჩემს სოფელს ასე.
 ხომ არვინ არ ფრენს, არწივს გარდა, უძირო ცაზე!..
 მოსავალზე სიმღერა მასწავლე, მხვნელ-მთესველო,
 ნახნავში მარცვლის ჩაყრა მასწავლე, მხვნელ-მთესველო!

სარაბი ჩანოევი

* *

მე შენთანა ვარ, ერთად ვხვდებით ხვნა-თესვის დარებს,
 ძმავ, მხვნელ-მთესველო, შენი წრფელი გულისა მჯერა,
 ავედევნები შენი გუთნით გავლებულ ბნკარებს,
 ხელმადლიანო, შენგან უნდა ვისწავლო წერა.

შენ ხატავ ამ ველს, ეს ზეგანიც შენით ზეგანობს,
 შენს კვალს მოვყვები, შენი შრომის ყინი მედება,
 შენი ქალაღდი მინდორია უკიდუგანო,
 სავსე ბელელი — შენი დიდი შემოქმედება.

ყოველ წელს შენი შემოდგომის ბარაქით ჰხარობ,
 მე მლობით ველი შემოდგომის ჩემის ხვავობას,
 ის მაშინ დგება, როცა ჩემი სიმღერის წყარო
 წიგნად გადმოჩქეფს, რომ მომავალს შეხვდეს თაობას.

მე მუდამ მკვებავს ხვავი შენი რთვლობის მდიდარის,
 არ იცოტავო ჩემი რთვლობა — სულის წვით არი.

* *

რათ ამოსულხარ შარავზის პირზე
 შენს სილამაზეს დაფარავს მტვერი...
 მიყვარს, დიღ-დიღით როდესაც გიმზერ,
 მზეს რომ შეჰღიმი ცვარ-ნამით სველი.

შენი შუქი და სინაზე მწველი
ყველგან თანა მდევს, არ მტოვებს მარტო.
ვაიმე, არვინ შეგახოს ხელი
ბოროტი, არვინ მოგწყვიტოს, ვარდო...



ტკბილსსურნელოვანს დაგყნოსავს წამით,
მერე უხეშად გზის მტვერში გისვრის...
იფრთხილე, არვინ დაგდალოს შხამით,
არვინ დაგკოდოს ღალატის ისრით.

მე კი... მადლობად ეს ლექსი მომაქვს,
შენს გვერდით გავლის უფლება რომ მაქვს.

პატრე ურუმოვი

* *

მეუბნებიან: ქალიშვილებს ნუღარ უყურებ,
მათი ყურება შენთვის უკვე გვიანი არის.
მაგრამ ცაზე რომ ნათელი მზე ამოშუქდება,
განა მე უნდა დავხუჭო თვალი?

მეუბნებიან: ქალიშვილებს ნუღარ უყურებ,
მათი ყურება შენთვის უკვე გვიანი არის.
თუკი მდუღოდან გამიღიშებს ტურფა ყვავილი,
განა მე უნდა დავხუჭო თვალი?

მეუბნებიან: ქალიშვილებს ნუღარ უყურებ,
მათი ყურება შენთვის უკვე გვიანი არის.
თუკი ქვებშორის გაიღვავებს თვალმარგალიტი,
განა მე უნდა დავხუჭო თვალი?

ვერ ვიზიარებ ამ შენიშვნას. გულში ვინახავ
ცეცხლს და სიცოცხლის გზას ვინათებ იმისი ალით.
თუ თვალხილული სილამაზეს ვერ დავინახავ,
მაშინ ჩათვალეთ, რომ მე ბრმა ვარ ორთავე თვალით.

მისოსტ ბასიევი

მიყვარს

მე მიყვარს დილა გაზაფხულისა,
უქალწულესი მისი ღიმილი,

კვირტების სკდომა, სუნთქვა ხნულისა,
სხივი — ხმიანი ჩანგის სიმით.

მიყვარს ტრაქტორის მინდვრად გუგუნო,
კლდეს დაკიდული ჩანჩქრის შექება,
ქარი, შხაპუნით ფრთებგალუმბული,
ღრუბლებს რომ სადღაც მიერეკება.



ქართული
წიგლისათვის

ო, რარიგ უხვი სინათლე ახლავს,
რა სილაღია, რა სიმწვანეთა! —
მე გაზაფხულთან ვსაუბრობ ახლაც,
მერცხლებს ფრთებით რომ მოუყვანიათ.

თარგმანა თაიშურაზ ჯანგულაშვილმა



საზნაობო რუსეთის კოფია

რევაზ ასაევი

ჩემს ვაჟიშვილს

დღეს ოცდაექვსი შეუსრულდა ვაჟიშვილს ჩემსას,
სიუხვისაგან დაზნექილი გრიალებს სუფრა;
ამიჯსეთ თასი! — სადღეგრძელო ჯეროვნად შევსვა,
გვარის წინაშე აბა: როგორ დავრჩები უბრად?!

მისხელა ვიყავ, როცა იგი ამქვეყნად გაჩნდა
და უკვე ვხედავ, რა მყარად დგას წინაპართ ფესვზე;
თითქოსდა ჩემი სიჭაბუკის ვენიე ლაყვარდს
და გარდასულ წლებს მოგონების კარები შევხსენ!..

აჰა, ვსეირნობ შვილთან ერთად ნევის პროსპექტზე,
ირგვლივ ნევისვე ტალღებივით ირევა ხალხი,
საით გაჰშლია ნეტა ფრთები ვაჟის ოცნებებს,
კვლავ თავის მთებს თუ დასტრიალებს არწივი ლალი?!

არა! აქ არის, აქ ფუსფუსებს ფიქრები მისი,
მხნედ მიაბიჯებს.

წინ კი პროსპექტს არ უჩანს ბოლო;
და თუ ჩემივე ჯიშის სუნთქვა ჩემს ლექსში ისმის,
უნდა მჯეროდეს, რომ ის ქვეყნად კაცურად ცხოვრობს!

ცისფერი ქობით მოჩანს ძველი აკადემია,
 მივიწევ მაღლა და მარმარის კიბეებს ვმარცვლავ;
 ჩემს თვალწინ შორი სივრცეები აქანდებიან,
 აქ ვხვდები ჩემს შვილს,
 რომ სათქმელი კაცს უთხრას კაცმა:



შვილო, აქედან უმღეროდა მზეს ჩვენი კოსტა,
 ამ საფეხურებს ნაფეხური აჩნია მისი;
 მართალი ლექსით იდგა მუდამ ის თავის დროსთან,
 და ვვედრი ღმერთსა, რომ იმ მუზის გამხადოს ღირსი!...

სერგო მინდიაშვილი

* *

მე ჩვილი ყრმა ვარ.
 ასეთივე დავრჩები მარად.
 ჩემი აკვანი ოსუდია,
 დედა კი — ქართლი;
 ო, დედაჩემი
 ისე ტკბილად მიმღერის ნანას,
 რომ მის წინაშე
 ჩემს თავს დიდად
 არასდროს ჩავთვლი!...

თარგმნა ოთარ შალამბერიძემ

ნუგზარ ბაკაევი

დედა

ისე მიხვალ, ისე ფრთხილად აბიჯებ,
 ბებრულ მხრებით კედელს ისე ეხები,
 მიხვალ, თითქოს სიძაბუნეს არ იმჩნევ
 და ხელებით თითქოს ჰაერს ეხვევი.

დაუძლურდი, თვალში შუქი გიქრება,
 ხმის კანკალით გვევედრები: სინათლე...
 რომელ მხარეს დასტრიალებ ფიქრებით.
 რას იხსენებ ანდა ვინ მოინატრე?!

ფანჯარასთან ჩამოჯდები.
 ინათა,
 დღეა, დედა, ლამე გადავაგორეთ,

აღბათ დედამ ის დღეები ინატრა,
ის დღეები ჩემს აკვანს რომ აგონებს.

თუმცა ღრმაა განვლილ წელთა მოწვევი,
მაინც მოჩანს,
თვალწინ მაინც აყვავდა:
დაქანცული თვლემას რომ მოეწიე,
მურამდენედ დაგათუნდა აკვანთან.



მაგ თვალების უსპეტაკეს ნათელში
აბიბინდა ჩემი სიყრმის სიმწვანე,
ლამეუბიც არ გამქრალა ნათევი,
ისიც მოჩანს,
რადგან ბევრი იწვალე.

ჩემს აკვანთან თავდახრილი ელოდი
გათენებას, დიადი მზის ნათებას,
როცა დილით მზის სხივები ელავდნენ —
მე მიკრეფდი ფურად ათინათებად.

ბულბულები იმღერებენ სისხამზე,
გათენდება, გათენდება, დედილო,
დაივიწყე, დაივიწყე ის ღამე,
სიბერეზე ფიქრში გამოკეტილო.

ღმერთო, იქნებ არ ჩამიქრო აროდეს,
დედის თვალთა შუქი ღამეს მინათებს
და მის შუქზე ვხედავ ოსეთს მარადის,
არ ჩამიქრო,
სხვას არაფერს ვინატრებ.

გიორგი გასთაუთი

* *

გაქვავებულო გულო და გაყინულო გულო,
ხომ არ დაკარგე ვინმე, მეგობარს ხომ არ მარხავ?!
ბედნიერებას ნახავ, ღალატს გაუძელ, კრულო,
გაქვავებულო გულო, კვლავ მოწყენილი დახვალ.

ბედნიერი დღის ცეცხლი ხომ არ გადიქცა ნაცრად,
იქნებ მიზანი ვერ ცვლის უმიზნოდ მიმქრალ დღესა?!

იმედი გქონდეს ხემსად, ნუ იმზირები მკაცრად,
 დარდი — მცურავი ჭრელი, ნუთუ ყოველდღე გგესლავს?



გაქვავებულო გულო, შე იმარტოვის ტყვეო, უჩინუნული
 მოვა ზეიმის დღეო, — ჟამი გპირდება მუდამ მუდამ
 გესლიან სიტყვებს, გულო, გესვრიან, როგორც ტყვიებს,
 მაინც გადარჩი, გულო, გულო, შენ ისევ ბჭუტავ.

გაქვავებულო გულო, ცრუა საწუთრო მარად,
 ბრუნავს ცხოვრების ჯარა, სიხარულს ახლავს გლოვა,
 მზე ნანვიმარზე ბრწყინავს, დიან სხივები ღვარად,
 დამარცხებების კვალად გამარჯვებები მოვა.

აპრილის წვიმას მუდამ ჭექა-ქუხილი ახლავს,
 ხოლო ზამთარში ქართა ბედაურები ჟრიან,
 არ შეუგუო ჭაობს, გზას მიაშურე ახალს
 და გამოუღე კარი ქარიშხალების გრიალს.

გ ა ჟ ე ზ ი

სიცოცხლის სათავე

კეთილი იყოს, გაზაფხულო, შენი შემოსვლა.
 ნაზამთრალ ბაღებს ფერადოვან ფარჩით შემოსავ,
 გამოახედებ გაფუებულ მიწას თოვლიდან,
 აღივებ მარცვალს სიმხურვალით და სისოვლითა.
 სიხარულისგან მეც მიფფრინავ, როგორც ღრუბელი,
 ზამთრის სუსხისგან გაქცეული, დაუღუპველი.
 თითქოს თავიდან იბადება ცა და ხმელეთი,
 ხმა მხიარული ფრთოსნებისა მთა-ბარს შეერთვის.
 მოლი ბიბინებს, ლენს მდინარე ყინვის ზღუდეებს,
 ტყეში ჩიტები იშენებენ ახალ ბუდეებს,
 ბუნავს ხალისით ტოვებს ნადირი,
 გაზაფხულია, გაზაფხული ფეთქავს ნამდვილი.
 თავს შეახსენებს მინდორს გუთანი
 და მზის და მიწის ნასათუთარი
 დაუბრუნდება ხეებს სიმწვანე,
 თუმცა ზამთარში ბევრი ინვალეს.
 თითქოს თავიდან იბადება ცა და ხმელეთი,
 მზე დიდებული ძარღვებს შეერთვის.
 ო, გაზაფხულო!
 თანამგზავრო ადამიანთა,
 მადლობა უფალს,
 შენი მოსვლა არ დაგვიანდა.

ილია კავკაზაბი

გაზაფხული



დღემ მოიმატა, ღამე კი
მიდის, მოკლდება თანდათან,
გაფუვდა ხნული, ბაღები
ტყემლებმა მოაქათქათა.

ამოიწვერა კოკორი,
სწორდება ტყე თავდახრილი,
მწყემსს გაზაფხული ამღერებს,
მთას შეჰფენია ნახირი.

ველზე გუგუნებს ტრაქტორი,
ყველა სწრულმა მოტყებულა,
ხასხასებს ნორჩი ბაღახი,
ცვარ-ნამით გადანამულა.

ცამ დაიქუხა, განვიზდა
და დამასველა სრულიად,
თუმიცა მრავალი მინახავს,
ეს სულ სხვა გაზაფხულია.

გერსან კოლალიაძე

* *

გაზაფხული...
მზე, ციური დედა,
ოქროს კიბით
ნება-ნება
ძირს ჩამოდის მინაზე.
დედაჩემის საფლავთან
ამოღერილ ყვავილზე
თრთის ფუტკარი —
აქაც ნექტარს აგროვებს,
მამაჩემის საფლავზე

მწვანე მოლი ბიბინებს,
მოლზე 'მოჩანს
უთეთრესი ბატკანი
გაზაფხული...
მზე, ციური დედა,
ოქროს კიბით
ძირს ჩამოდის მინაზე.
გული მტკივა,
რადგან ობოლს
მხოლოდ მზე მეფერება.

კოსტა მარგიანი

ეული მუსა

წამოიზარდა გორაკზე.
ნისლში ფოთლები ეფინა,
თურმე არწივსაც უჭირდა
ზემოდან გადაეფრინა.

მუსა ძლიერი ფესვებით
ქვასა და მიწას არღვევდა,
ფესვებით მიწას ჩაკვროდა
ამოუძირკვავ ძარღვებად.

საუკუნეებს გაუძლო,
განა თავი ძირს დახარა,
სმენია მოთქმა, ქვითინი
და გამარჯვების ნალარა.

ბევრჯერ ებრძოდა ქარბუქი —
სუსხიანი და აშარი,
ყვავივით ჩამოსწბაოდა
ღრუბელი ჩამონამალი.

ბევრჯერ კვნესოდა ბერძუხა,
ცრემლი სდიოდა ღეროდან,
აქანავებულ ტოტებში
ცისფერი ცა იბღვრეოდა.

ეს წინათ იყო, მას შემდეგ
ისვენებს ომში მოღლილი,
მრავალი წელი გავიდა,
დგას წელში ოდნავ მოხრილი.

ასე ამბობენ: ხეებსაც,
ვით ბერიკაცს და ბერდედას,
დაასწეულებს დრო-ჟამი,
თურმე ხეებიც ბერდება.

მოელის სიკვდილს ბერძუხა,
ბერძუხას ვით ეკადრება,
არც არაფერი აკვირვებს,
არცა რა მოენატრება.

დგას მარტოსული, ბებერი,
ქართაგან გამოუხრავი,

ჟამიჯამ ტყეებს გასცქერის,
მოსწონს სიმწვანე უღრანის.

დარი არი თუ ავდარი,
განთიადი თუ საფრთხეული,
ცელქი ნიავი უმტყნის
ჩვეულ სიმღერას, საამოს.

და დგას ბერძუხა გორაკზე
გულზვიადი და ვული,
მუხის ტოტებში შრიალებს
ჩავლილი ათასწლეული

დგას, სიმარტოვე მოსწყინდა:
იქნებ სიმწვანე ჩამიქრეს?!
ათას ჭირნახულ ბერძუხას
კვლავ მომავალი აფიქრებს.

როგორ არ მოეწყინება
ოხერ-ტიალს და მარტოკას,
მაგრამ რა სიომ დაჰბერა,
ფოთლები რამ შეატოკა?

ილია ალიავი


ტყევი

მიხარია, უდაბური ტყეა,
მაღალ ხეებს ნაჯახი არ შეხებია.
ჩემი გული ამ ტყეების ტყვეა.
მწვანე რტოებს ფრინველები ეხვევიან.

ტყეს უდაბურს
ვერას ავნებს ქარბუქიც,
როცა ზამთრის სუსხიანი ქარია,
ტყე შრიალებს.
ტყე მარადი ჭაბუკი.
ტყეში მოვალ, ტყისკენ მიმიხარია.

ხის ძირები ყვავილებით მოფენილი.
კვნწეროებს ცა დასცქერის ზევიდან,
მინდორი ჩანს ტყეში,
როგორც გობელენი —
მოჩითული უხილავის ხელითა

დაცემცემდა მზე ტოტებში გაყონილი,
მადლობა ღმერთს, კარგი დღე მინყალობა
და მოისმის სიჩუმეში მაყორივით
ფრინველების მხიარული გალობა.



ალექსანდრა ფუხაევი

ნ ა მ ი

რა არის წამი? — თვალის გახელა,
ხმა ტალღებისა ანაზდეული,
ვერც კი მოასწრო თავის გამხელა,
აქრობს წარსულის ათასწლეული.

რა არის წამი? — ავდრიან ღამით
ერთი ქუხილი და გაელვება,
ჩამოცვენილი ფოთლების ჩქამი,
ერთი შეკრთომა და აღელვება.

მაგრამ არსებობს წამი წამების,
მარადიულად ტოვებს ნაკვალევს,
დაეხუჭება მზეს წამწამები,
ციდან მოწყვეტილს ვითვლით ვარსკვლავებს.

მინას შეარყევს წამი ძლიერი,
წამს უეცარი თრთოლვა უხდება,
შეიღებება დასაღიერი
და წამში ზვაფი ჩამოქუხდება.

გადიგრიანებს ქეჩა-ქუხილი,
წამში თენდება, წამში ღამდება,
წამში ყვაფილი ჭკნება წუხილით,
წამში ტკივილი დაგვიამდება.

არსებობს წამი შეუდარები,
წელიწადს უდრის მისი ნათება,
წამში იღება ზეცის კარები
და საოცარი დღე იბადება.

ისიდორა კოჭათი

რა პოეტი შეიძლება გიჩვენას

თუ ვინმესი შემშურდება
მენისქვილის მხოლოდ:
სავსე ბელღებს არ აწუხებს დოლაბების შიში,

როცა საფეხავს არ მოუჩანს ბოლო,
ჩვენს სოფელთან რა ხელი აქვს შიმშილს.

როცა ზამთარს მოსდევს სუსხი, რისხვა,
ყინავს წყალს, რომ მენისქვილეს უმტროს,
მენისქვილე ეგებება სისხამს
და ნაჯახით
წყალს ყინულებს უმტვრევს.



ზაფხულში კი როცა წყალი შრება,
ღარში ძლივსლა მონანწკარებს მერე,
მენისქვილე კვალავს მიწის შრეებს,
წყალს დაეძებს,
ოფლს უმატებს ღელეს.

მე — პოეტი, დღედაღამეს ვწირავ,
არ მასვენებს ერთადერთი ფიქრი:
ღმერთო, იქნებ ლექსი ისე ვწერო,
შთამომავალს დარჩეს ჩემი წიგნი.

რა პოეტი შეიძლება მერქვას
თუ სურვილად დარჩა ჩემი სურვილი,
ჩემი ლექსი თუ არა ჰგავს ძელქვას,
თუ გათანგულს ვერ მოვუკალ წყურვილი.

გიორგი ჯუგათი

ს ი მ მ ა ნ ვ ი ლ ე

გაფრენილა სიყმანვილის ჟამი,
ზღაპრულ მერანს დაკარგვია ზღაპარი,
გაფრენილა, როგორც ერთი წამი,
აღარ ბზინავს მზეზე მისი ფაფარი.

მახსოვს, მერანს ნაპერწკლები სცვიოდა,
ერთი იყო მისთვის აღმართ-დაღმართი,
მზე არ სწვავდა,
ყინვაში არ სცვიოდა,
იყო მხნე და მარად საღსალამათი.

ზოგჯერ ახლაც სიყვარულით მოვუხმობ:
გაუვალი გამიკვლიე გზა-შარა,
გაგონილა?

მძიმე-მძიმედ მოუხვევს,
დაძაბუნდა, ძველი ვნება დამშრალა.

მახსოვს მისი გახელება მე ადრე,
ახლა რაა, ნეტავ სულ არ წახავდეთ,
ძალას იკრებს,
სხეულს ისე მიათრევს,
რომ როგორმე მიაღწიოს სახლამდე.



ქართული
საქართველოს
საქართველოს
საქართველოს

ლეონიდ სარაბათი

ჩემო ნაბლა ხარო

ნავალ, თივას მოგითიბავ,
ჩემო ნაბლა ხარო,
შენ კი შეშა მომიტანე,
ჩემო ნაბლა ხარო,
ანდა ლოკე ქვამარილი,
ჩემო ნაბლა ხარო,
სიცოცხლეში ერთმანეთი ასე გავახაროთ.

სხვა შენს მეტი არავინ მყავს,
თუმც არა ვარ ჯაბანი.
ჭირის გზაზე მხოლოდ შენ თუ გადამიყვან,
იმედი მაქვს შენი ქედის,
გამინიე ჭაბანი.

ერთად უნდა ავაშენოთ სახლი,
გადავხუროთ გომური და საბძელი,
ვიმუშავოთ, ნუ შეგაკრთობს დაღლა,
კიდევ გავძლებთ,
რადგან ბევრი გავძელით.

ნავალ, თივას მოგითიბავ,
ჩემო ნაბლა ხარო,
შენ კი შეშა მომიტანე,
ჩემო ნაბლა ხარო.
მე კოფოზე ნამოვმჯდარვარ,
შენ კი დაბლა ხარო.
ვიმუშავოთ,
ერთმანეთი შრომით გავახაროთ.

პიქტორ ტელევიზი

ფრთხი



პრეტენზია

თარგმანი ზაზუნა მადარაშვილიდან

ყოველ გაზაფხულზე ერთი და იგივე მეორდებოდა: სამი კოლმეურნეობის ტრაქტორები სამი მხრიდან მიადგებოდნენ ერთ სამკუთხე ნაკვეთს, ეღავებოდნენ — მათგან რომელს უნდა მოეხნა ეს „ნეიტრალური ზონა“. წინა თვეებს შეაყენებდნენ ადრევე მონიშნულ მიჯნასთან და იმას იქით ძვრას აღარ იზამდნენ.

— იქნებ მაინც შეგვებერნა, ჰა?! — სულსწრაფობდნენ ცოტა უფრო ახალგაზრდები, — რატომ უნდა მოცდეს მიწა ტყუილ-უბრალოდ!

— არ შეიძლება! — აწყნარებდნენ მათ შედარებით უფროსები, — როცა არაფერი არ გესმით, გაჩუმდით მაინც. აბა, გაიხედ-გამოიხედეთ, მიწაზე მეტი რა გვაქვს!

და მინდვრის ის იდუმალი სამკუთხედი ძველებურად ხელშეუხებელი რჩებოდა.

მიწამაც თითქოს დაიდრატურა, აქ ჩემი შემწეუხებელი აღარავინ არიო და ტენგამჯდარს უშფოთველად ეძინა; მინდვრის ყვავილები არ ჩქარობდნენ მასზე ამოყელყელავენას, თითქოს ესმოდათ, რომ ჯერ კიდევ წინ ედოთ მთელი გაზაფხული და ზაფხული, მხოლოდ მაისის ბოლოს ამოიფეთქებოდნენ ლურჯი ღილილოები, გვირილებმა კი ისედაც გვიან იციან ყვავილობა, სამაგიეროდ ზაფხულის გასელამდე ყინჩად დგანან ხოლმე მაღალ ღეროებზე.

ამ აღვილას რომელიღაც წელს ჩამოვარდნილიყო ჩვენი „შევარდენი“, მარტოდმარტო ხუთ „მესერს“ რომ ებრძოდა თურმე. აქაურებს კარგა ხანს სცოდნიათ ამ შემთხვევის ზუსტი თარიღი, მაგრამ მერე ისიც დავიწყებითათაა სხვა მსგავს თარიღთა შორის.

ამ გაზაფხულზე აქ ერთი უცნაური ქალი გამოჩნდა, ყველასათვის უცნობი. ტყე კარგა მოშორებით არის, გამოვიდა იმ ტყიდან დილით, გადასჭრა ახალი ნახნავი. — თან ფეხები ფხვიერ მიწაში ეფლობა თურმე, — მივიდა იმ მოუხნავ ნაკვეთთან და დადგა. დიდხანს იდგა, იდგა და მერე წავიდა.

ტრაქტორისტებმა ერთმანეთს გადახედეს.

— ვინ არის? იქნებ, უბრალოდ, გამვლელია ვინმე?

მაგრამ მერე დილას უცნობი ქალი ისევ მოვიდა და ჩაფიქრებული დადგა იმავე ადგილას.

— გუშინდელი ქალია?



— ის უნდა იყოს.

ტრაქტორისტები მივიდნენ, მიესალმნენ.

— აქ რა გინდათ, დედილო?

ქალმა უსიტყვოდ შეინაცვლა ფეხი. შესახედობა სხვაგვარად უნდა ყფრო — ქალაქელისა, რასაც უმტკიცებდა თვალბზე რქის სათვალე და ფეხებზე — ძველი, ტალახისთვის შეუფერებელი ფეხსაცმელები. ქალარა თმა ქარში გასწეწოდა.

— აჰა... თქვენ იმასთან მოხვედით, არა? — შეეკითხა ერთი ტრაქტორისტი, ისიც ქალარა და წლოვანი.

— კი, მასთან... — წყნარად მიუგო ქალმა, ისე რომ თვალი არ მოუწმორებია იმ მოუხნავი სამკუთხედი ყალთალისათვის.

მაისის დილა იყო, მზიანი და, შეიძლება ითქვას, მცხუნვარეც კი. ტრაქტორისტებმა ქუდები მოიხადეს და გაოფლიანებული შუბლები მოიწმინდეს.

— ჰო... ჩვენ კი თქვენზე აქამდე არაფერი გაგვიგონია, — ისევ დაილაპარაკა ქალარამ.

— აქამდე ვერანაირად ვერ მოვძებნე... — უფრო წყნარად და როგორღაც დაძნალებულად თქვა ქალმა.

სალამოთი ახალ კლუბში მთელი იმ კუთხის მცხოვრებლებმა მოიყარეს თავი. პიონერებმა ყვავილები მოიტანეს. ვილაცა სიტყვით გამოვიდა. გადაწყვიტეს სოფელ ზაბოლოტიეს სკოლისათვის მიენიჭებინათ დაღუპული მფრინავის სახელი.

შეკრება უკვე დამთავრდა და ის იყო იშლებოდნენ, რომ კლუბში კოლმეურნეობის დაარაჯი ფომიჩი შემოჩლაბუნდა. მან პრეზიდენტის გახუნებულ ყუმაშგადაფარებულ მაგიდაზე დადო ცეცხლისგან შერუჭული ალუმინის უზარმაზარი ნაგლეჯი, უცნობ ქალს შეხედა და უთხრა:

— ეს შენი შევარდენის ფრთაა.

ბეორე დილას გმირის ქვრივი შინ მიემგზავრებოდა, სამშობლოში. გამომშვიდობებისას უცნობი ადამიანები უკვე თავისიანივით ელაპარაკებოდნენ.

— შენ რა, პოლინა მიხაილოვნა, დიდი ხნით გვტოვებ?

— არა, დიდი ხნით არა. მხოლოდ აი, შვილს ჩამოვიყვან და ჩამოვალ.

შეიძლება აქვეც დავსახლდეთ, მიგვიღებთ?

— კოლმეურნეობა ბინას აგიშენებთ, მიწა კი, თვითონაც ნახეთ, საკმაო გვაქვს.

როცა ფორანი დაიძრა და თვლები ქვიან გზაზე არახრახდა, ქალებმა პირი მიიბრუნეს, კაცებმა კი კვლავ მოიხადეს ქუდები. დღეც ისევ მზიანი გამოვიდა, გუშინდელივით მცხუნვარე.

მორახრახე თვლებთან ერთად ერთ ტაქტზე არახუნ-ახრიალდა ტილოში სათუთად გამოხვეული ალუმინის ნაფლეთიც.

გამცილებელთა ჯგუფში ერთმანეთს გადახედეს — მეტალს ისეთი ხმა ჰქონდა, ითქოს ვილაცის უხილავი თვითმფრინავი მძლავრად აგრუბუნდა, აგრ-ერ-აფერ მოსწყდება მაისის აყვავებულ მიწას და უსასრულო ლურჯ შორეთში შეინავარდებსო.

გ ლ ა ნ ო ნ ა ნ ი ა ნ ი

ხ ა ლ ი ჩ ე ბ ი



თარგმნა ოთარ ხალაშვილიძემ

ხალიჩების საამქროში
სიზმარ-ცხადი აღარ იცი:
ფერი ძონის და ოქროსი
ერთმანეთის ხიბლით იწვის.

დასასრული არ აქვს ნაყშებს
უცნაურად ნაგვირისტალს:
ზედ — ხან ირემს, ხან მთებს ამჩნევ,
ხან — პეიზაჟს აპრილისას.

მთელი ქვეყნის ვარდ-ყვავილი
ფუჭად დაობს ხალიჩებთან:
სიმფონია ღაზლა-სირმის
შგავს მუსიკის გაგიყებას...

ხალიჩების გაღერვა
პლანეტაა სულ სხვა, თუ რა?
მარტო ღმერთს არ აერევა
ზედ სირმების პარტიტურა...

მეხალიჩე ამ ხალიჩებს
ხელს აჰკრავს და მტვერში გაშლის;
შენც, გამვლელო, გააბიჯე
მოცეკვავე ცეცხლის აღში...

ზღაპრულ ხლართებს ჯიქურ მიჰყევ,
თვით ხარ ზღაპრის დამამშვენნი:
ვაზს/თუ ზერდაგს,
მთებს თუ ჯიხვებს
უხარიათ გავლა შენი...

ხალიჩებო, იმ მტვერს მეწვე
თვით ემბაზში ჩარეცხავენ
და მიიღებ ჯადო ფერებს,
ცხრა თუ არის,
ბარემ ცხრავეს!..

რომ იბრწყინოთ მუდამ ისე,
გაშტერებდეს თვალებს ყველა
და გვმატებდეთ სიხალისეს.
ვით პირველი ცისარტყელა.

რომ კვლავ დახვდეთ ადამიანს
საამებულ სამსახურად
და არ შერჩეს ქარს და ნიავს.
რაც თქვენს მკერდზე დასახულა.

რომ ამქვეყნად ნიადაგმცა
ხელოვნების ნმინდა არსი
ჰყვაოდეს და ფიანდაზად
გაიშალოს უკვდავ ხალხში.

ხალიჩები წყება-წყება,
რალაც უცხო გაელვება...
ვით ცხოვრებას, მასაც გზნება
არასოდეს დაელვება.

ფეროვანი ტალღა როა
მოქსოვილი გემოვნებით...
ჯადოსნური სამყაროა
ჯადოსნური ხელოვნების!

□

ერნესტ ჰემინგუეი

სამდღიანი ქარიშხალი



ერნესტ ჰემინგუეის
სამდღიანი ქარიშხალი

მოთხრობა

ინგლისურიდან თარგმნა ლია ოძროთაღიძე

მოთხრობა „უცბად მოვარდნილი ქარიშხალი“ შედის ერნესტ ჰემინგუეის პირველ მოთხრობათა კრებულ „ჩვენს დროში“, რომელიც გამოქვეყნდა 1925 წ. მწერლისავე სამშობლოში. ამ კრებულში შესულია შინაარსით ერთმანეთთან დაკავშირებული და თანმიმდევრობით მიყოლებული თოთხმეტი მოთხრობა. ცალკეულ მოთხრობას წინ უძღვის ვინიეტი. როგორც კრებულის სათაურიდან ჩანს, მწერლის მიზანი იყო ზედმიწევნით დეტალურად დაეხატა თანამედროვეობის ამსახველი სურათები. იქნებ მკითხველს უინტერესო მოეჩვენოს მოთხრობა, მაგრამ როცა ჰემინგუეი ზემოთ ხსენებულ კრებულს გამოსაცემად ამზადებდა, სულაც არ ფიქრობდა, რომ მის მიერ წინასწარ განსაზღვრული თანმიმდევრობით განლაგებულ მოთხრობებს ვინმე გადაადგილებდა ან საერთოდ გამოაცალკავებდა თარგმნის დროს.

წინააღმდეგარე მოთხრობას კრებულში წინ უსწრებს მოთხრობა „რალაც გათავდა“. ეს ორი ნაწარმოები, რომელთაც მწერალმა დამოუკიდებელი არსებობის უფლება მიანიჭა, შინაარსობრივად ახლოს დგას ერთმანეთთან. თუ მოთხრობა „რალაც გათავდა“ გვიამბობს მთავარი გმირის ნიკ ადამსისა და მისი შეყვარებულის მარჯერის დაშორების ამბავს, მოთხრობაში „უცბად მოვარდნილი ქარიშხალი“ გადმოცემულია მარჯერის დაკარგვით გამოწვეულ ნიკის სულიერი ტკივილი.

მოთხრობა დიალოგური აგებულებისაა. სწორედ ამ დიალოგშია ჩაძირული „აისბერგის“ წყალქვეშა ნაწილი, რომლის პრინციპის — „აისბერგის“ — მიხედვითაც ჰემინგუეი წერდა. ამ დიალოგმა უნდა განაპირობოს ქვეტექსტის გაგება. ეს არის მწერლის უპირველესი მიზანი, რის განხორციელებასაც იგი ახერხებს მხოლოდ მისეული, საკუთარი ხელწერით.

მთარგმნელისაგან.

ვიმამ გადაიღო, როცა ნიკმა ბალზე გამავალი გზისკენ შეუხვია. ხილი უკვე დაეკრიფათ. შემოდგომის ქარი შიშველ მთებში ქროდა. ნიკი შეჩერდა, გზისპირას წვიმისაგან მოლაპლაპე ბალახში ვაშლი ეგდო. ნიკმა აიღო და ქურთუკის ჯიბეში ჩაიღო.

ხეხილის ბაღიდან გზა მთის წვეროსაკენ მიემართებოდა. იქ კოტეჯი იდგა. ვერანდაზე არაეინ ჩანდა, საკვამურიდან კვამლი ამოდებოდა. კოტეჯის უკან მოჩანდა ვარაყი, საქათმე და ახლად ტანაყრილი ხეები, რომლებიც ტყის ფონზე მესერივით ჩამწყრივებულიყვნენ. ნიკმა შორს იგაიხედა. დიდ ხეებს ქარი არხევდა. ეს იყო შემოდგომის პირველი ქარიშხალი.

როცა ნიკმა ხეხილის ბაღის ზემოთ გაშლილი მინდორი გაიარა, კოტეჯის ქარი გაიღო, ბილი გამოვიდა და ვერანდაზე გაჩერდა.

— ოჰ, უიმიჯ, — თქვა მან.

— ბილ, — თქვა ნიკმა კიბეზე ასვლისას. ისინი ვერანდაზე იდგნენ და ხეხილის ბაღს, მინდვრებს, ვზისგალმა ჩამყუდროვებულ სოფელს, ტბასა და ტყით დაფარულ კონცხს გასცქეროდნენ.

ქარი პირდაპირ ტბიდან ქროდა, ვერანდიდან ხედავდნენ ტალღების მოქცევას თენ-მაილის კონცხთან.

— მაგრად ქრის, — თქვა ნიკმა.

— სამი დღე კიდევ იქროლებს, — უპასუხა ბილმა.

— მამაშენი შინ არის? — ჰკითხა ნიკმა.

— არა, სანადიროდ წავიდა. შემოდი.

ნიკი კოტეჯში შევიდა. ბუხარში ღიმილი ცეცხლი ენთო. ბუხრის მიღში ცეცხლი გუგუნებდა. ბილმა ქარი დახურა.

— დავლიოთ რამე? — თქვა მან.

სამზარეულოში გავიდა და ორი ჭიქითა და წყლის დოქით ხელში დაბრუნდა. ნიკმა ვისკის ბოთლი გადმოიღო ბუხრის თავთან დაკიდულ თაროდან.

— როგორია? — ჰკითხა მან.

— კარგია, მიდი, — უპასუხა ბილმა.

ისინი ბუხრის წინ ისხდნენ და წყალშერეულ ირლანდიურ ვისკის სვამდნენ.

— კვამლის სასიამოვნო გემო აქვს, — თქვა ნიკმა და ჭიქიდან გახედა ცეცხლს.

— ტორფის გემო აქვს, — თქვა ბილმა.

— ტორფი სასმელში ვერ მოხვდებოდა, — უპასუხა ნიკმა.

— მაგას მნიშვნელობა არ აქვს, — თქვა ბილმა.

— გინახავს ტორფი? — ჰკითხა ნიკმა.

— არა, — თქვა ბილმა.

— არც მე, — თქვა ნიკმა.

ნიკმა ფეხები ცეცხლს მიუშვირა, მის ფეხსაცმელს ორთქლი აუვიდა.

— ფეხზე გაიძრე, — თქვა ბილმა.

— წინდები არ მაცვია.

— ფეხსაცმელი გაიძრე და გაიშრე. წინდებს მე მოგიძებნი. — თქვა ბილმა. ის სხვენზე ავიდა, ნიკს ესმოდა, როგორ დადიოდა ბილი ზემოთ. სხვენი ზედ სახურავქვეშ იყო, სადაც ხანდახან ბილი და მამამისი და ხანდახან ნიკიც იძინებდნენ ხოლმე. სხვენს მიკრული ჰქონდა პატარა ოთახი, წვიმიან ამინდში, როცა წვიმა სახურავში ატანდა, საწოლები უვნებელ ადგილზე გადაჰქონდათ და ზედ წყალგაუმტარ ხაჭერს აფარებდნენ.

ბილი სქელი შალის წინდებით ხელში დაბრუნდა.

— უწინდოდ სიარულის დრო აღარ არის, — თქვა მან.

— არ მიყვარს წინდები, — თქვა ნიკმა. წინდები ჩაიცვა და სკამზე მძიმედ დაეშვა, ფეხები ცეცხლისპირს, ზედ ბუხრის ტიხარზე დააწყო.

— ტიხარს გაღუნავ, — თქვა ბილმა. ნიკმა ფეხები ჩამოიღო და ბუხრის გვერდით დააწყო.



— წასაკითხი თუ გაქვს რამე? — ჰკითხა მან.

— მხოლოდ გაზეთი.

— როგორ არის „კარდინალების“¹ საქმე?

— ორჯერ წააგეს „გიგანტებთან“.¹

— მაშ, ახლა აღარაფერი ეშველებათ.

— არა, ამჯერად უბრალოდ მოეშენენ, — თქვა ბილმა. — სანამ მაკ გროუს კარგი მოთამაშეების ყიდვა შეუძლია ლიგისთვის, არაფერი გაუჭირდებათ.

— ყველას ხომ ვერ იყიდის, — თქვა ნიკმა.

— ვისაც გინდა, იმას იყიდის, — უპასუხა ბილმა.

— ჰეინი ზიმისა არ იყოს, — დაეთანხმა ნიკი.

— დიდი ხეირი კი იქნება ამ ხისთავასაგან.

ბილი წამოდგა.

— მაგრად ურტყამს, — შეეკამათა ნიკი. ცეცხლმა ფეხები გაუხურა.

— კარგი დამჭერიცაა, — თქვა ბილმა, — მაგრამ გუნდი კი მისი მიზეზით

სულ აგებს თამაშებს.

— იქნებ ამიტომაც არ ეშვება მაკ გროუ ჰეინს, — ივარაუდა ნიკმა.

— შეიძლება, — დაეთანხმა ბილი.

— ჩვენ ხომ ყველაფერი არ ვიცით, — თქვა ნიკმა.

— მართალია, მაგრამ არც ჰურში ვსხედვართ.

— თითქოს დოღზე ვართ და იმ ცხენზე ვდებთ სანაძლეს, თვალით რომ არ გვინახავს.

— ასეა სწორედ.

ბილმა ვისკის ბოთლი აიღო, დღე ხელში მოიძწყვდია და ნიკს ვისკი გამოწვდილ ჭიქაში ჩაუსხა.

— წყალი რამდენია?

— იმდენივე.

ის იატაკზე დაჯდა ნიკის სკამის გვერდით.

— კარგია შემოდგომის ქარიშხალი, არა? — თქვა ნიკმა.

— ძალიან კარგი.

— წელიწადის ყველაზე კარგი დროა, — თქვა ნიკმა.

— ჯოჯობეთი იქნებოდა ახლა ქალაქში ყოფნა, — თქვა ბილმა.

— დიდი სიამოვნებით ვნახავდი „მსოფლიო ჩემპიონატს“, — თქვა ნიკმა.

— რას იზამ, ეს ჩემპიონატი ახლა მხოლოდ ფილადელფიაში და ნიუ-იორკში ტარდება, — თქვა ბილმა. — ჩვენთვის ერთიც სულ ერთია და მეორეც.

— ნეტავ „კარდინალები“ თუ მოიგებენ ოდესმე პრიზს?

— ჰო, როგორ არა, დაელოდე! — თქვა ბილმა.

— რა გაუხარდებათ ბიჭებს?! — თქვა ნიკმა.

¹ გუნდების სახელწოდება.

— ხომ გახსოვს, რა კარგად დაიწყეს მაშინ, ვიდრე მატარებლის კატასტროფაში მოჰყვებოდნენ.

— აბა! — თქვა ნიკმა.

ბილი ფანჯარასთან მდგარ მაგიდაზე პირუტყულმა დადებულ წიგნს გადასწვდა, ვერანდაზე გასვლისას დადო იქ ერთ ხელში ჭიქა ეჭირა, მეორეში — წიგნი და ასე მიეყრდნო ნიკის სკამს.

— რას კითხულობ?

— „რიჩარდ ფევერელს“.

— ვერაფერი გავუგე მაგ წიგნს.

— ცუდი წიგნი არ არის, უიმიჯ, — თქვა ბილმა.

— იქნებ გაქვს რამე წიგნი, რაც არ წამიკითხავს? — ჰკითხა ნიკმა.

— „სიყვარული ტყეში“.

— წაკითხული მაქვს, ჭალ-ვაჟი ლამით საწოლში შიშველ ხმაღს რომ იდებენ შუაში.

— კარგი წიგნია, უიმიჯ.

— კარგი წიგნია, მაგრამ არ მესმის, ხმალი რაში სჭირდებათ. ხმლის ალესილი პირი ზემოთ რომ იყოს მიმართული, მაშინ სხვა საქმეა, მაგრამ თუ ბრტყლად დევს, სულაც არ არის საშიში, ზედ გადაგორდ-გადმოგორდე.

— კი მაგრამ, ეს ხომ სიმბოლურია, — თქვა ბილმა.

— გასაგებია, მაგრამ პრაქტიკული არ არის.

— „სიმამაცე“ თუ წავიკითხავს?

— კარგი წიგნია, — თქვა ნიკმა. — სერიოზული, ეს ის არ არის, მამამ რომ ლამის სული ამოხადოს?.. სხვა წიგნი ხომ არ გაქვს კიდევ უოლპოლის?

— „ბნელი ტყე“, — თქვა ბილმა. — რუსეთზეა დაწერილი.

— რა იცის მან რუსეთზე? — ჰკითხა ნიკმა.

— რა ვიცი, რას გაუგებ მწერლებს. ალბათ ბავშვობაში იყო იქ. ეტყობა, ბევრი რამ სმენია რუსეთზე.

— დიდი სიამოვნებით გავიცნობდი უოლპოლს, — თქვა ნიკმა.

— მე კი ჩესტერტონს, — თქვა ბილმა.

— ნეტა აქ, ჩვენთან იყოს ახლა, — ინატრა ნიკმა — ხვალ სათევზაოდ წავიყვანდით ვუაში.

— თევზაობა თუ უყვარს ნეტავ? — თქვა ბილმა.

— დარწმუნებული ვარ, უყვარს, — უპასუხა ნიკმა. — ჩინებული ბიჭია. გახსოვს მისი „მფრინავი სამიკიტნო“?

თუ ანგელოსმა

ღვინის ნაცვლად წყალი მოგართვია,

მადლობა უთხარ

და სარკმლიდან გადააქციე.

— მართალი ხარ, — თქვა ნიკმა, — უოლპოლზე უკეთესი ბიჭია.

— რა თქმა უნდა, უკეთესია, — დაეთანხმა ბილი. — მაგრამ უოლპოლი უკეთ წერს.

— არ ვიცი, — თქვა ნიკმა. — ჩესტერტონი კლასიკოსია.

— უოლპოლიც კლასიკოსია, — არ ნებდებოდა ბილი.



— ნეტავ ორივე აქ იყო, — თქვა ნიკმა, — ხვალ სათევზაოდ წავიყვან-
დით ვუაში.

— მოდი, დაეფრეთ, — თქვა ბილმა.

— დაეფრეთ, — დაეთანხმა ნიკი.

— ჩემი მოხუცი არაფერს მეტყვის, — თქვა ბილმა.

— დარწმუნებული ხარ? — ჰკითხა ნიკმა.

— რასაკვირველია, — თქვა ბილმა.

— მე ისედაც მთვრალი ვარ უკვე, — თქვა ნიკმა.

— კარგი ერთი, — თქვა ბილმა.

ის იატაკიდან წამოდგა და ვისკის ბოთლს მისწვდა. ნიკმა ჭიქა გაუწოდა,
თან მანამდე შესცქეროდა ჭიქას, ვიდრე ბილმა არ შეუესო.

ბილმა ჭიქა მხოლოდ ნახევრამდე შეუესო.

— წყალი ჩაიმატე, — თქვა მან. — ერთი დაღვეისა კიდევ დაგვრჩა.

— მეტი არა გაქვს? — შეეკითხა ნიკი.

— მაქვს, მაგრამ მამაჩემს არ უყვარს, გაუხსნელ ბოთლებს რომ ვკიდებ
ხელს.

— ასეც უნდა, — თქვა ნიკმა.

— ასე ამბობს, ბოთლების გახსნიდან იწყება კაცის თრობა, — გაუხსნა
ბილმა.

— მართალია, — თქვა ნიკმა. იგი გაოცებული იყო, აღრე არც დაფიქრე-
ბულა ამ საკითხზე. აქამდე რატომღაც ასე ეგონა, მხოლოდ ის თვრებოდა,
ვინც მარტოვე სვამდა.

— მამაშენი როგორ არის? — ჰკითხა მან მოკრძალებით.

— არა უშავს, — უპასუხა ბილმა. — ხანდახან გატყუორდება ხოლმე.

— კარგი კაცია, — თქვა ნიკმა და დოქიდან წყალი ჩაისხა ჭიქაში. წყალი
ნელა შეერია ვისკის. ვისკი მეტი იყო წყალზე.

— ნამდვილად კარგია, — დაეთანხმა ბილი.

— არც ჩემი მოხუცია ცუდი, — თქვა ნიკმა.

— მართალი ხარ, — დაეთანხმა ბილი.

— სულ ასე ამბობს, ჩემს ცხოვრებაში წვეთი სპირტიანი სასმელი არ
გამიკარებია პირსო, — ისე თქვა ნიკმა, თითქოს რომელიღაც მეცნიერული
ფაქტი ამცნო.

— რა თქმა უნდა, მამაშენი ექიმია და არ დაღვეს, ჩემი მოხუცი მხატვა-
რია, ეს კი სხვა საქმეა.

— მამაჩემმა ბევრი რამ დაკარგა ცხოვრებაში, — თქვა ნიკმა ნაღვლიანად.

— ეჰ, რას იზამ, — თქვა ბილმა, — არავინ იცის, როდის რას დაკარგავ,
როდის რას იპოვი.

— თვითონ ამბობს, ბევრი დავკარგეო, — გამოტყდა ნიკი.

— არც მამაჩემს ულხინდა უწინ, — თქვა ბილმა.

— გამოდის, ყველგან ერთი და იგივე ამბავი ტრიალებს, — თქვა ნიკმა.
ისინი ისხდნენ და ცხოვრებაზე ღრმად დაფიქრებულნი შესცქეროდნენ
ცეცხლს.

— გავალ, უკანა ვერანდიდან შეშას შემოვიტან, — თქვა ნიკმა, ბუხარში
ცქერისას დაინახა, ცეცხლი თანდათან რომ ქრებოდა. თანაც უნდოდა ეჩვენე-
ბინა, სასმელი სულაც არ მწყინს და სულაც არ ვკარგავ აზრს სიმთვრალეშიო.

მერე რა, რომ ნიკის მამას სპირტიანი სასმელი წვეთიც არ გაუკარებია პირს, ბილი ისე არ დაათრობს ნიკს, სანამ თვითონ არ დათვრება.

— ცოტა მოდილო კუნძი შემოიტანე, — თქვა ბილმა. ~~მასაც არ დააკარგვია აზროვნება.~~

ნიკმა სამზარეულოში კუნძით ხელში გამოიარა და მაგრად დაჭრა ქვაბი ჩამოაგდო. მან კუნძი იატაკზე დადო და ქვაბი აიღო: ქვაბში გამხმარი გარგარი ჩაეყარათ ჩასალბობად. გარგარის ნაწილი ქურის ქვეშ შეგორდა. დანარჩენი კი მან გულდასმით აკრიფა, ქვაბში ჩაყარა და ცოტა წყალი დაასხა სათლიდან, რომელიც იქვე მაგიდასთან იდგა. მას ეამაყებოდა, რომ სავსებით ფხიზელი იყო. ის კუნძით ხელში მივიდა ბუხართან, ბილი სკამიდან წამოდგა და ცეცხლის შეკეთებაში მიეხმარა.

— კარგი კუნძია, — თქვა ნიკმა.

— ცუდი ამინდისთვის ვინახავდი. მთელი ღამე ეყოფა ცეცხლს. — თქვა ბილმა.

— ნაკვერჩხალსაც ბევრს დატოვებს დილისთვის ცეცხლის გასაჩაღებლად, — დაუმატა ნიკმა.

— მართალია. — დაეთანხმა ბილი. მათ საუბარი მალე მაღალ დონეზე წარმართეს.

— კიდევ დავლიოთ, — თქვა ნიკმა.

— ერთი ნაკლული ბოთლი კიდევ შეგულება განჯინაში, — თქვა ბილმა. კუთხეში განჯინის წინ დაიხარა და იქიდან ოთხკუთხედი ბოთლი გამოიღო.

— შოტლანდიურია, — თქვა მან.

— წყალს შემოვიტან, — თქვა ნიკმა. ის კვლავ სამზარეულოში გავიდა. სათლიდან ცივი წყლით შეავსო დოჭი. სანამ სასტუმრო ოთახს გაივლიდა, სასადილო ოთახში სარკეს ჩაუარა და შიგ ჩაიხედა. სახეზე უცნაური გამომეტყველება აღბეჭდვოდა. მან გაუღიმა სახეს სარკეში, სამაგიეროდ სახემ შემოღობღვირა. მან სახეს თვალი ჩაუკრა და გზა განაგრძო. ეს არ იყო მისი სახე, მაგრამ ამას ახლა მისთვის არ ჰქონდა მნიშვნელობა.

ბილმა ჭიქები შეავსო.

— მეტისმეტად ბევრია, — თქვა ნიკმა.

— ჩვენთვის არ არის ბევრი, უიმიჯ, — უბასუხა ბილმა.

— ვინ ვაძღვებრძელოთ? — იკითხა ნიკმა. მას ხელში ჭიქა ეჭირა.

— თევზაობის სადღეგრძელო დავლიოთ, — თქვა ბილმა.

— კარგი, — დაეთანხმა ნიკი. — ჯენტლმენებო, გთავაზობთ თევზაობის სადღეგრძელოს.

— თევზაობას გაუმარჯოს ამქვეყნად, — წარმოთქვა ბილმა.

— თევზაობისა იყოს, — დაეთანხმა ნიკი.

— ბეისბოლს ათასჯერ ჯობია, — თქვა ბილმა.

— არც შევადარებ, — დაუმატა ნიკმა. — ნეტავ რა გვალაპარაკებდა ბეისბოლზე?

— შევცდით, — თქვა ბილმა, — ბეისბოლი გაუთლელთა თამაშია.

ბოლომდე გამოცალეს ჭიქები.

— ახლა ჩესტერტონის სადღეგრძელო დავლიოთ.

— უოლბოლისაც, — დაუმატა ნიკმა.

ნიკმა ვისკი ჩამოასხა. ბილმა წყალი გაურია. მათ ერთმანეთს შეხედეს. შესანიშნავ გუნებაზე იყვნენ.

— ჯენტლმენებო, — წარმოთქვა ბილმა — გთავაზობთ ჩესტერტონისა და უოლპოლის სადღეგრძელოს.

ეროვნული
გინგამი

— ნამდვილად, ნამდვილად, — თქვა ნიკმა. დალიეს. ბილმა ჭიქები შეაღწია. ისინი ბუხრის წინ საგარძელში ჩაფლულიყვნენ.

— უიმიჯ, შენ ჭკვიანურად მოიქეცი, — თქვა ბილმა.

— რას გულისხმობ? — ჰკითხა ნიკმა.

— მარჯის რომ დაშორდი, — უპასუხა ბილმა.

— ჰო, შეიძლება.

— სხვა გამოსავეალი არ გქონდა. ასე რომ არ მოქცეულიყავი, შინ მოვიხდებოდა დაბრუნება, სამსახურის მოძებნა და ქორწილისათვის ფულის დაგროვება.

ნიკმა არაფერი უპასუხა.

— კაცი რომ დაქორწინდება, დაღუპულია მისი საქმე, — განაგრძო ბილმა. — ცხოვრებაში ველარაფერს მიაღწევს, მისთვის დამთავრებულია ყველაფერი. ხომ გინახავს ცოლიანი ბიჭები?

ნიკი კვლავ დუმდა.

— ცოლიან ბიჭებს ერთი შეხედვით გამოიცნობს კაცი, — თქვა ბილმა. — ისეთი მაძლარი შესახედაობა აქვთ. წასულია მათი საქმე.

— მართალია, — თქვა ნიკმა.

— იქნება კარგი არ იყო, ასე უცებ რომ დაშორდი, — თქვა ბილმა, — მაგრამ არა უშავს, კიდევ შეიყვარებ ვინმეს და მერე ყველაფერი კარგად იქნება. რამდენიც გინდა იმდენი შეიყვარე, ოღონდ თავს ნურავის დააჩაგვრინებ.

— ჰო, — უპასუხა ნიკმა.

— ის რომ ცოლად შეგერთო, მზითვად მთელი ოჯახი წამოჰყვებოდა. გახსოვს ალბათ დედამისი და ის ტიპი, რომელსაც ცოლად გაჰყვა.

ნიკმა თავი დაუქნია.

— წარმოიდგინე, რა მოსათმენი იქნებოდა მთელი დღე მათთან ყოფნა. კვირაობით მათ უნდა სტუმრებოდი სადილად და აქეთაც მოგეპატიუა. ის ქალი ხომ სულ მარჯის ჭკუის სწავლებაში იქნებოდა.

ნიკი ჩუმად იჯდა.

— კიდევ კარგად დააღწიე თავი, — თქვა ბილმა, — მითხოვდეს ახლა თავის შესაფერისს და იცხოვროს მშვიდად და ბედნიერად. ფერი ფერსა და მაღლი ღმერთსაო, ხომ გაგიგონია. ასეთ საქმეში შეცდომის დაშვება არ შეიძლება. წარმოიდგინე, ცოლად აიდა რომ შემერთო, სტრეტონებთან რომ მუშაობს... თვითონ ალბათ უარს არ იტყოდა.

ნიკმა არაფერი თქვა. სასმელი გამოუნელდა და სრულიად მარტო დარჩა საკუთარ თავთან. არც ბილი იყო იქ და არც თვითონ იჯდა ბუხრის წინ. არც ბილთან და მამამისთან ერთად აპირებდა მეორე დღეს სათევზაოდ წასვლას. სიმთვრალემ გაუარა. ის ახლა მთვრალი არ იყო და მხოლოდ ერთი რამ იცოდა: — მარჯი დაკარგა, ის წავიდა, ბილმა გაავდო. ველარასოდეს ნახავდა მას. ყველაფერი წარსულს ჩაბარდა, დამთავრდა.

— კიდევ დავლიოთ, — თქვა ნიკმა.

ბილმა დაასხა. ნიკმა სასმელს ცოტა წყალი დაუმატა.

— ასე რომ არ მოქცეულიყავი, ახლა ერთად არ ვისხდებოდით, — თქვა ბილმა.

ეს მართალი იყო. თავდაპირველად ნიკი შინ დაბრუნებას და სამსახურის მოვნას აპირებდა. შემდეგ გადაწყვიტა ზამთარი შარღვუაში გაეტარებინა, მარჯთან ახლოს, ახლა კი თითონაც არ იცოდა, რას აპირებდა. ~~გაეტარებინა~~

— ალბათ სათევზაოდ ვერც წავიდოდით ხვალ, — თქვა ბილმა. — სწორედ მოიქეცი, მაგ საქმეს წერტილი რომ დაუსვი.

— სხვანაირად არ შემედლო, — თქვა ნიკმა.

— ვიცი, ასე ხდება ხოლმე, — თქვა ბილმა.

— ყველაფერი უცბად დამთავრდა. — თქვა ნიკმა. — არ ვიცი, ასე რატომ მოხდა. თავს ვერაფერი მოვუხერხე. როგორც ვერაფერს მოუხერხებ ამ უცბად მოვარდნილ ქარიშხალს, რომელიც სამ დღეში ერთ ფოთოლსაც არ დატოვებს ხეზე.

— მთავარია, რომ ყველაფერს წერტილი დაესვა. მორჩა და გათავდა, — თქვა ბილმა.

— ჩემი ბრალი იყო, — თქვა ნიკმა.

— რა მნიშვნელობა აქვს, ვისი ბრალი იყო. — თქვა ბილმა.

— ჰო, მართალი ხარ, — უბასუხა ნიკმა.

მთავარი ის იყო, რომ მარჯერი წავიდა და ალბათ ვერც ვერასოდეს ნახავს მას. ნიკი ეუბნებოდა მარჯის. იტალიაში ერთად წავიდეთ, კარგ დროს გავატარებთო. ყველაფერი დამთავრდა. თითქოს რაღაც ჩაკვდა მის არსებაში.

— კარგია, რომ ყველაფერი დამთავრდა, — თქვა ბილმა, — მართალი გითხრა, უიმიჯ, თქვენი ამბავი ძალზე მალეღებდა. შენ სწორად მოიქეცი. დედამისი ალბათ სიგიჟემდეა მისული. ქვეყანას მოსდო, დანიშნულები იყვნენო.

— ჩვენ არ ვყოფილვართ დანიშნულები, — თქვა ნიკმა.

— ყველა ამბობს, იყვნენო.

— რა ჩემი ბრალია. — თქვა ნიკმა. — მართლა არ ვყოფილვართ დანიშნულები.

— ქორწილს არ აპირებდით? — შეეკითხა ბილი.

— ვაპირებდით, მაგრამ დანიშნულები არ ვყოფილვართ, — უბასუხა ნიკმა.

— რა განსხვავებაა? — ჰკითხა ბილმა მსაჯულივით.

— არ ვიცი, მაგრამ სხვაობა კი არის.

— შე ვერ ვხედავ სხვაობას, — თქვა ბილმა.

— კარგი, — თქვა ნიკმა. — მოდი, დავთვრეთ.

— კეთილი. — დაეთანხმა ბილი, — მოდი, დავთვრეთ.

— დავთვრეთ და მერე საცურაოდ წავიდეთ, — შესთავაზა ნიკმა. მან ჰიქა გამოსცალა.

— ძალიან მეცოდება, მაგრამ რა ვქნა? — თქვა მან. — შენ მაინც იცი, დედა-პისი რა ქალია.

— საშინელი, — დაუდასტურა ბილმა.

— ყველაფერი უცბად დამთავრდა. — თქვა ნიკმა. — არცა მაქვს უფლება მასზე ვილაპარაკო.

— შენ არა გაქვს, — დაეთანხმა ბილი. — მე დავიწყე ლაპარაკი და მევე

დავამთავრებ. აღარასოდეს ვილაპარაკებთ მასზე. აღარ იფიქრო, ^{თორემ შეიძლება ყველაფერი თავიდან დაიწყოს.}

ნიკი ამ შესაძლებლობაზე არასოდეს დაფიქრებულა, ^{უკიდურესად სწამდა,} ყველაფერი დამთავრდაო. ამ საკითხზე ღირდა დაფიქრება. მან შვება იგრძნო. — მართალია, — თქვა მან. — ყველაფერია მოსალოდნელი.

ის ახლა ბედნიერი იყო. იცოდა, ამქვეყნად ყველაფერს ეშველებოდა. შეეძლო შაბათ საღამოს ქალაქში წასულიყო. დღეს მხოლოდ ხუთშაბათი იყო.

— ყველაფერს უნდა ელოდო, — თქვა მან.

— ყველაფრისათვის მზად უნდა იყო, — დაარიგა ბილმა.

— ვეცდები. — უპასუხა მან.

ის ბედნიერი იყო. ჯერ კიდევ არ დაკარგულა, არ დამთავრებულა ყველაფერი. ხუთშაბათს წავიდოდა ქალაქში. სულში კვლავ ისეთივე მსუბუქი შვება იგრძნო, როგორც ადრე, სანამ ბილი საუბარს დაიწყებდა. ყველაფერს ეშველებოდა.

— ავიღოთ თოფები და დაბლა კონცხთან ჩავიდეთ, მამაშენი მოვძებნოთ, — თქვა ნიკმა.

— კარგი.

ბილმა კედლიდან ორი თოფი ჩამოიღო და ტყვიების ყუთი გახსნა. ნიკმა ქურთუკი და ფეხსაცმელები ჩაიცვა. გაშრობის შემდეგ ფეხსაცმელები გამაგრებულიყო. ნიკი ისევ მთვრალი იყო, თუმცა გონება მაინც ნათელი ჰქონდა.

— როგორა ხარ? — ჰკითხა ნიკმა.

— ჩინებულად. — ბილი სვიტრს აკრავდა.

— არ ღირს დათრობა.

— მართალი ხარ, ჯობია გარეთ გავიდეთ.

ისინი გავიდნენ. გარეთ ძლიერი ქარი ქროდა.

— ჩიტები ასეთ ქარში ბალახებში ჩაცვივდებოდნენ, — თქვა ნიკმა.

ისინი ბალისაკენ გაემართნენ.

— ამ დილით ტყის ქათამი ვნახე, — თქვა ბილმა.

— იქნებ დავიჭიროთ, — თქვა ნიკმა.

— ასეთ ქარში სროლა შეუძლებელია, — უპასუხა ბილმა.

გარეთ მარჯის ამბავი ნიკს არც ისე ტრაგიკული ეჩვენა. ქარმა თავიდან გამოუდევნა როგორც უმნიშვნელო რამ.

— პირდაპირ ტბიდან უბერავს, — აღნიშნა ნიკმა.

მათ ყრუ სროლა მოესმათ.

— მამაა, — თქვა ბილმა. — ქვემოთ, ჯაობისკენაა.

— პირდაპირ წავიდეთ, — თქვა ნიკმა.

— მოდი, მოკლეზე ჩავიდეთ, იქნებ რამე დავიჭიროთ, — თქვა ბილმა.

— კარგი, — დაეთანხმა ნიკი.

მისთვის ახლა სულერთი იყო, ჩავიდოდა თუ არა ქვემოთ. ქარმა ყველაფერი გამოუდევნა თავიდან. მთავარი იყო ის, რომ შაბათ საღამოს შეეძლო ქალაქში წასვლა. მომავლისათვის არცთუ ცუდი საქმე შემოინახა განსახორციელებლად.



ქართული
ბიბლიოთეკა

ფრანგულიდან

თარგმნა დანიელ კახაბერიძე

ფრანგი დრამატურგი, საფრანგეთის აკადემიის წევრი ეჟენ იონესკო (წარმოშობით რუმინელი, დაიბადა 1912 წ.) მოდერნისტული „აბსურდის თეატრის“ ერთ-ერთ დაბაარსებლად და ბელადად მიაჩნიათ დასავლეთის სამყაროში. თავის გროტესკულ ფარსებსა და ალეგორიებში იგი კიცხავს და დასცინის გაცვეთილ სალაპარაკო ენას, შტამპურ გამოთქმებს, სააშკარაოზე გამოაქვს ჩვეულებრივი ყოფითი სიტუაციები, ანიჭებს მათ ბუფონადურ იერსახეს.

პიესა „სკამები“ დაწერილია 1952 წ. ავტორმა თავისი ნაწარმოები თავიდანვე განსაზღვრა, როგორც „ტრაგიკული ფარსი“. ამ პიესის გმირები (ორი უძლური მოხუცი) გრძნობენ, რომ უაზროდ ცხოვრობენ, გარშემოც სიცარიელე აკრავთ, მაგრამ მაინც დიდი გულმოდგინებით იქმნიან რაღაც ილუზირებულ კეთილდღეობასა და ბედნიერებას, ამ მოხუცების „სამყაროს“ ავსებს უამრავი სკამი. ეს სკამები მათი უკანასკნელი ილუზიაა, რითაც სურთ შენიღბონ თავიანთი მარტოობა და უაზროდ განვლილი ცხოვრება. ეს სკამები მათ ირგვლივ არსებულ უნაპირო სიცარიელესაც ნიშნავს.

პიესაში ავტორი გვიჩვენებს ადამიანთა მარტოობას, სიცარიელეს და აბსურდულ ყოფას ბურჟუაზიულ საზოგადოებაში.

მოთხვადი პირნი

- სარიასი, 95 წლისა
- დედაბერი, 84 წლისა
- მკაბორი, 45-50 წლისა
- და სხვა პერსონაჟები...

სცენა წარმოადგენს ცარიელ დარბაზს, რომლის წრიული კედლებიც სიღრმისაკენ მიემართება. მარჯვნივ, ავანსცენის მხარეს სამი კარია, შემდეგ ფანჯარა, რომლის წინაც ტაბურეტი დგას, ფანჯარას კიდევ ერთი კარი მოსდევს. სიღრმეში დიდი, ორსაგდულიანი მთავარი შემოსასვლელი კარია, აქეთ-იქით კი კიდევ ორი კარი. ამ ორიდან ერთ-ერთი კარი მაყურებლისათვის დაფარულია, ეს დამოკიდებულია იმაზე, დარბაზის რომელ მხარეს ზის იგი. სცენის მარცხნივაც, ავანსცენის მხარეს კიდევ სამი კარი და ერთი ფანჯარაა, რომლის წინაც აგრეთვე ტაბურეტი დგას. ეს ფანჯარა, მარჯვენა მხარეს რომ ტაბურეტიანი ფანჯარაა, იმის პირდაპირაა. მერე ესტრადაა, მერე შავი დაფა.

ავანსცენაზე ერთმანეთის გვერდით ორი სკამი დგას.

ჭერზე გაზის ლამპა ჰქვიდია.

ფარდის ახდისას ნახევრად ბნელა. ტაბურეტზე ბერიკაცი ამძვრალა და მარცხენა ფანჯარაზე გადაყუდებულა. დედაბერი გაზის ლამპას ანთებს. მწვანე სინათლე. დედაბერი ბერიკაცს სახელოზე ექაჩება.



დედაბერი — კარგი ერთი, ჩემო სულიკო, დახურე ფანჯარა, აყრუებული სუნი და კოლოები შეშოდინა.

ბერიკაცი — დამანებე თავი!

დედაბერი — კარგი, კარგი, გენაცვალე, მოდი, დაჯექი მძინარეზე გადაინევი, ემანდ წყალში არ ჩაუარდე. არ გახსოვს, ფრანსუა პირველს რა მოუვიდა? ფრთხილად იყავი.

ბერიკაცი — ოჰ, ისევ ისტორიული მაგალითები! დამალა ამ საფრანგეთის ისტორიამ, ჩემო საუნჯეე. მინდა ვიჯდე და ვუყურო; ნაუები წყალზე ისე თრთიან, როგორც მზეზე ლაქები.

დედაბერი — აბა როგორ დაინახავ, მზე ჩაუიდა; ახლა ხომ ღამეა, გენაცვალე, ღამე.

ბერიკაცი — მაგრამ მზის ანარეკლი ხომ დარჩა.

(ბერიკაცი ფანჯრის რაფაზე ძალიან გადაიხრება).

დედაბერი — (სახელოზე მთელი ძალით ექაჩება) — წუ მაშინებ რა, ჩემო სიცოცხლე... წამოდი, დაჯექი, ახლა ველარაფერს დაინახავ, ვერა ხედავ, დაღამდა...

ბერიკაცი — (ფანჯარას ძლივს ანებებს თავს) — მინდოდა მეცქირა, ძალიან მიყვარს წყალში ყურება.

დედაბერი — ამისი თავი გაქვს, ჩემო სულიკო?... შე მაშინვე თავბრუ მეხვევა ხოლმე; აჰ, ეს სახლი, ეს კუნძული!.. აღარ შემიძლია აქ ცხოვრება. ყველაფერი წყლითაა გარშემორტყმული... წყალი ფანჯრებს ქვეშ, წყალი თვით პორიზონტამდე...

(დედაბერი გაჭირვებით მოათრევს ბერიკაცს ავანსცენისაკენ, სადაც ორი სკამი დგას. ბერიკაცი ჩვეულებრივად, ვითომდა არაფერიო, ისე მოიკალათებს დედაბრის მუხლებზე).

ბერიკაცი — საღამოს ექვსი საათია... დაღამებულა და ეგ არი. გახსოვს, უნინ არ იყო ასე. საღამოს ცხრა საათზე, ათზე, თერთმეტზე ჯერ ისევ დღე იდგა.

დედაბერი — რაც მართალი მართალია, მახსოვრობა, იცოცხლე, გაქვს!

ბერიკაცი — ყველაფერი ძალზე შეიცვალა.

დედაბერი — მაინც რატომ, შენი აზრით?

ბერიკაცი — არ ვიცი, სემირამიდა, ჩემო საუნჯეე... ალბათ, რაც დრო გადის, ყველაფერი იცვლება. შეიძლება დედამინის ბრალია, დედამინა ხომ ბრუნავს, ბრუნავს, ბრუნავს, ბრუნავს...

დედაბერი — ბრუნავს, ბრუნავს, ჩემო პატარა სულიკო... (სიჩუმე) ოოჰ, შენ ტვამარიტად დიდი მეცნიერი ხარ. ძალზე ნიჭიერი კაცი ხარ, ჩემო საყვარელო. რომ მოგენდომებიანა, დიდი პრეზიდენტი, დიდი მეფე, თვით დიდი დოქტორი ან დიდი მარშალი გამოხვიდოდნი...

ბერიკაცი — რაში გვჭირდებოდა? ცხოვრება უკეთესი მაინც არ იქნებოდა... ესეც არ იყოს, რაღაცას ხომ მაინც წარმოვადგენთ? რაც არ უნდა იყოს, მარშალი ვარ, ბინების მარშალი, კონსიერჯი ვარ.

დედაბერი (ბერიკაცს ბავშვივით ეფერება) — ჩემო პატარავ, ჩემო გვრიტო...

ბერიკაცი — მომწყინდა, ძალიან მომწყინდა.

დედაბერი — წყალს რომ უყურებდი, უფრო მხიარულად იყავი... მოდი, იმ საღამომდელი გაიხსენე, ცოტა გავერთოთ.

ბერიკაცი — შენ თვითონ გაიხსენე, ახლა შენი ჯერია.

დედაბერი — არა, შენი.

ბერიკაცი — არა, შენი ჯერია.

დედაბერი — არა, შენი.

ბერიკაცი — არა, შენი ჯერია.

დედაბერი — არა, შენი.

ბერიკაცი — ჩაი დალიე, სემირამიდა.

(ცხადია, ჩაი არ არის).

დედაბერი — მაშინ თებერვალს დააჯავრე.

ბერიკაცი — არ მიყვარს წელიწადის თვეები.

დედაბერი — ჯერჯერობით თებერვალია, სხვა თვე არ არის; კარგი ერთი, შიდი, მასიამოვნე...

ბერიკაცი — აჰა, აი, თებერვლის თვე.
(თავს იფხანს).

დედაბერი (ტაშს უკრავს, იცინის) — ესეც ასე, დიდი მადლობა, დიდი მადლობა... რა საყვარელი ხარ, რა საყვარელი, ჩემო ძვირფასო (კოცნის). მართლა, ნიჭიერი ხარ, რომ მოგენადინებინა, დიდი მარშალიც კი გახდებოდი...

ბერიკაცი — მე კონსიერეცი ვარ, ბინების მარშალი.

დედაბერი — მოდი, ის მიაშვე, შენ რომ იცი; (სიჩუმე) აბა, დაიწყე... მივიდ...

ბერიკაცი — ისევე ის?... მომწყინდა... მივიდ... აღარ მოგწყინდა ბოლოს და ბოლოს? ყოველდღე ერთსა და იმავეს მეკითხები!.. „მაშ მივიდ“... მომკლა ამ ერთფეროვნებამ... სა- მოცდათხუთმეტი წელია ცოლ-ქმარი ვართ და ყოველ საღამოს, უკლებლივ ვოველ საღამოს, ერთსა და იმავე ამბავს მამობობინებ, ერთი და იგივე პერსონაჟების მიბაძვას მაიძულებ, ერთი და იგივე თვეების... ერთი და იგივე... ერთი და იგივე... ახლა სხვა რამეზე ვილაპა- რაკოთ...

დედაბერი — მე არ მბეზრდება, ჩემო სინარულო... ეს შენი ცხოვრებაა და მეც მსიამოვნებს.

ბერიკაცი — მეტი რა გინდა, ზეპირად იცი.

დედაბერი — ვიცი, მაგრამ მაინცდება ხოლმე... და რაკი მაინცდება, ყოველ სა- ღამოს სასაქმებელს ვსვამ... ამას განგებ ვაკეთებ... გონება მიახლდება. ამასაც შენთვის ვა- კეთებ, ყოველ საღამოს ცოცხალი გონება რომ მქონდეს... ყოველ საღამოს... აბა, დაიწყე, გეხვენები.

ბერიკაცი — რაკი გინდა...

დედაბერი — მინდა რომელია... მოჰყე, თუ გიყვარდე. ის ხომ ჩემიცაა, რაკი შენია, ჩემიცაა! მაშ, მივიდ...

ბერიკაცი — მაშ მივიდ... ჩემო საუნჯევე...

დედაბერი — მაშ მივიდ... ჩემო საყვარელო.

ბერიკაცი — მაშ, მივიდა დიდ ქიშკართან. საათების, დღეების, ღამეების, კვირების განმავლობაში ერთიანად გალუმპული და ძვლებამდე გათოშილი...

დედაბერი — თვეების...

ბერიკაცი — ...წვიმაში ...ყურები, ფეხები, მუხლები, ცხვირები, კბილები უკანკა- ნებდა... მას შემდეგ ოთხმოცი წელი გავიდა... მათ შესვლის უფლება არ მოგვცეს... ბალის კარის გამოღება კი შეეძლოთ...

(სიჩუმე).

დედაბერი — ბალში ბალახი სველი იყო.

ბერიკაცი — ერთი პატარა ბილიკი პატარა მოედნისაკენ მიდიოდა, შუაში კი სოფ- ლის ეკლესია იდგა... სად იყო ეს სოფელი? გახსოვს?

დედაბერი — არა, გენაცვალე, საიდან შეხსომება.

ბერიკაცი — იქამდე როგორ მივდივით? სად იყო გზა? იმ ადგილს, მგონი, პარიზი ერქვა.

დედაბერი — ეგ შენი პარიზი არასოდეს არ არსებობდა, ჩემო პატარავ.

ბერიკაცი — ეს ქალაქი არსებობდა, რადგან დაინგრა... ის იყო სინათლის ქალაქი, რადგანაც ჩაქრა, ჩაქრა, ჩაქრა, მას შემდეგ ოთხასი ათასი წელი გავიდა... დღეს კი მისგან აღარაფერი დარჩა, ერთი სიმღერის გარდა.

დედაბერი — ნამდვილი სიმღერის? სასაცილოა, ეგ რომელი სიმღერაა?

ბერიკაცი — აკვნის სიმღერა, ალფორია: „პარიზი მუდამ პარიზი იქნება“.

დედაბერი — იქამდე აღბათ ბალი გადაიარეთ. შორს იყო იქამდე?

ბერიკაცი (ოცნებით დაბნეული) — სიმღერა... წვიმა...

დედაბერი — მართლაც ძალზე ჭკვიანი ხარ. ცოტა მაინც რომ მოგენადინებინა, დიდი მეფე, დიდი ყურნალისტი, დიდი მსახიობი, დიდი მარშალი გამოხვიდოდი... ვაი, რომ ყველაფერი ორმოსი დაიმარხა... დიდ, შავ ორმოსში... გიმეორებ, შავ ორმოსში.

ბერიკაცი — მაშ მივიდ...

დედაბერი — ჰო, მართლა, განაგრძე... მოჰყე...

(დედაბერი წყნარად, ნებივრად იწყებს სიცილს, რომელიც თანდათან ხარხარში გადადის, ბერიკაციც იცინის).

ბარიკატი — ზვერი ვიცინეთ, მუცლები ხელით გვეჭირა, ისეთი სასაცილო ამბავი იყო... მოვიდა ერთი მასხარა, ღიპი მინამდე დასთრევადა, შიშველი ღიპი... ბრინჯით სავსე ჩემოდანი ეჭირა, ღიპიანი მასხარა. ბრინჯი მინაზე ეფანტებოდა... მასხარა მინაზე, ღიპი მინაზე... ვიცინეთ, ვიცინეთ, მოვკვდით სიცილით... სასაცილო ღიპი, შიშველი ბრინჯი მინაზე. სასაცილო ამბავია, ბრინჯით სავსე ღიპი მინაზე. შიშველი მუცლები ბრინჯი. ო, როგორ ვიცინეთ, მასხარა მთლად ტიტლიკანა მოვიდა, ჩვენ კბ [ცხცხცხც] [ცხცხცხც] ვიცინეთ...

დედაბერი — ჰო, მასხარაზე ვიცინეთ, მასხარა მთლად ტიტლიკანა მოვიდა. რამდენი ვიცინეთ. ჩემოდანი, ბრინჯიანი ჩემოდანი. ბრინჯი მუცელში, ბრინჯი მინაზე...

ორივე მოხუცი (ერთად იცინიან) — მაშ ვიცინეთ, აჰ, ვიცინეთ... მოვ... მოვ... აჰ, აჰ, ვიცინ... მოვ... მოვ... მასხარას შიშველი ღიპი... ბრინჯით მოვიდა... ბრინჯიანი მოვიდა... მაშ... შიშველი მუცელი... მოვიდა... ჩემოდანი... (ორივე ნელ-ნელა მშვიდდება), აჰ... მოვი... აჰ... მოვი... ვი... და...

დედაბერი — დიახ, ეს იყო შენი სახელგანთქმული პარიზი.

ბარიკატი — უკეთესად ვინ გაამბობდა.

დედაბერი — ოჰო, შენ ისეთი კარგი ხარ, საყვარელი. ისეთი კარგი, ისეთი, რომ შეგებლო ცხოვრებაში რაღაცა გამოსულიყავი. უფრო მეტი, ვიდრე უნტაროფიცერია.

ბარიკატი — ვიყოს თავმდაბლები... მცირედითაც დავეკმაყოფილდეთ...

დედაბერი — შენი მოწოდება ალბათ თვითონვე ჩაიკალი.

ბარიკატი (უცბად ატირდება) — მე ჩაიკალი? მე თვითონ ჩაიკალი? სადა ხარ, დედიკო, დედიკო, სადა ხარ? ოჰ... ოჰ... ობოლი ვარ (კანკალებს)... სულ მთლად ობოლი, ობოლი...

დედაბერი — შენთან არა ვარ, რა გაძინებს?

ბარიკატი — არა, სემირამიდა, ჩემო საუნჯევე, შენ ჩემი დედიკო არა ხარ... მე ობოლი ვარ, ობოლი და მიუსაფარი.

დედაბერი — მე შენთანა ვარ, ჩემო გვერტო!...

ბარიკატი — ეს ერთი და იგივე როდია... მე ჩემი დედიკო მინდა, შენ ჩემი დედიკო არა ხარ...

დედაბერი (ეფერება) — გულს ნუ მიხეთქავ. აბა რა გატირებს, ჩემო პატარავ.

ბარიკატი — ოხ... ოხ... მოშეშვი. ასე მგონია, თავი მოვიკალი. ცუდადა ვარ, ჩემი მოწოდება არ მასვენებს, ჩემში ჩაკლული მოწოდება.

დედაბერი — დანყნარდი.

ბარიკატი (ბავშვივით პირდაღებულ ტირის) — მე ობოლი ვარ... ობოლი.

დედაბერი (ცდილობს დაანყნაროს, ეაღერსება) — ჩემო ობოლო, ჩემო გვერტო, ო, როგორ მიკლავ გულს, ჩემო ობოლო.

(დედაბერი მის მუხლებზე წამომჯდარ ბერიკაცს არწევს).

ბარიკატი (ქვითინებს) — ოჰ... ოჰ... ოჰ... დედილო, სად არის ჩემი დედიკო? დედიკო აღარა მყავს.

დედაბერი — მე შენი ცოლი ვარ და ახლა კი შენი დედიკო ვარ.

ბარიკატი (ცოტა დათმობით) — ტყუილია. მე ობოლი ვარ, ოჰ... ოჰ... ოჰ...

დედაბერი (კვლავ ანანავებს მუხლებზე) — ჩემო საყვარელო, ჩემო ობოლო... ობოლო, ობოლმა, ობოლს, ობოლისა...

ბარიკატი (კვლავ გაბუტულია, უფრო და უფრო იბუტება) — არა... არ მინდა. არ მინდააა.

დედაბერი (ღიღინით) — ობლით, ობლად, ობლურად, ობლობით...

ბარიკატი — არააა... არააა...

დედაბერი (კვლავ) — ლი... ლმა... ლოს... ლად... ურად... ობით... სა... ობო-ლი, ობოლ-მა, ობოლ-ს, ობლი-სა...

ბარიკატი — ოჰო... ოჰ, ოჰ... (ფრუტუნებს და ნელ-ნელა წყნარდება) სად არის ჩემი დედიკო.

დედაბერი — ყვავილებით მოფენილ ცაში... გისმენს, გიყურებს ყვავილებით მოფენილი ციდან. ნუ ტირი, თორემ მასაც აატირებ!

ბარიკატი — ტყუილია... ლია... ვერ მხედავს... არ მისმენს. ობოლი ვარ. შენ ჩემი დედიკო არა ხარ...

(ბერიკაცი ოდნავ დამშვიდდება).

დედაბერი — გეყოფა, დამშვიდდი, ეს რა ყოფაში იგდებ თავს, გეთაყვა... მერედა, რა ძვირფასი ხასიათი გაქვს, ჩემო პატარა მარშალო... აბა, შეიმშრალე ცრემლები ამ სალამოს სტუმრები გვეყოლება. ასე ხომ ვერ დაენახვები... ჯერ ყველაფერი არ გამწვრალია. ჯერ ყველაფერი არ დაკარგულა. შენ მათ ყველაფერს ეტყვი, აუხსნი. სათქმელს ჩემს ეტყვი... აკი ამბობდი ხოლმე, ერთი დღეც იქნება, ჩემს სათქმელს ვიტყვიო... უნდა [იტყვი] შენი სათქმელისათვის უნდა იპოვო...

ბერიკაცი — სათქმელი მართლა მაქვს, შენ მართალი თქვი. მე ვიპოვე. მე სათქმელი მაქვს, რომელიც კაცობრიობამ უნდა გაიგოს... კაცობრიობამ...

დედაბერი — კაცობრიობას, ჩემო საყვარელო, უთხარი შენი სათქმელი..

ბერიკაცი — რაც მართალია, მართალია...

დედაბერი (ბერიკაცს ცხვირს მოხოცავს, ცრემლებს შეუმშრალებს) ესეც ასე... ახლა კაცი ხარ, ჯარისკაცი, უნტეროფიცერი...

ბერიკაცი (დედაბრის მუხლებიდან ჩამოხტება, აქეთ-იქით ცუნცულს იწყებს პატარა ნაბიჯებით. ალგზნებული) — მე სხვებს არა ვგავარ. მე იდეალი ვარ. ალბათ მართლა ჭკვიანი ვარ, როგორც შენ მითხარი. ნიჭი მაქვს, ოღონდ მოქნილობა მაკლია. კარგად ვასრულებდი უნტეროფიცრის მოვალეობას და მდგომარეობის შესაფერ სიმალღებაც ვიყავი. ეს საკმარისი უნდა ყოფილიყო იმისთვის, რომ...

დედაბერი — ოღონდ შენთვის არა, შენ ისეთი არა ხარ, როგორც სხვები არიან, შენ უფრო დიდი ხარ და მაინც კარგს იზამდი, რომ სხვების მსგავსად შენც ყველასთან კარგი დამოკიდებულება გქონოდა და არ ნაჩხუბებოდი ყველა შენს მეგობარს, ყველა დირექტორს, ყველა მარშალს, შენს ამას.

ბერიკაცი — ჩემი ბრალი არ არის, სემიონი... შენ არ იცი, იმან რა თქვა?

დედაბერი — რა თქვა?

ბერიკაცი — ისაო... „ჩემო მეგობრებო, მე რწყილი მყავს და ამ მიზნით ჩემს წარმოდგენაში გესტუმრეთ, რათა თქვენთვის დამეტოვებინა ეს რწყილი“.

დედაბერი — მერე რა მოხდა, რას არ იტყვიან ხოლმე... ყურადღება არ უნდა მიგვექცია. კარლს რაღადა ნაჩხუბე? ესეც მისი ბრალი იყო?

ბერიკაცი — ნერვებს ნუ მიშლი. რასაკვირველია, მისი ბრალი იყო. ერთ სალამოს მოდის და მეუბნება: „წარმატებას ვისურვებთ. მე უნდა შეთქვა სიტყვა, რომლის შინაარსია წარმატება, მაგრამ არ ვამბობ, მარტო ვფიქრობო“. თანაც ხბოსავეთ იცინოდა.

დედაბერი — არ შენდა ცუდი გული, ჩემო საყვარელო. ცხოვრებაში ყველაფერს კი არ უნდა მიაქციო ყურადღება.

ბერიკაცი — წარამარა ხუმრობა არ მიყვარს.

დედაბერი — შენ შეგეძლო ყოფილიყავი დიდი მეზღვაური, დიდი დურგალი, დიდი მეფე.

(ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდება. ერთხანს სკამებზე უძრავად სხედან).

ბერიკაცი (თითქოს სიზმარშიაო) — ეს მოხდა ბალის ბოლოში... იქ იყო... იქ იყო... იქ იყო... იქ იყო... იქ იყო... რა იყო, ჩემო ძვირფასო?

დედაბერი — პარიზ-ქალაქი!

ბერიკაცი — პარიზ-ქალაქის ბოლოს, სულ ბოლოს იყო... იყო... რა იყო?

დედაბერი — რა იყო, გენაცვალე, ვინ იყო?

ბერიკაცი — იყო ადგილი... დიდებული დრო...

დედაბერი — მართლა დიდებული დრო იყო? შენ გჯერა?

ბერიკაცი — რაღაცა ადგილი არ მახსენდება...

დედაბერი — ნულა ილლი გონებას...

ბერიკაცი — ძალიან შორია, მეტი აღარ შემიძლია... ვერ დავეწვები... ის სადღა იყო?

დედაბერი — რა?

ბერიკაცი — რაც მე... რაც... ის სადღა იყო? რომელი?

დედაბერი — სადაც არ უნდა იყოს, ყველგან გამოგყვები, გამოგყვები, გენაცვალე.

ბერიკაცი — აჰ, რა ცუდად ვამბობ... ყველაფერი კი უნდა ითქვას.

დედაბერი — საჭირო კი არა, ნშიდათანშიდა მოვალეობაა. რა უფლება გაქვს მიწმალაო შენი ამბავი. ხალხს უნდა გაუმხილო. ხალხი უცდის... ქვეყნიერება მოუთმუნლად ელის.

ბერიკაცი — დიახ, ვიტყვი კიდეც.

დედაბერი — მტკიცედ გადაწყვიტე? იცოდე, საჭიროა.

ბერიკაცი — ჩაი დალიე.

დედაბერი — შენ რომ ცხოვრებაში ცოტა მეტი მოგენდომებინა, დიდი ორატორი გამოხეიდოდი. მე ვამაყობ. ბედნიერი ვარ, რომ ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტე მთელ ქვეყანასთან, მთელ ევროპასთან, ყველა კონტინენტთან ლაპარაკი!

ბერიკაცი — მე რომ ძლივს ვლაპარაკობ.

დედაბერი — მთავარი დანებაა. როგორც სიცოცხლე და სიკვდილი... მთავარია გადაწყვიტო. სიტყვებსა და იდეებს ლაპარაკში აგნებენ. ჩვენ ჩვენი სიტყვებით, ქალაქებით, ბაღებით ხელახლა ვიპოვით ყველაფერს და ობლობაც გაქრება.

ბერიკაცი — მე არ ვილაპარაკებ, განვრთნილი ორატორი დავიქირავე. ჩემი სახელით ილაპარაკებს.

დედაბერი — და ეს ამ საღამოს მოხდება? ყველა მოიწვიე? ყველა პერსონაჟი, ყველა მესაკუთრე და ყველა მეცნიერი?

ბერიკაცი — დიახ, ყველა მესაკუთრე და ყველა მეცნიერი.

(სიჩუმე)

დედაბერი — მცველები? ეპისკოპოსები? ქიმიკოსები? მექანზები? ვიოლონჩელისტები? დელეგაციები? პრეზიდენტები? პოლიციელები? ვაჭრები? შენობები? ქრომოსომები?

ბერიკაცი — დიახ, დიახ, ფოსტის მოსამსახურენიც, შედუქნეებიც და ხელოვანნიც, ყველა, ვინც კი ოდნავ განათლებულია, ვინც კი რაიმეს მფლობელია!

დედაბერი — ბანკირებიც?

ბერიკაცი — მონვეულნი არიან.

დედაბერი — პროლეტარები? ჩინოვნიკები? სამხედროები? რევოლუციონერები? რეაქციონერები? ფსიქიატრები და მათი პაციენტები?

ბერიკაცი — რა თქმა უნდა, ყველა, თითქმის ყველა სწავლული და მესაკუთრე აქ იქნება.

დედაბერი — ოღონდ ნუ ინერვიულებ, გენაცვალე. არ მინდა, რომ მოიწყინო. ისეთი დაუდევარი ხარ, როგორც ყველა დიდი გენიოსი; ამ შეკრებას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ საღამოს ყველა უნდა მოვიდეს. იმედია, მოვლენ. ხომ დაგპირდნენ?

ბერიკაცი — დალიე ჩაი, სემირამიდა.

(სიჩუმე).

დედაბერი — პაპი? ქარაფშუტები და ქალაქდები?

ბერიკაცი — ისინიც მოვიწვიე. (სიჩუმე). მინდა მათაც იცოდნენ ჩემი ამბავი... მთელი ჩემი ცხოვრება ვგრძნობდი, ვიხრჩობოდი. ახლა კი ისინი ყველაფერს შეიტყობენ. ახლა ყველაფერი ეცოდინებათ, შენი წყალობით, ორატორის წყალობით... თქვენს მეტმა ვერავინ გამოიგო...

დედაბერი — ისე ვამაყობ შენით...

ბერიკაცი — რამდენიმე წუთში მოვლენ.

დედაბერი — მაშ მართლა მალე მოვლენ? და შენ აღარ იტირებ... სწავლულები და მესაკუთრენი შეცვლიან მამებს და დეებს. (სიჩუმე). კრება ხომ არ გადაიდება? ძალიან ხომ არ დავილდებით?

(აღგზნება უფრო შესამჩნევია. რამდენიმე წუთს ბერიკაცი მოხუცისა თუ ბავშვის მოკლე, გაუბედავი ნაბიჯებით დედაბრის გარშემო დაცუნცულებს. ერთ-ორ ნაბიჯს ერთ-ერთი კარისკენ გადადგამს, მერე კვლავ დაცუნცულებს).

ბერიკაცი — მართლა, ამ კრებაზე არ დავილდებით?

დედაბერი — ცოტა გაციებული რომ ხარ?

ბერიკაცი — ხომ არ გაეაუქმებ შეხვედრას?

დედაბერი — სხვა საღამოსთვის გადავდოთ. შეგიძლია დარეკო.

ბერიკაცი — ღმერთო ჩემო, აღარ შემიძლია, უკვე დაგვიანებულია. ალბათ მალე ნაპირსაც კი მოადგებიან.

დედაბერი — მეტი წინდახედულება გმართებდა.

(ისმის, როგორ ახლოვდება ნავი)

ბერიკაცი — მგონი, უკვე მოდიან... (ტალღების ტლაშუნზე ეტყობა, ნაუი ახლოვდება).
პო, მოვიდნენ!..

(დედაბერი დგება და კოჭლობით დადის).

დედაბერი — ალბათ ორატორია.

ბერიკაცი — ის ასე ჩქარა არ მოვიდოდა. სხვა იქნება. (ისმის ზარის ხმა). აჰ!

დედაბერი — აჰ! (ბერიკაცი და დედაბერი მარჯვენა მხარეს, სიღრმეში მიმაღლული კარისაკენ ნერვიული ნაბიჯებით მიდიან, თან ამბობენ):

ორივე — ნავიდეთ...

დედაბერი — განწილი ვარ... ცოტა დამაცადე...

(სიარულის დროს თმას და კაბას ისწორებს, რა თქმა უნდა, კოჭლობს, და ჩამოჩარულ ნითელ, მალაღყელიან წინდებს იწევს).

ბერიკაცი — აქამდე უნდა მომზადებულიყავი... აქამდე რას აკეთებდი?

დედაბერი — რა ცუდად მაცვია... ძველი, გაცვეთილი კაბა...

ბერიკაცი — აკი დააუთოვე... ჩქარა! ხალხს ნუ ალოდინებ.

(ბერიკაცი სიღრმის კარისაკენ მიდის, უკან დედაბერი მიჰყვება ბუზღუნით, ცოტა ხანს აღარა ჩანან, მერე ისმის, კარი გაიღო, ვიღაცა შემოვიდა და კარი კვლავ დაიხურა).

ბერიკაციის ხმა — გამარჯობათ, ქალბატონო, გთხოვთ შემობრძანდეთ. მოხარული ვარ თქვენი ნახვისა. ესეც ჩემი მეუღლე.

დედაბერის ხმა — გამარჯობათ, ქალბატონო, მაქვს ბედნიერება გაგეცნოთ. ფრთხილად, ქუდი არ დაგეჭმუჭნოთ. შეგიძლიათ ქინძისთავი ამოაცალოთ, ასე უფრო მოხერხებული იქნება. ოჰ! არა, ზედ არავინ დააჯდება.

ბერიკაციის ხმა — ქურქი აქვე დადეთ. მოგესმარებით. არაფერი მოუვა.

დედაბერის ხმა — ოხ, რა ლამაზი საშჩისია! სამფეროვანი ზედატანი. ალბათ ცოტაოდენ ბისკვიტს მიირთმევთ. მსუქანი სულაც არა ხართ... არა... ოდნავ ჩაფუნთუშებულნი... ქოლგა დადეთ.

ბერიკაციის ხმა — წამობრძანდით, გეთაყვა.

ბერიკაცი (ზურგიტ გამოჩნდება) — შე მხოლოდ უბრალო თანამდებობა მიკავია...

(ბერიკაცი და დედაბერი ერთდროულად შემოვლენ, ცოტა გან-განზე მოდიან, ვითომდა შემოსული სტუმარი მათ შორის დგას. ეს უკანასკნელი, რა თქმა უნდა, უჩინარია. ბერიკაცი და დედაბერი სცენაზე წინ გამოდიან; ახლა უკვე მაყურებელი მათ სახეებს ხედავს; ისინი ელაპარაკებიან უჩინარ ქალბატონს, რომელიც თითქოს მათ შორის დგას, მაგრამ ოდნავ მათზე წინ მოდის).

ბერიკაცი (უჩინარ ქალბატონს) — როგორი ამინდი დაგემგზავრათ?

დედაბერი (იმავეს) — ძალიან დაღლილი ხომ არ ბრძანდებით?... ოჰ... ცოტა?

ბერიკაცი (იმავეს) — წყლის ნაპირზე...

დედაბერი (იმავეს) — ო, ერთობ თავაზიანი ბრძანდებით.

ბერიკაცი (იმავეს) — სკამს მოგართმევთ.

(ბერიკაცი მარცხნივ მიდის და მეექვსე კარიდან გადის).

დედაბერი (იმავეს) — მანამდე ამ სკამზე დაბრძანდით (ანიშნებს სკამზე, თვითონ უჩინარ ქალბატონს მარჯვენა მხარეს მიუჯდება). მგონი, ცხელა (იგი ქალბატონს უღიმის), რა ლამაზი მარაოა! ჩემმა ქმარმა... (ბერიკაცი ნომერ მუშვიდე კარიდან გამოჩნდება სკამთანად)... სამოცდაცემეტი წლის წინ მომართვა ამგვარი მარაო... ახლაცა მაქვს... (ბერიკაცი სკამს უჩინარი ქალბატონის მარცხნივ დადგამს)... ეს იყო ჩემი დაბადების დღეს!..

(ბერიკაცი თავისავე მოტანილ სკამზე ჯდება. უჩინარი ქალბატონი მათ შუაში მოხვდება. ბერიკაცი ქალბატონისკენაა შებრუნებული და უღიმის, თავს აქნევს და ხელებს ნელა იფშენებს, ისეთი სახე აქვს, თითქოს ქალის ნათქვამს უსმენსო. დედაბერიც იგივეს აკეთებს).

ბერიკაცი — ქალბატონო, ცხოვრება არასოდეს ყოფილა იოლი.

დედაბერი (ქალბატონს) — მართალი ბრძანდებით... (ვითომ ქალბატონი ლაპარაკობს). როგორც თქვენ ბრძანებთ, მოვა დრო და ყველაფერი შეიცვლება... (კილოს იცვლის). ეს უკვე ჩემი ქმრის საქმეა... თვითონვე გეტყვით.

ბერიკაცი (დედაბერს) — გაჩუმდი, გაჩუმდი, სემირამიდა, ამაზე ლაპარაკის დრო

ჯერ არ არის. (ქალბატონს) მომიტევეთ, ქალბატონო, თქვენი ცნობისმოყვარეობა რომ გა-
ვალზიანე. (ქალბატონის რეაქცია) ძვირფასო ქალბატონო, ნუ დაივიწყებთ...

(ორივე მოხუცი იღიმება. იცინიან. ძალიან კმაყოფილი სახე აქვთ, რაც უჩინარი
ქალბატონის ნაამბობით არის გამოწვეული. პაუზა. უაზრო გამომეტყველება).

ბერიკაცი (იმავეს) — დიახ, თქვენ სრულიად მართალი ბრძანდებით.

დედაბერი — დიახ, დიახ, დიახ... ოჰ! არა, არა.

ბერიკაცი — დიახ, დიახ, დიახ. სრულიადაც არა.

დედაბერი — დიახ?

ბერიკაცი — არა?

დედაბერი — თქვენ ხომ ასე თქვით.

ბერიკაცი (იცინის) — შეუძლებელია.

დედაბერი (იცინის) — ოჰ, მაშ. (ბერიკაცს) რა მომხიბლავია!

ბერიკაცი (დედაბერს) — ამ ქალბატონმა ერთობ მოგხიბლათ. (ქალბატონს) გი-
ლოცავთ!..

დედაბერი (ქალბატონს) — თქვენ სრულიადაც არ გვეხართ დღევანდელ ახალ-
გაზრდას...

ბერიკაცი (გაჭირვებით იხრება უჩინარი საგნის ასაღებად, რომელიც უჩინარ ქალ-
ბატონს დაუვარდა). — იყოს... ნუ შეწუხდებით... ახლავე ავიღებ... ოჰ, დამასწარიტ, თქვენ
უფრო ცქვიტი ყოფილხართ...

(ბერიკაცი ადგება).

დედაბერი (ბერიკაცს) — აბა, შენხელა ხომ არ არის!

ბერიკაცი (ქალბატონს) — სიბერე საკმაოდ მძიმე ტვირთია. გისურვებთ ყოველთვის
ახალგაზრდა ყოფილიყავით.

დედაბერი (იმავეს) — იგი გულწრფელია და კეთილი გული ალაპარაკებს. (ბერიკაცს)
ჩემო ძვირფასო!

(რამდენიმე წუთს სიჩუმეა, მოხუცები ქალბატონს შეჰყურებენ და თავაზიანად იღი-
მებიან. მერე თავს მაყურებლისაკენ მიაბრუნებენ, მერე ისევ ქალბატონისაკენ შებ-
რუნდებიან და ვითომ მის ღიმილს ღიმილითვე პასუხობენ).

დედაბერი — ძალზე თავაზიანი ბრძანდებით, ჩვენი გაცნობა რომ ისურვეთ.

ბერიკაცი — განდეგილებივით ეცხოვრობთ.

დედაბერი — მიზანთრობი არ ჰქვია, მაგრამ ჩემს ქმარს მარტოობა უყვარს.

ბერიკაცი — რადიო გვაქვს, ანკესებით ვთევზაობთ, კარგი ნაიცა გვაქვს, სამ-
სახურისა.

დედაბერი — კვირაობით, დილით ორი ნავი ჩაივლის ხოლმე, ერთიც საღამოთი,
კერძო გემებს თუ არ ჩავთვლით...

ბერიკაცი (ქალბატონს) — როცა კარგი ამინდია, მთვარეც გამორჩდება ხოლმე.

დედაბერი (იმავეს) — ჩემი ქმარი მუდამ კარგად ასრულებს ბინათა მარშლის მოვა-
ლეობას... მისი საქმე ეს არის... თუმცა მის ასაკში შეეძლო კიდევ დაესვენა.

ბერიკაცი (ქალბატონს) — დასვენებას საფლაუშიაც მოვასწრებ.

დედაბერი (ბერიკაცს) — ამას რას ამბობ, ჩემო პატარა გვრიტო... (ქალბატონს) ოჯა-
ხის წევრები, ვინც კი შემოგვრჩა, ჩემი მუღლის ამხანაგებიც, ჩვენს სანახავედ დროდადრო
დადიან, აგერ უკვე ათი წელია...

ბერიკაცი (ქალბატონს) — ზამთრობით კი კარგი წიგნი, თბილი რადიატორი, წარ-
სულის მოგონებები...

დედაბერი (ქალბატონს) — უბრალოდ ეცხოვრობთ, ასე თუ ისე... დღეში ორ საათს
ჩემი მუღლუ თავის საქმეებს აკეთებს.

(ისმის ზარის ხმა, პატარა იახტა მოადგა ნაპირს).

დედაბერი — ვილაცაა. გახუდე, ჩქარა!

ბერიკაცი (ქალბატონს) — მომიტევეთ, ქალბატონო, ერთი წუთით! (დედაბერს) მიდი,
ჩქარა, სკამები მოძებნე!

დედაბერი (ქალბატონს) — ერთი წუთით მიგატოვებთ, ძვირფასო.

(ისმის ზარის გაბმული ხმა).

ბერიკაცი (მოკაკული, მარჯვენა კარისაკენ მიისწრაფის, დედაბერი კი მარცხენა, მიმალული კარისკენ კოჭლოპით მიდის). — ზარის ხმაზე ვატყობ, ავტორიტეტული პიროვნება მოვიდა. (ბერიკაცი ჩქარობს. ალებს მეორე კარს. შემოდის უჩინარი პოლკოვნიკი. ამ დროს კარგი იქნება ისმოდეს საყვირის ჩუმში ხმა: „სალამი პოლკოვნიკს“, როგორც კი ბერიკაცი კარს გააღებს და უჩინარ პოლკოვნიკს დაინახავს, მხედრულად გაიჭიმება). აჰ! ჩემო პოლკოვნიკო! (ხელი შუბლთან მიაქვს მისასალმებლად და არასწორად გამოსატყვის სამხედრო სალამს). გამარჯობათ, ჩემო პოლკოვნიკო... ეს ჩემთვის უდიდესი ბატონი... მე... მე... არ ველოდი... თუმცა... მაინც... გელოდით, შეამაყება, ჩემს მოკრძალებულ სამყოფელში თქვენისთანა გმირი მოვიდა... (უჩინარ პოლკოვნიკს ხელს ართმევს, დიდის ამბით იხრება და მერე კვლავ წელში სწორდება). ყალბი თავმდაბლობა არ იქნება, თუ გაებუდავ და მოგახსენებთ, რომ თქვენი ვიზიტის ღირსი გახლავართ! უღირსი კი ქეშმარიტად არა!..

(დედაბერი მარჯვენა კარიდან სკამით ხელში გამოჩნდება).

დედაბერი — აჰ, რა ლამაზი ფორმა გაცვიათ, რა დიდებული ჯილდოები გაქვთ. ვინ არის, ჩემო საყვარელო?

ბერიკაცი (დედაბერს) — განა ვერ ხედავ, რომ პოლკოვნიკია?

დედაბერი (ბერიკაცს) — აჰ!

ბერიკაცი (დედაბერს) — აბა, შეხედე სამხრებს! (პოლკოვნიკს) ჩემი მეუღლეა, სემირამიდა. (დედაბერს) ახლოს მოდი, მსურს ჩემს პოლკოვნიკს შენი თავი წარუდგინო. (დედაბერი უახლოვდება და თან ცალი ხელით სკამს მიათრევს, რევერანსს ისე აკეთებს, რომ სკამს ხელიდან არ უშვებს. პოლკოვნიკს) ჩემი მეუღლე. (დედაბერს) პოლკოვნიკი.

დედაბერი — მოხარული ვარ, ბატონო პოლკოვნიკო. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, თქვენ მეგობარი ბრძანდებით ჩემი ქმრისა. იგი შარშალია...

ბერიკაცი (უკმაყოფილოდ) — ბინებისა, ბინებისა...

დედაბერი (უჩინარი პოლკოვნიკი დედაბერს ხელზე კოცნის, ამას შეიძლება მივხედეთ დედაბრის ხელის მოძრაობაზე. ალელვებულ დედაბერს სკამი ხელიდან გაუვარდება). — ოჰ, რა თავაზიანია... ეტყობა, რომ უფროსია, დიდი პიროვნება! (ქალი სკამს იღებს და პოლკოვნიკს მიმართავს) ეს სკამი თქვენთვის მოვიტანე...

ბერიკაცი (უჩინარ პოლკოვნიკს) — გთხოვთ გამომყვეთ... (ყველა სცენის წინ მოდის. დედაბერი სკამს პოლკოვნიკს მიართმევს). ჯერ ერთი-ორი კაცია. სხვებსაც ბევრს ველოდებით...

(დედაბერი სკამს მარჯვენა მხარეს დგამს).

დედაბერი (პოლკოვნიკს) — დაბრძანდით, გთხოვთ.

(ბერიკაცი ორივე უჩინარ პერსონაჟს ერთმანეთს წარუდგენს).

ბერიკაცი — ახალგაზრდა ქალბატონი ჩვენი მეგობარია...

დედაბერი — ძალიან კარგი მეგობარი...

ბერიკაცი (იმგვარადვე) — პოლკოვნიკი... წარჩინებული სამხედრო პირია.

დედაბერი (აჩვენებს სკამს, რომელიც პოლკოვნიკისთვის მოიტანა) — ამ სკამზე დაბრძანებულიყავით...

ბერიკაცი (დედაბერს) — არა, როგორ ვერ ხედავით, რომ პოლკოვნიკს ქალბატონთან უნდა დაჯდომას!..

(უჩინარი პოლკოვნიკი ვითომდა სცენის მარცხენა მხარეს, შესამე სკამზე ჯდება. უჩინარი ქალბატონი მეორე სკამზე ზის. ორივე უჩინარ პერსონაჟს შორის ვითომ უჩინარი საუბარი იმართება. მოხუცები ფეხზე დგანან, იმ სკამების უკან, რომლებზეც ვითომ წვეულნი სხედან. ბერიკაცი — მარცხნივ, ქალბატონის უკან, დედაბერი კი — მარჯვნივ, პოლკოვნიკის უკან).

დედაბერი (უსმენს სტუმრების საუბარს) — ოჰ! ოჰ! ეს უკვე შეტისმეტია. —

ბერიკაცი (იმგვარადვე) — შეიძლება. (ბერიკაცი და დედაბერი სკამების ზურგს უკან ერთმანეთს რაღაცას ანიშნებენ, თან საუბარს უსმენენ. საუბარი ისე წარიმართება, რომ მოხუცებს უკმაყოფილება ეხატებათ სახეზე). დიახ, ჩემო პოლკოვნიკო, ისინი ჯერ კიდევ არ მოსულან, მაგრამ ახლავე მოვლენ. ორატორი ჩემ მაგივრად ილაპარაკებს. იგი გაუწყობთ ჩემს სათქმელს... ფრთხილად, პოლკოვნიკო, ამ ქალბატონის ქმარი შეიძლება ნუთი-ნუთნე მოვიდეს.

დედაბერი (ბერიკაცს) — ვინ არის ეს ბატონი?

ბერიკაცი (დედაბერს) — აკი გითხარი, ვინც არის, პოლკოვნიკია.

დედაბერი (ბერიკაცი) — ვიცოდი.

ბერიკაცი — მაშ რალას კითხულობ?

დედაბერი — ისე, სხვათა შორის, პოლკოვნიკო, ნამწვავებს იატაკზე რუ დაყრით!

ბერიკაცი (პოლკოვნიკს) — ჩემო პოლკოვნიკო, ჩემო პოლკოვნიკო, სულ დამაჟინე-და. უკანასკნელი ომი მოიგეთ თუ ნააგეთ?

დედაბერი (ქალბატონს) — ჩემო პატარავ, ნება არ მისცეთ:

ბერიკაცი — შემომხედეთ, შემომხედეთ, განა ცუდ ჯარისკაცს ვგაჟან? ერთხელ, ჩემო პოლკოვნიკო, ერთ ბრძოლაში...

დედაბერი — აზვიადებს! ყბედობს! (პოლკოვნიკს ვითომ სახელოზე ქაჩავს). მოუსმინეთ, პოლკოვნიკო! (ქალბატონს) ნება არ მისცეთ, ჩემო პატარავ.

ბერიკაცი (სწრაფად განაგრძობს) — მე მარტომ ორას ცხრა კაცი მოვკალი. აქაო და გადავრჩეთო, ხტუნაობა დაიწყეს. თანაც ბუზებზე ბევრნი კი არ იყვნენ. ცხადია, ეს ნაკლებად გასართობია, პოლკოვნიკო, მაგრამ, ჩემი ძლიერი ხასიათის ნყალობით, მე მათ... ოჰ, არა, გთხოვთ, გთხოვთ.

დედაბერი (პოლკოვნიკს) — ჩემი ქმარი არასოდეს არ ცრუობს. მართალია, ხანში შეეუდით, მაგრამ ღირსება არ დაგვიყარგავს.

ბერიკაცი (პოლკოვნიკს, ნაძალადევადა) — გმირიც ზრდილი უნდა იყოს, თუ უნდა, რომ მართლა გმირი ეთქმოდეს.

დედაბერი (პოლკოვნიკს) — კარგა ხანია გიცნობთ, და თქვენის მხრივ ამას არასოდეს დავიჯერებდი. (ისმის, როგორ უახლოვდება ნავები სახლს. ქალბატონს), ამას არასოდეს დავიჯერებდი, თუ ასე მოიქცეოდა. ჩვენ ღირსეული და თავმოყვარე ადამიანები გახლავართ.

ბერიკაცი (ხმააკანკალებული) — იარალის ხმარება ჯერ კიდევ შემიძლია (ზარის ხმა). მომიტევეთ, ახლავ გავალე. (უჩინარ ქალბატონს ვითომ სკამი გადაუბრუნდება). ოჰ! მაპატიეთ.

დედაბერი (აჩქარებით) — ხომ არაფერი დაიშავეთ. (ბერიკაცი და დედაბერი უჩინარ ქალს ნამოდგომაში ეხმარებიან). როგორ გაჭუჭყიანდით, რა მტვერია. (დედაბერი ქალბატონს ეხმარება და მტვერს უფერთხავს. ზარი ხელახლა რეკავს).

ბერიკაცი — მომიტევეთ, მომიტევეთ (დედაბერს) ნადი, სკამი მოიტანე.

დედაბერი (ორივე უჩინარ სტუმარს) — გთხოვთ მოგვიტევეთ, ახლავ დავბრუნდებით.

(ბერიკაცი № 3 კარისკენ მიდის, დედაბერი კი № 5 კარისკენ — სკამის გამოსატანად, მერე № 8 კარიდან გამოდის).

ბერიკაცი (კარისკენ მიმავალი) — ლამის არ გამაბრაზეს... ლამის გული მომივიდა. (ადებს კარს) ოჰ! ქალბატონო, ნუთუ ეს თქვენა ხართ? თვალებს არ ვუჯერებ... თქვენ აქა ხართ... სულ არ გელოდით... არადა, მართლა თქვენა ხართ... ოჰ, ქალბატონო, ქალბატონო... მთელი ჩემი ცხოვრება თქვენზე და მხოლოდ თქვენზე ეფუძნებოდა. „ტურფას“ გეძახდით... თქვენი ქმარია... ბევრი რამ მსმენია, ნამდვილადაა... სრულიად არ შეცვლილხართ... ოჰ! დიახ, დიახ, მაგრამ ეს ცხვირი როგორ დაგგრძელდებათ, გაგსიებიათ... ერთი შეხედვით ვერ შეგამჩნიეთ, მაგრამ ახლა ვამჩნევ... საშინლად დაგგრძელდებათ... აჰ, რა საშინულხაროა! მაინც გაუგებარია... როგორ მოხდა?.. მომიტევეთ, ბატონო და ძვირფასო მეგობარო, ნება მომეცით, ძვირფასი მეგობარი დაგიძახოთ, თქვენ ცოლს თქვენზე ადრე ვიცნობდი... ის ასეთივე იყო, ოღონდ სულ სხვა ცხვირი ჰქონდა... გილოცავთ, ბატონო, ისეთი სახე გაქვთ, საკუთარი თავი მეტისმეტად უნდა გიყვარდეთ. (დედაბერი სკამიანად № 8 კარიდან გამოჩნდება). სემირამიდა, ორი კაცია მოსული, კიდევ ერთი სკამია საჭირო... (დედაბერი სკამს დანარჩენი სკამების უკან დადგამს და გადის № 8 კარიდან, რამდენიმე წუთის შემდეგ № 5 კარიდან შემოდის, ამ სკამსაც ახლახან შემოტანილი სკამის გვერდით დგამს. ამასობაში ბერიკაცი ორივე სტუმართან ერთად დედაბერს უახლოვდება). მობრძანდით, მობრძანდით, ხალხი უკვე შეიკრიბა, ახლავ გაგაცნობთ... ამგვარად, მაშასადამე, ქალბატონო... ოჰ, ტურფა, ტურფა, მადმუაზელ ტურფა, ხომ ასე გეძახდნენ... მაგრამ თქვენ ორადა ხართ მოკაყული... ოჰ, ბატონო, მაინც ძალზე ლამაზია, სათვალეშიც ლამაზი თვალები უჩანს, თმა გასთეთრებია, ყავისფერი და ცისფერიც გამოჩნდა, ამაში დარწმუნებული ვარ... მიუახლოვდით, მიუახლოვდით... რა მოხდა, ბატონო, საჩუქარი ჩემს ცოლს? (დედაბერს, რომელიც ეს-ეს არის სკამით ხელში შემოვიდა). სემირამიდა, ეს ტურფაა, იცნობ?

ტურფა... (პოლკოვნიკს და პირველ უჩინარ ქალბატონს) ეს არის მადმუაზელ... უკაცრავად, ქალბატონო ტურფა... ნუ იცინით... და მისი ქმარი... (დედაბერს) ჩემი ბავშვობის მეგობარია. მას ისე ხშირად ვახსენებდი ხოლმე... და მისი ქმარი (კვლავ პოლკოვნიკსა და უჩინარ ქალბატონს) და მისი ქმარი...

დედაბერი (რევერანსს აკეთებს და კაცზე ამბობს) — პატიოსნებას გეფიცებით, მშვენივრად გამოიყურება, დახვეწილი მანერებიც აქვს. გამარჯობათ, ქალბატონო, გამარჯობათ, ბატონო. (დედაბერი ახლად მოსულ სტუმრებს უკვე მოსულ სტუმრებს წარუდგინეს) მეგობრები, დიახ...

ბერიკატი — (დედაბერს) — საჩუქარი მოგიტანეს.

(დედაბერი საჩუქარს იღებს).

დედაბერი — ყვაილებია, ბატონო? თუ აკვანი, მსხლის ხე? თუ ყვაი?

ბერიკატი — (დედაბერს) — არა! ვერ ხედავ, სურათია.

დედაბერი — ოჰ, რა კარგია! გმადლობთ, ბატონო... (პირველ უჩინარ ქალს) თუ გნებავთ, თქვენც ნახეთ, ჩემო კარგო.

ბერიკატი (უჩინარ პოლკოვნიკს) — ნახეთ, თუ გნებავთ.

დედაბერი (ტურფას ქმარს) — ექიმო, ექიმო, გული მერევა, გულსა მძმარავს, გული მტკივა, სევდა მანვება, მუხლები აღარ მემორჩილება. თვალებზე მცვივა, თითები გამყინა, ღვიძლი მტანჯავს, ექიმო, ექიმო!..

ბერიკატი — (დედაბერს) — ეს ბატონი ექიმი არ გახლავთ, ფოტოგრაფიურისტია.

დედაბერი (პირველ ქალს) — თუ დათვალურებას მორჩით, შეგიძლიათ ჩამოკიდოთ. (ბერიკატს) არაფერია, იგი მაინც მშვენიერია და მომხიბლავი. (ფოტოგრაფიურისტს) სურვილიც კი არა მაქვს, ქათინაური გითხრათ...

(ორივე მოხუცი ამ დროს სკამების უკან უნდა იდგეს, ერთმანეთის გვერდით, ზურგებით უნდა ეხებოდნენ კიდევ ერთმანეთს. ლაპარაკობენ. ბერიკატი ტურფას ელაპარაკება, დედაბერი — ფოტოგრაფიურისტს. დროდადრო რეპლიკა გაისმის, ხან ერთი მოხუცი ამბრუნებს თავს, ხან მეორე პირველად მოსული სტუმრებისაკენ).

ბერიკატი (ტურფას) — მეტისმეტად ავლელდი... მაინც ისევე ისეთივე ხართ... მე თქვენ მიყვარდით, ასი წლის წინათ... ისე შეცვლილხართ... სულაც არ შეცვლილხართ... მე თქვენ მიყვარდით, მე თქვენ მიყვარხართ...

დედაბერი (ფოტოგრაფიურისტს) — ოჰ, ბატონო, ბატონო, ბატონო...

ბერიკატი (პოლკოვნიკს) — ამ საკითხში გეთანხმებით.

დედაბერი (ფოტოგრაფიურისტს) — ოჰ, ნამდვილად, ბატონო, ნამდვილად... (პირველად მოსულ ქალბატონს) გმადლობთ, რომ ჩამოაპკიდეთ... მომიტევეთ, თუ შეგანუხეთ. (ამჯერად განათება უფრო ძლიერია. თითოეული უჩინარი სტუმრის შემოსვლისას სინათლე უფრო და უფრო მატულობს).

ბერიკატი (თითქმის სლუკუნით, ტურფას) — რი იქნა შარშანდელი თოვლი?

დედაბერი (ფოტოგრაფიურისტს) — ოჰ, ბატონო, ბატონო, ბატონო...

ბერიკატი (ტურფას პირველ ქალს უჩვენებს და ეუბნება) — ახალგაზრდა მეგობარია... ძალზე ნაზია...

დედაბერი — (ფოტოგრაფიურისტს პოლკოვნიკზე აჩვენებს) — დიახ, იგი ცხენოსანთა ჯარის უფროსია... ჩემი ქმრის მეგობარია... ხელქვეითი... ჩემი ქმარი შარშალია...

ბერიკატი (ტურფას) — ყურები მუდამ ასე ნაწვეტებული როდი გქონდათ!.. ჩემო ტურფავ, აბა გაიხსენეთ.

დედაბერი (ფოტოგრაფიურისტს სასაცილო პრანჭვა-გრეხით, რასაც თანდათან უმატებს — აინევს ქვედაკაბას, კიდევ აინევს და ასე გამოაჩენს რამდენიმე ძველ, დაკერებულ, დაკონკილ ქვედაკაბას, ხოლო ამ ქვედაკაბების ქვეშ კიდევ გამოაჩენს რამდენიმე ქვედასაცვალს და ბოლოს შიშველ ბარძაყებსაც. მერე ბებრულ მკერდს მოიღელღავს, ბარძაყებზე ხელებს დაიტყაპუნებს, დოინჯს შემოიყრის, თავს უკან გადააგდებს, ეროტიული გმინვით თქმოს წინ წამოაგდებს, ფეხებს გაფარჩხავს და იცინის და იცინის ბებერი როსკიპივით. ეს სცენა სრულიად განსხვავებული უნდა იყოს იმ სცენებთან შედარებით, აქამდე რომ იყო, და იმასთან შედარებითაც, ამის შემდეგ რომ იქნება ამ სცენამ უნდა გამოააშკარავოს დედაბრის ნამდვილი სახე. დედაბერი თამაშს ერთბაშად შეწყვეტს). — ეს ჩემს ასაკს აღარ შეეფერება.

ბერიკაცი (ტურფას, ერთობ რომანტიულად) — იმ დიდებულ დროს მთვარე ისეთი ნათელი იყო. აჰ, როგორ გავბუდავდი, ჯერ ხომ ბავშვები ვიყავით. არ გინდათ, გარდასული წამი დავიბრუნოთ?.. იქნებ ჯერ კიდევ შეიძლება? იქნებ შეიძლება? აჰ, არა, არა, მეტად აღარ შეიძლება. დრო მატარებელივით ჩქარა გარბის და სხეულზე ლიანდაგის მაგვარ ხაზებს გვიტოვებს. გჯერათ, რომ პლასტიკურ ქირურგიას სასწაულების მოხდენა შეუძლია? (პოლკოვნიკს) მე სამხედრო ვარ, თქვენც აგრეთვე, სამხედროები მუდამ ანალგაზრდები არიან, მარშლები თვით ღმერთებს ჰგვანან... (ტურფას) ასეც უნდა იყოს... ვაი! ვაი! ყველაფერი დავკარგეთ. არადა, რა ბედნიერი შეგვეძლო ვყოფილიყავით. ამაზე უკვე გითხარით... შეგვეძლო, შეგვეძლო... ალბათ ყვაფილები თოვლქვეშ ამოდის!..

დედაბერი (ფოტოგრაფიურისტს) — ცბიერო! ფლიდო! ჩემს ასაკთან შედარებით უფრო ანალგაზრდა გამოვიყურები? თქვენ პატარა ავანტიურისტი ხართ! თანაც ამაღელვებელი.

ბერიკაცი (ტურფას) — გინდათ ჩემი იზოლდა იყოთ, მე კი თქვენი ტრისტანი? სილამაზე გულებშია... გამიგეთ? მაშინ სიხარულსაც გაეინანილებდით... სილამაზე, მარადისობა... მარადისობა... რატომ არ გავბუდვით? ალბათ საკმაო სურვილი არ გექონდა.. ყველაფერი დავკარგეთ, დავკარგეთ, დავკარგეთ.

დედაბერი (ფოტოგრაფიურისტს) — ოჰ, არა! ოჰ, არა! ოჰ, თქვენ მე ჟოკოსასა მგვრით. თქვენ მლიქვნელიცა ხართ? მლიქვნელი თუ გაქნილი? ცოტა მრცხვენია... (იციინის) გიყვართ ჩემი ქვედატანი? მოგნონთ ეს ქვედაკაბა?

ბერიკაცი (ტურფას) — უნტეროფიცრის საცოდავი ცხოვრება!

დედაბერი (თავს პირველი უჩინარი ქალისკენ მიაბრუნებს) — კრეკდეშინის მოსამზადებლად? ხარის კვერცხი, კარაქის საათი, კუჭის შაქარი. (ფოტოგრაფიურისტს) თქვენ მარჯვე ხელი გაქვთ, აჰ... მაშინვე!.. ოჰ, ოჰ, ოჰ, ოჰ.

ბერიკაცი (ტურფას) — ჩემმა კეთილშობილმა კომპანიონმა, სემირამიდამ, დედაჩემი შეცვალა. (მიუბრუნდება პოლკოვნიკს) პოლკოვნიკო, მე მაინც კარგად გითხარით, ტეშმარიტებას იქ აღიარებენ, სადაც მას მიხედებია.

(კვლავ ტურფას მიუბრუნდება).

დედაბერი (ფოტოგრაფიურისტს) — თქვენ მართლა გჯერათ, რომ ბავშვები ყველა ასაკში გაჩნდებიან? თანაც ყველა ასაკის ბავშვები?

ბერიკაცი (ტურფას) — მართლაც ამან გადამარჩინა. ოჯახური ცხოვრება, შინაგანი სიმშვიდე, სიმკაცრე, ჩემი მეცნიერული გამოკვლევები, ფილოსოფია, ჩემი ამბავი...

დედაბერი (ფოტოგრაფიურისტს) — ჩემი ქმარი ჯერ არასდროს მომიტყუებია... არა, ასე ნუ დამამტყრევთ... მე მხოლოდ მისი საბრალოდ დედა ვარ! (აქვითინდება) დედის, დედის, დედის... დედა. ჩემი პატიოსნება მკარნახობს, რომ ჩემთვის ვაშლის ტოტი უკვე მოტეხილია. სხვაგან ეძებთ თქვენი გზა. ცხოვრებაში ვარდების კრეფა აღარ მინდა...

ბერიკაცი (ტურფას) — ...განსაკუთრებული ზრუნვის საგანია.

(ბერიკაცსა და დედაბერს ტურფა და ფოტოგრაფიურისტი ორ დანარჩენ სტუმართან მიჰყავთ და სკამებზე სვამენ).

ბერიკაცი და დედაბერი (ფოტოგრაფიურისტს და ტურფას) — დაბრძახდით, დაბრძახდით.

(ორივე მოხუცი ჯდება, ბერიკაცი — მარცხნივ, დედაბერი — მარჯვნივ, მათ შორის ოთხი ცარიელი სკამია. საუბარი მუნჯურია, დროდარო გაისმის: „არა“, „დიახ“, „არა“, „დიახ“. მოხუცები უჩინარი პერსონაჟების ლაპარაკს ისმენენ).

დედაბერი (ფოტოგრაფიურისტს) — ერთი ვაფიშვილი ვიყოლიეთ... რასაკვირველია, კარგად ცხოვრობს... წავიდა... ნარსული ამბავია.. უფრო უცნაური... მიატოვა საკუთარი მშობლები... ოქრო გული შექონდა... ძალიან დიდი ხნის წინათ... ჩვენ ისე გვიყვარდა... მან კარი გაიჯახუნა... მე და ჩემი ქმარი ვეცადეთ ძალით დაგვებრუნებინა... შეიდი წლისა იყო, შეგნებული ასაკია. მიეძახოდით: ჩემო ბიჭო, ჩემო შვილო, ჩემო ბავშვო... თავიც კი არ მოუბრუნებია...

ბერიკაცი — არა... არა... ბავშვი არ გეყოლია... ძალიან მინდოდა ვაფიშვილი მყოლოდა... სემირამიდასაც... ყველაფერი ვილონეთ... ჩემი სანყალი სემირამიდა, მართლაც რომ დედის გული აქვს, იქნებ არც არის საჭირო ასეთი გული. მეც უმადური შვილი ვიყავი... აჰ, მწუხარება, მტყუნვარება, სინდისის ქენჯნა... ესლა დაგვრჩენია...
დედაბერი — ის ამბობდა: თქვენ ჩიტებს ხოცავთ! რატომ ხოცავთ ჩიტებს?.. ჩვენ

არ ვხედავთ ჩიტებს... ჭიანჭველისთვისაც კი არ დაგვიდგამს ფეხი... მას თვალში მსხვილი ცრემლები მოადგა... იგი ამბობდა: დიახ, თქვენ ყველა ჩიტს ხოცავთ, ყველა ჩიტს... თავის პატარა მუშტებს გვიღერებდა... გვეუბნებოდა: ცრუობთ, მატყუებთ! ქურები სავსეა დახოცილი ჩიტებით, სულთმოპრკაევი, პატარა ბავშვებით. ეს ჩიტების სიმღერაა! არა, ეს კენესაა. ცა სისხლისგანაა განითლებული... არა, ჩემო შეილო, ცა იისფერია... იგი კვლავ ყვიროდა: მომატყუეთ, გაღმერთებდით, თქვენი სიკეთისა მჯეროდა... ქურები სავსეა მკვდარი ჩიტებით, თქვენ მათ თვალში დასთხარეთ. დედა, თქვენ ბოროტები ხართ! თქვენთან აღარ მიწა დაჩენა... მე ფეხებში ჩავუვარდი... მამამისი ტიროდა. ვერ შეეძელი და ვერ შევაჩერე... კიდევ გვესმოდა მისი ყვირილი: პასუხისმგებლები თქვენა ხართ... რა არის პასუხისმგებელი?

ბერიკაცი — მომაკვდავი დედა მარტოდმარტო თხრილში ჩავტოვე. იგი უმწეოდ მეძახდა, კენესოდა: ჩემო პანია შეილო, საყვარელო შეილო, სასიკვდილოდ ნუ გამიმეტებ, ჩემთან დარჩი, სიკვდილი მალე მოვაო. ნუ მოკვდები, დედიკო, — ვუთხარი, — ამ წუთში დავბრუნდები-მეთქი... მეჩქარებოდა... საცეკვაოდ მეჯლისზე მივდიოდი. ერთ წამში დავბრუნდები-მეთქი. როცა დავბრუნდი, იგი მკვდარი იყო და ღრმად ჩამარხული... მე გაუთხარე მიწა. ვეძებე... ველარ ვიპოვე... ვიცი, ვიცი, ვაჟიშვილები თავიანთ დედებს ყოველთვის ტოვებენ, მამებს კი კლავენ... ასეთია ცხოვრება... ძალიან ვიტანჯები... სხვები კი არა...

დედაბერი — იგი ყვიროდა: მამიკო, დედიკო, ველარ გნახავთ...

ბერიკაცი — მე ძალზე ვიტანჯებოდი, სხვებისთვის კი თითქოს არაფერია.

დედაბერი — ამაზე ნუ ელაპარაკებით ჩემს ქმარს. მას ხომ ასე ძალიან უყვარდა თავისი მშობლები. ერთი წუთითაც კი არ მიუტოვებია. ზრუნავდა, ანებიერებდა... მის მკლავებზე დალიეს სული, თანაც ეუბნებოდნენ: შენ საყვარელი შეილი ხარ და ღმერთი სიკვითთ გადაგიხდისო.

ბერიკაცი — მას ისევე საფლავში ეხედავ გამოტილს, მაშინ ხელში შროშანები ეჭირა და ყვიროდა: ნუ დამივიწყებ, ნუ დამივიწყებ... თვალში მსხვილი ცრემლები ედგა. ბავშვობის ზედმეტ სახელს მეძახდა: წინილავე, წინილავე, აქ მარტო ნუ დამტოვებო.

დედაბერი (ფოტოგრაფიურისტს) — წერილი არასოდეს მოუწერია. ხან ვინ გვეუბნება მის ამბავს და ხან ვინ. თითქოს ხან აქ ნახეს და ხან იქ, თითქოს კარგადაა და კარგი ქმარიცაა...

ბერიკაცი (ტურფას) — როცა დავბრუნდი, იგი დიდი ხნის დასაფლავებული იყო. (პირველ ქალბატონს). ოჰ! დიახ! დიახ! სახლში კინო გვაქვს, ქალბატონო, რესტორანი, აბაზანები...

დედაბერი (პოლკოვნიკს) — დიახ, პოლკოვნიკო, კარგია იმიტომ, რომ ის...

ბერიკაცი — ბოლოს და ბოლოს, ეს არის და ეს.

(აქედან საუბარი უკვე აბნეულად მიმდინარეობს).

დედაბერი — ოღონდ!

ბერიკაცი — ამგვარად მე არ მაქვს... მე მას... უთუოდ...

დედაბერი (დიალოგი დანაწევრებულია, სუსტი) — ერთი სიტყვით.

ბერიკაცი — ჩვენებს და თქვენებს.

დედაბერი — რაც.

ბერიკაცი — მე მისთვის ის მაქვს.

დედაბერი — ეს თუ ის?

ბერიკაცი — ისინი.

დედაბერი — ფორიანი კამფეტები... მაშ.

ბერიკაცი — არ არის.

დედაბერი — რატომ?

ბერიკაცი — დიახ.

დედაბერი — მე.

ბერიკაცი — მოკლედ.

დედაბერი — მოკლედ.

ბერიკაცი (პირველ ქალბატონს) — მოგწონთ, ქალბატონო?

(ხანგრძლივი სიჩუმე. ბებრები გაშეშებული სხედან სკამებზე. მერე ზარის ხმა ისმის, რომელიც ნელ-ნელა წერვიულად მატულობს).

ბერიკაცი — მოვიდნენ, ხალხი კიდევ მოვიდა.

დედაბერი — ნაუების ხმა გარკვევით გავიგე...

ბერიკაცი — ახლავ გავალე. სკამები მოიტანე. ბატონებო, ქალბატონებო, მომიტევეთ.

(მიდის № 7 კარისაკენ).

დედაბერი (უჩინარ პერსონაჟებს მიმართავს, რომლებიც უკვე ერთხანს არიან — ერთ ნუთს წამოდექით, გუთაყვათ. ორატორი ჩქარა მოვა და კონფერენციას დაიბაზი სასწრაფოდ უნდა მოვანყოთ. (დედაბერი სკამებს ანესრიგებს, ზურგით დაიბაზისაკენ აბრუნებს). ნელი წამახმარეთ. გზადლობთ.

ბერიკაცი (აღებს № 7 კარს) — გამარჯობათ, ქალბატონებო, გამარჯობათ, ბატონებო. დაგვდეთ პატივი და შემობრძანდით. (შემოსულა სამი თუ ოთხი პიროვნება, რომლებიც, ეტყობათ, ბერიკაცზე მალეები არიან, რადგან ბერიკაცი ფეხის წვერებზე იწევა, ხელის ჩამოსართმევად. დედაბერი სკამებს ისე დააწყობს, ზევით რომ ითქვა, და მერე ბერიკაცთან მივა).

ბერიკაცი (ნარუდგენს) — ჩემი მეუღლე... ბატონი... ქალბატონი... ჩემი მეუღლე... ბატონი... ქალბატონი... ჩემი მეუღლე...

დედაბერი — ეს ხალხი ვილაა, გენაცვალე?

ბერიკაცი (დედაბერს) — ნადი, სკამები მოიტანე, ძვირფასო.

დედაბერი — მე ყველაფრის გაკეთება არ შემიძლია...

(ქალი № 6 კარიდან ბურტყუნით გავა, დაბრუნდება № 7 კარიდან, ამ დროს ბერიკაცი ახლად მოსულეებთან ერთად სცენის წინა მხარეს მოდის).

ბერიკაცი — კინოაპარატი არ დაგივარდეთ... (აცნობს) პოლკოვნიკი... ქალბატონი... ქალბატონი ტურფა... ფოტოგრაფიურისტი... ჟურნალისტებიც არ არიან, ესენიც ორატორის მოსასმენად მოვიდნენ... ორატორი საცაა გამოჩნდება... მოთმინება იქონიეთ... ასე მალე მოგნინდათ? (დედაბერი № 7 კარიდან გამოჩნდება) აბა, უფრო სწრაფად მოიტანე სკამები... კიდევ ერთია საჭირო. (დედაბერი მიდის სკამის მოსატანად, გადის № 3 კარიდან და შემოდის № 8 კარიდან).

დედაბერი — ახლავ... როგორც შემიძლია, ისე ვაკეთებ... მანქანა ხომ არა ვარ. მაინც ვინ არის ეს ხალხი? (გადის).

ბერიკაცი — დაბრძანდით, დაბრძანდით, ქალბატონები ქალბატონებთან, ბატონები ბატონებთან, ანდა პირიქით, როგორც გნებავთ... უფრო ლამაზი სკამები არა გვაქვს... ასე უფრო სახელდახელოა... მომიტევეთ... შუაში დაბრძანდით... კალამი გნებავთ?.. მაილოტში დარეკეთ.. თქვენ მონიკა იქნებით... კლოდი მფარველია... სადილი არა მაქვს... ყველა გაზეთს ვლებულობ... დამოკიდებულია ნივთების რაოდენობაზე... მე ბინებს განვაგებ, კაცი-შვილი არა მყავს დამხმარე... საჭიროა მომჭირნეობა... არავითარი ინტერვიუები, გთხოვთ... დროებით... შემდეგ დაინახავენ... თქვენ ახლავ გაქნებათ დასაჯდომი ადგილი... ჩემი მეუღლე რალას აკეთებს?.. (დედაბერი № 8 კარიდან სკამიანად გამოჩნდება). უფრო ჩქარა, სემირამიდა...

დედაბერი — რაც შეიძლება, ვცდილობ... ვინ არის ეს ხალხი?

ბერიკაცი — მერე აგიხსნი.

დედაბერი — ის ქალი, ის ქალი ვილაა, ჩემო ძვირფასო?

ბერიკაცი — კარგი ერთი... (პოლკოვნიკს) ჩემო პოლკოვნიკო, ჟურნალისტის ხელობა მეომრის ხელობას ჰგავს.. (დედაბერს) ჩემო ძვირფასო, ქალბატონები გაართე... (ზარი რეკავს, ბერიკაცი № 8 კარს მივარდება) ერთი ნუთი მოიცადეთ... (დედაბერს) სკამები!

დედაბერი — ქალბატონებო, ბატონებო, მომიტევეთ...

(გავა № 3 კარიდან, დაბრუნდება № 2 კარიდან. ბერიკაცი მანინვე აღებს № 9 კარს, რომელსაც მაყურებელთა ერთი ნაწილი ვერ ხედავს. იგი იმ ნუთში გაუჩინარდება, როცა დედაბერი გამოჩნდება № 3 კარიდან).

ბერიკაცი (არ ჩანს) — შემობრძანდით... შემობრძანდით... შემობრძანდით... შემობრძანდით... (გამოჩნდება, უკან უჩინარი პერსონაჟები მოჰყვებიან, ერთს ვითომ პატარა ბავშვი უჭირავს). პატარა ბავშვები მეცნიერულ კონფერენციებზე არ დაჰყავთ. სადაცაა პანთას გული შეუნუხდება... თუ აჩხავლდება, ან რომელიმე ქალბატონს კაბას ჩაუხველებს, სასაცილო იქნება! (სცენის შუაგულისაკენ მიუძღვება. დედაბერს ორი სკამი მოაქვს) წარმოგიდგენთ ჩემს მეუღლეს, სემირამიდას; ეს მათი ბავშვია.

დედაბერი — ბატონებო, ქალბატონებო... ო, რა თავაზიანები არიან!

ბერიკაცი — ეს, ეს ყველაზე პატარაა.

დედაბერი — პატარა კი არა, პანანინა... ერთი ციციქნაა!

ბერიკაცი — სკამები აღარ გვეყოფნის.

დედაბერი — აჰ, ლა-ლა-ლა-ლა.

(გადის სკამების შემოსატანად, ამჯერად შემოსვლა-გასვლისთვის უკმაყოფილოდ ჯვინა კარებს აირჩევს).

ბერიკაცი — პანია მუხლებზე დაისვით... ტყუპებს შეუძლიათ ერთ სკამზე ჩამოსხდნენ. ფრთხილად, ცოდონი არიან... ეს სკამები ამ სახლის პატრონს ეკუთვნის. დიახ, გვეჩხუბებოდა, ბოროტი კაცია... ალბათ უნდოდა მისთვის სკამები გვეყიდა. სანვალუბლად არც კი ღირდა. (დედაბერი, სკამით ხელში, რამდენადაც შეუძლია სწრაფად მოდის) თქვენ ერთმანეთს პირველად ხედავთ... თქვენ ყველა ერთმანეთს იცნობთ, გვარებით. (დედაბერს) სემირამიდა, მომეხმარე, ეს ხალხი ერთმანეთს გავაცნოთ...

დედაბერი — ნეტავ ვინ არის ეს ხალხი?.. ნება მომეცით წარმოგიდგინოთ... მაგრამ ვინ არიან?

ბერიკაცი — ნება მომეცით წარმოგიდგინოთ... ვისაც გაცნობთ... ქალბატონო, ბატონო, ქალიშვილო... ბატონი... ქალბატონი... ბატონი...

დედაბერი (ბერიკაცს) — თბილი ნაქსოვი ჩაიცვი? (ურჩინარ სტუმრებს) ბატონებო, ქალბატონებო, ბატონებო...

(ზარის ხმა).

ბერიკაცი — ხალხი!

(ზარის ხმა მეორედ გშისმის).

დედაბერი — ხალხი!

(ისევ ზარის ხმა, მერე ისევ და ისევ. ბერიკაცი სკამებითაა გარშემორტყმული. სკამები რიგებად აწყვია და ზურგით მაყურებელთა დარბაზისკენაა მიბრუნებული. სკამები უფრო და უფრო ემატება და სცენაც მაყურებელთა დარბაზს ემსგავსება. აქოშინებული ბერიკაცი შუბლიდან ოფლს იწმენდს. ერთი კარიდან მეორეში გარბის, თან ურჩინარ ხალხს თავიანთ სკამებს აჩვენებს. დედაბერი კოჭლობით ხან ერთ კართან მიდის, ხან — მეორესთან, ცდილობს რაც შეუძლია სწრაფად იმოძრაოს, თანაც სახეზე აწერია, რომ მეტი აღარ შეუძლია, მაგრამ მაინც მოაქვს და მოაქვს სკამები... სცენაზე უფრო მეტი და მეტი ურჩინარი ხალხია. მოხუცები ყურადღებით არიან, რომ ხალხს არ დაეჯახონ და მოსულებს ადგილი მიუჩინონ. მოქმედება შემდეგნაირად წარიმართება: ბერიკაცი მიდის № 4 კართან, დედაბერი გადის № 3 კარიდან, ბრუნდება № 2 კარიდან. ბერიკაცი ალებს № 7 კარს, დედაბერი გადის № 8 კარიდან, ბრუნდება № 6 კარიდან სკამებით ხელში და სხვა. ასე იმიტომ გვჭირდება, რომ ყველა კარი გამოვიყენოთ).

დედაბერი — ბოდიში... ბოდიში... რა, ბოდიში... ბოდიში...

ბერიკაცი — ბატონებო... შემობრძანდით... ქალბატონებო... შემობრძანდით... ეს ქალბატონი... ნება მომეცით... დიახ...

დედაბერი (სკამებით) — ო, ლა, ლა, ლა, ლა... ისინი ძალიან... ისინი ნამდვილად ძალიან, ძალიან... ძალიან ბევრნი არიან. ო, ლა, ლა, ლა, ლა.

(გარედან თანდათან და გარკვევით იამის ნავების ხმა. ეს ხმაური კულისებიდან შემოდის. მოხუცები ისევ გარბი-გამორბიან, როგორც ზემოთაა აღწერილი, ალებენ კარებს, მოაქვთ სკამები. ისმის ზარის ხმა).

ბერიკაცი — ეს მაგიდა ხელს გვიშლის. (ვითომ მაგიდას გასწევს, ოღონდ ისე, რომ მოქმედებას არ შეანელებს, დედაბერი ეხმარება). — ადგილი აღარ დარჩა. მომიტევეთ...

დედაბერი (თითქოს მაგიდა თავიდან მოიშორაო, ბერიკაცს) — თბილი ჯემპრი ჩაიცვი?

(ზარის ხმა)

ბერიკაცი — ხალხი! სკამები! ხალხი! სკამები! მობრძანდით, მობრძანდით, ბატონებო და ქალბატონებო... სემირამიდა, უფრო ჩქარა... ხელი მოგვახმარე...

დედაბერი — ბოდიში... ბოდიში... გამარჯობათ, ქალბატონო... ქალბატონო... ბატონო... ბატონო... დიახ, დიახ, სკამები...

ბერიკაცი (ზარის რეკვა თანდათან ძლიერდება, ისმის, როგორ მოცურავენ ნავები,

ნაპირს როგორ ეჯახებიან. ამგვარი ხმაური ხშირად მეორდება, ბოლოს კი თითქმის განუწყვეტლივ ისმის. სკამებს შორის მოძრაობა უკვე შეუძლებელია. მოხუცებს დროც კი აღარ პყოფნით ერთი კარიდან მეორესთან მივიდნენ, თანაც ზარი განუწყვეტლივ რეკავს და რეკავს)... დიახ... ახლავე... ჯემპრი ჩაიცვი? დიახ, დიახ... ახლავე მოითმინეთ. დიახ, დიახ, მოითმინეთ...

დედაბერი — შენი ჯემპრი? ჩემი ჯემპრი?.. მომიტევეთ, მომიტევეთ...

ბერიკაცი — აქეთ, ბატონებო, ქალბატონებო, მე თქვენ გითხარი... მე თქვენ... ბოდიში... გუკითხებით... შემობრძანდით... შემობრძანდით... ახლავე გაგიძღვებით. აი იქ, ადგილები... ძვირფასო მეგობარო... აქედან არა... ყურადღება... თქვენ, ჩემო მეგობარო...

(შემდეგ ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოყვარდება. ისმის ტალღებისა და ნავეების ხმაური, ზარის განუწყვეტელი რეკვა, მოქმედება კულმინაციურ ნერტილს აღწევს. კარები განუწყვეტლივ იღება და იკეტება. მარტო ის, დიდი კარი, სიღრმეში რომ ჩანს, არ იღება. მოხუცები ხმის ამოუღებლად ერთი კარიდან მეორისაკენ მიდი-მოდიან, თითქოს გორგოლაჭებზე დაგორავენო. ბერიკაცი ხალხს იღებს და მოაცილებს, მაგრამ ბოლომდე ვეღარ მოსდევს, მხოლოდ ერთ-ორ ნაბიჯს გადმოდგამს და ისე ანიშნებს შემოსულთ დასაჯდომ ადგილებს. დედაბერს სკამები მოაქვს. მოხუცები ერთი-ორ-ჯერ ერთმანეთს დაეჯახებიან კიდევ, მაგრამ მოქმედებას მაინც არ წყვეტენ. ბოლოს სცენის შუაგულში, იქით, სიღრმეში, ბერიკაცი თითქმის ერთ ადგილზე ბრუნავს ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ... ადგილებს უჩვენებს შემოსულთ. მკლავებს სწრაფად ამოძრავებს. ბოლოს დედაბერიც გაჩერდება ერთი სკამით ხელში, რომელსაც დადგამს და ისევ აიღებს, ისევ დადგამს; ისეთი სახე აქვს, თითქოს ხან ერთ კართან, ხან მეორესთან მიდის, მარჯვნივ და მარცხნივ. მაგრამ მხოლოდ თავსა და კისერს ამოძრავებს. მოძრაობა არ უნდა შეწყდეს, ისეთი შთაბეჭდილება უნდა შეიქმნას, რომ ორივე მოხუცი კვლავ მოძრაობს და არ ჩერდება. მაგრამ ერთ ადგილს უნდა ტკეპნიდნენ. მათი ხელები, ტანი, თავი, თვალები ისე უნდა მოძრაობდნენ, თითქოს პატარა წრეებს ავლებენო. ბოლოს მოძრაობა ნელდება, ზარის რეკვაც ნელ-ნელა წყდება და სულ უფრო იშვიათი ხდება, კარიც იშვიათად იღება და იკეტება. მოხუცების შესტიც იხვენება. და იმ დროს, როცა ზარი დადუმდება, კარების გაღება-დახურვა კი წყდება, ისეთი შთაბეჭდილება უნდა შეიქმნას, თითქოს სცენა უკვე ხალხითაა გაჭედილი).

ბერიკაცი — ახლავე მოგიძებნით დასაჯდომ ადგილს, მოითმინეთ, სემირამიდა, ეშმაკმა დალახეროს...

დედაბერი (ხელებს ფართოდ გაშლის) — მეტი სკამი აღარ არის, გენაცვალე. (და უცბად დაიწყებს უხილავი პროგრამების გაყიდვას). პროგრამები, ინებეთ პროგრამები, სალამოს პროგრამა, ინებეთ პროგრამა!

ბერიკაცი — დამშვიდდით, ბატონებო, ქალბატონებო, ახლავე მოგემსახურებით... ყველას თქვენ თქვენი რიგის მიხედვით... ყველას გეძნებათ ადგილი. გთხოვთ მოწესრიგდეთ.

დედაბერი — ინებეთ. პროგრამა! ცოტა მოიცადეთ, ქალბატონო, არ შემიძლია ყველას ერთად მოგემსახუროთ. ოცდაცამეტი ხელი კი არა მაქვს... ადამიანი ვარ... ბატონო, გთხოვთ გამოიჩინოთ თავაზიანობა და პროგრამა გადაანოდოთ თქვენს მეზობელ ქალს, გამადლობთ...

ბერიკაცი — გითხარით, დაგსვამენ-მეთქი! ნუ ლელავთ, აქედან, აქედან... ო, ძვირფასო მეგობარო... ძვირფასო მეგობარო... სინყნარე.

დედაბერი — ...პროგრამა ...კითხეთ, გრამ... გრამ...

ბერიკაცი — დიახ, ძვირფასო, მანდ, ცოტა, ქვემოთ, პროგრამებს ყიდის... სულელური ხელობა არ არის... ისაა... ხედავთ? თქვენი ადგილი მეორე რიგშია... მარჯვნივ... არა, მარცხნივ... ესეც ასე!..

დედაბერი — ...გრამა. გრამა... პროგრამა... ინებეთ პროგრამა.

ბერიკაცი — რას მოითხოვთ? როგორც შემიძლია, ისე ვაკეთებ! (მჯდომარე უჩინარ ხალხს) ცოტა მიიჩინეთ, გუთავყავთ... აი, კიდევ ერთი პატარა ადგილი თქვენთვის, ქალბატონო... მიბრძანდით. (ბერიკაცი იძულებულია ესტრადაზე ავიდეს). ქალბატონებო და ბატონებო, მოგვიტევეთ, მეტი ადგილი აღარ არის...

დედაბერი — (მოპირდაპირე მხარეს აღმოჩნდება, ბერიკაცისკენ მიბრუნებული № 3

კარსა და ფანჯარას შორის) — მოითხოვეთ პროგრამა... ვის უნდა პროგრამა? შოკოლადიანი ნაყინი, კარამელი... საქარყინული...

(ხალხში გაჭედული დედაბერი ველარ მოძრაობს და აქეთ-იქით, საითაც მოხვდება, უჩინარი ხალხის თავებს ზემოთ ისვრის არარსებულ პროგრამებსა და კანდილებს).

ბერიკაცი (ესტრადაზე დგას, აღგზნებულია, თითქოს უბიძგებენო, ესტრადიდან გადმოვარდება, მერე ისევ ადის, ისევ გადმოვარდება, სახით რალაცას ეჯახება, იდაყვებით ეჯიკაებებიან) — ბოდიშს ვიხდი... უღრმეს ბოდიშს ვიხდი... ფრთხილად... (ბარბაცებს, უნდა როგორმე გასწორდეს).

დედაბერი — ეს რა ხალხია? პროგრამა, ინებეთ, გეთაყვა, პროგრამა, შოკოლადიანი ნაყინი.

ბერიკაცი — ქალბატონებო და ბატონებო, ერთი ნუთით სიჩუმეს გვედრებით... სიჩუმე... ძალზე საჭიროა, აუცილებელი... ხალხი, ვისაც სკამი არ შეხვდა, იხვენება, იხსენით გაჭირვებიდან და გასასვლელი მაინც მიეცით... ასე... სკამებს შორის ნუ გაჩერდებით...:

დედაბერი (ბერიკაცს, თითქმის ყვირით) — ეს ხალხი ვინ არის, საყვარელო? რისთვის მოვიდნენ?

ბერიკაცი — მიინ-მოინით, ბატონებო და ქალბატონებო. უსკამოდ დარჩენილები კედელთან მაინც მოეწყონ. ყველაფერს გაიგებთ, ყველაფერს დაინახავთ, ნუ გეშინიათ, ყველა ადგილი კარგია!

(ვითომ ხალხი ფუსფუსებს. მიწვე-მოწვევა, წაბიძგება, წინ წაწევა, ბერიკაცმა თითქმის მთელ სცენას უნდა შემოუაროს, რომ მარჯვენა ფანჯარასთან ტაბურეტის ახლოს აღმოჩნდეს. დედაბერიც ასევე უნდა მოიქცეს, ოღონდ საწინააღმდეგო მხარეს ტაბურეტთან უნდა მივიდეს).

ბერიკაცი (ზემოთ აღწერილ მოძრაობას აკეთებს) — ხელს ნუ იკვრევინებით, ხელს ნუ იკვრევინებით.

დედაბერი (იმავე მოძრაობას აკეთებს) — ხელს ნუ იკვრევინებით, ხელს ნუ იკვრევინებით.

ბერიკაცი (კვლავ ისეთნაირადვე) — ხელს ნუ იკვრევინებით, ხელს ნუ იკვრევინებით.

დედაბერი (კვლავ ისეთნაირადვე) — ხელს ნუ იკვრევინებით, ბატონებო და ქალბატონებო, ხელს ნუ იკვრევინებით.

ბერიკაცი — (კვლავ ისეთნაირადვე) — სინყნარე... ჩუმად... სინყნარე... ეს რა არის...

დედაბერი (კვლავ ისეთნაირადვე) — ველურები ხომ არა ხართ.

(ბოლოს მათთვის განკუთვნილ ადგილებს მიაღწევენ, თვითნებური მივა თავის ფანჯარასთან, ბერიკაცი — მარცხენა ფანჯარასთან, დედაბერი — მარჯვენასთან. ისინი სპექტაკლის ბოლომდე ასე დარჩებიან და ადგილიდან აღარ დაიძვრებიან).

დედაბერი (ცხახის ბერიკაცს) — ჩემო საყვარელო... ველარა გხედავ... სადა ხარ? ვინ არის ეს ხალხი? რა უნდათ? ის ვილაი?

ბერიკაცი — სადა ხარ? სადა ხარ, ხემირამიდა?

დედაბერი — ჩემო საყვარელო, სადა ხარ?

ბერიკაცი — აქა, ფანჯარასთან... გესმის...

დედაბერი — დიახ, დიახ, შენი ხმა მესმის!.. რა ყაყანია... მაგრამ შენი ხმა მაინც მესმის...

ბერიკაცი — შენ, შენ სადა ხარ?

დედაბერი — შეც ფანჯარასთანა ვარ!.. ჩემო ძვირფასო, მეშინია, ძალზე ბევრი ხალხი მოგროვდა... ერთმანეთისაგან ძალზე შორსა ვართ... ჩვენი ხნის ხალხს მეტი ყურადღება მართებს... შეიძლება ერთმანეთი დაჯკარგოთ... ერთმანეთთან ახლოს უნდა ვიყოთ, ღმერთმა იცის, რა მოხდება, ჩემო საყვარელო, ჩემო საყვარელო...

ბერიკაცი — აჰ, უკვე გხედავ... მონინებით მოიქცევიან ნუ გეშინია, მეგობრებთან ვართ. (მეგობრებს) რა კმაყოფილი ვარ, რომ ხელს გართმევთ... დიახ, დიახ, მე მჯერა პროგრესისა, მუდმივი შეჯახებისა, მაგრამ მაინც...

დედაბერი — აჰ, კარგად, გმადლობთ... რა ცუდი ამინდია! რა მშვენიერი ამინდია! (იქით) მაინც მეშინია... აქ რა ამინდია? (ყვირის) ჩემო საყვარელო! ჩემო საყვარელო!

(ლითონის თავისთვის ელაპარაკება სტუმრებს).

ბერიკაცი — ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია რომ შეესპოთ, საჭიროა ფული, ფული და კიდევ ფული!

დედაბერი — ჩემო საყვარელო! (მერე მეგობრებს მიუბრუნდება) დიახ, ჩემი ქმარი აქ არის, მან მოაწყო ეს ყველაფერი... ოხ, თქვენ იქ ვერ მიხვალთ, იქამდე რომ მიალწიოთ, ბევრი ხალხი უნდა გაიაროთ, იქ მეგობრებთანაა.

ბერიკაცი — სრულებითაც არა... ამას ყოველთვის ვაშობი... წმინდა ლოგიკაა. ასეთი რამ არ არსებობს... ეს იმიტომაცაა...

დედაბერი — გამიგონია, არსებობს ბედნიერი ხალხი, რომლებიც დილით თვით-მფრინავში საუზმობენ, შუადღისას მატარებელში სადილობენ, საღამოთი გემზე ვახშობენ, ღამით კი სძინავთ მანქანაში, რომელიც მიჰქრის, მიჰქრის, მიჰქრის...

ბერიკაცი — თქვენ ადამიანის ღირსებაზე ლაპარაკობთ? ვცადოთ, სულ ცოტა წინა მხარე მაინც გადავარჩინოთ. ღირსება მისი უკანა მხარეა მხოლოდ.

დედაბერი — სიბუნელში ნუ დაყიადობთ.

(დედაბერი სიცილს დაინწყებს, თან ლაპარაკობს).

ბერიკაცი — თქვენი თანამემამულეები ამასაც შეკითხებიან.

დედაბერი — ნამდვილად... მიამბეთ ყველაფერი.

ბერიკაცი — მე მოგიწვივთ, აგიხსნათ... ინდივიდი და პიროვნება, ეს არის ერთი და იგივე პიროვნება.

დედაბერი — მას ცბიერი სახე აქვს. ბევრი ფული მართებს ჩვენი.

ბერიკაცი — თვით მე არ ვიცი, ვინა ვარ. მე თვითონ ვილაცა ვარ, სულ სხვა, მე ერთი ვარ მეორეში.

დედაბერი — ჩემო ბავშუებო, გაუფრთხილდით ერთმანეთს.

ბერიკაცი -- ხანდახან სიჩუმეში მეღვიძება. ეს სფეროა, მას იქ არაფერი აკლია. და მაინც ყურადღებაა საჭირო. შეიძლება მისი ფორმა უეცრად გაქრეს. უამრავი ხვრელია, საიდანაც შეუძლია გაიპაროს.

დედაბერი — მოჩვენებები, აჩრდილები, სხვა არაფერი... ჩემი ქმარი ძალზე მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს.

ბერიკაცი — მომიტყევთ... ეს ჩემი აზრი სულაც არ არის!... ამ საკითხზე ჩემს აზრს თავის დროზე გაგაცნობთ... ახლა არაფერს არ ვიტყვი!.. ორატორს ველოდები, ის გეტყვით და ჩემს მაგივრად გიპასუხებთ ყველაფერზე, რაც კი გულში გაქვთ... ყველაფერს აგიხსნით... როდის?... როგორც კი მოვა... ჩქარა მოვა...

დედაბერი — (თავის მხრივ ელაპარაკება მეგობრებს) — რაც უფრო ადრე იქნება, მით უკეთესი... რასაკვირველია... (იქით) აღარ მიდიან, რომ დაეწყნარდეთ. ნასულიყვნენ მაინც!.. ჩემი საბრალო გვრიტი, ნეტავ სად არის, ვეღარც კი ვხედავ...

ბერიკაცი — ასე ნუ ჯავრობთ. თქვენ ჩემს ამბავს მალე გაიგებთ, ახლავე...

დედაბერი (იქით) — აჰ!.. მისი ხმა მესმის!.. (მეგობრებს) იცით, ჩემი მეუღლე ყოველთვის მიუწვდომელი იყო. ბოლოს და ბოლოს მისი დროც დადგა.

ბერიკაცი — მომისმინეთ. დიდი გამოცდილება მაქვს, ცხოვრების ყველა სფეროსა და აზროვნების ყველა სფეროში... ეგოისტი არა ვარ, და შეიძლება კაცობრიობამ აქედან სასარგებლო რამ გამოიტანოს.

დედაბერი — ააჰ, ფეხი ნუ დამადგით... მოყინული მაქვს!

ბერიკაცი — საბოლოოდ ყველაფერს ერთ სისტემად ვაწყობ. (იქით) ორატორი უკვე აქ უნდა იყოს. (ხმამალლა) ძალიან გავეწვალდი.

დედაბერი — ბევრი ვინვალეთ. (იქით) ორატორი აქ უნდა იყოს. თუმცა უკვე დროა...

ბერიკაცი — დიდი ცოდნა დიდი ტანჯვაა.

დედაბერი — (გამოძახილივით) — დიდი ცოდნა დიდი ტანჯვაა.

ბერიკაცი — თვითონ დარწმუნდებით, რომ ჩემი სისტემა უნაკლოა.

დედაბერი (გამოძახილივით) — თვითონ დარწმუნდებით, რომ მისი სისტემა უნაკლოა.

ბერიკაცი — თუკი ვინმე დაემორჩილება ჩემს ინსტრუქციებს.

დედაბერი (გამოძახილივით) — თუკი ვინმე დაემორჩილება მის ინსტრუქციებს.

ბერიკაცი — გადავარჩინოთ მსოფლიო!..

დედაბერი (გამოძახილივით) — მსოფლიოს გადარჩენით გადაირჩინეთ სული!..

ბერიკაცი — ყველასათვის ერთადერთი ჭეშმარიტება!

დედაბერი (გამოძახილივით) — ყველასათვის ერთადერთი ჭეშმარიტება!

ბერიკაცი — დამემორჩილეთი...

დედაბერი (გამოძახილივით) — დამემორჩილეთი...

ბერიკაცი — რადგან მე აბსოლუტური რწმენა მაქვს!

დედაბერი — მას აბსოლუტური რწმენა აქვს!

ბერიკაცი — არავითარ შემთხვევაში...

დედაბერი (გამოძახილივით) — არავითარ შემთხვევაში...

(უცხად კულისებიდან ხმაური და ფანფარების ხმა ისმის).

დედაბერი — რა ხდება?

(ხმაური ძლიერდება, მერე სიღრმეში დიდი კარი ხმაურით გაიღება და ღია კარიდან, ფანჯრებიდან სცენაზე კაშკაშა სინათლე შემოიჭრება: ვითომ იმპერატორი შემოდის, როცა შემოვა, სინათლე უფრო ძლიერად აკაშკაშდება).

ბერიკაცი — დაუჯერებელია... არა მჯერა... შეუძლებელია... დიახ, დიახ... დაუჯერებელია... ო, არა... დიახ... არა... დიახ... ეს იმპერატორია! (ღია კარიდან, ფანჯრებიდან შემოსული ცივი სინათლე უფრო ინტენსიური ხდება კვლავ. ხმაურია, მერე ხმაური უცებ მწყდება).

დედაბერი — ჩემო საყვარელო... ჩემო საყვარელო... ეს ვინ არის?

ბერიკაცი — აბრძანდით... ეს მისი უდიდებულესობა იმპერატორია! იმპერატორი ჩემთანაა, იმპერატორი ჩვენთანაა... სემირამიდა... გესმის, რა ხდება?

დედაბერი (ვერ მიმხვდარა) — იმპერატორი... იმპერატორი? ჩემო საყვარელო! (უცხად მიხვდება) აჰ, დიახ, იმპერატორი! მისი უდიდებულესობა! მისი უდიდებულესობა! (თავის დაკვრით და გროტესკული რევერანსებით) ჩვენთან, ჩვენთან არის!

ბერიკაცი (აღელვებული, ტირილით ლაპარაკობს) — უდიდებულესობა!.. ოჰ, მისი უდიდებულესობა!.. ჩემი პატარა, ჩემი დიდებული უდიდებულესობა!.. ოჰ, რა ამაღელვებელი პატივია... საკვირველი სიზმარია...

დედაბერი (გამოძახილივით) — საკვირველი სიზმარი... საკვირველი...

ბერიკაცი (ურჩინარ ხალხს) — ქალბატონებო და ბატონებო, წამოდექით, ჩვენი საყვარელი სუვერენი, იმპერატორი ჩვენი, ჩვენ შორისაა! ვაჰა! ვაჰა!

(ბერიკაცი ტაბურეტზე აძვრება, ფეხის წვერებზე აიწევა, რომ იმპერატორი დაინახოს, დედაბერიც იგივეს იმეორებს).

დედაბერი — ვაჰა! ვაჰა!

(ფეხებს აბაკუნებს თან).

ბერიკაცი — თქვენო უდიდებულესობაჲ, აქა ვარ! თქვენო უდიდებულესობაჲ, გესმით ჩემი? მხედავთ? უთხარით მის უდიდებულესობას, რომ აქა ვარ! თქვენო უდიდებულესობაჲ! თქვენო უდიდებულესობაჲ!!! აქა ვარ, თქვენი ყველაზე ერთგული მსახური...

დედაბერი (გამოძახილივით) — თქვენი ყველაზე ერთგული მსახური, თქვენო უდიდებულესობაჲ!

ბერიკაცი — თქვენი მსახური, თქვენი მონა, თქვენი ძალღი, უუუ, აუ, თქვენი ძალღი, თქვენო უდიდებულესობაჲ...

დედაბერი (ძალღივით: აღავლავდება და აყეფდება) — აუ... აუ... აუ...

ბერიკაცი (ხელებს იმტყრევს) — მხედავთ? მიპასუხეთ... აჰ, მე თქვენ გხედავთ, დავინახე თქვენი უდიდებულესობის უავგუსტესი სახება... თქვენი ღვთაებრივი შუბლი... დიახ, მე დავინახე, მიუხედავად მლიქვნელთა მესერისა...

დედაბერი — მიუხედავად მლიქვნელთა... ჩვენ აქა ვართ, თქვენო უდიდებულესობაჲ...

ბერიკაცი — თქვენო უდიდებულესობაჲ! თქვენო უდიდებულესობაჲ! ქალბატონებო და ბატონებო, მისი უდიდებულესობა ფეხზე დგას... ხედავთ, თქვენო უდიდებულესობაჲ, მე მართლაც ერთადერთი კაცი ვარ, თქვენზე რომ ვზრუნავ, თქვენს ჯანმრთელობაზე, თქვენს ქვეშევრდომებს შორის ყველაზე ერთგული მე ვარ...

დედაბერი (გამოძახილივით) — ყველაზე ერთგული ქვეშევრდომები, თქვენო უდიდებულესობაჲ!

ბერიკაცი — ბოლოს და ბოლოს გამატარეთ, ქალბატონებო და ბატონებო... როგორ გავიკვლიო გზა ამ ქაოსში... მე უნდა მასთან მივიდე და ნარკოტიკი, უნდა გამოვუცხადო ჩემი მოკრძალებული პატივისცემა მის უდიდებულესობა იმპერატორს... გამატარეთ...

დედაბერი (გამოძახილივით) — გაატარეთ... გაატარეთ... აატარეთ... ტარეთ...

ბერიკაცი — გამატარეთ, ბოლოს და ბოლოს გამატარეთ (სასონარკვეთელი) აჰ, ოდესმე კი მივალწევ მასთან?

დედაბერი (გამოძახილივით) — მასთან... მასთან...

ბერიკაცი — ჩემი გული, მთელი ჩემი არსება მის ფერხითაა დამზობილი. შლიქ-ვნელთა ბრბო აკრავს გარს! არ უნდათ მასთან მივიდეთ... ისინი ყველაზე უჭკობუნ... ოჰ, მესმის, მესმის... სასახლის კარის ინტრიგები, ასეთებიც გვემენია... *ტქვენცასმ* ჩემსა გამოშორება სურთ, თქვენო უდიდებულესობავ!

დედაბერი — დამშვიდდი, გენაცვალე... მისი უდიდებულესობა გხედავს... მისმა უდიდებულესობამ ამ წუთში თვალი ჩამიკრა, მისი უდიდებულესობა ჩვენს მხარესაა...

ბერიკაცი — იმპერატორს ყველაზე საუკეთესო ადგილი დაუთმონ, ესტრადასთან ახლოს... ყველაფერი რომ გაიგოს, რასაც ორატორი იტყვის.

დედაბერი (ტაბურეტზე შემდგარი ცერებზე აინევა, ნიკაპს რაც შეუძლია მაღლა ასწევს, უკეთ რომ დაინახოს) — იმპერატორს გარს შემორტყმიან.

ბერიკაცი — მადლობა უფალს! (იმპერატორს) სირ, თქვენი უდიდებულესობა მას უნდა ენდოს, იგი ჩემი მეგობარია და თქვენთან ჩემი წარმომადგენელი. (თითის წვერებზე ანუული) ბატონებო, ქალბატონებო, ქალიშვილებო, ჩემო პატარა ბავშვებო, გემუდარებით...

დედაბერი (გამოძახილივით) — ...მუდარებით... მუდარებით...

ბერიკაცი — ...მინდა დაეინახოს... განზე გაინიეთ... მე მინდა... მისი უდიდებულესობის ზედთაებრივი, პატივცემული სახის, გვირგვინის, შარავანდედის დანახვა... ბატონო იმპერატორო, ღირსმყავით და მოაბრუნეთ თქვენი ამაყი სახე ჩემკენ, თქვენი უერთგულესი მსახურის მხარეს... დიახ, უერთგულესი... ოჰ, ამჯერად გარკვევით ვხედავ... ვხედავ...

დედაბერი (გამოძახილივით) — ამჯერად იგი ხედავს... ხედავს... ედავს... ედავს...

ბერიკაცი — მე სიხარულის მწვერვალზე ვარ, სიტყვები არ მყოფნის ყველაფრის გამოსახატავად... ჩემს უბრალო ბინაში, ოჰ, მისი უდიდებულესობა! ოჰ, მზე!.. აქ... აქ... იმ ბინაში, სადაც მე ვარ; მართალია, მარშალი... მაგრამ თქვენი არმიის იერარქიაში მხოლოდ უბრალო უნტეროფიცერი...

დედაბერი (გამოძახილივით) — უნტეროფიცერი...

ბერიკაცი — მე ვამაყობ ამით... სიამაყე და ერთგულება, ერთდროულად... როგორც საჭიროა... ცხადია, მე მარშალი ვარ, იმპერატორის სასახლის კარზეც შემქმლო ყოფნა. მე მხოლოდ პატარა სასახლის კარს განვაგებ... თქვენო უდიდებულესობავ... მე... თქვენო უდიდებულესობავ, კარგად ვერ ვთქვი... შემქმლო მქონოდა... ბევრი რამ... რომ მცოდნოდა, რომ მდომებოდა, რომ მე... რომ ჩვენ... თქვენო უდიდებულესობავ, მომიტევეთ ემოციები...

დედაბერი — მესამე პირი!

ბერიკაცი (წუნუნით) — როცა თქვენი უდიდებულესობა ინებებს და მომიტევებს! თქვენ ხომ უკვე აქა ბრძანდებით... აღარც კი გელოდნენ... შეიძლება აქ აღარ დაგხვედროდნენ... ოჰ, ჩემი სიცოცხლის მხსნელო, მე მუდამ უერთგულესი ვიყავი თქვენი...

დედაბერი (გამოძახილივით, ქეითინით) — უერთგულესი... გულესი... ლესი...

ბერიკაცი — ბევრი ვიტანჯე ცხოვრებაში... რალაცისთვის შეიძლება მეც მიმელნია, თქვენი მხარდაჭერის იმედი რომ მქონოდა. ხელის შემშველბელი არავინ მყავდა... თქვენ რომ არ მოსულიყავით, ყველაფერი უკვე გვიანი იქნებოდა... სირ, თქვენ ჩემი უკანასკნელი თავშესაფარი ბრძანდებით...

დედაბერი (გამოძახილივით) — უკანასკნელი თავშესაფარი... სირ... უკანასკნელი... თავშესაფარი... კნელი... თავშესაფარი...

ბერიკაცი — ჩემი მეგობრებისთვის უბედურება მომაქვს, ყველასათვის, ვინც კი მეხმარება... ელევა და მეხი ატყდებოდა ჩემს დასახმარებლად გამონვდილ ხელს...

დედაბერი (გამოძახილივით) — ...ხელები, რომელიც გამოინვედა. გამოინვედა... და...

ბერიკაცი — ჩემი სიძულვილისთვის ყოველთვის საკმაო საფუძველი მქონდათ, ჩემს შესაყვარებლად კი აურაცხელი მიზეზები...

დედაბერი — ეს ტყუილია, ჩემო საყვარელო, ტყუილი. მე ხომ მიყვარხარ, მე ხომ შენი პატარა დედა ვარ...

ბერიკაცი — ყველა ჩემმა მტერმა ჯილდო მიიღო, ჩემი მეგობრები ჩემი გამცემნი აღმოჩნდნენ.

დედაბერი (გამოძახილივით) — მეგობრები... გამცემნი... გამცემნი...

ბერიკატი — ბევრი ცუდი გამოკეთეს. შემაინროვეს. ვჩიოდი იმაზე, ვისაც ყოველ-
თვის ამართლებდნენ. ვცდილობდი ხანდახან სამაგიერო გადამეხადა, მაგრამ სამაგიეროს
გადახდა არასოდეს შემეძლო, არასოდეს... შემბრალე გულისა ვიყავი... არ მინდოდა მტერი
მინაზე დამენარცხებინა, მე ყოველთვის მეტიმეტად კარგი ვიყავი.

დედაბერი (გამოძახილივით) — იგი მეტიმეტად კარგი იყო, კარგი, კარგი, კარგი,
კარგი...

ბერიკატი — საკუთარმა ღმობიერებამ მე თვითონ დამამარცხა...
დედაბერი (გამოძახილივით) — საკუთარმა ღმობიერებამ... ღმობიერებამ... იყ-
რება...

ბერიკატი — მაგრამ მათ შებრალეებისა არაფერი გაეგებათ. გესლიანი სიტყვებით
ვიჩხელიტებოდი, ჯოსს მირტყამდნენ, დანას მიყრიდნენ, ზარბაზანს მესროდნენ, ძვლებს
მიმსხვრევდნენ...

დედაბერი (გამოძახილივით) — ძვლები... ძვლები... ძვლები...

ბერიკატი — დაიკავეს ჩემი ადგილი, გამქურდეს, მომკლეს... უბედურების კოლექ-
ციონერი გავხდი...

დედაბერი (გამოძახილივით) — გავხდი... გავხდი... გავხდი...

ბერიკატი — ყველაფერი რომ დამევიწყებინა, თქვენო უდიდებულესობაჲ, სპორტს
მინდოდა გავყოლოდი... ალპინიზმს... ფეხი დამიდეს, რომ უფსკრულში გადავჩხილიყავი...
კიბზე მინდოდა ავსულიყავი, მათ კი საფეხურები დაალებეს... და კიბე ფეხქვეშ ჩამექცა...
მოგზაურობა მსურდა, პასპორტის გაცემაზე უარი მითხრეს... მდინარის მეორე მხარეზე
მინდოდა გადავსულიყავი და ხიდები ჩამინგრეეს...

დედაბერი (გამოძახილივით) — ჩანგრეული ხიდები.

ბერიკატი — პირენები მინდოდა გადამელახა, პირენებიც სადღაც გააქრეს.

დედაბერი (გამოძახილივით) — პირენები გააქრეს... სხვებით მასაც შეეძლო ყო-
ფილიყო, თქვენო უდიდებულესობაჲ, მთავარი რედაქტორი, მსახიობთა წინამძღოლი, მთა-
ვარი ექიმი, უდიდებულესობა, მთავარი მეფე...

ბერიკატი — მეორეს მხრივ კი, მათ არასოდეს არ სურდათ ჩემთვის ანგარიში გაე-
წიათ... ჩემთვის არასოდეს გამოუგზავნიათ მოსაწვევი ბარათი... თუმცა თქვენთან ვალია-
რებ მხოლოდ, რომ მარტო მე, მარტო მე შემეძლო კაცობრიობა გადამერჩინა, კაცობრიო-
ბა ძალიან ავადაა. თქვენი უდიდებულესობაც ხომ ჩემსავით ფიქრობს... ან იქნებ უფრო
სხვანაირად. შემთხვევა რომ მომცემოდა, შემეძლო სამყარო გამეთავისუფლებინა იმ ბო-
როტებისაგან, ამდენს რომ იტანჯება ამ საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში. მისი გადარ-
ჩენის იმედს არ ვკარგავ, ჯერ კიდევ დროა, მე გეგმაც მაქვს... მაგრამ ვაგლახ, რომ ჩემს
აზრებს ძნელად გამოვხატავ...

დედაბერი (უჩინარ თავებს ზემოდან) — ორატორი მოვა, იგი შენზე ილაპარაკებს.
მისი უდიდებულესობა აქაა. მეტს ნულარ იღელვებ, ისინი ორატორს მოუსმენენ. ყველა კო-
ნირი შენს ხელთაა, მდგომარეობა შეიცვალა, შეიცვალა...

ბერიკატი — თქვენი უდიდებულესობა მომიტყეებს... მას სხვაც ბევრი აქვს საზრუ-
ნავი... დამცირებული ვიყავი... ქალბატონებო და ბატონებო, მიდექით ცოტათი, მთლიანად
ნუ დაფარავთ მისი უდიდებულესობის ცხვირს, საიმპერატორო გვირგვინის აღმასების ცი-
ალსაც მინდა ვუცქირო... რაკი თქვენმა უდიდებულესობამ ჩემი ლატაკი სახლის ჭერქვეშ
ყოფნა იკადრა, ეს კარგი ნიშანია. ეტყობა, იგი თანახმაა ჩემს უბადრუკ პიროვნებას ანგა-
რიში გაუნოს. რა არაჩვეულებრივი კომპენსაციაა, თქვენო უდიდებულესობაჲ! თუ მე ფი-
ზიკურად თითის წვერებზე ვდგავარ, ეს სიამაყით კი არ მომდის, პირიქით, მინდა მხოლოდ
დავინახოთ... მორალურად კი მე თქვენს მუხლებს ვხედავ...

დედაბერი (ქვითინით) — თქვენს მუხლებს, სირ, თქვენს მუხლებს ვხედავ, თქვენს
ფეხებს, თქვენი ფეხის თითებს...

ბერიკატი — ქეცი მჭირდა. პატრონმა კარში გამომაგდო, ჩემს პატარასა და ჩემს
ცხენს პატივისცემით არ ექცევით. პანლურიც მივიღე, მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა
არა აქვს... რაკი... რაკი. სირ, თქვენო უდიდებულესობაჲ... მიყურეთ... მე აქა ვარ... აქა...

დედაბერი (გამოძახილივით) — აქ... აქ... აქ... აქ... აქ... აქ...

ბერიკატი — რაკი თქვენი უდიდებულესობა აქაა... რაკი თქვენი უდიდებულესობა
ყურად იღებს ჩემს ამბავს... მაგრამ ორატორი ნეტავ სადაა აქამდე? მის უდიდებულესობას
ალოდინებს...

დედაბერი — მისი უდიდებულესობა მიუტყეებს, უნდა მოვიდეს, ერთ ნაშში აქ იქნება, შეგვატყობინებს.

ბერიკაცი — მისი უდიდებულესობა ძალიან კეთილია. მისი უდიდებულესობა ისე არ ნავეა, რომ ყველაფერი არ მოისმინოს, ყველაფერი არ გაიგოს.

დედაბერი (გამოძახილივით) — ყველაფერი გაიგოს... გაიგოს... ყველაფერი მოისმინოს...

ბერიკაცი — ორატორი ჩემი სახელით ილაპარაკებს... მე, მე არ შემიძლია... ნიჭი არა მაქვს... მას კი ყველა ქალაქი და ყველა საბუთი ხელთა აქვს...

დედაბერი (გამოძახილივით) — მას ყველა საბუთი ხელთა აქვს...

ბერიკაცი — ცოტა მოითმინეთ, სირ, გთხოვთ... უნდა მოვიდეს.

დედაბერი — ამ წუთში უნდა მოვიდეს.

ბერიკაცი (იმპერატორი რომ მოთმინებიდან არ გამოვიდეს) — თქვენო უდიდებულესობავ, მისმინეთ, დიდი ხნის წინათ მამხილეს... ორმოცი წლისა ვიქნებოდი... ამას თქვენ გასაგებადაც ვაშობ, ქალბატონებო და ბატონებო... ერთ საღამოს, ნასადილევს, ჩვეულებისამებრ, ძილის წინ, მამაჩემის მუხლებზე ვიჯექი... იმის უღვაშზე დიდი უღვაში მქონდა... გულმკერდი კი უფრო ჯავრიანი... მე თმა უკვე გაჭალარავებული მქონდა, მისას კი ჭალარაც არ გაჰკარებოდა... სტუმრები გვყავდნენ, დიდი პიროვნებები, მაგიდასთან ისხდნენ და სიცილით იხოცებოდნენ.

დედაბერი (გამოძახილივით) — სიცილი... სიცილი...

ბერიკაცი — მე მათ ვუთხარი, რომ სულაც არ ვხუმრობდი და მამაჩემი ძალიან მიყვარდა. მათ კი მიჰასუხეს: შუალამეა და ბავშვს ამ დროს არ უნდა ეღვიძოსო. და თუ არ დაიძინებთ, პატარა ბიჭიც აღარ იქნებითო. მე მაინც არ გაუუგონებდი, „თქვენობით“ რომ არ მოემართათ.

დედაბერი (გამოძახილივით) — „თქვენ“.

ბერიკაცი — შენის მაგიურად.

დედაბერი (გამოძახილივით) — შენ...

ბერიკაცი — მე შეგონა, რაკი ცოლი არ მყავდა, ჯერ ისევ ბავშვი ვიყავი, მაშინვე დამაქორწინეს, ისე რომ წინააღმდეგობაც არ გამინუვია... საბედნიეროდ, ჩემმა ცოლმა მამობაც გამინია და დედობაც...

დედაბერი — ორატორი უნდა მოვიდეს, უდიდებულესობავ...

ბერიკაცი — ორატორი მოვა.

დედაბერი — მოვა.

ბერიკაცი — მოვა.

დედაბერი — მოვა.

ბერიკაცი — მოვა.

დედაბერი — მოვა.

ბერიკაცი — მოვა, მოვა.

დედაბერი — მოვა, მოვა.

ბერიკაცი — მოვა.

დედაბერი — მოდის.

ბერიკაცი — მოდის.

დედაბერი — მოდის, აქ არის.

ბერიკაცი — მოდის, აქ არის.

დედაბერი — მოდის აქ არის.

ბერიკაცი და დედაბერი — აქ არის...

დედაბერი — აგერი... (სიჩუმე. ცოველგვარი მოქრაობა წყდება. გაქვავებული ბებრების მზერა მიყვინება № 5 კარს. სცენაზე სიჩუმე დაახლოებით ნახევარ წუთს გრძელდება მერე ძალიან ნელა, ძალიან წყნარად იღება კარი და გამოჩნდება ორატორი: ეს უკვე ნამდვილი პერსონაჟია. იგი ბოლო საუკუნის მხატვრისა თუ პოეტის ტიპია: ფართოფარფლებიანი ფეტრის ქურდი ახურავს, ბანტიანი ყელსახვევი უკეთია, ფრენჩი აცვია, უღვაში, პატარა ხვერი, კომუდიანტის შეხედულება და მედიდური სახე აქვს. თუ უჩინარი პერსონაჟები უფ-

რო რეალური ჩანან, ე. ი. შეძლებისდაგვარად რეალური, ორატორი უნდა ირეალურის შთაბეჭდილებას ტოვებდეს. მარჯვენა კედლის ძირს ისე გაუყვება, თითქოს მარჯვენა, წყნარად მივა შუამდევ და დიდი კარის წინ შეჩერდება. თავს არც მარცხნივ აბრუნებს და არც მარჯვნივ. დედაბრის ახლოს ისე გაივლის, თითქოს ვერც კი ამჩნევსო. დედაბერი მკლაფზე მოკიდებს ხელს, თითქოს უნდა დარწმუნდეს, ორატორი მართლაც, ~~კრწეთის~~ ~~ქვეყნის~~ ქვეყნის სონაფია თუ უჩინარიო, თან იტყვის): აი!

ბ ი რ ი კ ა ს ი

ბერიკასი — აი!

დედაბერი (ორატორს თვალს გააყოლებს და შემდეგშიაც თვალს არ აშორებს) — მართლა ისაა, ცოცხალია, ძვალის ეტყობა და ხორციც.

ბერიკასი (თვალს ადევნებს) — ის ყოფილა. ნამდვილად ისაა. ეს სიზმარი აღარ არის!

დედაბერი — ეს სიზმარი არ არის, აკი გითხარი.

(ბერიკასი გულზე ხელებს დაიკრეფს, ცისკენ თვალს ალაპყრობს და გაირინდება. სიღრმეში შემოსული ორატორი ქუდს მოიხდის, ერთბაშად მუშკეტერივით ესალმება და თავიანს სცემს იმპერატორს).

ბერიკასი — თქვენო უდიდებულესობავ... მე თქვენ ორატორს წარმოადგიდგენთ...

დედაბერი — ეს არის ორატორი!

(მერე ორატორი ქუდს იხურავს და ესტრადაზე ადის, საიდანაც უჩინარ საზოგადოებას, სკამებს დაჰყურებს. იგი საზეიმო პოზაშია გაშეშებული).

ბერიკასი (უჩინარ საზოგადოებას) — შეგიძლიათ ავტოგრაფი სთხოვოთ. (ავტომატურად, წელს არიგებს ურიცხვ ავტოგრაფს. ბერიკასი კვლავ ცისკენ ალაპყრობს თვალს, ხელებს შეაერთებს და საზეიმოდ აცხადებს): არც უკან ადამიანს თავის სიცოცხლეში მეტის იმედი არ უნდა ჰქონდეს...

დედაბერი (გამოძახილივით) — არც ერთ ადამიანს თავის სიცოცხლეში მეტის იმედი არ უნდა ჰქონდეს...

ბერიკასი (უჩინარ ბრბოს) — ახლა კი, თქვენი უდიდებულესობის ნებართვით, მოგმართავთ ყველას. ქალბატონებო და ბატონებო, ქალიშვილებო, ჩემო პატარა შვილებო, ძვირფასო თანამემამულენო, ძვირფასო მოძმენო, ბატონო პრეზიდენტო, ჩემო ძვირფასო თანამებრძოლებო...

დედაბერი (გამოძახილივით) — ჩემო პატარა შვილებო... ლებო... ლებო...

ბერიკასი — მოგმართავთ ყველას, განურჩევლად ასაკისა, სქესისა, მოქალაქეობისა, სოციალური მდგომარეობისა, საქმიანობისა, რათა მთელი გულით მადლობა გადაგიხადოთ.

დედაბერი (გამოძახილივით) — მადლობა გადაგიხადოთ...

ბერიკასი — ამგვარად, ორატორი... კეთილი გულით მოსული ასე მრავალრიცხოვანი... სიწყნარე, ბატონებო!..

დედაბერი (გამოძახილივით) — ...სიწყნარე, ბატონებო...

ბერიკასი — მადლობით მივმართავ ყველას, ეინც პატივი დამდო და შეძლო ამ საღამოს აქ მოსულიყო: ორგანიზატორებს...

დედაბერი — ბრავო!

(ამ დროს ესტრადაზე მდგარი ორატორი საზეიმოდ სახეგაქვავებული მხოლოდ ხელს ამოძრავებს და ავტომატურად არიგებს ავტოგრაფებს).

ბერიკასი — იმ უძრავი ქონების შეპატრონეთ, არქიტექტორებს, კალატონებს, რომელთაც ძალიან სურდათ აღემართათ ეს კედლები!..

დედაბერი (გამოძახილივით) — ...კედლები...

ბერიკასი — მათ, ეინც საძირკველი გაჭრა... სიჩუმე... ბატონებო და ქალბატონებო...

დედაბერი (გამოძახილივით) — ...ონებო და ქალბატონებო...

ბერიკასი — არ მაფინყდება და ყველაზე დიდი მადლიერებით მივმართავ დურგლებს, რომლებმაც ეს სკამები გამოთალეს და რომლებზეც თქვენ შეგიძლიათ დაბრძანდეთ, იმ მარჯვე ნელოსნებს...

დედაბერი (გამოძახილივით) — ...მარჯვენა...

ბერიკასი — ...რომელმაც გააკეთა სავარძელი, თქვენი უდიდებულესობა რომაა რბილად ჩაფლული, რათა შეინარჩუნოთ თქვენი ნათელი გონება... მადლობა აგრეთვე ყველა ტექნიკოსს, შემანქანეს, ელექტროტექნიკოსებს...

დედაბერი (გამოძახილივით) — ...კოსებს... კოსებს...

ბერიკატი — ...ქალაქის დაშლა და მბეჭდავებს, კორექტორებს, რედაქტორებს, ვინც ასე ლაშაზად გაგვიფორმა პროგრამები. მთელ ხალხს მადლობა უნივერსალური სოლიდარობისათვის, მადლობა ჩვენს ქვეყანას, სახელმწიფოს (იგი იმ მხარეს მიბრუნდება, სადაც იმპერატორი ეგულება), რომელსაც თქვენი უდიდებულესობა მართავს პატარა გემის ნამდვილი კაპიტანივით... მადლობა მებრძოლ ქალს...

დედაბერი (გამოძახილივით) — მებრძოლ ქალს... ბედნიერი ქალი...

ბერიკატი (უთითებს დედაბერზე) — შოკოლადიანი ნაყინისა და პროგრამების გამყიდველს...

დედაბერი (გამოძახილივით) — გრამების...

ბერიკატი — ჩემს მეუღლეს, ჩემს თანამგზავრს... სემირამიდას!

დედაბერი (გამოძახილივით) უღელს... გზავრს... მიდას... (იქით) ჩემო სულიკო, არასოდეს გავეწყდები.

ბერიკატი — მადლობა ყველას, ვინც დამეხმარა ფინანსურად თუ მორალურად, რომლებმაც საღამოს საზეიმო ხარჯებისათვის ტოტალური თანხა გაიღეს... კიდევ დიდი მადლობა და მადლობა. განსაკუთრებით ჩვენს საყვარელ სუვერენს, მის უდიდებულესობა იმპერატორს...

დედაბერი (გამოძახილივით) — ბულესობა იმპერატორს...

ბერიკატი — თქვენო უდიდებულესობავ, ჩემს მეუღლეს და მე მეტი აღარაფერი გვინდა ცხოვრებაში. ჩვენი არსებობა ამ აპოთეოზში შეიძლება შეწყდეს... მალაღ ზეცას, რომელმაც ჩვენ გვინყალობა ასეთი ხანგრძლივი და მშვიდი წლები... ცხოვრება შეივსო... ჩემი მისია დამთავრდა. ამოდ არ დაუბადებულვარ, რადგან ჩემი ცხოვრება მხილება მთელი მსოფლიოსი... (მოძრაობა ორატორისაკენ, რომელიც ვერაფერს შეამჩნევს. ეს უკანასკნელი ღირსეულად და მტკიცედ იგერიებს ავტოგრაფების მთხოვნელთა ხელებს) ქვეყანას, უფრო სწორედ იმას, რაც ქვეყნისგან დარჩა! (მოძრაობა უჩინარი ხალხისაკენ) თქვენ, ბატონებო და ქალბატონებო, ძვირფასო მეგობრებო, რომლებიც კაცობრიობის ნარჩენები ხართ, მაგრამ ისეთი ნარჩენები, რომლისგანაც კიდევ შეიძლება გაკეთდეს კარგი სუპი... მეგობარო ორატორო... (ორატორი სხვა მხარეს იყურება). თუ მე დიდი ხნის განმავლობაში დაუფასებელი ვიყავი, უგულველყოფილი ჩემი თანამედროვეების მიერ, ეს კვლავ ასევე იქნება... (დედაბერი აქვითინდება). მაგრამ ახლა ამას მნიშვნელობა აღარ აქვს. რადგან მე გიტოვებთ ჩემს ძვირფას ორატორს და მეგობარს. (ორატორი ახალ მთხოვნელს მიუგდებს ავტოგრაფს, შემდეგ გულგრილად იყურება აქეთ-იქით)... ზრუნვა შარავანდედით მოსილ შთამომავლობაზე, ჩემი გონების ნაჭულზე... ბოლოს და ბოლოს გააცანით ქვეყანას ჩემი ფილოსოფია. არ გამოტოვოთ არც ერთი დეტალი, არც სასაცილო, არც სამწუხარო, არც თანაგრძნობას მოკლებული ჩემი პირადი ცხოვრება, არც ჩემი გეგმონება, არც ჩემი სასაცილო ღორმუცელობა... თქვით ყველაფერი... ილაპარაკეთ ჩემს ცოლზე... (დედაბერი უმატებს ტირილს) ...იმაზე, თუ რა საუცხოოდ ამზადებს თურქულ ღვეზლებს, წერილად დაკეპილ კურდღელს, ხორცს ნორმანდიულად... ილაპარაკეთ ბერიზე — ჩემს მშობლიურ ქვეყანაზე... თქვენი იმედი მაქვს, დიდო ოსტატიო და ორატორო... რაც შეგვეხება მე და ჩემს ერთგულ ცოლს — ჩვენ მრავალი წელი კაცობრიობის პროგრესისათვის მებრძოლი ჯარისკაცები ვიყავით — მეტი აღარაფერი დაგვრჩენია გარდა იმისა, რომ განემართოვდეთ. ჩვენ ახლავთ გავიღებთ უკანასკნელ მსხვერპლს, რასაც ჩვენგან კაციშვილი არ მოითხოვს, მაგრამ რასაც მაინც აღვასრულებთ...

დედაბერი (ქვითინით) — დიახ, დიახ, მოვკვდეთ დიდებით ალესილნი!.. ისე მოვკვდეთ, რომ ლეგენდად დავრჩეთ... სულ მცირე, ჩვენ, ჩვენი სახელწოდების ქუჩა მაინც გვქონდეს...

ბერიკატი (დედაბერს) — ო, შენ, ჩემო ერთგულო მეუღლე!... შენ, რომელსაც ჩემი ურყევად გჯეროდა ერთი საუკუნის მანძილზე და არასოდეს მიგიტოვებია, არასოდეს... ვაი, რომ დღეს ამ უკანასკნელ ნუთებში, ეს ბრბო უმოწყალოდ დაგვაშორებს...

და მაინც ვისურვებდი
იმევე ტყავში
იმევე საფლავში
ჩვენს ძვლებს
დაესვენა.

იმავე ძელებით
ნაკვები
ჩვენი ბებერი
ლუში
ერთად დამპალიყო.



ქართული
წიგლისათვის

დედაბერი — ერთად დამპალიყო...

ბერიკაცი — ვაი!.. ვაი!..

დედაბერი — ვაი!.. ვაი!..

ბერიკაცი — ...ჩვენს ცხედრებს სხვა დანარჩენთა გვერდით დამარხავენ; ჩვენ
წყალმცენარეებით მარტობაში დავლუებით... მაგრამ თავი არ გვებრალება.

დედაბერი — რაც მოსახდენია, მოხდეს!..

ბერიკაცი — ჩვენ არ დაგვიფინყებენ. უკვდავი იმპერატორი მუდამ მოგვიგონებს.

დედაბერი (გამოძახილივით) — მუდამ.

ბერიკაცი — ჩვენ კვალს დავტოვებთ, რადგან ჩვენ პიროვნებები ვართ და არა
ქალაქები.

ბერიკაცი და **დედაბერი** (ერთად) — ჩვენი სახელობის ქუჩა გვექნება!

ბერიკაცი — თუ ველარ შევძლებთ სიურცეში ყოფნას, მაშინ ერთად ვიყოთ დროში
და მარადისობაში, როგორც ვიყავით უბედურობაში და მოკვდეთ იმავე წუთში... (ორა-
ტორს, რომელიც გულცივად და უმოძრაოდ დგას) უკანასკნელად, მე შენ გენდობი... შენი
იმედი მაქვს... შენ ყველაფერს იტყვი... ანდერძის ამბავს... (იმპერატორს) თქვენი უდიდე-
ბუღესობა მოგვიტევენ... მშვიდობით, ყველას გემშვიდობებით. მშვიდობით, სემირამიდა.

დედაბერი — მშვიდობით, ყველას გემშვიდობებით!.. მშვიდობით, ჩემო საყვარელო!

ბერიკაცი — გაუმარჯოს იმპერატორს!

(ბერიკაცი უჩინარ იმპერატორს კანფეტებსა და სერპანტინებს ესვრის. ისმის ფანფარ-
ების ხმა. კაშკაშა სინათლეა, თითქოს მაშხალებს ანათებენო).

დედაბერი — გაუმარჯოს იმპერატორს!

(ისიც კანფეტებსა და სერპანტინებს ისვრის იმპერატორისაკენ, მერე ორატორისაკენ და
ცარიელი სკამებისაკენ).

ბერიკაცი (იგივე შესტი) — გაუმარჯოს იმპერატორს!

დედაბერი — (იგივე შესტი) — გაუმარჯოს იმპერატორს!

ბერიკაცი და **დედაბერი** (ერთსა და იმავე დროს თითოეული თავისი ფანჯრიდან
გადახტება ყვირილით: „გაუმარჯოს იმპერატორს!“ უცერად სიჩუმე ჩამოვარდება. შემდეგ
შუშხუნები აკაშკაშდება, სცენის ორივე მხრიდან გაისმის „აჰ“ და წყალში ჩავარდნილი
სხეულების დგაფუნის ფანჯრებიდან და დიდი კარიდან შემოსული კაშკაშა სინათლე ქრება.
რჩება მხოლოდ ადრინდელივით სუსტი სინათლე. ჩაბნელებული ფანჯრები ღია დარჩება.
ფარდებს კი ქარი აქეთ-იქით აფრიალებს).

ორატორი (რომელიც უგრძნობი და უძრავი იყო მოხუცების თვითმკვლელობის
დროს, რამდენიმე წუთის შემდეგ ლაპარაკის დაწყებას გადაწყვეტს და ცარიელი სკამები-
საკენ შემობრუნდება. საჭიროა უჩინარი საზოგადოება მიხედეს, რომ ყრუ-მუნჯია, რაც
ყრუ-მუნჯთათვის ჩვეული ნიშნებით უნდა გამოიხატოს. იგი სასონარკვეთით ცდილობს
რაიმე გაუგონ. მერე გაისმის მუნჯის ხიხინი, კვნესა და აღმოხდომილი ბგერები — ე, მმე,
მმ, მმ).

მმე, მმმე, მმმმე, მმმე...

(მერე უმნეოდ ჩამოუშვებს ხელებს. უცებ სახე გაუბრწყინდება, თავში რაღაცა აზრი
მოუვა, მიბრუნდება დაფისაკენ, ჯიბიდან ცარცს ამოიღებს და მსხვილი ასოებით
სწერს:

„ანჟეპაინ“.

შემდეგ:

ნნა ნნუ ნუნუნე ვ

მერე უჩინარ საზოგადოებას მიუბრუნდება და თითოთ აჩვენებს დაფაზე დაწერილს).

ორატორი (მერე ნანერს უკმაყოფილოდ, სწრაფად წაშლის და ისევ დიდი ასოებით
წერს:

ლხვიდოვით, ლხვიდოვით, ლალ.



კვლავ დარბაზისკენ შებრუნდება. ილიძეა. ისეთი სახე აქვს, თითქოს უნდა გაერკვეს, გამიგეს თუ არაო, და თითქოს რაღაცის თქმაც სურს. დაფაზე დაწერეს ცარიელ სკამებს უჩვენებს, ერთი ნუთით კმაყოფილი, მოზეიმე სახით უძრავად დგას. მერე იმედი და ღიმილი ნელ-ნელა უქრება, სახე მოედრებლდება. ცოტა ხანს კიდევ ელოდება. ერთბაშად გაბრაზებული თავს დაუკრავს საზოგადოებას და ესტრადიდან ჩამოდის. დიდი საპარადო კარისაკენ გაემართება, როგორც აჩრდილი. გასულის წინ კვლავ ცერემონიულად თავს უკრავს ცარიელ სკამებს და იმპერატორს. სცენა ცარიელდება, სკამები, ესტრადა, პარკეტი, სერპანტინებითა და კანფეტებითაა დაფარული. კარი ფართოდაა გაღებული და სიბნელე მოჩანს.

და უჩინარი ხალხი მხოლოდ ახალაა ახმაურდება, გაისმის სიცილი, ჩურჩული, ბუტბუტი, ირონიული ხველა. ხმაური თავიდან სუსტია, მერე თანდათან ძლიერდება. მერე კვლავ მისუსტდება. ეს ყველაფერი საკმაოდ დიდხანს უნდა გაგრძელდეს, რათა ნამდვილ მაყურებელს ეს სცენა ღრმად აღებეჭდოს გონებაში.

ფარდა ძალიან ნელა დაეშვება).

ფარდა

აპრილი-ივნისი 1951 წ.





საქართველოს
წიგნების კავშირი

მოთხრობა

ინგლისურიდან თარგმნა ლამარა თურმანიძემ

პირველად იგი პროფესორ პოპფორტის პოლიტიკური მეცნიერების ლექციაზე ვნახე. სვითერი ეცემა. როგორც კი ლექცია დამთავრდა, მასთან მივედი.

— პირდაპირ გეტყვით, მომწონხართ.

— მართლა?

— თქვენ ყველაზე ლამაზი ქალიშვილი ხართ მთელ პირველ კურსზე! — არ ვეშვებოდით მე.

— არ გამაგიჟო!

— შესაძლოა მთელს მინესოტის უნივერსიტეტშიც კი. — დავუმატე.

— ნუთუ მართლა?

— გამაცანი შენი წინაპრები, — ვთხოვე.

— მსოფლიოს გარშემო მოგზაურობენ, მე ბიძაჩემთან ვცხოვრობ.

— მაშინ ბიძაშენი გამაცანი.

— არ მოეწონები.

— მოვეწონები.

— შენ არ იცნობ ბიძაჩემს.

— მე ერთი რამ ვიცი: რაკი ძმისწული ასეთი ლამაზია, ცხადია, ბიძაც მშვენიერი უნდა ჰყავდეს.

— შენ, ცოტა არ იყოს, ვერა ხარ დალაგებული.

— ღია მანქანა მაქვს, წავიდეთ?

ჰოდა, წავედით. მდინარის პირას ჯავჩერდით და თითქმის ორი საათი ერთმანეთს ვკოცნიდით. ამის შემდეგ მან თქვა:

— მე პერლ მაყბრაიდი მქვია.

— მიხარია თქვენი გაცნობა, — ვუთხარი მე. — მე კი დობი ჭილისი გაბლაგართ.

— რომელი საათია?

— შვიდს თხუთმეტი აკლია.

— ღმერთო ჩემო! ვახშამზე დამაგვიანდა. ჩქარა წაძივანე, დობი ამას წინათ, ერთმა ბიჭმა გვიან რომ მიმყვანა შინ, ბიძაჩემმა გარაჟის კარი მოვლოჯა და კინალამ თავი გაუხეთქა.

— იცი რა, — ვუთხარი და მანქანა გავაქროლეთ, — ^{მარცხენა} ~~მარცხენა~~ კი შენს სახლს მივუახლოვდებით, დავამუხრუჭებ და გადახტი მანქანიდან.

— სისულელეა. შენ შემოხვალ და ბიძაჩემს გაეცნობი.

მე ამოვანკალა.

— მერე, გარაჟის კარი...

— თუ ბიძაჩემს არ მოეწონები, ჩვენს სიყვარულს დაემშვიდობე. შენ ხომ ეს არ გინდა, ხომ მართალია.

შევხედე და გულწრფელად ვაღიარე:

— ცხადია, არ მინდა.

— მაშინ ბიძაჩემს უნდა წარუდგე. ბოლოს და ბოლოს, არც ისეთი საშინელი ვინმეა. და ძალიან უყვარს, როცა პირში ეფერებიან. შეეცადე ამით მოინადირო მისი გული.

— რითი მოვინადირო მისი გული?

— სამშენებლო ბიზნესს ეწევა. მშენებლობაზე ჩამოუგდე სიტყვა.

— მშენებლობისა არაფერი გამეგება.

— არ გინახავს, მიწას როგორ თხრიან?

— არ მინახავს და, ეგეც არ იყოს, თავი მიბრუის.

— მაშინ პოლიტიკაზე ელაპარაკე, — შემომთავაზა პერლმა, — ბიძაჩემმა აიხირა, ჩვენი შტატის გუბერნატორი უნდა გავხდეთ.

— სანაქებო სურვილია, მაგრამ რისი გაკეთება შეუძლია?

— მაგარი ხელის ჩამორთმევა იცის.

— კიდევ?

— სიფარას ეწევა და ძალიან ხმამაღლა ლაპარაკობს.

— მაშინ, ცხადია, შესაფერისი ყოფილა.

მისი სახლის წინ გავჩერდით. ეს იყო ექვსსართულიანი ფერადი მინის ფანჯრებიანი ბეტონის ბუნკერი.

— ბიძაჩემს რომელიღაც მშენებლობაზე ცემენტი დარჩა, — ამიხსნა პერლმა.

— ფანჯრები?

— ფანჯრები — ეკლესიის მშენებლობიდან. წამოდი.

— მოიცა, — მანქანის საჭეს ჩავაფრინდი, — იქნებ სჯობს ხვალ გესტუმროთ, ჰა?

— წამოდა! — ყელსახვევში მომქაჩა. — გახსოვდეს, რაც შეიძლება მეტი ეპირფერე.

შესასვლელი კარი გაიღო და გამოვიდა უზარმაზარი, ათლეტური აგებულების განრისხებული მამაკაცი.

— სად დაიკარგე?! — დაიქუხა მან.

— ეს დობი ჩილისია, — წარმადგინა პერლმა. — ეს ბიძაჩემია, ემე მაკბრაიდი.

აკანკალებული ხელი გავუწოდე და ამოვიკნავლე:

მეამაყება ჩვენი შტატის მომავალი გუბერნატორის გაცნობა!

ბიძია რამდენიმე წამს თვალეზღვრული მიყურებდა, შემდეგ აწითლებული სახე ნელ-ნელა დაუწყნარდა. ხელი ჩამომართვა და კინაღამ თითები დამიმტვრია.

— შემოდი, — დაიგუგუნა მან, — შემოდი.

— რა კარგად გამოგდის, — ჩამჩურჩულა პერლმა შესუბრალებულად.

— პერლ, — მიმართა მაკბრაიდმა, — დობი უწინ რატომ არ დადირდა ჩვენთან?

— ჩვენ მხოლოდ დღეს გავიცანით ერთმანეთი, — აუხსნა პერლმა, — პოლიტიკის ლექციაზე. დობისათვის ეს საგანი უმთავრესია. მისი აზრით, პოლიტიკა ადამიანის უმაღლესი მოწოდებაა. ასე არ არის, დობი?

— მშენებლობის გამოკლებით, ჩემი აზრით, — ვუპასუხე მე.

პერლს სახე გაუწათდა, მაკბრაიდსაც გაუწათდა სახე და მეც. სამივე ერთნაირად ვბრწყინავდით.

— დაჯექი, დობი, — მიმიწვია მაკბრაიდმა. — სიგარას ეწევი?

— არა, სერ, მაგრამ ვალმერებმა მათ, ვინც სიგარას ეწევა.

ბიძიამ ჩემი ხელისტოლა სიგარა „პერფექტოს“ მოუკიდა.

— კი მაგრამ, ჩემი გუბერნატორობის ამბავი საიდან იცი? — მკითხა მან.

— მთელი ქალაქი ამაზე ლაპარაკობს, სერ.

— ნუთუ მართლა?

გვერდებზე ხელები გამომწვევად მოვუთათუნე და ვუთხარი:

— თავს ნუ იკატუნებთ, ვითომ არ იცით.

ბიძიამ სიამოვნებისაგან ისე ჩაიხვიხვინა, რომ მეორე ოთახში ტურტელმა ზანზარი დაიწყო.

— გავიგე, ერთ-ორ ჩემს მეგობარს რალაც უთქვამს ამის თაობაზე, მაგრამ ეს უჩემოდ ხდება.

შიშნარევი ხმით შევეკითხე:

— უარს ხომ არ იტყვით თქვენი კანდიდატურის დასახელებაზე?

— ჯერ კიდევ არ ვიცი, — თქვა ბიძიამ, თან ქილუტზე ფერფლი ჩამოუცვივდა.

ორივე ხელით ცერა თითზე ჩავაფრინდი:

— თქვენ უნდა დაეთანხმით.

— ჯერ არ გადამიწყვეტია. მე ხომ სულ მოუცლელი ვარ.

— უნდა დაეთანხმით, — გავკიოდი მე. — ეს თქვენი წმიდათაწმიდა მოვალეობაა ხალხის წინაშე! დღეს, ისე როგორც არასოდეს, გვესაჭიროება ღირსეული ხელმძღვანელი. მოვალე ხართ იკისროთ ასეთი პასუხისმგებლობა. ნუ იტყვით უარს, მისტერ მაკბრაიდ, მიიღეთ წინადადება.

— ვღებულობ, — ჩვეულებრივად თქვა მან.

— იქნებ დობიმ ჩვენთან ივახშმოს? — იკითხა პერლმა, თან თვალი ჩამიკრა.

— ცხადია, — დაუდასტურა მაკბრაიდმა. — პერლ, უთხარი მზარეულს, კიდევ ერთი კაცი დაგვემატა-თქო.

პერლი მზიარული ცეკვა-ცეკვით გაუჩინარდა სამზარეულოში.

— რაიმე დასალევს შემოგთავაზებდი, — მითხრა მაკბრაიდმა, — მაგრამ შინ სპირტიან სასმელებს არ ვაჭაჟანებ.

— ოჰ, არა უშავს, — ვთქვი მე, თან კარმოლებულ კარადაში ექვსი ბოთ-
ლი ვისკი დავინახე.

— საზოგადო მოღვაწემ, — ამიხსნა მან, — ეთილგონიერება უნდა გა-
მოიჩინოს, გესმის?

— ცხადია.

— ბევრი არაფერი მინდა, — განაგრძობდა იგი. — ძალიან უბრალოდ
ვეცხოვრობ: კარგი გემრიელი საჭმელი, საღამოხანს კარგი წიგნი, ზაფხულო-
ბით ჩვენს მშვენიერ ტბებში თევზაობა, ზამთრობით ჩვენს მშვენიერ ტყეებ-
ში ნადირობა.

— რაზე ნადირობთ?

— მშვენიერ ირმებზე.

— ალბათ რა საინტერესოა! — წამოვიძახე მე. — მე მხოლოდ ხოხბებ-
ზე მინადირია.

— ჩვენს შტატში მშვენიერი ნადირობა შეიძლება, — გატაცებით თქვა
ბიძიამ.

— ახლა როგორი ადამიანები გვეყვანან! — ვთქვი მე.

— მშვენიერი ადამიანები! — კვერი დამიკრა მაკბრაილმა.

— ისინი ღირსნი არიან ასევე მშვენიერი გუბერნატორი რომ ჰყავდეთ!

— დობი! — საზეიმო კილოთი წარმოთქვა ბიძიამ.

— მისტერ მაკბრაილ! — წამოვიყვირე მე.

— ვაჩშამი მზადაა! — შეგვახსენა პერლმა.

ჰოდა, ჩვენც შევექვეცით უბრალო, საღ საჭმელს, წვნიან კერძს „ვიშ“,
ასთაკვებს „ნიუნბურგულად“, არტიშოკის გულებს, ფილეს „მატობრიანს“,
სოკოსა და შემწვარ ატშებს.

ამ მოკრძალებული ტრაპეზის შემდეგ მაკბრაილს ვთხოვე, ნება დამრთეთ,
ცოტა ხანს კადევ გავისეირნო პერლთან ერთად-მეთქი.

— ცხადია, შეილო, — ამოიბოყინა მან, — ოღონდ ჩემს პატარა გოგო-
ნას გაუფრთხილდი. — და დაუმატა: — დობი, მინდა პირველმა შენ მიიღო
აი ეს, — გულჯიბიდან ქალაღი ამოიღო, რომელზეც ეწერა: „მაკბრაილი —
გუბერნატორად“, — მანქანის საჭარე მინაზე მიაკარი.

— არ ვიცი, როგორ ვითხრათ მადლობა, — გული ამიჩუყდა.

— არ ღირს მადლობად. შეგიძლიათ გაისეირნოთ, მაგრამ არ დაივიწყოთ,
პერლი ათ საათზე შინ უნდა იყოს, თორემ... — დაიღმეველა, — ცხვირ-პირს
ამოგინაყავ.

მანქანაში პერლმა მითხრა:

— სულაც არ იყო ძნელი, არა?

— არა, — დავეთანხმე მე. — მაგრამ შინ მაინც ათ საათზე მოგიყვან.
აუტყვივარი თავი რად ავითკივო?

— კარგი, ძვირფასო, ახლა რა ვქნათ?

— კინოში წასვლაზე რას იტყვი? კინოთეატრ „ბიუტში“ არაჩვეულებრივი
სურათი გადის, არა აქვს „უკუყადრები“ და წარსულში დაბრუნება.

— რას ამბობ! აბა მოქმედება როგორ ვითარდება?

— უბრალოდ იწყება და ბოლომდე მიდის.

— ეს ხომ მთელი რევოლუციაა კინემატოგრაფიაში!

„ბიუტსკენ“ ავიღე გეზი.

— ხვალ კალამითი, — შევთავაზე მე, — კანოეთი ვისეირნოთ.

— კარგია, — მომიწონა პერლმა.

— ხუთშაბათს კი ცეკვებზე წავიდეთ.

მისი ხელი ავიღე. პერლი იღიმებოდა. მეც ვიღიმებოდი. ერთმანეთს შევხედეთ. მანქანა ტროტუარზე ავარდა და საპარიკმახერო შეანგრია.

გვიან ღამით, თორმეტს რომ ოცდახუთი წუთი აკლდა, მე სანაპიროს კოჭლობა-კოჭლობით ალივს მივედით სახლში. პერლს ხელზე კარგა ზღოვანი ვეზია ბანდი.

მაკბრაიდი გააფთრებულ დათვივით გამოვარდა სახლიდან.

— რა მოხდა?! — დაიღრიალა მან.

— რაც შეგიძლია ელაქუსე, — ჩამჩურჩულა პერლმა და წინდახედულად შეივრა სახლში.

— რა მოხდა? — გაიმეორა მაკბრაიდმა, მკერდში ხელი მტაცა და მალლა ამწია.

— ო, სერ, — წამოვიყვირე მე. — როდის დადგება ის დღე, თქვენ რომ გუბერნატორი გახდებით? ჩვენს შტატში გზები სავალალო დღეშია.

— რა მოხდა? — კბილები დააღრჭიალა ბიძიამ.

— ჩვენ აუცილებლად გვესაჭიროება ისეთი გუბერნატორი, — განვაგრძობდი მე, — რომელიც მშენებლობის დარგში ექსპერტიც იქნებოდა. აი ვინ გვესაჭიროება ჩვენ.

მან ნელ-ნელა დამიშვა ძირს, ფეხზე დამაყენა და მკითხა:

— მაინც რა მოხდა?

— არ გინახავთ ის საბედისწერო ორმო ზედ შუა ქუჩაზე? — ამოვღერღე მე, სული რომ მოვიტყვი, — არც ერთი ცოცხალი არ ვიქნებოდით, მე რომ დავბნეულიყავი. სხვა გზა არა მქონდა და იქვე საპარიკმახეროსკენ გავუხვიე.

ბიძიამ კეთა მოიფხანა და, როგორც იქნა, მკითხა:

— პერლი როგორ არის?

— მადლობა ღმერთს, მხოლოდ განაკაწრი აქვს. მაგრამ რამდენი ტანჯვა მოეღოთ ჩვენი შტატის მცხოვრებლებს ამ ვერაჯ გზებზე, სანამ თქვენ არ ავირჩევენ გუბერნატორად და წესრიგს არ დაამყარებთ!

მაკბრაიდი პარმალის საფეხურზე ჩამოჯდა:

— მომისმინე, დობი. შენ უფრო ყურადღებით უნდა იყო, როცა პერლი გაზღავს. კიდევ რომ მოხდეს რაიმე...

— ცხადია, სერ, — შევაწყვეტინე მე, — უსაზღვრო ყურადღებას გამოვიჩენ

მომდევნო საღამოს წყალი ნაზად დგაფუნობდა ჩვენი კანოეს კედლებზე, ხოლო პერლის ხელზე დახვეული ბანდი მთვარის შუქზე მკვეთრად გამოირჩეოდა.

— გენიოსი ხარ, — მეუბნებოდა პერლი.

— აბა რა!

— არაჩვეულებრივი ნიჭი გაქვს იდამიანებთან საერთო გამონახო.

— მე კიდევ ერთი არაჩვეულებრივი ნიჭი მაქვს.

— რა?



- შემიძლია დრო გამოვიცნო. ახლა ათს უკლია ოცდახუთი წუთი. ნავმი-სადგომისაკენ უნდა მოვუსვათ ნიჩბები, ათ საათზე რომ შინ ვიყოთ.
- ერთი წუთი მოიცადე და ჩემკენ გადმოიხარე.
- მე მგონია, დაუყოვნებლივ უნდა დავბრუნდე.
- კიდევ რამდენიმე წამი, რა!
- არა.
- ოჰ, დობი!
- კარგი, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე წამი.
- რამდენიმე წამში საათზე ათს ათი წუთი უაღადა. მე ეკლებზე ვიჯექი.
- ვერაფრით ვერ მივალთ შინ დროზე, — ვკვნესოდი მე.
- ნუ სულელობ, — მეუბნებოდა პერლი, — ნაპირამდე სამ წუთში მივ-ცურდებით, შეიდი წუთის სავალია მანქანით სახლამდე. მოვასწრებთ.
- სამი წუთით? გაგიყდი? თხუთმეტი წუთი ამ ადგილამდე მოვცურავ-დით.
- ჩვენ ხომ დამსხდარნი ვუსვამდით ნიჩაბს, ასე შორს ვერ გასცურავ. ადექი და ისე მოუსვი ნიჩაბი.
- აუღგე? — შევძრწუნდი მე.
- ჰო, ადექი, რა!
- ნავში დგომა არ შეიძლება.
- ეგ ზღაპარია. ინდიელები მუდამ ფეხზე მდგარი მართავდნენ ნავს. ქანაობ-ქანაობით ავდექი ფეხზე.
- წყალში გადავეშვები!
- სისულელეა! — მეუბნებოდა პერლი მაშინ, როცა მე უკვე ნავიდან გადავვარდი.
- შუალამე გადასული იყო, საბანში გახვეული პერლი შინ რომ მივიყვან-ნე.
- გისურვებ წარმატებას! — ცხვირი დააცემინა პერლმა, ბიძიკო ემმეტს გვერდი აუარა და სახლში მიიშალა.
- ეს ხომ აღმაშფოთებელია, — ვღრიალებდი მე, მაკბრაიდი კი გაზონის ირგვლივ დამდეგდა. — რა საშინელებანი ხდება ჩვენს შტატში! იცით, უვარა-გის ნავეებს რომ აქირავენ? — ვკითხე და თან რკინისგან ჩამოსხმულ ირმის ქანდაკებას გადავახტი, — ცხოვრება აუტანელი შეიქნა, — ვჩიოდი მე, თან ტულიპებს ვთელავდი, — დროთა გუბერნატორის რეზიდენციაში ძლიერი და უშიშარი ადამიანი გვყავდეს, ადამიანი, რომელიც ირგვლივ არ შემოიკრებს მხოლოდ თავის რჩეულებს, — გზაზე შეზღონგი გადავატრიალე, — ადამიანი, რომელიც შეძლებს თავიდან ბოლომდე აღმოფხვრას კორუფცია, — ბი-ძია უკვე დაიღალა და ქოშინი აუვარდა, მე კი არ ვცხრებოდი, — ადამიანი, რომელიც ხალხის ინტერესებს დაიცავდა, ადამიანი მკაცრი, მაგრამ სამართლი-ანი, ერთი სიტყვით, თქვენნაირი ადამიანი.
- ბიძია უცბად მიწაზე ჩაჯდა.
- დობი, — სულს ძლივს ითქვამდა, — მაინც რა მოგივიდათ?
- უბედური შემთხვევა, — ვუპასუხე მე. — უბედური შემთხვევა, რო-მელიც არ შეიძლება მოხდეს თქვენს ადმინისტრაციაში.
- დობი, მე მომთმენი ადამიანი ვარ.
- გუბერნატორის ასეთი თვისება ალტაცებას იმსახურებს.

— მაგრამ უკანასკნელად...

— მეტი აღარ განმეორდება, სერ.

მეორე დღეს, საღამოს, ცეკვებზე ჩემს ნათქვამს არ გადავედი.

— ათის ნახევარზე მივდივართ აქედან, — განვაცხადე.

— რატომ? — შემეწინააღმდეგა პერლი, — სახლამდე ათის სავალია?

მე თავი გავაქნიე.

— მივდივართ ათის ნახევარზე.

ჰოდა, ცეკვები ათის ნახევარზე მივატოვეთ. ფრთხილად მიმყავდა მანქანა, ვცდილობდი ტროტუარებს რაც შეიძლება დავშორებოდი, ყოველ მოსახვევთან ვფრთხილობდი, წითელ შუქზე ვჩერდებოდი, არც ერთ მანქანას არ გადავუსწარი, ორივე ხელით მხოლოდ საჭე მეჭირა და სპიდომეტრის ისარს ნებას არ ვაძლევდი 25-ს აშორებოდა. თუმცა ძალიან კი ვფრთხილობდი, მაგრამ შუაგზაზე უბედურება შეგვემთხვა. ძრავამ გაიჩხაკუნა და დადუმდა.

არაჩვეულებრივი გულცივობა გამოვამყლავნე.

— პერლ, — ვუთხარი გულდინჯად. — არ დავიბნეთ. ახლა ათს ოცი წუთი უკლია. შენს სახლამდე ერთი მილილა დარჩა. მანქანა დავტოვოთ და ფეხით წავიდეთ.

— ამ ფეხსაცმელებით? — პერლმა ნაზ ოქროსფერ ფეხსაცმელებზე მიმითითა.

— შენც ადექი და გაიხადე, ფეხშიშველა წამოდი სულაც. თუ საწინააღმდეგო არა გაქვს რა, შემიძლია ხელში აყვანილი გატარო. ასეა თუ ისე, დაუყოვნებლივ მივდივართ. წამოდი.

— ისიც არ გინდა, კაპოტი ასწიო და ძრავა დაათვალიერო? — მკითხა პერლმა. — ყველა ასე იქცევა, სანამ მანქანას მიატოვებდეს.

— ძრავებისა იმდენი გამეგება, რამდენიც უურანისა. წამოდი.

იგი მანქანიდან გადმოვიდა:

— მოიცა, დობი. მოდი ენახოთ, რა, დობი. სულ ერთი წამი დაგვჭირდება.

— კარგი, — დავეთანხმე მე.

— რა კარგია, — გაუხარდა მას, — ისე მიყვარს ძრავების დათვალიერება!

მე კაპოტი ავწიე და შიგ ჩავიხედეთ.

— შშვენიერი ძრავა გქონია, დობი.

— გმადლობთ, — ჩავიბურღლუნე მე.

— რამდენი მავთული, ხრახნი და რალაც-რალაცა!

— კარგი, პერლ. ახლა კი შინ წავიდეთ.

— დამაცადე, დობი, მე მგონია, აი იქ რალაც გათიშულა.

— სულ ერთია. წამოდი.

— არა, დობი. აი ამ პატარა რალაცას შეხედე, იმ რალაცაზე რომ გადადის.

მე შევხედე ამ პატარა რალაცას, რომელიც მეორე პატარა რალაცის თავზე იყო მოთავსებული და რომელიც თითქოს გათიშულიყო. ჰოდა, საჭერით დავამაგრე, რომელიც ალბათ სწორედ ამისათვის იყო განკუთვნილი.

— ახლა კი, დობი, მანქანა აამუშავე. მე კი ვნახავ, — მიბრძანა პერლმა.

საქეს მხოლოდ მაშინ მივუჭექი, როდესაც მას სიტყვა ჩამოვართვი, თუ ძრავა არ ჩაირთვება, დაუყოვნებლივ შინისკენ გავეშურებით-მეთქი. სტარტერს ფეხი დავაჭირე და თუმცა გვიან იყო, მაინც გამახსენდა, რომ პერლის კაბის გრძელი ფურჩალებიანი სახელო ვენტილატორის ღვედზე ეფინა. ხევა-ფხრეწის ხმა გაისმა და ჰაერში მოფარფატე ქსოვილის ნაჭრები დავინახე.

— ამუშავდა, ამუშავდა! — გაჰყვიროდა კაბაშემოხუთული პერლი.

პერლს სახლისკენ მიმავალ ბილიკზე რომ მივაცილებდი, ბიძია ემეტი არსად ჩანდა. კაბის ნაცვლად მას მანქანის შალითა ემოსა. პერლი შინ შეიპარა, მე კი ფეხის წვერებზე მოვბრუნდი მანქანისაკენ და დავინახე ბიძია, უფრო სწორად, გარაჟის კარი, პირდაპირ ჩემკენ რომ მოქროდა ჩქარი მატარებელივით. უდიდესი ნიჭი გამოვავლინე, ძლიერად ავხტი და მუხლებზე დავუცი, საცალფეხო გზაზე ნაქირავები სალამოს შარვლის ტოტები დავტოვე. შემდეგ მანქანაში შეგვარდი და პირველი სიჩქარით გაქროლებაში მსოფლიო რეკორდი დავამყარე.

მომდევნო დღეებში ჩვენთვის აღარ ანათებდა მთვარე. ჩვენ მხოლოდ დღისით ვხედებოდით ერთმანეთს და პერლი შინ რომ მიმყავდა, ყოველი შემთხვევისათვის სახლამდე ექვსი კვარტლის აქეთ გადმოვსვამდი ხოლმე. ასეთი რამ ნამდვილად არ იყო ჩვენთვის ხელსაყრელი. თუმცა სულ იმის ფიქრში ვიყავით, რა საშუალებით მოგვეპოვებინა ბიძია ემეტის კეთილგანწყობილება, მაგრამ მასზე უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრეთ, წვერი მომეშვა და პერლისათვის სხვისი სახელით დამერეკა ხოლმე.

მაგრამ ერთხელ, პოლიტიკის ლექციის დაწყებამდე, აღვზნებულმა პერლმა მოიბრინა. თითქმის მესმოდა, რომ მის თავში რაღაც ტკაცუნობდა.

— ერთი აზრი მომივიდა! — მაცნობა მან.

— იმედი მაქვს, კარგი აზრია.

— შესანიშნავი! მომისმინე. რა უნდა ბიძია ემეტს ყველაფერზე მეტად?

— გარაჟის კარი თავში ჩამცხოს.*

მოუთმენლად გააქნია ხელი.

— სერიოზულად გეუბნები. რა სურს მას ყველაზე მეტად?

— გუბერნატორობა.

— სავსებით მართალია. და არ არსებობს რაიმე, ბიძიამ არ ვააკეთოს იმ ადამიანისათვის, ვინც მას გუბერნატორის პოსტზე დაასახელებს. — პერლმა თითი მკერდში მატაკა: — დობი, შენ იქნები ეს ადამიანი.

— ჰოდა, ჩვენი შტატის მცხოვრებთა მიმართ დიდ ღირობასაც გამოვიჩენ.

— მე ნამდვილ დასახელებაზე არ გეუბნები.

— აბა რანაირზე?

— არაფერი შენ არ გესმის, — დაიწყო პერლმა, მაგრამ ამ დროს ხარი დაირეკა.

— მოდი გავაცდინოთ ლექცია, — შევთავაზე მე, — და ყველაფერი წესიერად ამიხსენი.

— არა, ჩვენ ლექციაზე უნდა ვიყოთ, ისე ჩემი ჩანაფიქრი არ განხორციელდება.

მხრები ავიჩეჩე და პერლს გავყევი. მთელი საათი ვთვლებდი, ვიდრე პროფესორ პომფრიტის ლექცია დამთავრდებოდა.

ლექციის შემდეგ პერლს ვკითხე:

— ახლა რაღა ვქნათ?

— დავიწყეთ მლიქვნელობით, — მითხრა პერლმა.

— შენ უკვე სტანდარტული მიდგომა გაქვს.

პერლს კათედრაზე გავყევი, თან, სანამ პროფესორი თავის ჩანაწერებს აგროვებდა, ვმარჩიელობდი, ნეტავ როგორ ახერხებს ეს ვაცე-თეფისეუ ზელ-ფასით თავის გატანას-მეთქი.

— პროფესორო პომფრიტ, — დაიწყო პერლმა, — ჩვენ გვინდოდა გვეთქვა, რომ თქვენი ლექციებისაგან ჰეშმარიტ სიამოვნებას ვღებულობთ. ასე არ არის, დობი?

— დიახ, — დავეთანხმე მეც.

— გმადლობთ, გმადლობთ, — დაიჩხავლა პროფესორმა და პატარა ბებრული თვალები სიამოვნებისაგან დაახამხამა.

— თქვენი ლექციები მთელ უნივერსიტეტში საინტერესო ლექციებად მიგვაჩნია. ასე არ არის, დობი?

— ჩემი ლექციები ოციოდე წლის უკან რომ მოგესმინათ, როცა ჯერ კიდევ შემეძლო ჩემი ჩანაწერების გარკვევა!... — წაიტრაბახა პროფესორმა.

— თქვენ, პროფესორო, სპილოს ძვლის კოშკში კი არ გამოკეტილხართ. პოლიტიკური მეცნიერება ცოცხალი საგანი და ხოლო თქვენი ინტერპრეტაციით იგი უბრალოდ აუცილებელი შეიქნა. ხომ მართალია, დობი?

— ასე, ასე. — ჩაიჭიკჭიკა პროფესორმა. — ძალიან მინდა შინ მიგიწვიოთ ჩაიხე, მაგრამ ჩაი გამითავდა. აი უბრალო მდულარეზე თუ არ იტყოდით უარს...

— გმადლობთ, — სიტყვა შეაწყვეტინა პერლმა, — ჩვენ კიდევ ერთი ლექცია გვაქვს.

— მეცა მაქვს ლექცია! — გაახსენდა პროფესორ პომფრიტს და კარისკენ გასწია. — ლექციების შემდეგ მოდით ჩემთან, ვისაუბროთ.

პერლმა იდაყვში გაქეჩილ სახელოში სტაცა ხელი.

— პროფესორო, ერთი პატარა საქმე გვაქვს თქვენთან. როგორც ცნობილია, შემოდგომაზე ჩვენი შტატის გუბერნატორის არჩევნები ჩატარდება და სტუდენტები ძალიან ბევრს ლაპარაკობენ ამის თაობაზე.

— აი თურმე რაზე საუბრობენ ისინი ჩემს ლექციებზე. — ფიქრიანად ჩაიბუტბუტა პროფესორმა.

პერლმა სახელო მოქაჩა და ძველი ნაჭერი შერჩა ხელში, თან დაბეჭითებით განაგრძობდა:

— რაღას უნდა ვუცადოთ? დისკუსიები არჩევნების თაობაზე ძალიან მძაფრდება. შეიძლება სტუდენტებში აყალმაყალიც კი ატყდეს.

— ნუთუ? მერე რა უნდა ვქნათ? — იკითხა პროფესორმა.

— რატომ არ შეიძლება არჩევნების იმიტაცია მოვაწყოთ? — შესთავაზა პერლმა. — ეს პოლიტიკური მეცნიერების კურსის კარგი პრაქტიკული მეცადინეობა იქნებოდა და სტუდენტებსაც დააშოშმინებდა. თქვენმა შთავგონებულმა სწავლებამ ყოველ ჩვენთაგანს, — პერლმა სული მოითქვა, — ისეთი უდიდესი ინტერესი აღუძრა პოლიტიკისა, რომ არც შეგვიძლია სხვა რამეზე ვიფიქროთ. დარწმუნებული ვარ, — განაგრძობდა პერლი, — ჩვენი არჩევნები

საყოველთაო ყურადღებას მიიპყრობს. გაზეთები აუცილებლად გამოგვიგზავნიან თავიანთ რეპორტიორებს.

— გაზეთები? — სახე გაუბრწყინდა პროფესორს, — ეს კარგია. როცა უკანასკნელად ჩემი ჯვარი გაზეთებში გამოჩნდა, ხელფასი მოემიატეს. ეს 1927 წელს მოხდა. ამერიკიდან ევროპაში ლინდბერგის ეგვიფტურული პატივსაცემად გამართულ დემონსტრაციაზე გრძნობადაკარგული გაგვიგზავნა. მშვიერი ყოფილათ, წერდნენ მაშინ გაზეთები. ბოლოს დეკანი იძულებული გახდა ჩემთვის ხელფასი მოემიატებინა.

— ესე იგი, შევთანხმდით? — ჰკითხა პერლმა.

— კეთილი, კოლონდ თქვენ უნდა დამეხმაროთ ამ ლონისძიების ჩატარებაში. მე ცოტა რამ ვიცი ასეთ ამბებზე.

— ნუ სწუხართ, — დაამშვიდა პერლმა. — ყველაფერზე მე ვიზრუნებ. არჩევნები პარასკევს მოვაწყობთ. ყველა საორგანიზაციო საკითხს მე ვკისრულობ. ნახვამდის, პროფესორო. აი ყველა პროფესორი რომ თქვენნაირი იყოს... ხომ მართალს ვამბობ, დობი?

— დიახ, — დავუდასტურე მე.

პროფესორი დაგტოვეთ და გამოვედით.

— ახლა კი მუშაობას შევუდგეთ, — თქვა პერლმა, — მე გაზეთების რედაქციებს შემოვივლი და ვეცდები, რეპორტიორები გამოგვიგზავნონ. შენ კი შენი სიტყვის შედგენას შეუდექი.

— ჩემი სიტყვის?

— შენს მშვენიერ, გულში ჩამწვდომ, გრანდიოზულ სიტყვაში ბიძია ემეტს გუბერნატორის პოსტზე წამოაყენებ.

— ბიძია ემეტს? ერიჰაა!

— შენ ეს შეგიძლია, დობი.

— შემიძლია? ცხადია, შევეცდები. მიაბზე რაიმე ბიძიაზე. შესაძლოა ისეთი მიმზიდველი თვისებები გააჩნია, რაც მე ვერ შევნიშნე. ვანათლების საქმე როგორა აქვს?

— მეხუთე კლასამდე ძლივს მიაღწია თვრამეტი წლისამ. ტანად უზარმაზარი იყო და ბავშვები დასციინოდნენ.

— ჰმ, ეს არც ისე ცუდია. ესე იგი, ვანათლება არ მიუღია. მუშაობა დაიწყო, დაბალი ფენიდან გამოვიდა, სიღარიბეს თავი დააღწია და მდიდარი კაცი გახდა. ეს კარგია. საზოგადოებაში გავიდა. ყველაფერს თავისი ჰკუთის წყალობით მიაღწია.

— არა, ქონება მამამისმა დაუტოვა.

— იქნებ, — შევთავაზე მე, — მის არაჩვეულებრივ ღონეზე ვილაპარაკო?

პერლმა თავი გადააქნია.

— არა მგონია, — ვთქვი მე, — მის სასარგებლოდ ერთი-ორი ხმა მაინც მოვაგროვო, თუ მოეყვები, რამდენს ჰამს.

— რატომ არ შეიძლება, — შემომთავაზა პერლმა, — თქვა, მაგალითად, ასეთი ფრაზა: „ჩვენს დროში, დიდ გარდაქმნათა დროში, გვესაჭიროება მშენებელი“?

— ხოლო დიდი ეკონომიის ხანაში, — განვაგრძე მე, — ჩვენ გვესაჭიროება ეკონომისტი?

— მოიცა. — წამოიძახა პერლმა. — შენ კარგი აზრი მომაწოდე; „გარდაქმნები“, „მშენებელი“, ხოლო სიტყვისათვის „ეკონომია“ გამოდგება „ბიზნესმენი“. მართალია, ბიძია ემეტმა სამშენებლო კომპანია მემკვიდრეობით მიიღო. მაგრამ შენ შეგიძლია დაასაბუთო, რომ მხოლოდ და მხოლოდ მისი საქმიანი თვისებების წყალობით კომპანია აღმავლობას განიცდიდა, თვითონ კი ბლობად ფული დაფროვა. შევეცდები ციფრები გიშოვო. შენ ჩამოთვლი. რა ააშენა და რამდენი მოიგო თვითონ. „მშენებელი გარდაქმნებისათვის, ბიზნესმენი ეკონომიკის განსამტკიცებლად“. და შენ დაამტკიცებ, რომ ბიძია ემეტი ერთსაც და მეორესაც გაართმევს თავს.

— ამან შეიძლება მართლა ივარგოს! — დავეთანხმე მე.

— აუცილებლად ივარგებს, ხოლო ბიძია ემეტი გაზეთებში შენს სიტყვას წაიკითხავს და გულში შვილივით ჩაგიკრავს, ჩვენ კი სალამოობით ისევ შევხვდებით ერთმანეთს.

პარასკევის არჩევნებისათვის მზად ვიყავით. პერლმა გაზეთებს შეატყობინა. მე ნათელი, შთამაგონებელი სიტყვა შევადგინე იმ ციფრების მიხედვით, რომლებიც პერლმა ბიძამისის უჯრამში ნაპოვნი წიგნიდან ამოიწერა. ზედმიწევნით შევიმუშავეთ მოქმედების გეგმა და წარმატება აღარ გვეეჭვებოდა.

პერლი, თვითმარქვია თავმჯდომარე, კათედრაზე ავიდა. გვერდით თორმეტიოდე რეპორტიორი ეჯდა, მათ ირგვლივ შრომისმოყვარე ფუტყარივით დაფუსფუსებდა პროფესორი პომფრიტი — იდაყვებზე ტყავის ახალი საკერებლები დაედო. სტუდენტებს აძალღებულნი განწყობილება დაუფლებოდათ. პერლი სიჩუმეს მოითხოვდა.

— არსებული წესის მიხედვით, — დაიწყო მან, — წინადადება შემომაქვს დავიწყოთ შტატის ახალი გუბერნატორის კანდიდატის დასახელება.

დარბაზი მოწონების გუგუნით შემხვდა.

— ქალბატონებო და ბატონებო! — ხმამაღლა და გარკვევით წარმოვთქვი, — მინდა ჩვენი შტატის ერთ მცხოვრებზე მოგახსენოთ. მას ჰქვია ემეტ მაკბრაიდი. ემეტ მაკბრაიდი სამშენებლო ბიზნესის მიმდევარია. ამ რამდენიმე წლის მანძილზე მან ააშენა: „ფერსტ ნეიშნლ ბანკი“ მინეაპოლისის შტატში, მოგება — ერთი მილიონ ხუთას ოთხმოცდასამი ათას ოთხმოცდაშვიდი დოლარი; შოსე სეინტ კლაუდი-ჩასკა, მოგებამ ცხრაას ორმოცდაშვიდი ათას ხუთას ოთხმოცდაათ დოლარს მიაღწია; წყალსაცავი „როჩესტერი“, მოგება — შეიდას ოთხმოცდათვრამეტი ათას ექვსას სამოცდაცხრამეტი დოლარი; ვიადუკი „საუჯ სენტერ“ — რვაასშვიდი ათას ოთხმოცდათოთხმეტი დოლარი მოგება და ბოლოს გზა კაშხალ „ბემიჯიზე“, რომლის მოგებაც ექვსას ოთხმოცდათოთხმეტი ათას ხუთას ოთხმოცდაცხრა დოლარს წარმოადგენს.

— ვაშა! — იყვირა პერლმა თავმჯდომარის ადგილიდან.

— ეს ციფრები მომყავს, — განვაგრძობდი მე, — რათა დავიმტკიცოთ ორი რამ: პირველი, რომ ემეტ მაკბრაიდი მშენებელია, მეორე — რომ ემეტ მაკბრაიდი ბიზნესმენია.

— ვაშა! — ისევ იყვირა პერლმა.

— ჩვენს დროში, გარდაქმნებისა და ეკონომიის ხანაში, — ვთქვი მე, — ნუთუ გუბერნატორის პოსტზე პოლიტიკოსი გვესაჭიროება?

— არა! — იყვირა პერლმა.

— ნუთუ გუბერნატორის პოსტზე თეორეტიკოსი გვესაჭიროება?

— არა! — იყვირა პერლმა.

— მაშ ვინ გვესაჭიროება გუბერნატორის პოსტზე? — ვიკითხე მე.

— მშენებელი და ბიზნესმენი! — იყვირა პერლმა.

— სავსებით მართალია! — შევეშველე მე. — და რადგანაც არ შეგვიძლია ერთად ორი გუბერნატორი გვეყავდეს, ისეთი კაცი უნდა მოვძებნოთ, რომელიც მშენებელიც იქნება და ბიზნესმენიც. ასეთი კი მაკბრაიდი გახლავთ. ჩვენ ძნელ და რთულ ხანაში ეცხოვრობთ, რეკონსტრუქციებისა და ეკონომიის ხანაში, ამიტომ გუბერნატორად ემეტ მაკბრაიდი გვსურს და სხვა არავინ!

— ვაშა! — ისევ დაიყვირა პერლმა.

— ვაშა! — იმეორებდნენ სტუდენტები.

— თითქმის არც ერთ თქვენგანს არ სმენია ემეტ მაკბრაიდის სახელი, — განვაგრძობდი მე, — გუბერნატორობის კანდიდატად იგი ჯერ არ წამოუყენებიათ და სავსებით ლოგიკურია, რომ სწორედ ჩვენმა უნივერსიტეტმა აღმოაჩინა ემეტ მაკბრაიდი, უნივერსიტეტმა, სადაც ბევრი დიდი აღმოჩენა მომხდარა და რომელიც ჩვენი შტატის პროგრესის ჯერაა. ჩვენი შტატის მცხოვრებლები გვთხოვენ ღირსეული ხელმძღვანელი დავუნიშნოთ. ავირჩიოთ გუბერნატორად ემეტ მაკბრაიდი.

სტუდენტებმა ყვირილს უმატეს. თავი რომ არ აეშვათ და საზღვარს არ გადასულიყვნენ, პერლმა დაიყვირა:

— წინადადება შემომაქვს გუბერნატორად ავირჩიოთ მაკბრაიდი კენჭისყრის გარეშე, საყოველთაო მოწონების საფუძველზე!

— თავმჯდომარეს უფლება არა აქვს წინადადება შემოიტანოს! — წამოიყვირა რომელიღაც ფრიად გათვითცნობიერებულმა პარლამენტარმა, მაგრამ მისი ხმა შთანთქა მთელი კრების მოწონების ღრიალმა, რომელიც გამარჯვებულს — ემეტ მაკბრაიდს აღიარებდა.

შემდეგ ვილაციის მხრებზე შემსვეს და აუდიტორია შემომატარეს.

— ბიძია ემეტს შეუყვარდები! — დამიძახა პერლმა, როდესაც მის წინ ჩამატარეს.

— ხვალ დილით, ბიძია გაზეთებს რომ წაიკითხავს, თქვენთან მოვალ! — მივაძახე მე, თან მისგან შორს მივცურავდი.

მეორე დილით ყველა (გაზეთი პირველ გვერდზე ბეჭდავდა არჩევნების ანგარიშს. მე პერლთან მივდიოდი და მთელი გზა ვუსტვენდი. თამამად გავიარე ბილიკი სახლამდე და კარი დაუცაკუნებლად გავაღე.

— სად არის ჩვენი ბიძია ემეტი?

სასტუმრო ოთახში ტახტზე განთხმულმა პერლმა ნამტირალევი თავი ასწია. ჯერ მიყურა, შემდეგ კი ფეხზე წამოხტა და დაიყვირა:

— თავს უშველე! ამ ქალაქიდან, ამ შტატიდან, ამ ქვეყნიდან გადაიკარგე, თუ შეგიძლია!

— რა მოხდა? — ვკითხე შეფიქრიანებულმა.

— დროს ნუ კარგავ! შესაძლოა ყოველ წუთს გამოჩნდეს ბიძია ემეტი. უკვე შეიტანა ფული, რომ პატიმრობიდან განთავისუფლდეს.

— ფული?

— წაიკითხე გაზეთებში, შენ რომ დასასხელე, ამდენი და ამდენი მოგება ნახაო?

— მერე რა?

— მერე ის, რომ ამ დილით საშემოსავლო გადასახადის თავის არიდებისათვის დააპატიმრეს.





მოთხრობა

თარგმნა ლუიზა ლაონიძემ

ახალი ჩინური ლიტერატურის ფუძემდებელი ლუ სინი (1881-1936) თავის მოთხრობებში დიდი სიმართლით ხატავს ფეოდალური და იმპერიალისტური უღლის ქვეშ მგმინავე ჩინელი მშრომელი ხალხის მძიმე შრომასა და დუხჭირ ცხოვრებას. ლუ სინი უშიშრად, ნამდვილი რევოლუციონერის შემართებით გამოდიოდა ფეოდალური იდეოლოგიის, საერთაშორისო რეაქციის წინააღმდეგ. თითქმის სიცოცხლის ბოლო წუთამდე სდევნიდა მას გომინდანის მთავრობა, მაგრამ მწერალი მტკიცედ იდგა რევოლუციურ პოზიციებზე, არასოდეს უღალატია ხალხისათვის.

მკითხველს ვთავაზობთ მწერლის ერთ მოთხრობას, რომელიც დაწერილია 1921 წელს.

ძლიერი ყინვები იდგა, ოცი წლის უნახავ სამშობლოში რომ ვბრუნდებოდით, წინ კიდევ ათასზე მეტი ლი¹ მქონდა გასაფლელი.

შუა ზამთარი იყო. ამინდი უფრო და უფრო პირქუში ხდებოდა. ცივი ქარი უხალისოდ ზუზუნებდა და ჯონკის² კაიუტაში შემოდინოდა. ბამბუკის ჩარდაზიდან ნაცრისფერი მოყვითალო ცა და სანაპიროზე მიმოფანტული უდაბური სოფლები მოჩანდა. სოფლებს სიცოცხლის ნიშანწყალიც კი არ ემჩნეოდათ და მათ შემყურეს გული სევდით მეკუმშებოდა.

ნუთუ ეს არის ქვეყნი მშობლიური ადგილები, ოცზე მეტ წელიწადს რომ ვინახავდი მოგონებებში?

სამშობლო სხვანაირი მესახებოდა. შორიდან იბევრად უკეთესი მეჩვენებოდა, მაგრამ საოცარი ის იყო, როცა კი შევეცდებოდი მისი სილამაზე წარმოებდ-

¹ ლი — დაახლოებით ნახევარი კილომეტრი.

² ჯონკა — ჩინური მსუბუქი იალქნიანი ნავი.

ცინა ან რაიმე მომეტხრო მასზე, მაშინვე ყველაფერი მავიწყდებოდა, ველარაფერს ვიხსენებდი და სათქმელიც აღარაფერი მქონდა.

აქ არაფერი შეცვლილა. მშობლიური სანახები ისეთივე დამსხვდა და არც ისე ნაღვლიანი იყო, როგორც მომეჩვენა. მხოლოდ მე შემეცვალა მსულიერი განწყობილება: სულაც არ მომიხაროდა აქეთ.

მშობლიურ მხარეს მხოლოდ იმიტომ დავუბრუნდი, რომ სამუდამოდ დავმშვიდობებოდი. ძველი სახლი, რომლის ჭერქვეშაც თითქმის მთელი ჩვენი საგვარეულო ცხოვრობდა, ვილაც გადამთიელებს მივყიდეთ. სახლის გადაბარების ვადა ამ წელს იწურებოდა და მამა-პაპის კერა ჩვენც იანვრამდე უნდა დაგვეტოვებინა. ჩემი ოჯახი ახლა იმ შორეულ, უცხო მხარეში უნდა გამგზავრებულიყო, სადაც მე ლუკმაპურისთვის წელებზე ფეხს ვიდგამდი.

მეორე დღეს დილაადრიან მივაღეჭი მშობლიური სახლის კიშკარს. სახურავზე კრამიტებში ბალახის ღეროებს ამოეყარათ თავი და ქარის დაქროლვაზე საცოდავად ქანაობდნენ. ნათესავეები, ჩვენთან ერთად რომ ცხოვრობდნენ ამ სახლში, სხვადასხვა მხარეს მიმოფანტულიყვნენ და ახლა სიჩუმეში დანთქმული ეზო-კარი თითქოს ემუდარებოდა გამვლელებს, დროა ახალი პატრონი მომამშველოთო. მხოლოდ დედაჩემი და ჩემი დისშვილი, რვა წლის ბიჭი ხუნ-ერი ცხოვრობდნენ იქ. ისინი კარგა ხანია მელიოდნენ და, რალა თქმა უნდა, დიდად გაიხარეს ჩემს დანახვაზე.

დედამ მაშინვე დამსვა და ჩაით გამიმასპინძლდა. თუმცა გახარებული იყო, სახეზე მაინც ეხატა ნაღველი. ხუნ-ერი პირველად მხედავდა და შორიდან ყურადღებით მათვალისწინებდა.

ბოლოს მომავალ მგზავრობაზე მოვყევით ლაპარაკს. დედას ვუთხარი, იქ, უცხო მხარეში ბინა უკვე დავიჭირავე, ზოგი რამ ავეჯიც ვიყიდე, რისი წაღებაც გაგვიინელდება, აქვე გავყიდოთ და იქ კიდევ ვიყიდოთ ახალი-მეთქი. დედა დამეთანხმა: ცხადია, ავეჯის ზიდვა ამოდენა გზაზე გაგვიჭირდება, ზოგი რამ უკვე გავყიდე, მაგრამ ფული ჯერ არ მოუტანიათ, ბევრი რამეც უკვე ჩალაგებული მაქვსო.

— ახლა ერთი-ორი დღე დაისვენე, ცოტა მიდექ-მოდექი, მტერ-მოყვარე მოინახულე, მერე კი გავუდგეთ გზას, — მითხრა დედამ.

— კარგი, — ვუპასუხე მე.

— ჰო. მართლა, არ დამავიწყდეს, ეუნ-ტუ ხშირად გკითხულობს, ძალიან მოენატრე. ვუთხარი, მალე ჩამოვა-მეთქი... ალბათ თვითონაც გვეწვევა.

თვალწინ მშვენიერმა სურათმა გამიელვა: ლურჯად ჩამუქებული ცა, სავსე ოქროსფერი მთვარე, ზღვის ქვიშიანი სანაპირო და შორს, ძალიან შორს საზამთროს ზურმუხტოვანი ბაღი — შუა ბაღში კი ბოჭუნა დგას ყელზე ვერცხლის სალტემემოვლებული, ხელში რკინის ორთითა უჭირავს და მარჯვედ უღერებს ჩას, ცხოველი კი ფეხებში უძვრება და გარბის.

ეს ბიჭი ეუნ-ტუა. მე ის ოცდაათი წლის წინათ გავიცანი, მაშინ ალბათ თერთმეტი წლისა თუ იქნებოდა. მამა ჯერ კიდევ ცოცხალი მყავდა, ჩვენ მაშინ უზრუნველად ვცხოვრობდით და მეც ბატონიშვილივით მზრდიდნენ.

ჩვენს ოჯახს იმ წელს გვარის წინაპართა სულის საცხონებელი საკურთხი

უნდა გაეკეთებინა. ამ რიტუალის აღსრულება ოცდაათ წელიწადში ერთხელ უწყვეტად ყოველ ოჯახს და ამიტომაც ყველანი ცდილობდნენ დიდი ზარ-ზეიმით ჩაეტარებინათ. იანვარში წინაპართა დაფების¹ წინ ღვამენ ათასნაირი ხორავით სავსე ჯამ-ჭურჭელს, თანაც ეს ჭურჭელი გამორჩეულად საუკეთესო უნდა იყოს. ამ დღეს იმდენი მლოცველი იყრის ხოლმე თავს, რომ თუ თვალი კარგად არ გიჭირავს, შეიძლება ვიღაცამ ჭურჭელი აგწაანოს. ჩვენ იმხანად ერთი სეზონური მოჯამაგირე გვეყავდა მხოლოდ. იგი საქმეს ვერ აუდიოდა და მამამ ნება დართო, საკურთხიანი ჭურჭლის საყარაულოდ შენი ვაჟი ეუნ-ტუ მოიყვანეო. მე ძალიან გამეხარდა, რადგან ვიცოდი, ეუნ-ტუ ჩემი ტოლი იყო. ეუნ-ტუ ნაკიან წელიწადს დაბადებულა, ხუთი სტიქიიდან² ჰოროსკოპში მიწა დააკლდა და ამიტომაც დაარქვა მამამისმა ეუნ-ტუ³.

ახალ წელს მოუთმენლად ველოდი, ამ დღეს ხომ ეუნ-ტუ უნდა მოსულიყო ჩვენთან! როგორც იქნა, მოვიდა.

ბიჭს მრგვალი, ბრინჯაოსფერი სახე ჰქონდა, ნაბდის პატარა ქუდი ეხურა და ყელზე ვერცხლის სალტე შემოეკრა. როგორც მერე გავიგე, მამამისს ძალიან უყვარდა თავისი ვაჟი და ბუდასთვის აღთქმა მიუცია, ოღონდ ნურაფერს დაუშაგებ და ამ სალტეს არ მოვაშორებ ყელიდანო. ეუნ-ტუ მხოლოდ ჩემთან იყო თამაში. გაცნობისთანავე დავმეგობრდით.

ეუნ-ტუ ხალისით მიყვებოდა ქალაქში თავის პირველ მგზავრობაზე, თან გაოცებას არ მალავდა, იმდენი საკვირველი რამ ენახე, მთელი ცხოვრება შეყოფა საამბობადო.

მეორე დღეს ეუნ-ტუს ვთხოვე, ჩიტები დავიჭიროთ-მეთქი.

— ახლა არ შეიძლება, — მიპასუხა მან. — ჩიტებს დიდთოვლიანობისას ვიჭერთ ხოლმე. ეზოში პატარა ადგილს მოვასუფთავებ, ზედ ჩამოვამზობ დიდ კალათს, რომელიც პალოზეა ჩამოცმული, და კალათის ქვეშ პურის ნამცეცებს მოვაბნევ. ჩიტების გამოჩენას მოფარებულში ველოდები. როგორც კი მოფრინდებიან და კენკვას მოპყვებიან, მაშინვე მოვწევ პალოზე მობმულ თოქს, პალო გამოვარდება და კალათაც თავზე დაემხოებათ ჩიტებს. რომ იცოდნენ, რამდენნაირ ჩიტს ვიჭერ ხოლმე: ქოჩორებიო, წიწკანებიო, ბელურებიო...

ო, როგორ მინდოდა მაშინვე მოეთოვა!

— ახლა ძალიან ცივა, — განაგრძო ეუნ-ტუმ — სჯობს ზაფხულში გვესტუმრო. დღისით სანაპიროზე ლამაზ, ფერად-ფერად ნიჟარებს მოვაგროვებთ, ზოგ ნიჟარას სახელიც კი ჰქვია: „ეშმაკის საფრთხობელა“, „ქალღმერთ გუანინის ხელი“... ღამით კი მამაჩემი წაგვიყვანს საზამთროს ბაღში საყარაულოდ.

— ქურდები იპარავენ საზამთროს?

— არა, თუ ვინმე პირის გასასველებლად მოწყვეტს საზამთროს, ამას ქურდობას არ ვეძახით. საზამთროს ცხოველები გვიჩანაგებენ: მაჩვი, ზღარბი, ჩა. აბა, წარმოიდგინე, ღამეა, მთვარე ანათებს და უცებ გესმის: „ჩა-ჩა-ჩა...“ მაშასადამე, ბაღში ჩა შემოპარულა და ის ახრამუნებს საზამთროს. შენც ორთითას მოიმარჯვებ და ნელა მიუახლოვდები...

¹ ჩინეთში ყოველ საგვარეულოს აქვს თავისი საკურთხეველი, აქ ინახავენ დაფას, რაზეც წინაპართა სახელებია ჩამოთვლილი.

² ჩინური ასტროლოგიის თანახმად ბუნებაში არსებობს ხუთი სტიქია: რკინა, ხე, წყალი, ცეცხლი, მიწა.

³ ეუნ — ნაკიანი წელიწადი, ტუ — მიწა.

ჩა რა მხეცი იყო, მაშინ არ ვიცოდი, მართალი გითხრათ, არც ახლა ვიცი, ყოველ შემთხვევაში, რატომღაც მგონია, ძაღლის ლეკვს უნდა ჰგავდეს.

— არ იკბინება?

— ...ორთითას მოიმარჯვებ და ნელა მიუახლოვდები, მაშინვე უნდა აძგერო, ჩა ჭკვიანია, პირდაპირ შენკენ გამოეჭანება და ფეხებში გაგისხლტება. ბალანი ისეთი სლიპინა აქვს, გეგონება, გაზეთილიაო... *ბიზლირთხა*

ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ქვეყნად ამდენი საინტერესო რამ ზღებოდა თურმე. მე მხოლოდ ის ვიცოდი, რომ საზამთრო ხილ-ბოსტნეულის ფარდულებში იყიდებოდა.

— ...ზღვის მოქცევის დროს სილაზე უამრავი მხტუნავი თევზი რჩება.

ღმერთო, რამდენი საოცარი ამბავი იცის ამ ქუნ-ტუმ. მე და ჩემი ბიძაშვილები კი ბაიბურშიც არ ვიყავით. ქუნ-ტუ ზედ ზღვის პირას ცხოვრობდა, ჩვენ კი ამ ოთხივ მხრიდან გალავანშემორტყმულ ეზოში ცის პატარა ნაჭერს ვხედავდით მხოლოდ.

სამწუხაროდ, იანვარი გავიდა და ქუნ-ტუ შინ უნდა დაბრუნებულიყო. მე ხმამაღლა ვტიროდი, ქუნ-ტუც სამზარეულოში დაიმაღა და ისიც ტიროდა. ბოლოს მამამისმა ძალით წაიყვანა.

ქუნ-ტუ არც მერე მივიწყებდა. მამამისის ხელით მიგზავნიდა ფერად-ფერად ნიჟარებს და ჩიტების ლამაზ ფრთებს. მეც ერთი-ორჯერ გავუგზავნე საჩუქარი, მაგრამ ნახვით კი მას შემდეგ აღარ გვინახავს ერთმანეთი...

აი, ამ მოგონებამ ელვის უსწრაფესად ჩამიარა თვალწინ, როცა დედამ ქუნ-ტუ მიხსენა. სწორედ ეს მოგონებაა ჩემი სამშობლო, სწორედ ამ მოგონებაშია ჩაქსოვილი ჩემი მშობლიური ადგილების მთელი მშვენება და სილამაზე.

— კარგს იზამს, თუ მოვა. ისე, როგორ არის, როგორ ცხოვრობს?

— ეჰ, ძალიან უჭირს, შვილო, — დედამ ფანჯარაში გაიხედა. — ხედავ, ისევ მოდიან, ავეჯის ყიდვა გვინდაო და რაც ხელში მოხვდებათ, იმას კი მიათრევენ. უნდა გავიღე, თვალი ვადევნო.

დედა წამოდგა და გავიდა. მე ხუნ-ერს დავუბახე, მივეფერე, ვკითხე, წერა-კითხვა თუ იცი, აქედან წასვლა თუ გინდა-მეთქი?

— მატარებლით წავალთ?

— მატარებლით.

— ჯონკათი არა?

— ჯერ ჯონკათი...

— ერთი ამას შეხედეთ, როგორ გაზრდილა, უღვაშიც რომ დაუგრძელდება! — მომესმა უცებ ვიღაცის გამყივანი ხმა. მაშინვე თავი ავწიე და დავინახე ფართო ყვრიმალება და თხელი ტუჩები. ჩემ წინ ასე ორმოდცდაათი წლის ქალი იდგა, ლურჯი შარვალი ეცვა და დოინჯშემოყრილს ფეხები ისე გაედგა, ნამდვილად ფარგალს ჰგავდა. გავშტერდი.

— ველარა მცნობ? პატარა რომ იყავი სულ ხელით გატარებდი...

ჩემდა საბედნიეროდ, დედა შემოვიდა:

— ეგ ხომ დიდი ხანია აქ არა ყოფილა, ყველაფერი დაავიწყდა. — მერე მე-

მომიბრუნდა. — ჩვენი მეზობელია, დეიდა იანი, აღარ გახსოვს, ხაჭოს რომ ყიდდა?

ახლა კი მომაგონდა. ეს ქალი მთელი დღე დუქანში იჯდა და ყველანი „ხაჭოს მზეთუნახავს“ ეძახდნენ. მახსოვს, სახეზე ფერუმარილწამულს მაშინ არც ყვრიმალეები ჰქონდა ასე წამოწეული და არც ტუჩებზე რაღაცეები. მე მას ყოველთვის დამეძღარს ვხედავდი და არ ვიცოდი, თუ ესე — მთქმედა აფეხები ფარგალს. ისიც მახსოვს, სოფლელები რომ ამბობდნენ, დუქანში ვაჭრობა იანის წყალობით მიდის კარგადო.

„ფარგალს“ ამკარად შეეტყო უკმაყოფილება და გაბრაზებულმა შემოიხედა. ასე შესტყერიან იმ ფრანგს, რომელსაც არაფერი სმენია ნაპოლეონზე, ან ამერიკელს, ვინც არაფერი იცის ვაშინგტონზე.

ქალმა ცივად გამიღიმა:

— დაგავიწყდი?... რას იზამ, ბედის ნებიერებს ჩვენთვის სადა სცალიათ.

— ოპ, როგორ გეკადრებათ. — დაბნეული წამოვდექი.

— ძმაო სინ, როგორც ვატყობ, გამდიდრებულხარ, აქედან ავეჯის თრევა გაგიჭირდება ანდა სულაც რაში გჭირდება ეს ხარახურა. მე დამიტოვე, ხომ იცი, ლარიბ ხალხს ყველაფერი გამოგვადგება.

— სულაც არ გავმდიდრებულვარ, პირიქით, ყველაფერს ვყიდით, რათა...

— აი-აი-აი, არ გეკადრება! ოლქის ზედამხედველი ხარ და არ გავმდიდრებულვარო, ამბობ? შენ ახლა სამი ცოლი გყავს, შენი ტახტრევიანიც რვა მუშას დააქვს... აბა, აბა, ეგეთები არ იყოს. ვერ მომატყუებ.

მივხვდი, მასთან ლაპარაკით ვერაფერს გავხდებოდი, და ენა ჩავიკდე.

— მართალი უთქვამს ხალხს: კაცი რაც მეტი მდიდარია, მით უფრო ძუნწია. და რაც უფრო ძუნწია, მით უფრო მდიდარიაო. — „ფარგალი“ გაბრაზებული შეტრიალდა და ლაქლაქით გაეშურა გასასვლელისკენ. თან დედაჩემის ხელთათმანი გააყოლა ხელს.

თითქმის ყოველდღე მოგვდიოდნენ სტუმრები, მეზობლები, ნათესავ-მოყვარეები. წუთით არ მქონდა მოცალეობა, ბარგი ჩამელაგებინა. ასე გავიდა რამდენიმე დღე.

ერთ ცივ სუსხიან დღეს, ნასადილევს ჩაის შევექცეოდი, რომ უცებ ეზოში ფანჯარასთან ვილატამ ჩაიარა. მაშინვე წამოვხტი და შესაგებებლად გავეშურე. ეს ეუნ-ტუ იყო. თუმცა პირველ დანახვისთანავე ვიცანი, მაინც ძალზე შეცვლილიყო. აღარაფერი დარჩენილიყო იმ ბიჭისგან, ვის სახესაც აგერ უავე რა ხანია მოგონებებში ვხედავდი. ოდესღაც მრგვალსა და ბრინჯაოსფერ ქარდაკრულ სახეზე ახლა მოყვითალო ნაცრისფერი დასდებოდა და ღრმა ნაოჭებითაც დაპფაროდა: თვალები მამამისივით ჩასწითლებოდა და შეშუპებოდა. ეუნ-ტუს გაცრეცილი ნაბდის ქუდი ეხურა, ბამბის თხელი ქურთუკი ეცვა და სიცივისაგან აბუზულიყო. ხელში ქალაღში გახვეული რილაც ეჭირა. ოდესღაც მსუქანსა და ჯანიან ხელებზე კანი დახეთქოდა და ხის ქერქივით გაუხეშებოდა.

ეუნ-ტუს ნახვამ იალზე გამახარა, მაგრამ ლაპარაკი ვერაფრით დამეწყო:

— მოხვედი, ძმაო ეუნ-ტუ?...

ენაზე რა სიტყვები აღარ მომადგა: ჩიტები, მტუნავი თევზები, ფერად-ფერადი ნიჟარები, ჩა... მეგონა, ამ სიტყვებს თავს მოვაბამდი, მაგრამ რაღაც მიშლიდა ხელს.

ქუნ-ტუს სახეზე სიხარულიც ეხატა და ნაღველიც. ტუჩებს ატოკებდა, თქმით კი ისიც ვერაფერს ამბობდა. ბოლოს თავს სძლია და მზერის სახეებით მომმართა:

— ბატონო...

ვიგრძენი, ცივად დამიარა რაღაცამ ტანში. მხოლოდ ახლავა მივხვდი, რა დიდი დრო გასულა, რა მაღალი კედელი აღმართულა ჩვენ შორის, მივხვდი და დანადვლიანებული დაედუმდი.

ქუნ-ტუ შემობრუნდა და ვილაკას უთხრა:

— შუი-შენ, მიესალმე ბატონს, — მერე ზურგს უკან მიმალული ბავშვი გამოიყვანა. ალიკვალი ქუნ-ტუ იყო, ის ქუნ-ტუ, დიდი ხნის წინათ რომ ვიცნობდი. მხოლოდ ამ ბიჭს სახე ოდნავ ფერმკრთალი ჰქონდა და გამხდარიც ჩანდა.

— ჩემი მეხუთე შვილია, სტუმრობას არ არის მიჩვეული და მორცხვობს. დედაჩემს და ხუნ-ერს ჩვენი ლაპარაკი შეესმათ და შემოვიდნენ.

— ქალბატონო, ძალიან გამეხარდა, ბატონი რომ დაბრუნდა, — უთხრა ქუნ-ტუმ.

— ეს რა მესმის, ქუნ-ტუ? წინათ ძმებივით იყავით და ახლა „ბატონიო“, ამბობ? ეგ აღარ გამაგონო, იცოდე. უწინდებურად დაუძახე, ძმაო სინ-თქო, — დაუყვავა დედაჩემმა.

— რას ამბობ, ქალბატონო, ზრდილობა კი არ დამიკარგავს! მაშინ ბავშვები ვიყავით და არაფერი გვესმოდა.

ქუნ-ტუმ შვილს ისევ უბრძანა, ბატონს თავი დაუკარიო, მაგრამ ბიჭი შემკრთალი ამოფარა მამის ზურგს.

— ეს ხომ შუი-შენია, შენი მეხუთე შვილი? სულაც არ მიკვირს, რომ მორცხვობს. აქ ხომ ყველა უცნობია მისთვის. სჯობს ხუნ-ერს ეთამაშოს, — თქვა დედამ.

ხუნ-ერმა შუი-შენს დაუძახა და ბიჭიც თამამად გაჰყვა თავის ტოლს.

დედამ ქუნ-ტუს სკამი შესთავაზა, ისიც მორიდებულად დაჯდა, თავისი გრძელი ჩიბუხი მაგიდას მიაყუდა და ქალაქში გახვეული რაღაცა გამომიწოდა:

— ცოტაოდენი მწვანე ცერცვი მოგართვით. თვითონ გავახმეთ. გთხოვთ იიღოთ, ბატონო...

ვკითხე, როგორ ცხოვრობ-მეთქი, მან თავი გაიქნია:

— ცუდად, ჩემო ბატონო. მეექვსე ბავშვი უკვე წამოიზარდა და გვშველის, მაგრამ საჭმელი მაინც არ გვყოფნის... ცუდად არის საქმე... ყველგან და ყველაფერში ფულია საჭირო, მოსავალიც გაფუჭდა. ძლივს მოვიწევთ რაღაცას, წავიღებთ გასაყიდად, მერე გადასახადს ვიხდით და მოგებაც არაფერი გვრჩება...

ქუნ-ტუს ნაოჭები დაღარული სახე გაქვავებული და უსისხლო მეჩვენა. ეტყობა, ტანჯვის მეტი არაფერი უნახავს ცხოვრებაში, გულს დარდი უხრავს

და გამოთქმით კი ვერ გამოუთქვამს. გრძელ ჩიბუხს დასწვდა და მღუმარედ მოსწია.

— დიდხანს თავს არ შეგაწყენთ, სახლში საქმეს რა გამოღვევს, ხვალვე უნდა წავიდე, — თქვა ეუნ-ტუმ.

— ახლა სამზარეულოში გადი, საჭმელი გაიციხელე, კარგად ინადილე და დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ, — უთხრა დედამ.

ეუნ-ტუმ რომ გავიდა, მე და დედამ ბევრი ვილაპარაკეთ მის მწარე ხვედრზე: დიდმა ოჯახმა, მოუსავლიანობამ, მძიმე გადასახადებმა, — ყველამ ერთად ხესავით ჩამოახმო ეს საცოდავი კაცი. დედამ მითხრა, რის წაღებასაც ვერ მოვახერხებთ, მას ვაჩუქოთო, ან რაც უნდა, თვითონ ამოიჩიოსო. მართლაც, ამოიჩია ეუნ-ტუმ ორი გრძელი მაგიდა, ოთხი სკამი, სასაქმევლე, შანდალი და სასწორი. ნაცრის წაღებაც უნდოდა (სამზარეულოში ბრინჯის ნამჭით ვანთებდით ცეცხლს. ნაცარი ეუნ-ტუმს მიწის გასანოყივრებლად სჭირდებოდა).

სალამოს კვლავ მოვიყარეთ თავი სალაპარაკოდ. ეუნ-ტუმ დაგვიბრდა, გამგზავრების დღეს მოვალე და მოგვხმარებითო. მერე მოკიდა შვილს ხელი და წავიდა.

გავიდა ცხრა დღე. დადგა გამგზავრების დროც. ეუნ-ტუმ დილიდანვე მოვიდა, შუი-შენის მაგივრად ხუთი წლის გოგონა მოიყვანა და დაავალა, ჯონკას უყარაუღეო. მთელი დღე ისე გავატარეთ ფაციფუცში, დალაპარაკებაც ვერ მოვახერხეთ. სტუმრები იბლომად შეიკრიბნენ: ვინ გასაცილებლად მოვიდა, ვინ — ავეჯისთვის და ვინ კიდევ — რისთვის. სალამო ხანს სახლი უკვე მთლად დაცარიელებული იყო, ერთი ნატეხი რა არის, იმასაც კი ველარ იპოვიდით ოთახებში.

რაც უფრო შორდებოდა ჩვენი ჯონკა ნაპირს, მით უფრო ჩამუქებულ ლურჯ ბინდბუნდში იკარგებოდნენ გორაკები. მე და ხუნ-ერი კაიუტის სარკმლიდან ვტკბებოდით ბუნების სიმშვენიერით. უცებ ბიჭმა მკითხა:

— ძია, უკან როდის დავბრუნდებით?

— დავბრუნდებითო? ჯერ არ წავსულვართ და უკვე დაბრუნებაზე ფიქრობ?

— შუი-შენმა მითხრა, სათამაშოდ წამოდი ჩემთანო, — ხუნ-ერს ფიქრი ჩაუდგა დიდ თვალებში.

მეც და დედაჩემსაც მოგვეძალა ნაღველი. ეუნ-ტუმ მოვიგონეთ.

— „ხაჭოს მზეთუნახავი“ ეს დღეები არ მოშორებია ჩვენს სახლს. ვითომ ბარგის ჩალაგებაში გვეხმარებოდა. ერთ დღეს ნაცარში ათიოდე თეფში და ფინჯანი იპოვა. ბევრი ვიფიქრეთ, ვინ იზამდა ამას და ბოლოს იანმა დაასკვნა, ეუნ-ტუმს მეტი ვინ იზამდაო, ვითომ ნაცარი უნდოდა და ჭურჭელსაც გააყოლებდა ხელსო. გულბოროტმა იანმა თვითონ რომ ველარაფერი იპოვა, ქათმების გობს დაავლო ხელი და გაბრაზებული დაგვემშვიდობა, გეყოფათ, საკბარისი პატივი გეცითო. მალაქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა, მაგრამ ისე სწრაფად გარბოდა, გაგიკვირდებოდა, — მითხრა დედამ.

თანდათან ვშორდებოდით ჩვენს ძველ სახლს, ვშორდებოდით მშობლიურ ადგილებს, მაგრამ მათთან განშორებას ახლა აღარ ვნანობდი.

მომეჩვენა, თითქოს უხილავი კედლები შემომეხვივნენ გარს და მთელი ქვეყნიერებისაგან მომკვეთეს. სევდა შემომაწვა. საზამთროს ბალების პატარა გმირი, ყელზე ვერცხლის სალტეშემოკრული ბიჭი, წინათ რომ ასე გარაკვევით

აღბეჭდილიყო ჩემს მეხსიერებაში, ახლა ნისლში იძირებოდა და თანდათან კრებოდა. სწორედ ამის გამო მტკიოდა გული.

დედამ და ხუნ-ერმა ძილს მისცეს თავი.

მეც წამოვწევი და ტალღების შხუილს მივუგდე ყურადღებით.

„ჩემი და ხუნ-ტუს გზები გაიყარა, — გავიფიქრე მეგობრობის დროს. გიეროდ ბავშვები მეგობრობენ. განა ახლა ხუნ-ერი უფი-შენზე არა ფიქრობს? მე მჯერა, მალე დადგება ისეთი დრო, როცა მათ მაღალი კედელი აღარ გაჰყოფთ, არც დამქანცავი ხეტიალი მოუწევთ ჩემსავით, არც სიღარიბე ხუნ-ტუსავით და არც გულბოროტება ზოგ-ზოგივით. მათ ახალი ცხოვრება ელით...“

ხუნ-ტუმ სასაკმევლე და შანდალი რომ მთხოვა, გუნებაში გამეცინა, რა ეკერპება-მეთქი, მაგრამ ის, რასაც მე ოცნებას ვეძახი, განა კერპი არ არის, თანაც ჩემი შექმნილი კერპი?

ძილ-ბურანში წასული ვხედავდი, მუქლურჯ ცაზე ოქროსფრად ბრწყინავდა დიდი, სავსე მთვარე...





მითხრობა

ინგლისურიდან თარგმნა მარინა ბართონიამ

მშვენიერი რამ იყო შიშველი ქალის მარმარილოს მომცრო ქანდაკება. უფრო მშვენიერი არც რა მენახა. ბებიაჩემის ბნელი, პირქუში სასტუმრო ოთახის კუთხეში იდგა პატარა, ნათელ ზმანებასავით. ხუთიოდე წლისა ვიყავი, წინ რომ დავუდგებოდი ხოლმე მოხიბლული და აღტაცებულ მზერას ვერ ვაცილებდი. მისი ფეხის თითებიც კი ისევე მელამაზებოდა, როგორც ყველა სხვა ნაკვთი. ხელის თითები გრძელი, თხელი და საოცრად მეტყველი ჰქონდა. ჩამოქნილი, კენარი ტანი წელში ოდნავ ძოვხარა და პატარა ძუძუებიც იმ ვაშლივით მრგვალი უჩანდა, თითებშუა რომ ჰქონდა მოქცეული.

ნეტა ვინ იყო იგი? იქნებ აფროდიტე. ვაშლი კი ალბათ ის საბედისწერო ოქროს ჯილდო, პარისმა რომ „ყველაზე ლამაზს“ არგუნა წილად. მაგრამ ჩემმა უფროსმა ბიძაშვილმა ვიქტორიამ, ევააო. მითხრა და მეც დავუჯერე.

მე და ევამ იმ ოთახში ისე დავიმყუდროვეთ, თითქოს პირი გვქონდა შეკრული. ევას შემოსასვლელში მდგარი გაშავებული ბრინჯაოს ათინა პალასივით კი არ ვესაუბრებოდი ხმამაღლა, მხოლოდ ჩუმად ვმსჯელობდი ხოლმე იმ ნივთებზე, მის წინ რომ იდგა. ისიც ჩემს დასკვნებს ძლივს შესამჩნევ, ფიქრიან ღიმილს აგებებდა და უსაზღვროდ მახარებდა. სხვები კი შემოდრიოდნენ და ისე ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, ჩვენი ოთახის სიჩუმეს სულაც არ დაგიდევდნენ. არლანდიელი ქალი მოლი ფათიფუთით ასუფთავებდა იქაურობას, თან გაუთავებლად ბუზღუნებდა და ხვნეშოდა. ვიქტორია ყვიროდა კიდევ. მხოლოდ ბეჩია არ არღვევდა სიჩუმეს — მისი სათუთი ხმა ნაზად გაიქროლებდა ხოლმე იქ გამეფებულ სიმყუდროვეში. უფრო უარესნი კი სტუმრები იყვნენ. ისე მიუსხდებოდნენ ფინჯან ჩაის და იმგვარად იყნოსავდნენ ხოლმე საოცარ სურნელს, შიში მიპყრობდა, აქედან ფეხსაც არ მოიცივლიან და ბებრულად უსასრულოდ გააბამენ-მეთქი: „ახლა კი ნამდვილად უნდა წავიდეთ“, „ძვირფასო, ხომ მოხვალ მალე“, ან კიდევ: „რა იქნა ჩემი ხელთათმანი?“ და სხვა.

მაგრამ წასვლით მაინც მიდიოდნენ. როგორც კი ფინჯნებს აალაგებდნენ

და მტვერსასრუტი ხალიჩაზე მიმოხეულ პურის ნამცეცებს ჩამოურბენდა, ოთახში შევიდოდი, ევას წინ ვჩერდებოდი და თავს ვიმტვრევდი იმაზე ფიქრით, ფთქვათ, იმ ბებრუხანას დანაოჭებულ კისერზე ხავერდის ყაითან რად პქონდა-მეთქი შემოხვეული. ჩემმა ბიძაშვილმა ვიქტორიამ მითხრა, ვიღაც ვიყი-
მა ყელი დაუსერა და ყაითნით მაღავს იმ საზარელ ნაიარევსო, ცოტა არ იყ-
ოს, ეჭვი მეპარებოდა ვიქტორიას ნათქვამში, მისი ნაამბობი თავსაქცევდა უფ-
რო ჩანდა. ევა კი მიღიმოდა. შესაძლოა ასეც ყოფილიყო.

ევა მხოლოდ ისეთ რამეზე გაიღიმებდა ხოლმე, რაც დანამდვილებით იცო-
და. იღიმებოდა, როცა იმ საბურთუთეებს ვიღებდი, თითის დაკარებაც კი რომ
ამიკრძალეს, იმიტომ, რომ ზოგი მათგანი ვერცხლისა იყო, ზოგიც — მინან-
ქრისა; თავსახურებზე ბრჭყვიალა მინიატურები იყო ამოტვიფრული. რომ დავაკ-
ვირდებოდი, იქიდან თვალების შუქი შემომანათებდა ხოლმე. ევა მაშინაც
იღიმებოდა, ხუთის ნახევარზე მეგაზეთე მგლისთავა ბიჭისათვის ენის გამოსა-
ყოფად ქუჩისპირა ფანჯრისაკენ რომ გავრბოდი, თუმცა გამაფრთხილეს, ერთი
უბედური ყმაწვილია და ცუდად ნუ მოეპყრობით. ევამ ისიც იცოდა, როგორ
კვანკალებდი შიშით მეძველმანეს ხმის გაგონებაზე, დროდადრო ისტ საიდის
მხრიდან რომ გამოჩნდებოდა ხოლმე და გაპყვიროდა: „ძველმანებს ცყიდულობ,
ძველმანებსო!“ ისე, დანამდვილებით ვერავინ იტყოდა, რას გაპყვიოდა, მაგრამ,
მგონი, უფრო ამ სიტყვებს იძახდა. ვიქტორია მაშინებდა, თუ მოიხელთა. პატა-
რა გოგონებს იჭერა და მონღღრეულ ორთვალაზე აკოკოლავებულ ძველმანებ-
სა და ქალღმერთში ახრჩობსო. ვიქტორიას დასანახად კი ვიცინოდი და თავ-
საც ვიმშვიდებდი — ვერ ხვდება, როგორ მეშინია-მეთქი, მაგრამ ევას რას გა-
მოვაპარებდი.

ზოგჯერ მხოლოდ ევაზე ვფიქრობდი, იმიტომ რომ ასეთი მშვენიერი იყო.
როცა ოთახში ბნელოდა, იმ ჩრდილდაფენილი კუთხიდან ანათებდა, დილით კი
მზე სხივებს რომ მოჰფენდა იქაურობას, ისე თვალისმომჭრელად ელვარებდა.
იფიქრებდი, სწორედ რომ შუქისგანაა ნაქანდაკებიო. უფრო სუფთა არაფერი
მეგულებოდა. არც ბებიას ღბილი ტყავის ხელთათმანი იყო უფრო სუფთა და
არც ქათქათა ცხვირსახოცზე ამოქარგული ყვავილები.

ერთხელ, ნაშუადღევს, ევასთან რომ ვიდექი, ვიქტორია ისე ჩუმად მომე-
პარა, ვერც კი გავიგე.

— აქ რას აკეთებ? — მკითხა მოულოდნელად.

შევხტი და შევეტრიალდი. მთელ სახეზე დასაბული ღიმილი შეპყინვოდა
და დაჭყეტილი. უაზრო თვალებით დაჟინებით მომჩერებოდა.

— არაფერს, — მივუგე და დანაშაულის უნებლიე შიში მყის გამიქრა.
რადგან არ ვტყუოდი: მართლაც არაფერს ვაკეთებდი. მაგრამ იმდენ ხანს არ
მომაცილა დაჟინებული მზერა და ისე გამომწვევად იღიმებოდა, თვალები
დაეხარე და გაპარვა დავაპირე.

— მოიცა!

— რაა?

— იცი, ეს რა არის? — მკითხა ეშმაკურად და ევას რომ ხელში ეჭირა, იმ
ვაშლზე მიმითითა.

— ვაშლი.

— არა, — მიპასუხა მთლად გაბადრულმა, სახე მომიახლოვა და თითქმის ჩამჩურჩულა, — ეს აკრძალული ხილია. — თითოეულ სიტყვას დამარცვლით და რაღაც შემზარავად წარმოთქვამდა.

— როგორი ხილი? — ვკითხე და თან უკან დავიხიე.

ლიბილი გაუქრა და დამაშტერდა. თვალები თანდათან გაუფართოვდა. მერე, ისეთი იდუმალი ხმით, თითქოს Rue Morgue-ზე მომხდარი მკვლელობის ან იმ გიჟის ამბავს მიყვებო, მახლობელ ხეივანში ზმუილით კეტს რომ იქნევდა უმთვარო ღამეებში, მიაშბო ედემის ბაღზე, ხესა და გველზე, ქალსა და მამაკაცზე — ადამსა და ევაზე.

— ...აკრძალული ხილი კი, — დაასრულა დაუნდობლად, — ცოდვაა, — ცოდვა, — კიდევ ერთხელ წაიჩურჩულა ეს სიტყვა და ევას პატარა ქანდაკებას ბოროტად დააცქერდა. მის მზერას შიშით მივაყოლე თვალი, რადგან მაშინვე მივხვდი, ცოდვა ხილი არ იყო, არამედ სხვა რამ, გამოუცნობი შიშითა და მწუხარებით რომ მავსებდა — მე ხომ ევა მიყვარდა. როცა ევას დავაშტერდი, მარმარილოს უსინათლო თვალებით სადღაც ჩემ მიღმა გაიხედა და გაიღიმა.

მგონი, პირველად მაშინ დავიღარდე. დღესაც მახსოვს, რა უცნაური გრძნობა დამეუფლა: სინანული, უსასოობა და კიდევ უფრო ძლიერი სიკვარული.

„ცოდვა“.

ვცადე ღრმად ჩამებეჭა გონებაში ეს სიტყვა და ამომეცნო მისი მნიშვნელობა. იგი ხომ ახლა ევას ეკუთვნოდა. მაგრამ ვერ შევძელი მის არსში ჩაწვდომა. შემდეგ ხმამაღლა წარმოვთქვი და მივაყურადე: „ცოდვა“.

ლამაზი სიტყვა იყო, როგორც „წვიმა“ ან „ილი“, მშვენიერი, ოღონდ სევდანარევი. „ცოდვა“. ეს მშვენიერი და სევდანარევი სიტყვა ევას ეკუთვნოდა.

ვიქტორიამ, წამითაც რომ არ მაშორებდა მზერას, უეცრად მკითხა: — თუ იცი, რა არის „ცოდვა“?

— არა, — მივუგე და კაცობად მომიხდა, იქაურობას გასცლოდა.

— არც ვეტივი, — მითხრა ცბიერად, — სამაგისოდ ჯერ ძალიან პატარა ხარ.

ამ ამბის შემდეგ ერთხანს ისე მშთანთქა გამოუცნობმა სევდამ, რომელსაც ევა მოეცვა, რომ ოთახში უხალისოდ შევედი. ვგრძნობდი, ევას ნუგეშისცემა შემეძლო. მას კი ჩამოქნილი თითებით ვაშლი ეჭირა და მიღიძოდა. მიკვირდა, რა აცინებს, როცა მის ირგვლივ ასეთი ცოდვა-მეთქი. დიდხანს ვუმზირე, ღიძილმა მომნუსხა და უეცრად მივხვდი, რომ მან ცოდვისა არაფერი იცოდა. საბრალო, პატარა ევა. აზრადაც არ მოსდიოდა, მის ირგვლივ ცოდვა რომ არსებობდა და ისიც სწორედ მას ეკუთვნოდა. ასე სპეტაკი და ლამაზი მშვიდად იღიმებოდა.

შობა რომ მოახლოვდა, ისევ შევედი ევასთან ძველებურად, უსაქმოდ. ამსტერდამის გამზირზე, გერმანული სათამაშოების მაღაზიაში ნანახ არაჩვეულებრივ და საკვირველ რამეებზე ვუამბე. იქ ერთხელ ჩასუქებული მოხუცი გერმანელი ვნახე, კეთილი და სევდიანი კაცი. ბებიამ მითხრა, პირველი მსოფლიო ომის დროს მის მაღაზიაში არავინ დადიოდა, იმიტომ რომ ამერიკელები და გერმანელები მაშინ მტრები იყვნენ. მე კი მჯეროდა, მტრად არ მთვლია-მეთ-

ქი. ევამ გამილიმა, მან ხომ იცოდა, მტერი რომ არ ვიყავი. ევას ელიმებოდა ოქროსფრად მოკაზმულ, ბრჭყვიალა სათამაშოებზე, ხისაგან გამოჩორკნილი თოჯინების დაღრეჯილ სახეებზე. ასეთი სახეები, ვიქტორიას თქმისა არ იყოს, გამოფიტულ ქონდრისკაცებს უფრო შეეფერებოდათ.

დიდი მოგზაურობიდან ვიღაცამ შინ ათასგვარ მაქმანებსა, ლაღის ნაკეთობებსა და აკვარელით ნახატ ქაიროს ხედებთან ერთად მშვენიერი კაბუჭარა ყუთი ჩამოიტანა. შიგ სახვევებში გამოკრული ყრმა იესო იწვევს ქვეყნის ქვეყნები გაბედულად ამოეწვდინა და თითები გაეშალა. ყოველ ქრისტეშობას ამოჰყავდათ იგი ყუთიდან და ტაბლაზე აწვენდნენ. ხელში თუ არ ავიყვანდი, მეც მრთავდნენ მასთან თამაშის ნებას. მაგრამ ის ისეთი პაწია, ლამაზი და თან გამბედავი ჩანდა, უბრალო თოჯინასავით ვერ ვეთამაშებოდი. ერთხელ, ნაშუადღევს, ისე მომაჯადოვა, ვეღარ მოვითმინე და ევასთან გავიყვანე. უსინათლო, მარმარილოს თვალებთან მივუტანე და დიდხანს, დიდხანს მეჭირა ასე. ევამ გაუღიმა და მეც შვებით ამოვისუნთქე. შემდეგ სინანულით გავხედე ვაშლს და ევას ზურგი ვაქციე. ყრმა იესო ტუჩებთან მივიახლოვე და საყვარელი, სევდიანი სიტყვა ჩავჩურჩულე. მაგრამ ვაეკაცურად ხელეზამოწვდილ, თითებგაფარჩხულ ყრმა იესოს თითქოს არც კი გაუგონია ჩემი ნათქვამი.

იმ ღამეს უსაქმოდ დავყილობდი სარდაფში, სადაც სამზარეულო გვექონდა. სამზარეულოს რომ გავუსწორდი, ბნელ დერეფანში ვიქტორიას შევეფეთე — დაკეტილ კართან მიცუცქულიყო და ხმების ზუზუნისთვის მიეგდო ყური. მან უმაღლვე მიმიზიდა თავისკენ და პირზე ამაფარა ხელი.

— წადი, — გამოსცრა ბრაზით, — გაბრუნდი. — მაგრამ ისე ვიყავი შეშინებული, რომ მასვე ჩავებლაუჭე უმწეოდ. დერეფანში გამიძღვა და ჩაბნელებულ კიბეზე ამიყვანა ჯიკავ-ჯიკავით. პირიდან ხელს არ მაცილებდა. ვტიროდი, ის კი, ბრაზმორეული, ამოდ ცდილობდა ჩემს გაჩუმებას.

— ყური მიგდე, — წაისისინა ბოლოს, — თუ არავის ეტყვი, იქ რომ მნახე, საშინელ ამბავს გიამბობ.

— არავის ვეტყვი, — წავისლუკუნე მის მუჭში; ისე ვიყავი დაფეთებუ-ლი, დაბეზლება არც მიფიქრია.

— იცი, ვინ იყო სამზარეულოში? ვინა და მოლი.
გამახსენდა, მოლი მართლა უნდა მოსულიყო იმ ღამით. ბებიათ ტყიცინა ფული რომ ჩადო კონვერტში, ასე თქვა, მოლი საშობაო საჩუქრისთვის გამოივლისო.

— მოლი, — განაგრძო ვიქტორიამ, — ტიროდა. საშინელი ამბავი მომხდარა. მისმა ქალიშვილმა, — იგი დატყუებული, შიშისმომგვრელი თვალეებით მომჩერებოდა, — მისმა ქალიშვილმა შესცოდა.

— რაა? — ვკითხე შეშფოთებით და ევა წარმომიდგა მაშინვე. შემეშინდა. ისევ არ ავღრიალდე-მეთქი, ხელები მაგრად მოვმუჭე და ფეხის თითებიც ისე მოვკაკვე, მეტი აღარ შემეძლო.

— ბავშვი ჰყოლია! — მკაცრად გადმომხედა გაბრაზებულმა, თითქოს მე მიმიძლოდა ბრალი. უკან დავიხიე.

— მაშ, არ იტყვი, იქ რომ მნახე?
— როგორ შესცოდა? — არ მოვეშვი. თვალწინ წარმომიდგა ყრმა იესო და ბნელ კუთხეში მბრწყინავი ევა, ჩვილს რომ უღიმოდა.

— ბავშვი ჰყოლია-მეთქი, ხომ გითხარი, — მიპასუხა სულმოუთქმელად

და, რომ შემომხედა, თვალეში შეუმჩნეველი, ცბიერი გამომეტყველება გაუკრთა.



- მეფე დავითიც ცოდვილია.
- ბიბლიის მეფე დავითი? — ჩავეძიე.
- ჰო, სიტყვა მომეცი, რომ არავის ეტყვი.
- კარგი, — ვუპასუხე.

შევეცადე ყველაფერი გამეხსენებინა, რაც კი მეფე დავითზე ვიცოდი, მაგრამ ერთადერთი ლექსის დასაწყისის გარდა არაფერი მომაგონდა: „დავით მეფე დასოლომონ მეფე მხიარულობდნენ“.

მეფე დავითი, დიდებულად ეღერდა, როგორც მოხუცი მეფე საული. ის კი ერთი მხიარული მოხუცი გახლდათ.

მინდოდა წარმომედგინა, რა ცოდვა აწვა მეფე დავითს. ნეტა ევასავით ვაშლი ეჭირა ხელში? რატომღაც ვფიქრობდი, მოლის ქალიშვილივით ბავშვი ნამდვილად არ ეყოლება-მეთქი.

იმ ღამით რომ დავწექი, კვლავ ცოდვაზე ვფიქრობდი. ვიყნოსავდი სუმბულის სურნელს, თეთრეულს რომ ასდიოდა, და ეჩურჩულებდი: „ცოდვა“, ფრთხილად გამოეყოფდი სიტყვათა სიმრავლიდან და ვაჯამებდი ყველაფერს, რაც კი ვიცოდი: ევას ცოდვა საკუთარი ნატიფი თითებით ეჭირა და მარმარილოს თვალეებით სადღაც მის მიღმა იცქირებოდა. მოლის ქალიშვილმა შესცოდა (ნეტა ევასავით ლამაზი იყო?) და ეყოლა შვილი: პატარა, სახვევებიდან ხელებამოწვდილი და თითებგაფარჩხული მამაცი ყრმა. ცოდვა. არა, სულაც არ იყო ეს სიტყვა სევდიანი.

ბილის წინ ბებია რომ შემოვიდა, წამოვჯექი, სურნელოვან, ხავერდით ლოყაზე ვაკოცე და საიდუმლოდ ვკითხე: — მეფე დავითი რას აკეთებდა?

— მეფე დავითი რას აკეთებდა? მეფე დავითი ქნარზე უკრავდა! — მომიგო მხიარულად და მისი პასუხი სიმღერის დასაწყისივით ჩამესმა:

ქნარზე უკრავდა მეფე დავითი, ცოდვილი მეფე. საყვარელია, მშვენიერია ცოდვა. ცოდვილი მეფე ქნარზე უკრავდა.

ჯერ ნელა, შემდეგ ერთბაშად სადღაც გაქრა გაურკვეველი სევდის კვალიც კი და მისი ადგილი მხიარულებამ შეავსო.

და მე ვიხილე ისინი: ჩემ სიახლოვეს ცრიატდებოდნენ წყვდიადში და უჩინარ საქანელაზე ლაღად ირწეოდნენ: დავით მეფეს ზე აეწია ქნარი, მოლის ქალიშვილის პირმშოს სახვევებიდან გაბედულად ამოეწვდინა ხელები. მაგრამ ყველაზე ნათელი მაინც ევა იყო, განუყრელი ვაშლით, პირღიმელიანი და ცოდვით გაბრწყინებული.



ერთხელ, შემთხვევით, ძველ ჟურნალში წავაწყდი
კროსვორდს.

ჰორიზონტალურ პნკარებს სცვლიდა ვერტიკალური:
ტოლსტოის გმირი, ოპერეტის სახელწოდება,
რუსი მკვლევარი
და ასე შემდეგ.

მეოთხე გრაფა ეხებოდა ჭადრაკის წესებს:

„ფიგურა, რომელსაც უკუსვლა არ შეუძლია“

და ცარიელი ხუთი უჯრა ელოდა სიტყვას.

ალბათ პაიკი? რა თქმა უნდა!

მაგრამ პაიკი?..

ჩემს ბავშვობაში ჭადრაკს ბევრჯერ გავუტაცნივარ,

ის დიდ ფიგურად არასოდეს მიმიჩნევია,

რომელსაც თურმე არ შეეძლო უკან დახევა.

იმ დროს პაიკს ვინ დაგიდევდათ.

მეფეს ვიტავდი.

თანახმად ყველა საჭადრაკო თეორიისა.

ოფიცრებსა და დედოფალს რომ მოვფრთხილებოდი,

მხოლოდ პაიკებს ვწირავდი მსხვერპლად.

და ახლა, აგერ, ამ დაცრეცილ ფურცლებმა, სადაც

ჭრელი სიტყვები ერთმანეთში არეულიყო.

მე შთამაგონა:

არ ეგების უკან დახევა.

ყოველთვის უნდა წინ იარო,

წინ მარტოოდენ,

თუ ილუპები, გამარჯვების გზაზე დაეცი!

ალბათ უნებურ ღიშოლს მოვგვრი მოჭადრაკეებს,

მაგრამ დღეიდან უკვე მეფეს კი არ დავიტავ.

ანდა „დიდებულ ამაღას“ მისას,

არამედ პაიკს,

იმ პატარა რკინის ჯარისკაცს,

ვისაც ბრძოლაში არ სჩვევია უკან დახევა...

იქნებ ასეთი შესწორების შეტანაც შეეძლო:

იმ მოთამაშეს გამარჯვება მივაგოთ მხოლოდ.

ვისაც პაიკი უფრო მეტი დარჩება ბოლოს.



ფრანგულიდან თარგმნა იროდიონ ქავთარაძემ

პიერ ჟიული სტალი (1814-1884)

ჯედმეტი ვაშლი

ერთმა ჭაბუკმა მეცნიერ ფრანკლინს ჰკითხა:

— რატომაა დიდი ქონების მქონე ადამიანი მუდამ შეწუხებული და აფორიაქებული?

ამ დროს ფრანკლინმა თვალი მოჰკრა ხილით სავსე კალათს, იქიდან ერთი ვაშლი ამოიღო და იქვე თამაშით გართულ ბავშვს მიანოდა. ვაშლი პატარას ხელში ძლივს დაეტიო. ფრანკლინმა მეორე ვაშლიც მისცა. გაბარებულმა პიჭუნამ ის ვაშლი მეორე ხელში დაიჭირა.

ბოლოს ფრანკლინმა იმ ორზე უფრო ლამაზი ვაშლი ამოარჩია და იმავე ბავშვს მიანოდა. პატარამ ვაშლებიანი ორივე ვაშლი მეორედ მიიჭრა და შეეცადა მესამე ვაშლიც ზედ მოეთავსებინა. მაგრამ იგი ნობზე დაუფარდა და ტირილი მორთო.

მაშინ ფრანკლინი ჭაბუკს მიუბრუნდა და უთბრა:

— ამ პატარა ადამიანს დიდი სიმდიდრე ერგო, მაგრამ ვერ კი ისარგებლა. ორი ვაშლის პატრონი ბედნიერი იყო, მესამემ კი ბედნიერება ჩაუშხამა.

ჟან ფრანსუა დე ლა არკი (1739-1803)

ფლორენციის ლომი

ტოსკანის დიდი პერცოგის სამხეციდან ლომი გაიქცა, ქალაქ ფლორენციაში შეიჭრა და ხალხს თავზარი დასცა. სხვებთან ერთად გაქცეულ ერთ ქალს თოთო ბავშვი ხელიდან გაუვარდა. ლომმა ბავშვი თათით აიჭაცა და შეჭმა დაუპირა.

დედა იმნამსვე დაბრუნდა, ლომს ფეხებში ჩაუვარდა, შვილის დაბრუნება შესთხოვა. ლომმა შეხედა, ეტყობა, დედის მოთქმამ და ცრემლებმა ლომზე იმოქმედა, და ჩვილი უვნებლად დასვა მიწაზე.

* დახასრული. დასაწყისი იხ. № 2.



პროსპერ მერიში (1803-1870)

ესპანური ქორწილი

ანდუჟარის ერთ ფერმაში გახურებული ქორწილი იყო. დაქორწინებულთ მეგობრებმა უკვე მიუღოცეს და ახლა სუფრასთან სხდებოდნენ სახლის წინ, დიდი ლეღვის ხის ძირას. ყველა კარგ გუნებაზე იყო.

აყვავებული ყასმინები და ფორთოხლის ხეები სურნელებას აფრქვევდა. მაღის აღმდგრელი მრავალნაირი კერძების სიმძიმეს სუფრა ძლივს უძლებდა.

უცბად ხეებში ცხენოსანი გამოჩნდა დამბაჩის სროლის მანძილზე. უცნობი მსუბუქად დაქვეითდა, სტუმრებს ხელის ქნევით მიესალმა. მერე ცხენი თავლაში დააბინავა. მას არავინ ელოდა, მაგრამ ესპანეთში ყოველი გამვლელი სასურველი სტუმარია და სუფრაზე უთუოდ მიიპატიჟებენ ხოლმე. შემოსწრებული თავისი ჩაცმულობით ღირსეული კაცი ჩანდა. ნეფე მაშინვე სტუმრებს მოშორდა და ახალმოსული სუფრაზე მიიწვია.

როდესაც აქა-იქ ჩუმად იკითხეს, ეს უცნობი ვინააო, ანდუჟარის ნოტარიუსს, რომელიც ქორწილს ესწრებოდა, მკვდრისფერი დაედო. სცადა ნამომდგარიყო სკამიდან, რომელიც პატარძლის გვერდით იდგა, მაგრამ მუხლებმა უძტყუნა, ფეხები ვერ დაიშორწილა. ერთი წვეულთაგანი, რომელზეც ეჭვი ჰქონდათ, კონტრაბანდისტი არისო, პატარძალს მიუახლოვდა და უთხრა:

— ეს ცნობილი ესპანელი ფირალია, ჟოზე მარია. თუ არ ვცდები, ის აქ რაღაც უბედურების დასატრიალებლად მოვიდა. ამ ნოტარიუსის ჯაერი ჭირს. მაგრამ რა ვქნათ? ნოტარიუსი გავაქციოთ? შეუძლებელია. ჟოზე მარია მაინც დაიჭერს. დავაპატიმროთ ფირალი? მაგრამ თავისი რაზმი უთუოდ ამ არეშარეში ეყოლება. ამასთან დამბაჩებს თან ატარებს და ქამარზე მუდან ხანჯალი ჰკიდია.

— ნეტა ბატონმა ნოტარიუსმა რა დაუშავა?

— ემ, არაფერი, სრულიად არაფერი.

ვილაცამ ჩაიჩურჩულა:

— ორი თვის წინ ნოტარიუსს თავის ფერმერისთვის უთქვამს: ჟოზე მარიამ რომ მთხოვოს, ერთად დავინო დავლიოთო, ჭიქაში დარიშხანას ჩავუყრიო.

სტუმრებმა ვერაფერი გადაწყვიტეს. უცნობი ისევ გამოჩნდა ნეფის თანხლებით. ეს მართლაც ჟოზე მარია იყო. ჩავლის დროს ფირალმა ვეფხვის თვალით შეხედა ნოტარიუსს, რომელიც ციებიახვით კანკალებდა.

ფირალი პატარძალს მოწინებით მიესალმა და სთხოვა, ქორწილში ცეკვის ნება მომეცითო. დედოფალი ფრთხილად მოიქცა, არც უარი უთქვამს და არც უკმაყოფილება გამოუხატავს. ჟოზე მარიამ მაშინვე სკამს წამოავდლო ხელი და მოუბოდიშებლად დედოფლის გვერდით გამოიჭიმა. მეორე მხარეს ნოტარიუსი იჯდა, რომელსაც მიშისაგან ლამის გრძნობა დაეკარგა.

ფირალმა ახალგაზრდა ქალს უთხრა:

— გთხოვთ, თქვენს მონა-მორჩილად მიგულოთ. ისე მოვიქცევი, როგორც მიბრძანებთ.

მაშინ შიშით აკანკალებულმა დედოფალმა ყურში ჩასჩურჩულა:

— პატივი დამდეთ.

— მარად მზადა ვარ! — წამოიძახა ჟოზე მარიამ.

— დაივიწყეთ, გემუდარებით, ის ავი განზრახვა, რამაც შეიძლება აქ მოგიყვანათ. შემპირდით, რომ ჩემი ხათრით თქვენს მტრებს აპატიებთ და ჩემს ქორწილში აურზაურს მოერიდებით.

ნოტარიუსო! — მიმართა ფირალმა აკანკალებულ კანონის კაცს. — ამ ქალბატონს უმადლოდეთ, თორემ მირთმეული საჭმლის მონელებამდე მოგკლავდი. ან ნუ გეშინია, ჩემგან ცუდს ნურაფერს მოეღი.

მერე ჭიქაში ღვინო დაუსხა და ოდნავ ბორბოტი ღიმილით დაუმატა:

— ნოტარიუსო, ჩემი სადღეგრძელო შესვი! კარგი ღვინოა და არც მონამლულია. უბედურ ნოტარიუსს ეგონა, ას ქინძისთავს ყლაპავდა.

— აბა, ყმანვილებო! დრო გავატაროთ, — წამოიძახა ფირალმა, მარტად წამოიჭრა და გიტარის მოსატანად წავიდა. ნეფე-დედოფლის პატივსაცემად სტუმრები იმპროვიზებული კუპლეტები იმღერეს.

ერთი სიტყვით, სადილობისას და მეჯლისზეც ისე კარგად ეტყუოდნენ ულზე მარია, რომ მანდილოსნებს ცრემლი მოერიათ იმის გაფიქრებაზე, ამ მშვენიერმა მწიფეულმა შეიძლება ერთ დღეს სახრჩობელაზე სული დალიოსო.

ყოზე მარია ხან ცეკვავდა, ხან მღეროდა.

შუალამისას თორმეტი წლის ძონძებიანი გოგონა მიუახლოვდა ფირალს და რამდენიმე სიტყვა ბოშურად უთხრა. ყოზე მარია წამოიჭრა, თავლაში გაიქცა, თავისი დიდებული ცხენი აღვირით მიუყვანა პატარძალს და უთხრა:

— მშვიდობით, თქვენ მახლობლად გატარებული დღე არასოდეს დამავინწყდება, კარგა დიდი ხანია ამისთანა ბედნიერი დღე არ მქონია. იყავით ისეთი კეთილი და ნება დამრთეთ საწყალ ფირალს ეს საჩუქარი მოგართვათ, — ყოზე მარიამ პატარძალს ლამაზი ოქროს ბეჭედი მიანოდა.

— ყოზე მარია! — წამოიძახა პატარძალმა, — სანამ ამ ოჯახში ერთი პური მაინც იქნება, ნახევარი თქვენად იგულეთ.

ფირალმა ყველა სტუმარს ხელი ჩამოართვა, მათ შორის ნოტარიუსსაც. მერე მსუბუქად მოახტა უნაგირს და თავის მთებს მიაშურა. ნოტარიუსმა თავისუფლად მაშინლა ამონსუნთქა.

ნახევარი საათის შემდეგ ჯარისკაცთა რაზმი მოვიდა, მაგრამ ის კაცი, ვისაც ისინი კითხულობდნენ, აქ არავის ენახა.

ფრანსუა კოკე

(1842-1908)

ოდროს ფული

ლუსიენ დე ემმა დაინახა, როგორ მოხვეტეს ფოცხით მისი უკანასკნელი ასი ფრანკი. თავბრუ დაესხა, რულეტის მაგიდას მოშორდა. ეს იყო საბოლოო შებრძოლებისათვის შემონახული მისი პატარა ქონების ნარჩენი. მუხლმოკვეთილი, ტყავგადაკრულ მერხზე დაეშვა, რომელიც ბანქოს სათამაშო დარბაზს წრიულად უვლიდა. დარბაზში, სადაც თავისი ახალგაზრდობის საუკეთესო წლები დაკარგა, ჩახჩახა შუქზე დაღლილი სახეები და მელოტი თავები დაინახა.

გაკოტრებულს და იმედდაკარგულს გაახსენდა, რომ კომოდის უჯრაში დამბარა ედო, რომელიც ალჟირის ციხე-სიმაგრის აღების დროს ჰქონდა მამამისს, მაშინ კაპიტანს, მერე კი გენერალ დე ემს.

დაღლილ, განადგურებულ ლუსიენს მაგრად ჩაეძინა. როცა გამოეღვიძა, პირი გამშრალი ჰქონდა. კედლის საათს შეხედა, თითქმის ნახევარი საათი ეძინა. ღამის სუფთა ჰაერის ჩასუნთქვა მოუნდა. თორმეტი საათს თხუთმეტი წუთი აკლდა, როცა ადგა და გაიხშორა. მაშინ მოაგონდა, რომ ხვალ შობა იყო, ისიც გაახსენდა, პატარა ბავშვები შობის წინა ღამეს, დაძინებამდე, ბუხრის წინ ფეხსაცმელს როგორ დებენ, რომ შიგ საჩუქარი ჩაუდონ.

ამ დროს მოხუცი დრონსკი, ბანქოს სათამაშო დარბაზის ყოველდღიური სტუმარი, ლუსიენს მიუახლოვდა და ხრინწიანი ხმით ჩასჩურჩულა:

— მასესხეთ, ბატონო, ხუთი ფრანკი. ორი დღეა, კლუბს არ მოვშორებივარ და ორი დღის განმავლობაში „ჩვიდმეტი“ არ გამოსულა. გინდაც დამცინეთ, მაგრამ ხელს მოვიჭრი, თუ იმ დროს, როცა კედლის საათი თორმეტჯერ დარეკავს, ეს ნომერი არ გამოვიდეს.

ლუსიენ დე ემმა მხრები აიჩეჩა, ჯიბე ცარიელი ჰქონდა. წინკარში გავიდა, ქუდი დაიხურა, ქურქი ჩაიცვა და კიბე ციებიანი კაცივით აკანკალებულმა ჩაირბინა. ვინემ ლუსიენი ბანქოს სათამაშო დარბაზში ოთხ საათს იყო ჩაკეტილი, გარეთ უხვად დაუთოვია.

პარიზის მაღალშენობებიანი ქუჩა სულ თეთრი იყო. მონმენდილ ცაზე ვარსკვლავები ცივად ციმციმებდა. გაკოტრებული მოთამაშე ქურქში კანკალებდა და აჩქარებით მიდიოდა, სასონარკვეთილს ახლა უფრო მაღიმალ აგონდებოდა კომოდის უჯრაში შენახული დამბაჩა. მაგრამ რამდენიმე ნაბიჯი რომ გაიარა, დიდად სამწუხარო სურათს წაანყდა. დათოვლილ ქვის სკამზე, სასტუმროს სადარბაზო კარის მახლობლად, კეტარტე ჯოჯონა იჯდა, ექვსი-შვიდი წლისა, დაძონძილი შავი კაბა ეცვა. მიუხედავად კაშკაშებული სიცივისა, ჩასძინებოდა. დაღლილი, სევდიანი იერი ჰქონდა. გაყინულ ქვაზე იწვა, პატარა თავი და ნაზი მხარი სახლის კედელზე მიეყრდნო, ცალი ძველი ფეხსაცმელი გასძრომოდა.

ლუსიენმა დაუფიქრებლად ფილუტისკენ წაიღო ხელი, მაგრამ ოცი სუც კი არ ჰქონდა, კლუბის მსახური ბიჭისთვის ეწუქებინა. ბავშვი ძალიან შეებრაღა. მიუახლოვდა და განიზრახა გოგონა ჩაეხუტებინა, შინ წაეყვანა, ერთი ღამე მაინც მოეწლო. ამ დროს თოვლზე დაგდებულ ფეხსაცმელში რაღაცამ გაიბრჭყვიალა. დაიხარა, ეს ოქროს ფული — ლუიდორი იყო.

ვიღაც გულმონყალე ადამიანი, ალბათ ქალმა, ამ შობის წინა ღამეს დაინახა ფეხსაცმელი დაძინებული გოგონას წინ და არსებული ჩვეულების მიხედვით შიგ ლუიდორი ჩაუდო. ეს მათხოვრისთვის სიმდიდრე იყო, კარგა დიდხანს არაფერი გაუჭირდებოდა. ლუსიენმა გოგონა კინალამ გააღვიძა, რომ ეს ეთქვა, მაგრამ ამ დროს თითქოს პოლონელის ხრინწიანი ხმა ჩაესმა:

— ორი დღეა, რაც კლუბში ვარ და ორი დღის განმავლობაში „ჩვიდმეტი ნომერი“ არ გამოსულა. ხელს მოვიჭრი, თუ „ჩვიდმეტი“ არ გამოვიდეს, როცა ღამის თორმეტ საათზე კედლის საათი დარეკავს.

მაშინ ამ კარგი შთამომავლობის, ოცდასამი წლის ახალგაზრდა კაცს, რომლის გვარსაც ბევრი მაღალი სამხედრო წოდების ადამიანი ამშვენებდა და რომელსაც სამარცხვინო არასოდეს არაფერი ჩაუდენია, საშინელი აზრი დაებადა, გიჟურმა სურვილმა შეიპყრო. ჯერ გარშემო მიმოიხედა — მარტო იყო, ამ უდაბურ ქუჩაში არავინ ჭაჭანებდა, მერე ჩაიჩოქა, აკანკალებული ხელი ფრთხილად გასწია, ფეხსაცმელში ჩადებული ოქროს ფული ამოიღო და სირბილით გაიქცა ბანქოს სათამაშო დარბაზისკენ. კიბე აირბინა, წყუული დარბაზის კარი მუშტის კვრით გააღო. სწორედ იმ დროს შევიდა, როდესაც კედლის საათმა შუალამის პირველი ზარი დარეკა. ოქროს ფული მწვანე ქსოვილით გადაკრულ მაგიდაზე დადო და დაიძახა:

— მთლიანად ჩვიდმეტზე!

ჩვიდმეტმა ნომერმა მოიგო. ლუსიენმა ახლა ოცდაათექვსმეტი ლუიდორი დადო, წითელმა მოიგო. ლუსიენმა სამოცდათორმეტი ლუიდორი იმავე ფერზე დატოვა, ისევ წითელი გამოვიდა. მან დასაბუნი თანხა გააორმაგა, გაასამმაგა. ბედი გაუთავებელივ წყალობდა. წინ დაუგროვდა ქალაღისა და ოქროს ფულები. მისი ყოველნაირი კომბინაცია წარმატებით მთავრდებოდა. ბედი გაუგონრად, წარმოუდგენლად წყალობდა. კაცი იფიქრებდა, რომ სპილოს ძვლის ბურთი, რომელიც რუღეტზე ტრიალებდა, მოთამაშეს მოეჯადოებინა: თორმეტი ხელი მოიგო და ამ საღამოს წაგებულნი ის ასი ფრანკიც, თავისი უკანასკნელი საარსებო წყარო, დაიბრუნა. ახლა ბედის წყალობით ორასი თუ სამასი ლუიდორი ჰქონდა, იმაზე მეტი თანხა, რაც მემკვიდრეობით ერგო და ასე მოკლე ხანში გაანიავა. ტანისამოსის ჯიბეები ფულით აივსო, და მაინც თამაშს გიჟივით, მთვრალივით განაგრძობდა. სათამაშო მაგიდაზე, რამდენიც ხელში მოხვდებოდა, ფულს დარწმუნებით და ზიზღით ჰყრიდა.

მაგრამ გულში თითქოს გავარვარებული რკინა ედო, თვალწინ სულ თოვლში ჩაძინებული მათხოვარი ბავშვი ედგა, რომელიც გაქურდა:

„გოგონა ალბათ ისევ იმ ადგილასაა. უთუოდ იქ იქნება... აი, ახლავე, როგორც კი პირველ საათს დარეკავს, წავალ. ვფიცავ... ბავშვს ხელში ავიტაცებ, შინ წავიყვან, ჩემს ლოჯინში ჩავანვენ. გამოვზრდი, გავამზითვებ. სულ მუდამ მეყვარება და ისე მოვუვლი. როგორც საკუთარ შვილს!“

კედლის საათმა პირველი საათი კვლავ დარეკა. მერე თხუთმეტი წუთი, ნახევარი. ორმოცდახუთი წუთი, მაგრამ ლუსიენი კვლავ იმ წყუულ მაგიდას უჯდა. ბოლოს, ორ საათს რომ ხუთი აკლდა, თამაშის წამყვანი წამოდგა და ხმამაღლა განაცხადა:

— თამაში დამთავრდა... დღეისთვის საკმარისია....

ლუსიენი მაშინვე წამოხტა და უხეშად მოიშორა მის გარშემო მდგომი მოთამაშენი, რომლებიც შურით შესცქეროდნენ, სწრაფად ჩაირბინა კიბე და ქვის სკამისკენ გაქანდა. გაზის სინათლეზე შორიდან დაინახა პატარა გოგონა.

— მადლობა ღმერთს! — წამოიძახა, — ბავშვი ისევ იქაა.

მიუახლოვდა, მკლავზე ხელი მოჰკიდა.

ოჰ! როგორი ცივია! საწყალი პანია!

ხელში რომ აიყვანა, გოგონას თავი უკან გადაუვარდა. არ გაღვიძებია.

— პატარაა, იმიტომ სძინავს ასე მაგრად!



მკერდზე მიიკრა, რომ გაეთბო. მაგრამ რაღაც გაურკვეველმა შიშმა შეიპყრო. მოინდომა ღრმად ჩაძინებული ბავშვი გაეღვიძებინა, თვალეში აკოცა. მაშინღა შეამჩნია შემოთვებულია, რომ უსიცოცხლო თვალეების ქუთუთოები ნახევრად ღია ჰქონდა პატარას. ლუსიენმა პირი პირთან მიუტანა გოგონას, ბავშვი არ სუნთქავდა. ვინემ ლუსიენი იმ ლუიდორით, რომელიც მათხოვარს მოჰპარა, ამდენ ფულს მოიგებდა, უსახლკარო ბავშვი მომკვდარიყო. ლუსიენს თავზარი დაეცა, სული შეეხუთა, უნდოდა ეყვირა... თავს ძალა დაატანა და კლუბის მერხზე გაეღვიძა. შუალამეს ცოტა აკლდა. თურმე ჩასძინებია და ეს კომშარული სიზმარი ძილში ენახა.

სათამაშოს სახლის მსახური დილის ხუთ საათზე წასულა. გაკოტრებული ლუსიენი შესცოდებია და მძინარე დაუტოვებია.

დეკემბრის ღრუბლიანი ცა ამომავალ მზეს გაენითლებინა, ლუსიენი სათამაშო სახლიდან რომ გამოვიდა. ყინვას ფანჯრების მინები გაეთეთრებინა. თავისი საათი დააგინარა, იბანაეა, ისაუზმა და მოხალისეთა ბიუროში წავიდა აფრიკის ეგერთა პოლკში მობალისედ ჩასაწერად.

ახლა ლუსიენ დე ეში ლეიტენანტია. ცხოვრობს მხოლოდ ხელფასით. კარგი ოფიცერია. ფულზე აღარ თამაშობს. ჩანს, ხელფასის დაზოგვასაც ახერხებს. ერთ დღეს ალჟირში ლუსიენი კასპას აღმართზე ადიოდა. რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით ამხანაგაც მისდედა, რომელმაც დაინახა, რომ ლუსიენმა კართან ჩაძინებულ პატარა ესპანელ გოგოს მოწყალეობა მისცა. ამხანაგი ახლოს მივიდა იმის გასაგებად, ლუსიენმა მათხოვარ გოგონას რამდენი უწყალობაო, და დიდად გააოცა ღარიბი ლეიტენანტის გულკეთილობამ.

პატარა გოგოს ხელში ოქროს ფული ლუიდორი ედო.

პოლ ფავალი
(1817-1887)

მინი მზ მისი წერილი

ჯანი ექვსი წლისა იქნებოდა. ისეთი ხშირი და ხუჭუჭა ქერა თმა ჰქონდა, ორ ტურ-ფ მანდილოსანს დაამშვენებდა. ლურჯ, ნამტირალევ თვალეში ზოგჯერ მაინც ღიმილი უჩრთოდა. ეცვა პატარა, კობხად შეკერილი ქურთუკი, მაგრამ დაფლეთილი ფეხსაცმეული მარჯვენა ფეხზე გოგონასი, მარჯვენაზე კი გიმნაზიელი ბიჭისა, ორივე დიდი ზომისა. ერთის წვერს პირი დაედო, მეორეს საქუსლე მოჰგლეჯოდა. ასე ჩაცმულ ბავშვს სჯობდა და შიოდა, რადგან ზამთრის საღამო იყო — გუშინდელს აქეთ არაფერი ეჭამა.

მან გადაწყვიტა ღვთისმშობლისთვის წერილი გაეგზავნა. მახლობელ ქუჩაზე ჯიხური ეცვა, სადაც მოხუცი ხეიბარი ჯარისკაცი დაკვეთით წერდა თხოვნის წერილებს. ჯანი მივიდა ამ ჯიხურთან და ფანჯრის მქრქალ მინიდან დაინახა: ხეიბარი ჩიბუხს აბოლებდა და მუშტრებს ელოდა, ბავშვი შევიდა და უთხრა:

— დილა მშვიდობისა. მე მინდა, წერილი დამიწეროთ.

— ათი სუ დირს, — უპასუხა მოხუცმა ბუნმა.

ჯანს ქუდი არ მოუხდია, რადგან არ ჰქონდა, მაგრამ ზრდილობიანად უთხრა:

— მაშინ მომიტევეთ. — ბავშვმა კარი გააღო წასასვლელად.

მოხუცს ზრდილობიანი ბავშვი მოეწონა და ჰკითხა:

— პანიაგ, შენ სამხედრო პირის შვილი ხარ?



ქართული

— არა, — უპასუხა პატარა ჟანი, — მე მარტოხელა დედის შვილი ვარ.

— პოო! — თქვა ინვალიდმა, — მაშ ათი სუ არა გაქვს?

— რას ბრძანებთ! მე ერთი სუც არა მაქვს...

— არც დედაშენს?

— არც დედას არა აქვს.

— ეს წერილი იმიტომ გინდა, წვნიანი საჭმელი მოიმზადო? ეგეტ, კანიაცი, კრეფიუ ჟემ-თან! ათი სტრიქონი და ნახევარი ქალაქის ფურცელი ამაზე მეტად არ გამალარიბებს.

ჟანი დაემორჩილა. ბაბუა ბუენმა ქალაქი და სანერ-კალამი მოიმზადა. სამხედრო პირის მშვენიერი ხელით დანერა: „პარიზი, 1857 წლის 17 იანვარი“, მეორე ხაზზე კი „ბატონს...“

— რა ჰქვია მას? — ჰკითხა მოხუცმა ჟანს.

— ვისა?

— იმ ბატონს... ვისაც წერილს უგზავნი.

— ის ბატონი არაა.

— მაშინ ქალბატონს!

— ოჰ!.. არ ვიცი, როგორ ვთქვა?!.

— აბა ვინ არის? — ნამოიძახა ბაბუა ბუენმა. — არ იცი, ვის გინდა მისწერო?

— როგორ არ ვიცი.

— მაშ ჩქარა მითხარი!

პატარა ჟანი განითლდა, მაგრამ ძალა მოიკრიბა და თქვა:

— მე ღვთისმშობელს მინდა წერილი გავუგზავნო.

ბაბუა ბუენს არ გასცინებია. სანერ-კალამი გასწია და პირიდან ჩიბუხი გამოიღო.

— პანია, — უთხრა მკაცრად მოხუცმა, — არ მეგონა, თუ ბერკაცის აგდება გინდოდა მასხრად. ასე პატარა რომ არ იყო, უთუოდ მიგტყუებოდი. გასწი, მომშორდი.

პატარა ჟანი მორჩილად მიტრიალდა ნასასვლელად. ამ დროს ჯღანი ფეხსაცმელი გამოუჩნდა. ბავშვი ისეთი ნაზი იყო, რომ ბაბუა ბუენს გუნება შეეცვალა.

— ამას რას ვხედავ? პარიზში ეს რა სიღარიბე ყოფილა?! რა გქვია?

— ჟანი.

— ვისი ჟანი?

— მხოლოდ ჟანი.

ბაბუა ბუენმა იგრძნო, რომ ცრემლი მოეჩია, მაგრამ მხრები აიჩეჩა.

— რა გინდა უთხრა იმ შენს ღვთისმშობელს?

— მინდა ვუთხრა, რომ დედაჩემს ორი დღეა სძინავს. შევევედრები, ისეთი გულკეთილობა გამოიჩინოს, დედა გამიღვიძოს. მე ვერ შევძელი.

ძველ ჯარისკაცს გული შეეკუმშა. მიხვდა, რაც მოხდა, მაგრამ მაინც შეეკითხა:

— წელან, მგონი, საჭმელზე თქვი რაღაც?

— დიახ, — უპასუხა ბავშვმა, — სანამ დაიძინებდა, დედამ პურის უკანასკნელი ნაჭერი მე მომცა.

— თვითონ რა ჭამა?

— უკვე ორი დღეა ამბობდა, არა მშიაო.

— რა ჰქვნი, მისი გაღვიძება რომ მოინდომე?

— როგორც ყოველთვის, ვაკოცე.

— სუნთქავდა?

ჟანმა გაიღიმა და ღიმილმა უფრო დაამშვენა.

— არ ვიცი, — უპასუხა პანიამ, — განა მუდამ არ სუნთქავენ?

ბაბუა ბუენმა თავი მიიბრუნა, რადგან ორი დიდი კურცხალი ლოყებზე ჩამოუგორდა. ჟანის კითხვაზე არაფერი უპასუხა, მაგრამ ოდნავ აკანკალებული ხმით თქვა:

— როცა აკოცე, არაფერი შეგიმჩინებია?

— ოჰ, ცივი იყო. ჩვენთან ციოდა.

— ხომ არ კანკალებდა?

— ოჰ, არა... ის იყო მშვენიერი, მშვენიერი და უმოძრაო. ორივე ხელი გულზე დაეკრიფა... ისეთი თეთრი... თავი გადაგდებულ ჰქონდა, დახუჭული თვალებიდან ზეცას შესცქეროდა.

ბაბუა ბუნმა გაიფიქრა: „რატომ არა ვარ მდიდარი, რომელიც კარგად ჭამს და ღვამს... აგერ ქალი შიმშილით მოკვდა“.

ბავშვს დაუძახა. პანია მივიდა. მოხუცმა უანი მუხლებზე დაისვა და ნაზად უთხრა:

— პანია, შენი წერილი კიდევ დაინერა, გაიგზავნა და მიღებულია. დედაშენთან წამიყვანე.

— წამიყვან, მაგრამ რატომ ტირი? — უკითხა გაკვირვებული პანია.

— მე არ ვტირი, — უპასუხა მოხუცმა ჯარისკაცმა და ბავშვი გულში ჩაიკრა, ცრემლებით დაასველა. — მამაკაცები ხშირად ტირიან. შენც იტირებ, ჩემო სანყალო, ძვირფასო პატარა უანი! შენ იცის, რომ მიყვარხარ... მეც მყავდა დედა დიდი ხნის წინათ... მაგრამ შენი წყალობით ხელახლა ვხედავ, როგორ იწვა თავის ლოგინში და საიქიოს განგზავრების წინ მამარებდა: იყავი პატიოსანი ადამიანი და კეთილი ქრისტიანიო. სანოლის მახლობლად კედელზე ღვთისმშობლის იაფფასიანი ხატი ეკიდა. ღვთისმშობელი მიღიმოდა, იგი ჩემს გულს დაეუფლა, რადგან მე პატიოსანი ადამიანი ვიყავი.

მოხუცი იდგა, ბავშვი ისევ მკერდზე ჰყავდა მიკრული, და თითქოს ვიღაც უხილავს ელაპარაკებოდა:

— აი, ჩემო მოხუცო დედავ! კმაყოფილი იყავი. სადა ხარ? მე მინდა წავიდე და სანყალი ანგელოზი წამოვიყვანო, ის მე არასოდეს მიმატოვებს. ამ დაუნერეღმა წერილმა ორნაირი სიკეთე შექმნა: ბავშვს მამა მისცა, მე კი გული...

ს. შიურანვილი

კაცობრიობის დიდი კეთილისმყოფელი

1771 წელს ბეზანსონის აკადემიამ კონკურსი გამოაცხადა ნაშრომზე იმ მცენარეთა შესახებ, რომლებიც მოუსაველიანობის დროს პურს შეცვლიდა.

პარმანტიერს გაახსენდა, რომ გერმანიაში ტყვედ ყოფნის დროს პურის მაგივრად მისთვის უცნობ შესანიშნავ საკვებს აჭმევდნენ. ეს იყო კარტოფილი: მან შრომა დაწერა, კონკურსზე წარადგინა და პრემიაც მიიღო.

ამ მცენარეს რამდენიმე მეცნიერი იცნობდა მხოლოდ. საჭირო იყო ხალხსაც სცოდნოდა მისი სიკეთე. მაგრამ, ვინემ ამას შესძლებდა, მეცნიერმა ბევრი უსიამოვნება გადაიტანა. ყოველივე ახლის მოძულე უვიცი ადამიანები ამბობდნენ: კარტოფილი კანის განუკურნებელ ავადმყოფობას, ციებ-ცხელებას იწვევსო; იმასაც იძახდნენ, კარტოფილი მიწას ფიტავს, უფარგისს ხდისო.

პარმანტიერმა ყველა მითქმა-მოთქმას ყური არ ათხოვა და გადაწყვიტა ხალხი დაერწმუნებინა, რომ კარტოფილი დიდად სასარგებლო მცენარეა. თავი არ დაზოგა და ყველანაირი ხერხით თუ ხვეწნით მეფე ლუი XVI დაიყოლია, რომ პარმანტიერისთვის პარიზის მახლობლად ოცდახუთი ჰექტარი მიწა გამოეყო, რომელსაც დაამუშავებდა და კარტოფილს დათესდა. კარტოფილი რომ წამოიზარდა, მან გაიხსენა, აკრძალული ხილი უფრო გემრიელიაო. ჰოდა, ხალხის დასახარებლად და ცნობისმოყვარეობის აღსაძრავად დღისით კარტოფილის ყანას გარშემო ყარაული დაუყენა, ქურდებისგან რომ დაეცვა. ღამით კი ყარაული მოხსნა.

დილით პარმანტიერს აცნობეს, ქურდებმა ბევრი კარტოფილი მოიპარესო.

— დიდება შენდა, უფალო! — წამოიძახა გახარებულმა პარმანტიერმა.

ეს იყო პირველი შემთხვევა, რომ გაქურდულს გაქურდვამ სიამოვნება მიანიჭა. მან ამბის მომტანს ფული აჩუქა და გაოცებულ მაცნეს უთხრა:

— მიიღე ეს საჩუქარი იმისთვის, რომ კარგი ამბავი მაცნობე.

როდესაც კარტოფილი აყვავდა, მისი ყვავილები პარმანტიერმა ვერსალში მიიტანა. მეფე ლუი XVI-მ ყვავილები საღილეში გაიკეთა. კარისკაცებმა და წარჩინებულმა პირებმა მეფეს მიჰბაძეს, მათ ცნობისმოყვარეობა გაეღვიძათ.

ერთ დღეს პარმანტიერმა დიდი წვეულება გამართა, სადაც გამოჩენილი ადამიანები და სწავლულები მოიწვია. სტუმრებს მოეწონათ მრავალნაირი გემრიელი კერძები. ხო-

ლო ჩაროზის მირთმევის შემდეგ მასპინძელმა განაცხადა, ეს კერძები მეტწილად კარტოფილისაგანაა დამზადებული, ოღონდაც სხვადასხვა სახით. ამ განცხადებამ საერთო აღტაცება გამოიწვია.

ამ ბრწყინვალე წარმატებას პარმანტიერმა იმით მიაღწია, რომ ყოველივე ღრნე/იხმარა, შრომა არ დაზოგა და კიდევ გაიმარჯვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალფრედ ასოლანი (1827-1886)

ცალთვალა

ერთ წვიმიან საღამოს ახალგაზრდა მხატვარი შინ ბრუნდებოდა. შეამჩნია, რომ ერთი ძაღლი აედევნა.

— დაე, ასე იყოს! — თქვა მხატვარმა თავისთვის, როცა ძაღლი ვერაფრით ვერ მოიშორა, — ალბათ ზეცამ მომივლინა მეგობრად.

მხატვარმა თავის სახელოსნოში ძაღლს კუთხე და საწოლი მიუჩინა.

დილით გაიღვიძა თუ არა, დაინახა, ძაღლი სკამზე დარბაისლურად დაბრძანებულიყო და თავისი ახალი პატრონისკენ იცქირებოდა, ელოდა, როდის დამინახავსო. თუმცა ძაღლი ერთგულად შესცივინებდა, ახალგაზრდა კაცმა მაინც ზიზღი იგრძნო — გამხდარი, უშნო, ნახევრად ქეციანი, ამასთან ცალთვალა მუდელი საძაგელი სანახავი იყო. მხატვარი კარისკენ წავიდა სტუმრის გარეთ: გასაგდებად, მაგრამ პირუტყვი ისეთი მუდარით და ნაღველით შესცქეროდა, რომ შეეცოდა.

— ეჰ, რას ვიზამ! — თქვა მხატვარმა, — მიგზედავ „ცალთვალას“ დჭვიძახებ.

ძაღლი და პატრონი ორ წელიწადს ასე ცხოვრობდნენ. პირველი მასპინძლობისათვის თავდადებულ ერთგულებას იჩენდა, მეორე კი მის სიყვარულს მოთმინებით იტანდა.

ამასობაში ცალთვალას ისეთი სნება შეეყარა, რისგანაც განკურნება შეუძლებელი გახლავთ. ეს სნება სიბერე იყო. მხატვარმა მისი წყალში დახრჩობა გადაწყვიტა. თოფით რომ მოეკლა, შეიძლება ეწვალა და დიდხანს არ დაეღია სული. ერთ ჩაბნელებულ საღამოს მან ძაღლი იმ ხიდთან მიიყვანა, სადაც ორი წლის წინათ იპოვა. პირუტყვი ციებ-ციხელებიანივით კანკალებდა. მხატვარმა სწრაფად სტაცა ხელი და მდინარეში ჩააგდო, ცალთვალას ხმა არ გაუღია, მხოლოდ წყლის ტყლაშუნის ხმა გაისმა მძიმე სხეულის ჩაფარდნისგან. ახალგაზრდა მხატვარს შერცხვა თავისი საქციელისა, ძაღლის დასანახად ხიდზე გადაიხარა, ქარმა კი ქუდი მოსტაცა და წყალში გადაუგდო. შინ ძაღლიან მოწყენილი დაბრუნდა ახალგაზრდა მხატვარი ქუდის დაკარგვის გამო. მაგრამ როცა ერთი საათის შემდეგ დასაძინებლად დაწვა, კარზე ფხატუნი მოესმა. ზღურბლთან ცალთვალა იდგა, კედელს მიყრდნობოდა და პატრონის ქუდი კბილებში ეჭირა. თავგასისხლიანებულ გონჯ პუდელს ტანზე წყალი სდიოდა, და მაინც მშვენიერი იყო. ახალგაზრდა კაცმა ქუდი გამოსტაცა და ძაღლი გულში ჩაიკრა. ცალთვალამ პატრონს შეხედა, დაინკმუტუნა და უსულოდ დაეცა.

მადამ დე სავინია (1826-1898)

ლუი XIV-ის მადრიგალი

ერთი პატარა, ნამდვილი ამბავი მინდა მოგიყვე გასართობად. მეფე ერთხანს ლექსებს წერდა. ერთხელ მან მადრიგალი შეთხზა, რომელიც თვითონაც არ მოეწონა.

რამდენიმე დღის შემდეგ მარშალ გრამონს უთხრა დილით:

— ბატონო მარშალო, გთხოვთ წაიკითხოთ ეს პატარა მადრიგალი და მითხრათ, ამაზე უნიჭო რამ ოდესმე თუ წაგიკითხავთ. იციან, ლექსები რომ მიყვარს, და მომიტანეს.

მარშალმა წაიკითხა და მეფეს მოახსენა:

— თქვენი უდიდებულესობა შეუცდომლად აფასებს ყველაფერს. მართალი ბრძანდებით, ასეთი სულელური და სასაცილო მადრიგალი არასოდეს წაგიკითხავს.

მეფემ გადაიხარხარა და თქვა:

— ამის დამწერი ხომ მართლა სულელია?

— თქვენო უდიდებულესობავ, სხვა სახელს ვერც მოუძებნი.

— ფრიად მიხარია, — თქვა მეფემ, — ასე გულახდილად რომ გამოთქვით თქვენი აზრი. ეს ლექსი მე დავწერე.

— თქ, რატომ მართალი არ ბრძანეთ, თქვენო უდიდებულესობავ? დამიბრუნეთ ლექსი. მე ის ზერელედ წავიკითხე!

— არა, ბატონო მარშალო, პირველი აზრი ყოველთვის უფრო სწორია.

მეფემ ბევრი იცინა ამ ხუმრობაზე.

სასახლის მოხუცი კარისკაცი კი თავს დამცირებულად გრძნობდა, მეფემ ეს რა ოინი მიყო.

მე კი ვისურვებდი, ხელმწიფე მიმხვდარიყო, რა იშვიათად ეუბნებიან ხოლმე მეფეებს სიმართლეს.

ლ. ვ. დე სეგიური (1753-1830)

საოცარი გაუგებრობა

რუსეთში დამკვიდრებული უცხოელი სიუდერლანდი ძალიან მდიდარი კაცი იყო, დედოფალ ეკატერინე მეორის ბანკირი. დედოფალი მას დიდად წყალობდა. ერთ დილას ბანკირს აცნობეს, სახლს ჯარისკაცებმა ალყა შემოარტყეს და პოლიციის უფროსი თქვენს ნახვას თხოულობსო. ოფიცერი ძალზე შეწუხებული შევიდა ბანკირთან.

— ბატონო სიუდერლანდ, — უთხრა მან, — არ ვიცი, რა შეცდომა ან დანაშაული ჩაიდინეთ, რომ დედოფალი ასე განრისხდა და ასეთი თავზარდამცემი რამ მიბრძანა.

— არაფერი ვიცი, ბატონო ჩემო, და თქვენზე მეტად გაოცებული გახლავართ, — უპასუხა ბანკირმა.

— ბატონო, — უთხრა პოლიციის უფროსმა, — ჭეშმარიტად გამბედაობა არ მყოფნის მისი ბრძანება გითხრათ.

— ნუთუ ჩემი დედოფლის ნდობა დაგვარგე?

— ასე რომ იყოს, სასონარკვეთილება არ შემოიპყრობდა, ნდობის აღდგენა, სამსახურში დაბრუნება შეიძლება.

— მაშ საშობლოში გასახლებას მიპირებს?

— ეს სასიამოვნო არ იქნებოდა, მაგრამ თქვენებრ მდიდარი კაცი ყველგან კარგად იცხოვრებდა.

— ღმერთო ჩემო! — წამოიძახა აკანკალებულმა სიუდერლანდმა, — ნუთუ ციმბირში გადასახლებას მიპირებს?

— ასეც რომ იყო, განა იქიდან არ ბრუნდებიან?

— საპატიმროში უნდა ჩამსვას?

— ციხიდანაც ხომ შეიძლება განთავისუფლება.

— მაშ რა არის?! — წამოიძახა ბანკირმა ტირილით, — ჩვენი კეთილი დედოფალი ჩემს სიცოცხლეს ემუქრება? ორი დღის წინათ ისე მონყალედ მელაპარაკებოდა, რომ... არა, ამას ვერ დავიჯერებ. გემუდარებით მითხრათ, რა მომელის. სიკვდილზე უფრო საშინელი ეს ლოდინია.

— მაშ, კარგი! ჩემო ძვირფასო, — თქვა პოლიციის უფროსმა აკანკალებული ხმით, — ჩვენმა მწყალობელმა დედოფალმა მიბრძანა, თქვენი ფიტული გავაკეთო.

— ფიტული? — წამოიძახა სიუდერლანდმა და თავის მოსაუბრეს მიაშტერდა. — ჭკუაზე ხომ არ შეიშალეთ? ასეთ არაადამიანურ და დამთხვეულ ბრძანებას დედოფალი როგორ მოგცემდათ.

— ეჰ, ჩემო მეგობარო! მე ის გავბედე, რასაც ჩვეულებრივ ვერ ბედავენ: მე გამოვხატე გაოცება, მწუხარება. მორიდებით მოვახსენე, ეს შეუძლებელი გახლავთ. მაგრამ ჩემმა დედოფალმა განრისხებით მისაყვედურა მერყეობისათვის და მიბრძანა: დასწიეთ ეს გავიწყდებათ, რომ თქვენი მოვალეობაა უყოყმანოდ შეასრულოთ ჩემი ბრძანება, რომლის ღირსი გავხადეთო. ეს სიტყვები ახლაც მესმის და მაზრიალებს.

გაკვირვებამ, რისხვამ, შიშმა და მწუხარებამ შეიძყრო საბრალო ბანკირი.

პოლიციის უფროსმა ცოტა ადროვა და მერე უთხრა:

— გაძღვეთ თხუთმეტ წუთს საქმეების მოსაგვარებლად.

მაშინ სიუდერლანდი შეემუდარა:

— დროს წუ დაგვარგავთ, ნება შომეცით დედოფალს ნერილი გაუგზავნო და შებრალება ვთხოვო.

პოლიციის უფროსს შეეცოდა ბანკირი და, აკანკალებულმა, ნება დართო. მაგრამ ნერილის ნიტანა სასახლეში ვერ გაბედა და თავად ბრიუსს, პეტერბურგის გუბერნატორს უახლა. გუბერნატორმა იფიქრა, პოლიციის უფროსი გაგიჟებულაო, უთხრა, სასახლეში გამომსყვი, იქ დაშიცადეო, და თავად დედოფალთან შევიდა. როცა ეს ამბავი მოახსენა, ეკატერინე მეორემ წამოიძახა:

— ღმერთო ჩემო! რა საშინელებაა! ნამდვილად გაგიჟებულა. გაიქეციტ, უბრძანეთ იმ ჭკუადაკარგულს, ჩემი საწყალი ბანკირი გაანთავისუფლოს.

თავადი ბრძანების გადასაცემად წავიდა და უკან რომ დაბრუნდა, დაინახა, გაოცებული ეკატერინე II ხარხარებდა.

— ახლა მივხვდი, რამაც გამოიწვია ეს სასაცილო, გაუგონარი შემთხვევა. ნლების მანძილზე მყავდა ლამაზი ძაღლი, რომელიც ძალიან მიყვარდა და რომელსაც სიუდერლანდი, იმ ინგლისელის გვარი დავარქვი, ძაღლი რომ მაჩუქა. ეს ძაღლი მოკვდა. მე ეუბრძანე რ-ს, მისი ფიტული გამოიკეთე-მეთქი. იგი შეყოყმანდა. გავგულისხმი და ვუთხარი, დაუყოვნებლივ შეესრულებინა ჩემი განკარგულება, რადგან ვიფიქრე, თავისი ღირსების შეურაცხყოფად ჩასთვალა ასეთი დავალების შესრულება. აი, რამ გამოიწვია ეს საოცარი გაუგებრობა.

ფრანსუა ბლანში

(1707-1784)

დასრულებული არაა

არაბს უდაბნოში გზა დაებნა. ორი დღე არაფერი ეჭამა, შიმშილით სიკვდილი ელოდა. ამ დროს ერთ ჭას წააწყდა, სადაც მგზავრები ჩვეულებრივ აქლემებს არწყულებენ ხოლმე, და იქ, სილაზე, ტყავის პატარა ჩანთას მოჰკრა თვალი.

„ბედი მწყალობს, — თქვა არაბმა, როდესაც ჩანთა აიღო და ხელით მოსინჯა, — შიგ, მგონი, ფინიკია ან კაკალი. კარგად მოვილხენ“.

ამ ტკბილი იმედით შეპყრობილმა ჩანთა გახსნა. ჩაიხედა და მწარედ შესძახა: „ჰოი, ღმერთო, თურმე მარგალიტის მარცვლებია“.

შეურაცხყოფილი დერვიში

სულთანის საყვარელმა დიდკაცმა ქვა ესროლა ერთ ღარიბ დერვიშს, რომელმაც მოწყალება სთხოვა. დერვიშმა ვერ გაბედა ამ შეურაცხყოფის გამო ეჩივლა, მაგრამ ეს ქვა აიღო და იმ განზრახვით შეინახა, ადრე თუ გვიან ქვა ამ ამაყი და სასტიკი ადამიანისთვის ესროლა.

ხანი გავიდა. დერვიშმა გაიგო, სულთანი ამ დიდვაცს აღარ წყალობს, მისი ბრძანებით აქლემზე შესმულს ქუჩა-ქუჩა დაატარებენ და მდაბიო ხალხი შეურაცხყოფას აყენებს.

ეს რომ შეიტყო, ფავორიტის ნასროლი ქვა მოძებნა, მაგრამ დაფიქრდა და ქვა ქაში ჩააგდო.

— არა, არა ღირს შურისძიება, — თქვა დერვიშმა, — როცა ჩვენი მტერი მძლავრია, შურისძიება უგუნური საქციელია, ხოლო როდესაც უბედურია, სულმდაბლობა და გულქვაობაა.

პერანგი

აღმოსავლეთის ხელმწიფე, დიდი შარუნ-ალ-რაშიდის შთამომავალი, თავისი წინაპარებით მდიდარი და ძლიერი იყო, მაგრამ თავს კი ბედნიერად ვერ გრძნობდა და რჩევისათვის ერთ მოხუც დერვიშს მიმართა.

— ბედნიერება ამქვეყნად იშვიათია, — უთხრა დერვიშმა, — მაგრამ მისი მოპოვება მაინც შეიძლება.

— რა საშუალებით? — ჰკითხა მეფემ.

— ბედნიერი კაცის პერანგი უნდა ჩაიცვა, — ურჩია დერვიშმა.

მეფემ მოხუცი გულში ჩაიკრა და თილისმა პერანგის საძებნელად გასწია.

მან დაიარა დედამინის ყველა დიდი ქალაქი, მოისინჯა მეფეთა, იმპერატორთა თუ კარისკაცთა პერანგები... მაგრამ ბედნიერება მაინც ვერ მოიპოვა. მერე ჩაიცვა ვაჭრების, ჯარისკაცების, მსახიობების პერანგებიც. მაგრამ ამაოდ! ბედნიერება თურმე მოუხელთებელი გამოდგა.

იმედგაცრუებული ისევ თავისი ქვეყნისკენ გამოემგზავრა. გზიდან ერთ ღარიბ გლეხს მოჰკრა თვალი, რომელიც გალალეული სიმღერით ხნავდა გუთნით ყანას.

— ან ვცდები, ანდა სწორედ ეს არის, ვისაც დავეძებ, — თქვა მეფემ და გლეხს მიუახლოვდა.

— ბედნიერი თუ ხარ, შე კაი კაცო? — ჰკითხა მეფემ.

— დიას, ჩემო ბატონო, — მიუგო გლეხმა.

— არაფერს უჩივი, არაფერს ნატრულობ?

— არა, ბატონო.

— არც მეფის ბედს მოისურვებდი?

— არა, ბატონო.

— მამ მომყიდუ შენი პერანგი.

— ჩემი პერანგი? კი მაგრამ, რომ არ გამაჩნია?!

მდუმარი აკადემია

სპარსეთის ქალაქ ამადანში სახელგანთქმული აკადემია იყო, რომლის წესდების პირველი მუხლი მოითხოვდა: აკადემიკოსებს ბევრი ეფიქრათ, ცოტა ეწერათ და რაც შეიძლება ნაკლები ელაპარაკათ. ამ აკადემიას მდუმარეს უწოდებდნენ. სპარსეთში არ იყო ისეთი მეცნიერი, ამ აკადემიის წევრობაზე არ ეოცნება.

დოქტორმა ზებმა, ერთი შესანიშნავი წიგნის, „დუმილის ხელოვნების“ ავტორმა, თავის მხარეში გაიგო, მდუმარე აკადემიის წევრის ერთი ადგილი განთავისუფლდაო.

ზები მაშინვე გაემგზავრა ამადანში, აკადემიკოსთა შესაკრებ დარბაზში გამოცხადდა და მდივანს სთხოვა, მისი განცხადება პრეზიდენტისთვის გადაეცა: „დოქტორი ზები გასწოვთ მიიღოთ განთავისუფლებულ ადგილზე“. მაგრამ ზებს აცნობეს, თქვენმა განცხადებამ დაიგვიანა, ადგილი დაკავებულიაო. აკადემია დიდად შეწუხდა, რომ ძალის ძალით მიაღებინეს მეფის ერთი ჭკუამჩატი, ენამახვილი კარისკაცი, ვისი ზერელე მჭევრმეტყველება ყველა სალონს ხიბლავდა, ხოლო მოლაყბეთა რისხვა, სახელოვანი სწავლული დოქტორი ზები აკადემიის გარეთ დარჩა. ეს არასასიამოვნო ამბავი, როგორც წესი, დოქტორ ზებისთვის პირადად პრეზიდენტს უნდა ეცნობებინა, რომელმაც ბევრი იფიქრა, როგორ

ეტქვა, და ბოლოს მოიფიქრა: მან ტოლჩა წყლით ისე აავსებინა, ერთი წვეთის დამატებით წყალი დაიღვრებოდა, და მერე კანდიდატი მოიპატიჟა. დოქტორი ზები, როგორც ყველა ნიჭიერი ადამიანი, უბრალოდ და მოკრძალებით შევიდა.

პრეზიდენტი წამოდგა და უსიტყვოდ, დაღონებით მიათითა სიმბოლურად ავსებულ ტოლჩაზე. ზები კარგად მიხვდა, ეს რასაც ნიშნავდა: ადგილი არა გვაქვსო. მაგრამ არ დაბნეულა, მაშინვე გადანყვიტა დაემტკიცებინა პრეზიდენტისთვის, რომ ერთი აკადემიკოსის დამატებით არაფერი დაშავდებოდა. მან აიღო მის ფეხთან დაგდებული ვარდის ფურცელი და ისე ფრთხილად დაადო ტოლჩაში წყალს, რომ წვეთიც არ გადმოღვრილა.

ასეთი გონებათმახვილური საქციელი ყველამ ტაშით დააჯილდოვა. იმ დღეს დაივიწყეს წესდება და დოქტორი ზები აღტაცებულმა წევრებმა ერთხმად მიიღეს აკადემიკოსად. მას მაშინვე მიანოდეს აკადემიკოსთა სააღრიცხვო დაგთარი, სადაც თავისი გვარი ზებმა თვითონ ჩაწერა.

დოქტორ ზებს ისლა დარჩენოდა მადლობა გადაეხადა, მაგრამ, როგორც მდუმარე აკადემიკოსმა, ეს უსიტყვოდ გამოხატა.

დენი დიდრო

(1713-1784)

დიდსულ მოხება

სამხრეთ ამერიკაში მცხოვრებმა მისიონერმა ერთხელ მომიყვა საკუთარი თვალით ნანახი ამბავი.

ერთ ბატონს თურმე ბევრი ზანგი გაექცა ტყეში, თავისუფლად რომ ეცხოვრათ. ყველა შეიპყრეს, მაგრამ ჯალათი არ ჰყავდა, ისინი რომ სიკვდილით დაესაჯათ. ამიტომ გამოაცხადა, იმ ზანგს, ვინც ყველაზე ბოროტი გამოდგება და თავის ამხანაგებს დახოცავს, სიცოცხლეს შევუნარჩუნებო. მაგრამ ეს ამბავი არც ერთმა ზანგმა არ იკისრა.

მაშინ ბატონმა ერთ-ერთ თავის ზანგს უბრძანა შეპყრობილები ჩამოეხრჩო. თან გააფრთხილა, თუ ბრძანებას არ შეასრულებ, შენ თვითონ ჩამოგახრჩობო.

ზანგმა ბატონს ნებართვა სთხოვა, ერთი წუთით ქოხში შევირბენ, ბრძანების შესასრულებლად მოვემზადებო. ზანგმა ნაჯახი მონახა და ხელის მტევანი მოიკვეთა. მერე ბატონს ეახლა ისევ დასახიჩრებული ხელით, საიდანაც სისხლი ნაკადად ჩქეფდა, და უთხრა:

— ახლა მაიძულე ამხანაგების ჩამოხრჩობა...

ალექსანდრ დიუმა

(1803-1870)

ცუდისთვის სიკეთის ქება

გუშინდელ დღესავით მახსოვს იმ ბრძოლის დილა, 29 სექტემბერი, თუმცა მას შემდეგ ოცდათოთხმეტი წელი გავიდა. როგორ მიჰქრის დრო! რვა დღის მოყვანილი მყავდა ცოლი და ეს სახლიც, სადაც ახლა ვცხოვრობ, მაშინ დავიქირავე.

ერთხელ შევიცარიის ფუნდუკში მომინია ღამის გათევა... დილით რომ გამოვედი, ოთხმა გრენადერმა დამიჭირა და გენერალს მიმგვარეს. არ ვიცოდი, რას მიპირებდნენ.

- ფრანგული იცი? — მკითხა.
- ფრანგული ხომ ჩემი დედაენაა.
- ამ მხარეში დიდი ხანია ცხოვრობ?
- ხუთი წელია.

— აქაურობას კარგად იცნობ?

— მე მგონი, კარგად.

— ჩინებულია. კაპიტანო, — მიუბრუნდა გენერალი ოფიცერს, რომელიც ბრძანებას ელოდებოდა, — თუ კარგ მეგზურობას გაგინევთ, დააჯილდოვეთ, თუ გელაღატებთ, დახვრიტეთ.

— გაიგონე? — მკითხა კაპიტანმა.

— დიახ, ჩემო ოფიცერო, — ვუპასუხე.

— აბა გავსწიოთ!

— საით?

— ახლავე გეტყვი.

— კი მაგრამ...

— იარე! ხმა არ გავიგო, თორემ დაგხვრეტ.

— ახლა კი გვითხარი, — თქვა კაპიტანმა, როცა ფრანგთა ავანპოსტს გავცილდით, და თვალეში შემომხედა, — მარცხნივ თუ მარჯვნივ უნდა წავიდეთ, სოფელ მიუოტას რომ მივადგეთ, სადაც სუვოროვია დაბანაკებული? იქ საქმე გვაქვს. ოღონდ იცოდეთ, მტერს რომ წავაწყდეთ და ერთი სროლა მაინც გავიგონო, მოგკლავ, — კაპიტანმა ჯარისკაცს, რომელსაც ორი თოფი მოჰქონდა, ერთი გამოართვა და შიგ შუბლში დამიმიზნა.

— კი მაგრამ, თუ ჩემი ბრალი არ იქნა?

— მე გაგაფრთხილე, ლაპარაკი არ გავიგონო! აბა დავიძრათ!

ასე მდუმარედ მივალწიეთ მთას. რუსებს, რომლებიც სოფელ მიუოტაში იმყოფებოდნენ, არ უნდა შევემჩნიეთ. მალე მივადექით ნაძვნარს, რომელსაც აქედან ხედავთ და რომელიც ჩემს სახლს იქითაც გრძელდება. სახლს რომ მივუახლოვდი, კაპიტანს ვთხოვე:

— ჩემო ოფიცერო, ნება მომეცით ჩემი მეუღლე გავაფრთხილო.

— აჰ, შე ავაზაკო! — წამოიძახა კაპიტანმა და კონდახი ზურგში მატაკა, — შენ გინდა გაგვყიდო?

— მე, ჩემო ოფიცერო! ოჰ!

— კრინტი არ დაძრა, იარ!

თუმცა ჩემს სახლს ორმოცი ნაბიჯით ვიყავი დაშორებული, ცოლს ერთი სიტყვაც ვერ მივანვდინე. ისე გავცოფდი, შეგებრალეობდით. ბოლოს კორდზე მიუოტა შევამჩნიე. ხმის ამოღება ვერ გავბედე და თითით ვუჩვენე. გზაზე რუსები მიდი-მოდიოდნენ.

— ჩინებულია! — თქვა კაპიტანმა, — ახლა ისე უნდა წავიყვანო, ვერ შეგვამჩნიონ, რაც შეიძლება ახლოს უნდა მივიდეთ.

— ეს ძალიან ადვილია, — ვთქვი, — ერთი ადგილი ვიცი, სადაც ტყე ორმოცდაათი ნაბიჯითაა დაშორებული.

— აქედან, სადაც ახლა ვართ?

— არა, აქედან, სადაც ახლა ვართ, ჩვენს მისვლას შეამჩნევენ.

— აბა ფრთხილად მიგვიყვანე იმ ადგილამდე. იცოდეთ, თუ თვალი მოგვეკრეს, მაშინვე დაგხვრეტ.

ახალ გზას გავყევით. ძალზე ფრთხილად მივდიოდი, რუსებს რომ არ დავენახეთ, თორემ ეს საზარელი ოფიცერი მუქარას მართლა შეასრულებდა. თხუთმეტ წუთში ტყის პირს მივალწიეთ. ტყის ორ ნაწილს შორის დაახლოებით ნახევარი კილომეტრი იქნებოდა. გარშემო სრული სიჩუმე სუფევდა. ჯერჯერობით ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ მეორე ტყემდე ოციოდე ნაბიჯი გვიკლდა, როცა იქიდან საშინელი სროლა მოისმა.

— აბა უყურეთ! — ვუთხარი კაპიტანს, — ჩანს, რუსებსაც ისეთივე განზრახვა ექონიათ, როგორც ჩვენ.

მეტის თქმა ვერ მოვასწარი, თავზე თითქოს მთა დამეცა. ეს კაპიტანის თოფის კონდახი იყო. დავინახე ცეცხლი და სისხლი, მერე აღარაფერი მახსოვს.

როდესაც გონზე მოვედი, ღამე იყო. არ ვიცოდი, სად ვიყავი, არც ის, რა დამემართა. არაფერი მახსოვდა. თავი საშინლად დამძიმებული მქონდა, თმა შუბლზე მიმწებებოდა. პერანგი გამსისხლიანებოდა. მაშინლა გამახსენდა ყველაფერი. თავს ძალა დავატანე და ნამოდგომა მოვიხდომე. მიწა თითქოს კანკალებდა, ნიდაყვით დავფრდენი, გონზე რომ მოვსულიყავი. გამახსენდა, იმ ადგილიდან, სადაც ვიყავი, რამდენიმე ნაბიჯზე



წყარო იყო. მივეფორთხდი, ჭრილობა მოვიბანე, რამდენიმე ყლუპი წყალი შევსვი. მიამა. მომაგონდა ჩემი საბრალო ცოლი, რა შენუხებული იქნება! მხნეობა და გონება დამიბრუნდა. ბარბაც-ბარბაციტ გავეყვი გზას. ალბათ რაზმი, რომელსაც მივუძლოდი, დამარცხდა და უკან დაიხია. გზაზე გვამები ეყარა. მერე და მერე ცოტა გვხვდებოდა, ბოლოს სულ აღარ იყო. ჩანს, ჩვენმა პატარა რაზმმა მიმართულება შეიცვალა, ან ისეთ ადგილს მიაღწია, მტერი ვეღარ დაედევნებოდა.

თხუთმეტი წუთი კიდევ ვიარე, ტყესა და ჩემს სახლს შუა იმ ადგილს მივალნიე, სადაც საქონელს ვაძოვებდით. აქ, მთვარის შუქზე, შორიახლოს მიწაზე რაღაც შევნიშნე, კაცი უნდა ყოფილიყო. მივუახლოვდი. სამხედრო იყო, სამხრეები უბრწყინავდა. დავიხარე. ჩემი კაპიტანი ვიცანი. შორიდან ცოლს დავუძახე ჩვეულებისამებრ, ჩემი მოსვლა ვაცნობე. ძახილზე გამოვიდა. მომაკვდავივით მკლავებში ჩამივარდა. თურმე საშინელი დღე გადაეტანა. სახლის გარშემო ბრძოლა ყოფილა, თოფის სროლა, ზარბაზნის გრგვინვა ისმოდა. სიტყვა შევანწყვეტინე და კაპიტანზე მივუთითე.

— მკვდარია? — შეჰყვირა.

— მკვდარია თუ ცოცხალი, შინ უნდა ნავიყვანოთ. იქნებ დაჭრილია და გადავარჩინოთ. ხოლო თუ მკვდარია, მისი ქალაღდები, რა იცი, რა მნიშვნელობა აქვს, და ძვირფასი სამხრეები პოლკს უნდა გავუგზავნოთ. ნადი, ლოგინი მოუმზადე.

როზა გაიქცა. კაპიტანი მკლავებზე დავინვიწე და სახლისკენ წავედი. გზაში რამდენჯერმე დავისვენე, ისე ვიყავე ძალაგამოღებული. როგორც იყო, სახლს მივალნიე. კაპიტანს ტანისამოსი გავხადეთ. მკერდში სამ ადგილას დაეჭრათ ხიშტივით, მკვდარი არ იყო.

არ ვიცოდი, რა მექნა, როგორ მეშველა, მე ხომ ექიმი არ ვიყავი. ეს კი ვიფიქრე, თუ ღვინის დაღვევა შეიძლება, ალბათ ჭრილობის მოსაბანადაც გამოდგება-მეთქი.

ერთი ბოთლი საუკეთესო ღვინო ჯამში ჩავასხი, შიგ საფენები დავასველე და ჭრილობებზე დავადე.

ჩვენთან, ალპებში, სოფლის ყველა ქალმა იცის სამკურნალო ბალახები, ამ ბალახების საპოვნელად ჩემი ცოლი ღამით წავიდა, მთვარის შუქზე ბალახს მეტი სამკურნალო ძალა აქვსო.

ჩემი საფენები კაპიტანს ალბათ მოუხდა. ათი წუთის შემდეგ დაიკვნესა, ცოტა ხნის შემდეგ კი თვალი გაახილა. ოქროთი სავსე ოთახი რომ მოეცათ, მგონი, ამაზე მეტად არ გამეხარდებოდა. ბოლოს თვალები გამოუცოცხლდა, ოთახში მიმოიხედა და მე მომაჩერდა. მივხვდი, რომ მიცნო.

— მაშინ რომ მოგეკალით, კაპიტანო, კარგი იქნებოდა?! — ვუთხარი გახარებულმა.

თორმეტი დღის შემდეგ კაპიტანი თავის პოლკს დაუბრუნდა. ორი დღის შემდეგ კი გენერალმა შიკრიკის ხელით ხუთასი ფრანკი გამომიგზავნა. ეს ნაქირავები სახლი და მის გარშემო მდებარე მდელიც სწორედ მაშინ შევიძინე.

პიერ ლარუსი

(1817-1875)

თანხრობა

ერთხელ ახალგაზრდა მეფე ამაღის თანხლებით სოფელში დასვირნობდა. დაინახა, რომ ვიღაც მოხუცი ადამიანის თავის ქალას ყურადღებით აკვირდებოდა.

— რას აკეთებ? — ჰკითხა გაოცებულმა მეფემ.

მოხუცმა უპასუხა:

— მინდა გამოვიცნო, ეს თავი ვის ეკუთვნოდა: მეფესა თუ მათხოვარს, და ვერ გამომიცვნიან.

შარლ ნოდია

(1780-1844)

ბრისკუს ქალი



ლიონის ტყეში ერთი კარგი კაცი ცხოვრობდა, შემისმტრედი... ბრისკე ერქვა და რომელსაც კარგნაჯახიან შემისმპობელსაც ეძახდნენ. ცხოვრობდა ღარიბულად, ფიჩხებს ყიდდა. მას ორი შვილი ჰყავდა: შვიდი წლის შავგვრემანი ბიჭუნა ბისკოტენი და ექვსი წლის ქერა გოგონა ბისკოტინი; ჰყავდა კიდევ ხუჭუჭბენვიანი ძაღლი ბიშონი, რომელსაც ტანი სულ შავი პქონდა, დრუნჩი კი ალისფერი. ამ მხარეში მას ყველაზე კარგ ძაღლად თვლიდნენ, ისეთი ერთგული იყო თავისი პატრონისა.

ხომ გახსოვთ, ლიონის ტყეს რომ უამრავი მგელი შემოესია დიდი თოვლიანობის დროს, როცა ღარიბი ხალხი დიდ გაჭირვებას განიცდიდა. მთელი ის მხარე დიდ უბედურებაში ჩავარდა.

ბრისკე ყოველდღე მიდიოდა სამუშაოდ, მგლები მას არ აშინებდა, თავისი კარგი ნაჯახის იმედი პქონდა. ერთ დილას თავის ცოლ ბრისკეტს უთხრა:

— ძალიან გთხოვ, არც ბისკოტენსა და არც ბისკოტინს ნება არ მისცე აქეთ-იქით ირბინონ, სანამ ბატონი ოფიცერი არ მოვა და მგლებს არ დახოცავს. ბავშვები არ დაგველუპოს, მხოლოდ ბორცვსა და ტბორს შორის იარონ, იმ ადგილას, სადაც პალოები ჩავარტყ. არც ბიშონი გაუშვა, ბრისკეტ, ხომ იცი, როგორ უყვარს ტანტალი.

ბრისკე ყოველდღით ერთსა და იმავეს უმეორებდა ბრისკეტს. ერთ საღამოს ქმარი დაინიშნულ დროს არ დაბრუნდა. ბრისკეტი მალიმალ გადიოდა გარეთ და, გულზე ხელებდაკრებილი, იძახდა:

— ღმერთო ჩემო, რატომ დაიგვიანა ასე!

ბოლოს, ერთხელ კიდევ გარეთ რომ გამოვიდა, ქმარს მოუხმო:

— ეეი, ბრისკე!

ბიშონი დიასახლისს ტანზე შეახტა. თითქოს ეკითხება, ხომ არ წავიდეო.

— ბიშონ, წყნარად იყავი! — გაუნყრა ბრისკეტი ძაღლს და ბავშვებს უთხრა: — მისმინე, ბისკოტენ, შენ ბორცვამდე წადი, ნახე, მამაშენი ხომ არ მოდის. შენ კი, ბისკოტინ, ტბორის ნაპირს გაჰყევი, ოღონდ ჩარტობილ პალოებს არ გასცილდე. თან ხმამაღლა იძახეთ: ბრისკე... ბიშონ, შენ წყნარად იყავი!

ბავშვები წავიდნენ და ერთმანეთს იმ ადგილას შეხვდნენ, სადაც ტბორისა და ბორცვის ბილიკები ერთმანეთს კვეთდა.

— ვფიცავ, — თქვა ბისკოტინმა, — ან მამაჩემს ვიპოვი ან მგლები შემჭამენ.

— ღმერთო ჩემო! მეც ხომ შემჭამენ!

ამ დროს ბრისკე შარაგზით დაბრუნდა შინ.

— ნახე ჩვენი ბავშვები!? — მიაძახა ბრისკეტმა.

— ჩვენი ბავშვები?! — გაიკვირვა ბრისკემ, — ჩემი შვილები? ღმერთო ჩემო! ნუთუ გარეთ გავიდნენ?

— ისინი შენს შესახვედრად გამოვგზავნე ბორცვსა და ტბორამდე, შენ კი სხვა გზით წამოსულხარ.

ბრისკე თავისი კარგი ნაჯახით, რომელიც ისევ ხელში ეჭირა, ბორცვისკენ გაიქცა.

— ბიშონი რომ წაიყვანო? — მიაძახა ქმარს ბრისკეტმა, მაგრამ ბიშონმა პატრონს გაუსწრო და მალე კიდევაც მიიმალა. ბრისკე ხმამაღლა ეძახდა შვილებს:

— ბისკოტენ, ბისკოტინ!

პასუხი არ ისმოდა. ბრისკე ატირდა, იფიქრა, შვილები დამელუპენო, ხან აქეთ გაიქცა, ხან იქით, უცბად თითქოს ბიშონის ყეფა მოესმა. ნაჯახალმართული მამა ბრისკე ხშირ ტყეში შეიჭრა, საიდანაც ყეფა მოესმა.

ბიშონს თურმე იმ წამს მიესწრო, როცა მგელი ბისკოტენს და ბისკოტინს შეჭმას უპირებდა. ძაღლი ყეფით ეძგერა მხეცს. ამ დროს ბრისკეც მოიჭრა და მგელს ნაჯახით თავი გაუპო, მაგრამ ბიშონს კი ვეღარ უშველა.

ბრისკე, ბისკოტენი და ბისკოტინი შინ დაბრუნდნენ დიდად გახარებულნი და ამავე დროს დამწუხრებულნი ბიშონის დაღუპვის გამო.

ბრისკემ ბიშონი თავისი ბალის საუკეთესო ადგილას დამარხა და მის საფლავს დიდი ღირსება დაადო, რომელზედაც სკოლის მასწავლებელმა ლათინურად დაანერა:
„აქ მარხია ბიშონი, ბრისკეს საბრალე ძაღლი“.

ბერნარდინ დე სანვიერი (1737-1814)



ქერის ყანა

გერმანელებთან ბოლო ომის დროს კავალერიის ერთ კაპიტანს დაავალეს, წადი და ცხენებისთვის საკვები მოეძებნა. კაპიტანი ესკადრონს წინ გაუძღვა და მითითებული ადგილისაკენ გასწია. იმ განმარტოებულ პატარა ხეობაში ხეების გარდა არაფერი ჩანდა. კაპიტანმა ერთი ღარიბული ქოხი შეამჩნია და დაუკაკუნა. ქოხიდან თეთრწვერიანი ბერი გამოვიდა...

— მამაო, — უთხრა ოფიცერმა, — იქნებ მიჩვენოთ მინდორი, საიდანაც ცხენებისთვის საკვების წამოღება შემეძლება.

— ახლავე, — უპასუხა მოხუცმა, მხედრებს წინ გაუძღვა და ისინი ხეობასთან მიიყვანა, თხუთმეტი წუთის სიარულის შემდეგ კი ქერის მშვენიერ ყანას მიადგნენ.

— ჩვენ სწორედ ეს გვინდოდა, — თქვა კაპიტანმა.

— ცოტა დაიცადეთ, — უთხრა მოხუცმა, — და უფრო კმაყოფილი დამრჩებით. გზა განაგრძეს და ერთი კილომეტრის შემდეგ ქერის სხვა ყანას მიადგნენ.

ცხენოსნები ჩამოქვეითდნენ, ქერის ყანა მოცვლეს და ძნები უნაგირებზე მიაკრეს. მაშინ კავალერიის ოფიცერმა ჰკითხა მოხუცს:

— მამაო, სე შორს რატომ წამოგვიყვანეთ, პირველი ყანა ხომ ამავე უკეთესი იყო?

— მართალსა ბრძანებთ, — უპასუხა მოხუცმა, — მაგრამ ის ყანა მე არ მეკუთვნოდა.

ერნესტ ლეგუვი (1807-1903)

აგავი ოჯახი ათასი ფრანკისა

გუშინ შევესწარი ერთ ამბავს, რომელმაც გამაოცა. ეს ბევრმა შეიძლება უცნაურად ჩათვალოს, ვიდრე ამაღელვებლად, ზოგიერთმა — არაბუნებრივადაც. მე კი ამ ამბავმა ძალზე ამაღელვა, მაგრამ მის განხილვას არ შეუდგები. მხოლოდ გაიმბობთ.

თხუთმეტი დღის წინათ სოფელში ვიყავი, პარიზის მახლობლად, ჩემი უახლოესი მეგობრის მშვენიერ სახლში. სტუმრები ბევრი ჰყავდა, სულ სხვადასხვა ყაიდის ხალხი.

სუფრაზე თხუთმეტი-თვრამეტი სტუმარზე ნაკლები არ ვსხდებოდით. ესენი იყვნენ მრეწველები, მოსამართლენი, ვექილები, არტისტები. მაგრამ ყველაზე მეტად მასპინძლები მომწონდა, ცოლ-ქმარი და მათი ცამეტი-თოთხმეტი წლის ბიჭი. ქმარი ვექილი იყო, ჩინებული, მოკრძალებული მოსაუბრე.

1870 წელს საფრანგეთ-გერმანიის ომი დაიწყო. უკანასკნელი ამბების გასაგებად სტუმარ-მასპინძლებიდან ყველა მამაკაცი ყოველ დილას, ნასაუზმევს პარიზისკენ მივეშურებოდით და სადილობისას ვბრუნდებოდით. ჭეშინ ექვს საათზე ჩვენი მასპინძელი არ დაბრუნდა, არც შვიდის ნახევარზე, არც შვიდ საათზე გამოჩნდა. მასპინძლის შენუხებულმა მეუღლემ, რომელიც ტუჩებმოკუმული აღელვებას ვერ მალავდა, სუფრაზე მიგვიჩვენა. ბოლოს, რვა საათზე, როდესაც ბაღში ყავას ვსვამდით, ქმარი დაბრუნდა. იგი დაღლილიცა და გახარებულიც ჩანდა.

— რა მოხდა? რა დაგემართა? — მიეჭრა აკანკალებული ცოლი.

— დამშვიდდი! დამშვიდდით! — გვიპასუხა ყველას, როცა ჩვენც წამოვიჭერთ და გარს შემოვხვებით. ბიჭმა მამას მიაშურა და ხელზე აკოცა.

— დამშვიდდით! არასასიამოვნო არაფერი მომხდარა! პირიქით...

— პირიქით! რა პირიქით?

— ასე პირველ საათზე ჩვენს კლუბს ჩავუარე. ერთი ჩემი მეგობარი ფანჯრიდან იცქირებოდა. მასთან აუედი ახალი ამბების გასაგებად. კარგი ამბავებიც მოხარებულნი იყვნენ. მამან გაპაბრუა. ბანქოს თამაში წამოიწყო და დამაქალაქეს ქუთაშაში, დაეთანხმდა. როგორც კი მაგიდას მივუჯექი, მაშინვე ბედმა გამიღიმა, მოგებას მოგება მოჰყვა, არნახული, გაუგონარი, წამოსვლა აღარ შეიძლებოდა. ხუთსაათიანი თამაშის შემდეგ წინ ორმოცი ათასი ფრანკი მედო.

— რა ბედის წყალობაა! — მომადახეს ყოველი მხრიდან. — ბედნიერი კაცი ყოფილხარ! ყოჩაღ!

— მამიკო, შენ ორმოცი ათასი ფრანკი მოიგე? — ჰკითხა გახრებულმა შვილმა. ცოლი ხმას არ იღებდა. მისკენ მივბრუნდი. თვალზე ცრემლი შევამჩნიე. მან ქმარს ხელი მოჰკიდა და უთხრა:

— წამო, ისადილე, შენ ალბათ დაილაღე.

უნდა გამოგიტყდეთ, ქალის ცრემლები სრულიად არ მომეწონა, მივხვდი, რომ ბედის ასეთმა წყალობამ ეს ახალგაზრდა ქალი გააბედნიერა; მაგრამ სიხარულისგან იტირო ფულისათვის, ისიც თამაშში მოგებული ფულის გამო! ამან ჩამაფიქრა და ბალის შორეულ კუთხეში ჩამოვჯექი ნაკადულის მახლობლად, ქალიდან რომ მოედინებოდა. ცოტა ხნის შემდეგ ზურგს უკან ფეხის ხმა მომესმა. ფოთლებს მოფარებული ვეჭილი და მისი ცოლი დავინახე. მერხზე დასხდნენ. ჩვენ ქალა გვაშორებდა, შესმოდა ცოლ-ქმარის გაცხარებული, აღელვებული საუბარი.

— გამიგონე, დანყნარდი, — ეუბნებოდა ვეჭილი, — ეს სიგიჟეა.

— სიგიჟეა, მაგრამ რა ვქნა, სხვანაირად არ შემიძლია.

— დავფიქრდეთ.

— ზოგ რამეს დაფიქრება არ შეეძლოს, ის უნდა იგრძნოს, განიცადოს.

— ყველა ასე მოიქცეოდა.

— კი, მაგრამ შენ ხომ ყველა არა ხარ! მეტი რა გინდა, გითხრა? მე ეს ამბავი ცუდად მხდის.

ცოლი აკანკალებული ხმით ლაპარაკობდა, ცრემლად იღვრებოდა.

— ფული სულაც არ მეზიზღება, — განაგრძობდა თავშეუკავებლად ქალი, — როდესაც პატიოსანი შრომით მოპოვებული მოგაქვს, სიხარულით ვინახავ, კიდევ ვამაყობ. ამ ფულისათვის კი თავი რატომ უნდა შევირცხვინოთ? მისმინე! — ამბობდა გაცუცხლებული ცოლი. — გინდა ყველაფერი გითხრა? მე მგონია, ეს ფული უპატიოსნო გზით წაშოვნია.

ქმარი აღშფოთდა.

— დაე ვაჭარბებდე, მაგრამ ასე მგონია. შენ მიერ მოგებული ფული ვილაცამ დაჰკარგა, ვილაც დაამწუხრა იმან, რამაც შენ გაგამდიდრა. რაც მთავარია, ჩვენი ბიჭი, ჩვენი შვილი არ დაივიწყოს! მას შენგან დიდსულოვნების, პატიოსნების მაგალითი უნახავს, ახლა კი, რომ შემოვიდა, ბანქოს თამაშში მოგებული ფულით გახარებული მამა დაგინახა. აბა იფიქრე, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ბავშვზე ეს სურათი! რა საშინელ მაგალითს აძლევ, შენ ხომ ბანქოს თამაშის სიყვარულს უნერგავ ამით! მერე და ვინ? საკუთარი მამა! როგორ გინდა, ბიჭს ვუთხრა და დავარწმუნო, ის, რაც შენ ჩაიდინე, ცუდია? ოჰ, ეს წყეული ორმოცი ათასი ფრანკი!

ქალმა ეს თქვა და წავიდა, ქმარიც თან მიჰყვა. ამ საუბრით აფორიაქებული სასტუმრო ოთახში დავბრუნდი. ცოლ-ქმარი იქ დამხვდა — ვეჭილი, დამწუხრებული და მდუმარე, ცოლი — ფერმკრთალი და ხელსაქმეზე თავდახრილი. საღამოს გაზეთები მოიტანეს, სადაც ომის ახალი ამბები ეწერა: მოხალისეთა განვევა, შეწირულებით ნებაყოფლობითი შოსპიტლების გახსნა და ბოლოს სხვადასხვა ცნობები ამ საშინელი ომის დაწყების ირგვლივ.

ერთმა ყველაზე ახალგაზრდა მეგობარმა ვეჭილს უთხრა:

— თქვით ბარემ, რომ მაგ თქვენი ორმოცი ათასი ფრანკით სადილად დაგვპატიუბთ ინგლისურ კაფეში.

— და თქვენს მეუღლესაც მშვენიერ სამკაულს მიართმევთ, — დაუმატა ახალგაზრდა მანდილოსანმა.

— მამიკო, ხომ წაგვიყვან შვეიცარიაში? — ჰკითხა შვილმა.

ვექილს ხმა არ ამოუღია. ბოლოს, მცირე დუმილის შემდეგ, ცივად თქვა:

— არა! ამ ფულს მე სხვანაირად გამოვიყენებ.

— როგორ?

— ფულს ნებაყოფლობით ჰოსპიტლებს გადავუგზავნი.

ცოლი წამოიჭრა და ქმარს გულში ჩაეკრა.

ყველა გაოცებული დარჩა. შვილი დაბნეული შესცქეროდა მამას.

— ნუ გიკვირს, — უთხრა შვილს ვექილმა, — უნდა გითხრა, ჩემი შრომით მოპოვებული ეს ფული კი ჩემი შრომის ანაზღაურება არ არის. იგი მწუხარების მიზეზია იმისათვის, ვინც ეს ფული წააგო. ამ თანხას მე ვერ მოვიხმარ.

ერთმა მანდილოსანმა მის მეზობლად მყოფ კაცს ყურში ჩასჩურჩულა:

— სანაძღვოს დავდე, რომ ეს სისულელე ცოლმა ჩააგონა.

აი, ჩემი ამბავი. არ ვიცი, რას იფიქრებთ იმ ახალგაზრდა ქალზე, მაგრამ ის კი ვიცი, ძალიან ბედნიერი ვიქნებოდე, იმ ვექილის მეუღლის მსგავსი დედა, ქალიშვილი, ცოლი ან და მყოლოდა.

ჟიულ ლეკატრი

(1853-1914)

გულმონება

მოხუცი ტურირი ბალდადის ძალიან მდიდარი და განათლებული მეფე იყო, ბრძენ კაცად ითვლებოდა. ვერავინ იტყოდა, რა სჯობდა, მარმარილოთი მოპირკეთებული და ძვირფასი ლითონებით მოჭედილი მისი სასახლე თუ ბაღი. სადაც ულამაზესი ყვავილები და ხეები ხარობდა.

მეფეს გარს ეხვია მგოსნები, რომლებსაც სიმღერა-ლექსები უნდა ეწერათ, მაგრამ სუსტი ლექსებისთვისაც მათ არავინ ტუქსავდა. ეხვია ფილოსოფოსებიც, რომლებსაც ქვეყნის გაჩენაზე ვვალდებოდით სჯა-ბაასი, მაგრამ თუ ზოგჯერ სისულელეს იტყოდნენ, მეფე არც მათ უჯავრდებოდა.

ზაფხულის ერთ დილას ტურირი ბალდადის მთავარ ქუჩაზე დასეირნობდა. ვაჭრებს აუარებელი ფორთოხალი და ვარდი გამოეტანათ გასაყიდად, ხალხი მიმოდოდა. ლურჯი, წითელი, მწვანე ქურთუკები და ჭრელჭრულა კაბები თეთრ ქუჩას აფერადებდა. ეზოების კედლებზე მაგნოლიები დახრილიყო, აუზებში შადრევნები ჩხრიალებდა. სურნელებამ და ლამაზმა ფერებმა ბრძენ ტურირის, ხანდაზმულობის მიუხედავად, სიამე მოჰგვარა. ხალხით მოიგონა წარსული დღენი. ამ ქვეყნისთვის მას დიდი ნაკლი ვერ შეემჩნია. ფიქრობდა, ცხოვრება კარგიაო, და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— რა საამო სითბოა, რა მშვენიერი მზე!

ამ დროს წინ შემოხვდა პატარა, ხუთი წლის გოგონა, ქერა, ლოყანითელი, ლამაზი. პერანგის ამარა. თითი პირში დინჯად ჩაედო და აბრეშუმით კულულებიდან მეფეს ისე უმზერდა, თითქოს მისი გრძელი წვერი და ლაბადაზე მოქარგული ზღაპრული ცხოველები ძალიან მოეწონათ. ტურირი ბავშვისკენ დაიხარა, აკოცა და ხელში ორი ოქროს ფული ჩაუდო.

მერე პატარა ბიჭი შეხვდა, ბავშვი საშინელი შესახედავი იყო, სახეზე ყვითელი ლაქები დაფენოდა წვეტიანი ცხვირის ბოლომდე. თვალბამღვრული, ხელგანვდილი ისეთი გამომეტყველებით გაჰკიოდა, თითქოს გაკვეთილს პასუხობდა და სხვა რამეზე კი ფიქრობდა.

— დედა ლოგინადაა ჩავარდნილი, შვიდი პატარა ძმა მყავს, სამი დღეა არაფერი გვიჭამია.

ტურირიმ შუბლი შეიჭმუნა და მათხოვარს ერთი ოქრო მისცა.

ოცნოდე ნაბიჯი რომ გაიარა, საცოდავი, დაძონძილი კუზიანი მოხუცი დაინახა, გა-
ლახულ ძაღლს რომ ჰგავდა, ნვერმოშვებული, დანითლებული უნამნამო თვალებით, რომ-
ლებიც გადამნიფებული გახლეჩილი ლედვი გეგონებოდა. მათხოვარს გაფუჭებული სასტ-
ვენით ჩახრინული ხმა ჰქონდა, გაუჩერებლივ, ნელა იმუდარებოდა:

— შეიბრალეთ საწყალი კაცი, რომელსაც მუშაობა აღარ შეუძლია... მოწყა-
ლე ღმერთი ორმუზი შეგენევათ.

ტურირიმ ფული ისე შორიდან მიანოდა, რომ მიწაზე დაუვარდა და მათხოვარმა მის
ასაღებად გაჭირვებით ჩაიჩოქა.

იქვე, მახლობლად ახლა ქალი შემოხვდა, რომელიც რა ასაკისა იყო, ვერ იტყოდი. ხე-
ლში ჩვილი ბავშვი ეკვა. ქუჩის მტვერში თავდახრილი იჯდა და თვალები არ უჩან-
და. მეფეს წყნარი ბუტბუტით აედევნა, მოწყალებას ჯიუტად ითხოვდა. გულამღვრულმა
ტურირიმ ნაბიჯს აუჩქარა, მისი მუდარა ვერ აიტანა, ქალი კი არ ჩუმდებოდა, მეფემ
ქისა მოისინჯა, ვერ იპოვა, რასაც ეძებდა, და რამდენიმე სპილენძის ფული მიწაზე და-
უყარა.

ოცდაათიოდე ნაბიჯი გაიარა და დაინახა. — უხელფებო კაცი კედელს მიყრდნობოდა
და ფირდოუსის ლექსს ყვავილებსა და ფრინველთა ყრიაშულზე ისეთი აუტანელი ხმით
მღეროდა, გეგონებოდა, ფიცრები რახუნობენო. ტურირი შეჩერდა, რადგან დავრდომილი
მათხოვარი ვერ დაედევნებოდა და, თითქოს ვერ შეამჩნიაო, ქუჩის მეორე მხარეს გადა-
ვიდა. ცოტაზე კიდევ გაიარა, მაგრამ სიცოცხლის სიხარულს უკვე ვეღარ გრძნობდა.

— რა აუტანელი მზეა! — თქვა ხმამაღლა და სასახლეში დაბრუნდა.

მერე ბევრი ფიქრის შემდეგ ინტენდანტს დაუძახა და უბრძანა:

— ნადი მთავარ ქუჩაზე. იქ ნახავ მოხუც მათხოვარს და ერთი ოქრო მიეცი. მათ-
ხოვარ ქალს, რომელიც ბავშვს ძუძუს ანოვებს, ორი ოქრო მიეცი, ხოლო უხელფებო კაცს
სამი ოქრო.

იმ დღის შემდეგ, როდესაც მეფე ქალაქში გამოდიოდა, მსახური წინ მიჰყვებოდა,
ყველა მათხოვარს ფულს ურიგებდა, თან უბრძანებდა, აქედან ნადით, მეფემ არ დაგინახო-
თო.

ყველა ფიქრობდა, ბრძენი ტურირი ფრიად მოწყალე და ქველმოქმედი გახდაო.

მეფემ დაიფიცა, რომ ამიერიდან ბაღდადში გაჭირვებული აღარ იქნებოდა. ყოვე-
ლდღე თავისი სასახლის ქვედა დარბაზებში მათხოვრებს წყალობას არ აკლებდა, ვინც
კი საჭმლისა თუ ფულისათვის მივიდოდა. მოაწყობდა ბავშვთა, მოხუცთა, დედათა, ყრუ-
მუნჯთა და ბრმათა თავშესაფრები.

როდესაც მეფეს ისეთი ხალხი მოაკითხავედა, ვინც განზრახ სნეულად ან ლატაკად
იჩენდა თავს, მეფე ეტყოდა ხოლმე:

— მომასვენეთ, დრო არა მაქვს არც თქვენი მდგომარეობა ვარკვიო და არც თქვენი
სიცრუე ვამხილო.

ტურირიმ ადამიანთა დასახმარებლად თავისი აურაცხელი სიმდიდრის ცხრა მუა-
თედი გაიღო, სასახლის ხარჯები შეამცირა, თუმცა ზარმაცი პოეტები და ნაკლებად
სკეპტიკოსი ფილოსოფოსები კი დაიტოვა. იგი ლაღად ცხოვრობდა ადამიანთა გონების
უმშვენიერეს ნაწარმოებთა შორის. თავშესაფრებს არ ნახულობდა, არ ჩადიოდა დარ-
ბაზებში, სადაც ლატაკებს სამონყალოდ აჭმევდნენ.

ერთხელ, როდესაც ქალაქში სეირნობდა, ლატაკები შემოეხვივნენ, ერთხმად ყვიროდ-
ნენ, თქვენი წყალობით ვცოცხლობთო; მრავალმა დაუჩოქა, ტანისამოსის კალთა დაუ-
კოცნა.

მაგრამ მეფე ხალხის ასეთმა აღფრთოვანებამ შეაწუხა, გაგულისდა.

ხალხი მას დიდ პატივს სცემდა, იგი ისეთ წმინდანად მიაჩნდათ, როგორიც
სმარსეთში არასოდეს ყოფილა. როცა მეფე ვარდაიცვალა, ბაღდადის ღარიბები გასვენე-
ნენ და დაესწრნენ და ბევრი იტირეს.

სივრცის გარეშე, დროის გარეშე... მაშ სად, როდის? არც მე, არც სხვამ ეს არ იცის.

— ტურირის სული ღმერთს, ორმუზს გამოეცხადა განკითხვისათვის.

ორმუზმა პკითხა:

— რას აკეთებდი დედამიწაზე? რა შრომა გაგინევია?

ტურირიმ, განკითხვის მოლოდინში სრულიად დამშვიდებულმა, მოკრძალებით და გულწრფელად უპასუხა:

— მე ვიყავ სუსტი, როგორც ყოველი ადამიანი. გატაცებით მიყვარდა მშვენიერი სტრიქონები, ლამაზი ფერები, ამო სურნელება, გონებამახვილობა და ფუჭი ვართობა ჩემი სახსრებით მოვანყე ოთხი თავშესაფარი, ღარიბებს მივეცი ჩემი სიმდიდრის ცხრა მეათედი, ჩემთვის კი ერთი მეათედი დავიტოვე.

— მართალია, — თქვა ორმუზმა, — შენ არ იყავ ბოროტი ზღაპარში და გულწრფელი-ლობას იჩენდი. მაგრამ ამჯერად მაინც ვერ მოხვდები სამოთხეში. შენი სული ხვდა სხეულში დაბინავდება და დედამინაზე ახალი სიცოცხლით იცხოვრებს, რათა ყოდეები მოინანიო.

დიდად გაოცებულმა ტურირიმ ჰკითხა:

— უფალო, რა ცოდვები ჩამიდენია?

— აბა კარგად მოიგონე, — უპასუხა ორმუზმა, — რას განიცდიდი, როდესაც ღარიბებს მონყალებას აძლევდა? იმ დღეს, როდესაც შეგხვდა მოხუცი მათხოვარი, ბავშვიანი ქალი, უხელფეხო კაცი, რა იგრძნო შენმა გულმა?

— უდიდესი სიბრალული ადამიანთა ტანჯვის გამო, — უპასუხა ტურირიმ.

— შენ ტყუი, — თქვა ორმუზმა, — გაოცდი და მათი ნახვა არ გესიამოვნა, ვერ აიტანე მათი ტანჯვითა და საშინელი გაჭირვებით აღსავსე არსებობა, მათი სიბინძურე და საზიზღრობა, დამცირება და სულმდაბლობა. როდესაც თხოვნით თავს გაბეზრებდნენ, მონყალებას აძლევდი, მაგრამ ზიზღს გგვრიდა მათი უბედურება, მათი მადლობა, რადგან შენი გულწრფელი უღირსად თვლიდი ყველას. არაფერს ზოგავდი, რომ სიღარიბე მოგესპო, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს სიცოცხლეს გიბილწავდა და შეურაცხყოფდა. შენი ფაქიზი გემოვნება ამ გაჭირვებულებს მადლობის თქმის უფლებასაც კი არ აძლევდა... მონყალების გაცემისას შენ აღშფოთებასა და სიძულვილს განიცდიდი.

— მაგრამ, — უპასუხა ტურირიმ, — მე მძულდა არა გაჭირვებულები, არამედ ბოროტება და უბედურება, ბოროტი სული, არიმანი, თქვენი მარადიული მტერი.

— უბედურება წარმავალია. იგი წარმოშობს ნეტარებასა და კეთილშობილებას. დედამინაზე ცხოვრება გამოცდაა. ყველა ალაღმართალი ჩემთან გამოცხადდება, თითქოს ბოროტება არც ყოფილიყო.

— ეს დამარწმუნებელი და საძარტლიანია — თქვა ტურირიმ, — რა გრძნობა უნდა აღმეძრას, როცა ღატაკებსა და სახიჩრებს ვნახავ? როგორ უნდა მოვიქცე, რომ მათ ტანჯვა შევუმსუბუქო?

— სწორედ ამის გასაგებად გაგზავნი ახლა დედამინაზე.

— მაგრამ, უფალო...

ტურირიმ თქვა ვერ მოასწრო... გაქრა ორმუზი... გაქრა ტურირი... იყო მხოლოდ უფსკრული.

ტირირუს მეტად უბრალო და მოსაწყენი ცხოვრება ჰქონდა. დაიბადა ეშუბში, ღარიბი ხელოსნის ოჯახში. ხელობა შეისწავლა და გაჭირვებით ცხოვრობდა. ბავშვობაში ცუდად იკვებებოდა და ხშირადაც სცემდნენ. საწყალი კაცის კეთილშობილება არ აკლდა, საკმაოდ პატიოსანი, კეთილი და მომთმენი იყო, თავმდაბალი და მოკრძალებული, რაც სულის დიდი სიკეთე და მშვენებაა.

ცოლი შეირთო, მარტოხელა რომ არ ყოფილიყო, სამუშაოს ხშირად ვერ შოულობდა. მერე ცოლი და ორი შვილი გარდაეცვალა. ერთ დღეს ხარაჩოებიდან გადმოვარდა და ფეხებს ველარ ხმარობდა. მერე დამბლა დაეცა და ცალი ხელი წაერთვა, ისე რომ მეორე ხელით მათხოვრობდა. პირველად რცხვენოდა მონყალების თხოვნა და ხშირად მშიერი რჩებოდა. მაგრამ შემდეგ თანდათან შეეჩვია მათხოვრობას და ხელი ანკესის ტარივით ჰქონდა მუდამ განვდილი. დაჩამცირებული მუდარით ღლიდა ადამიანებს. ამქვეყნად სასიხარულო არაფერი გააჩნდა და სიმინდის არაყს სვამდა. თუკი რამდენიმე სუ გადარჩებოდა...

მის მეზობლად ქოხმახში ერთი ძალიან ღარიბი ქალიშვილი ცხოვრობდა, რომელიც ხშირად ხვდებოდა მათხოვარს და ეცოდებოდა. ყოველ დილას მიდიოდა ტირირუსთან, მოჰბანდა წყლულს, დაულაგებდა ლოგინს, დაუმზადებდა საჭმელს, დაუკემსავდა საშოსს. სამაგიეროს კი არაფერს სთხოვდა. მას კრიკა ერქვა. ღამაზი სრულიად არ იყო,

მაგრამ ისეთი კეთილი თვალები ჰქონდა, მისი შეხედვა გესიამოვნებოდა. ტირირუ თავისი დაძონძილი ლოგინიდან ყოველ დილას ფანჯარაში კრიკას გამოჩენას უთვალთვალებდა. ერთხელ, როცა ტირირუ ჩვეულებრივად მათხოვრობდა, ერთმა მდიდარმა ოქროს ფული გადაუგდო. ამ დროს ორმუზმა ტირირუს სულს ნება მისცა განსწუხებოდა, რომ იგი ტურირის სული იყო. მათხოვარმა მდიდრის თვალებში ზიზღი შენიშნა. მაშინდა მიხვდა, რატომ დასაჯა ორმუზმა იგი. გაიხსენა, რომ თავის წარსულ ცხოვრებაში თვითონაც ასე იქცეოდა, ეზიზღებოდა გაუბედურებულნი მათი სიგლახაკისა და სიმახინჯის გამო, თუმცა ეს მათი ბრალი სულაც არ იყო.

მეორე დილას, როდესაც კრიკა წყლულის სახვევის გამოსაცვლელად მოვიდა, მათხოვარმა დაინახა, რომ ქალიშვილის თვალები ზიზღს კი არა, სინაზესა და სიმშვიდეს გამოხატავდა. თუმცა ტირირუ საშინელ მდგომარეობაში იყო. კრიკა მას ნამდვილად კეთილ და ნშინდან ადამიანად დაესახა. როცა ქალიშვილი შეხვევას მორჩა, ტირირუმ ხელზე ჩუმიად აკოცა და ატირდა.

ორმუზმა მათხოვარი შეიწყალა. იგი იმავე ღამეს მშვიდად გარდაიცვალა.

— ხომ მიხვდი? — შეეკითხა ორმუზი ტურირ-ტირირუს სულს.

— დიახ, უფალო! გაჭირვებულს მოკრძალებით უნდა მოემსახურო, ღარიბებს სულში უნდა ჩასწვდე. ისინი არ უნდა შეიზიზღო სიგლახაკისა და სწულების გამო, ვინაიდან შეიძლება ამ მდგომარეობაში ჩვენც აღმოვჩნდეთ. ისინი იმისთვის მაინც უნდა გვიყვარდეს, რომ გაჭირვებას მოთმინებით იტანენ. ასევე უნდა დავსძლიოთ საკუთარი ტანჯვა, ბედისგან განწირულთ უნდა შევუმსუბუქოთ მდგომარეობა, მათმა გაჭირვებამ არ უნდა აღგვაშფოთოს. ადამიანი გაჩენილია სიკეთის დაფუძნებისათვის.

— თითქმის ასეა, — თქვა ორმუზმა, — ახლა, სიკეთით განწმენდილი, წადი და სამოთხეში დაიდუ ბინა.





გერმანულიდან თარგმნა ვიტორ კახნიანიძემ

ანდრეას ბრიფიუსი¹

კათარინა ქართველი
ანუ
ნაცადი სიმტკიცე
(ნანყვეტი)

თეიმურაზს და ჩემს ხალხს მივმართავ
და ვევედრები ღონემიხდილი,
ის ამოდ არ გარდაეგება,
ვისაც კი ძალუძს ჩემებრ სიკვდილი.

გოტჰოლდ ეფრაიმ ლესინგი²

მინა ფონ ბარნჰელმი
ანუ
ჯარისკაცის ბედნიერება
(ნანყვეტი)

ვერნერი: იუსტ, პრინც ჰერაკლიუსზე თუ გსმენია რამე?

იუსტი: ჰერაკლიუსი? არც გამიგია.

ვერნერი: როგორ, აღმოსავლეთის დიდ გმირზე არა გაგიგია რა?

იუსტი: აღმოსავლეთის მოგვებზე ბევრი რამ მსმენია, რომლებსაც
ახალწლის წინა დღეებში ხელში ვარსკვლავები უჭირავთ,
ეზო-ეზო დადიან და სიმღერებით იქაურობას იკლებენ.

ვერნერი: ადამიანო, როგორც გატყობ, შენ გაზეთებსაც ბიბლიასავით
იშვიათად კითხულობ. მაშ, პრინც ჰერაკლიუსზე არაფერი

იცო, ჰა? იმ გულად ვაჟკაცზე, ვინც სპარსეთი დაიმორჩილა და დღეს-ხვალ ოტომანთა სასახლეში შეიჭრება? მადლობა ღმერთს, სადღაც დედამიწაზე ომია გაჩაღებული! მგონა, აქაც მალე აირევა მონასტერი-მეთქი, მაგრამ ყველა არხეინად ზის და თავის ტყავს უფრთხილდება, [ფრფ...]
ჯარისკაცი ვიყავი და ჯარისკაცად დავრჩებო [მხრანდს] მოკლედ (ფრთხილად მიმოიხედავს, ყურს ხომ არავინ მიგდებსო), გენდობი და საიდუმლოს გაგანდობ, იუსტი, სპარსეთისაკენ მინდა გავწიო, რათა მისი უმაღლესობის პრინც ჰერაკლიუსის მთავარსარდლობით თურქებზე გავილაშქრო.

იოვან გოტფრიდ ჰერდარი³

ფიქრები კაცობრიობის ისტორიის ფილოსოფიისათვის (ნაწყვეტი)

იმთავითვე ბედუკუღმართობა დაჰყვა ქრისტიანულ საქართველოს. ბევრი ეკლესია და მონასტერი აუგიათ ამ მიწაზე. ხშირად შეეყრებით პატრიარქებს, ეპისკოპოსებსა და ბერებს. ქართველი ქალები ულამაზესნი არიან, მამაკაცები — გულადები. გასაოცარი ქრისტიანული სულითაა გაჟღენთილი ამ მხნე ხალხის გული.

ფრიდრიხ ჰოლდერლინი⁴

მოგზაურობა

(ნაწყვეტი)

...მე კავკასია მეპრიანება!
რადგან ამბად გამიგონია,
რასაც დღესაც მალვით ჰყვებიან:
იქ პოეტები მერცხლებივით გალაღებულნი
თავისუფლად დანავარდობენ.
გარდა ამისა, ბავშვობაში გამანდეს ის, რომ
დიდი ხნის წინათ
წინაპრები გერმანელ ტომთა
დუნაის ტალღებს გაჰყოლიან
და ერთ მზიან დღეს
ჩრდილის ძებნით გართულები
მზის შვილთა დარად
მისდგომიან შავი ზღვის ნაპირს;

ტყუილად კი არ შეურქმევიათ
იმ მინაზე მცხოვრებთათვის სტუმართმოყვარე.

და როცა სტუმარ-მასპინძლებმა ურთიერთი თვალით
გაზომეს,

აიღ-დაიღეს და ერთმანეთს მიუახლოვდნენ;
ზეთისხილის ქვეშ მიიწვიეს ჩვენებურები.
თურმე მოსულთა ტანსაცმელი ეუცხოვათ,
ერთმანეთსაც ვერცა გაუგეს,
რაკი სიტყვები არ ესმოდათ, უცხო სიტყვები
და ცოტა განწყდა, ერთურთს უნდა ნაჰკიდებოდნენ,
რომ ხის რტოები ამოძრავდნენ,
ამო ნიავმა გააგრილა იქაურობა
და საჩხუბრად მომზადებულთ
პირზე ღიმი აუთამაშდათ,
ერთხანს უჩუმრად შესცქეროდნენ მოსულ-
დამხვდურნი,

მერე კი ხელი მეგობრულად გაუწოდეს ერთიმეორეს.

ხელად გაცვალებს თოფ-იარაღი
და ვით კეთილმა სახლიკაცებმა
გაცვალებს სიტყვაც.
ასე მოიქცნენ წინაპრები,
რომ მოდგმას ჩვენსას
ჰქონებოდა საქორწინო მტკიცე კავშირი,
რადგან ნაკურთხ გვირგვინებიდან
აღმოცენდა მშვენიერება, რასაც ყველანი
მაშინაც, ახლაც ახალთაობას ეძახიან.
სადა ხართ, სადა, სანატრელო მოკეთებო,
რომ აღვადგინოთ ძველი კავშირი
და მოვიგონოთ სათაყვანო მამა-პაპანი?..

ფრანც ბრილჰარცერი⁵

ოქროს საწმისი

(ნაწყვეტები)

მედეა: უკიდევანო ბაღნარია ეს ჩემი მინა,
ზესკნელის ლურჯი სვეტები კი ბინად მეგულვის,
აქ მინდა ვიდგე, მაღალ მთიდან მონაბერ ნიავს
თავისუფლად რომ შევაგებო ლალი გულმკერდი...
ჰეი! ტყისაკენ! ქალიშვილნო, ტყისაკენ გასწით!
(წასვლას დააპირებს თუ არა, მეორე მხრიდან კოლხი

მამაკაცი შემოდის).

კოლხი: მომისმინე, მეფის ასულო!

მედეა: ვინ გარჯილა? რა ამბავია?

კოლხი: უცხო ხომალდი წუთი წუთზე გვიახლოვდება!

მედეა: მერე? მამაჩემს მოახსენე, მე რა ვიღონო?

კოლხი: სად იმყოფება?

მედეა: სად და შინ არის!

კოლხი: მაშ, წავედი!

მედეა: აბა, შენ იცი..

(შიკრიკი სასახლისაკენ გასწევს).



საქართველო
გერმანულენოვანი
უნივერსიტეტი

* * *

მედეა: მამა!

ანიეტი: (გაოგნებული)
რა იყო?

მედეა: ეგ რა ჰქენი?

ანიეტი: (სურს მკვდარს სანმისი გამოსტაცოს)
აჰა, წაიღე!

მედეა: ის ველარაფერს გაიტაცებს, მკვდარია რადგან!

ანიეტი: მკვდარი?!

მედეა: მამა! ეგ რა ჰქენ?

სტუმარი მოჰკალ?

ვაი შენ! ვაი ჩვენს თავს ვაი-ვუი!

წამოიშალეთ ჯოჯოხეთის შავო ღრუბელნო,
სამთავიანი, სისხლიანი თავები,

თმები — გველები,

პირზე — ხანძარი,

მოხარხარე პირსახეების

მალლა! სულ მალლა! წინა გვხვდებიან!

გაძვალტყავებული მკლავები, ხელში — ბაზმები,
მაშხალები! ხანჯლები!

უსმინეთ, უძრავ ტუჩებს რარიგ აცმაცუნებენ,

თითქოს ჩივიან, მღერიან,

არა, სიმღერა სწყურიათ:

ფიცს ვასრულებთ,

წყევლა-კრულვას მთლად ვიზიარებთ!

შეჩვენებულ იქნას, ვინც სტუმარი არ დაინდო!

წყეულ იყოს უკუნითი უკუნისამდე!

მოდიან, გვიახლოვდებიან,

მეც, შენც, ყველას!

ვაი შენ!

ანიეტი: მედეა!

მედეა: შენ ირგვლივ, ჩვენ ირგვლივ!
უიმე! უი!
(გარბის).

ანიეტი: (მისკენ ხელებგანვდილი)
მედეა! მედეა!



გარტა ფონ ზუტნარი⁶

მომონებაჲი

(ნაწივეტი)

...ბოლოს და ბოლოს ავედით გემზე, რომელსაც შავი ზღვით ოდესიდან ფოთში უნდა ჩავეყვანეთ. ჩემი მიჯნური თავის ცხოვრებაში პირველად მოგზაურობდა გემით. მას ვნებიანად უყვარდა ზღვა, ზღვით მოგზაურობაზე ოცნებობდა და აკი აუხდა კიდევ ნატვრა. ჩვენი მიზანი იყო, იმ მიწაზე დაგვედგა ფეხი, საიდანაც იაზონმა ოქროს სანძისი გაიტაცა. ვფიქრობ, მაშინ ჩვენს არსებაში ირეოდა ათასნაირი იაზონისებური განწყობილება: სათავგადასავლო ფათერაკებისა, თვითდაჯერებულობისა და იმედითმოსილობისა. ჩვენ წინ მოულოდნელობებით აღსავსე სრულიად ახალი სამყარო გადაშლილიყო...

მართალია, „ვეფხისტყაოსნის“ ჩვეული თარგმანი არ გამოქვეყნებულა, მაგრამ ეს დრო უქმად არ დაგვიკარგავს. ამ პოემის და სხვა ქართული მოთხრობების საშუალებით, უშუალო დაკვირვებით, გულაღგზნებული პატრიოტის (იგულისხმება იონა მეუნარგია — მთარგ. შენ.) მონდომებითა და მეცადინეობით ვეზიარეთ ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებას, მის ისტორიას, სულს და საერთოდ იმ მომჯადოებელ ქვეყანას, სადაც ამდენ ხანს დავყავით. გავეცანით იმ გვარების ქრონიკებს, რომლებსაც შევხვედრივართ: ორბელიანებს, წერეთლებს, გრუზინსკებს, დადიანებს, მუხრანსკებს, ჭავჭავაძეებს. ეს გვარები ისევე ამაყად ჟღერენ საქართველოში, როგორც ჩვენში მონმორენსები, მანჩესტერები, ბორგეზები, ლისტენშტაინები და სხვები. დაინტერესებული ვიყავით არა მარტო საქართველოს ისტორიითა და ბუნების სიმშვენიერით, არამედ ვსწავლობდით და ვითვისებდით ქართულ ადათ-ჩვეულებებს, ვაკვირდებოდით სტუმარ-მასპინძლობის წესებს, ქორწილებს, სატირალსა და ნათლობებს, სადაც ჩვენს მასპინძელს დავყავდით.

როგორც ერთ დროს სასიყვარულო და სათავგადასავლო ფათერაკებით აღვსილებმა ლეგენდარულ კოლხეთს მოვაშურეთ, ასევე მხიარულად, მაგრამ რალაცნაირი გულდანყვეტით ავაბიჯეთ ბათუმში გემზე, რათა კვლავ შავი ზღვით შინისაკენ გავმგზავრებულიყავით. 1885 წლის მაისში, ე. ი. ჩვენი გაქცევიდან ცხრა წლის შემდეგ, დავბრუნდით სამშობლოში.

ვერმან გუდენიგი

რუსთაველი



იდუმალეებიდან მოსულო, იდუმალი გზით დაკარგულო:
 რუსთავის ფუძეზე ნაშობო, რომელმა მიწამ მიგიბარა?
 ვინ გამოიკვლევს უშეცდომოდ მიწიერი გზით გამოცანას,
 გულისწყრომამ თუ გადაგხვეწა, სამშობლოდან რომ მოიკვეთე,
 რაკილა თვითონ მეფე იყავ, შეშურდათ შენი ტახტთან ყოფნა?
 მამულის წრფელმა სიყვარულმა სახელი უფრო მოგიხვეჭა:
 ყველა არსება ნათელჰყავი, ლექსად გარდაჰქმენ ოსტატურად,
 ქვეყნად დოვლათი ამჟობინე, მხიარულ ფერთა მოციაგემ.
 სამი გვარ-ტომის მეპატრონე მტკიცედ შეჰქარ და შეაერთე,
 ელადის სიბრძნით ნასაზრდოებს, გკვებავდა სპარსეთ-არაბეთიც,
 ძალმოსილებით აღმოსავლეთს შეუდულაბე დასავლეთი.
 შენ რომ ქმნილება გვიანდერძე, კვალია მიწყივ მოუსრველი.
 შენგან წინასწარგანჭვრეტილის თითქოს ვართ თანამოზიარე:
 სივრცე და ჟამი შეაერთე, აწმყო კი მიანგრ-მოანგრიე,
 სისხლის წვიმები აღგვიწერე და ყმათა უტყვი მორჩილება,
 რაინდთა ტრფობა, ცბიერება და ჯადოქართა დამარცხება,
 ბრძოლები ცხარე, შემზარავი, ნადიმები და ერთგულება,
 გულოვანება ავთანდილის და ტარიელის თანაღმობა,
 ველად გაჭრილის გულის სევდა და ჭირ-ვარამის ჩაყუჩება,
 მეგობრის მხარში ამოდგომა და სამეგობროდ შემოქცევა.
 ქალები გმირებს მოუხმობენ, რომ იზეიმონ გამარჯვება:
 თინათინს, ნესტანს და ასმათსაც მიზნისკენ მიჰყავთ რაინდები,
 ფატმან და ფრიდონ იმას ცდილობს, კარგად დასრულდეს ყველაფერი,
 ქიშპი და მტრობა უკან იხევს, მშვიდობის მძლე ხმა აჟღერდება.
 მეკობრე, ზანგი და ვაჭარი ხორცს ისხამს ამ დიდ ქმნილებაში,
 მდიდარი ღარიბს ამწყალობებს, ზეიმზე უხვობს არმაღანი.
 სიბრძნით აავსე ეს პოემა, მყოფობით თრგუნე ბედისწერა,
 ჭმუნვა და ურვა განიქარვე და აზეიმე ნეტარება,
 არ უწერია დაბერება, ყველა თაობას გადასწვდება,
 ეგ შენი სიბრძნე უჭკნობია, რასაც მყოვარჟამ ეძიებდი.
 ესე ქმნილება, რუსთაველო, არასდროს ფანგს არ მოიკიდებს:
 ძველქართულად კი შეთხზე იგი, დღესაც კაშკაშებს ძველებურად.
 უკვდავება ხარ საუკუნოდ და ახალ მოდგმის თანამგზავრი,
 ამიტომ გაქებენ-გადიდებენ, უთვალავ ლექსებს მოგიძღვნიან.
 მარად ახსოვხარ საქართველოს, რაკი არ კვდება სიყვარული,
 ამ ქვეყანაზე სად მოვნახოთ პოეტი კიდევ შენისთანა?

კუგო კუკერტი⁶

ამიერკავკასიის გაზაფხული



ქართული
წერის-
და
გეგმვის
კავშირები

ზუზუნებს ქარი, კოხშინშხლავს და ზეცა გრუხუნებს
კარზე მომდგარი გაზაფხული ლაღად ჟღერალებს,
შუადღით ზესკნელს გადააშავ-გააუკუნებს
და მზის ჩასვლისას დასავლეთი წითლად ბღღვრიალებს.

მთებიდან ბოლავს, — ნისლი ზევით მიემართება,
ტყეში ცვარ-ნამი სიცივისგან შეისუდრება,
აქარებულ ფრთებს ქარბორბალა მიემატება
და ხის ფოთლები ვერცხლისფერად შეიპუდრება.

ჩემს ლაბადაში შეგიკედლებ სიამოვნებით,
რომ ქოლგიანად არ გაქროლდე, მანდ ქარი სჭარბობს,
დაგვაცა ცოტა, ერთი ისე დავფექოთ ვნებით,
ჩვენმა სიმღერამ ჭექა-ქუხილს გადააჭარბოს!

კუგა⁹

თბილისი

ერთი ნიშანიც —
დროშის ბოლო აფრიალებაც
და თვითმფრინავი
ქარბორბალას გაეთამაშა.

ფართო ფრთები
ერთხელ კიდევ შეაფრთხიალა,
თაყვანი სცა იქაურობას,
გამოესალმა და
ჩრდილოეთისკენ აიღო გეზი.
შორიდან მოჩანს
ადამისუამინდელი ყაზბეგი,
მოხუცივით თეთრი და ბრძენი,
ადამიანებისგან განცალკევებული
და ღრუბელთა საუფლოში
დამკვიდრებული.
ერთი სახეობა მიგვყვება თან,
ფრიად ნათელი,

რაც სამუდამოდ დაგვამახსოვრდა,
ხსოვნაში ჩაგვრჩა —
ულამაზესი თბილისი,
ვით რაიმე სიზმარეული.



მაგრამ სიზმარი არ ყოფილა.
ყველაფერი მართალი იყო —
დიახ, ნამდვილი:
მხიარული და მხრებგაშლილი
დედაქალაქი.
როცა დადიან,
თითქოს ცეკვავენ,
და როს ცეკვავენ,
თითქოს დადიან.
ყაზბეგი —
გაზაფხულზე აყვავებულ ატმის
ხესავით
გადაფურჩქნულ-გადაქათქათებული.
თბილისი —
ძალისა და ვაჟკაცობის,
სინაზისა და სისათუთის
განსახიერება.
მტკვრის ძალოვნება
იგრძნობა ყველგან.
მოჩუხჩუხებენ ნაკადულები,
მოჩანჩქარებენ ჩანჩქერები.
ლენინი კვარცხლბეკზე დგას
და იცის:
ეს კაშხალები ჩირაღდანით
გზებსა და ველებს რომ გაანათებს.
ჩახჩახა თბილისიც
ვარსკვლავების ციმციმს აჭარბებს,
თვალის გუგებს ჭრის,
სიხარულიც სხივივით ნათობს.
მიუდინება დაუდგრომელი ბებერი
მტკვარი
და რეცხს ქალაქის წარსულის წყლულებს.
მისი ძალა და უდრეკობა
თბილისის ახალ სუნთქვაშიც იგრძნობა
და რუსთაველის პოეტურ სიტყვაშიც
გამოსჭვივის.
ვენახი უნდა გააშენო,
მერე ღვინო დიდხანს
და დინჯად რომ სვა.
ფრთები დაბლა გადაჭიმულ

სამყაროს ესაღმება.
ერთი ნიშანიც —
დროშის ბოლო აფრიალებაც
და...
მალლა მზე ნათობს,
შავი ზღვა კი ლურჯად ლივლივებს.



რადიო კირში¹⁰

ცურვა ბიჭვინთის შორიანლოს

ხან მომწვანოა ბიჭვინთის ზღვა, ხანაც მოლურჯო,
ყამით-ყაშამდე გემებისგან გაშავებული,
ამიტომ ცოტა მოშორებით უნდა იცურო
და არხვინად ატრიალდე გულაღმა წყალში: ასეთნაირად
ზღვის ტალღებზე კარგად ისვენებ და თან შესცქერი
კავკასიონის თეთრად დაფარულ მაღალ მწვერვალებს;
სწორედ ესაა დასვენება. ოდნავ ირწევს ზვირთებზე
და შენ გარშემო კამკამა წყალში
ნათლად ხედავ საკუთარ სხეულს;
ნაპირთან ახლოს უფროსების სახეებს ვარჩევ,
თვალს უკრავენ ერთმანეთს, რადგან
ამ ბუნებისთვის ფული ბლომად გადაუხდიათ,
ჭყუმპალაობენ ღიპები ზღვაში ისე, რომ კიდეს არ სცილდებიან.
აბა რა ქნან, მეტი არ ძალუძთ. ცამდე აწვდილა კავკასიონი.
მე უნონადოდ ვწევარ ტალღებზე, გაშოტილ მკლავებს ვამოქრავებ
და ოცნებაში ჩაძირული შენ და ზღვასა გგრძნობთ მხოლოდ და მხოლოდ,
გოგონებს თითქოს ჩემ წინ ჩაევლოთ,
მაგრამ ზღვაში ვარ განოლილი. ზღვიდან კი მოჩანს
მთები, თოვლი, ზეცა და ტევრი დაუსაბამო. ასეთია
ზღვაში ფიქრი, გაელვება, შემსუბუქება რაღაცის წამით —
ეს არის სხეულის სიჯანსაღე: უკვდავება
ამ საუკუნეში! მივცურავ დინჯად, ნება-ნება,
აუჩქარებლად, თანდათანობით მოპირკეთებულ
ბიჭვინთის ნაპირს ვუახლოვდები.
და ჯერჯერობით ორმოცის ვარ, მეტის ხო არა.

აქსელ შულცე¹¹

ფიროსმანის სურათები

მღვრიე თეთრ ძალს ეყვინთება,
მაგრამ შიშით თვალი ვერ დაუხუჭავს,



მოქეიფენი მუხის ჩრდილში მოკალათებულან
 და აშიშხინებულ მწვადს შესცქერიან,
 მაგიდაზე ჯამები, ნივრის მწნილი
 და შოთები ალაგია,
 ნვიშით ჩამორეცხილ დუქნის აბრიდან
 მსახიობი მარგარიტა იღიმება,
 გაკრიალებული სარძევეები
 და სპილენძის სანყაულები
 თაროზე შემოუნყვიათ,
 მარგარიტა წირთხლს მიყრდნობია
 და დამკრახულ ყურძენს შეეცევა,
 მის თოვლივით ქათქათა მხრებზე
 მუხის ტოტიდან ჩიტი ეშვება,
 თეთროვან მაზიდაში თხები შეუბამთ
 და ძველი ქალაქის ქუჩებში დაჰყავთ,
 ყარაჩოხელებს,
 ლამლამობით ტფილისში ცხენებს რომ დააჭენებენ,
 სისხლისფერი შუბლები აქვთ,
 ყასაბთა ეზოებში ერთმანეთში არეულა
 საქონლის ნაცრისფერი ძვლები,
 იგი რძეს უწყავს თუნგებსა და ქილებში,
 გააჩნია, ვინ რას მოიტანს,
 რძეს გარეუბნებიდან მომქროლავი
 ბოლის გემო დაჰკრავს,
 თხებს თითბრის ეფენები ჰკიდიათ
 და ტყავის თასმები უხდებათ,
 მარგარიტა ტანსაცმელს იხდის
 და შეღებილ ქუთუთოებს იწმენდს,
 მოწეულ საზამთროში სახე ჩაურგავს
 და ფრანგულად ჭიკჭიკებს,
 ნარიყრაჟევეზე,
 როცა მტვერი წითლად ციალებს,
 კოფოზე ზის და გულიანად ხარხარებს
 სავაზნე ტყვია და სპილენძი,
 ვილაცის კეფაზე ჩამოყონილი სისხლი,
 მდინარე მკვდრებს მოაცურებს,
 ეყვინთება მღვრიე თეთრ ძაღლს,
 მავანნი კი დაჭრილებს,
 დახურული ბაზრის კედლებს რომ მიყრდნობიან,
 ნატყვიარზე ბალახს ადებენ,
 გამოშიგნული და აქნილი ყოჩის
 ნაწლავების გვერდით, უანგიან სასწორებზე
 საზამთროს და პამიდორს აწყობენ,
 ვაშლის გორაზე



ქართული
წიგლისათვის

ფოცხვერს ყური დაუცქვეტია,
 საცეკვაო მოედანზე ყავისფრად გამომწვარ თიხას
 შავი ჩექმები ტკეპნიან,
 მტკვრის ფერდობიდან ამავალ ქუჩაზე,
 კაფეში, მონწულ სკამებზე
 სავაზნე ჩანთები კიდია,
 შეშინებული გოგონები ნაუცბათევად
 წინდებში, მუხლზემოთ ფულს იჩურთავენ,
 ეყვინთება მღვრიე თეთრ ძალღს,
 ძილი სწყურია,
 მარგარიტას ტილოს წინსაფარი აუფარებია
 და ხონჩაზე ჯავზს ხეხავს,
 ტკბილეულითა და სასმელებით გამოტენილი
 ჭრელი დუქნები დაკეტილია,
 გახარებულ ჭინჭრებში
 მამაკაცები გასისხლიანებულან,
 წითელ ლარნაკში გაფურჩქნილი ყვავილივით
 ეხსნებათ სასიკვდილო ჭრილობები,
 კედლები დახვრეტილთა სისხლითაა შეღებილი,
 მხატვარს ტილოზე კვერნა გამოჰყავს,
 შეშინებული მთვარე კი მკრთალად დაჰნათის,
 განვდილ მუჭებში ბავშვებს რძეს უსხამს,
 თბილ, მომწარო რძეს,
 რომელსაც ბოლისა
 და სისხლის სუნი ასდის,
 მარგარიტასთან კოტრიალებს ეკალბარდებში,
 ხელში ედება სარცხვინელის თმა,
 და ორივენი კარგად ხედავენ,
 ვით აღიმართა ტფილისის თავზე
 წითელი დროშა,
 ჭამენ და თქველფენ, ვიდრე ქონი
 ტურ-ნიკაჰზე არ შეხმობიათ,
 ის უბრუნდება სელის ზეთის და
 წითელ მიწისგან მოზელილ ფერებს,
 ხატავს კავკასიურ ირემს
 და მეზობელს, რომელსაც ტიკით
 სასმელი წყალი დააქვს,
 როცა ბაზრის მოედანზე ვაჭრები
 გაეცეული დაშნაკების საწყობებში
 დარჩენილ ხორბლეულს, ბრინჯსა და
 დამარილებულ ვარდისფერ ხორცს წონიან,
 ის დგას ქუჩაში
 ვაჭართა ფარდულებთან.

გვარჯილის სუნით გაჟღერებულ სარდაფებში
 გლეხებს წინანდლიდან მაჭარი ჩამოაქვთ,
 ბავშვებს რძით უვსებს სპილენძის დოქებს,
 რომლებიც დაცლილი ვაზნებისგანაა ჩამოსხმული.
 მარგარიტა იმ ქალთა თვალნი თამაშობს,
 მსუქანი ხორცისა და იუხტის სუნი რომელიც
 ბარათს სწერს ნევერიდან
 და ერთგულების დასამტკიცებლად
 ლოკონებიან თმოდან ერთ ღერს იმეტებს.
 დახორავებული ხორცის,
 გაქონილი ტაფების,
 შებრანული ბატის ღვიძლის,
 ხახვითა და შაშხით აჩხორვილ თევშების წინ
 ღამლამობით მის მკლავებს ხატავს,
 მაგიდის ქვეშ კი,
 ჯამებისა და ხორცისგან რომ ჩაზნექილა,
 თათებში თავი წაუყვია
 უძილობისგან დაღლილ
 და ბენვაბურძგნილ ძაღლს,
 ტფილისში მთებიდან თანდათანობით
 თბილი ლაინისფერი სალამო ეშვება.

თერგის ნაპირები

რა ლაყვარდია! მუქლურჯი თოვლით
 დასერილა გარშემო მთები და თვით ჰაერიც
 ზვრების თავზე ლურჯ შუშას მოჰგავს.
 ასეთნაირად შევისრუტავთ უცხო მიდამოს.
 ფიჭვების ფესვთა მუშკამბარი ჩვენამდე აღწევს.
 დამდნარ თოვლისგან მოწანწკარე ნაკადულები
 მოჩხრიალებენ, ჩამორბიან, წყალუხვდებიან.
 ვირისტერფათი მოფენილა მთის საძოვრები,
 მოცისფრო გზები გველის ენას დაუფარია.
 ქვებიდან ქვებზე მდინარეში ხტიან თევზები
 და სადაც თერგის ნაპირები განიერდება,
 მოიჩქარიან ბინულები, რუები, ფშნები,
 მოგვეგებება ფერდობებზე ჩაყრილი ვაზი,
 ტყეთა წიწვების ბალახი და ამო ჩრდილი.
 ჩვენ წინ გადაშლილ ქვეყნის კიდემდე
 იჭრება მზერა ახედავ ზეცას,
 უღალა მდინარეც იქვე ახლოს მიაპობს ტალღებს.

არბონაპტიკი



როცა სალაშქროდ გზას გავუდექით,
 კუპრით გავტისნეთ გემთა ხვრელები.
 ქარიშხალმა და მლაშე გრიგალმა
 მთლად დაგვიხეთქა მშრალი ტუჩები.
 უცხო მეუფე გავაცამტვერეთ
 და ნაცარტუტად ვაქციეთ ღმერთი.
 საწყალ მათხოვარს რომ შევეყარეთ,
 ნამსვე ნავგლიჯეთ სპილენძის ფული.
 გზის ნაპირებზე დავყარეთ ხალხი,
 ვისაც ტრაქომამ თვალისჩინი ამოაჭამა.
 საითკენაც კი გავილაშქრეთ, მხურვალე კირმა
 დაგვისერა და დაგვიხეთქა ფეხები მწარედ
 და მობუყბუყე ჭაობებში ჩაიძირა ჩვენი პირსახე,
 ალბათ აქ,
 თავრიზის ოხშივარადენილ მწვანე ტევრებში.
 დავინწყებავ, ო ქველო კანონო.

შენიშვნები

- 1 XVII საუკუნის გერმანელი პოეტისა და დრამატურგის **ანდრეას გრიფიუსის** (1616-1664) ქართულ თემაზე შექმნილი პიესა „კათარინა ქართველი ანუ ნაცადი სიმტიცი“ ხუმრობებშიანი, ექვსმუხლიანი „ალექსანდრიული“ ლექსით დაწერილი ტიპიური ბაროკოს სტილის ტრაგედიაა. ჩვენი საუკუნის დასაწყისში მასზე ყურადღება გაამახვილეს ივანე ჯავახიშვილმა და ივანე რამიშვილმა. 1951 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გერმანისტმა არსენ ბიბიჩაძემ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ანდრეას გრიფიუსი და მისი ტრაგედია „საქართველოს დედოფალი კათარინა“. ახალგაზრდა მეცნიერმა დისერტაციას დაურთო ამ პიესის ზედმიწევნით ზუსტი მეცნიერული სტრიქონთარგმანი, მაგრამ უდროოდ გარდაცვალების გამო ვერ მოასწრო მისი გამოქვეყნება. 1975 წელს ტრაგედიის სრული პოეტური თარგმანი გამოსცა აკაკი გელოვანმა.
- 2 უდიდესი გერმანელი განმანათლებლის **ლესინგის** (1729-1781) დრამამ „მინა ფონ ბარნჰელმმა“ დიდი პოპულარობა მოიპოვა არა მარტო გერმანიაში, არამედ ევროპის სხვა ქვეყნებშიც. პიესა წარმატებით იდგმებოდა ინგლისში, იტალიაში, საფრანგეთში, რუსეთში და სხვაგან. „მინას“ გიორგი ნადირაძისეული ქართული თარგმანი გამოქვეყნდა 1946 წელს.
 მართალია, აქ მოტანილ ნაწყვეტში ისტორიული ფაქტები დამახინჯებულია, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა, თუ არა რეზონანსი ჰქონდა მეფე ერეკლეს სამხედრო და პოლიტიკურ მოღვაწეობას დასავლეთ ევროპაში.
 XVIII საუკუნიდან მოყოლებული, ძველგერმანული ხალხური ჩვეულების მიხედვით, 24 დეკემბრიდან 1 იანვრამდე ანუ საშობაო დღეებში მოგვების ტანსაცმელში გამოიწყობილი გოგო-ბიჭები ხელში ვარსკვლავებს დაიჭერდნენ, ეზო-ეზო დადიოდნენ და გაუთავებლიე მღეროდნენ ვარსკვლავთა ხოტბა ძველ წარმართობასაც გამოხატავდა და უფრო მოგვიანებით ქრისტეს დაბადების ლეგენდასაც ადასტურებდა. ეს წეს-ჩვეულება ქართულ ჭონას შეიძლება შევადაროთ, რომელიც ძირითადად სოფლებში იყო გავრცელებული საშობაოდ და სააღდგომოდ.

3. დიდი გერმანელი ფილოსოფოსის, ესთეტიკოსის, პოეტის, მთარგმნელისა და გამომცემლის — **პერდარის** (1744-1803) ამ ნაშრომმა, რომელშიც მსოფლიოს დიქციონარის ყველა ერი წარმოჩენილი, ახალგაზრდა თაობებისათვის უდიდესი ურთულესი შესასრულელი კაცობრიობის ისტორიის შემდგომი კვლევის, შესწავლისა და გადმოცემის საშუალება უქმნის.
4. უდიდესი გერმანელი პოეტის **ფრიდრიხ კოლდარლინის** (1770-1843) ეს ლექსი, როგორც ისტორიული, ისე პოეტური თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ქართველი მკითხველისათვის.
5. უდიდესი ავსტრიელი პოეტისა და დრამატურგის **ფრანც ბრილარცის** (1791-1872) პიესა „ოქროს საწმისი“, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება („სტუმარი“, „არგონავტები“, „მედეა“), დღემდე არც ერთ ენაზე არ არის თარგმნილი. ტრილოგიის ჩვენულ თარგმანს ქართველი მკითხველი ახლო მომავალში იხილავს.
6. მშვიდობის საქმისათვის დაუცხრომელი მებრძოლი, ბერნის, ანტვერპენის, ბუდაპეშტის, ჰამბურგის, ჰააგის, პარიზის, მონაკოს მშვიდობის კონგრესების მონაწილე, მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში გამოჩენილი მწერალი ქალი, გახმაურებული რომანის („ძირს იარაღი“) ავტორი, ნობელის პრემიის ერთ-ერთი პირველი ლაურეატი (1905 წ.), „პაციფიზმის ფუძემდებელი, ჩვენი დროის კასანდრა“ (შტეფან ცვაიგი) — **ბერტა ფონ ზუტნერი** (1843-1914) შეუღლდესთან ერთად ცხრა წელიწადს (1876-1885) ცხოვრობდა საქართველოში.
7. „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულ ენაზე მთარგმნელი **პერმან გუდენიგი** (1893-1976) რამდენჯერმეა ნამყოფი საქართველოში. გერმანული პეგზამეტრიით დაწერილ ამ ლექსს ჩვენ ექვსტერფიანი დაქტილური რიტმი მიუხადავით.
8. ცნობილი ავსტრიელი პოეტი და მთარგმნელი **კუზო კუპარტი** (დაიბადა 1902 წელს) ოთხ წელიწადს ცხოვრობდა საქართველოში „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის გარდა მან 1954 წელს ბერლინში გამოაქვეყნა ლექსთა კრებული „მოგზაურის ქართული კვერთხი“, რომლიდანაც ამოღებულია ეს ლექსი.
9. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პოეტი და დრამატურგი **კუბა** (კურტ ბარტელი, 1914-1967) თბილისზე დაწერილ ამ ლექსის გარდა საქართველოსადმი მიძღვნილი რამდენიმე მხატვრული ბარკვევის ავტორიცაა.
10. გდრ-ის პოეტისა და მთარგმნელის **რაინერ კიშის** სახელი ქართველი საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი (დაიბადა 1934 წელს). ამ ლექსში პოეტი სასაუბრო ენას იყენებს, ხანდახან რიტმსაც კი გაურბის და ასე პროზაულად გადმოგვცემს თავის შთაბეჭდილებას, რაც მკითხველისთვისაც ადვილი შესამჩნევია.
11. გდრ-ის პოეტის **აქსელ შულცის** (დაიბადა 1943 წელს) „ქართული თემატიკიდან“ ადრე უკვე დაიბეჭდა ჩვენ მიერ თარგმნილი ლექსები „ქართული ბაზარი“ და „წინანდალი“.

ქვემოთ იხილეთ
რამდენიმე

რაინერ მარია რილკე

წერილები ახალგაზრდა პოეტს



გერმანულიდან თარგმნა ასპათი ფიცხელაურმა

შესავალი

1902 წლის გვიანი შემოდგომა იყო. ვენის ახალდასახლებაში. სამხედრო აკადემიის პარკში მრავალწლოვანი წაბლის ხეების ქვეშ ვიჯექი და წიგნს ვკითხულობდი. კითხვამ ისე გამიტაცა, არც კი შემიძინევია, როგორ მომიახლოვდა ჩვენი სასწავლებლის ერთადერთი სასულიერო პირი, ფრიად განსწავლული და გულკეთილი მღვდელი — ჰორაჩეკი. მან ხელიდან ამაცალა წიგნი, ყდას დააცქერდა და თავი გააქნია. „რაინერ მარია რილკეს ლექსები?“ — იკითხა ფიქრიანად. შემდეგ აქა-იქ გადაფურცლა, ერთ-ორ ლექსს თვალი გადაავლო, სივრცეს ფიქრიანი მხერვა მიაპყრო და ბოლოს თავი დააქნია. „მაშ, აღსაზრდელ რენე რილკესაგან პოეტი დადგა?“

და აი, მაშინ გავიგე გამხდარი, ფერმკრთალი ბიჭის ამბავი, რომელიც 15 წლის არც კი ყოფილა, როცა მშობლებს სანქტ-პოლტენის დაწვევებით სამხედრო რეალურ სკოლაში მიუბარებიათ, რათა ოფიცერი გამხდარიყო. მაშინ ჰორაჩეკი სასწავლებლის მღვდელი ყოფილა; ამიტომ ყოფილი აღსაზრდელი მას ჯერ კიდევ არ ჰყავდა დავიწყებული. რილკე, როგორც ჰორაჩეკმა თქვა, ჩუმი, სერიოზული, ძლიერ ნიჭიერი ბიჭი ყოფილა. უფრო მარტოობას არჩევდა თურმე, ხოლო ინტერნატის იძულებით ცხოვრებას მოთმინებით იტანდა. ოთხი წლის შემდეგ რილკე სხვებთან ერთად უშალღეს სამხედრო-რეალურ სკოლაში, მორავიის ვაისკირჰენში გადააულა. იქ მას ჭანჭრთელობამ უმტყუნა. ამის გამო მშობლებს სასწავლებლიდან გაუყვანიათ და ოჯახთან ახლოს, პრადაში გაუგრძელებინებიათ სწავლა.

როგორ წარიმართა მას შემდეგ ბიჭის ცხოვრება, ჰორაჩეკმა აღარაფერი იცოდა.

უფიქრობ, გასაგები უნდა გახდეს ის, თუ რატომ გადაეწყვიტე, ჩემი პოეტური მცდელობანი რაინერ მარია რილკესთვის გამეგზავნა და შეთხოვა თავისი აზრი გამოეთქვა.

ოცი წლის არც კი ვიყავი. თანაც ის პროფესია უნდა ამერჩია, რომელიც ჩემს მისწრაფებებს ეწინააღმდეგებოდა. ამიტომ ვიმედოვნებდი, რომ მხოლოდ და მხოლოდ კრებულის „ზეიმად ჩემდა“ ავტორთან ვიპოვიდი თანადგომისა და გაგებას. წერილის მიწერას არ ვაპირებდი, მაგრამ ჩემდა უნებურად გაჩნდა ბარათიც. ყოველგვარა მორცხვობისა და თავმდაბლობის გარეშე გადაეუხსენი გული პოეტს. ასეთი გულახდილი არც მანამდე და არც მას შემდეგ არაფისთან არა ეყოფილვარ.

დიდმა დრომ განვლო, სანამ პასუხი მოვიდოდა. ლურჯი მელნით ნაბეჭდ წერილზე პარიზის საფოსტო ბეჭედი იყო დარტყმული. წერილი მძიმე იყო, კალიგრაფია ავტორის მტკიცე ხასიათზე მიუთითებდა, რომელიც წერილის შინაარსიდანაც ჩანდა.

ამგვარად დაიწყო ჩემი რეგულარული მიმოწერა რაინერ მარია რილკესთან, ეს მიმოწერა 1908 წლამდე გრძელდებოდა, შემდეგ კი თანდათანობით შეწყდა. შეწყდა იმიტომ, რომ ცხოვრებამ იმ გზებისაკენ გადამისროლა, რომელთაგან ჩემი დაცვააც ასე ძალიან სურდა პოეტს თავისი თბილი, ნაზი და ამაღელვებელი ზრუნვით.

თუმცა ეს ხომ არცთუ ისე მნიშვნელოვანია. მნიშვნელოვანია მხოლოდ ის ათი წერილი, რომლებსაც გთავაზობთ. მნიშვნელოვანია ისინი იმ სამყაროს შეცნობისათვის, რომელშიც რამდენი მარია რილკე ცხოვრობდა და ქმნიდა: ამ წერილების დიდი მნიშვნელობა იმასაც გამოიხატება, რომ შესაძლოა მათ დიდი დახმარება გაუწიონ მრავალთ, რომელნიც ძიებენ ზრდისა და თვითდადგენის გზაზე აოიან, იქნებიან ისინი ჩვენი თანამედროვენი თუ მოძველის ადამიანები. იმასლა დაეძენ, რომ, როცა დიდი ადამიანი ლაპარაკობს, იქ პატარებს დუმილის მეტე არა და გვრჩენია რა.

ბერლინი, ივნისის თვე, 1928,
ფრანც ქსავერ კაპკუსი

წერილი № 1

პარიზი, 17 თებერვალი, 1903

ღრმად პატივცემულო ბატონო,

სულ რამდენიმე დღეა, რაც თქვენი წერილი მივიღე. მადლობას მოგახსენებთ დიდი და ძვირფასი ნდობისათვის. ვეჭვობ, ამაზე მეტი შევიძლო: მე არ შემიძლია თქვენი ლექსების ღირსება-ნაკლოვანებებზე შეჩერდე; ვინაიდან ყოველგვარი კრიტიკული მიდგომა ხელოვნების ნაწარმოებისადმი უაღრესად უცხოა ჩემთვის. ხელოვნების ქმნილებას ყველაზე ნაკლებ კრიტიკული განსჯით ჩასწვდება კაცი; ამასთან ამ გარემოებას ხელოვნების ნაწარმოების მეტ-ნაკლებად საბედნიერო ვერგაგება განაპირობებს. საგნები არც თუ ისე გასაგები და იოლად გამოსათქმელია, როგორც ცდილობენ დაგვარწმუნონ უმეტესნილად. მოვლენათა უმრავლესობა გამოუთქმელია, ისინი იმ სამყაროში მიედიინებიან, სადაც არასდროს არც ერთ სიტყვას არ შეუღწევიან. ყველაზე უფრო გამოუთქმელი კი ხელოვნების ნაწარმოებებია, ეს იდუმალებით მოცული არსებანი, რომელთა სიცოცხლევ ჩვენი წარმავალი სიცოცხლის მეზობლად მკვიდრობს და ხანგრძლივობს.

რადგანაც ამ შენიშვნას წინდანინ განვდით, იმასლა გეტყვით, რომ თქვენს ლექსებს საკუთარი სახე არ გააჩნია, თუმცა მათში ადვილად შეიმჩნევა ჩუმი და ფარული საწყისები პიროვნულისა. ყველაზე ნათლად ამას თქვენს უკანასკნელ ლექსში „სული ჩემი“ ვგრძნობ. აქ რაღაც თქვენეულს, რაღაც საკუთარს სურს გამოხატულება ჰპოვოს. ხოლო მშვენიერ ლექსში „ლეოპოლდისადმი“, მგონი, თავს იჩენს ერთგვარი ნათესაობა ამ დიდ და მარტოსულ კაცთან. მიუხედავად ამისა, ჯერჯერობით ეს ლექსები თავისთავად ბევრს არაფერს წარმოადგენენ; არც ხომალს და არც ლეოპოლდისადმი მიძღვნილი. მათ თვითმყოფადობა აკლიათ. თქვენი ბარათი, დეტქსებს რომ თანახმლდა, დამეხმარა თქვენი ლექსების ზოგიერთი ნაკლის ახსნაში, რაც თავადაც ვიგრძენი კითხვისას, თუმცა ამ ნაკლთა ზუსტი სახელდება ჯერ არ შემეძლო.

თქვენ კითხულობთ, კარგია თუ არა თქვენი ლექსები. მე მეკითხებით. მანამდე სხვებს ჰკითხეთ. ამ ლექსებს სხვადასხვა ჟურნალებს უგზავნიო, ადარებთ მათ სხვა ლექსებს, ანდა მოუსვენრობა გიპყრობთ, ზოგიერთი რედაქცია თქვენს ნაწარმოებებზე უარს რომ აცხადებს.

რაკი ნება დამრთეთ, რაიმე გირჩიოთ, გთხოვთ, ყველაფერ ამას თავი დაანებოთ. თქვენ გარეთ იხედებით, გარეგან წარმატებას ესწრაფვით და სწორედ ამას არ უნდა აკეთებდეთ ამჟამად. არავის ძალუძს რაიმე გირჩიოთ და დაგეხმაროთ, არავის. არსებობს ერთადერთი გამოსავალი: ჩაღრმავდით საკუთარ თავში. ეძებეთ იმ იდუმალი ხმის სათავე, წერისაკენ რომ მოგიწოდებთ. შეამონმეთ, გაიდგამს თუ არა ის ფესვებს თქვენი გულის უღრმეს კუნჭულში. გამოუტყდით საკუთარ თავს, მოკვდებოდით თუ არა, თქვენთვის წერა რომ აეკრძალათ. ყველაზე უნინ კი: ჰკითხეთ საკუთარ თავს თქვენი ღამის ყველაზე უფრო ჩუმ წუთებში: უნდა ვწერო თუ არა!? ეძიეთ თქვენი სულის წიაღში ღრმა პასუხი. ხოლო თუ პასუხი დადებითი იქნება, თუკი თქვენ ამ სერიოზულ კითხვას შეეგებებით მტკიცე და უბრალო პა-

სუხით „მე უნდა ვწერო“, მაშინ ააგეთ თქვენი ცხოვრება ამ აუცილებლობის მიხედვით; და მაშინ თქვენი ცხოვრება ყველაზე დაშრეტილ და უმნიშვნელო ნუთებშიც კი ამ შემოქმედებითი სწრაფვის გამოსატყულებას უნდა წარმოადგენდეს. შემდეგ კი მიუახლოვდით ბუნებას. სცადეთ, პირველყოფილი ადამიანის მსგავსად, თქვათ, რასაც პხედავად და განიცდით, გიყვართ და პკარგავთ, რასაც სამუდამოდ ემშვიდობებით. ნუ დაწერთ სამიჯნურო/ლექსებს; უწინარეს ყოვლისა ურიდეთ გაცვეთილ და გავრცელებულ ფორმებს. ყველაზე რთულია, რადგან იმისათვის, რომ რაღაც საკუთარი თქვა იმ დროს, რცფუ ჯერჯერ შესანიშნავი ტრადიციაც არსებობს, საჭიროა დიდი, მომწიფებული ძალა. ამიტომაც თავი აარიდეთ საყოველთაო, ზოგად მოტივებს და შიშართეთ მას, რასაც თქვენი ყოველდღიური ცხოვრება გათავაზობთ; ასახეთ თქვენი ნაღველი და სურვილები, წამიერი ფიქრები და რაიმე სილამაზისადმი რწმენა — ასახეთ ეს შინაგანი, ჩუმი, მოკრძალებული გულწრფელობით და საკუთარი სულის გამოსახატავად მოიშველიეთ გარემომცველი საგნები, თქვენი სიზმრების და ოცნებების ხატები, ნივთები და ადამიანები, თქვენს მოგონებებში რომ ჩაჩენილან. თუკი თქვენი ყოველდღიურობა უფერულად და უშინაარსოდ მიგაჩნიათ, ბრალს ნუ დასდებთ მას. ეს თქვენს თავს დააბრალეთ, თქვით, რომ ჯერ კიდევ არა ხართ კარგი პოეტი და შის საგანძურზე ხელი არ მიგიწვდებათ; ვინაიდან შემოქმედისათვის არ არსებობს არც სილატაკე და არც უბადრუკი და ცარიელი ქვეყანა. სამერობილეშიც რომ ყოფილიყავით, რომლის კედლებშიც ქვეყნიერების ვერც ერთი ჩქამი ვერ შემოაღწევს, განა თქვენთან არ იქნებოდა ისევ და ისევ თქვენი ბავშვობა, ეს ფასდაუდებელი, მეფური სიმდიდრე, მოგონებათა ეს განძოსაცავი? მიმართეთ მისკენ თქვენი ყურადღება. შეეცადეთ ამოატივტივოთ შორეულ წარსულში ჩაძირული აზბები; თქვენი პიროვნება განმტკიცდება, თქვენი მარტოობა ფრთებს გაშლის და თქვენი სახლი მწუხრის სიჩუმით აღივსება პირთამდე, სადაც ვერანაირი ხმაური ვერ შემოაღწევს. და თუ საკუთარი თავისაკენ ასეთი შიქცვის შედეგად, საკუთარ სამყაროში ჩაძირვის შედეგად ლექსები დაიბადება, მაშინ აზრადაც აღარ მოგივით პკითხოთ ვინმეს, კარგია ეს ლექსები თუ ცუდი. თქვენ იმასაც კი აღარ ეცდებით, ჟურნალები თქვენი ნამუშევრებით დააინტერესოთ: რადგან მათში დაინახავთ თქვენს ბუნებრივ, საყვარელ საუფლოს, თქვენი ცხოვრების სისხლხორცეულ ნაწილსა და ხმას. ხელოვნების ქმნილება კარგია, უკეთუ მას შინაგანი აუცილებლობა წარმოშობს. წარმოშობის ამგვარი ხასიათი ხელოვნების ნაწარმოების ღირსებასაც განსაზღვრავს: სხვა განაჩენი არ არსებობს. ამიტომაც, ღრმად პატივცემულ ბატონო, მხოლოდ ერთს გირჩევთ: ჩაღრმავდით საკუთარ თავში და მოსინჯეთ სიღრმეები, ფსკერი, რომლიდანაც თქვენი ცხოვრება წარმოდინდება; თქვენი ცხოვრების სათავეში იპოვით პასუხს თქვენსაკე კითხვაზე, უნდა პქმნიდეთ თუ არა. მიიღეთ ეს პასუხი, როგორც არ უნდა იყოს და ხუღარ ეცდებით განსაჯოთ იგი. თუ აღმოჩნდება, რომ მონოდებული ხართ, იყოთ ხელოვანი, მაშინ მიიღეთ და ატარეთ ეს ხვედრი, მისი სიმძიმე და სიდიადე და საზღაურს ხელარ მოპკითხავთ თქვენ გარეთ მყოფ ქვეყნიერებას, რადგან შემოქმედი თავად უნდა წარმოადგენდეს მთელ სამყაროს თავისი თავისთვის. ყოველივე საკუთარ სულში და ბუნებაში აღმოაჩინოს. — ბუნებაში, რომელიც მან შეისისხლხორცა და რომელთანაც კავშირი შეპკრა.

მაგრამ შესაძლებელია, რომ საკუთარ არსებასა და მარტოობაში ჩაძირვის შემდეგ აღარც კი ისურვოთ პოეტობა; როგორც ითუვა, საკმარისია კაცმა იგრძნოს, რომ წერის გარეშეც შეუძლია სიცოცხლე და მას უკვე აღარცა აქვს წერის უფლება. მაგრამ ეს თვითჩაღრმავება ამოდ მაინც არ ჩაუვლის და ამის შემდეგ მისი ცხოვრება აუცილებლად იპოვის საკუთარ გზას. მე ძლიერ მსურს, რომ ეს გზა დიდი, სასიკეთო და ნაყოფიერი იყოს თქვენთვის, გისურვებთ გაცილებით მეტს, ვიდრე ამას სინამდვილეში გამოეხატავ.

კიდევ რა გითხრათ? მგონი, ყველაფერ მნიშვნელოვანზე გავამახვილე ყურადღება; და ბოლოს მსურდა კიდევ ერთი რწვეაც მომეცა, რომ ჩუმად და სერიოზულად იზარდოთ თქვენს შინაგან გზაზე; ამ ზრდას ყველაზე მეტად თავად შეუშლით ხელს, თუკი გარეთ დაიწყებთ ცქერას და გარე სამყაროდან დაელოდებით პასუხს იმ კითხვებზე, რაზეც პასუხის გაცემა აღბათ მხოლოდ და მხოლოდ თქვენს უშინაგანეს გრძნობას შეეძლო სულის უფაქიზესი გარინდების გამს. ძლიერ გამახარა თქვენს წერილში პროფესორ პორაჩეკის სახელის ხილვამ; დიდ მოწინებას განვიცდი ამ განსწავლული კაცისადმი და ნლების მანძილზე მისდამი დაუვიწყარ მადლიერების გრძნობას ვინახავ. გაუზიარეთ მას, თუ შეიძლება, ჩემი ეს განცდა; ძალზედ მალეღვებს, რომ ჯერაც ვახსოვარ; კარგად ვიცო ამ ხსოვნის ფასი.

ლექსებს, რომლებიც გამანდეთ, როგორც მეგობარს, უკანვე გიგზავნი. კიდევ ერთხელ მოგახსენებთ მადლობას იმ დიდი და გულთბილი ნდობისათვის, რომლის ღირსიც მსურდა გავმადარიყავი გულწრფელი და მართლა საკუთარი ცხოვრებით მოპოვებულ პასუხით, რადგან მანამდე, როგორც უცხო, შესაძლოა არ ვიყავი ამ ნდობის ღირსი.

თანაგრძნობითა და გულთბილი სურვილებით *ქვემოთ მარჯვ* რილკა
ზინზერიუსა

წერილი № 2

ვიარეჯიო პიზასთან, იტალია, 5 აპრილი 1903

უნდა მომიტევეთ, ძვირფასო ბატონო, რომ თქვენს 24 თებერვლის წერილზე მხოლოდ დღეს გიხდით მადლობას. მიუღიეს ეს ხანი შეუძლოდ გახდით, მთლად ავად არ ვყოფილვარ, მაგრამ გაციებისას რომ იცის ხოლმე, იმგვარმა დაქანცულობამ შემიპყრო, რამაც ძალაც წამართვა და სურვილიც, რომ რაიმე შეკეთებინა. ბოლოს, როცა ჩემს გამოკეთებას საშველი აღარ დაადგა, სამხრეთის ზღვას მოვაშურე, რომლის კეთილმოქმედი ძალაც ერთხელ უკვე განვიცადე ცხოვრებაში. ჯერ კიდევ არ გამოვკეთებულვარ, წერა ძალზედ მიჭირს და ამიტომ ეს ორიოდე სტრიქონი ალბათ მით უფრო ბევრის მთქმელი უნდა იყოს.

რასაკვირველია, უნდა იცოდეთ, რომ თქვენი ყოველი წერილი სასიხარულო იქნება ჩემთვის. ოღონდ გთხოვთ ცოტა შემწყნარებლობა გამოიჩინოთ ჩემი პასუხის მიმართ, რომელიც ალბათ ხშირად იმედგაცრუებულს გტოვებთ; რადგან სულის სიღრმეში, ჩვენი ცხოვრების ყველაზე ღრმა და მნიშვნელოვან ნუთებში, ენით აუწერლად მარტონი ვართ. ამ დროს ერთმა მეორეს რჩევა რომ მისცეს ან დაეხმაროს, ბევრი რამ უნდა მოხდეს, შინაგანად ბევრი რამ უნდა შეიძლოს კაცმა, საგანთა მთელი კონსტელაცია უნდა ჩაერთოს, რომ ბედმა ერთხელ მაინც გაგვიღიღოს და ერთმანეთის დახმარება შევძლოთ.

დღეს მხოლოდ ორ რამეზე გავამახვილებ თქვენს ყურადღებას:
ი რ ო ნ ი ა:

ეცადეთ მან არ დაგიმორჩილოთ, განსაკუთრებით კი არაშემოქმედებით მომენტებში. ქმნის პროცესში კი გამოიყენეთ ის, როგორც კიდევ ერთი საშუალება ცხოვრების შეცნობისათვის. მართლად გამოყენებული თავადაც სწორია იგი და ამიტომ არც უნდა გრცხვენოდეთ მისი. მაგრამ თუკი გრძნობთ, რომ გმას ძალიან ენდობით, გეშინოდეთ ამ მზარდი ნდობისა. მაშინ მიმართეთ თქვენი მზერა და გულისყური დიდი და უფრო მნიშვნელოვანი საგნებისაკენ, რომელთა წინაშეც ირონია უმწეო და უსუსური გახდება. ეძიეთ საგანთა სიღრმე. იქ ირონია ვერასდროს ვერ შეაღწევს, — თუკი ამგვარად დიადის ნაპირს მიადგებით, თან შეამოწმეთ კიდევ, ამგვარი აღქმა თქვენი შინაგანი აუცილებლობიდან მოდის თუ არა. რადგან უფრო მნიშვნელოვანი საგნების გავლენით იგი ჩამოგეხსნებათ, თუკი ის შემთხვევითია, ანდა, თუკი თანდაყოლილია, მნიშვნელოვან, ძლიერ საქრისად გარდაიქმნება. ის კიდევ ერთი ხერხი იქნება იმ საშუალებათა შორის, რომელთა მეშვეობითაც საკუთარი ხელოვნება უნდა შექმნას.

მეორე რამ, რაზეც მსურს გესაუბროთ, შემდეგია: მთელი ჩემი წიგნებიდან მხოლოდ რამდენიმე წიგნია, აუცილებლად რომ მჭირდება. ორი კი, სადაც არ უნდა ვიყო, განუწყრელად თან მახლავს. ისინი ახლაც აქ, ჩემთან არიან: ბ ი ბ ლ ი ა, და დიდი დანიელი პოეტის იენს პეტერ იაკობსენის წიგნები. მე აღარ მახსენდება, იცნობთ თუ არა თქვენ მის შემოქმედებას. ეს წიგნები ძალიან ადვილად შეგიძლიათ შეიძინოთ; მათი ერთი ნაწილის ძალიან კარგი თარგმანი გამოვიდა ფილიპ რეკლამის უნივერსალურ ბიბლიოთეკაში. შეიძინეთ ი. პ. იაკობსენის „ექვსი ნოველა“ და რომანი: „ნილს ლიუნე“, შემდეგ კი დაიწყეთ პირველი ტომის პირველი ნოველიდან, რომელსაც „მოგენსი“ ეწოდება. თქვენ თვალწინ გადაიშლება მთელი სამყარო, თქვენ შეიცივობთ ბედნიერებას, შეალებთ უმდიდრესი განძთსაცავის იდუმალ კარს და თვალს გაუსწორებთ სამყაროს წარმოუდგენელ სიდიადესა და სიღრმეს. იცხოვრეთ ერთხანს ამ წიგნებში, ისწავლეთ მათგან, რასაც სწავლის ღირსად სცნობთ, მაგრამ უპირველესად ყოვლისა შეიყვარეთ, გიყვარდეთ ისინი. ეს სიყვარული ათასად და ათიათასად აგინაზღაურდებათ. და როგორც არ უნდა შეიცვალოს თქვენი ცხოვ-

რება — ეს სიყვარული, დარწმუნებული ვარ, სიცოცხლეს გააგრძელებს თქვენი მრავალ-სახოვანი გამოცდილების, იმედგაცრუებისა და სიხარულის გვირისტებს შორის.

თუკი ოდესმე საჭირო გახდება ვალიარო, ვისგან შევისისხლხორცე შემოქმედების არ-სის, მისი სიღრმისა და მარადიულობის ცოდნა, მაშინ მხოლოდ ორ პიროვნებას დავასა-ხელებდი:

იაკობსენს, ამ დიდ, დიდებულ პოეტს, და ოგიუსტ როდენს, მუქანდაცეს, რომელსაც დღევანდელ ხელოვანთა შორის ბადალი არა ჰყავს.

ვისურვებთ შეუძლებელი არაფერი ყოფილიყოს თქვენთვის
თქვენს გზაზე.

თქვენი რაინერ მარია რილკე

წერილი № 3

ვიარეჯიო პიზასთან, იტალია, 23 აპრილი 1903

ძვირფასო და პატივცემულო ბატონო, დიდი სიხარული მომანიჭეთ თქვენი სააღდგომო პარათით; რადგანაც ის ბევრ კარგს მეტყველებდა თქვენზე. ხოლო თქვენმა მსჯელობამ იაკობსენის დიდსა და ძვირფას ხელოვნებაზე მიჩვენა, რომ არ შევმცდარვარ, როცა თქვენი ცხოვრება და უამრავი კითხვა ამ სავსე საწყაულისაკენ მივმართე.

ახლა კი გადაგვხსნებათ „ნილს ლიუნე“, დიდებულებათა და სიღრმეთა წიგნი; რაც უფრო ხშირად კითხულობს კაცი, სულ უფრო და უფრო მეტად აღმოაჩენს, რომ ყველაფე-რია ამ წიგნში, მთელი ცხოვრება, უჩუმესი და უფაქიზესი სურნელი თუ მძიმე ნაყოფების უმძაფრესი გემო. აქ ყველაფერი ბოლომდეა გაგებული, ნაგრძნობი, გამოცდილი და მო-გონებათა მთრთოლავ გამოძახილში ხელახლა ნაპოვნი. ამ მწერლისათვის არც ერთი განც-და არ ყოფილა უმნიშვნელო და ყურადღების მიღმა დარჩენილი; თვით ყველაზე უმნიშვნე-ლო შემთხვევაც კი ბედისწერის ნიშნად მელაგნდება; ხოლო თვით ბედისწერა საკვირველ, ვრცელ ქსოვილსა ჰგავს, სადაც თვითთულ გვირისტს უსაზღვროდ ნაზი ხელი ავლებს სხვა გვირისტების გვერდით და ყოველ მათგანს საოცრად უსამებს დანარჩენ გვირისტებს, ერთმანეთისთვის აუცილებელნი რომ არიან და ერთმანეთის გაგრძელებას ნარმოადგენენ. დიდი ბედნიერება გხვდებათ წილად, როცა ამ წიგნს პირველად ნაიკითხავთ; მისი უთვალა-ვი, უეცარი მოულოდნელობების წყალობით ისე გაოგნდებით, თითქოს სრულიად ახალ და უცხო სიზმარში იმყოფებოდეთ. თუმცა ახლავე შემძლია გითხრათ, რომ მოგვიანებითაც ამგვარივე განცვიფრება იპყრობს კაცს ამ წიგნების კითხვისას; ისინი თავიანთი საოცარი ძალის ნამცვეცსაც კი არ კარგავენ და არც იმ ზღაპრულობას აკლდება რამე, რომელმაც თა-ვიდანვე მონუსხა მკითხველი. რაც მეტი დრო გავა, მით უფრო სრულ სიამოვნებას მიიღებს კაცი ამ წიგნების კითხვისას, უფრო დიდი მადლობის გრძნობით აივსება მათდამი და რო-გორღაც უფრო უშუალო და უბრალო ჭვრეტის უნარს შეიძენს. ადამიანს დაეუფლება უფრო ღრმა რწმენა სიცოცხლისა და თვით ცხოვრებაშიც ის უფრო მეტად თავისუფლად და მნიშვნელოვნად იგრძნობს თავს.

ცოტა მოგვიანებით კი უნდა ნაიკითხოთ დიდებულები წიგნი მარია გრუბბეს ბედსა და ტანჯვაზე, იაკობსენის ნურილები და დღიურები, ფრაგმენტები და ბოლოს ლექსები, თუნ-დაც ისინი მდარედ, უფერულად იყოს თარგმნილი, რომლებიც უსასრულო პარმონიულ ტონალობაში ცოცხლობენ. ამასთან გირჩევთ, შეძლებისდაგვარად შეიძინოთ იაკობსენის ნაწარმოებების მშვენიერი, სრული კრებული, რომელიც ყველა ზემოხსენებულ თხზულებას აერთიანებს. ეს ნაწარმოებები კარგადაა თარგმნილი და სამ ტომად გამოიცა ევგენი დი-დერიხის ლაიფციგის გამომცემლობაში. ცალკეული ტომი, თუ არ ვცდები, მხოლოდ ხუთი თუ ექვსი მარკა ღირს.

თქვენი შეხედულება რომანზე „აქ ვარდნი უნდა ხარობდნენ...“, რომ ეს ნაწარმოები შეუდარებლად დახვეწილი და სრულყოფილია ფორმის თვალსაზრისით, სრული ჭეშმარი-ტებაა; ეჭვგარეშეა, თქვენ მართალი ხართ წიგნის წინასიტყვაობის ავტორის მიმართაც, ამასთანავე, რასაც ახლა გეუბნებით, თხოვნასაც გულისხმობს: რაც შეიძლება ნაკლებად იკითხეთ ესაფტიკურ-კრიტიკული ხასიათის ლიტერატურა, — ის ან ამა თუ იმ ლიტერა-

ტურულ დაჯგუფებათა შეხედულებებია, რომლებიც გაყინულან და ყოველგვარი აზრი და უკარგავთ ამ უსიცოცხლო გახევეებაში, ანდა ყველაფერი ეს მოხუჩებული სიტყვათთაშია, როცა დღეს ერთი შეხედულება იმარჯვებს, ხვალ კი მეორე, მისი საწინააღმდეგო ამოტიფტივდება. ხელოვნების ქმნილებანი უსასრულო სიმარტოვიდან [ქმნილება] და ყველაზე ნაკლებ სწორედ კრიტიკას ხელენიფება მათი წვდომა. მხოლოდ [და] მხრე[თა] სიყვარულს შეუძლია მათი შეცნობა, გაგება. მხოლოდ სიყვარულს შეუძლია უტყუარად ჩასწვდეს მათ ავ-კარგს და სამართლიანი იყოს მათდამი. — მხოლოდ საკუთარ თავს და თქვენს განცდას უფრო ენდეთ, ვიდრე რომელიმე ნაწარმოების წინასიტყვაობა-განხილვას ანდა ლიტერატურულ კრიტიკას; თუკი თქვენი შესხედულება მცდარი აღმოჩნდება, მაშინ თქვენივე შინაგანი ცხოვრების ბუნებრივი მდინარება და ზრდა ნელა და თანდათანობით მიგიყვანოს სხვა, უფრო სწორ თვალსაზრისამდე. აცადეთ თქვენს შეხედულებებს, ხელს ნუ შეუშლით თქვენი ჩარევით. თავისთავადი, ჩუმი ზრდა, როგორც ყოველი განვითარება, ღრმა შინაგანობიდან უნდა სომდინარეობდეს, ის მხოლოდ საკუთარ, ბუნებრივი განვითარების კანონებს ემორჩილება და დაუშვებელია ხელოვნური ჩარევის მისი შეფერხება ანდა დაჩქარება. ისევე როგორც ნაყოფი დედის მუცელში, ყოველივე ბოლომდე უნდა მომწიფდეს და შემდეგ დაიბადოს. ყოველი შთაბეჭდილება, ყოველი ჩანასახი განცდისა საკუთარ თავში, სიბნელეში, გამოუთქმელში, ქვეცნობიერში და საკუთარი შემეცნებისათვის მიუღწეველში უნდა მომწიფდეს, ბოლომდე უნდა სრულიქმნას. შემდეგ კი ღრმა მორჩილებითა და მოთმინებით უნდა დაელოდოთ ახალი ქმშარიტების დაბადების საათს: მხოლოდ ამას ჰქვია ქმშარიტი ხელოვანის ცხოვრება როგორც შემოქმედებაში, ასევე აზროვნებაშიც.

აქ უკვე აღარ არსებობს დროის საზომი. აქ ერთი ნელი არარად ითვლება და ათი ნელიც დიდს არაფერს წარმოადგენს. იყო ხელოვანი, ნიშნავს: არა თვალთ და იანგარიშო, არამედ მწიფდებოდე ხესავით, რომელიც წვენებს, მის ძარღვებში რომ მიედინებიან, ძალას არ ატანს. ეს ხე გაზაფხულის ეარიშხლებში მშვიდად დგას და შიშით არ კრთის, ვაითუ ამ გაზაფხულის შემდეგ ზაფხული აღარ მოვიდესო. ზაფხული ხომ მაინც მოდის. მაგრამ ის მოდის მხოლოდ მათთან, ვინც მოთმინებით აკსებულა, ვინც აქ არის და ისე უზრუნველი სიჩუმით და ლალად ცხოვრობს, თითქოსდა მარადიულობა ქქონდეს ნინ გადაშლილი. მე ყოველივე ამას ყოველდღიურად ვსწავლობ, ვსწავლობ ტკივილებით, რომელთა მადლობელიც ვარ:

მოთმინება ყველაფერი ა!

რიტარდ დემელი: მისი წიგნები (და სხვათა შორის, თავად დემელიც, რომელსაც შორიდან ეიცნობ) ჩემზე ისე მოქმედებენ, რომ, როცა ამ ნაწერებში კარგ ადგილს წავეანყდები, მომდევნო გვერდის გადაფურცვლა აღარ მინდა, შიში მიპყრობს, არ გააფუჭოს ყველაფერი, რაც აქ წავიკითხე, და მახინჯად და უღირსად არ გადააქციოს ყოველი, რაც კი სიყვარულის ღირსია, რაც ღამაზია. თქვენ მშვენივრად ახასიათებთ მას, როცა ამბობთ: „ვნებით სავსე ცხოვრება და წერა“. — და მართლაც, შემოქმედებითი წვა დაუჯერებლად ენათესავება სხეულებრივ, სქესობრივ განცდას, მის ტკივილებსა და სიტკბობებს; და რომ ეს ორივე მოვლენა სინამდვილეში მხოლოდ ერთი და იგივე ლტოლვისა და ნეტარების სხვადასხვა ფორმებია. ხოლო თუკი ვნების, ჭინის ნაცვლად — სიტყვა სქესს იტყოდა კაცი, სქესს მისი დიდი, ფართო, წმინდა მნიშვნელობით და არა ეკლესიის მიერ დამახინჯებული და გაყალბებული აზრით, მაშინ დემელის ხელოვნებაც ძალზე დიდი და უსაზღვროდ მნიშვნელოვანი იქნებოდა. მისი პოეტური ძალა პირველყოფილი ინსტინქტივით დიდია და დაუოკებელი; ეს ძალა მოიცავს საკუთარ, დაუზოგავ, გაბედულ რიტმებს და როგორც კლდიდან ისე ამოიფრქვევა და ამოხეთქავს ხოლმე თავის ნებაზე ამ ინსტინქტიდან.

მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ძალა ყოველთვის მთლად გულწრფელი და პოზას მოკლებული არ უნდა იყოს. დუმცა ესეც ხომ ერთ-ერთი მძიმე გამოცდათაგანია ხელოვანის, შემოქმედისათვის. მას წარმოადგენაც კი არ უნდა ქქონდეს თავის ყველაზე საუკეთესო ღირსებებზე, თუკი არ უნდა მათ უშუალობა, სინრფელე და სინმინდე მოაკლდეს; შემდეგ კი, როდესაც ეს ძალა, რომელიც მის არსებაში ხმაურობს, სქესის განცდას იწყებს, უკვე უღარ პოულობს ადამიანებში სინმინდეს, რომელიც აუცილებელია მისთვის. ამ ძალისთვის არ არსებობს სრულიად მომწიფებული და წმინდა, სუფთა სქესობრივი განცდა; ეს განცდა ადამიანური კი არ არის, არამედ მხოლოდ და მხოლოდ მამაკაცურია, ლტოლვაა, ზარხოშია და მოუსვენრობა; ამასთან ეს განცდა დამძიმებულია დრომოჭმული ცრუ შეხედულებებითა და ქედმაღლობით, რითაც მამაკაცმა სიყვარულს ნამდვილი სახე დაუკარგა და

შეზოგადო იგი. და რადგანაც მას უყვარს მხოლოდ როგორც მამაკაცს და არა როგორც ადამიანს, სწორედ ამიტომ არის მისი სქესობრივი განცდა შეზღუდული, ველური. ამგვარი განცდა ამაზრზენია, წარმავალი და ხახმოკლე, რაც ამცირებს დემელის ხელოვნებას, ორაზროვანსა და საეჭვოს ხდის მას. ეს ხელოვნება მოკლებული არ არის ბინიერებას; მას დროისა და ვნების დალი აქვს დასმული და ამიტომაც ამ ხელოვნებიდან ძალზედ ცოტა რამ თუ გადარჩება და გააგრძელებს სიცოცხლეს (თუმცა ასეთი რამ ხელოვნებაში ხშირად ხდება). ამისდა მიუხედავად, უნდა გაგვახაროს იმან, რაც დიდებულმა ექსპერტმა შემოქმედებაში, თუმცა არც მეტიმეტად არ უნდა გაგვიტაცოს და დაგვემოწონოს, რომელიც უსაზღვროდ მხდალია და სიყვარულის ერთგულების ნაცვლად ლალატითა და ქაოსით ავსებულია; ეს სამყარო ძალიან შორს დგას ქვეშაარტი, ნამდვილი ბედისწერებისაგან, რომელნიც უფრო მეტ სატანჯველს აღარებენ და უფრო მეტად უხსნიან გზას ადამიანს მისი მაღალი არსისაკენ, უფრო მეტ გამბედაობას ანიჭებენ მას მარადიულის ძიებაში, ვიდრე დემელის სამყაროს წარმავალი, დროებითი გაჭირვებანი.

რაც შეეხება ჩემს წიგნებს, სიამოვნებით გამოგიგზავნიდით ყველა ნაწარმოებს, რომელიც ოდნავ მაინც მოგანიჭებთ სიხარულს. მაგრამ მე ძალზედ ღარიბი ვარ, რადგან ჩემი წიგნები იმ წუთიდან, როდესაც გამოსცეს, მე აღარ შეკუთვნიან. არ ძალმიძს, რომ შევიძინო ისინი. და, რაზეც ასე ხშირად ეოცნებობ, მივუძღვნა იმ ადამიანებს, რომელნიც გულწრფელად შეიყვარებდნენ მათ.

ამიტომაც ჩამოგიწერეთ პატარა ფურცელზე ყველა ჩემი ადრე გამოცემული წიგნის (და გამომცემლობის) სახელწოდება, უახლესი გამომცემლობისაც (მთლიანად თორმეტი თუ ცამეტი წიგნი გამოვაქვეყნე) და მათი შეძლებისდაგვარად შექენა, ძვირფასო ბატონო, თქვენთვის მომინდვია.

ძალზედ გამიხარდებოდა, თუკი ამ წიგნებს თქვენთან დავიგულებ.

ბედნიერებას გისურვებთ
თქვენი რაინერ მარია რილკე

წერილი № 4

ვორჰსვედე ბრემენთან, 16 ივლისი, 1903

დაახლოებით ათი დღის უკან დასწეულბულმა და დაქანცულმა დავტოვე პარიზი და ჩრდილოეთის ამ ვრცელ ვაკეს მოვაშურე, რომლის უსასრულობამ, სიმყუდროვემ და ცამისევე უნდა გამომაჯანმრთელონ. ხანგრძლივ წვიმაში მომიხდა მგზავრობა. მხოლოდ დღეს იწინება და ოდნავ გამოიდარა წვიმით აფორიაქებულ დედამიწაზე; მეც ვსარგებლობ ამ პირველი ნათელი წუთით, რომ მოგესალმობთ. ძვირფასო ბატონო: თქვენი ერთი წერილი დიდხანს უპასუხოდ დავტოვე, თუმცა არ იფიქროთ, რომ დამავიწყდა — პირიქით: ეს იმ სახის წერილთაგანია, რომლებსაც ხელახლა კითხულობენ, როცა სხვა წერილებში ნააწყდებიან ხოლმე; ამ წერილმა საოცრად ახლოს გამაცნო თქვენი თავი. ალბათ კარგად გახსოვთ: წერილი პირველ მაისს არის დაწერილი. როცა მას ამ სიერცხვების სიჩუმეში ვკითხულობ, მაღელვებს თქვენი გასაოცარი წუხილი და ზრუნვა სიცოცხლეზე; უფრო მეტადაც კი მაღელვებს, ვიდრე პარიზში, სადაც ყველაფერი სხვაგვარად ხშიანობს და ყურდება იმ უდიდესი ხმაურის გამო, რომლის წინაშეც საგნები შიშისაგან თრთიან და ცახცახებენ. აქ, სადაც ძლიერი ქვეყანაა ჩემ ირგვლივ, რომლის თავზეც ზღვებიდან მონაპური ქარები ქრიან, სწორედ აქ ვგრძნობ, რომ პასუხის მოცემას იმ კითხვებსა და განცდებზე, თქვენს შინაგან სიღრმეებში საკუთარი ცხოვრების დინებას რომ ემორჩილებიან, ვერა კაცი ვერ შესძლებს, რადგან თვით რჩეულნიც კი ცდებიან, როდესაც ცდილობენ სიტყვებით ახსნან უჩუმესი და თითქმის გამოუთქმელი. თუმცა ამის მიუხედავად მჯერა, რომ პასუხს მიიღებთ, თუკი იმის მსგავსს საგნებზე შეაჩერებთ ყურადღებას, რომლებზეც ჩემი მზერა ისვენებს ახლა; თუკი ბუნებაზე, მისი წიაღის ყველაზე უბრალოსა და უმცირესზე შეაჩერებთ მზერას; უბრალოზე, რომელსაც ვერც კი ამჩნევენ სხვები და რომელსაც შეუძლია მოულოდნელად ნიღბი მოიხსნას და მნიშვნელოვანი და უსაზღვრო გახდეს; თუკი გექნებათ დიდი სიყვარული შეუმჩნეველისა და უმცირესისადმი და თუკი ეცდებით, მსახურის დარად, მოიპოვოთ ნდობა იმისი, რაც ღარიბი და უმნიშვნელო გვგონია, მაშინ გაგიადვილდებათ განჭვრი-

ტოტ კანონზომიერება და აზრი ყველაფერში. ეს კი განუგებებთ: შესაძლოა გონება, რომელიც ეჭვობს და მერყეობს, შეყოვნდეს ამგვარი წედომის წინაშე, მაგრამ თქვენი ყველაზე ღრმა ცნობიერება, ფხიზელი ჭკრეტა და ცოდნა ყოველივეს ჩასწვდება. თქვენ ჯერ ახალგაზრდა ხართ, ყველაფერში ახალბედა და დამწყები. ამიტომაც მსურს, გიხსოვოთ: მოთმინება იქონიეთ ყველაფრის მიმართ, რაც ჯერ კიდევ ამოუხსნელია თქვენს გულში; სცადეთ და შეიყვარეთ კითხვები, როგორც დახურული ოთახები, როგორც ჩივილები, გამოუცნობი, იდუმალ ენაზე რომ არის დანერგილი. ნუ მოიძიებთ პასუხებს, რომლებსაც ვერაფერ მოგცემთ, რადგან სხვისი ცხოვრებიდან მოსული პასუხები ბუნებრივი ვერ იქნება თქვენთვის. საქმე კი სწორედ ის გახლავთ, საკუთარი ცხოვრებით გავცეთ პასუხები საკუთარ კითხვებს. ამჟამად კი იცხოვრეთ საკუთარი კითხვებით, მერე კი თანდათანობით, იქნებ ისე, რომ ვერც შეამჩნიოთ, ერთ შორეულ დღეს თქვენმა ცხოვრებამ თვითონ გავცეთ პასუხი, რომ შესაძლოა თქვენში არის უნარი შექმნისა და გამოსახვისა, რომ თქვენ ატარებთ ამ უნარს, როგორც ცხოვრების გამორჩეულად სულიერ და წმინდა სახეობას; აღზარდეთ თქვენი თავი ამისთვის, — მაგრამ მიიღეთ ყოველივე, რაც ხდება, დიდი ნდობით; და თუკი ყოველივე მხოლოდ თქვენი ნებიდან იბადება ანდა თქვენი შინაგანი ცხოვრების რომელიმე აუცილებლობიდან, მაშინ აიღეთ ის თქვენს თავზე და ნურაფერს უარყოფთ. სქესის საკითხი რთულია; ძალიან რთული. მაგრამ უფრო ძნელია ის, რისი შესრულებაც გვმართებს. თითქმის ყველაფერი, რაც მნიშვნელოვანია — ძნელია; უმნიშვნელო კი არ არსებობს. ამას თუ მიხვდებით და შეეცდებით, რომ საკუთარი თავის, თქვენი ბუნების, თქვენი გამოცდილებისა და ბავშვობის, თქვენივე ძალის მეშვეობით ჰპოვოთ საკუთარი (ჩვეულებრიობისა და ჩვეულებების გავლენისაგან თავისუფალი) მიმართება სქესთან; თუკი შესძლებთ ამას, მაშინ აღარ უნდა გქონდეთ იმის შიში, რომ ის თქვენ დაგამცირებთ: ჯა რომ ღირსი არ იქნებით ყველაზე წმინდა და ღირსეული განცდისა, რაც კი გაგაჩნიათ.

სხეულებრივი სიხარულის განცდა გრძნობიერი განცდაა. ის დიდად არ განსხვავდება იმ შეგრძნებისაგან, რომელსაც მშვენიერი ნაყოფის ჭკრეტა ანდა ამ ნაყოფის დაგემოვნებით მიღებული სიამოვნება გვანიჭებს; ამგვარი ნეტარების განცდა უდიდესი, უსაზღვრო გამოცდილებაა, რომელიც ჩვენ გვეძლევა და რომელსაც ვფლობთ. ეს არის სამყაროს ცოდნა, ყოველგვარ ცოდნას სრულყოფილებას და ბრწყინვალეობას რომ ვშაატებს. ცუდი ის კი არ არის, ჩვენ ამ გამოცდილებას რომ ვატარებთ და სხვებს გადავცემთ, არამედ მცდარია, ადამიანები ტყუილბუნებრივად რომ ხარჯავენ, არასწორად იყენებენ და ფანტავენ მას, რადგან მასში ხედავენ მხოლოდ გასართობს, რომლითაც ვაცმა თავისი ცხოვრების ცარიელი, მოსაწყენი ადგილები შეიძლება ავსდეს, ნაცვლად იმისა, რომ მოიკრიბოს ეს გამოცდილება, როგორც ძალა ცხოვრების უმნიშვნელოვანესი წუთებისათვის. ადამიანებმა ხომ ჭამაც სულ სხვა რამედ აქციეს, ვიდრე ის სინამდვილეში უნდა იყოს. ერთის მხრივ აუცილებლობამ, მეორეს მხრივ არაზომიერებამ — ამ მოთხოვნილების ნამდვილი სახე დაფარა, ამის მსგავსადვე სხვა დანარჩენმა, ღრმა და უბრალო მოთხოვნილებამაც, რომელთა ბეობებით სიცოცხლე მუდმივ განახლებაში იმყოფებოდა, თავისი ჭეშმარიტი სახე დაკარგა. მაგრამ ვინმეს, ერთ-ერთს მრავალთა შორის, შეუძლია თავის თავში ახსნას და გაიცხადოს ეს ცოდნა და ამ სიტყვადში იცხოვროს. ხოლო თუ ასეთი წედომა არც იმ ერთეულს არ შეუძლია, თუ ის გარემომცველ ქვეყნიერებაზე ზედმეტად დამოკიდებული, მაშინ მარტოსულმა ხომ მაინც უნდა შეიძლოს და მიაღწიოს ამას. ის გაიხსენებს და მიხვდება, რომ ცხოველებისა თუ მცენარეების მთელი სილამაზე ერთი და იგივე სიყვარულისა და ღვთის მარადიული, ჩუმი გამოვლენაა: ის დაინახავს ცხოველს ისეთივე თვალთ, როგორითაც მცენარეს ხედავს, მოთმინებითა და სიხარულით რომ შეერწყმის თავის წყვილს, მრავლდება და იზრდება არა ფიზიკური ნეტარების, არა ხორციელი ვნების გამო, არამედ ამისათვის, რომ ემორწილება კანონებს, ამგვარ ნეტარებაზე და ტკივილზე დიდი რომ არის და უფრო მძლავრიც, ვიდრე ჩვეულებრივი ნდობა და არნდობა. ადამიანმა უნდა შეიძლოს და უფრო მორჩილად მიიღოს ეს საიდუმლო, რომლითაც დედამიწა თავის უმცირეს ქმნილებამდეა სავსე; უფრო მკაცრად ატაროს, მოთმინებით აღასრულოს, იგრძნოს, თუ რა წარმოუდგენლად რთულია ეს ყოველივე, რასაც ჩვენ ვაიოლებთ და ვაუბრალოებთ; შეიძლოს და მეტი მოწინება გამოიჩინოს თავისი ნაყოფიერების საიდუმლოს წინაშე, რომელიც ერთადერთია, სულიერი იქნება ეს ნაყოფიერება თუ ხორციელი; რადგან სულიერი და ხორციელი ქმნის სათავეები განუყრელია და ერთიანი; იმ განსხვავებით, რომ

სულიერი ქმნა სხეულებრივი ლტოლვისა და ნეტარების უფრო ჩუმი, უფრო ამაღლებული და უფრო მარადიული განმეორებაა.

„ამაღლებული აზრი: იყო შემოქმედი, გამოსახო, ჩასახო სიცოცხლე“, — არაფერი იქნებოდა ხანგრძლივი, დიდი თვითდადგენის, მისი სამყაროში თვითმტკიცებისა და განხორციელების გარეშე, თუ მას არ ექნება ცხოვრებისა და ბუნების ქმნილებების ათასჯერადი თანხმობა; ნეტარება, რომელსაც განვიცდით, სწორედ იმიტომაა ასე „აუქმურლად“ მშვენიერი და განუზომელი, რომ იგი საყსება მოგონებებით, მილიონების ჩასახვევებისა და დაბადების შედეგად რომ გადაეცემა ხოლმე მენკვიდრობად თაობებიდან თაობებს.

შემოქმედის აზრში ცოცხლდება ათასობით მივიწყებული სიყვარულის ღამე, რაც ამ აზრს ამაღლებულსა და დიადს ხდის. შეყვარებულები, ღამეებს ერთად რომ ხვდებიან და ერთმანეთს ჩანწლები ცურავენ მონანავე ნეტარებაში, მკაცრ საქმეს ასრულებენ; ისინი რომელიმე, ჯერაც უცნობი, მომავალი პროტის სიმღერისათვის ნექტარსა და სიტკბობას, სიღრმესა და ძალას აგროვებენ; პროტისათვის, რომელიც ნაშოდგება, რათა ჯერაც უთქმელ ნეტარებას უმღეროს. ისინი მომავალს მოუსმობენ; და თუნდაც მცდარი იყოს მათი სიყვარული და ბრძად ეხვეოდნენ ერთმანეთს, მომავალი მაინც მოდის; აღიმართება ახალი ადამიანი და იმ შერწყმის შედეგად, რომელმაც ის ორი გააერთიანა, იღვიძებს კანონი, რის წყალობითაც გამძლე, ძლიერი თესლი გზას მიიკვლევს კვერცხ-უჯრედისავე, მისკენ რომ ისწრაფვის. ერთდეთ ზედაპირულ განსჯებს და ნუ დაიბნევი; თავის ღრმა არსში ყველაფერი კანონი ხდება. ხოლო ყველა, ვინც საიდუმლოს მცდარად და ცუდად ინახავს (ასეთები კი ბევრნი არიან), თავად კარგავს ამ საიდუმლოს, თუმცა გადასცემს მას სხვა თაობებს, როგორც დალუქულ წერილს, თანაც ისე, რომ მისი არსებობა თვითონ არც იცის. ნუ დაგაბნევთ სახელთა სიმრავლე, ურთიერთობათა სირთულე, შესაძლოა ყველაფერზე ძლიერია უდიდესი დედობა, როგორც ყველასათვის წაერთო ნატვრა და მისწრაფება. ქალწულის სილამაზე, ამ არსების სილამაზე, რომელიც (როგორც თქვენ მშვენივრად ბრძანეთ) ჯერ უბრალოა, — დედობაშია; მისი სილამაზე დედობაა, მასში რომ ემზადება, ხვდება, წინასწარ გრძნობს თავის თავს ამ ქალწულში, შიშობს და ისწრაფვის, რათა განხორციელდეს. დედის სილამაზე მსახურებაში, მზრუნველ დედობაშია, მოხუც ქალში კი ეს სილამაზე დიდი მოგონებაა.

მე მგონია, რომ დედობა, როგორც ფიზიკური, ასევე სულიერი, მამაკაცშიც არის; ჩასახვა — ეს ერთგვარი სახეა შობის, ხოლო ამ სახის დაბადება მაშინაც ხდება, როდესაც მამაკაცი თავისი სულიერი სისავსიდან ქმნის და წარმოშობს. შესაძლოა, ეს ორი სქესი უფრო ახლოსაა ერთმანეთთან, ვიდრე ფიქრობენ. სამყაროს დიდი განახლებაც იქნებ ის იყოს, რომ მამაკაცი და გოგონა, ყოველნაირი მცდარი შორცხვობისა და უსიამოვნო გრძნობათაგან თავისუფალნი, მოძებნიან ერთმანეთს არა როგორც საპირისპირო არსებანი, არამედ როგორც და და ძმა, როგორც მეზობლები; მოძებნიან და შეერწყმიან ერთურთს როგორც ადამიანები, რათა ერთად უფრო უბრალოდ, მკაცრად და მოთმინებით ატარონ სქესის მძიმე ულელი, რომლის ტარებაც მათ ევალებათ.

მანამ კი ყველაფერი, რაც ოდესმე ყველასათვის შესაძლებელი და მისაწვდომი იქნება, მხოლოდ მარტოსულმა უნდა შეიძლოს, უნდა მოამზადოს და ააშენოს საკუთარი ხელეებით; იმ ხელებით, რომლებიც ნაკლებად ცდებიან. ამიტომ, ძვირფასო ბატონო, გიყვარდეთ თქვენი მარტოობა და უხმოდ ატარეთ ტკივილი, რომელსაც ის თავისი ღამაზხმისანი მოთქმით გაყენებთ. ვისთანაც ახლოს გრძნობთ თავს, ის, როგორც ამბობთ, შორეულიცაა თქვენთვის; ეს კი იმას მოასწავებს, რომ თქვენი გარემომცველი სამყარო ფართოვდება; და თუ თქვენი ახლო, ახლობელი შორსაა და შორეულია, მაშინ თქვენი შორეული, თქვენი სამყარო ვარსკვლავთა შორის ყოფილა და ძალზე დიდია; გიხაროდეთ ასეთი წინსვლა და იცოდეთ, რომ თქვენი ზრდის გზაზე ვერავის გაიყოლიებთ თან, რომ ამ გზაზე ვინმეს თანხლება შეუძლებელია. იყავით შემწყნარე და კეთილი მათ მიმართ, ვინც უკან ჩამორჩა გზაში. იყავით ურყევი და მშვიდი მათთან, და ნუ გაანამებთ მათ თქვენი ეჭვებით, ვარაუდებით; ნუ შეაშფოთებთ თქვენი რწმენით ანდა სიხარულით, რომელსაც ვერ გაიგებენ; გამოძებნეთ მათთან ურთიერთობის ისეთი უბრალო და საიმედო ფორმა, რომლის შეცვლა აღარ დაგჭირდებათ, თუნდაც სრულიად შეიცვალოთ და სხვა გახდეთ; გიყვარდეთ ადამიანებში ცხოვრება თავისი უცხო, განსხვავებული ფორმით. გებრალეოდეთ ადამიანები, რომლებიც ბერდებიან და მარტოობას უფრთხიან; მარტოობას, რომელსაც, მათგან განსხვავებით, თქვენ ენდობით და ესწრაფვით. ერთდეთ ჩვეულებრივ დრამას, მშობლებსა და შვილებს

შორის რომ იმართება ხოლმე, ეს ძალ-ღონის დაძაბვას მოითხოვს შვილებისაგან, მოხუცების სიყვარულს კი, რომელიც ათბობს და ანთია მაშინაც, როცა შვილებს მათი არ ესმით, აუძღურებს. ნუ მოსთხოვთ მშობლებს რჩევას და ნურც მოელთ გაგებას მათგან, მაგრამ გჯეროდეთ სიყვარულისა, მათში თქვენთვის რომ არის გადანახული როგორც შემკვიდრება, და გნამდეთ, ამ სიყვარულში არის ძალა და ლოცვა-კურთხევა, რომლის დატოვება და უარყოფა, იმ მიზეზით რომ უფრო წინ ნახვედით, აუცილებელი არ არის!

მიხარია, რომ ბოლოს და ბოლოს თქვენი შესაფერისი პროფესია — ამჟამად, რაც დამოუკიდებლობას გმატებთ და ყოველმხრივ საკუთარ თავზე გაფუძნებთ. მოითმინეთ და დაცადეთ, რათა გაიგოთ, თქვენს შინაგან ცხოვრებას ამ პროფესიის ფორმა ხომ არ შეზღუდავს. მე კი თქვენი არჩევანი მძიმედ და დამძაბველად მიმაჩნია. მას დიდი პირობითობა ახასიათებს, რაც ამ პროფესიის ამოცანების საკუთარი, ინდივიდუალური გააზრების საშუალებას არ აძლევს ადამიანს. თქვენი მარტობა კი ამ მეტად უცხო ვითარებაშიც თქვენი სამშობლო და სახლი იქნება; მისი მეშვეობით აუცილებლად იპოვით საკუთარ გზას.

ჩემი კეთილი სურვილებიც და ნდობაც თან მოგყვებათ ამ გზაზე.

თქვენი რაინერ მარია რილკე

წერილი № 5

რომი, 29 ოქტომბერი, 1903

ძვირფასო და პატივცემულო ბატონო,

თქვენი 29 აგვისტოს წერილი ფლირენციაში მივიღე და აი მხოლოდ 2 თვის შემდეგ გიბრუნებთ პასუხს, მომიტევეთ ამგვარი დაყოვნების გამო, — არ მიყვარს წერილების წერა გზაში, რადგან კალამსა და ქალაქის ფურცლებზე მეტად ჩემთვის აუცილებელია: სიჩუმე, სიმარტოვე და ჩემთვის შინაგანად ახლობელი საათი.

რომში დაახლოებით ექვსი კვირის წინ ჩამოვედით — სწორედ იმ დროს, როცა რომი ჯერ ისევ გამოცარიელებული, სიცხიანი ქალაქი იყო. ხმები დადიოდა, ეპიდემია არის გავრცელებულიო. ამას დაემატა დაბინავებასთან დაკავშირებული სიძნელეები, რამაც თავის მხრივ განაპირობა დაუსრულებელი მოუსვენრობა ჩვენ ირგვლივ; უცხოობაც, უსამშობლოობის განცდას რომ გვიმძაფრებდა, მთელი სიმძიმით დაგეანვა თავს. ყოველივე ამას დაუშაბოთ ისიც, რომ რომი (თუკი იქ პირველად ხარ) პირველ დღეებში მძიმედ მოქმედებს; მწუხარე და მგლოვიარე შთაბეჭდილებას ტოვებს ადამიანზე თავისი უსიცოცხლო და ბნელი მუხეუმების განწყობილებით, რომელსაც ეს ქალაქი თითქოსდა ამოისუნთქავს; მინისტრეშეთიდან გამოტანილი და წვალეაით აღდგენილი წარსულის ნაშთების სიუხვით (წარსულის, რომლითაც ახლა უბადრუკი აწმყო საზრდოობს), თავისი სახედაკარგული და გაუფასურებული საგნებით, რომლებიც სინამდვილეში სულ სხვა დროის და სხვა ეპოქის შემთხვევითი ნარჩენებია და მეტი არაფერი; სხვა ხალხის, სხვა ცხოვრების, რომელიც ჩვენ აღარ გვეკუთვნის და არც უნდა იყოს ჩვენი; ბოლოს და ბოლოს ამ უამრავი და უკმაყოფილო განცდით დაღლილი, ადამიანი როგორღაც გონს მოდიხარ; მართალია, დაბნეულობას ჯერ კიდევ არ გაუვლია, მაგრამ გამოერკვევი და იტყვი, რომ ამ ქალაქში აღარ არის იმაზე მეტი მშვენიერება, რაც ამ ქვეყანაზე სხვა რომელიმე ქალაქშიც შეიძლებაო და ყოფილიყო. ეს ძველისძველი ძეგლებიც, თაობები რომ აღმერთებდნენ და აქაურმა ხელოსნებმა ხელახლა აღადგინეს, არაფერს აღარ წარმოადგენენ, მათშიც აღარ შემორჩენილა არაფერი, არც ცხოველი გული და არც მათი დანიშნულება, — თუმცა ამ ქალაქში მაინც ცოცხლობს სილამაზე, რადგან მშვენიერება ყოველთვის და ყველგან არსებობს. სასიცოცხლო ძალებით უსაზღვროდ სავსე წყლები მოედინებიან ძველი წყალსადენებით ამ დიდ ქალაქში და მოედნებზე, ქვის თეთრი ფიალების თავზე თავბრუდამხვევად ცვეკავენ; მერე ფართო და მყუდრო აუზებში შლიან ფრთებს. შეუსვენებლად ჩხრიალებენ დღისით და ივსება ღამეც მათი ხმებით. ღამე კი აქ დიდი და ვარსკვლავიანი იცის, რომელსაც ხავერდოვანებას და სირბილეს ჰმატებს ნიავი. აქ ბალებიცაა, უდარებელი ხეივნები და კიდული კიბეები, მიქელანჯელოს ფიქრებიდან რომ გაცოცხლდნენო თითქოს; საფეხურები ფერდობებზე დაქანებული ნაკადულების მსგავსად ეშვებიან; როგორც წყალვარდნისას პატარა ტალღიდან დიდი ტალღა, ისე იბადებიან საფეხურებიდან საფეხურები. ამგვარ შთაბეჭდილებათა წყალობით ადამიანი ნელ-ნელა გულისყურს იკრებს და ამ დამძაბველი, ხმაურიანი ხალხმრავლობიდან ისევ თავის თავს უბრუნდება. თანდათანობით ხელახლა იწყებ მცირერიც-

ხოვან საგანთა აღქმასა და შეცნობას, რომლებშიც ჯერ კიდევ ფეთქავს და ცოცხლობს მარადისობა, რომელიც შეგიძლია შეიყვარო, რომლებშიც მარტოობას დაუვანებია; მარტოობას, რომლის ჩუმი გაზიარებაც შეგიძლია.

ჯერჯერობით ისევ ქალაქში ვცხოვრობ, კაპიტოლიუმთან, არცთუ ისე შორსა ვარ მხედრის უმშვენიერესი, რომაული ხელოვნების ნიმუშის, — მარკუს ავრელიუსის ქანდაკებიდან; თუმცა სულ მალე ერთ ჩუმ, მოკრძალებულ ოთახში, გადავინაცვლებ; ამ ოთახს პატარა, ძველებური აივანი აკრავს, რომელიც ღრმად არის დიდ ქარქში შეფარებულ-შეყუჩული და ქალაქისაგან, მისი ხმაურისაგან და ამბებისაგან საიმედოდაა დაცული. მთელ ზამთარს იქ გავატარებ და შევეცდები ბოლომდე განვიცადო დიდი სიჩუმე, რომელმაც სიმშვიდე და მრავალი შემოქმედებითი საათი უნდა მიძღვნას.

ახალ სამყოფელში უფრო შინაურად ვიგრძნობ თავს, ვიდრე აქ, ქალაქში. აქედან მოგნერთ დაწვრილებით პასუხსაც თქვენს წერილზე. ახლა კი მხოლოდ ისლა დამრჩენია გითხრათ (შესაძლოა მართალი არც ვიყავი, თავიდანვე ასე რომ არ მოვიქცევი), რომ წიგნი (რომელშიც თქვენი ნაშრომი დაიბეჭდა, რომლის შესახებაც თქვენ მწერდით, არ მიმიღია. იქნებ იგი უკან დაგიბრუნდათ ვორპსვედედან? (რადგან ცნობილია: ძველი მისამართით მიღებული გზავნილების საზღვარგარეთ გადაგზავნა არ შეიძლება): ეს ვარაუდი ყველაზე დასაშვებია. ვიმედოვნებ, რომ წიგნი არ დაიკარგება, — რადგან, სამწუხაროდ, იტალიის ფოსტისათვის ამანათების დაკარგვა იშვიათობა არ გახლავთ.

ამ წიგნსაც, ისევე როგორც ყოველგვარ ცნობას თქვენ შესახებ, დიდი სიხარულით მივიღებ: რა თქმა უნდა, ლექსებსაც, რომლებიც ამასობაში დაგიწერიათ. როცა კი მათი ნაკითხვის შესაძლებლობას მომცემთ, სიამოვნებით წავიკითხავ, ისევ და ისევ გადავიკითხავ და ვეცდები განვიცადო ისინი ჩემი გულისხმებრებითა და გულითადობით.

კეთილი სურვილებით
თქვენი რაინერ მარია რილკე

წერილი № 6

რომი, 23 დეკემბერი, 1903

ჩემი საშობაო მოლოცვის გარეშე არ უნდა დარჩეთ, ბატონო კაპუს. მით უმეტეს თუ შობის დღეებში უფრო მძიმე ასატანი იქნება თქვენი მარტოობა, ვიდრე სხვა დროს. მაგრამ თუ თვითონვე შეამჩნევთ, რომ ეს მარტოობა ძალზე დიდია, მაშინ გიხაროდეთ; რადგან (ჰკითხეთ თქვენს თავს) იქნებოდა რაიმე აზრი მარტოობაში, თუ ის დიდი არ იქნებოდა; მარტოობა ერთადერთია და ისიც — უსაზღვრო; მსუბუქი როდია მისი ტვირთი. ადამიანის ცხოვრებაში ჩამოჰკრავს ხოლმე საათი, როცა ყველა დიდი სიამოვნებით გადაცვლიდა თავის მარტოობას რაიმე, თუნდაც ბანალურსა და იაფფასიან თავყრილობაზე; პირველ შემხვედრთან, ყველაზე უღირს ადამიანთან ხანმოკლე ურთიერთობაზეც კი, როდესაც გაგება და ურთიერთთანხმობა მხოლოდ მოჩვენებითია... თუმცა იქნებ ეს მძიმე საათი სწორედ ის დროა, როცა მარტოობა იზრდება; რადგან მისი ზრდა ბიჭის ზრდასავით მტკივნეულია და ნაღვლიანი ადრეული გაზაფხულივით. ამან არ უნდა შეგაშფოთოთ, რაც ჩვენთვის საჭიროა და აუცილებელი — ეს მარტოობაა — ღრმა სულიერი მარტოობა. საკუთარ თავში შესვლა და საათობით მარტოდ ყოფნა, არავისთან შეხვედრა — აი, ესეც უნდა შეიძლოს კაცმა. უნდა შეიძლოს იყოს მარტო ბავშვივით, რომელსაც საქმით დაკავებული დიდები გარს უვლიან; ეს საქმე კი ბავშვობაში მნიშვნელოვანი გვეგონა, რაკი ამ საქმისა არაფერი გაეგებოდა კაცს. თუკი ერთ მშვენიერ დღეს მიხვდები, რომ მათი საქმიანობა უშინაარსოა და სულღარიბი, გაყინული და ნამდვილი ცხოვრებისაგან მოწყვეტილი, მაშინ რატომ არ შეიძლება, როგორც ბავშვობაში, ახლაც ყოველივეს შეხედო როგორც რაღაც უცხოსა და გაუგებარს; შეხედო საკუთარი სამყაროს სიღრმეებიდან, საკუთარი მარტოობის უსაზღვროებიდან, რომელიც თავადაა საქმე, წოდებაც და დანიშნულებაც? რა აზრი აქვს იმას, რომ ადამიანმა ბავშვის ეს ბრძნული ვერგაგება აღშფოთებასა და უარყოფაში გაცვალოს, როცა ვერგაგება მარტოობას ნიშნავს, ხოლო უკმაყოფილება და უარყოფა კი მაინც იმ საქმეში მონაწილეობის მიღებას ნიშნავს, რომლისგან თავის დაღწევას და უარყოფასაც ცდილობენ ადამიანები ამ განცდებით. ყური უგდეთ იმ სამყაროს, რომელიც თქვენშია და დაარ-

ქვით მას, თუ გნებავთ, თქვენი ბავშვობის მოგონება ანდა მომავალზე ფიქრი; მაგრამ ყურადღებით იყავით, რათა არ გამოგეპართ თუნდაც შეუმჩნეველი, რაც თქვენში იბადება; ხოლო რაც დაიბადა და რაც კი იბოვებ, დააყენეთ ყველაფერ იმაზე მაღლა, რაც თქვენ გარეთ ხდება. ყოველივე, რაც თქვენს სულიერ ცხოვრებაში ხდება, თქვენი სიყვარულის ღირსია; ყოველივე ძალა მისკენ უნდა მიმართოს და დრო არ უნდა დაკარგოს, არ უნდა მოანდომოს ეს დრო იმის გარკვევას, რა ადგილი გიჭირავთ ადამიანთა შორის, ვის შეუძლია გითხრას, რომ ეს ადგილი აუცილებლად უნდა გქონდეთ? კარგად შესმის, რომ თქვენი პროფესია მკაცრია და ყოველმხრივ თქვენ წინააღმდეგ განწყობილი, მაგრამ წინასწარ ვგრძნობდი, რომ დაიჩვილებდით ჩემთან; ეს წინათგრძნობა გამართლდა; მე კი არ შემძლია დაგამშვიდოთ და განუგეშოთ; შემძლია მხოლოდ გირჩიოთ, რომ ჩაუფიქრდეთ, განა ყველა პროფესია ასეთი არ არის: მომთხოვნე, ცალკეული ადამიანების მიმართ მტრული, თითქოსდა სიძულვილით გაჟღენთილი, რომელსაც ის ხალხი ატარებს, ვინც უხმოდ და პირქუშად ასრულებს თავის მოსაწყენ სამსახურებრივ მოვალეობას. თქვენი სამსახურებრივი მოვალეობა, რომელსაც ამჟამად ასრულებთ და რომელიც დამძიმებულია დროგადასული ტრადიციული შეხედულებებით და მცდარი წარმოდგენებით, სხვა პროფესიულ მოვალეობაზე ძნელი და აუტანელი არ არის. და თუ დაფუძვებით, რომ შეიძლება არსებობდეს ისეთი პროფესია, რომელიც მოჩვენებით თავისუფლებას მაინც ანიჭებს კაცს, ის მაინც არ იქნებოდა ისეთი, როგორსაც ვეძებთ; ისეთი, შენარჩუნებული რომ ექნებოდა მრავალმხრიობა და დაკავშირებული იქნებოდა იმ დიდ საგნებთან, რომელნიც ჭეშმარიტ ცხოვრებას ემნიან. მხოლოდ ის ემორჩილება საგნების მსგავსად სამყაროს ღრმა კანონებს, ვინც მარტოა: და ეს მარტოსული, როდესაც ცისკრის შესახვედრად ეშურება ანდა იდუმალი ქმედებით აღსავსე მნუხრის ფაშს ეგებება, თუ სრულად შეიგრძნობს, რაც ამ დროს ხდება, მაშინ, მიცვალებულთა მსგავსად, ყოველგვარი წოდებისა და მოვალეობისაგან თავისუფლდება, თუმცა მიცვალებულთაგან განსხვავებით ის ჯერ კიდევ სიცოცხლის შუაგულში დგას. ბატონო კაპპუს, რასაც თქვენ ამჟამად, ოფიცრის მოვალეობის შესრულებისას, განიცდით, იგივე განცდა დაგეუფლებათ ნებისმიერი სხვა საქმიანობის შესრულების ფაშსაც, თუ საზოგადოებაში ყოველგვარ მდგომარეობაზე იტყვიან უარს და ამ საზოგადოებასთან სრულიად უბრალო ურთიერთობის დამყარებას შეეცდებით, რაც თქვენს დამოუკიდებლობას არ შეზღუდავს, მაგრამ მაშინაც ვერ გაექცევით ამ შემბოჭველ გრძნობას.

ასე იყო და ასე იქნება ყოველთვის: თუმცა ეს შიშის, ანდა მოწყენილობის უფლებას არ გაძლევთ; თუ გრძნობთ, რომ ადამიანებთან საერთოს ვერ პოულობთ, მაშინ სცადეთ და დაუახლოვდით საგნებს, რომლებიც არ დაგტოვებენ; თქვენთან არიან ლამეები და ხეებში მონავარდე ქარები, უცხო და თვალუნევენი ქვეყნების თავზე რომ მიმოქრიან; საგანთა და ცხოველთა სამყაროც უნიხდელივით უარული და იდუმალი ქმედებითაა სავსე; ამ იდუმალ ქმედებაში მონაწილეობის უფლება გაქვთ; ბავშვები ახლაც ხომ ისეთივე სევდიანები და თანაც ბედნიერნი არიან, როგორც თქვენ იყავით ბავშვობაში; — და როცა გაიხსენებთ თქვენს ბავშვობას, მაშინ ხელახლა დაიწყებთ მათ შორის, იმ მარტოსულ ბავშვებს შორის ცხოვრებას; აღმოჩნდება, რომ დიდები და მათი საქმიანობა არცთუ ისე მნიშვნელოვანი ყოფილა, როგორც მაშინ გვეჩვენებოდა.

თუ გაშინებთ და ტკივილს გგვრით ბავშვობის მოგონება და ფიქრი თქვენს ბავშვობის-დროინდელ უბრალო და ჩუმ განცდებზე, ტკივილს გგვრით იმიტომ, რომ აღარ ძალგიძთ იწამოთ ღმერთი, რომლითაც სავსეა თქვენი ბავშვობა, მაშინ პკითხეთ საკუთარ თავს, მართლა დაჰკარგეთ თუ არა ღმერთის რწმენა?! ხომ არ აჯობებდა გეფიქრათ, რომ ღმერთი არც არასოდეს გწამდათ? რადგან როდის უნდა ყოფილიყო ღმერთი თქვენთან?! იქნებ გგონიათ, რომ ბავშვს შეუძლია ხელთკერობა იმისი, ვისი ტარება ძლიერთაც უჭირთ, ვისი სიდიადეც მოხუცებს ნელში ხრის?! ნუთუ გჯერათ, რომ ადამიანს, ვისაც ნამდვილად სწამდა ღმერთი, შეუძლია უბრალო ქვასავით დაკარგოს იგი. იქნებ არც იცის, რომ თავისთავში ღმერთის მატარებელ ადამიანს ვერ ხელენიფება მისი დაკარგვა; არამედ ღმერთი თავად ტოვებს მას თავისი ნება-სურვილით. მაგრამ თუკი მიხვდებით, რომ ღმერთი არ ყოფილა თქვენთან თქვენს ბავშვობაში, რომ ის არც მანამდე არ ყოფილა თქვენთან; თუ ფიქრობთ, რომ ქრისტეს მისი ტანჯვისათვის საზღაური არ მიეგო, ხოლო მუშამედი საკუთარმა სიამაყემ იმსხვერპლა, — და თუკი შიშით გააცნობიერებთ იმასაც, რომ ღმერთი ახლაც, აი ამ ნუთას, როცა მასზე ვსაუბრობთ, არ არის თქვენთან, — მაშინ რა უფლე-

ბით ლაპარაკობთ მასზე, როგორც გარდასულზე, ვინც არასოდეს არ ყოფილა თქვენში, და რა უფლებით ეძებთ მას, როგორც დაკარგულს.

ნუთუ ვერ ხვდებით, რომ ის მომავალია, რომელიც ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან აღგვითქვებს; მომავალი, საბოლოო ნაყოფი ხისა, რომლის ფოთლებიც ჩვენა ვართ. რა გიბლით ხელს, რომ მისი დაბადების წუთს, როგორც ბავშვის დაბადებას, წყნარად შევხედოთ და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იცხოვროთ ისე, თითქოსდა თქვენც ყველაფერი ამ დიდი და ხანგრძლივი ყვებშიმობის ერთი მტკივნეული და მშვენიერი დღე იყოს. ხომ ხვდებით, რომ ყოველივე, რაც კი ხდება, ყოველთვის მხოლოდ და მხოლოდ დასაწყისია; და განა ყველა ეს დასაწყისი არ შეიძლება მისი დასაწყისიც იყოს, როცა დანყება თავისთავად ყოველთვის ასე მშვენიერია?! და თუ ღმერთი თავადაა სრულყოფილება, მაშინ წინ უნდა უძღოდეს შედარებით არასრულყოფილი, რათა მან მიაგნოს თავის სრულყოფილებას საგანთა და არსთა სიმრავლესა და მრავალსახოვანებაში?! — ის უკანასკნელი უნდა იყოს, რათა ყოველივე დაიტოს და მოიცვას თავის თავში საბოლოოდ, რადგან რა იქნებოდა ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი არსებობა, თუკი ის, ვისკენაც ვისწრაფვით და ვისაც ვეძებთ, დიდი ხნის წინათ, წარსულში არსებობდა მხოლოდ?! როგორც ფუტკრები თაფლს, ისე ვაგროვებთ ყველაფერიდან უტკბილეს ნექტარს და მას ვაშენებთ: ექმნით მას, ყველაზე უბრალო, შეუმჩნეველი საქმიანაც კი, თუკი ამ საქმეს სიყვარულით ვასრულებთ; ვინყებთ მის შენებას, როდესაც ვიღწვით ანდა ვისვენებთ შრომით დაღლილნი; ექმნით მას დუმილით თუ სულ პატარა, მარტოხელა სიხარულითაც, — ექმნით ყველა საქმით, რასაც მარტოდმარტო, თანამონაწილეებისა და მიმდევრების გარეშე ვაკეთებთ; ჩვენ ვინყებთ მის შექმნას, ვისაც ისევე ვერ მოვესწრებით, როგორც ჩვენ ვერ მოგვესწრნენ ჩვენი წინარები.

მაგრამ ისინი, ის დიდი ხნის წინათ გარდასულნი, არსებობენ; ისინი ჩვენს უღრმეს არსებაში დაღეჭილან და მათი არსებობა ტვირთია, ჩვენს ბედისწერას ზედ დანოლილი; ეს სისხლია, ჩვენში რომ შეფოთავს; ეს არის ქვსტი, გარდასული დროის სიღრმეებიდან რომ წამოიშართება ხოლმე.

არსებობს ძალა, რასაც შეუძლია წაგართვათ იმედი, რომ თქვენც ოდესმე მისი ნაწილი გახდებით, რომ თქვენც იმ უშორესში და უსასრულოში დაინთქმებით?!

შეგვებთ შობას ნათელი გრძნობით. შესაძლოა, მას სწორედ ეს სჭირდება თქვენგან, ეს შიში და წუხილი სიცოცხლეზე, რათა დაიბადოს თქვენში და დაინყოს; იქნებ თქვენი გარდატეხის დღეები სწორედ ის დღეებია, როცა თქვენში ყველაფერი მისთვის ემზადება, ისევე როგორც ოდესღაც თქვენ თვითონ ემზადებოდით მის შესახვედრად თავდავიწყებით. აღივსეთ მოთმინებით, ნუ შეგაშინებთ დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, გახსოვდეთ, სულ მცირე, რაც შეგვიძლია მისი გულისათვის გავაკეთოთ, ისაა, რომ არ გავუძნელოთ მას ჩვენთან მოსვლა ისევე, როგორც დედამინა არ უძნელებს და არ უშლის გაზაფხულს მოსვლას, როცა ის იწყება. გისურვებთ სიხარულსა და იმედს.

თქვენი რაინერ მარია რილკე

წერილი № 7

რომი, 14 მაისი 1904

ძვირფასო ბატონო კაპკუს!

ძალზე დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც თქვენგან უკანასკნელი წერილი მივიღე. ნუ გამინყრებით, პასუხი რომ დაგიგვიანეთ; ჯერ ერთი თავაულებლად ვმუშაობდი, მერე სხვა საქმეებიც გამომიჩნდა და ბოლოს ავადაც გახლდით; აი ყველაფერი, რამაც ხელი შემიშალა პასუხი მომენერა; რადგან ეს პასუხი (როგორც თავად მსურდა) მშვიდი და ნათელი დღეების მაცნე უნდა ყოფილიყო ახლა ცოტა უკეთ ვგრძნობ თავს (გაზაფხულის დასაწყისი თავისი ავი, ჭინიანი ცვლილებებით აქაც მძიმედ გადავიტანე) და შემიძლია უკვე მოგესალმით და ცოტა რამ გითხრათ თქვენი წერილის პასუხად (რასაც ყოველთვის დიდი სიხარულით ვაკეთებ).

ხომ ხედავთ: მე გადავწერე თქვენი სონეტი, რადგან ვფიქრობ, რომ ის მშვენიერია, უბრალოა და ჩუმი, თავდაჭერილი ფორმითაა გადმოცემული. ეს ყველაზე უკეთესია თქვენი ლექსებიდან, რომელთა ნაკითხვის საშუალებაც მომეცა. მე გადავწერე თქვენი ლექსები, რადგან ვიცი, რარიგ მნიშვნელოვანია საკუთარი ნამუშევრის უცხო ხელნაწერში ნაკითხვა;

თქვენ უკვე ახლებურად შეხედავთ მათ; ნაიკითხვით ლექსები, თითქოსდა ისინი უცხო ავტორს ეკუთვნოდნენ და მაშინ უფრო ღრმად შეიგრძნობთ, რამდენად თქვენს ლექსებს ისინი. დიდი სიხარულით გადავიკითხე რამდენჯერმე თქვენი სოხეტი და თქვენი წერილი. მადლობას გიხდით ამ სიხარულისათვის. თქვენი მარტოობისას არ უნდა შეგაშფოთოთ იმან, რომ არის თქვენში რაღაც, რასაც სურს თავი დააღწიოს და რაც გაურბის ქმნილობას. სწორედ ეს სურვილი იქნება თქვენი შემწე, თუკი მას მშვიდად დატოვებთ. მოიხარჯებთ როგორც საჭრეოელს, რითაც მესძლებთ თქვენი მარტოობის საზღვართა გაფართოებას. ადამიანებს ჩვეულებად ექცათ (პირობითობების წყალობით), ურთულეს საკითხებს იოლი კუთხიდან შეავლონ თვალი და ადვილად გადაწყვიტონ ისინი, მაგრამ ერთი რამ ცხადია, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ არსებობს სირთულე და სიძნელე; ყოველივე ცოცხალი არსება სიძნელის ამ კანონს ემორჩილება; ბუნებაში ყველაფერი იზრდება, თავს იცავს შეძლებისდაგვარად და ცდილობს, რადაც არ უნდა დაუჯდეს, წინააღმდეგობათა მოუხედავად, გახდეს ერთადერთი, განსაკუთრებული და თავისთავადი. ჩვენ ცოტა ვიცით, მაგრამ ის, რომ ჩვენც ძნელი გზა უნდა ავირჩიოთ, — უეჭველია. ეს არის აუცილებლობა, რომელსაც ამ რთული გზისაკენ მიყვავართ განუწყვეტლად. მარტოდ ყოფნა კარგია, რადგან მარტოობა — ძნელია; და რომ ის, რისი მიღწევაც გვსურს, — ძნელია, ამან უფრო მეტად უნდა გვიბიძგოს, რომ დავძლიოთ ეს სიძნელე.

სიყვარული კარგია: რადგან სიყვარულიც ძნელია. ადამიანის ადამიანისადმი სიყვარული: ეს ალბათ ყველაზე ძნელია, რაც ჩვენთვის დაუნესებია განგებას; ეს არის ყველაზე დიდი სინამდვილე, უკანასკნელი განსაცდელი და გამოცდა; ეს არის საქმე; და შედარებით სხვა ყველა ჩვენი საქმიანობა მხოლოდ საშზადისია ამ დიდი საქმისათვის: ამიტომ ახალგაზრდებს, ყველაფერში დამწყებნი რომ არიან, ჯერ კიდევ არ შეუძლიათ სიყვარული; მათ უნდა ისწავლონ ის, მთელი თავისი არსებით, მთელი ძალით, მთელი თავისი მარტოსული, სიკეთის მაძიებელი გულით უნდა ისწავლონ სიყვარული. სწავლის ჟამი კი ძალზედ გრძელია და ფარული; ამიტომ სიყვარული დიდი ხნის და მთელი სიცოცხლის მანძილზე არის მარტოობა: უღრმესი, უმძაფრესი მარტოობა იმისი, ვინც უკვე ატარებს ამ სიყვარულს. სიყვარული არარაობა იქნებოდა, მხოლოდ თავდავიწყებას, მეორე ადამიანთან შერწყმას და გაერთიანებას რომ ნიშნავდეს (რადგან რა ერთიანობაზე შეიძლებოდა გველაპარაკა იქ, სადაც ორი უმნიშვარი და ჩამოუყალიბებელი ადამიანი შეერწყმის ერთმანეთს გაუცნობიერებლად და ერთმანეთის ნაბადვით). მხოლოდ ერთეულთათვის არის სიყვარული ამაღლებული მიზეზი, რომელიც მოუწოდებს, რომ მიადნოთ სიძნელეს, რათა შექმნან სამყარო თავისთავში; თავად იქცნენ სამყაროდ სხვისი გულისათვის; ყოველივე ეს დიდი და მძიმე დავალებაა, რაც რჩეულთა ხვედრია და რაც მათ შორეულისაკენ მოუხმობს. მხოლოდ მაშინ იქნება ორი ახალგაზრდა ადამიანის სიყვარული გამართლებული, თუ იგი აღამაღლებს მათ და საკუთარ თავზე მუშაობისკენ („დღისით და ღამით ყურისგდებისა და ქმნისაკენ“) უბიძგებს. თავდავიწყება, საყვარელ ადამიანთან გაერთიანება, — ყოველივე ეს ჯერ კიდევ არ არის სიყვარული; ნამდვილი სიყვარული ჯერ კიდევ შორსაა მათგან (რომლებმაც კიდევ დიდხანს უნდა დაზოგონ და აგროვონ ძალები); ნამდვილი ერთ-არს-ქმნა, — ეს საბოლოო მიზანია, შესაძლოა საბოლოო მისიაც, რომლის აღსრულებისათვის ადამიანის სიცოცხლე არ კმარა.

ახალგაზრდები ხშირად და მწარედ სცდებიან. ბუნებით მოუთმენელნი ერთმანეთს ნებდებიან მყისვე; ფანტავენ საკუთარ თავს, როგორც კი სიყვარული შეეპარებათ ხოლმე; ფანტავენ მთელ ძალებს, გადასცემენ სხვას საკუთარ დაბნეულობას. შეცდომებს და გაურკვეველ შიშს... რა იქნება შემდეგში? რას არგებს ცხოვრებას გაბზარულ ადამიანთა გროვა, რასაც თვითონ ერთადყოფნას უწოდებენ და სიხარულით დაარქმევენ მას ბედნიერებას და, რომ შეეძლიათ, მომავალსაც. ყოველი მათგანი უარყოფს საკუთარს, ივარგება მეორეში, ამგვარად ისინი ერთმანეთსაც კარგავენ; კარგავენ ნამდვილ სიყვარულსაც, რომელიც ჯერ კიდევ ელოდათ. კარგავენ სივრცეებსა და შესაძლებლობებს; ჩუმი და მგრძნობიარე საგნების სიახლოვესა და განშორებას ცვლიან უნაყოფო დაბნეულობაზე, საიდანაც არარა აღარ წარმოიშობა, არარა რჩება ზინლის, იმედგაცრუებისა და სიცარიელის გარდა; ხოლო ჩვეულებრიობა, საიმედო თავშესაფრად რომ ეგულებათ, სინამდვილეში ამ ძნელ და სახიფათო გზით მავალთათვის მაცდური სატყუარაა თავისი მრავალსახოვანი გამოვლინებით. ადამიანის ცხოვრების არცერთი მხარე არ არის პირობითობით ისე შელამაზებული, როგორც სიყვარული... აქ მზადაა ათასწიერი ჯურის მაშველი ქამრები, ნავეები და შაურის

ბალიშები; საზოგადოებრივმა აზრმა უამრავი დამხმარე საშუალება შექმნა; რაკი იგი სიყვარულში მხოლოდ ტკობას ხედავდა, ამიტომ ეს საქმეც უფრო იოლად, უფრო იაფად, უხიფათოდ და საიმედოდ უნდა მოეგვარებინა; მოეგვარებინა ისევე, როგორც სხვა, საერთოდ გავრცელებულ სიამტკბილობებს აგვარებდა; მაგრამ ბევრი ახალგაზრდა, რომელთაც მცდარად უყვართ, უფრო სწორად, რომლებიც უბრალოდ იკარგებიან ერთმანეთში და კარგავენ საკუთარ მარტოობასაც (ახალგაზრდების უმრავლესობა კი ამ გზას ადგას), გრძნობს, რომ რაღაც არ ყოფნის, გრძნობს ცდომილების სიმძიმეს და ცდილობს, თვითონვე, თავისი სურვილისამებრ შემოქმედებითი, ნაყოფიერი გახადოს ის ურთიერთობა, ის მდგომარეობა, რომელშიც აღმოჩნდა; მათივე ბუნება კარნახობს, რომ სხვა მნიშვნელოვან საკითხთა დარად სიყვარულის არც ერთი საკითხის გადანყვეტა არ შეიძლება საჯაროდ, დადგენილი ტრადიციული კანონ-ნესების მიხედვით; რომ ეს მათი საკუთარი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი კითხვებია, მხოლოდ ორ ადამიანს რომ ეხება და ყოველი ახალი ურთიერთობისას ახალ, განსაკუთრებულ და მხოლოდ ამ ორი ადამიანის ურთიერთობიდან გამომდინარე პასუხებს მოითხოვენ. მაგრამ ვინც უკვე დაკარგა თავი მეორეში, როცა ყოველგვარი ზღვარი წაშლილა მათ შორის, როცა ისე დაემსგავსნენ ერთმანეთს, რომ ვერც ანსხვავებენ თავს მეორისაგან, როცა არაფერი საკუთარი აღარ გააჩნიათ, როგორ იპოვოს თვითეულმა საკუთარი გამოსავალი თავის თავში, თავის უკვე დიდი ხნის წინათ დაკარგული მარტოობის სიღრმეში?!

საერთო უმწეობა ახასიათებს მათ მოქმედებას ასეთი ურთიერთობისას. ხოლო როცა ცდილობენ თავი აარიდონ ჩვეულებრიობას (როგორიც, დაფუშვით ქორწინებაა), ისინი არანაკლებ დამღუპველი პირობითი გამოსავლის მარნუხებში ექცევიან, იმიტომ, რომ ყოველი მათი მოქმედება მაინც პირობითია; ყოველთვის, როდესაც ორი ადამიანის შეხვედრა ნაადრევია და უსიხარულო, მათი ყველა გადანყვეტილება ჩვეულებრივ ხასიათს ღებულობს. ყოველ ურთიერთობას, რომელიც კი ამგვარი ცდომილების შედეგად წარმოიშვება, ჩვეულებრივი დასასრული აქვს; მაშინაც კი, თუნდაც ეს ურთიერთობა არაჩვეულებრივი (უფრო სწორად, ტრადიციული თვალსაზრისიდან გამომდინარე — ამორალური) იყოს; განშორებაც კი პირობითი ნაბიჯი იქნება; შემთხვევითი, განუსჯელად მიღებული გადანყვეტილება, უხერხემლო და უნაყოფო.

ვინც სერიოზულად ჩაუფიქრდება, მიხვდება, რომ, ისევე როგორც სიკვდილის, რომელიც მძიმეა და ძნელი, ასევე ძნელი სიყვარულის საიდუმლოს ამოხსნა და მისი ქარაგმების გამოცნობა დღემდე თითქმის ვერაფერ შესძლო; და რომ ამ ორი, სიკვდილის და სიცოცხლის გამოცანის, ჩვენში რომ ვატარებთ ფარულად და ამოუხსნელადვე გადავცემთ სხვებს, გამოცნობა საყოველთაოდ მიღებული ფორმულების მიხედვით შეუძლებელია. თუმცა ეს ორი დიდი საიდუმლო ისეთივე ძალით გვეხსნება და გვიმულავნებს თავს, რა ძალითაც ჩვენ, მარტოსულნი ვიწყებთ ცხოვრებისა და მისი კითხვების შემეცნებას. უმკაცრესი მოთხოვნები, რომელთაც სიყვარულის უმძიმესი საქმე გვიყენებს ჩვენი განვითარების გზაზე, აღემატება ჩვენს შესაძლებლობებს; რადგან ჩვენ, ახალბედები, ჯერ კიდევ არა ვართ მზად და მათი შესრულებისთვის ძალა არ შეგვწევს. თუმცა თუ გავუძლებთ ამ სიძნელეს — სიყვარულს, მის ტვირთს და თუ მის საცდელ წვრთნას მოთმინებით ავიტანთ, თუ არ მოვიხიბლებით ყველაზე მარტივი და ზედაპირული გართობა-თამაშობებით, ადამიანებმა ყოფიერების უდიდესი სიმკაცრისაგან თავის დასაძვრენად რომ მოიგონეს, — მაშინ იქნებ შეეძლოთ და სულ ოდნავ მაინც გავუკვალოთ და შევუმსუბუქოთ ეს გზა ჩვენ შემდგომ მავალთ; ეს პატარა მცდელობაც მნიშვნელოვანი იქნება, რადგან ჩვენ მხოლოდ ახლა ვსწავლობთ ერთი მარტოსული ადამიანის მეორე მარტოსულთან ურთიერთობის მცდარი განსჯის გარეშე და საღად ხედვას; ჩვენ პირველნი ვართ, ამგვარად ცხოვრებას რომ ცდილობს, რომლის მსგავსიც წარსულში არ არსებობდა. თუმცა ჟამთა სვლაში უკვე შეიმჩნევა რაღაც ისეთი, რასაც სურს ჩვენს გაუბედავ ნამონყებას მხარში ამოუდგეს და შემოეშველოს.

გოგონა და ქალი, თავიანთი ახალი, დამოუკიდებელი განვითარების გზაზე მხოლოდ დროებით ხდებიან მამაკაცური ნაკლის თუ ღირსების მიმბაძველნი და გამმეორებელნი, მამაკაცური მოვალეობის შემცველნი. ასეთი მიბაძვა კი დროებითი ნიღაბია მხოლოდ; შემდეგ კი აღმოჩნდება, რომ ამგვარი ხშირი და, უმეტესწილად, სასაცილო ცვალებადობა ქალს იმისათვის დასჭირდა, რომ განენმინდა თავისი ქვშმარიტი არსი მეორე სქესის მძიმე გავლენისაგან, მის ნამდვილ არსს რომ ამახინჯებდა. ქალი, ვისშიც სიცოცხლე უფრო უშუალოა და ნაყოფიერი, ვინც საიმედო სამკვიდრებელი და სავანეა სიცოცხლისა-

თვის, სინამდვილეში უფრო მონიფულ ადამიანს უნდა წარმოადგენდეს, უფრო ადამიანურ ადამიანს, ვიდრე ზედაპირული მამაკაცი, რომლის სხეულისათვის უცხოა ნაყოფის სიმძიმე; რომელიც სიცოცხლის ზედაპირზე რჩება და ქედმაღლურად და დაუფიქრებლად აუბრალოებს, ამცირებს იმას, რაც მას თითქოსდა უყვარს და რისი ნამდვილი ღირსება არც კი იცის. ქალის ტკივილებითა და დამცირებებით ნაშობი ადამიანურობა ცოტა უფრო გვიან, როდესაც ის საბოლოოდ გათავისუფლდება მხოლოდ — ქალურობის ჩვეულებებისაგან, თავისი გარეგანი ცხოვრების გარდაქმნისას ყველასათვის შესამჩნევად განდგება, ხოლო მამაკაცი, რომელიც დღეს ვერ კიდევ ვერ გრძნობს მის მომავალს, ამ მოულოდნელი გარდასახვით გაოგნებული, თავს დამარცხებულად სცნობს მის წინაშე. ოდესმე (რაზეც უკვე ამჟამად, განსაკუთრებით ჩრდილოეთის ქვეყნებისათვის დაძახასიათებელი სარწმუნო ნიშნებიც მეტყველებენ) წინ ნამოდგებიან გოგონა და ქალი, რომელთა მდებრობა მამრობის დაპირისპირებულობა კი არ იქნება მხოლოდ, არამედ ეს იქნება რაღაც თავისთავადი, რაღაც ისეთი, რომელსაც აღარ დასჭირდება აღარც შევსება და დასრულება, აღარც მკვეთრი გამიჯვნა მამრობითობისაგან. არამედ იქნება მხოლოდ ერთიანი სიცოცხლე და ცხოვრება. დაიბადება ქალი — ადამიანი. საკუთარი არსების ამგვარი გარდაქმნისას (მამაკაცების სურვილის და მათი ქედმაღლური, დრომოჭმული შეხედულებების სანინააღმდეგოდ) ქალი სიყვარულის განცდასაც, რომელიც ახლა მხოლოდ ცდომილებაა და დაბნეულობა, უცვლის სახეს, ძირეულად გარდაქმნის მას, გარდასახავს ისეთ ურთიერთობად, რომელიც უბრალოდ ქალის და მამაკაცის ერთიანობა კი არ იქნება, არამედ ერთი ადამიანის მეორე ადამიანთან დაახლოება; ამგვარი, ყველაზე ადამიანური სიყვარული (რომელიც უსაზღვროდ გულისხმიერი, ჩუმი, სათუთი და ნათელია როგორც დაახლოებისას ასევე განშორებისასაც) მსგავსი იქნება იმ სიყვარულისა, დღესდღეობით სიძნელეებთან ჭიდილში და ტანჯვით რომ ვძერწავთ; სიყვარულისა, რომლის არსიც ის გახლავთ, რომ ორმა მარტოობამ, ორმა მარტოსულმა ადამიანმა დაიფაროს, დაიცვას და აღიაროს ერთმანეთის მარტოობა.

და კიდევ: ნუ გგონიათ, რომ ის დიდი სიყვარული, ბავშვობაში რომ გხვდათ წილად, დაკარგეთ; თქვენ ვერ უარყოფთ, რომ შესაძლოა სწორედ მაშინ მნიფდებოდა თქვენში დიდი და კეთილი სურვილები და აზრები, რომლებითაც დღეს სულდგმულობთ. ვფიქრობ, ეს სიყვარული იმის გამო ჩაიბეჭდა ასე უფლებამოსილად და ღრმად თქვენს მოგონებაში, რომ ის თქვენი პირველი დიდი, სულიერი მარტოობა და პირველი სულიერი საქმე იყო, რომელიც აღასრულეთ თქვენს ცხოვრებაში...

ყოველივე კეთილს გისურვებთ, ძვირფასო ბატონო.
თქვენი რაინერ მარია რილკე

სონეტი

დაუკვნესებლად და უჩივლელად ჩემს ცხოვრებაში
ურუმესი ტკივილი ღელავს.
ჩემს ოცნებათა უწმინდესი ყვავილთა თოვლი
ურუმეს დღეებს ესაღბუნება.

თუმც უმძაფრესი დასტრიალებს ჩემს გზას
ეს კითხვა; უსუსური და შემცივნული,
მე მივაბიჯებ ამ სიცოცხლეში როგორც გაშლილ ოკეანეში,
რომლის სიღრმეებს ჩასწვდეს, ჩემს გონს კრთომით არ ძალუძს.

მაშინ მელვრება თავს სიმღერა ნალვლიანი, ვით მინაცრული
ფერი ზაფხულის ნათელსმოკლებულ ღამეებისა,
როცა ხანდახან სერავს სივრცეს შუქი ვარსკვლავის.

და ეძიებენ მონყურებული ჩემი ხელები მაშინ სიყვარულს,
მსურს რადგან ლოცვა უცხო ბგერებზე,
პოვნა რომელთა ვერ არ ძალუძს ჩემს მხურვალ ბაგეს.

(ფრანს კაპკუსი)

წერილი № 8

ბორგები-გარდი, ფლუდი, შვეცია,
12 აგვისტო, 1904

სულ ცოტა ხანს კიდევ მსურს გაგესაუბროთ ძვირფასო ბატონო, თუმცა ვფიქრობ, რომ თქვენთვის ხელსაყრელს ვერაფერს გეტყვი. ბევრი მწუხარება გამოგიცდიათ, რამაც უკვე გადაიარა, თუმცა იმანაც, რომ ყველაფერმა გაიარა, თქვენში მძიმე და პირველში კვალი დატოვა. მაგრამ დაფიქრდით: ამ დიდმა მწუხარებამ თქვენს შიგნით, თქვენს გულში ღრმად ხომ არ გაიარა? ბევრი რამ ხომ არ შეიცვალა ამის გამო თქვენში, ხომ არ შეიცვალეთ თქვენ თვითონ; თქვენს არსში რაიმემ ხომ არ იცვალა სახე ამ მწუხარების ჟამს? სახი-უათო და ცუდია ისეთი მწუხარება, რომელსაც ხალხის დასანახად ნილაბივით იფარებენ სახეზე და ცდილობენ ხაზი გაუსვან, თუ რარიგ დიდია მათი ტანჯვა. როგორც ავადმყოფობა, ზერელე და არაგონივრული მკურნალობის შემდეგ, მწუხარებაც მხოლოდ დროებით ქრება და სულ ცოტა ხნის შემდეგ ახალი, უარესი ძალით იფეთქებს ხოლმე; და ასე გროვდება და გუბდება ყველა მწუხარება ჩვენში და ჩვენი სიცოცხლე ხდება უმოქმედო, ჩვენგან უარყოფილი და დაკარგული სიცოცხლე, რომლის გამოც შეიძლება მოკვდეს კაცი. რომ შეგვეძლოს უფრო მეტი დავინახოთ, ვიდრე ამის საშუალებას ჩვენი ცოდნა გვაძლევს, და სულ ოდნავ კიდევ გადავცილდეთ ჩვენი ინტუიციის საზღვრებს, მაშინ უფრო მეტ ნდობას გამოვიჩენდით ჩვენი მწუხარებისადმი, ვიდრე სიხარულის მიმართ. რადგან მწუხარების საათი ის დროა, როცა რალაც ახალი, ჯერაც უცნობი განცდა შემოდის ჩვენში; როცა ყველა გრძნობა მოკრძალებით და შორცხვად ყუჩდება, ყველაფერი ირინდება, იბადება სიჩუმე და ის, ახალი, ყველასათვის უცნობი, დგას ამ სიჩუმის შუაგულში და დუმს. მე მჯერა, რომ ჩვენი მწუხარების ნუთები სულიერი დაძაბულობის მომენტებია, რომელთაც როგორც ტკივილს ისე განვიცდით, რადგან ვეღარ გაგვიგია, ცოცხლობენ თუ არა ჩვენი გრძნობები, რომელნიც უცებ უცხონი გახდნენ ჩვენთვის, რადგან იმ უცნობთან, ჩვენში რომ შემოვიდა, სრულიად მარტონი დავრჩით; რადგან ყოველივე, რაც აქამდე შეჩვეული და ახლობელი იყო ჩვენთვის, უცებ გაგვიუცხოვდა და დაგვშორდა; რადგან გზის გასაყართან ვდგავართ, სადაც დაყოვნება არ შეიძლება. მწუხარებაც გაივლის ხოლმე, ამიტომ ახალი, რომელიც არც კი ვიცით, საიდან გაჩნდა, ჩვენს გულში, მის უიდუმალეს და უღრმეს საკანში შევიდა და იქაც აღარ არის, — ის უკვე სისხლშია. ვერც კი ვასწრებთ გავიგოთ, თუ რა მოხდა. შეიძლება ვინმემ დარწმუნება დაგვიწყოს, რომ არაფერიც არ მომხდარაო, მაგრამ ჩვენ ხომ შევიცვალეთ, ისევე შევიცვალეთ იერი, როგორც სახლი იცვლება, როცა კარს სტუმარი შემოაღებს ხოლმე. ჩვენ არც ის ვიცით, თუ ვინ მოვიდა; შესაძლოა, ვერც ვერასოდეს გავიგოთ; მაგრამ ძალიან ბევრი რამ მეტყველებს იმაზე, რომ მომავალი შემოდის ჩვენში ამგვარად, რათა იმაზე ბევრად უფრო ადრე, სანამ ის აღსრულდება, ჩვენში იცვალოს ფერი და მოამზადოს თავისი გზა. ამიტომ არის ძალზედ მნიშვნელოვანი, მარტოდმარტო და ყურადღებით იყოს კაცი მწუხარების ჟამს; რადგან ნამი, რომელიც ერთი შეხედვით უსიცოცხლო და უმოძრაო გვეგონია და რომლის დროსაც მომავალი შემოდის ჩვენში, ბევრად უფრო ახლოსაა სიცოცხლესთან, ვიდრე ის შემთხვევითი და ხმაურიანი ნუთები, როდესაც გვეჩვენება, თითქოს მომავალი ჩვენ გარეშე, ჩვენგან დამოუკიდებლად იძენდეს სიცოცხლეს. რაც უფრო ჩუმნი, მომთმენნი და გულწრფელნი ვართ ჩვენი მწუხარების ჟამს, მით უფრო ღრმად და შეუმცდარად შემოდის ჩვენში ახალი, უფრო უკეთ შეგვიძლია მისი მოპოვება, უფრო ჩვენული და თვით ჩვენი ბედისწერა ხდება; ერთ შორეულ დღესაც, როდესაც ეს ახალი „აღსრულდება“ (უფრო სწორად: როდესაც ჩვენგან სხვა ადამიანებს გადაეცემა), ჩვენ შინაგანად უფრო ახლოს ვიგრძნობთ თავს მასთან. ეს კი აუცილებელია; აუცილებელია და ჩვენი განვითარებაც თანდათან ამ გზით წავა — რომ რალაც უცხო, არაჩვენული კი არ შეგვემთხვეს, არამედ ის, რაც ჩვენი და სისხლხორცეულია ჩვენივე ცხოვრებისათვის. მოძრაობაზე რამდენნაირი წარმოდგენის შეცვლა და ხელახალი გააზრება გახდა საჭირო კაცობრიობის არსებობის მანძილზე; ადამიანები ნელ-ნელა ისწავლიან იმის შეცნობასაც, რომ ის, რასაც ჩვენ ბედისწერას ვუძახით, თვით ადამიანებისაგან წარმოიშვება, რომ თვითონ ადამიანები ბადებენ თავიანთ ბედისწერას; და რომ ის გარეგანი მოვლენა არ არის ჩვენს ცხოვრებაში. და მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანთა უმრავლესობამ ვერ შესძლო თავისი ბედისწერის, რომელიც ამ ადამიანში

იმყოფებოდა, შეცნობა, მისი გასისხლხორცება და საკუთარ ცხოვრებად გარდაქმნა, ვერ შესძლეს მათ ვერც იმის შეცნობა, თუ რა იყო ის ახალი, მათი შინაგანი სიწმინდებიდან რომ დაიბადა; ეს ახალი იმდენად უცხო და უცნობი იყო მათთვის, რომ უსაფუძვლო შიშის წუთებში ეგონათ კიდევ, სწორედ ახლა შემოვიდაო ჩვენს არსებაში და იფიცებოდნენ, აქამდე ამის მსგავსი რამ არ გვიგრძნია, არ განგვიცდია და არ გვიპოუნიან ჩვენში. როგორც ძალზე დიდი ხნის მანძილზე ადამიანებს მცდარი წარმოდგენა ჰქონდათ შინისა და კლანე-ტების მოძრაობაზე, ასევე არასწორად გვესმის ჩვენ მომავალი, მისი მოძრაობა და დინება. მომავალი, ძვირფასო ბატონო, დადგენილია, ის მყარად დგას; ეს ჩვენ მიმოვიქცევით მხოლოდ უსაზღვრო სამყაროში.

და რა გასაკვირია, რომ ასე გვიძიძის და გვეძინება?

თუ ისევ მარტოობაზე ვისაუბრებთ, მაშინ თანდათან უფრო ცხადი გახდება, რომ სინამდვილეში არჩევანის უფლება არც კი გვაქვს. ჩვენ სამარადჟამო მარტოობა გვიწერია. შეიძლება თავი მოიტყუო კაცმა და ისე მოიქცე, თითქოს სულაც არ იყოს ასე და ამით დამთავრდება, ბოლო მოელება მარტოობას. მაგრამ რამდენად უმჯობესი იქნება ვირწმუნოთ, რომ ეს სწორედ ასეა, რომ ჩვენ სწორედაც ასეთი მარტოსულნი ვართ და რომ ყოველთვის აქედან უნდა გამოვიტანოთ დასკვნები. სასებით შესაძლებელია თავგზა დაკვარგოთ, რადგან ყველაფერი, ყოველი წერტილი, რომელსაც ჩვენი თვალი, ჩვენი მზერა იყო შეჩვეული, ხელიდან შეიძლება გამოგვეცალოს; რადგან ამგვარი მარტოობისას არაფერი აღარ იქნება ახლოს; ხოლო ყოველივე შორი კიდევ უფრო შორეული გახდება. თავისი ოთახიდან, წინასწარი შემზადებისა და გაფრთხილების გარეშე, პირდაპირ მაღალ მწვერვალზე რომ მოხვდეს ვინმე, მასაც ამგვარი განცდა დაეუფლება ალბათ. უზომო გაუბედაობის განცდა, თავზარდამცემი შეგრძნება იმისა, რომ გამოუცნობი ძალის ტყვეობაში იმყოფება, მას თითქმის შინასთან გაასწორებს. მას გაუჩნდება შეგრძნება, რომ შეიძლება გადაიჩეხოს, რომ უკიდევანო სამყაროშია მიტოვებულ-მიგდებულნი, ანდა ისიც ეგონება, რომ ათას ნაწილად იმსხვრევა: რა წარმოუდგენელი ტყუილი უნდა შეთხზას მისმა გონებამ იმის გულისთვის, რათა ახსნას და გააცნობიეროს ამგვარ შეგრძნებათა გამომწვევი მიზეზი. სწორედ ასევე იცვლება მარტოსული ადამიანის ადრინდელი წარმოდგენები მანძილსა და განზომილებაზე; ამგვარი ცვლილებები მოულოდნელად ხდება და ბევრს, იმ ადამიანის მსგავსად, მთის მწვერვალზე რომ აღმოჩნდა, უჩნდება უჩვეულო წარმოდგენები და უცნაური შეგრძნებები, რაც ერთი შეხედვით ადამიანის ძალებს აღემატება. მაგრამ აუცილებელია ჩვენ ესეც გამოვცადოთ. ჩვენი ყოფიერება რაც შეიძლება ფართოდ შევიცნოთ; ყველაფერი, შეუძლებელი და წარმოუდგენელიც კი, მისაღებოდა დასაშვები უნდა იყოს ამ ყოფიერებისათვის. ეს ხომ ერთადერთი საქმეა, რისი გაბედვაც ჩვენ მოგვეთხოვება გაბედულად, უშიშრად მიიღო ყველაზე უცნაური, გასაოცარი და ჩვენი გონებისათვის მიუწვდომელი, რაც კი შეიძლება არსებობდეს. ადამიანებმა ხომ სიმბდალე გამოიჩინეს, რამაც განუზომელი ზიანი მოუტანა სიცოცხლეს; ყველა განცდა, რომელსაც „ხილვას“ უწოდებენ, მთელი ეგრეთწოდებული „სულთა სამყარო“, სიკვდილი, — ჩვენთვის ასე ახლობელი ყველა მოვლენა, თავიანთი ყოველდღიური მცდელობით, ადამიანებმა იმდენად განდევნეს ცხოვრებიდან, რომ თვით გრძნობები, რომელთა საშუალებით შეიძლებოდა ამ მოვლენების აღქმა, თითქოს ჩაკვდა ჩვენში. ღმერთზე უკვე აღარც ვლაპარაკობ. მაგრამ შიშმა ჩვენი გონებისათვის მიუწვდომელის წინაშე არა მარტო ცალკეული ადამიანის ყოფიერება გააღარიბა, მისი წყალობით ადამიანის ადამიანთან ურთიერთობაც ზედაპირული გახდა; უსაზღვრო შესაძლებლობების დინებიდან ადამიანი თითქოსდა უბადრუკ ნაპირზე გაირიყა, სადაც ყველაფერი უმოძრაო და უმოქმედოა. მარტო ჩვენი ინერტულობა როდია დამნაშავე, ადამიანთა ურთიერთობები აუნერლად ერთფეროვანი რომაა და ყველანაირი ურთიერთობისას ერთი და იგივე ბანალური ისტორია მეორდება; დამნაშავეა ჩვენი შიში სრულიად ახალი ურთიერთობის წინაშე, რომლის მსგავსიც მანამდე არ ჰქონიათ ადამიანებს; შიში იმ ახალი განცდის წინაშე, რომლისთვისაც ჩვენ თითქოსდა მზად არცა ვართ და მხოლოდ ის, ვინც ყველაფრისათვის არის მზად, ვინც არაფერს, თვით შეუცნობელსაც კი, არ გამოირიცხავს საკუთარი ცხოვრებიდან, დიახ, მხოლოდ ის შესძლებს თავისი ურთიერთობა სხვა ადამიანებთან ცოცხალი გახადოს და ბოლომდე ამონუროს თვით თავისი ყოფიერებაც. ადამიანები დიდ ანდა პატარა ოთახებს რომ შევადაროთ, აღმოჩნდება, რომ უმრავლესობა თავისი ოთახის მხოლოდ ერთ კუთხეს იცნობს, ანდა მხოლოდ ფანჯრის რაფას, ან იმ ორიოდ ფიცარს, რომელზედაც მიმოდის ხოლმე. ადამიანები ასე უფრო უხიფათოდ გრძნობენ თავს. მაგრამ

რამდენად უფრო ადამიანურია საფრთხითა და განსაცდელით სავსე გულშეუჯერებლობა, რომელიც პოს მოთხრობების ტუსაღებს აიძულებს, ხელით მოსინჯონ შემაზრზენი დილეგის ყველა კუთხე-კუნჭული; ბოლომდე განიცადონ, რათა შეუცნობი არ დარჩეთ ამ ტყვეობის არც ერთი საშინელება. ჩვენ კი ტუსაღები არა ვართ. ჩვენ ირგვლივ არც მახვი დაგებული და არც ხაფანგი; არ არსებობს არაფერი, რასაც შეუძლია შიში მოგვგვაროს ანდა ტანჯვა განგვაცდევინოს. ჩვენი სამკვიდრებელი სიცოცხლეა; სტიქია, რომელიც ყველაზე ახლოს ვართ ჩვენი არსებით; ამავე დროს ცხოვრებასთან ათასწლოვანტ — შეგუებულს შედეგად ქამელეონებოვით ისე დავემსგავსეთ მას, რომ მაშინაც კი, როცა ჩუმად ვცხოვრობთ, ბედნიერ მიმიკრიის ნყალობით ჩვენი და ჩვენი გარემომცველობის ერთმანეთისაგან გარჩევა თითქმის შეუძლებელი ხდება. არავითარი საფუძველი არ გაგვაჩნია, უნდობლობა გამოვიჩინოთ ქვეყნიერების მიმართ, რადგან ის ჩვენდამი მტრულად არ არის განწყობილი. თუ არის მასში შიში, ეს ჩვენი შიშიცაა; თუ არის უფსკრულები, ეს ჩვენი უფსკრულებიცაა და თუ არის მასში საფრთხე, უნდა შევეცადოთ და შევიყვაროთ იგი. ჩვენს ცხოვრებას თუ იმ წესით ავაგებთ, რომელიც მოითხოვს, ყოველთვის იმისაკენ ვისწრაფოთ, რაც ძნელია და რთული, მაშინ ყველაფერი, რაც მოუღებლად და უცხოვად გვეჩვენება, ყველაზე ახლობელი და გასაგები გახდება ჩვენთვის. განა შეიძლება დავივინყოთ ის უძველესი მითები, ყველა ხალხის სიცოცხლის სათავეს რომ კვებავენ; მითები ურჩხულებზე, უკიდურესი განსაცდელის ჟამს მოულოდნელად მეფის ასულებად რომ გადაიქცევიან ხოლმე. იქნებ ჩვენი ცხოვრების ყველა ურჩხული — მეფის ასულია, რომელიც მხოლოდ იმას ელოდება, რომ ერთხელ მაინც გვიხილოს სიმამაცით, გაბედულებითა და მშვენიერებით აღსავსე; იქნებ ყველაფერი, რაც შემზარავი და საშინელი გვეგონია, სინამდვილეში ძალიან უმწეოა და შველას და ხსნას ჩვენგან მოელის.

სწორედ ამიტომ, ძვირფასო ბატონო, აღარ უნდა შეგაშინოთ მწუხარებამ, რომლის განცდაც მოგინუთ თქვენი ცხოვრების მანძილზე, რარიგ უსაზღვროც არ უნდა იყოს იგი; არ უნდა შეგაშინოთ იმანაც, თუ მოუსვენრობა, სინათლის სხივივით ანდა ღრუბელთა ჩრდილებივით, გადაირბენს თქვენს ხელებსა და თქვენს ყოველგვარ საქმიანობაზე. უნდა მიხვდეთ, რომ ამ დროს რაღაც ხდება თქვენში, რაც იმას მონშობს, რომ სიცოცხლეს არ დავინწყებიხართ, რომ მას ხელთ უპყრიხართ, რომ არ მიგატოვებთ და არ დაუშვებთ თქვენს დაცემას. რატომ გსურთ, რომ მოუსვენრობა იქნება ეს, ტანჯვა თუ სულიერი ტკივილი, გამორიცხოთ თქვენი ცხოვრებიდან, როცა არც კი იცით, რა საქმეს ასრულებენ ისინი თქვენში?! რატომ იწვალებთ თავს კითხვებით; რატომ გსურთ გამოიძიოთ, თუ საიდან შეიძლება მოდიოდეს, ანდა რით შეიძლება დასრულდეს ეს ყოველივე, როცა ძალიან კარგად იცით, რომ თქვენ გზის გასაყართან დგახართ და მხოლოდ იმას ნატრობთ, რომ შეიცვალოთ?! თუ თქვენს განცდებში რაიმე ავადმყოფურია, მაშინ გაიხსენეთ, რომ ავადმყოფობა ეს საშუალებაა, რომლითაც ორგანიზმი ყოველივე უცხო სხეულისაგან იცავს თავს და თავისუფლდება; ამიტომ ხელიც კი უნდა შეუწყოთ მას ავადმყოფობაში. რათა ბოლომდე დაიტანოს მთელი ავადმყოფობა და მორჩეს — ეს მხოლოდ კარგს მოუტანს მას. თქვენში, ბატონო კაპპუს, ბევრი რამ ხდება ამჟამად; ამიტომ ავადმყოფის დარად მოთმინებითა და გამოკეთების იმედით უნდა აღივსოთ; შესაძლოა თქვენ ორივე ხართ: ავადმყოფიცა და ჯანმრთელიც. უფრო მეტი: თქვენ ექიმიც ხართ, რომელმაც საკუთარ თავსაც უნდა მიხედოს. მაგრამ ყოველნაირი ავადმყოფობის ჟამს არის დღეები, როცა ექიმს არაფრის გაკეთება არ ძალუძს გარდა იმისა, რომ დროს მიუძღოს და მოიცადოს. აი სწორედ ეს არის, რაც თქვენ, როგორც საკუთარი თავის მკურნალმა, ამჟამად უნდა შესძლოთ: მოცდა. ძალიანაც ნუ გაგიტაცებთ საკუთარი თავის კვლევა-ძიება. ნუ გამოიტანთ ნაჩქარევ და ნაუცბათევ დასკვნებს იქიდან, რაც თქვენს თავს ხდება; დაე მოხდეს ყველაფერი უბრალოდ, ისე, როგორც ხდება. ნინაალმდე შემთხვევაში საყვედურით სავსე თვალთ შეხედავთ თქვენს წარსულს (უფრო სწორად, მორალური მხრიდან დაუნყებთ მას განსჯას), რომელიც ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რაც გემარსებათ; — თქვენი ბავშვობიდან თანმოყოლილი ცთომილებები, ოცნებები და სწრაფვა, რაც ახლაც განაგრძობს თქვენში სიცოცხლეს, მაინც არ არის ის, რასაც იხსენებთ და მსჯავრსა სდებთ. მარტოსული და უმწეო ბავშვობის უჩვეულო პერიოდი ძალზე მძიმეა და რთული; მასზე უამრავი რამ ახდენს გავლენას, ამასთან ის იმდენად თავისუფალია ნამდვილი ცხოვრების ყოველგვარი კანონ-წესებისაგან, რომ თუ ამ ბავშვობაში ცოდვა იჭრება, ამ ცოდვას არ შეიძლება ბოლომდე ცოდვა დაეარქვათ. საერთოდ კი მოვლენათა სახეულებებისა და სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ; ხში-

რად მარტო სიტყვა „დანაშაულიც“ კი ამსხვრევს სიცოცხლეს; მხოლოდ ერთი სიტყვა და არა, ვთქვათ, თვითონ ეს უსახელო და პიროვნული მოქმედება, რომელიც, შესაძლოა ამავე ცხოვრების განსაზღვრული აუცილებლობიდან გამომდინარეობდა და რომლის გამო-სწორებაც თავად მასვე ადვილად შეეძლო. თქვენ ფიქრობთ, რომ ბევრი ძალები იხარ-ჯება; ასე გგონიათ იმის გამო, რომ გამარჯვების ფასს აზვიადებთ; „გამარჯვება“ არ არის ის „დიდი საქმე“, რომელიც თქვენი აზრით განახორციელებთ, თუმცა — „ქვეყნის“ ტრძნობები არა ტყუიან; „დიდია“ ის, რომ თქვენში უკვე იყო რაღაც ისეთი, რამაც შესაძლებლობა მოგცათ აგერიდებინათ თავიდან ცდომილება და შეგეცვალათ იგი რაღაც მართალით და ნამდვილით. ამის გარეშე თქვენი გამარჯვება მხოლოდ უმნიშვნელო მორალური მოქმედე-ბა იქნებოდა; ამჟამად კი იგი თქვენი ცხოვრების ნაწილი გახდა; იმ ცხოვრების, ძვირფა-სო ბატონო, რომელსაც მთელი არსებით თანაფუგრძობს. გაბსოვთ ალბათ: ეს სიცოცხლე ჯერ კიდევ ბავშვობიდან როგორ ისწრაფოდა „დიდისაკენ“?! ახლა კი ვხედავ, თუ როგორ მიისწრაფვის ეს „დიდი“ დიადისაკენ“, ამიტომაც არის სიცოცხლე ისევ და ისევ ძნელი და ამიტომაც არ სწყვეტს იგი ზრდას.

და თუ რაიმე უნდა გითხრათ კიდევ, სწორედ ამას გეტყვით: ნუ იფიქრებთ, რომ ის ადამიანი, ვინც ცდილობს განუგეშოთ, უზრუნველად ცხოვრობს უბრალო და ჩუმი სიტ-ყვებით, რომელთაც ხანდახან სიმშვიდე მოაქვს თქვენთვის. ამ ადამიანის ცხოვრებაში ბევრი ტანჯვა და მწუხარებაა, რაც ამ სიტყვებს მიღმა რჩება. ასე რომ არ იყოს, ის ვე-რასოდეს იპოვიდა სიტყვებს, რომელთაც შეუძლიათ ნუგეში სცენ ადამიანს.

თქვენი რაინერ მარია რილკე

წერილი №9
ფურუბორგო, იონსერუდი, შვეცია, 4 ნოემბერი, 1904

ძვირფასო ბატონო კაპპუს,
იმ ხნის განმავლობაში, რაც წერილი არ მომიწერია, ან სულ გზაში ვიყავი, ანდა ისე მოუცლელი, რომ პასუხიც კი ვერ დაგიბრუნეთ. დღესაც ძალიან მიჭირს წერა: ძალიან ბევრი წერილი დავწერე და ხელი გადამელალა. შესაძლებლობა რომ მქონდეს და ვინმეს ვუკარნახო, მაშინ ბევრ რამეს გეტყოდით. ამჟამად კი მიიღეთ ეს ორიოდე სიტყვა გრძელი წერილის სანაცვლოდ.

ძვირფასო ბატონო, მე ხშირად ვფიქრობ თქვენზე და მთელი ჩემი ყურადღებაც თქვენკენაა მომართული; მგონია, რომ სურთმანეთის ფიქრები გადაეცემათ და შველით ადა-მიანებს და ჩემი ფიქრებიც უნდა გშველოდნენ თქვენ. ხშირად ვეჭვობ: შეუძლიათ თუ არა ჩემს წერილებს თქვენი დახმარება?! ნუ მიპასუხებთ: დიახ. მიიღეთ ყველა წერილი აუღელ-ვებლად და ბევრი მადლობის გარეშე. ძერე კი დაველოდოთ რა მოხდება.

შეიძლება აუცილებელი არც კია, მე რომ თქვენი წერილის თვითნებ სიტყვაზე ვამა-ხვილებ ყურადღებას; ყველაფერი, რისი თქმაც შენებლო თქვენს მიდრეკილებაზე, ეჭვი რომ შეგაქვთ ყველაფერში; რომ არ ძალგიძთ თქვენი გარეგანი და შინაგანი ცხოვრების განო-ნასწორება; ანდა რისი თქმაც შემებლო იმაზე, რაც საერთოდ განუხებთ, დიდი ხანია უკვე გითხარით. ჩემი სურვილი უწინდებურად ასეთია: იპოვეთ თქვენს თავში საკმარისი მოთმინება, რათა ყველაფერს გაუძლოთ და გამოიჩინეთ სულიერი უბრალოება, თუ გინდათ, რომ რწმენა იპოვოთ; ენდეთ იმას, რაც ძნელია და კიდევ თქვენს მარტოობას ამ ხალხმრავ-ლობაში. საერთოდ კი აცალეთ ცხოვრებას საკუთარი გზით დინება. მერწმუნეთ: ცხოვრე-ბა ყოველთვის მართალია.

რაც შეეხება განცდებს: სუფთაა ყველა განცდა, რომელიც კი აღვიძებს თქვენში ძა-ლებს და მოგიწოდებთ საკუთარ თავზე ამადლებსაკენ: უწმინდურია გრძნობა, რომელიც თქვენს არსებას ცალმხრივად ეხება და ამახინჯებს მას. ყველაფერი, რასაც თქვენს ბავშვო-ბაზე ფიქრობთ, კარგია. ყველაფერი, რაც გზრდით და იმაზე უკეთესსა გხდით, როგორიც თქვენს საუკეთესო წუთებში იყავით, მართებულია. ყოველნაირი უკიდურესობა კარგია, თუ ის მთელ თქვენს სისხლშია გამჯდარი. თუკი გაბრუნება და პინდი კი არ არის, არამედ ან-კარა სიხარული, ისეთი გამჭვირვალე, რომ მის ფსკერსაც კი ხედავს ადამიანი.

სომ ხვდებით, რასაც ვგულისხმობ?!
თქვენი დაეჭვება შეიძლება კარგ თვისებადაც გადაიქცეს, თუკი განერთნით მას. იგი

ცნობიერი უნდა გახდეს, კრიტიკად უნდა იქცეს. ჰკითხეთ მას ყოველთვის, როცა კი შეეცდება ცუდად მოგაჩვენოს რაიმე, თუ რატომ არის ეს ცუდი; მოსთხოვეთ დაგიმტკიცოთ ეს; შეამოწმეთ და უცებ იხილეთ, რომ თქვენი ეჭვი უმართლო, დაბნეული და შეშფოთებულიც კია. მაგრამ არ შეჩერდეთ; მოსთხოვეთ არგუმენტები; იმოქმედეთ ყოველთვის ყურადღებით და თანმიმდევრულად; და ერთ მშვენიერ დღესაც ეს მონინაალმდეგი თქვენს ერთ-ერთ საუკეთესო თანამშრომლად იქცევა, და შესაძლოა ყველაზე გონიერ ხელოსნად იმათ შორის, ვინც თქვენს ცხოვრებას ჭედს.

აი, ეს არის ყველაფერი, რაც დღეს თქვენთვის მინდოდა და შემდეგ მჭიქქსაწიქქალთან ერთად გიგზავნიტ პატარა პოემის ამონაბეჭდს, რომელიც პრალის გამომცემლობამ დაბეჭდა კრებულში «Deutsche Arbeit». ამ პოემით მე ვაგრძელებ თქვენთან საუბარს სიცოცხლესა და სიკვდილზე და კიდევ იმაზე, თუ რა დიდია და მშვენიერი ორივე.

თქვენი რაინერ მარია რილკე

წერილი № 10

პარიზი, შობის მეორე დღე, 1908

თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, ძვირფასო ბატონო, როგორ გამახარა თქვენმა საუცხოო წერილმა, რომელმაც ბევრი კარგი, ამჯერად გულწრფელი და ნათელი ამბავი მომიტანა; რაც უფრო მეტს ვფიქრობ ამ ამბებზე, მით უფრო ვრწმუნდები, რომ ისინი ნამდვილად სასიხარულოა. სწორედ ეს მინდოდა თქვენთვის შეთქვა და მომენერა საშობაოდ; მთელი ზამთარი საწერ მაგიდასთან გავატარე, ისე რომ, არც დაღლილობა მიგრძვნიდა და არც მოწყვნილობა. ჩვენი ძველთაძველი დღესასწაულშიც ისე უცბად შემომეპარა, რომ დრო ძლივს შეყო საშობაო სამზადისისათვის და, რა თქმა უნდა, წერილის დასაწერადაც ვერ მოვიცალა.

თუმცა შობის დღეებში ხშირად ვფიქრობდი თქვენზე და ვცდილობდი წარმომედგინა, თუ როგორი სიმყუდროვეა და სიმშვიდე თქვენს განმარტებულ ციხე-სიმაგრეში, შიშველი მთებით რომაა გარშემორტყმული, რომელთაც ძლიერი სამხრეთული ქარები ერკინებიან თავდაუზოგავად, თითქოსდა მათი ლოდებად დაძლია და გადაყლაპვა სურდეთ.

რა უსაზღვრო უნდა იყოს სიჩუმე, რომელიც ამგვარი მოძრაობებითა და ხმებითა საცხე; და თუკი წარმოიდგენ ადამიანი, რომ მთელ ამ მოძრაობაში შორეული ზღვის შრი-ალიც იჭრება, რომელიც შესაძლოა ყველაზე დანშენდრლი ბგერაა ამ პირველყოფილ პარმონიაში, მაშინ ერთადერთი, რაც შეიძლება გისურვოთ კაცმა ის არის, ენდოთ და დიდი მოთმინებით აცალოთ თქვენზე მოქმედება ამ განსაცვიფრებელ მარტოობას, რისი ამოშლაც თქვენი ცხოვრებიდან შეუძლებელი გახდება შემდგომ და შემდგომ; რომელიც ყველგან და ყველაფერში, რისი განცდაც და შესრულებაც მოგიწევთ ოდესმე, სიცოცხლეს და იდუმალ მოქმედებას გააგრძელებს, როგორც ფარული გავლენა, წინაპართა სისხლის მსგავსად ჩვენს ძარღვებში რომ მიედინება განუწყვეტლად და, ჩვენს სისხლს შერთული, დასაბამს აძლევს ერთადერთს და განუმეორებელს, რითაც გამოვიჩვენით ჩვენი ცხოვრების ყოველი ფერისცვალების ჟამს.

რა თქმა უნდა: მიხარია, რომ თქვენ უკვე გაქვთ ეს მყარი ადგილი ცხოვრებაში, სიტყვებით ადვილად რომ გამოიხატება; რომ გაქვთ სამხედრო ნოდება, სამხედრო ფორმა და სამსახური; ეს ხელშესახები და ცალმხრივი ყოფიერება, რომელიც ამ უკაცურ გარემოში — ადამიანთა მხოლოდ მცირერიცხოვან ჯგუფთან ერთად — მყისვე სიმკაცრესა და მნიშვნელობას იძენს; ხოლო ჩვეულებრივი სამხედრო სამსახურისაგან განსხვავებით, რომლისთვისაც დამახასიათებელია დროსტარება და დროის გაყვანა, იგი არა მარტო დროის ფხიზლად გამოყენების შესაძლებლობას გაძლევს, არამედ აძლიერებს კიდევ თქვენში დამოუკიდებელი ქმედების უნარს და რომ ჩვენი ცხოვრების პირობებმა გარდაგვექმნათ და ხანგამომშვებით ბუნების დიდი და მნიშვნელოვანი მოვლენების პირისპირ დაგვაყენონ — აი ეს არის სწორედ აუცილებელი ჩვენთვის.

თვით ხელოვნება — მხოლოდ ერთ-ერთი საშუალებაა და გზა ამ ცხოვრებისაკენ და სავსებით შესაძლებელია ცხოვრობდე უბრალოდ, თავისთავად, ისე, რომ შეუცნობლად ემზა-

რაინერ მარია რილკე

დებოდე მისთვის; ყოველგვარ საქმიანობაში, რომელშიც არის რაღაც ნამდვილი, უფრო მეტი სიახლოვეა ხელოვნებასთან, უფრო მეტი ნათესაურია მასთან, ვიდრე რომელიმე ყალბ ნიღაბს ამოფარებულ პროფესიაში, რომლის ხელოვნებასთან სიახლოვე მოჩვენებითია, რომელიც სინამდვილეში ფარისევლობს და უარყოფს ჭეშმარიტი ხელოვნების არსს; ყოველივე ამას კი პირველ რიგში ჟურნალიზმი და კრიტიკა სჩადის, და კიდევ სამი მეოთხედი იმისა, რასაც ლიტერატურას ეძახიან და რასაც პრეტენზია აქვს ერქვას ლიტერატურა. მოკლედ რომ მოგახსენოთ, ძალზე მიხარია, რომ თქვენ გადალახეთ ამ მცდარ გზაზე მოხვედრის საფრთხე და გაბედულად არჩიეთ მარტოდმარტო სიარული თქვენს მკაცრ სინამდვილეში.

დაე ამ წერილმა განგამტკიცოთ და დაგიფაროთ ამ გზაზე

თქვენი რაინერ მარია რილკე



კოსტანტინ უაღინი

ოსტატობის შესახებ



რუსულიდან თარგმნა კარლო არსენიშვილმა

1. საუბარი მწერლის ოსტატობის შესახებ ენიდან უნდა დავიწყოთ. ენა ყოველთვის იქნება ნაწარმოების ძირითადი მასალა. მხატვრული ლიტერატურა — სიტყვის ხელოვნებაა. ლიტერატურული ფორმის ისეთი მნიშვნელოვანი საწყისიც კი, როგორც კომპოზიციას, უკუდგება მწერლის ენის გადამწყვეტი მნიშვნელობის წინაშე.

ჩვენ ვიცით ბევრი კარგი ნაწარმოები, რომელთაც არასრულყოფილი ან სუსტი კომპოზიციის აქვთ, მაგრამ იშვიათად გვხვდება ცუდი ენით დანერგილი ქმნილება. უვარგისი ხე-ტყისაგან რიგიანი სახლი არ აშენდება, თუმცა კარგი სახლიც ყოველთვის როდია მოხერხებულად განლაგებული. ეს დამოკიდებულია გეგმაზე და არა ხე-ტყის ხარისხზე. მაგრამ არც მოხერხებულ განლაგებას აქვს აზრი, თუ სახლის კედლები სითბოს ვერ შეაკავენ.

შეგირდი ოსტატისაგან სწავლობს. ოსტატი ასწავლის, როგორ აუქციოს გვერდი შეცდომებს, ოდესღაც იღიბს რომ უშვებდა, და მხოლოდ შემდეგ ისწავლა უშეცდომოდ წერა. მასაც მყავდა მასწავლებლები და შესწავლილს საკუთარი გამოცდილებაც შეაჯერა.

მასწავლებლისაგან მიღებულ ცოდნას მოწაფემ უსათუოდ საკუთარი გამოცდილებაც უნდა დაუმატოს. მაშინ ოსტატობა უფრო დახვეწილი და ამალღებული ხდება.

მეცნიერება ერთ ადგილზე გაიყინებოდა, სწავლულნი წინამორბედთაგან შემკვიდრებოდნენ. აღმოჩენები იქ იწყება, სადაც შეძენილი ცოდნა მთავრდება და მოსწავლის გამოცდილება იღებს სათავეს. გაიხსენეთ ლენინის სიტყვები — „მემკვიდრეობის შენარჩუნება — სულაც არ ნიშნავს მემკვიდრეობით შემოფარგელას“.

ასეა ხელოვნებაშიც, ოსტატობის შესწავლა ჯერ კიდევ არ ნიშნავს ოსტატობას. წარსული უნდა შევისწავლოთ, მომავლისკენ გაბედულად რომ გავსწიოთ. ძირფესვიანად უნდა ვიცოდეთ იგი, რათა მომავალშიც იმ აღმოჩენებს არ შევადგინოთ ძალ-ლონე, რომლებიც ადრე აღმოუჩენიათ.

ახალგაზრდა მწერალი სალიტერატურო ხელოვნებას მაშინ აამალღებს, როდესაც მას საკუთარ ნაოსტატარს შესძენს.

წარმოუდგენელია მწერალმა რამეს მიადნოს, თუ თავდაუზოგავად, ყოველდღიურად არ იმუშავებს სიტყვის სრულყოფისათვის.

2. მჯერა, რომ ახალგაზრდა მწერლისთვის გაზეთში მუშაობა ძალზე სასარგებლოა. ეს სკოლაა, რომელსაც ლიტერატურაში ვერაფერი ვერ შეცვლის.

რას იძლევა გაზეთი? ის გამოუმუშავებს მწერალს ძალზე სასარგებლო ჩვევებს, რო-

მელიც მხატვრული პროზისათვის არის აუცილებელი: ფორმის ლაკონურობას, გამოთქმის სიზუსტეს, ნათელ აზროვნებას.

უკანასკნელ დროს ბევრი რომანი გამოქვეყნდა, რომელთა საერთო ნაკლია გაფანტულობა, მრავალსიტყვაობა, ის, რასაც ლევ ტოლსტოი „კუნთებს“ კი არა და „ქონს“ ეძახდა.

გაზეთი ავითარებს პროზაიკოსის კუნთებს, ის ნებას არ აძლევს მას დამყაყდეს და ერთ ადგილზე გაიყინოს. თუ გაზეთი უკუნთო პროზას ბეჭდავს, ეს უმწიფეს ბრძანებაა! გაზეთი ლიტერატურისაგან, ასე ვთქვათ, სპორტულ ფორმას მოითხოვს. **სიზუსტეა!**

მრავალსიტყვაობა გაზეთის მტერია. ზედმეტი სიტყვა ზედმეტ ადგილს იჭერს და აზრსაც აბუნდოვანებს. გაზეთი მხოლოდ ნათელ ნააზრევს უნდა აქვეყნებდეს. სიტყვის სიზუსტეს მარტო სტილი და კარგი გემოვნება როდი მოითხოვს, არამედ, უწინარეს ყოველისა, აზრის გამოთქმის აუცილებლობაც. სადაც სიტყვათა სიჭარბეა, სადაც დუნეა სიტყვა, იქ აზროვნებაც დაძაბუნებულია. დომხალი არ ეშორჩილება უბრალო, ზუსტ სიტყვებს, როცა პროზაიკოსისათვის შინაარსი ამონურულია, წილადაობილა იწყება.

რუსული ლიტერატურის პირველი დიდი ნასწავლებელი მიხეილ ლომონოსოვი ამბობდა: „ბუნდოვნად წერენ მასზე, რაზეც ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ“. ეს ჭეშმარიტებად ითვლებოდა მე-18 საუკუნეში, ჭეშმარიტებადვე რჩება მე-20 საუკუნეშიც და სამუდამოდაც.

ჩვენმა თანამედროვემ, დიდმა საბჭოთა მწერალმა ალექსეი ტოლსტოიმ ერთხელ განაცხადა: „ენა აზროვნების იარაღია, ენისადმი დაუდევარი მოპყრობა დაუდევარ აზროვნებას ნიშნავს“.

გაზეთი ცხოვრებაზე დაკვირვების სკოლაა. გაზეთისათვის მომუშავე მწერალს სჭირდება მტკიცე, მაგრამ ცოცხალი კავშირი ცხოვრებასთან. მოთხრობას რაღაცაზე, უფრო მეტიც — არაფერზე, გაზეთი არ დაბეჭდავს, მისი გვერდები — დღევანდელია. მაგრამ გაზეთი არ მოელის მწერლისაგან დღევანდელიაობის რეპორტაჟს. ამას რეპორტიორიც მოახერხებს.

მწერალი ვალდებულია — მოკლე მონახაზებით, მკვეთრი მოქმედებებითა და გულში ჩამწვდომად გახსნას თანამედროვე გმირის შინაგანი სამყარო.

გორკიმ თვით გაიარა და სრულად შეიცნო გაზეთში მუშაობის სიძნელენი. მისი მოთხრობები გაზეთისთვისაა დანერგული. ამბობდა კიდეც, გაზეთისთვის მუშაობამ ბევრი რამ მასწავლაო. მოთხრობის გასაოცარი ოსტატი ჩეხოვი წლების მანძილზე გაზეთებში აქვეყნებდა თავის ნაწარმოებებს. მას ვერავინ შეედრება როგორც მცირე მოცულობის მოთხრობების დიდოსტატს, ხოლო როგორც ნოველისტმა მთელ მსოფლიოში მოიპოვა აღიარება.

ჩემი აზრით, ახალგაზრდა მწერალმა თავისი გზა მცირე ფორმის ნაწარმოებებით უნდა დაიწყოს. არ შეიძლება ფეხის ადგმისთანავე ამოღანად დავისახოთ დიდი რომანის, რომანთა ციკლის ან რამდენიმეტომიანი ეპოპეის შექმნა.

მე მესმის, რომ ახალგაზრდა მწერალმაც შეიძლება შექმნას რომანი და ეპოპეა. მას საიმისოდ ძალ-ღონეც აქვს და სურვილიც ერჩის, მოგვითხროს რაც შეიძლება ვრცლად. ტემპერამენტიც პუოფნის და დროც. მაგრამ დიდი ეპიური ფორმა, გმირებისა და სიტყვების სიმრავლე, გაშლილი სივრცე, ტრადიციების ურიცხვი სახეობანი პქმნიან კიდეც ამ შთაბეჭდილებას, თითქოს ავტორის ნება იყოს, ისე მოიქცეს, როგორც მოეპრიანება, — ეს ყველაფერი არასაკმაოდ მტკიცედ გამოუმუშავეებს ახალგაზრდა მწერალს ნაწარმოების ფორმის ნრულყოფის მოთხოვნილებას.

ბევრი ახალგაზრდა მწერლის „დიდ ტილოზე“ გვიფიქრია, რომ ტილო კი დიდია, მაგრამ ჩამოუყალიბებელია კომპოზიცია, რაც თემის გადაწყვეტის აკარგვიანობაში გაგვარკვევს. სუსტია კავშირი გმირებს შორის. ვერ ვგრძნობთ სინათლის ერთიან წყაროს — ყოველ პერსონაჟს, ისევე როგორც კინოგადაღებაზე, საკუთარი იუპიტერი აშუქებს. სიუჟეტის განვითარება არ ეთანხმება მოქმედ პირთა ხასიათებს, ხოლო ფაბულა — მოქმედების განვითარებას. დიდი ტილო დიდ სურათად ვერ იქცა.

დაოსტატება უმჯობესია მოთხრობის წერაში ვცადოთ. აქ ყველაფერი ნათელია — ნაწილების ურთიერთთანაფარდობა, ხასიათებისა და სიუჟეტის ორგანული ნათესაობა. ყოველი ეპიზოდის დანიშნულებაა, ემსახუროს საერთო ჩანაფიქრს, ხოლო ყოველი დეტალი მთელ ნაწარმოებს. და აქ შეიძლება სიტყვის გრძნობაც მკაცრად გამოვიმუშაოთ და თვისებად ვაქციოთ. როცა მოთხრობას წერ, აქეთ-იქით ვერ მიანყდები. მოთხრობისათვის სიტყვები უნდა სძებნო და არჩიო.

რა თქმა უნდა, მოთხრობის სკოლა ყველა ახალგაზრდას ვერ გაუხსნის რომანისტიკის გზას. მაგრამ დარწმუნებული ვარ, ყოველი რომანისტი მეტ სიძლიერეს მიადნევს, თუ

უფრო ჯიუტად ეცდება, მოკლე ნაწარმოების სრულყოფაში დახელოვნდეს, დასაწყისიდანვე რომანზე შეჭიდება მას ვერ გამოუმუშავებს თვისებას, რომელსაც მოთხრობის წერის პრაქტიკა შესძენს.

ლევ ტოლსტოის მსგავსად, მე ვიტყვოდი, რომ „ქონის“ მოკლეობას და „ქუნთების“ განვითარებას მხატვრულ ლიტერატურაში მოთხრობის წერით უფრო მივაღწევთ, ვიდრე რომანისა.

რატომ შევიდნენ ჩეხოვისა და გორკის გაზეთში გამოქვეყნებული მოთხრობები რუსული ლიტერატურის კლასიკურ ფონდში და უსუსურ მოთხრობათა მასაში რატომ არ ჩაიკარგნენ?

ეს იმიტომ, რომ ამ მოთხრობებმა ასახეს რუსული საზოგადოების ცხოვრება, დახატეს ამა თუ იმ კლასის ურთიერთობათა განზოგადებული სურათები საუკუნის ზღურბლებზე, დიახ, ეს უეჭველად ასეა.

მაგრამ უეჭველია ისიც, რომ ისინი დიდმა ტალანტებმა შექმნეს. ჩეხოვი და გორკი გაზეთში რომ აქვეყნებდნენ მოთხრობებს, იოლად როდი უცქერდნენ საკუთარ ხელოვნებას. ისინი არ ამარტივებდნენ საკუთარ ენას, არ ღალატობდნენ სტილს, არ ხატავდნენ არატიპიურ ხასიათებს, არც შაბლონურ სიუჟეტს ჯერდებოდნენ. ყველა ნაწარმოებში ცხოვრებისეული და ხელოვნებისეული სიმართლის ერთგულნი რჩებოდნენ.

ოსტატი ვალდებულია ყოველთვის ოსტატად დარჩეს. არ შეიძლება ყოველთვის ურნალისათვის უკეთესად წერო, ხოლო ყოველკვირეულისათვის ცუდად. არ შეიძლება რომანს მთელი ნიჭიერება ჩააქსოვო, ნარკვევსა და საგაზეთო სტატიას კი შედარებით ნაკლები.

სამწერლო დაოსტატება მარტო ერთ ჟანრში არ უნდა ვცადოთ. კარგად უნდა ვიცოდეთ, კალმის აღებისთანავე პასუხს რომ ვაგებთ საკუთარი ხელოვნებისათვის. თუ კაცი საგაზეთო ნარკვევის, სტატიის, რეცენზიის ანდა ამხანაგისადმი მიწერილი ბარათის შეთხზვისას ხელოსანია, იგი ვერასოდეს ვაბდება მოთხრობის ან რომანის ოსტატი.

მწერალმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა აუკრძალოს საკუთარ თავს „როგორღაც“ წერა.

ეს ისევე აუცილებელი მოთხოვნაა, როგორც წერა-კითხვის ცოდნა. თქვენ ხომ არ ცდილობთ მწერალთა კავშირის მისამართით დაწერილი განცხადება უშეცდომოდ დაწეროთ, ხოლო საბინაო სამმართველოს სახელზე — შეცდომებით. სკოლაში ფიზიკის წერით ნამუშევარში ისევე უკლებენ ნიშანს გრამატიკული შეცდომებისათვის, როგორც ლიტერატურაში და სამართლიანადაც, სხვანაირად მოსწავლე ვერ ისწავლის წერა-კითხვას.

რატომ უგულვებელყოფს ბევრი ახალგაზრდა ლიტერატორი ენის როლს, როცა გაზეთში აქვეყნებს საკუთარ ნაწარმოებს. როდისღა დაუფლება ის ოსტატობას? ხუთუ მხოლოდ მაშინ, როცა ეპოპეის წერას შეუდგება?

მწერლის მიმართ ნაყენებულ ამ მოთხოვნას უნდა ეყრდნობოდეს მისი პოზიცია გაზეთში მუშაობის დროს.

არ არსებობს „დაბალი ჟანრი“, არსებობს მხოლოდ მდარე დამოკიდებულება ჟანრისადმი. ეს დამოკიდებულება წარმოიშობა იმ ლიტერატორთა წყალობით, რომლებიც საკუთარ ღირსებად არ მიიჩნევენ, ყოველთვის ერთნაირი გატაცებით და დაძაბვით იმუშაონ.

გაზეთისთვისაც მთელი ძალ-ლონით, ლიტერატურის შინაგანი მოწოდებით უნდა ვწერდეთ.

3. ხშირად ამბობენ — მწერალზე გაზეთი „მაყენ“ და „დამლუპველ“ გავლენას ახდენსო.

მაგრამ განა მწერალი ვალდებულია გაიმეოროს გაზეთის შეცდომა ან ნაკლოვანება? ვინ დაადგინა ეს? გასაგებია, რომ ბევრ რეპორტიორს პროფესიონალიზმი შაბლონის საყოველთაოდ მიღებულ ჩვევათა განმეორება ჰგონია, მაგრამ მე იმისათვის როდი ვლაპარაკობ, მწერალს შაბლონისაკენ მიდრეკილება გავუძლიერო.

მხატვრის ინდივიდუალობის განვითარება, განსაკუთრებით სიტყვასთან მისი დამოკიდებულება — ლვლარწნილობისა და შეცდომების გვერდის აქცევას და, აქედან გამომდინარე, საგაზეთო მეტყველების საერთო დონის ამაღლებას ნიშნავს.

თუ მწერალი იმეორებს საგაზეთო მეტყველების შეცდომებს, იგი ცდილობს თავი გაი-

მართლოს, ჩემზე გამხრწნელად მოქმედებს გაზეთში მუშაობაო მაგრამ წერა ისე უნდა შევიძლოთ, რომ ჩვენი ენა მოქმედებდეს გაზეთისაზე და არა ისე, რომ წაბრუნდეს თავი ვიმართლოთ: რითაა ჩემი ენა ცუდი, ის ხომ მხატვრული ლიტერატურითა და სახიფო-სებული.

ჩვენში კი ხშირად ისე წერენ, რომ ვერ მიხვდები, რეპორტაჟს ^{კვლევას} მოთ-ხრობას.

გაზეთს არ შეუძლია ყოველთვის იმეტყველოს ცოცხალი და ხატოვანი ენით. საკანცე-ლარიო და საუწყებო ტერმინები იჭრება გაზეთში, აღიქმება მისგან და მის ენად იქ-ცევა.

საინტერესოა, მაგალითად, როგორ თანდათანობით დაექვემდებარა გაზეთი მრავლო-ბითი რიცხვის ხმარებას იმ შემთხვევაში, როცა ეს რუსული ენის ბუნებას ეწინააღმდეგება.

წერენ: „ბრალდებულთ მიეცათ უკანასკნელი სიტყვების წარმოთქმის უფლება“, მაგ-რამ რომელი სასამართლო დაუშვებს, რომ მის წინაშე ბრალდებულები „უკანასკნელი სი-ტყვებით“ ილანდებოდნენ? მათ მხოლოდ და მხოლოდ საბოლოო სიტყვის თქმის უფლება აქვთ.

წერენ: „ბრძანებით გამოეცხადოთ მადლობები“, მაგრამ მადლობები და მადლობა სხვადასხვა რამაა. ჩვენ ვამბობთ, რომ პირმოთხე ხელქვეითი „მადლობებად დაიღვარა“ უფროსის წინაშე. მაგრამ ჩვენვე ვამბობთ, რომ ათ თანამშრომელს „მადლობა გამოუცხადა“ უფროსმა.

შესაძლოა გაზეთს საუწყებო ენის წინაშე მოვალეობად მიაჩნდეს წეროს: „ქარხანა მცირესაწარმოო სიმძლავრეებს ფლობს“, მაგრამ მწერალი არაა ვალდებული ასე წეროს. და თუ ის გაზეთის ნაბაძვით იმეორებს: „კოლმეურნეობამ მიაღწია ნათესი ფართობის გადიდებას“, ეს ნიშნავს, რომ მისთვის სულერთია, როგორ ჭლერს სიტყვა.

შეიძლებოდა მოგვეტანა ენობრივ შეცდომათა კიდევ ბევრი მაგალითი, რომელიც სადმე, კანცელარიის წიაღში კი არა, არამედ თვით გაზეთების რედაქციებში იშვინენ. „კულტურა ი ჟიზნმა“ გამოაქვეყნა ერთი პერიოდული გამოცემის მუშაობის მიმოხილვა, სიტყვა „მა-სალამ“ დაკარგა ამ მიმოხილვაში საკუთარი განმარტებადებული მნიშვნელობა და იქცა „ნივთის“ სინონიმად; აი, როგორ შეტყვევლებს გაზეთი.

„...დაბეჭდილია საკდესისა და საკუთარი კორესპონდენტების 4330 მასალა“: ნუთუ ამ მიმოხილვის ავტორი და რედაქცია სერიოზულად ფიქრობენ, რომ მართებულია დაიბეჭ-დოს: ერთ მასალაზე უარი თქვას, ხოლო ხუთი მიიღეს? ვაი, რომ გაზეთებმა თითქმის დაა-კანონეს ასეთი მახინჯი გამოთქმები.

ასეთი შეცდომები გაზეთში ორმხრივ შეცოდებათა წყალობაა: მწერალი უდარდელად უყურებს გაზეთის შეცდომებს, ხოლო გაზეთი მწერლისას.

ამას წინათ ერთ ჩემს სტატიაში, „ნოვოე ვრემიამ“ რომ გამოაქვეყნა, რედაქციამ სიტყვა „ჩაყლაპვა“ შეცვალა სიტყვით „შესანსლა“. მახრჩობელა გველი, რედაქციის აზრით, კი არ ყლაპავს ნადავლს, არამედ „სანსლავს“. გამოქვეყნებული სტატია ვადავიკითხე, ეს „შესწორება“ აღმოვაჩინე, გავცხარდი, მაგრამ ხელი ჩავიქნიე. სწორად მოვიქცე თუ არა? რა თქმა უნდა, არა. რადგან რედაქტორი ალბათ დარწმუნებულია, რომ „შესანსვლა“ უფრო სწორია და, მისი ფიქრით, კეთილი სამსახური გაუწია როგორც მწერალს, ისე მკითხველს.

„ლიტერატურნაია გაზეტაში“ დაიბეჭდა ალექსანდრე ჩაკოვსკის სტატია, რომელშიც ასეთ ფრაზას წავანყდი: „ხიდი მდინარით გაყოფილი ქალაქის ორ ნახევარს აერთებდაო...“ სწორად მოიქცა თუ არა „ლიტერატურნაია გაზეტა“, როცა გამოთქმა „ორი ნახევარი არ შეასწორა? ვფიქრობთ, რომ არა. მე მგონი, ჩაკოვსკი ამის შემდეგ არ დანერს“ სამ ნახე-ვარს“, მაგრამ გაზეთმა მას მხარი დაუჭირა, ასე რომ, „ორი ნახევარი“, ღმერთო შეგცო-დე და, მწერლის წიგნშიაც შეიძლება შევიდეს.

სიტყვას ჩვენ ძალიან დიდ მოთხოვნას ვუყენებთ და არ შეიძლება შეცდომები ვინმეს ვაპატიოთ და მიზეზად გაზეთის სისუსტე დავიმოწმოთ.

4. ბოლო დროს ჩვენი კრიტიკა ხშირად აღნიშნავს, რომ მხატვრულ ნაწარმოებთა ენა დაანაგვიანა კუთხურმა სიტყვებმა და გამოთქმებმა. მწერალს რომ რუსული ენის სინძინ-დის დაცვა მოვთხოვოთ, სამართლიანია. ოღონდ პედანტიზმს უნდა ვერიდოთ.

მახსენდება ალექსეი მაქსიმეს ძე გორკისთან ჩემი ერთადერთი საუბარი ამ ოცდაათი

წლის წინათ. მას ის-ის იყო დაემთავრებინა ახალგაზრდა მწერალთა მოთხოვნების კითხვა, ხელნაწერთა გადასინჯვისას ერთი მათგანი გადაშალა და მკითხა: „რატომ წერენ გაუგებარი ენით? რას ნიშნავს „სკლიანი?“ ან „შირკუნოვი?“ ალბათ ხელსაწყოა ან ჩიტი. ეს ენა კი არა, ბგერათა განწეობებაა. მისი სხვა ენაზე თარგმნა შეუძლებელია. არც ერთ მთარგმნელს ეს არ ხელეწიფება...“

ჩვენ კარგად ვიცნობთ ლენინის ჩანაწერს „რუსული ენის სინმინდის შესახებ“, რომელშიც ის ილაშქრებს აუცილებლობის გარეშე უცხო სიტყვათა ხმარებას წინააღმდეგ, მაგრამ ზოგიერთი კუთხური გამოთქმა ისევე უცნაურად ჟღერს და გაუგებარია, როგორც უცხო სიტყვები.

სტატიებში ენის შესახებ გორკიმაც ნათლად გამოხატა თავისი დამოკიდებულება გაუგებარი კუთხური გამოთქმების მიმართ და მის შეხედულებას მთელი საბჭოთა ლიტერატურა იზიარებს.

კუთხური სიტყვების მოჭარბებას რომ ვაკრიტიკებთ, უკიდურესობაში არ უნდა გადავვარდეთ და მხატვრისაგან რაღაც სტერილური ლიტერატურული ენა არ უნდა მოვითხოვოთ.

არსებითად, სიტყვა თავისი წარმოშობით დავალებულია ჩვენი ენის ისტორიულად ჩამოყალიბებული სამშობლოს ამა თუ იმ კუთხესა ან მხარეზე. უკვე დიდად განვითარებული ლიტერატურული ენის პირობებშიც, ვთქვათ მე-19 საუკუნეში, პუშკინის შემდგომ, საერთო რუსული სიტყვარი უხვად შეივსო კუთხური მასალით. სადღაც რუსეთის წიაღში მარჯვედ წარმოთქმული სიტყვა ვრცელდებოდა, საერთო აღიარებას ჰპოვებდა, საყოველთაოდ იხმარებოდა და ადგილობრივ ელფერს ჰკარგავდა.

აი თვალსაჩინო მაგალითი:

ასი წლის წინ ტურგენევიცა თავის „ბუჟინის მდელოში“ აუცილებლობად მიიჩნია სიტყვა „შარიშური“ ბრჭყალებში მოექცია და, წარმთიედგინეთ, განმარტებაც დაერთო: „როგორც ჩვენში იტყვიანო“, ესე იგი, ჩვენს მხარეში, ორლოვის გუბერნიაშიო. „ლეღი გათაფთავდებოდა და შარიშურობდა, როგორც ჩვენში იტყვიან“.

ჩანს, მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში „ლიტერატურულ ენაში ჯერ კიდევ არ იყო მიღებული საერთო სახმარებლად გამოთქმა „ლეღი შარიშურობდა“, მაგრამ შემდგომში და ჩვენს დროშიც არც ერთ პოეტს, მწერალსა და საერთოდ არავის აზრად არ მოუვა სიტყვა „შარიშური“ ბრჭყალებში მოაქციოს, მიაკუთვნოს იგი კუთხურ მეტყველებას. მას დაბეჯითებით წარმოითქვამს ყოველი რუსი. აღსანიშნავია, რომ სიტყვა „შარიშურის“ ხმარების ფრაზეოლოგიური მაგალითი რომ მოჰყავს, განმარტებით ლექსიკონში უშაკოვი მიუთითებს ფაადევეზე: „ისმოდა, როგორ შარიშურობდნენ ლუმელს იქით აბანოს ჭიები“.

ფაადევის ლიტერატურული ენა სათავეს იღებდა შორეულ აღმოსავლეთისა ცოცხალ რუსულ მეტყველებაში, მაგრამ რაკი სიტყვა „შარიშური“ ახლა ორლოვის ოლქიდან შორეულ აღმოსავლეთამდე იხმარება (და იხმარება, აგრეთვე მურმანსკიდან ასტრახანამდე, გადაჭიმულ სივრცეზე) და რაკი ის მთელი საუკუნე, ცოცხლობს რუსულ ლიტერატურაში, ტურგენევიდან მოყოლებული ფაადევიამდე, ეს ნიშნავს, რომ მას დაუკარგავს ადგილობრივი კოლორიტი, რომელიც ტურგენევის ახალგაზრდობისას ჰქონდა.

ქვეყნის ერთ რომელიმე მხარეში აღმოცენებულ სიტყვებს საკმარისი უფლება ექნებათ საყოველთაოდ სახმარებელი გახდნენ და დაკარგონ მხოლოდღა კუთხურის შინაარსი, თუ მათ მიერ აღნიშნულ ცნებას არ გააჩნია უფრო მოსწრებული და განმსაზღვრელი შესატყვისი, თუ ის გასაგებია და კარგადაც ჟღერს.

ლიტერატურაში კუთხური გამოთქმების წინააღმდეგ ბრძოლა ნიშნავს — მწერალმა არ დაანაგვიანოს ენა კუთხური სიტყვებით, რა მიზნითაც არ უნდა აკეთებდეს ამას. მაგრამ ეს მოთხოვნა სრულიადაც არ ეწინააღმდეგება იმ კუთხურ სიტყვათა შემოტანას, რომელთა შეცვლაც ძნელია ან საერთოდ შეუძლებელია ლიტერატურული სიტყვებით. მაშინ ის მარჯვედაც გამოიყენება და ენის გამდიდრებას ემსახურება.

ჩემი აზრით, მწერალს არ სჭირდება ავტორისეულ მეტყველებაში შეცვალოს, მაგალითად, საყოველთაო რუსული სიტყვა „სოსეა“ ქვემო-ვოლგისპირული, სამხრეთ-აღმოსავლური სიტყვით „შაბერ“. მაგრამ ოდესღაც კუთხურმა სიტყვამ — „ბურლაკმა“ კარგა ხანია მოიპოვა მოქალაქეობრიობა და დღეს ყოველდღიურ მეტყველებასა და ლიტერატურაშიაც მას ვერაფრით ვერ შევცვლით.

მაშასადამე, მწერლის ლექსიკონის შევსება დიახაც გამართლებულია, თუ სიტყვათა

შერჩევა კუთხური მეტყველების მარაგიდან აუცილებელია და თანაც სასარგებლო ერთიანი ეროვნული რუსული ლიტერატურისათვის.

5. რად უნდა დავეუფლოთ მაღალ ლიტერატურულ ტექნიკას? იმისათვის ხომ არა, რომ დავფართოთ აზრის უსუსურობა და ცოდნის სიღარიბე? რაღა თქმა უნდა, არა.

აზრისა და ცოდნის უკეთ გამოხატვა მოითხოვს ფორმის ანუ, *კრეატიუიტი* კონსტატობის სიმდიდრეს.

ოსტატობა ცხოვრებისეული სიმართლის გადმოცემის ხელოვნებაა. არ უნდა ვიფიქროთ, რომ თუკი მწერალი ფლობს საუკეთესო ტექნიკას, მის მიერ აღწერილი სიცრუე სიმართლედ გადაიქცევა. სიცრუე სიცრუედვე რჩება და მის წინაშე უძლეურია როგორც ოსტატი, ასევე ქარგალი.

თუ ოსტატობა ღრმა შინაარსს არ გამოხატავს, მაშასადამე, ის სიცრუეა, აი ეს არის სწორედ ფორმალისმი, ფუყე გარსი, რომელიც სერიოზულ შინაგან აზრსაა მოკლებული, ესაა ტექნიკა ტექნიკისათვის.

დიდოსტატობა იძლევა საშუალებას ღრმად და მრავალმხრივად გაიხსნას გმირის სულიერი სამყარო. სიტყვის სიმართლე და მომხიბვლელობა, ფორმის შემადგენელი ელემენტების ურთიერთშეწყობა შთაბეჭდავად და ძლიერად მოქმედებს მკითხველის წარმოსახვასა და სულზე. მაგრამ მხოლოდღა მარჯვედ მოხმობილი სიტყვა, მისი გარეგნული ვირტუოზობა სულზე მომაკვდინებლად მოქმედებს.

ალექსეი ტოლსტოიმ მწერალთა საკავშირო ყრილობაზე „სიტყვასთან შამანური დამოკიდებულება“ უწოდა იმ ავადმყოფობას, რომელიც მწერლებმა გადაიტანეს დეკადანსის დროს. და სამართლიანადაც.

საბჭოთა მწერალთა უფროსი თაობის ერთი ნაწილი და მაც შორის მცტ ახალგაზრდობაში ასე თუ ისე განვიცდიდით დეკადანსის გავლენას, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ ჯერ კიდევ ლაყავდა სულს.

ტოლსტოის გამოთქმას ადვილად ჩაწვდებით, თუ გავიხსენებთ ანდრეი ბელის ლექსებს. ბელი ენას ისე ემორჩილებოდა, როგორც შამანი ეძლევა თვითაღზნებას. ენა მისთვის პირველქმნილი ფენომენი იყო, რომელიც თითქოსდა ფიზიოლოგიურად ცოცხლობს. ესაა გლოსის სტიქია და ბელიც თავის ნაწარმოებებს გლოსოლალიებს¹ უწოდებდა. ფრაზის ტალღა მიატივტივებდა ბელის აზრებს, რომლებიც მით უფრო ბუნჯოვანი ხდებოდა, რაც უფრო მოქნილი და ჭირვეული იყო სიტყვა:

«Так звуки слова — «Дар Валдая»
Балды над партою балтая,
Переболтают в дарвадай».

ასეთი სტრიქონებია ბელის პოემაში „პირველი პაემანი“.

„დარვალდაიმ“ ხელი შეუშალა ანდრეი ბელის ნათლად გამოეთქვა თავისი პუნდოვანი, დრომოჭმული, მისტიური მსოფლმხედველობა და ამიტომ ჩვენს მწერლობაში ის ძველ შამანად დარჩა.

თვითმიზნურად ნახმარი სიტყვა. ბოლოს და ბოლოს უაზრობაა, ისევე როგორც უაზრობაა ყველა მოწყობილობა, თუ სასარგებლო არ არის.

იარაღი ჩვენს სამუშაოს ემსახურება. აზრს მისდევს სიტყვა იმისათვის, რათა გამოხატოს იგი და ადამიანებს გადასცეს.

ნამდვილი ოსტატობა არ აბუნდოვანებს ნააზრევს, პირიქით, ამჟღავნებს მას, როგორც ქიმიური რეაქტივი შუქმგრძნობიარე ფირფიტას.

ოსტატობისათვის აქ იბადება მუშა ანუ ტექნიკური საშუალება ნაწარმოების ღირებულების შესამონმებლად. თუ ფორმაში შეცდომებია, მაშინ შეცდომები შინაარსშია საძიებელი. თუ მხატვრის გემოვნება ეწინააღმდეგება რომანში სიკვდილის ასახვას, მაშინ არავინ მომკვდარა, ესე იგი ავტორმა ვერ შეიცნო სიკვდილი, როგორც მხატვარმა ვერ განიცადა იგი.

თუ არა ვჯერა სურათზე ასახული მზის ჩასვლა, მაშასადამე, მზეც არ ჩასულა.

¹ გლოსოლალია - ექსტაზში უაზრო სიტყვების წარმოთქმა.

ამით ის მინდა ვთქვა, რომ ცხოვრებისეული სიძარტლის შემეცნება მხატვარს უბიძგებს გამოსახვის სიძარტლეს მიაღწიოს, რაც განაპირობებს პარმონიას მათ შორის. ოსტატს შეუძლია ამ პარმონიით შეამონმოს თხზულების ღირებულება. ასეთი შემონამები-სათვის მარტო ტალანტი არა კმარა, საჭიროა კულტურაც, ცოდნაც, გამოცდილებაც.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ცნება „ოსტატი“ არც ტიტულია, არც წოდება, არც ლიტერატურის ოსტატი, რომ გახდება, მწერალმა არ უნდა შეწყვიტოს დახელოვნება კულტურას საზღვარი არ გააჩნია.

სტატიაში „შექსპირი, როგორც დრამატურგი“ ვოლფგანგ გოეთე ამბობდა: „ყველაფერი არაა შესანიშნავი, რაც შესანიშნავ ოსტატს გაუკეთებია“.

უეჭველია, დიდოსტატებიც სცდებოდნენ, მაგრამ ისინი დიდოსტატები გახდნენ იმიტომ, რომ მთელი სიცოცხლის განმავლობაში ებრძოდნენ საკუთარ შეცდომებს.

ოსტატობის დაუფლება, რა თქმა უნდა, იოლი არაა. ჩეხოვი ერთ წერილში წერდა: „რაც უფრო ვარგია ნაწარმოები, მით უფრო თვალში საცემია მისი ნაკლოვანებანი და მით უფრო ძნელია მათი გასწორება“. დიდი მწერლების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ოსტატს შრომა თანდათანობით კი არ უიოლდება, არამედ უფრო უძნელდება.

მაგრამ ასეთი შრომა მარტო ტანჯვა კი არა, სიამოვნება და ნამდვილი სიხარულია.

6. საჭიროა შრომა ჩვეულებად, მოთხოვნისადაც გადავაქციოთ. მოთხოვნის დაკმაყოფილება შრომით — ეს ანაზღაურებს „ტანჯვას სიტყვისათვის“, რომელზედაც ასე ბევრს ლაპარაკობენ და რომელსაც ვარგად გრძნობს მწერალი.

გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში რამდენიმე წელს ვხელმძღვანელობდი პროზის სემინარებს. დიდხანს ვაკვირდებოდი ნიჭიერი ახალგაზრდების მუშაობას და შევამჩნიე, რომ, როგორც წესი, წარმატებას აღწევდნენ ისინი, ვინც ძნელად წერდა და არა ისინი, ვინც ადვილად მუშაობდა:

ეს შეიძლება იოლად აიხსნას: ვინც ესწრაფვის მწერლის საქმიანობისათვის დამახასიათებელ სიძნელეთა გადალახვას, მას, ბუნებრივია, უფრო უძნელდება, ვიდრე იმას, ვინაც ცდილობს სიძნელეებს გვერდი აუქციოს. ბოლოს და ბოლოს მას, ვინც ძნელად წერს, უმუშავდება კიდევ შეუდარებლად მაღალი მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი, ვიდრე იმას, ვინც იოლად წერს. თანდათანობით ყალიბდება ორი ტიპი: ტიპი ღრმად და ტიპი ზედაპირულად მოაზროვნე ავტორებისა.

აი, რატომაა აუცილებელი ახალგაზრდა შემოქმედს პირველი ნაბიჯებიდანვე მოვთხოვოთ, რომ მათი შრომა იყოს უფრო ხარისხიანი და არავითარ შემთხვევაში ვრცელი.

უმჯობესია ცოტა წერონ, მაგრამ წერონ ვარგად. რჩევას ყველა არ მისდევს, მაგრამ ვინც მისდევს, მალე რწმუნდება, რომ იგი სიძარტლეა.

ძალზე მახარებს, რომ სემინარზე სერიოზულად და ჯიუტად მომუშავე სტუდენტები ახლაც წარმატებით მუშაობენ. ნიკოლოზ ევდოკიმოვი, ბორის ბედნიმ, იური ტრიფონოვი, ელიზარ მალცევი და სხვებმა ლიტერატურული სტაფი ომის შემდგომ წლებში დააგროვეს. პირველი ცხოვრებისეული გამოცდილებაც იმ წლებში შეიძინეს. დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებელი, დაიწყეს ჟურნალებში ბეჭდვა, მოიპოვეს მკითხველთა აღიარება. მათ ჩვენმა ქვეყანამ გადაუშალა დიდი და ნათელი მომავალი. ეს ბევრს ნიშნავს, და აი, ახლა, სასიხარულო წარმატებებს რომ აღწევენ, ჩვენს ახალგაზრდა მეგობრებს უნდა ვუთხრათ, რომ ხალხის მაღალი შეფასება ჯერ კიდევ არ ნიშნავს წარმატებების აპოგეას.

იური ტრიფონოვის „სტუდენტები“ დაწერილია ვარგად, მაგრამ ავტორს შეეძლო უკეთესად დაეწერა იგი, მას შეუძლია შესანიშნავად ჯიუტად და აღმაფრენით იმუშაოს. ის ვარგად იცნობს დაუკმაყოფილებლობის გრძნობას. სტუდენტის მერხზე კარგ მოთხრობებს წერდა, მაგრამ ეს არ აკმაყოფილებდა. ტრიფონოვს მუშაობა არ ეზარება. მისი ამოცანაა განავითაროს და უფრო მეტად გამოიმუშაოს შრომისადმი პატივისცემა და სიყვარული, ახლა მას მეტი მოუახლოვება და ვალდებულებაცაა ოსტატობა აიმაღლოს.

ელიზარ მალცევი უკვე ორი რომანი გამოაქვეყნა. პირველის წერა ლიტერატურის ინსტიტუტში დაიწყო. მეორე რომანმა — „მთელი გულით“ — დიდი პოპულარობა მოიპოვა, რაც უპირველესად განაპირობა თემის თანადროულობამ, ამასთან საკოლმეურნეო ცხოვრების ზოგიერთი მხარის ცოცხლად დახატვამ. მაგრამ მალცევის მეორე რომანის ზოგი ადგილი სუსტადაა დაწერილი, უფრო სუსტად, ვიდრე პირველი რომანი, სუსტია ეს რომანი იმ მოთხრობებთან შედარებითაც, რომლებსაც იგი სემინარებზე კითხულობდა მალცევი

კარგ მოთხრობებსაც წერს, შეუძლია მიაღწიოს შეკუმშულ გამომსახველობას, სწორად ააგოს სიუჟეტი, მაგრამ ზედმეტად იტაცებს სიტყვა, არ არჩევს მათ შებენად, უყვარს სიტყვით თავის მოწონება. მისი რომანები უთანაბროდაა დაწერილი, ბევრი თვითი გაჭიანურებულია და ფერწერის მაგიერ შეფერადებას ეღებულობთ. ახლა ავტორმა მუშაობა კი არ უნდა გაატოლოს, არამედ მთელი თავისი შესაძლებლობანი დასტურებში — ერთ კალაპოტში მოაქციოს, რათა უფრო განავითაროს და სრულყოს საკუთარ — მსტიქებს — შე მხედველობაში მათეს, რა თქმა უნდა, მარტო წერის ტექნიკა კი არა, არამედ მწერლური მოღვაწეობის სხვადასხვა ასპექტი და, უწინარეს ყოვლისა, ცხოვრების შესწავლა.

ლიტერატურის ინსტიტუტის ერთმა სტუდენტმა, რომელიც ვოლგა-დონის არხის მშენებლობაზე გაგზავნა ჟურნალმა „სმენამ“, ამას წინათ წერილი გამომიგზავნა. ის წერდა:

„...წარსულში, მგონი, დავუშვი შეცდომა, რომელიც მწერლებს სჩვევიათ: არ ვიცნობთ რა ცხოვრებას, ჩვენ მიგვაჩნია, რომ არ ვიცნობთ რომელიმე კოლმეურნეობას, მშენებლობას; არ ვიცნობთ ზოგადად ადამიანებს და გვგონია კი, რომ არ ვიცნობთ კონკრეტულად ამა თუ იმ ფენას: კოლმეურნეებს, მშენებლებს, ასე გენამს და ჩვენც იმის მაგიერ, რომ ვიფიქროთ ადამიანებზე, ირგვლივ რომ გვახვევია, და ცხოვრებაზე, რომელსაც ვერსად ვერ გავექცევით, მიზნად ვისახავთ ზევისწავლათ კონკრეტული კოლმეურნეობა ან მშენებლობა და მივდივართ იქ უმეტესად იმ მიზნით, რათა გავთავისუფლდეთ ცხოვრებაზე ფიქრისაგან, თანაც გვგონია, რომ ნანახი შეცვლის ნაფიქრალს.“

ვცდილობ ამ შეცდომის გამოსწორებას, მაგრამ ვაი, რომ სიზარმაცისა თუ უსაქმურობის გამო ხოგჯერ ისევ ვცდები, ვიფიქრებ ამ ჩემს წესს, თვალეზგაფართოებულ ალტაცებით ვიყურები ირგვლივ და აღარა ვფიქრობ“.

ასეთი წერილი კარგად ახასიათებს მაძიებელ გონებას. ამ ბარათში სიმართლევცაა და შეცდომაც.

შეცდომაა, როცა მწერალს მგონია, რომ ფიქრით ცვლის ცხოვრების შეცნობას. ეს არაა სწორი. ნამდვილი სასარგებლო ფიქრი მხოლოდ ცხოვრების შემეცნების შედეგია. ცხოვრების გაგება შეუძლებელია ისე, თუ მას არ შეისწავლი.

წერილის სიმართლე ისაა, რომ არ შეიძლება ცხოვრება ნაწილ-ნაწილ შეისწავლო და ამით დაკმაყოფილდე. ცხოვრებაზე დაკვირვება და მასზე ფიქრი ნიშნავს შეგეძლოს დანახო კერძო, არასოდეს არ გამოგრჩეს ზოგადი და კანონზომიერისაგან განასხვავო შემთხვევითი.

და კიდევ წერილის ერთი სიმართლე: ისეთ მშენებლობაზე ყოფნისას, როგორც ვოლგა-დონია, მართლაც შეუძლებელია ზოგჯერ არ დაგაფიქრდეს ჩვენი ცხოვრების რთული, დიდი პროცესის განზოგადებული ამოცანები და არ გაგიტაცოს უბრალო მშრომელმა გმირმა, რომელიც თავდავიწყებით ეძლევა თავის საქმეს და აზრადაც არ მოსდის, რომ მისი შრომა გმირობაა!

მე მგონია, ეს ახლანდელი სტუდენტი და ხვალინდელი ახალგაზრდა საბჭოთა მწერალი სწორ გზას ადგას: სწავლობს ცხოვრებას, ხარბად აკვირდება მას და ესმის, რომ ესაა მთავარი პირობა მწერლის ოსტატობის დაუფლებისა.

სხვა ახალგაზრდა მწერლებსაც ვუსურვებ თავისი საქმისადმი ასეთ გულითად დამოკიდებულებას.





ინგლისურიდან

თარგმნა ნიკოლოზ კანჭოვანიძე

სამი ინდოეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის ერთ-ერთი პატარა, ლამაზი კუთხეა, სადაც დღეს ხუთ მილიონამდე ადამიანი ცხოვრობს. უწინ ამ ადგილს პრაგჯიოტიშას უწოდებდნენ, ხოლო მეხუთე საუკუნეში იგი ძღვევამოსილი ინდო-არიული სახელმწიფოს — კამარუპას ნაწილს შეადგენდა.

ასამელი მეცნიერის პემ ბარუას აზრით ძველი ასამური ლიტერატურა (რომელიც სანსკრიტზე იქმნებოდა), გარდა კამარუპას დიდაქტიკური აფორიზმებისა, ძირითადად ლირიკულ-პასტორალურ ხასიათს ატარებდა. დღეს ახალ, მრავალეროვან და მრავალსახოვან ინდურ ლიტერატურებს შორის ასამური ერთ-ერთი ნამყვანი და თვითმყობადი ლიტერატურაა.

ჩვენ შევეცადეთ, საბჭოთა და ინგლისურენოვანი ინდური წყაროების საფუძველზე, ქართველი მკითხველისათვის ძალზე ზოგადი წარმოდგენა მაინც შეგვექმნა, თანამედროვე ასამური პოეზიის ბრწყინვალე წარმომადგენლის ნავაკანტა ბარუას (1920) პოეტურ შემოქმედებაზე.

ჯერ კიდევ 1950 წელს დიდი გამოხმაურება გამოიწვია ნავაკანტა ბარუას ლექსების პირველმა კრებულმა, რომელიც სულ 16 ლექსს შეიცავდა. ინდოელი მეცნიერების აზრით ნავაკანტა ბარუას ლექსებმა თანამედროვე ასამურ პოეზიას ახალი მიმართულება მისცა. აქვე უნდა ითქვას, რომ ისევე როგორც ყველა ახალი ინდური ლიტერატურების, მათ შორის ასამურის, მისი თანამედროვე, ახლებური ფორმის ჩამოყალიბებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა დასავლეთის ქვეყნების ნამყვანმა ლიტერატურებმა. მაგრამ ყველა ამგვარმა ზეგავლენამ, რა თქმა უნდა, გაიარა ინდური, ეროვნული პრიზმები და ინდური ლიტერატურის განუყოფელ ნაწილად იქცა. ამ მხრივ არც ასამელი ნავაკანტა ბარუას პოეზიაა გამონაკლისი, რომლის ლექსებშიც მკვლევარების აზრით განსაკუთრებით შეინიშნება თომას ელიოტის შემოქმედების რემინისცენციები, მეტწილად 50-იან-60-იან წლებში შექმნილ ვერლიბრებსში, რომელთა რამდენიმე ნიმუშსაც ვთავაზობთ მკითხველს.

ნავაქანტა ბარუა

ღამურები



გრძელი დახლების ლავგარდანებზე
 თავდაყირა დაკიდებულან შავი ღამურები —
 მშვიდი, ჩუმი და უწყინარნი —
 არცა რად აგდებენ
 მოელვარე ყვითელ ყვავილებს,
 და ვეება ქვაბივით ჩაღრმავებულ ცის ფონზე
 ისე მოსჩანან, ვით საშოში ბრმა ემბრიონნი,
 და რას ხედავენ:
 იისფერ ცაზე დედამინა დაკიდებულა
 და ხეები გრძელი ფესვებით
 მიწას მკერდში ჩასჭიდებიან და კენწეროებით აპობენ ზეცას.
 მკერდგაღელვლილი თეთრი ქალები
 სანოლში ნოქტურნული განწყობილებით
 უქმად ჰკარგავენ სიესტის¹ წუთებს.
 ჩვენ, ბიჭებსაც გვხედავდნენ ღამურები,
 როგორ ვქაჩავდით თავდაყირა
 ფრანის გრძელ ბანარს,
 როგორც საეჭვო კითხვის ნიშანს დაკლაკნილს ცაში.
 როცა დაღამდა, ზანტად აფრინდნენ ღამურები
 და ისევ სწორად დადგნენ შავი ხეები,
 რომელიღაც ქალი ვარდისფერ ჰოლში
 ელოდებოდა სანუკვარ წამებს.
 ჩვენ კი, ბიჭები —
 ფრანის გრძელ ბანარს
 კოჭაზე ნელა, ნელა ვახვევდით,
 თან შიშისაგან ისე ვკრთოდით, თითქოს სადღაც გასკდა
 ყუმბარა
 და შეშფოთებული თვალის გუგუბიც გაგვიფართოვდა.
 ცა?!
 ნეტავი როდის გაჩნდა იგი ჩვენს მაღლა?..
 და არც სიმღერა წყდებოდა როცა
 ერთიმეორეს ვახტებოდით ზურგზე ბიჭები,
 თუმცა ზოგი მათგანი სადღაც ისე გარბოდა,
 თითქოს დაჰკრაო ძლიერმა დენმა,
 ანდა ჩხრიალით საიქიოს მოსდევდათ ჭინკა.
 და მერე ცა
 როცა ისევ გადაწვა და გადაიშალა

¹ სიესტა — შუადღის შესვენების საათები სამხრეთ ქვეყნებში.

და მწვერვალებმა კვლავ დაუწყეს ცისიერს ჩხვლეტა.
 ბნელი ზესკნელი აყირავდა. გაიპო შუაზე,
 და დაემსგავსა დაუნდობელ ჯადოქრულ ქვესკნელს,
 რომ თვით სიკვდილიც დაამსხვრიოს დედამინაზე



მეტივერის
 ბიზლირის

* * *

მუზეუმში
 ქვის ქანდაკება
 ნაცრისფერ მკერდით მძიმედ სუნთქავდა
 და თან გოდებდა:
 ღვთის დამარცხებამ
 ადამიანს ადინა ცრემლი.

* * *

ვისხედით ნავში
 ორნი,
 განგა დუდუნებდა
 და შორ ნაპირზე ძველ სასაფლაოს ანათებდა ფერმკრთალი
 მთვარე.

თუმცა სიტყვები აღარ გვესმოდა
 თეთრი ტალღების შხუილში და ქარის ქროლვაში
 და მახსოვს, მხოლოდ ცა იყო მაშინ...
 მრავალის მთქმელი განუვლელ დღეთა.

ისრის ფრენა

განა აქ არ დაღალე
 შენი სიყმაწვილის ცხენი ზღაპრული,
 თეთრი ფლოქვებიდან ავარდნილი მტვერი კი
 გაზაფხულის ნიავივით კოცნიდა
 მენამულ ზეცას
 და მწვანე ბალახს.
 მერე ნავიდა გაზაფხულის მწველი მხურვალეობა და
 მოვარდნენ შემოდგომის ცივი ქარები,
 ზოგჯერ და ახლაც,
 როცა აღარ მესიზმრება
 აფრიკა თუ ჰიმალაი,
 სიყმაწვილის ფრთიანი ცხენი
 მიჰქრის და მიჰქრის სადღაც შორეთში,
 დაქანცული ეული ღამე
 შენი ქვითინის გაგონებაზე
 მძიმედ დგება და ნელა შლის შავ ღრუბლიან მხრებს.

* * *



ქართული
საბავშვო ლიტერატურის
სამეცნიერო ცენტრი

პირველყოფილმა ადამიანმა იკითხა ერთხელ:
რა არის ყველაზე მეტად სათაყვანო აღმოსავლეთში
სადაც ამდენი ანთებული შავი თვალეები
გრძნეულის ძალით გვატყვევებენ, გვიხმობენ სადღაც?
და უპანიშადების¹ შემქმნელნი მღერიან ჰიმნებს...
ღმერთო ძლიერო, შენი ნათელით
ჩამოხსენ ფარდა
უსახო სახეს ჭეშმარიტების.
გაოცდა თურმე რაბინდრანათიც,
როგორც პირველყოფილი ადამიანი,
და ოდნავ სახე აალებული,
იმედგამქრალი ნავიდა ჩუმად.
და ჩვენ კი გაოცებაც გადაგვავიწყდა,
ჰოი, ღვთაებავ,
მოგვეცი ნიჭი, რომ ერთხელ მაინც
გავვოცდეთ წამით.

როს ჩემი ლეში ბუდას შეხვდა .

როს ჩემი ლეში ბუდას შეხვდა,
არაფერი უთქვამს მისთვის
და არც ბუდას უთქვამს რა...
მხოლოდ ჩაფიქრდა მარტო — ბუდა
და როგორც მოწაფე მოწყენილი უცხო პიკნიკზე,
მოჰყვა თავისი სახელების ამოკანწროს
ისტორიის სიბ ქვაზე.
თუმცა ბუდას უნდა ჰქონოდა პასუხი და ჰქონდა კიდევ,
მაგრამ მან ჰკითხა ჩემს ლეშს:
ნუთუ კვლავ ხარობს პიპალის² ხე
ძველი კედლების ნანგრევებზე...
და იწვის იგი, ვით ვარსკვლავი ჩამოვარდნილი,
როგორც ქალწულის ვნებიანი მზერა მალული,
ანდა თუ ღღვება
დედის ცრემლივით გაქვავებულ შვილის გულმკერდზე,
ან კვლავ თუ ხარობს, როგორც ყვავილი, უბინო ბავშვი,
და თუ იშლება, ვით ბანჯგვლიანი მკერდი შეშლილის.

¹ უპანიშადები — ვედური ლიტერატურის ფილოსოფიურ-თეოლოგიური ნაწილი.

² პიპალი — ინდურ ლეღვის ხე (ითვლება წმინდა ხედ).

ფელიქს კრივინი

ივან-არაკივი



ქვეყანის
ბიბლიოთეკა

თარგმნა ვაჟა ზუბუსიძემ

ეს თავისებური ივან-არაკივი (წიგნიდან „საგანთა ქვეყანაში“) გაცოცხლებული და ურთიერთდაკავშირებული საოჯახო მოხმარების საგნების „ადაპტირებული მნიშვნელობებზე“ გვაფიქრებენ.

სათვარი ფანტაზიითა და პოეტური ენითაა დასურათხატებული მცირე ისტორიები, რომლებიც ბიუროკრატიზმის, მეშინობის, უზრდელობის, სიბოიყვის, ყბედობისა და სხვა მანკიერების ასახვა-დაძლევის მიზნით შეუქმნია მწერალს.

ვაშლი

იმაღებოდა ფოთლებს შორის, სხვებს ვიდრე კრუფდნენ.

ვაშლს არ უნდოდა კაცის ხელში ჩავარდნილიყო, რომ, სხვათა მსგავსად, არ ექციათ ისიც ნარაჯად.

მაგრამ არც ხეზე მარტო ყოფნა სიამოვნებდა. სხვებთან ერთად სომ ყველა ტირი ასატანია!

რა ქნას?.. გამოჩნდეს?! გამოჩნდეს, თუ იყოს უჩინრად?

გულს უფუფრავდა ეჭვის ტია, გულს უფუფრავდა, ვიდრე იმ ტიამ ეჭვნიული მთლად არ გამოხრა.

საკვამლა

განუზომლად უაზროა, საკვამლის აზრით, სამზარეულოს შინაყმათა ზრუნვის საგანი.

დილიდან ვიდრე საღამომდე ერთსა და იმავე ვედროებს ავსებს კამკამა წყლით გამრჯე ონკანი; დილიდან ვიდრე საღამომდე ერთსა და იმავე კარდაღებს, ქვირტებსა და

მათრათებს ათბობს აკუთა; დილიდან ვიდრე საღამომდე ერთსა და იმავე ტყის აჭრასა და აკაფვაზე ფიქრობს ნაჯახი.

საქვეყნო საქმეს საკვამური აკეთებს მხოლოდ: კვამლით ალავსებს კვამლისაგან დაცლილ სამყაროს.

თავკიდური ქვა

— ქვანახშირით თავკიდური ქვაა ზამთარში, — ეუბნებოდა ამხანაგებს მურა ნახშირი, — ქვეყანას ვათბობთ, უმჯობესი რა არის ნეტავ? დე, დავიფერფლოთ, ფუჭად ხომ არ დავიფერფლებით?!

ღვთის გარეგანი იდგა ზამთარი და დაიფერფლა ყველა, მურა ნახშირის გარდა.

შემდეგ კი, როცა კვლავ იმძლავრა სუსხმა და ქარმა, გადარჩენილი ახალ მოყვასს ეუბნებოდა:

— ქვეყანას ვათბობთ, უმჯობესი რა არის ნეტავ? დე, დავიფერფლოთ...

ჩვეულებრივი ქვა აღმოჩნდა ქვა თავკიდური.

სამსახურიდან გადახდგარი ფილთაქვა

სამზარეულოს შევედლა ძველი ფილთაქვა, გატეხილი და უვარგისი როდინისათვის: ლურსმნებს აჭედებს, ნანარმს ნონის და, მუყაითი, არც ნიკიბინო საქმეებზე არ ამბობს უარს. გაგულკეთილდა, კუტლეულსაც დაუშეგობრდა, გაჩენის დღიდან უწყალო და დაუნდობელი.

— ცხოვრებამ ბევრი რამ მასწავლა, ახლა კი ვიცი, რარიგ გიჭირდათ, რანაირად იტანჯებოდით.

მაგრამ ცხოვრებამ კვლავ როდინში რომ დააბრუნოს?! თუმცა ამაზე კუტლეულმა იწუხოს უხდა.

კვინტალი

დაბალი კაცის დაბალ შუბლზე მჯდარი კვინტალი შურით უმზერდა მაღალ შუბლებს კაცთა მაღალთა და ჩურჩულებდა: — სამყოფელი ასე საჩინო, ჩემს დღემდე ფარულ ყველა ყადარს წარმოაჩენდა.

ბოკო

ნაიბორძიკებენ ხოლმე გზისპირას მდგარ ბოკოზე და...

— გთხოვთ სათითაოდ, ბატონებო, გთხოვთ სათითაოდ! წელში გავწყდები და მიგიღებთ, რამდენსაც შევძლებ. ო, რა ხალხია, რა ხალხია, — ჭრილებს ბოკო, — ერთი ნაბიჯიც ვერ გადაუდგამს ვერც ერთს უჩემოდ!

მნიგნობარი

დღე ერთია და ათასგზის გვესმის: — სანიშნეს ჰკითხეთ! — სანიშნემ იცის! — მნიგნობარია! ყველა წიგნში არის ნამყოფი!

მაგრამ სცადეთ და ჰკითხეთ რაიმე! თუმცა ცხოვრება წიგნებში აქვს გატარებული, ახალშობილის უმეტესი არა იცის რა ესეც თქვენი მნიგნობარი!

შამოქვადაბითი ინდივიდუალობა

ფურცლებზე დამსხდარ ერთგვაროვან ასოთა შორის მხოლოდ ნანვეთი ინარჩუნებს საკუთარ სახეს — არავის ბაძავს, არც იოლად წაიკითხება.

კონსონის ხანა

ძირს დაცემამდე ყოველ ჯაგნარს ეკითხებოდა:

— დედამინაა თქვენს თქვენი პლანეტა?

— დედამინაა, — მისძახოდნენ ციცქნა ფანტელას, თუმც აუცილებლობად არ მიაჩნდათ პასუხად თქმული.

რწმუნების ძალა

— კარი უნდა გაიხსნას, — ღრმბაზროვნად შენიშნავს სახელური, კარს რომ აღებენ.

— კარი უნდა დაიხუროს, — ფილოსოფიურად ასკვნის იგი, კარს რომ ხურავენ.

სახელურის რწმენას ზემოქმედის ვინაობა განსაზღვრავს.

პატაფონის ნემსი

დალაბრა ნემსი ჩიოდა:

— დრო იყო, ვმღეროდი და ნეტარებდნენ, ახლა კი ყურებში ბამბას იცობენ. ვერც გამტყუნებ: რა ფირფიტებია? რა რეპერტუარი?!

საათი

ვალდებულებისა და სასიცოცხლო მისიის სრული შეგნებით იდგა საათი: იდგა იგი დროის დარაჯად.

ნამორი

ვერა და ვერა გაიგო რა ეოლინოსი.

— ათას ხემშიაც არ გავცვლიდი, — ფიქრობს ნამორი, — ასეთი ლბილი, თვალწარმტაცი ბუდე რომ მქონდეს. ანდა რა ნახა ნეტავ ხემში, რით მოიხიბლა? ხერხავს და ხერხავს, ის კი ხარობს, ის კი ხალისობს! ასე რომ მხერხონ...

და არც ცდება: რომ ხერხონ, მაშინ ნამორს, ცხადია, გაუჩნდება სხვა საფიქრალი.

გამოცდილება

პროფესიიდან თითქმის ყველა სცადა ბუშტუკმა. იყო მკურნალიც — დაითხოვეს, რადგან იმედად ქვეყნად არავის უნატრია გულცარიელი. საამწყობოშიც იჩალიჩა, მაგრამ ამოდ: ვერ აწყობდა და ამწყობებთან რას გააწყობდა?! დაბოლოს მელნით მომარაგდა,

მწერლობა სცადა. ღმერთის ჰენევენით, იქ-
ნებ კარგი ნიგნი დაწეროს.

უნდა დაწეროს, თქმა არ უნდა, უნდა და-
წეროს: ყოფისეული არ აკლია გამოცდი-
ლება!

სურათი

ერთხელ სურათი აფასებდა ცოცხალ ბუ-
ნებს:

— არა უშავს რა ფონსა და პერსპექტივას,
მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს... ჩარჩო
სად არის?!

ასთავთიკის გაკვეთილი

— მოქარაფშუტო იერი გაქვს, დაო ყვა-
ვილო, — შპალერზე ყვავილს უჩურჩულებს
მსუქანი ლაქა. — ულაშაზოა, ყველაფერს
რომ თავი ვანებოთ. სტუმრებს მოველით...
გთხოვთ, მოუხმო ღირსების გრძნობას.

ერთი ფურცელი

საინტერესო იყო ნიგნი... მოგვიძულესო,
გაცრეცილ ფურცლებს არ ეთქმოდათ მკით-
ხველისადმი. თუმცა ერთს მაინც დღენიადაც
სტკიოდა გული:

— არ მკითხულობენ, — შრიალებდა უკ-
მაყოფილოდ, — და უარესიც, ვინც მკითხუ-
ლობს, არც მას მოვწონვარ... სპეციფიკური
კი ვარ, მაგრამ ხომ საჭიროა, ამ წანრის გე-
მოც იგემოსო ნიგნის ტრფიალმა.

შეშჩნეული შეცდომების გასწორებას ეთ-
მობოდა ის ფურცელი.

ყოფნა-არყოფნის საკითხი

გულნაკლულია საწვიმარი ხვედრით და
ბედით.

მზიან ამინდში, სეირნობის ყამი რომ
დგება, ჩაკეტილი ჰყავთ სიკვდილმისჯილ
პატიმარივით... კარს გაუღებენ, გარეთ გა-
სვლის ნებას დართავენ და იმ ნამშივე უცი-
ლობლად ნამოვა წვიმა.

შემთხვევითობას მიანეროს, თუ სიავ-
კაცეს?

დღემდე პასუხი ვერ უნახავს, თუმცა სა-
წვიმრის შორსგამჭვრეტლობა ყველასათვის
არის ცნობილი.

ადმინისტრაციული თავგამოღება

ბუქიერობდა სავარცხელი, ხშირ-
მართ უწყალობით და ურჯულობით გამოჩე-
ული. და, დაუნდობედ, დაუნდობედ ეცვა-
ლა ფერი, ერთ მშვენიერ დღეს...
რომ გამოცხადდა.

რალა ვაკეთო, სამად სამი თმალა შე-
მობრჩა?!

პასუხი არვის გაუცია, შეჭირვებულმა მე-
ლოტმა თავმა შეაგება მხოლოდ ღიმილი.
და იმ ღიმილში აისახა, როგორც სარკეში,
თმაზე სავარცხლის მრავალი წლის შრომის
შედეგი.

გამოგაღებითი მეთოდი

ერთ მშვენიერ დღეს რაობაზე მშვენიერ-
ების თურმე კამათი გაემართათ ბაღში
ყვავილებს.

— შემოქმედებით მეთოდს ვარდის, თუ
დაფიქრდებით, არ შეიძლება დავეთან-
ხმოთ, — უთქვია ეკალს. — სიმძაფრე მეს-
მის, მესმის გამსჭვალვაც... მაგრამ ყველაფ-
რის წარმოჩენა მხოლოდ ვარდისფრად?!

პლაგიატი

— ვინ იფიქრებდა! — დელავს პალიტრა,
— რომ ფუნჯი სურათს მის შექმნილად გა-
ასალებდა. უკლებლივ ყველა საღებავი ჩემ-
გან აიღო, მხოლოდ სხვაგვარად განაღვა
იგი ტილოზე.

თა ნამრძნობა

შორეულ ვარსკვლავს ეუბნება ქუჩის ფა-
რანია:

— რა ფერმკრთალი ხარ, საბრალისო, მო-
მიახელოვდი, ცეცხლს გინილადებ, გაგინათებ
ბედშავს სამყოფელს.

მოდის მიმდევრები

მოდას მისდევნენ ბუზები.
მონახავენ და თვალს ვერ სწყვეტენ მბზი-
ნავს, ნაკუშიანს, ვერც ერთ მილიმეტრს გულ-
კეთილიობას ქსელის.

— რას ისურვებდით მილიმეტრში? —
ეკითხებიან და, როგორც წესი, შესაძლოზე
ძვირი უჯი ჟებათ.



ეროვნული

პალსტუხი

ერთ ამერიკულ საფირმო მაღაზიაში საუკეთესო პალსტუხები იყიდებოდა. ქალაქის თითქმის ყველა მცხოვრები აქაურ პალსტუხს იკეთებდა. მაღაზიის პატრონმა მოისურვა, სახელგანთქმული ამერიკელი მწერალი, ერნესტ ჰემინგუეის მისი მუშტარი გამხდარიყო. ამიტომ მწერალს მშვენიერი პალსტუხი გაუგზავნა და ბარათიც დაურთო:

„ჩემს წიგნებს სიამოვნებით კითხულობენ. ვიმედოვნებ, თქვენც ჩვენი მუშტარი გახდებით და ამ პალსტუხის საფასურად ორ დოლარს გამოგვიგზავნით“.

რამდენიმე დღის შემდეგ მაღაზიამ პაკეტი მიიღო, რომელშიც ასეთი შინაარსის ბარათი იყო:

„ჩემს წიგნებს სიამოვნებით კითხულობენ. ვიმედოვნებ, თქვენც ჩემი მკითხველი გახდებით და შეიძენით ჩემს ბოლო მოთხრობას, რომელსაც ამ პაკეტით გიგზავნით. იგი ღირს ორი დოლარი და ოთხმოცი ცენტი. მაშასადამე, 80 ცენტი კიდევ მერგება თქვენგან“.

ცალკე ბიჭუნა

— წარმოგიდგენია, ჩემმა ბიჭუნამ ჩემი ახალი მოთხრობის ხელნაწერი ცეცხლში ჩააგდო.

— ვანა სამი წლიან უკვე იკის კითხვა?

პათინაური

სილაძაზის ინსტიტუტის შვეიცარმა ფულის შოვნით დიდად გაითქვა სახელი კოლეგებში.

— როგორ აბურხებ ამდენი ფულის დაინცვლას? — ჰკითხა მეგობარმა.

— სულ უბრალოდ, ბიჭუნა, მას ღიმილით. — როდესაც კლიენტი მოდის, შემდეგი სიტყვებით ვეგებები: „გთხოვთ, ქალბატონო!“ ხალხი წასვლისას ვეუბნები: „საჩუქამდის, ქალიშვილო!“

მოსწავლული პასუხი

ცნობილი გერმანელი პოეტი და იუმორისტი მორიც გოტლიბ საფირი ერთ ლიტერატორს შეეკამათა, რომელმაც გესლიანად მიუგო:

— თქვენ, ბატონო საფირ, ფულისათვის წერთ, მე კი მხოლოდ ღირსებისათვის.

— ყოველი ჩვენგანი წერს იმისათვის, რაც მას აკლია. — უთხრა ღიმილით საფირმა.

ინტერვიუ

— თქვენი აზრით, რატომ წერენ ლიტერატორები უპირატესად ეპიკები? — ჰკითხა ჟურნალისტმა ლიტერატორი რომანების ცნობილ ავტორს.

— სრულიად უბრალოდ. — მიუგო მწერალმა ღიმილით. — ქალი ვერ შეძლებდა მკვლელის ვინაობა ბოლომდე შეენახა სიღუემლოდ.

დილოგი

— მე მედიცინა მივატოვე და მინდა მწერალი გავხდე. — უთხრა ცნობილ მწერალს ახალგაზრდა ექიმმა. — ვფიქრობ, ადამიანებს ამით უფრო მეტ სარგებლობას მოუტან.

— თქვენ მათ საკმაო სარგებლობა უკვე მოუტანეთ იმით, რომ მედიცინას თავი დაანებეთ. — მიუგო მწერალმა.

საუბედური

ერთი ახალგაზრდა მწერალი თავის სამუშაო ოთახში მაგიდასთან მიმჯდარიყო და დაძაბული ფიქრობდა. მთელი დღე თავი იმტვრია, პატარა მოთხრობა დაეწერა, მაგრამ ვერაფერი მოისაზრა. დაბნეული დაშტერებოდა იატაკს.

მაგრამ მაინც რამე უნდა დაწეროს! წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა. მერე წიგნების კარადის წინ შედგა და ჩამწერივებულ ტომებს თვალი გადაავლო. ბოლოს ერთი მოზრდილი, დამტვერილი კრებული გადმოიღო. ეს იყო ძველი მატთანე ჟურნალისა, რომელიც რამდენიმე წელია აღარ გამოსულა.

დიდხანს ფურცლა და შემდეგ ერთ მოთხრობაზე შეჩერდა, ცოტას გადავაკეთებ და ვერავინ ვერაფერს მიხვდებაო. მუშაობას გულმოდგინედ შეუდგა, მაგრამ მალე მოთმინება დაეკარგა და მოთხრობა მეორე აბზაციდან სიტყვა-სიტყვით გადმოწერა. იმედი ჰქონდა, ეს მოთხრობა არავის არ ეჩსომებოდა: იგი ხომ არას ცხრაას ოცდაოთხ წელს დაიბეჭდა!

მოთხრობა გაამზადა, ხელი მოაწერა და რედაქციას გაუგზავნა.

რამდენიმე დღის შემდეგ ნატრი მონტარარის ნაცვლად წერილი მიიღო:

„გოცებული ვართ თქვენი თავხედობით, რომ თავს უფლებას აძლევთ თქვენი ავტორობით გამოგვიგზავნოთ ნოველა „შიში“, რამდენიმე დღის წინ ჩვენს გაზეთში „შშიშარა კურდ-ღლის“ სახელწოდებით რომ გამოქვეყნდა და რომლის ავტორიც თვით ჩვენი რედაქციის თანამშრომელია. გთხოვთ, თქვენი შემდგომი „თანამშრომლობით“ თავს ნულარ მოგვაბეზრებთ.

სიტუაციის შესაბამისად

- ახლა რას აკეთებ?
- შემთარებს ვწერ.

— კარგი საქმეა. უკვე მიხვედი იმ ადგილმდე, სადა მარკა რომ გასესხე?

კრიტიკოსი კლაქნიტრი

— რას იტყვით ოტო მაიერის ახალ პიესაზე? — ჰკითხა მინისტრმა კრიტიკოსს.

— კარგი პიესაა, ბატონო მინისტრო, — მიუგო კრიტიკოსმა. მინისტრმა თავი გაიქნია.

— მე მინდოდა მეთქვა, კარგია-მეთქი გარკვეული მოსაზრებით... — გამოასწორა კრიტიკოსმა.

მინისტრმა თავი გაიქნია.

— ესე იგი, კარგია მხოლოდ სნობების ვიწრო წრისათვის, იმათთვის, ვინც დღე და ღამე კაფეებში სხედან...

მინისტრმა თავი გაიქნია.

— მე მთლად ზუსტად ვერ გამოვთქვი, ვგულისხმობდი უფრო მდარე მაყურებლის გემოვნებას...

მინისტრმა თავი გაიქნია.

— საერთოდ კი პიესა ცუდია, ბატონო მინისტრო.

მინისტრმა თავი გაიქნია.

— თუმცა მთლად ხელაღებით გაბიბრუება არ ეგების...

მინისტრმა თავი გაიქნია და თქვა:

— ძალიან უხეში და მოუხერხებელი საყველო აქვს ამ პერანგს...

რჩევა

— ძალზე მოსაწყენი სპექტაკლია. გირჩევთ მეორე მოქმედების შემდეგ მიატოვოთ.

— რატომ მაინცდამაინც მეორე მოქმედების შემდეგ?

— პირველის მერე გარდგრობებთან დიდი ჰედვია.

კვანოფილება

— მინდა გაუწყოთ, ბატონო დირექტორო, რომ გუშინ დაგქორწინდი.

— ჩინებულია! მე დიდად ვა-




წ. ნიშვაშვილი
ოცი ქალი

წ. ნიშვაშვილი

კლუბნების შიგნით



0 131



სამხრეთ-აღმოსავლეთი საქართველო

ს. 6022650

სამხრეთ-აღმოსავლეთი საქართველო